

V საერთაშორისო კონფერენცია
V INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

**„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების
პერსპექტივები“**

**«DEVELOPMENT OF
GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP»**

კონფერენცია ეძღვნება მიხეილ ყიფიანსა და კოსტა ხეთაგუროვს

**THE CONFERENCE IS DEDICATED TO MIKHEIL KIPIANI AND
KOSTA KHETAGUROV**

მ ა ს ა ლ ე ბ ი

PROCEEDINGS

13-15 ოქტომბერი/October

თბილისი/Tbilisi

2019

**Ivane Javakishvili Tbilisi State University
Research Center for Georgian-Ossetian Relationship
Ministry of Education and Science, Culture and Sport
Department of Official Languages
Giorgi Akhvlediani Society**

V INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

**“DEVELOPMENT OF
GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP”**

**THE CONFERENCE IS DEDICATED TO
MIKHEIL KIPIANI AND KOSTA KHETAGUROV**

PROCEEDINGS

**13-15 October
Tbilisi
2019**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

V საერთაშორისო კონფერენცია

„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“

კონფერენცია ეძღვნება

მიხეილ ყიფიანსა და კოსტა ხეთაგუროვს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

13-15 ოქტომბერი
თბილისი
2019

მთავარი რედაქტორი: ნაირა ბეპიევი

**სარედაქციო ჯგუფი: ნინო პოპიაშვილი
რაზიათ ქუმარიტოვი
თამარ გელაშვილი**

Chief Editor: Naira Bepievi

**Editorial Group: Nino Popiashvili
Raziat Kumaritovi
Tamar Gelashvili**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2019

ISBN 978-9941-13-905-5

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ტრადიციული არავერბალური კომუნიკაციის ფორმები: ჟესტების სემიოტიკა და ეტიკეტი

ადამიანთა ურთიერთობის პროცესში ვერბალური ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული არავერბალურთან, ანუ ჟესტების ენასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნობები, რომლებსაც კომუნიკანტები ერთმანეთს გადასცემენ, შეიძლება კოდირებულ იქნას სხვადასხვაგვარად: სიტყვიერი ნიშნებითა და ქცევის ნიშნებით - ჟესტებით. ქცევის კულტურის, ეტიკეტური ურთიერთობის მეტნაკლებად მთლიანი სურათი სიტყვიერი კომუნიკაციისა და ჟესტების, მიმიკების შეხამების პროცესში წარმოიქმნება. ჟესტებს, მიმიკებს შეიძლება დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდეთ, ანუ ჩაენაცვლოს სიტყვას, მეტყველებას, მაგრამ ისინი უფრო ხშირად ამ უკანასკნელის თანამდევნი არიან, ანიჭებენ რამას განსაკუთრებულ აზრობრივ და ემოციურ დატვირთვას. ადამიანური ურთიერთობის სისტემის ევოლუციის სფეროში დღემდე განხორციელებული კვლევები მეცნიერებს საკმარის საფუძველს აძლევთ ამტკიცონ, რომ ისტორიულად ჟესტების ენა წინ უსწრებდა ვერბალურ, ანუ სიტყვიერ ენას. მაღალ ანთროპოიდთა - ურთიერთობის საშუალებებზე დაკვირვებამ შესაძლებელი გახადა გამოვლენილ იყო ადამიანის ქცევების შესატყვისი მთელი რიგი ისეთი ჟესტებისა და პოზებისა, როგორიცაა ხელის მოხვევა, ჩახუტება, თავის დაკვრა, თავის დაქნევა (ერთობლივ სიარულზე მიწვევა), მუქარის პოზები და სხვ. [ბაიბურინი, ტოპორკოვი. 1990, 23-24].

ურთიერთობის საშუალებათა ტრადიციული სისტემის მქონე კულტურებში ჟესტები შეუდარებლად დიდ როლს თამაშობდნენ, ვიდრე ამის წარმოდგენა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილებით შეიძლება. ბევრ კულტურულ ტრადიციაში არსებობდა ჟესტების ძალზე სრულყოფილი სისტემა (მაგალითად, დუმილის აღთქმადან აღებული ზოგიერთ ბერმონაზონთა ორდენი და დერვიშები), რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ყრუ-მუნჯთა ჟესტების თანამედროვე ენას. საერთოდ, ტრადიციული ტიპის კულტურისათვის ჩვეულია ურთიერთობის ვიზუალური საშუალებების სიჭარბე. ეს გარემოება განსაკუთრებით რიტუალისთვის არის დამახასიათებელი. რიტუალურ ქმედებას საფუძვლად უდევს ნიშნადი მოძრაობის ენა, რომლითაც მთელი სოციუმისათვის ყველაზე საკვანძო მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია გადმოიცემა.

კომუნიკაციურ ქცევებში განსაკუთრებული როლს ასრულებს ხელი, რომლის ნიშნადი მოძრაობები, გამოყენებული თანამედროვე ურთიერთობებშიც, უძველესი წარმოშობისაა. რეტროსპექტივაში მათი მნიშვნელობა მჭიდროდ უკავშირდება ხელის რიტუალურ-მითოლოგიურ სიმბოლიკას. ხელის სიმბოლიკაზე საუბრისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ წარსულში (ნაწილობრივ დღესაც) მარჯვენა და მარცხენა ხელებს ტოლფასოვნად არ განიხილავდნენ. მათ უფრო ხშირად საპირისპირო აზრი ენიჭებოდათ. ამის შესაბამისად განიხილოდა მარჯვენა და მარცხენა ხელებით შესრულებული ჟესტებიც.

ადამიანის სამყაროს სურათი იქმნება ისეთი შეპირისპირებული ოპოზიციებით, როგორიცაა „სიცოცხლე - სიკვდილი“, „ბედნიერება - უბედურება“, „მამაკაცური - დედაკაცური“ და სხვ. მათ შორის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ბინარული (ორკომპონენტური) ოპოზიციები („ზემო - ქვემო“, „შიგნით - გარეთ“, „მარჯვენა - მარცხენა“), რომლებსაც გარემომცველ სამყაროში ადამიანის ორიენტაციის (არამარტო სივრცობრივი) მრავალსპექტიანი სისტემა ემყარება. სივრცობრივი ოპოზიციების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მას შეუძლია, შეიძინოს შეფასებითი აზრი. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ოპოზიციისათვის „მარჯვენა - მარცხენა“. მარჯვენა ასოცირებულია სიმართლესთან, მართალთან, მარცხენა კი - სიცრუესთან, მცდართან. ამიტომ „მარჯვენა - მარცხენა“ ოპოზიციის ხასიათი უშუალოდ განსაზღვრავს მარჯვენა და მარცხენა ხელების არატოლფასოვნებას: მარჯვენას მიენიჭება დადებითი მნიშვნელობა, მარცხენას კი - უარყოფითი. მარჯვენახელიანობის ბიოლოგიური საფუძველი განპირობებულია ადამიანის ტვინის ფუნქციური ასიმეტრიით. კულტურული დანაწესები, იცავენ რა მემარჯვენეობას, მასზე არიან დაფუძნებულნი. ამ ფუნდამენტზე დგას ოპოზიცია „მარჯვენა - მარცხენა“, რაც რიტუალური და ეტიკეტური ქცევის მრავალ თავისებურებას განსაზღვრავს. ბევრ ხალხში, მათ შორის ჩრდილოკავკასიელებში, მკაცრად არის დასაზღვრული მარჯვენა და მარცხენა ხელებით შესასრულებელი მოქმედებები. კავკასიელი ყალმუხებისა და თალიშების შეხედულებით, მარჯვენა ხელი

კეთილდღეობის, ბარაქის ხელია, და მხოლოდ ამ ხელით შეიძლება საჩუქრის გაცემა და მიღება, საქონლის მოწველა და სხვ. ყალმუხებში, ყარაჩაელებში, ბალყარელებსა და ნოღაელებში მარცხენა ხელის ფუნქცია აკვნიდანვე იყო განსაზღვრული: ისინი შეუხვევს ტოვებდნენ ჩვილის მხოლოდ მარჯვენა ხელს, რათა მას ავსულების მოგერიება შეძლებოდა [ჟუკოვსკაია, 1988, 119; ყარაჩები, ბალყარები, 2014, 379].

მუსლიმები, უპირატესად, დაღესტნის ხალხები (ყუმიკები, ახვახები, ჭამალალები, ბოთლიხელები, ხინალულები, ლაკები და სხვ.), რიტუალური თვალსაზრისით, მარჯვენა ხელს „სუფთად“ მიიჩნევდნენ, და ამიტომ მისალმება, კერძის გადმოღება, სხეულის „სუფთა“ ნაწილების შეხება მხოლოდ მარჯვენათი შეიძლებოდა და არა „უსუფთაო“ მარცხენა ხელით; ყოველი საქმის (ტანსაცმლის ჩაცმა, ჭამა, პირველი სანესო ხნულის გავლება და სხვ.) დაწყება მარჯვენა ხელის ფუნქცია იყო, ისევე როგორც მოძრაობის დაწყება და ზღურბლზე გადაბიჯება - მარჯვენა ფეხის [რეზვანი, 1988, 49].

ბევრ ხალხში მარჯვენას და მარცხენას აქვს არამარტო მითო-რელიგიური, არამედ სოციალური გააზრებაც: მარჯვენა მხარე შეეფარდება მაღალ სოციალურ და ასაკობრივ სტატუსებს, ხოლო მარცხენა – დაბალს. მაგალითად, ადიღებში გვერდიგვერდ მიმავალი „ორი მამაკაცის საუბრის დროს, უმცროსი უფროსისგან მარცხნივ მიაბიჯებს. მგზავრთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში... სურათი იცვლება და ყველაზე უმცროსი იკავებს მარჯვენა პოზიციას უფროსისგან ნახევარი ნაბიჯით უკან, რათა მისი მითითებებისა თუ დავალებების გაგება შეძლოს; დანარჩენები ასაკის გრადაციის რიგით (უფროსიდან უმცროსისკენ) უხნესისგან მარცხნივ მწკრივდებიან. მგზავრთა (ქვეითთა თუ მხედართა) ასეთი განლაგება შესაძლოა, სამხედრო წყობის რუდიმენტს წარმოადგენს: ამ შემთხვევაში მარცხნა მხარეს უმცროსი ორდინარის როლს ასრულებს. იგი, ინფორმატორთა ცნობით, შეიძლება რაღაც დავალების შესასრულებლად გაგზავნონ, და მაშინ ადგილი მარჯვენა მხარეს, როგორც ყველაზე საპატიო, მხოლოდ უფროსს რჩება. დღეისათვის ეს სტანდარტი გენერალიზებულია: იგი განსაზღვრავს სამი ყველაზე უფროსი მამაკაცის სუფრასთან დასხმისა და მსუბუქი ავტომობილის უკანა სავარძელზე მათი განლაგების წესრიგს. თუ ერთი ქალი ორ ან მეტ მამაკაცთა წრეში იმყოფება, მისგან მარჯვნივ ადგილს ყველაზე უმცროსი („ორდინარი“) იკავებს, მარცხნივ კი - ყველაზე უფროსი“ [ბლაჟნოევი, 1982, 72-73].

გადაადგილების დროს ზემოაღწერილის მსგავსი წესრიგია დაცული კავკასიის სხვა ხალხებშიც. მაგალითად, ვაინახებში ორი მამაკაცის (ქვეითისა თუ მხედრის) მგზავრობისას უფროსი მარჯვენა მხარეს იკავებს, უმცროსი - მარცხენას; სამი პირის მოძრაობისას უფროსი შუაში ექცევა, მისგან მარჯვნივ მარცხნივ მიმავალზე უფროსი. ასეთი განლაგება უფროსთა პატივისცემითა და მათზე ზრუნვით არის განპირობებული. თუ ციფრობრივ აღნიშვნებს გამოვიყენებთ და ყველაზე უფროსს ციფრი 1-ით აღვნიშნავთ, ხოლო დანარჩენებს ასაკობრივი გრადაციით, მივიღებთ გადაადგილების ეტიკეტის შემდეგ სქემას:

- ორი პირისათვის 2. 1.
- სამი პირისათვის 3. 1. 2.
- ოთხი პირისათვის 4. 3. 1. 2.
- ხუთი პირისათვის 5. 4. 1. 2. 3.
- ექვსი პირისათვის 6. 5. 1. 2. 3. 4.
- და ა. შ.

ასეთი განლაგება უფროსთა პატივისცემითა და მათზე ზრუნვით არის განპირობებული. გადაადგილების დროს უფროსს მოძრაობისა და შესაძლო თავდაცვისათვის შედარებით მოსახერხებელი ადგილი ეკავა, რათა მარჯვენა ხელი მანევრირებისათვის თავისუფალი ჰქონოდა, განსხვავებით უმცროსისაგან, რომლის ამოცანას მარცხენა მხრიდან უფროსის დაცვა შეადგენდა; სამი ან მეტი პირის მოძრაობის შემთხვევაში უფროსი ორივე მხრიდან დაცული იყო. დაცვითი ფუნქცია ჰქონდა ქალის წინ მამაკაცის სვლასაც, თუმცა აქაც ბინარული ოპოზიციის („წინ – უკან“) სტანდარტი მოქმედებდა [ტანკიევი, 2007, 454].

რიტუალურ სიტუაციებში (განსაკუთრებით დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში) შეიძლებოდა, მარჯვენა და მარცხენა მხარეებს ადგილები შეეცვალათ, რაც შემდეგი გარემოებით იყო გამოწვეული: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით, მრავალ ხალხში საიქიო მოიზრებოდა, როგორც ქვეყნიერება „უკულმა“. როგორც ჩანს, წარმოდგენები მკვდართა საუფლოზე, როგორც „გადმოზრუნებულ“ ქვეყნიერებაზე, უნივერსალური იყო: ცოცხალთა სამყაროში მარჯვენას საიქიოს მარცხენა შეესატყვისებოდა. ამას უკავშირდება მსოფლიოს, თითქმის, ყველა ხალხის დაკრძალვის (საიქიოსთან უშუალო კონტაქტის სიტუაცია) წეს-ჩვეულებებიდან ცნობილ მოქმედებათა და ურთიერთობათა სხვაგვარობა. შორს რომ არ წავიდეთ, აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება ჩრდილოკავკასიური შესა-

ბამისი მასალა: ჩერქეზებში, ოსებში, ყარაჩაელებში, ბალყარელებში და ყუმიკებში ე. ნ. „მწუხარების მაცნე“, რომელსაც ნათესავ-მეგობრებისათვის ახლობლის გარდაცვალება უნდა ეუნყებინა, ჩვეულებრივ მიღებული წესის ნაცვლად, ცხენზე მარჯვენა მხრიდან ჯდებოდა და მარცხენა მხრიდან ქვეითდებოდა, მარცხენა ხელში ეჭირა მათრახიც; მგზავრობდა უიარალოდ, რაც სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელი იყო; ამ ნიშნებით ყოველი შემხვედრი უშეცდომოდ ხვდებოდა, რომ მგზავრი „მწუხარების მაცნე“ იყო. იმისათვის, რომ ვინმესთვის ახლობელი ადამიანის სიკვდილი დელიკატურად ეცნობებინათ, ყაბარდოელ და ბალყარელ მაცნეს, შედიოდა რა ადრესატთან, კარი ხელის ზურგით უნდა მიეხურა (უარის ნიშნად ასე ხურავდა კარს ქალიშვილი, რომელსაც მისი ხელის მთხოვნელი ვაჟი არ მოსწონდა) [მაფეძევი, 1977, 54; ბესელოვა, 2012, 289; ყარაჩები, ბალყარები, 2014, 520]. საერთოდ, ადილური ეტიკეტური ნორმით ხელის უჩვეულო მდგომარეობა მწუხარების ნიშანს წარმოადგენდა: ასეთი იყო, მაგალითად, დაკრძალვებში მისამძიმრების ნიშნად მარცხენა ხელის მალა აქნევა.

თუ ადამიანის მარჯვენახელიანობას ბიოლოგიური საფუძველი გააჩნია, მარჯვენა და მარცხენა ხელების მამაკაცურ და ქალურ სანყისთან შეფარდების წინაპირობა არ არსებობს [ივანოვი, 1972, 119]. მიუხედავად ამისა, მრავალ კულტურულ ტრადიციაში ქალი მარცხენა ხელთან (ზოგადად, მარცხენა მხარესთან) არის ასოცირებული, მამაკაცი კი – მარჯვენა ხელთან. „მამაკაცური სანყისის ასოცირება მარჯვენა მხარესთან, სიცოცხლესთან, დღესთან, ლუნ რიცხვებთან აიხსნება არა იმით, რომ მათთან ეს ღირებულებები ობიექტურად უფრო ახლოა, ვიდრე ქალებთან, არამედ იმით, რომ ისინი განეკუთვნებიან ერთსა და იმავე კლასიფიკაციურ რიგს. სხვა საქმეა, რომ ასეთი ასოციაციები, პირობითი ნიშნებიდან ნორმატიულ ორიენტირებად ქცეულნი, ადამიანთა ქცევებსა და ფსიქიკაზე ზემოქმედებენ. ჯერ კიდევ პირველყოფილ ხელოვნებაში ქალური სანყისის სიმბოლური გამოსახვის ერთ-ერთი ხერხი მარცხენა ხელის ნიშანი იყო“ [კონი, 1988, 90].

ყოველდღიურ ცხოვრებაში მარცხენა მხარის კავშირი ქალურ სანყისთან საკმაოდ მდგრადია. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ხალხების, მათ შორის კავკასიელების, საცხოვრებლის ტოპოგრაფიული სიმბოლიკა, მრავალრიცხოვანი სამკითხაო ნიშნები: „მარჯვენა ნარბი გექავება – ეხვეწე მამაკაცს, მარცხენა – ქალს“; „შუბლი გექავება – ევედრე: მარჯვენა მხარეს – მამაკაცს, მარცხენა მხარეს – დედაკაცს“; „მარცხენა თვალის თამაში – წყენის, ცუდის ნიშანია, მარჯვენა თვალისა – კარგი ამბის მომტანის მოსვლა“ (ოპოზიცია „კარგი – ცუდი“). წარმოდგენათა ამ წრეში შემოდის ადამის მარცხენა ნეკნიდან ევას შექმნის მოტივიც.

ეტიკეტის ზოგიერთი გვიანდელი ფორმისათვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ მარჯვენა (მამაკაცის) მხარე გაცილებით უფრო საპატიოდ ფასდებოდა, ვიდრე - მარცხენა (ქალისა). ამიტომ პატივის მისაგებად მანდილოსანს ზოგჯერ მარჯვენა მხარეს უთმობდნენ. ეს წესი ევროპის ხალხებში აღორძინების ეპოქაში ქალის სტატუსის ზრდასთან დაკავშირებით დამკვიდრდა. ტრადიციული კი იყო (და დარჩა) ქალის ადგილი მამაკაცისგან მარცხნივ, რაც ჯერ კიდევ „ქებათა ქებაში“ დასტურდება: „თავქვეშ მედოს მისი მარცხენა და მარჯვენა მეხვეოდეს მისი“ („მარცხენე მისი თავსა ზედა ჩემსა და მარჯუენემან მისმან შემინყნაროს მე“, – II, 6). საგულიხმოა, რომ იქ, სადაც „მარჯვენა ხელის წესი“ გამოიყენებოდა, იგი ცოლზე არ ვრცელდებოდა. აღმოსავლელ ჩერქეზებში (ყაბარდოელებში), განსხვავებით დასავლელი ჩერქეზებისგან, იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცის თანამგზავრი მისი ცოლია, ეს უკანასკნელი ქმარს მარცხენა მხარეს მიყვება, რაც, ბ. ბლაჟნოევის აზრით, „ცოლქმრული ურთიერთობის დემონსტრირებას ემსახურება“ [ბლაჟნოევი, 1982, 72]. დანარჩენ ჩრდილოკავკასიელებში ცოლი ქმარს უკან მისდევს (ოპოზიცია „წინ – უკან“).

ჩრდილოკავკასიელებში მისალმების დროს ხელის ჩამორთმევის ტრადიციას არაბულ გავლენას უკავშირებენ და რეგიონში ისლამის გავრცელების პერიოდიდან მომდინარედ მიიჩნევენ. მაგრამ შედარებით საფუძვლიანი ჩანს ზ. ბერსანოვას თვალსაზრისი, რომელიც მკვლევარმა ჩეჩნურ მასალაზე დაკვირვებით გამოთქვა: „ხელის ჩამორთმევაში ღრმა აზრია ჩადებული, რამდენადაც ეს შესტი უძველესი დროიდან მტრულად განწყობილ მხარეთა შერიგებას გამოხატავდა. მოსისხლეთა შერიგების საწესჩვეულებო პრაქტიკაც იმავე შესტით მთავრდებოდა და მათ შორის საბოლოოდ მშვიდობა მყარდებოდა. არსებობს სპეციალური ვერბალური ფორმულა – „ხელებით შეყრა“, რომელიც მტრობამწყვეტილ მოსისხლეებს მიემართება... ამიტომ ხელის ჩამორთმევის წესს არ იცავენ ის ადამიანები, რომელთა შორის მტრობა და მესისხლეობა პოტენციურად შეუძლებელია. მაგალითად, ჩამოსართმევედ ხელს არ უწვდიან ქალს, რამდენადაც მასთან არ მტრობენ და, შესაბამისად, შერიგებაც არ ხდება. ეს შესტი არ გამოყენება მოზარდის მიმართ, რომელსაც იარაღის ტარების ასაკისთვის არ მიუღწევია. ხელის ჩამორთმევით არ ესალმებიან უახლოეს ნათესავებს (ბიძებს, ძმებს და სხვ.), რომლებთანაც რაიმე სახის

მტრობა გამოირიცხებოდა და, ამდენად, არც შერიგება იყო საჭირო“. ჩეჩნების მონათესავე ინგუშებშიც ხელის ჩამორთმევა, გარდა მისალმებისა, მხარეთა შორის მშვიდობის დაყარების ნიშანი იყო. მათთან დღესაც მოქმედ ამ რიტუალურ აქტს „ხელთან მიყვანა“ (ქულგყე ბიგარ-ი) ეწოდება [ბერსანოვა, 1999, 87].

ჩრდილოეთ კავკასიაში კომუნიკანტ მამაკაცებს, ქალებს, მამაკაცებსა და ქალებს შორის ხელის ჩამორთმევით მისალმება ტრადიციული წესი იყო. ყარაჩაელებში, ბალყარელებში, ყუმიკებში, თათებში, ყალმუხებში გავრცელებული ტრადიციით, მამაკაცს შეეძლო ქალისთვის ხელის ჩამორთმევა ისე, რომ მის ხელისგულს არ შეხებოდა.

დამშვიდობების არავერბალური ფორმა მისალმების არავერბალური ენის ანალოგიურია. მასში ცენტრალური ადგილი უჭირავს ხელის ჩამორთმევასა და მხარზე ხელის გადახვევას. ამ უკანასკნელზე, როგორც დამშვიდობების აუცილებელ კომპონენტზე, XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩერქეზეთში მყოფი ჯ. ბელი წერდა: „სუფრის დამთავრებისთანავე, შეკრებილები შინ წასასვლელად აიშალნენ... ამ ჯერზე მე შემეძლო ყველაფერს გაცილებით უკეთ დავეკვირებოდი და დავმტკბარიყავი იმ გრაციით, რითაც ქალები ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ: ისინი ჯერ ერთმანეთს მარჯვენა ხელით შემოეხვივნენ, შემდეგ კი იმავე ხელის ჩამორთმევით დაშორდნენ...“ [ბელი, 1974, 89].

დამშვიდობების რიტუალში განსაკუთრებული ადგილი ეკავა გაცილების ეტიკეტს. სტუმარს აცილებდნენ სოფლის საზღვრამდე, არცთუ იშვიათად, იმ სოფლამდე, სადაც ცხოვრობდა, რადგან მის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მასპინძლები იყვნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთივე წესი მოქმედებდა მაშინაც კი, როცა გზად ასაკით უფროს მამაკაცს ან ქალს ხვდებოდნენ.

ჩრდილოკავკასიურ არავერბალურ მისალმებას განეკუთვნება კომუნიკანტისათვის მარჯვენა ხელის მხარზე გადახვევა, რაც წინ უსწრებს ხელის ჩამორთმევას. იგი ნათესავ ქალთა მისალმების აუცილებელი კომპონენტია. ხშირად ხელის მოხვევით ესალმებიან ერთმანეთს ნაცნობი და უცნობი ქალებიც. იგივე შეიძლება ითქვას მამაკაცებზეც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხელის გადახვევის ტექნიკა. ყაზარდოელ ქალებში იგი შემდეგი წესით სრულდება: მარცხნივ, მარჯვნივ, შემდეგ კვლავ მარცხნივ, მამაკაცსა და ქალს შორის გადახვევათა რაოდენობა ერთმანეთს მცირდება, სრულდება მარჯვნივ, მორიგებით, ამასთან, ხელის ჩამორთმევა და ხელის გადახვევა ერთდროული აქტია: მამაკაცი მარცხენა ხელით მსუბუქად ეხება ქალის მარჯვენა მხარს, მარჯვენა ხელს კი ართმევს [ბლაჟნოვი, 1978, 123].

დასავლელ ადილებში ხელის მოხვევის ტექნიკას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს. ბუედეულ და შაფსულ ქალებში რიგით მესამე მოხვევის ნაცვლად ასაკით უმცროსი ზოგჯერ უფროსის მარჯვენა ხელისკენ თითქოს საკოცნელად იხრება. კოცნის იმიტაცია შეიძლება შეინიშნოს მამაკაცსა და ქალს შორის მისალმებაშიც. ზოგ შემთხვევაში იგი ნამდვილი კოცნაა. მაგალითად, შაფსული ქალი სტუმარ მამაკაცს შემდეგი წესით ესალმება: ჯერ ხელს მარჯვენა მხარზე შემოხვევს და ლოყაზე კოცნის, შემდეგ ხელს ჩამორთმევს, ბოლოს, დაიხრება და მარჯვენა ხელზე ეამბორობა. მისალმების ასეთ ფორმას გვაგონებს დკასკოლის ცნობა იმის თაობაზე, რომ ჩერქეზი ქალიშვილები „არათუ არ ემალებიან სტუმარს, არამედ მას ხელზე კოცნიან და მისი სამოსის სისუფთავეზე ზრუნავენ“. აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზი ქალები არამარტო ეხვეოდნენ, არამედ მხარზე (სტუმარს მკერდზე) კოცნიდნენ კიდევ. შაფსულებში, ბუედეულებში, უბიხებსა და აფხაზებში კოცნა სტუმარმასპინძლობის ერთ-ერთი გამოვლენაა. ამაზე მეტყველებს ბუედეულ თავადთან შეხვედრა: „ერთნი მას ხელზე კოცნიდნენ, სხვანი - ჩოხის კალთებზე“ [ხაჯიმუყოვი, 1880].

ამას ეხმიანება ფონვილის მიერ აღწერილი უბიხ თავადთან, იზმაილ-ბეისთან, შეხვედრის ცერემონიაც [ფონვილი, 1927, 96].

ზემოაღწერილ შემთხვევებში კოცნა სიმბოლური, ასექსუალურია და მას რიტუალური ხასიათი აქვს. ამკვიდრებს რა ადამიანებს შორის ორმხრივ სიმპატიას, მისალმების კოცნა უახლოვდება თავყანისცემის კოცნას, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი ან საკრალური სტატუსით გამოირჩევა (მაგალითად, სტუმრი), ან – პრესტიჟულობის მაღალი ხარისხით. იმ ხალხებშიც კი, სადაც კოცნა მიღებული არ იყო, იგი ძმადგაფიცვის (ყონალობის) რიტუალში შემავალ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა (მაგალითად, ბალყარელებში, ყარაჩაელებში, ჩეჩნებში, ნოღაელებში, დაღესტნის ხალხებში).

ორივე ხელის გამოყენება სიტუაციებში, როცა საამისოდ ერთი საკმარისია, ჩვეულებრივ მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ნივთის/საგნის გადაცემას სხვა პირისთვის) ფესტად გარდაქმნის ან საკუთრივ ფესტს (მაგალითად, ხელის ჩამორთმევას) დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს. ზოგიერთ ხალხში სტუმარს საჭმელ-სასმელი აუცილებლად ორი ხელით მიერთმევა. კავკასიელ ყალმუხებში, თალიშებში და დაღესტის რიგ ხალ-

ხებში რაც არ უნდა მიაღწევას დიასახლისმა სტუმარს – იქნება ეს რძიანი ჩაი, არაყი, კუმისი ფიალით, თუ ნე-ბისმიერ კერძი, იგი ამას ორი ან მარჯვენა ხელით აკეთებს [ჭუკოვსკაია, 1988, 119].

იმავე ყალმუხებში შესტების მდიდარი არსენალიდან გამოიყოფა საახალწლო მისალმების რიტუა-ლურად აუცილებელი შესტი, რომელსაც იყენებს ყველა, ვინც ახალ წელიწადს პირველად ხვდება ერთმანეთს: უმცროსი ასაკით უფროსს (ან ქალი მამაკაცს, თუ ისინი თანატოლები არიან) უწვდის გულამობრუნებულ ხელებს, რომლებზედაც უფროსი თავის ხელისგულს ადებს. ამ შესტით გამოიხატება პატივისცემაც და დაპირებაც დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში [ჭუკოვსკაია, 1988, 119]. ამკარაა, რომ უმცროსისა და უფროსის შესტები ტოლფასოვანი არაა. უმცროსი პირველი უწვდის გულამობრუნებულ ხელებს. ეს არის თხოვნის შესტი, რომლის ადრესატი შეიძლება იყოს არამარტო ასაკით უფროსი პირი, არამედ ღვთაებაც; უფროსის შესტი კი სიკეთის მიმცემი შესტია.

ჩერქეზები მისალმებისას, განსაკუთრებული დამოკიდებულების ნიშნად, ორივე ხელის ჩამორთმევის ან მათი მალა ანევის შესტებს მიმართავენ [ბლაჟნოვი, 1978, 84]. კავკასიელებში ისეთი უტილიტარული მოქმედებაც კი, როგორცაა ხელის დაბანა, სიმბოლური მნიშვნელობისა იყო და არის. მუსლიმებში ხელის დაბანა აუცილებელია ორ შემთხვევაში: ლოცვისა და მსხვერპლშენიერვის დროს, რაც მკაცრად განსაზღვრული წესით სრულდება და ნაკარნახევა არამარტო ჰიგიენური მოთხოვნებით, არამედ რელიგიური ვალდებულებით, რადგან ამის გარეშე არც ლოცვა შეიძლება და არც ყურანის კითხვა. ხელის დაბანა მკაცრად იყო დაცული მკვდრისთვის ან მკვლელისთვის ხელის შეხების შემთხვევაში, რადგან ერთიც და მეორეც, ხალხის რწმენით, უწმინდურებად ითვლებოდნენ – არა ჰიგიენური, არამედ ავსულთან და ცოდვასთან მათი დაკავშირების თვალსაზრისით (მდრ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა „ნარევი“, „მირეული“).

აუცილებელია ითქვას ტაშისკვრის შესახებაც. მრავალი ხალხის ეთნოკულტურაში ამ შესტს არაერთგვაროვანი აზრი ენიჭებოდა; საერთო ის იყო (და არის დღესაც), რომ ტაშისკვრით ემოციური განწყობა გადმოიცემოდა. ევროპულ ტრადიციაში, ისევე როგორც ჩრდილოკავკასიურ ეთნოკულტურაში, ტაში მოწონების, ნახალისების, უეცრად აღძრული სიხარულის (განსაკუთრებით ბავშვებში) შესტია. ამ ხაზის გაგრძელებად შეიძლება განვიხილოთ თეატრალური ან სპორტული აპლოდისმენტებიც. უნდა ითქვას, რომ დასავლეთიდან მომდინარეობს აპლოდისმენტების გამოყენება იმ შემთხვევაშიც, როცა საჯარო გამოსვლის შეწყვეტა და უკმაყოფილების გამოხატვა სურთ.

აღმოსავლეთის ბევრ ხალხში, მათ შორის რიგ კავკასიელებში, ტაშისცემა მწუხარების, სასონარკვეთის გამოხატვის გარეგნული ნიშანია. აზერბაიჯანელებში ტაშით, შემდეგ კი თანამოსაუბრის მკერდის წინ ხელების გადაჯვარებით გულგატეხილობა, სასონარკვეთა გამოიხატებოდა, მაშინ, როდესაც აფხაზებში და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხებში ძლიერი ტაშისკვრა გაკვირვების ნიშანი იყო.

ზეანეული ხელები არის შესტი, რომელიც თანამედროვე კულტურაში გამოხატავს მრავალგვარ გრძნობებს: სასონარკვეთილებას, წყევლას, დანდობის ხვეწნას, გამარჯვების ზეიმს და სხვ. მის პროტოტიპია ადორაციის (ლოცვის) შესტი, როცა ორივე ხელი ღვთის ანუ თაყვანისცემის ობიექტის მიმართ არის აპყრობილი. ეს ერთ-ერთი უძველესი შესტი ფართოდ იყო წარმოდგენილი ქრისტიანულ იკონოგრაფიაში და ამიტომაც, არცთუ იშვიათად, აღიქმება, როგორც სპეციფიკურად ქრისტიანული, თუმცა მსგავსი შესტი კარგად იყო ცნობილი აზიის, აფრიკის, ამერიკის არაქრისტიანული ხალხებისათვის, მათ შორის არამარტო პალეოკავკასიურ ეთნოლინგვისტურ ჯგუფში შემავალი ეთნოსებისათვის, არამედ ამ რეგიონში გვიან მოსული თურქულ, მონღოლურ და ირანულენოვანი კავკასიელებისთვისაც.

ლოცვის დროს ხელების აპყრობას აქვს როგორც ფილოგენეტიკური, ისე სოციალური კოორდინატები. ნიშანდობლივია, რომ ძველევგვიპტურ წარწერებში, რომელებიც ამ შესტის გამოსახულების კომენტირებას ახდენენ, იგი დედისკენ ხელგანვდენილი ბავშვის შესტთან არის შედარებული [მაკ კალოჩი, 1913, 497]. ამასთან, ადორაციის შესტი სიმბოლური მნიშვნელობებით არის დატვირთული. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ღვთისმშობელი ზეანეული ხელებით, ანუ ორანტას შესტით გამოიხატებოდა. რა თქმა უნდა, ორანტას შესტი ქრისტიანობამდელი წარმომავლობისაა. იგი ანტიკური სამყაროშიც იყო ცნობილი (ანტიკური პერიოდის სარკოფაგებზე ორანტების ხშირი გამოსახვა გვაფიქრებინებს, მათში მიცვალებულთა მლოცველი სულები ამოვიცნოთ). ხელების განვდენა წმინდა ადგილისკენ ან ცისკენ ნახსენებია ძველ აღთქმაშიც. დაწყებული VIII-IX საუკუნეებიდან ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ორანტის შესტი თანდათან იცვლება და ღვთისმშობელი უკვე მკერდის წინ გაშლილი ხელებით გამოიხატება. „ამ შესტით ქრისტიანული ხელოვნება საბოლოოდ გამოეყო ანტიკურ ხელოვნების შესტების მემკვიდრეობას, ხოლო ბიზანტიამ შექმნა ღვთისმშობლის ახალი ხატი. საეკლესიო ხელოვნებიდან ორანტის ასე ადრეული გაქრობის მიუხედავად, მისი პოზა, მისი ხელების შესტი პოპულარული რჩებოდა არამარტო საეკლესიო

ფერწერაში, არამედ ხალხურ ხელოვნებაშიც. ზოგიერთი ხალხის ლოცვის პრაქტიკაში ორანტის შესტს შეესაბამებოდა რამდენადმე განსხვავებული შესტი: ხელები მკერდზე ისე ეწყობოდა, რომ ირიბ ჯვარს ქმნიდა. ასეთ პოზაში ლოცულობდნენ სხვადასხვა ტრადიციულ კულტურაში, მაგალითად, კავკასიელ ყალმუხებში, რომლებიც ამ პოზითვე გამოხატავდნენ დანაშაულისა და მონანიების გრძობას. ქართველები მკერდზე ხელების გადაჯვარებით მიცვალებულებს დასტიროდნენ. კავკასიელ მუსლიმებში მკერდზე გადაჯვარებული ხელებით დგომა მოკრძალებას, მორჩილებას აღნიშნავდა.

არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ადორაციის შესტიდან მომდინარეობს მისალმების ზოგიერთი შესტი, როცა ადამიანი ერთ ან ორივე ხელს მაღლა ალაპყრობს. როგორც ჩანს, ადორაციასა და თანამედროვე მისალმებას შორის შუალედურ ფორმას წარმოადგენდა ყაბარდოული ჩვეულება, რომლის თანახმად „თუ გზაზე აზნაური ან გლეხი თავადური წარმომავლობის ქალბატონს შეხვდებოდა, იმავნამს, თუ იგი ცხენზე იჯდა, ჩამოქვეითდებოდა, ხელებს მაღლა აწევდა (ეს მათთან მისალმებაა) და იქამდე იდგა, ვიდრე ქალი საკმაო მანძილით არ დაშორდებოდა“ [ორბელიანი, 1974, 232].

განხილულ შესტებს, მიუხედავად ნაირგვარობისა, საერთო ნიშანიც აქვთ. მათ აერთიანებთ რიტუალური წარმოშობა. ისეთი შესტი, როგორც არის ადორაცია, კერძის ან სასმელის მირთმევა ორი ხელით, რაც კავკასიურ ეთნოკულტურაშიც გვხვდება, ნასესხებია ღმერთთან ურთიერთობის რიტუალური პრაქტიკიდან. მათში დღემდე იგრძნობა დაბლა მდგომის ურთიერთობა მაღლა მდგომთან. იმავდროულად ხელის ჩამორთმევა რიტუალშიცა და ეტიკეტშიც პარტნიორთა თანაბრობას გულისხმობს. ყალიბდებიან რა საყოველღეო ურთიერთობის ნიშნებად, შესტები, როგორც ნესი, ფუნქციებს რამდენადმე იცვლიან, იძენენ ახალ მოტივაციას, თუმცა უწინდელი არსებობის შესახებ ხსოვნა მკრთალად, მაგრამ მაინც არის შემონახული.

ლიტერატურა:

1. **ბაიბურინი, ტოპორკოვი** - Байбурин А. Л., Топорков А. К. У истоков этикета. Ленинград.
2. **ბალაიანი, შაბანოვი** - Балаян А. Р., Шабанов А. Ш. Некоторые особенности коммуникативного поведения азербайджанцев // Национально-культурная специфика речевого общения народов СССР. Москва.
3. **ბელი** - Белл Дж. Дневник пребывания в Черкесии в течение 1837, 1838 и 1839 гг. // АБКИЕА. Нальчик.
4. **ბერსანოვა** - Берсанова З.-Х. А. Чеченский этикет: феномен «нохчала» (середина XIX – начало XX века). Москва.
5. **ბესელოვა** - Беселова Е. Б. Погребально-поминальные обычаи и обрядность // Осетины. Серия «Народы и Культуры». Ответственные редакторы З. Б. Цаллагова, Л. А. Чибиров. Москва.
6. **ბლაჟნოყოვი** - Бгажноков Б. Х. Психология и техника коммуникативного поведения адыгов // Национально-культурная специфика речевого общения народов СССР. Москва.
7. **ბლაჟნოყოვი** - Бгажноков Б. Х. Адыгский этикет. Нальчик.
8. **ივანოვი** - Иванов Вяч. Вс. Об одном типе архаических знаков искусства и пиктографии // Ранние формы искусства. Москва.
9. **კონი** - Кон И. С. Введение в сексологию. Москва.
10. **მაკ კალოჩი** - Mak Calloch J. A. Hand // Encyclopedia of religion and ethics. V. 6. Edinburgh.
11. **მაფეძევი** - Мафедзев С. Х. Символика в коммуникативном поведении адыгов // Национальная культура и общение. Москва.
12. **ორბელიანი** - Орбелиани Г. Путешествие мое из Тифлиса до Петербурга // Археолого-этнографический сборник. Нальчик. Вып. 1.
13. **ტანკიევი** - Танкиев А. Х. Эздел – ингушская этика. Магас.
14. **ფონვილი** - Фонвиль А. Последний год войны Черкесии за независимость. 1863-1864 гг. Краснодар.
15. **ყარაჩები, ბალყარები** - Карачаевцы. Балкарцы. Серия «Народы и культуры». Ответственные редакторы: М. Д. Каракетов, Х.-М. А. Сабанчиев. Москва.
16. **ჭკადუა** - Чкадуа Л. П. О некоторых особенностях этикета абхазов // Национально-культурная специфика речевого общения народов СССР. Москва.
17. **ხაჯიმყოვი** - Хаджимуков. Народы Западного Кавказа // СМОМПК. Вып. 28. Тифлис.

TRADITIONAL NON-VERBAL COMMUNICATION FORMS OF THE NORTH CAUCASIAN PEOPLES: GESTURAL SEMIOTICS AND ETIQUETTE

In human relationship verbal language is closely linked with non-verbal one, i.e. gestural language. In other words, information that the communicants transmit to each other can be coded in a various ways: via verbal signs and signs of behavior - gestures. The more or less complete picture of behavior culture, etiquette relation arises in the matching process of verbal communication with gestures and mimics. Gestures, mimics can have an independent meaning, i.e. they can substitute a word, speech, but they often accompany the latter, attributing a special sense and emotional feature to it.

Despite the variety of the gestures discussed in the paper they have common signs. Ritual origin is common for them. For example, a gesture, such as adoration, giving dish/a drink to a guest with both hands, which are attested in the Caucasian culture seems to be borrowed from ritual practice of relationship with God. There is still evident a relationship of inferior with superior. At the same time, hand-shaking (in greeting) in ritual as well as etiquette implies partnership equality. When the gestures are formulated as the signs of everyday's relationship they typically change their functions to a certain degree, acquire new motivation, though the memory faintly but still preserves their previous function.

Адиев Асланбек

*Кандидат политических наук, старший научный сотрудник,
Дагестанского федерального исследовательского центра РАН
Россия, Махачкала*

ДЕМОГРАФИЧЕСКАЯ И МИГРАЦИОННАЯ СИТУАЦИЯ В ДАГЕСТАНЕ

За северокавказскими республиками закрепился образ демографически благополучных и трудоизбыточных субъектов, где отмечается естественный прирост населения и миграционная убыль в направлении других регионов страны. Наиболее трудоизбыточным из всех северокавказских республик представляется Дагестан, откуда миграционная убыль населения составляет около 12 тыс. чел. ежегодно (в остальных республиках этого макрорегиона ежегодная миграционная убыль фиксируется в пределах 2-4 тыс. чел.). При этом население республики продолжает расти. Но останется ли Дагестан в демографическом плане и дальше одним из наиболее благополучных регионов страны? Каковы территориальные особенности и предпочтительные направления миграции для дагестанцев? В данной работе, с использованием материалов статистического наблюдения и социологических исследований, будет представлен анализ демографических и миграционных процессов в Республике Дагестан.

Естественное движение населения свидетельствует о демографическом благополучии республики [4]. Разница между показателями рождаемости и смертности в Дагестане положительная, составляя 33,2 тыс. чел. прироста в 2018 г. Население Дагестана многие десятилетия непрерывно растет. Исходя из данных официальной статистики только за последние 20 лет (с 2000 – по 2019 гг.) население республики увеличилось на 643 517 чел. (более чем на 26%). Но выводить средние показатели прироста населения по годам сложно, поскольку демографическая ситуация в нулевые годы была существенно иной по сравнению с ситуацией десятых годов XXI века. Пик рождаемости за весь постсоветский и современный период приходится на 2012-2014 гг. Важно отметить, что фиксируемый рост населения республики происходит с учетом миграционной убыли, которая существенно отражается на темпах роста численности постоянного населения Дагестана (см. таблицу №1).

Таблица №1. Естественное движение населения и миграционная ситуация в Республике Дагестан с 2010 – по 2018 гг. (человек)

Годы	Родившиеся	Умершие	Естественный прирост / убыль (-)	Миграционный прирост / убыль (-)	Разница между естественным приростом и миграционной убылью
2010	52057	17013	35044	-10044	25000
2011	54646	16872	37774	-21529	16245
2012	56186	16642	39544	-23958	15586
2013	55641	16258	39383	-21500	17883
2014	56888	16491	40397	-13944	26453
2015	54867	16188	38679	-13390	25289
2016	52867	15719	37148	-10908	26240
2017	50174	15473	34701	-12716	21985
2018	48120	14871	33249	-11008	22241

Исследование общих тенденций миграции населения республики за последние годы позволяет отметить устойчиво отрицательное сальдо миграции. Величина оттока -4518 чел., зафиксированная в 2000 году, увеличивалась до максимального значения -23958 чел. в 2012 году. С 2014 года отмечается уменьшение миграционных потерь до 14-11 тыс. чел. ежегодно, и в 2018 году миграционная убыль составила -11008 чел. Всего с 2010 – по 2018 годы, в результате миграционного обмена, республика потеряла 138,9 тыс. чел.

Основным направлением перемещения дагестанцев является внутристрановая миграция в другие регионы России. Ежегодно в миграционных процессах республики участвуют около 100 тыс. чел. - сумма ежегодно прибывающих и выбывающих из Дагестана, из которых почти 99% перемещаются внутри страны. В теории предполагается, что миграционные потоки ориентированы из менее развитых в более развитые страны и регионы, с более лучшими социально-экономическими условиями [5, с. 181]. Кроме того, как пишут исследователи, миграция чаще идет с территорий с более высокой рождаемостью на территории с более низкой рождаемостью [3, с. 49]. Оба предположения подтверждаются статистическими наблюдениями за миграционной ситуацией в Дагестане. По оценкам специалистов органов государственной статистики, основную часть выбывающих и прибывающих составляют люди трудоспособного возраста, при этом количество мигрантов трудоспособного возраста выбывших за пределы республики возросло с 2000 года в 2,7 раза [2, с. 99]. По географическим признакам доминирующим видом перемещения дагестанцев является миграция в пределах России. Наиболее предпочтительными направлениями миграции дагестанцев являются г. Москва и центральный макрорегион, города Западно-Сибирского макрорегиона (Тюменская область), а также Санкт-Петербург, где средний уровень заработной платыкратно выше республиканских показателей. Кроме того, значительная часть мигрантов-дагестанцев обосновываются в Ставропольском и Краснодарском краях, в Ростовской и Астраханской областях, где есть благоприятные возможности заниматься традиционными для них видами сельскохозяйственной деятельности. Таким образом, почти весь миграционный поток из Дагестана циркулирует в пределах РФ и направлен в экономически развитые регионы страны. Стратегически важный Дальневосточный макрорегион, испытывающий серьезные демографические проблемы, связанные с депопуляцией населения и нуждающийся в миграционных вливаниях, не смотря на государственную поддержку переселенческого движения в этом направлении, не становится привлекательным вектором для миграции дагестанцев.

Основной причиной, побуждающей дагестанцев уехать из республики, является экономический мотив. Дагестан, по оценкам специалистов из службы государственной статистики, занимает последние места по многим экономическим и социальным индикаторам, которые в абсолютном выражении на душу населения в 2-3 раза ниже среднероссийских [2, с. 98]. Так, среднемесячная начисленная заработная плата в Республике Дагестан (без разбивки на виды деятельности) за прошедший 2018 год составила 25 155 руб., а по стране в целом за тот же год – 43 724 руб. Уровень безработицы в Дагестане один из самых высоких по стране. По данным выборочного обследования рабочей силы в 2018 году республика вошла в десятку субъектов РФ с наибольшим уровнем безработицы (отношение численности безработных к численности рабочей силы) с показателем 11,6 %, тогда как по России в целом уровень безработицы составляет 4,7%.

Миграционные процессы, связанные со странами СНГ, охватывают очень незначительную долю прибывающих и выбывающих (0,04% от постоянного населения республики за 2018 г.), а в людских перемещениях между Дагестаном и другими зарубежными странами участвуют лишь единицы. На протяжении последних лет миграционный процесс (хоть и весьма скромный по размерам) между Дагестаном и странами

СНГ имеет стабильное положительное сальдо. Наибольший миграционный прирост населению республики дают потоки из Азербайджана, Узбекистана, Украины, Туркмении и Киргизии. Из всех перечисленных стран в республику в основном прибывают трудовые мигранты (за исключением Украины, в миграционных процессах с которой участвуют в большинстве своем этнические дагестанцы). Парадоксально, но в Дагестан - самый трудоизбыточный регион Северо-Кавказского федерального округа, прибывают трудовые мигранты из стран Средней Азии и Закавказья для работы в таких секторах экономики как: строительство, торговля, сельское хозяйство, общепит. Материалы глубинных интервью, проведенных в 2018 г. с представителями диаспор и землячеств мигрантов из Азербайджана и Узбекистана в республике, свидетельствуют о предпочтительности для них Республики Дагестан из-за социокультурной близости принимающего сообщества в сравнении с социумами центральных регионов страны. Сравнивая свой опыт работы в других регионах России, мигранты из Средней Азии, работающие в Дагестане отмечают большую доброжелательность людей и большую порядочность местных работодателей в плане исполнения ими договоренностей по оплате и условиям труда, чем в тех регионах России, где они работали раньше.

В разрезе муниципальных образований республики миграционные процессы имеют свои особенности. Практически все сельские районы республики, за исключением Новолакского района, показывают миграционную убыль. Но разница в количестве населения, участвующих в миграционных процессах между муниципальными образованиями республики существенная. Если в горных территориях республики в миграционных процессах участвуют, в среднем, 500-600 чел. ежегодно, то в южных и северных районах Дагестана миграция охватывает около 1500 чел. ежегодно. Кроме того, по направлению миграции, население горных территорий перемещается преимущественно внутри республики с незначительным отрицательным сальдо миграции, тогда как в южных районах Дагестана и в самом северном – Ногайском районе доминирует внешняя миграция. Например, в высокогорный Гумбетовский район за 2018 г. прибыло 119 чел. и выбыло за тот же период 191 чел., что в итоге образовало миграционную убыль - 72 чел. за год. В то же время в Дербентский район, расположенный на юге республики, прибыло 2008 чел., а выбыло 3306 чел., образовав миграционную убыль - 1298 чел. в год. Миграционная ситуация в городах республики аналогична ситуации в Южном Дагестане, характеризующейся большим охватом населения и внешней ориентацией перемещения с небольшим отрицательным сальдо миграции. Исключение составляет г. Каспийск, стабильно демонстрирующий в последние годы миграционный прирост населения. Таким образом, наибольшие миграционные потери относительно всего населения муниципальных образований фиксируются в южных районах Дагестана, а также в самом северном - Ногайском районе, где миграционная убыль не компенсируется естественным приростом и приводит к сокращению численности постоянного населения. В остальных территориях республики миграционная убыль компенсируется естественным приростом, что приводит там к росту численности постоянного населения.

По прогнозам разработчиков «Стратегии пространственного развития Российской Федерации на период до 2025 года» население Дагестана будет устойчиво расти, и к 2035 году составит 3 595 400 чел. [6]. Данный прогноз представляется нам несколько оптимистичным, поскольку анализ материалов статистического наблюдения демографических и миграционных процессов в Дагестане за последние десять лет (2010-2019 гг.) позволяют прогнозировать замедление динамики роста численности населения республики уже в ближайшие годы. К таким же выводам приходит дагестанский исследователь П.Г. Абдулманапов, утверждающий, что начиная с середины 2030-х годов, восходящая динамика численности населения сменится нисходящей [1, с. 175]. Автор в своих расчетах предполагает уменьшение рождаемости в республике при стагнации продолжительности жизни населения на нынешнем уровне, а также продолжающемся увеличении оттока трудоспособного населения из региона. Эти тенденции, безусловно, негативно отразятся на численности и структуре населения региона, но вряд ли приведут к нисходящей динамике численности населения Дагестана до середины 2030-х годов. Беря за основу данные по численности населения республики за 2010-2019 гг. и динамику изменения этого показателя (в результате изменения из года в год соотношения рождаемости, смертности, ожидаемой продолжительности жизни и миграции), можно ожидать замедление темпов роста и стабилизацию численности населения в Дагестане.

Список литературы:

1. Абдулманапов П. Г. Демографическое настоящее и будущее Республики Дагестан. - Махачкала: Издательский дом «Наука плюс», 2014. - 196 с.
2. Газиева Л. Г. Миграционные процессы в Республике Дагестан // Актуальные проблемы социально-трудовых отношений. - Материалы VI Всероссийской научно-практической конференции. - Махачкала: ДГУ, 2016. С. 97-99.

3. Казенин К.И. Влияние миграции на рождаемость: сопоставление имеющихся гипотез на материале Северного Кавказа // Народонаселение. Т.21. №1, 2018. С. 48-59.
4. Население. Официальная статистика // Официальный сайт Территориального органа Федеральной службы государственной статистики по Республике Дагестан [Электронный ресурс]. Режим доступа:
5. http://dagstat.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_ts/dagstat/ru/statistics/population/
6. (дата обращения: 11.08.2019).
7. Практическая демография. Учебник. – М.: ЦСП, 2005. - 280 с.
8. Распоряжение Правительства Российской Федерации №207-р от 13.02.2019 г. «Об утверждении Стратегии пространственного развития Российской Федерации на период до 2025 года» // Официальный сайт Правительства Российской Федерации [Электронный ресурс]. Режим доступа: <http://government.ru/docs/35733/> (дата обращения: 11.05.2019).

Aslanbek Adiev

*Dagestan Federal Research Center RAS
Russia, Makhachkala*

DEMOGRAPHIC AND MIGRATION SITUATION IN DAGESTAN

Dagestan acquired the image of a region with an excess of labor, from where the flow migrates to other, more developed territories of the country, but the population of the republic continues to grow. The main direction of the movement of Dagestanis is internal migration to other regions of Russia. Annually, about 100 thousand people participate in the migration processes of the republic, of which almost 98% move internally. The most preferred migration routes for Dagestanis are Moscow and the central region, the cities of the West-Siberian region, as well as St. Petersburg, where the average level of wages is several times higher than the Dagestan indicators. A significant part of Dagestan migrants settles in the South of Russia, where there are favorable opportunities for engaging in traditional agricultural activities. Thus, almost the entire migration flow from Dagestan circulates within Russia and is directed to the economically developed regions of the country.

A study of the general migration trends of the population of the republic in recent years allows us to note a persistently negative migration balance. The main reason that prompted the Dagestanis to leave the republic is an economic motive. Dagestan ranks last in many socio-economic indicators, which are several times lower than the average Russian data.

Migration processes associated with the CIS countries cover a very small proportion of arriving and departing people, and only a few participate in the movement of people between Dagestan and distant foreign countries. In recent years, the migration process between Dagestan and the CIS countries has been surplus. The largest migration growth in the republic was provided by flows from Azerbaijan and Uzbekistan. Paradoxically, labor migrants from Central Asia and the South Caucasus arrive in Dagestan, the most labor-intensive region of the North Caucasus Federal District. Studies among migrants show that Dagestan is preferable to them because of the socio-cultural proximity of the host community in comparison with the central regions of the country.

კარლ აუგუსტსონი

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
შავი ზღვის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

ოსურისა – ინდოევროპული ენისა, და ქართულის – არაინდოევროპული ენის ურთიერთკავშირი

როგორც ვიცით, ენები იყოფა სხვადასხვა ოჯახებად. ეს დაყოფა მათ წარმოშობილებას ეფუძნება. მაგალითად, განსხვავებული ენები ერთ ოჯახში, უმეტესწილად, ერთმანეთს უკავშირდებიან ერთი ძირითადი მახასიათებლით – ისინი წარსულში ერთი წინაპარი ენიდან მომდინარეობენ.

ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ უმეტეს წილად მონათესავე ენები გეოგრაფიულად ერთმანეთის ახლოს მდებარეობენ. ასევე საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა მეზობელი ენები სრულებით განსხვავებული ენობრივი ოჯახიდან მომდინარეობდნენ. ზუსტად ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე კავკასიის რეგიონში. აქ ერთმანეთს ხვდება სამი განსხვავებული ენის ოჯახი, ინდო-ევროპული, თურქული და იბერიულ-კავკასიური.

ასევე არ არის გასაკვირი, რომ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ენებს ხმარობენ ერთსა და იმავე რეგიონში. ამ შემთხვევაში ეს ენები ერთმანეთისაგან სესხულობენ სხვადასხვა სიტყვებს. ამის შედეგად ოსურსა და ქართულ ლექსიკაში მრავალი მსგავსება მოიპოვება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებული ენების ოჯახიდან მოდიან. თითოეული სიტყვის წარმოშობა კი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ყველა ენისათვის.

ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ეს მეზობელი და ერთმანეთთან დაუკავშირებული ენები ლექსიკურის გარდა სხვა მსგავსებასაც ავლენენ ერთმანეთის მიმართ. ჩემი მიზანია დაგანახვით, რომ ლექსიკის გარდა, ოსურს, ინდოევროპულ ენას, ბევრი საერთო აკავშირებს ქართულთან, არაინდოევროპულ ენასთან. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ასეთივე მსგავსებები შეიძლება შეინიშნოს სომხურსა, ინდოევროპულ ენასა და ქართულს შორის.

პირველი მსგავსება რაც შეიძლება აღინიშნოს ქართულსა და ოსურ ენებს შორის არის ფონეტიკა. ორივე ენაში არსებობს ეგრეთ წოდებული დუპლიკატი ბგერები, როლებიც საკმაოდ ხშირია კავკასიის რეგიონში. მაგალითად, ინგლისური „f“ ქართულად შეიძლება იყოს „თ“ ან „ტ“, ხოლო ოსურში „f“ და „Tx“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის რეგიონის გარეთ, ამ ბგერებს შორის სხვაობის გარჩევა საკმაოდ უჭირთ. იშვიათია ენა, კავკასიის გარდა, რომელსაც ექნება ორი სხვა და სხვა ბგერა ასო „f“-სთვის. ორივე, ქართული და ოსური, ენა განასხვავებს ამ ბგერებს. მსგავსი ფენომენის კიდევ ოთხი შემთხვევა არსებობს. ინგლისურში, როგორც ბევრ სხვა ენაში, მხოლოდ ერთი ბგერაა და ოსურსა და ქართულში კი ორი სხვადასხვა ბგერა შეესაბამება მას. ასევე უნდა აღინიშნოს ბგერა „ყ“, რომელიც ოსურში არის „x“. ეს ბგერა არც ისე ხშირია კავკასიის რეგიონის გარეთ სხვა ენებში.

არსებობს რამოდენიმე შესამჩნევი გრამატიკული მსგავსებაც ამ ორ ენას შორის. ყველაზე თვალში საცემია ის, რომ ამ ენებს არ გააჩნიათ გრამატიკული სქესი. აუცილებელია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ გრამატიკული სქესი უსულო საგნებზე მოიპოვება თითქმის ყველა ევროპის ინდოევროპულ ენაში. თუმცა გრამატიკული სქესი ასევე არ არსებობს დანარჩენ არა ინდოევროპულ ენებში ევროპაში, მაგალითად, – ფინურში, ესტონურში, უნგრულში, ბასკურსა და თურქულში.

ეს საკმაოდ უჩვეულო ფაქტია ინდო-ევროპული ენისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ არის რამდენიმე ინდოევროპული ენა, რომლებშიც გრამატიკული სქესი არ არსებობს. ინგლისური წარმოადგენს ამ ფაქტის ყველაზე ნათელ მაგალითს. ჰოლანდიური ენის სამხრეთ აფრიკულ ვერსიას ასევე არ გააჩნია გრამატიკული სქესი. სამხრეთ აფრიკა წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას, სადაც ორი ინდოევროპული ენა, ინგლისური და აფრიკული, შეხვდა ერთმანეთს და არც ერთ მათგანს არ გააჩნია გრამატიკული სქესი.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც რომ, არსებობენ ინდოევროპული ენები, რომლებშიც გრამატიკული სქესი საკმაოდ შემცირდა. აქ იგულისხმება ის, რომ ძველი მამრობითი და მდედრობითი სქესი გაერთიანდა და წარმოიქმნა ნეიტრალური სქესი. ასეთი ენებია შვედური, დანიური და ჰოლანდიური. ამ ენებს გააჩნია ორი გრამატიკული სქესი – საერთო და ნეიტრალური. ამის შედეგად უსულო საგნებს მიმართავენ ნაცვალსახელებით რომელსაც, სქესი არ გააჩნია.

ასევე უნდა აღინიშნოს ის რომ ირანულ ენებს, სპარსულსა და ტაჯიკურსაც არ გააჩნიათ გრამატიკული სქესი. თუმცა ქართულსა და პაშტუში ის არსებობს. აქედან გამომდინარე საკმაოდ ძნელია იმის მტკიცება რომ, გრამატიკული სქესი ოსურში არ არსებობს კავკასიური არა ინდოევროპული ენების, ქართულისა და თურქულის, გავლენის შედეგად.

გრამატიკული სქესის საკითხთან მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ინდო-ევროპული ენებში, როგორცაა ინგლისური და აფრიკული, ის ნაწილობრივ მაინც გვხვდება. ეს ენები განასხვავებენ მამრობითი და მდედრობითი სქესის ნაცვალსახელებს. გრამატიკული სქესის არ არსებობა ამ კონტექსტში იმას გულისხმობს რომ, მხოლოდ უსულო საგნებს არ გააჩნიათ გრამატიკული სქესი. ყველა დანარჩენ ენებში, ქართული, ოსური, უნგრული, ფინური, სადაც გრამატიკული სქესი არ არსებობს, ნაცვალსახელებს შორის ეს განსხვავება არ არის.

ასევე შესამჩნევია მსგავსებ, რომელიც ოსურ ენას გააჩნია ქართულთან არის წინდებულების არ არსებობა. წინდებულები არსებობენ ყველა ინდოევროპულ ენაში ევროპის ფარგლებში. თუმცა ისინი არ მოიპოვება არცერთ არა ინდოევროპულ ენაში ევროპის შიგნით. უნგრულს, ბასკურს, ფინურს, ქართულს წინდებულები არ გააჩნია. ოსურში მხოლოდ ორი წინდებულებაა, რაც წარმოუდგენელია ინდო-ევროპული ენისათვის. სპარსულსაც კი გააჩნია წინდებულები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსურ ენას ქართულთან აქვს რამდენიმე საზიარო დამახასიათებელი ნიშანი. რაც განასხვავებს მას დანარჩენი ინდოევროპული ენებისაგან. ამ ფაქტებზე დაფუძნებით შეიძლება ითქვას, რომ როდესაც ენები არსებობენ ერთმანეთთან ახლო კავშირში, მათ საზიარო გააჩნიათ არა მხოლოდ ლექსიკა, არამედ გრამატიკაც.

HOW OSSETIAN, AN INDO-EUROPEAN LANGUAGE, RELATES TO GEORGIAN, A NON-INDO-EUROPEAN LANGUAGE

Languages are categorized by families. These categorizations are based on the origin of the language, i.e. the different languages in the same family are related to each other, often because they share-or are at least believed to share-a common ancestor language.

Unsurprisingly, related languages are often located next to each other geographically. However, it is also quite common for neighboring languages to come from completely different language families. This is certainly the case in the Caucasus region. In this region, three different language families: Indo-European, Turkic, and Kartvelian, all meet up.

Also unsurprisingly, when completely unrelated languages are spoken in the same region, it is not uncommon for these languages to borrow vocabulary words from each other. As a result, numerous similarities in vocabulary can be found between the Georgian and Ossetian languages, even though they come from completely different language families, and origin of words is often one of the most important characteristic of individual language families.

However, what is more unexpected is the ways in which neighboring, unrelated languages share non-lexical features with each other. The purpose of this essay to show various ways in which the Ossetian language-an Indo-European language-has similarities with Georgian, a completely unrelated, Kartvelian language, in ways beyond vocabulary. It is worth noting that many of these similarities can also be found if one were to compare Armenian, another Indo-European language in the Caucasus, to Georgian.

გიორგი ანჩაბაძე

პროფესორი
ილიას უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

აფხაზეთის 1866 წლის აჯანყება და სამთავროს რესტავრაციის ცდა

აფხაზეთის ინტეგრაცია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. 1810 წელს სამთავრო რუსეთის პროტექტორატად გამოცხადდა, მაგრამ მისი შინაგანი მმართველობა ადგილობრივი ფეოდალების ხელში დარჩა. სოხუმის ციხეში მოთავსებული რუსული გარნიზონი ძირითადად აკვირდებოდა ვითარებას და არ ერეოდა ავტონომიური სამთავროს შინაგან საქმეებში.

1830-იან წწ. აფხაზეთის სანაპიროზე ახალი რუსული სიმაგრეების (ბომბორა, გაგრა, ადლერი და სხვ.) დაარსებისა და შავი ზღვის გამაგრებული ხაზის შექმნის შემდეგ, სამთავრო სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით დაუმორჩილეს ამ სანაპირო ხაზის მესამე განყოფილებას, რომლის უფროსი აფხაზეთში განლაგებული ჯარების სარდლის ნოდებას ატარებდა.

XIX ს. 30-იანი წწ. ბოლოს და 40-იანი წწ. დასაწყისში უშუალო რუსული მმართველობა მყარდება უკვე აფხაზეთის ცალკეულ რეგიონებში. იქმნება წებელდისა და სამურზაყანოს საბოქაულოები, ხოლო 1846 წელს აფხაზეთის მთავრის სამფლობელოებს ფულადი ანაზღაურების საფასურად ჩამოაჭრეს ნავსადგურები. მიუხედავად ამისა, 1864 წლამდე აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, თუმცა კი დიდი ხანია რაც რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ნაკლებად ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და, ფაქტობრივად, ყოველგვარი ადმინისტრაციული კონტროლის გარეშე იყო.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. 1864 წლის გაზაფხულზე რუსეთის ჯარებმა გატეხეს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგობა და იძულებული გახადეს ისინი დაეტოვებინათ სამშობლო და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. სხვა დევნილ-მუჰაჯირებთან ერთად თავისი მიწა-წყალი დატოვა, აგრეთვე, ჩრდილო ანუ მცირე აფხაზეთის მოსახლეობამ, დაახლოებით 20-25 ათასმა ადამიანმა. თითქმის მთლიანად დაცარიელდა მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირი, ფსოუს და მზიმთას ხეობები, ზღვის სანაპირო ბიჭვინტიდან სოჩამდე.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის განადგურებისა და გაძევების შემდეგ, ცარიზმმა აქ მყარად იგრძნო თავი. აღარ იყო საჭირო აფხაზეთის ავტონომიის შენარჩუნება, რომელიც 1864 წლის ზაფხულში გააუქმეს, ხოლო მოხუცებული მთავარი მიხეილ შარვაშიძე ვორონეჟში გადასახ-

ლეს, მიუხედავად მისი თხოვნისა, რუსეთში გაგზავნა იმერეთში დასახლებით შეეცვალათ. მიხეილი ვორონეჟში გარდაიცვალა 1866 წლის აპრილში. მისი ცხედარი აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს.

რუსეთის უშუალო მმართველობის დასაწყისი აფხაზეთში. მმართველობის ახალი სისტემის შემოღება აფხაზეთში ოფიციალურად გამოცხადდა 1864 წლის 12 ივლისს (ძვ. სტილით), როდესაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა თავადმა სვიატოპოლკ-მირსკიმ, სოხუმში შეკრებილ აფხაზთა თავკაცებს ამცნო, რომ ამიერიდან ისინი მხოლოდ რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული უფროსების მორჩილებაში იქნებოდნენ¹. აფხაზეთს ოფიციალურად ეწოდა *სოხუმის სამხედრო განყოფილება*, რომელიც შედგებოდა სამი ოკრუგის (ბზიფის, *სოხუმის* და *აბჟუის*) და ორი საბოქაულოსგან (წებელდა და *სამურზაყანო*). განყოფილების უფროსად დაინიშნა გენერალ შატილოვი, რომელსაც მანამდე აფხაზეთში განლაგებული ჯარების სარდალი იყო.

რუსული მმართველობის ხასიათი. აფხაზეთში რუსეთის უშუალო მმართველობის დამყარებამ აფხაზი ხალხის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოიტანა. მოისპო ფეოდალური წყობილების არქაული გადმონაშთები, რაც აფერხებდა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, გაფართოვდა სამეურნეო და კულტურული კავშირები საქართველოს, კავკასიისა და რუსეთის სხვა რაიონებთან. მაგრამ, ამ დადებით ფაქტორებთან ერთად აფხაზეთში მკაცრი კოლონიური რეჟიმი დამყარდა. მმართველობა ხორციელდებოდა მოსახლეობის ინტერესებისა და ადგილობრივი სპეციფიკის სრული უგულებელყოფით. გენერალ შატილოვი, რომელიც ცდილობდა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა აფხაზებთან, განსაკუთრებით პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებთან, რათა მათი დახმარებით სინყნარე შეენარჩუნებინა, განვეული იქნა, და მის ნაცვლად სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი კონიარი, რომელიც საერთოდ ვერ ერკვეოდა აფხაზური ცხოვრების წესსა და სოციალურ-ყოფით თავისებურებებში.

მთავარი, რაც აფხაზების გაღიზიანებას იწვევდა, იყო რუსი ოფიცრებისა და მოხელეების ამპარტავნობა. უკანასკნელი მთავრის ვაჟი, გიორგი შარვაშიძე, 1910 წელს წერდა: „აფხაზებს სულ არ გააჩნიათ პირმოთნეობის გრძნობა და სძულთ ყველა, ვინც მათ მიმართ მედიდურია, ზემოდან უყურებს. უჩასტოკის უფროსი, ვინმე იზმაილოვი] (შემდეგში მოკლული ამბოხის დროს) მოითხოვდა, რომ ღია ცის ქვეშ თავყრილობის დროს მის წინაშე ქუდი მოეხადათ“. ამაზე ერთ-ერთმა იქ მყოფმა, გვარად მიქამბამ, უპასუხა: „ჩვენ ქუდებს ეკლესიაში შესვლისას ვიხდით, ხოლო წმიდა იზმაილო ჯერ არ გაგვიგია“. თამამი პასუხისთვის იგი დააპატიმრეს და რამდენიმე თვე სოხუმის საპყრობილეში იჯდა².

უკანასკნელი, რამაც განსაკუთრებით დაძაბა სიტუაცია აფხაზეთში, იყო საგლეხო რეფორმის სამზადისი.

საგლეხო რეფორმის სამზადისი აფხაზეთში. როგორც ცნობილია, XIX ს. 60-70-იან წწ. რუსეთში ბურჟუაზიული რეფორმები ჩატარდა, რომელთა შორის უმთავრესი იყო საგლეხო რეფორმა, რომელმაც სახელმწიფოში ბატონყმობა გააუქმა. რეფორმა ჯერ იმპერიის შიდა გუბერნიებში ჩატარდა (1861), შემდეგ კი განაპირა არარუსულ მხარეებში (კავკასია, ბესარაბია და სხვ.). თბილისის გუბერნიაში ბატონყმობა 1864 წელს გადავარდა, მომდევნო წელს – ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი და გურია), 1866 წელს კი სამეგრელოში. ჯერი აფხაზეთზე იყო მომდგარი.

აფხაზეთის გლეხობა ლეღვით ელოდებოდა მომავალ ცვლილებებს. მათ იცოდნენ, რომ რეფორმამ გაძარცვა ქართველი გლეხები, რომელთაც მიღებული თავისუფლების სანაცვლოდ, მინების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაჭრეს მემამულეების და ხაზინის სასარგებლოდ. აფხაზეთის გლეხობის დიდი ნაწილი (კატეგორია *ანჰაიუ*) იურიდიულად თავისუფალი იყო. მათი დამოკიდებულება ფეოდალურ კლასზე შენიღბული იყო მფარველობისა და წარჩინებულ პირთა პატივისცემის ფორმებით. ახლა კი რუსეთის ხელისუფლებამ გადანყვიტა გლეხობის „განთავისუფლება“, რის საფასურად მათ მებატონეებისთვის მიწის გამოსასყიდი უნდა გადაეხადათ. გლეხებს არ ესმოდათ, თუ ვისგან და რისგან ათავისუფლებდა მათ რუსეთის მთავრობა და რატომ უნდა გადაეხადათ ფული იმ მიწებში, რომლებსაც ისინი თავის საკუთრებათ თვლიდნენ. გლეხობის წარმომადგენელმა ოსმან შამბამ განუცხადა პოლკოვნიკ კონიარს: „ჩვენ არ გვაქვს ფული, რომ გადავუხადოთ ბატონებს, როგორც თქვენ გვთავაზობთ, თუკი მთავრობას ჩვენი განთავისუფლება სურს, მაშინ ხელნიფემ გაითვალისწინოს ჩვენი სიღარიბე და მოიღოს მოწყალება, თვითონ დააკმაყოფილოს ჩვენი ბატონები. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის. მებატონეებზე დამოკიდებულება ჩვენ არ გვამძიმებს“.

სახელმწიფო პოლიტიკა თავად-აზნაურებსაც აღიზიანებდათ, რომლებსაც რუსულმა ადმინისტრაციამ უფლებები შეუკვეცა. ზოგჯერ მუქარაც კი გაისმოდა, რომ მათ არ ცნობდნენ პრივილეგირებულ

წოდებად. პოლკოვნიკი კონიარი, რომლის პოლიტიკას ს. ესაძემ „ახალი მიმართულება“ უწოდა (მატილოვის პოლიტიკისაგან განსხვავებით), ცდილობდა „მაღალი წოდების განადგურებას ან, ყოველ შემთხვევაში, მისი გავლენის მნიშვნელოვან შესუსტებას, რათა მაღალი წოდების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი გადასახლებულიყო თურქეთში“.

აფხაზეთში ტრაგიკული მოვლენების განვითარება დააჩქარა 1866 წლის ზაფხულში სპეციალური კომისიის მუშაობის დაწყებამ, რომელიც რეფორმისათვის საჭირო ცნობების მოსაგროვებლად იყო მოვლენილი. გლეხები უარს ამბობდნენ ეპასუხათ კომისიის წევრების კითხვებზე და აშკარად ეურჩებოდნენ ხელისუფლებას. საერთო აზრით, თუ მთავრობას გლეხთა სურვილის გარეშე უნდოდა მათი განთავისუფლება, მიწის თანხაც მასვე უნდა გადაეხადა. გარდა ამისა, გლეხები მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლება მათ მებატონეებთან უფრო კორექტული ყოფილიყო. გაისმოდა, აგრეთვე, აფხაზეთის სამთავროს აღდგენის მოთხოვნები, რომლის სათავეში მიხეილ შარვაშიძის ვაჟი, გიორგი, მოიაზრებოდა.

აფხაზეთში საგლეხო რეფორმის მოსამზადებელ მასალებში ხშირად მოიხსენიება ვინმე ჩინოვნიკი ჩერეპოვი, უხეში და უზრდელი ადამიანი, რომელიც უკიდურესად შეურაცხყოფდა გლეხებს და თავადაზნაურობასაც უპატივცემლოდ მოიხსენიებდა. გიორგი შარვაშიძის შენიშვნაზე, რომ ადამიანებთან ასე ლაპარაკი არ შეიძლება, მან სიცლით მიუგო: „არაფერია, საჭიროა მათი ნელ-ნელა ცივილიზება“.

ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ასეთი აღვირახსნილობა და თავნებობა ხალხში სტიქიურ უკმაყოფილებას ბადებდა. პროტესტის ხმები უკვე ღიად ისმოდა მიხეილ შარვაშიძის დაკრძალვაზე, რომელიც, როგორც ბევრი ფიქრობდა, რუსების მიერ იყო მოკლული. ამ განწყობილებებმა მიყვანეს აფხაზეთი 1866 წლის აჯანყებამდე, რისი უშუალო საბაზი გახდა მასების უკმაყოფილება საგლეხო რეფორმის სამზადისით.

ლიხნის ინციდენტი. გართულებული სიტუაციის გამო პოლკოვნიკმა კონიარმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკის ჯარის დამატებითი კონტინგენტი გამოსთხოვა, თვითონ კი გიორგი შარვაშიძისა და მისი ბიძის, ალექსანდრე შარვაშიძის, თანხლებით ბზიფის აფხაზეთში გაემშურა. კონიარს თან ახლდა, აგრეთვე, ოფიცრებისა და ჩინოვნიკების ჯგუფი და კაზაკთა ასეული. ისინი მიემართებოდნენ სოფელ ლიხნში, სადაც აფხაზეთის მთავართა ყოფილი სასახლის წინ სახალხო კრება უნდა გამართულიყო.

1866 წლის 26 ივლისს ლიხნის მინდორზე 7 ათასამდე აფხაზი იყო მოგროვილი, რომლებიც სახალხო კრებაზე, ტრადიციისამებრ, სრული სალაშქრო წესით განწყობილნი მოსულიყვნენ. ხალხი წოდებების მიხედვით იდგა. აფხაზები თავშეკავებით შეხვდნენ მოსულებს და მათი დეპუტაციის გაშვება თხოვეს თბილისში, მეფისნაცვალთან, რათა ადგილზე გაერკვიათ ყველა საჭოჭმანო საკითხი. კონიარმა შეკრებილთა ყველა მოთხოვნას სასტიკი უარით უპასუხა და დაიმუქრა, რომ ურჩობის მეთაურებს აფხაზეთიდან გაასახლებდა. ა.დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით, ლიხნის მინდორზე მისი ბოლო განკარგულება იყო: „ბრბო დაიშალოს და ისმინოს, რასაც უბრძანებენ“.

ამის შემდეგ, ოფიციალური მონაცემების ცნობით, აღმოფოთებული აფხაზების ერთმა ნაწილმა იარალი იშიშვლა და საბრძოლო ყიფინით მთავრის სასახლეს შეუტია, სადაც სასწრაფოდ თავი შეაფარეს კონიარმა და მისმა მხლებლებმა. მეორე ნაწილმა – კაზაკთა ასეულს გაუმართა ბრძოლა. გიორგი შერვაშიძე ხალხის დამშვიდებას ლამობდა, მაგრამ მას ყური არ უგდეს. ვილაცამ შესძახა: „ეს მამიშენის ქელეხია, რატომ გწყინს, უნდა გიხაროდეს!“ⁱⁱⁱⁱ. იმ დღეს მოკლული იყო პოლკოვნიკი კონიარი, მისი თანმხლები ოფიცრები, ჩინოვნიკები და 55 კაზაკი. აფხაზებმა 20 კაცი დაკარგეს.

ბრძოლა სოხუმისათვის. აჯანყებულთა შტაბმა უკვე 26 ივლისის საღამოს დაგზავნა მაცნეები სოფლებში ჯარის მოსაგროვებლად. გამოცხადებული იყო სოხუმზე ლაშქრობა, თავდასხმის სხვა სამიზნეებად აირჩიეს ბიჭვინტისა და წებელდის სიმაგრეები. გამოცხადდა, აგრეთვე, აფხაზეთის სამთავროს აღდგენა და მთავრად აკურთხეს (ფაქტობრივად, მისი სურვილის გარეშე) 19 წლის გიორგი შარვაშიძე, რომელიც, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტი, თბილისში მსახურობდა და აფხაზეთში იმ დროს შემთხვევით აღმოჩნდა.

27 ივლისს აფხაზებმა, რომელთა რაოდენობა წყაროებში 2-დან 4 ათას კაცამდე მერყეობს (ქვეითი და ცხენოსანი), სოხუმს შეუტიეს და ქალაქის უბნები ხელთ იგდეს. მოსახლეობამ და რუსულმა გარნიზონმა სოხუმის ციხესიმაგრეს შეაფარეს თავი, მაგრამ მეორე დღეს გარნიზონის დასახმარებლად მოსულმა ჯარმა აჯანყებულები ზღვის სანაპიროდან განდევნა. პოლკოვნიკი ფონ-კულმანი, რომელიც სოხუმში მყოფ სამთავრობო ჯარებს მეთაურობდა, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს აცნობებდა: „ზოგი სახლის იერიშით აღება მოგვიხდა, მთიელები იხოცებოდნენ, მაგრამ არ გვენებდებოდნენ“.

მალე აჯანყებულებმაც მიიღეს მასშველი ძალა და ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. 29 ივლისს აფხაზთა ბანაკში, რომელიც სოხუმის ჩრდილოეთით ერთ-ერთ სიმაღლეზე იყო გაშლილი, მოვიდა გიორგი შარვაშიძე საპატიო ამალის თანხლებით. მას როგორც მთავარს, ისე შეეგებნენ; ფრიალებდა სამთავრო ბაიარალი. სიმღერაში, რომელსაც ჯარი უმღერდა ახალგაზრდა ბატონიშვილს, შექებული იყო ლიხნის გმირობა და გიორგის მიერ მამის სისხლის ძიება რუსებზე. გიორგი შარვაშიძემ, რომელიც ამ დღეებში არაორაზროვნად გამოთქვამდა სკეპტიციზმს აჯანყების წარმატებაში, გაჯავრებულმა შესძახა: „მამაჩემი რუსებს არ მოუკლავთ, თქვენ კი, ვისაც ჩემი უდანაშაულო სტუმრების სისხლში გაქვთ ხელი გასვრილი, გსურთ მე დამბრალდეს ყველაფერი!“^{iv}. მიუხედავად ამისა, გიორგი თვლიდა, რომ მას უკან დასახვევი გზა მოჭრილი ჰქონდა. მეორე დღეს მან მოინდომა პირადად გაძლოლოდა ჯარს სოხუმის იერიშზე და უკვე ცხენს მოახტა, მაგრამ ალექსანდრე შარვაშიძემ ძმისწულს ამ გადაწყვეტილებაზე ხელი ააღებინა^v.

სოხუმის ალყის პარალელურად საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა ბიჭვინტის კონცხზე და ნებელდაში. კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზეც, საძოვრებზე, სადაც აფხაზთა ცხენის ჯოგები და საქონელი იდგა, მწყემსებს ურთიერთსროლები ჰქონდათ რუსულ სამხედრო დანაყოფებთან, რომლებიც ჯოგების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. სამაგიეროდ აჯანყება არ გავრცელებულა აბჟუასა და სამურზაყანოში. ამ ოლქების ფეოდალებმა 300 მილიციელიც კი გამოიყვანეს სამთავრობო ჯარების დასახმარებლად.

უზენაესი ხელისუფლება სერიოზულად იყო შეშფოთებული შექმნილი სიტუაციით. იმპერატორი ალექსანდრე II, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს მიმდინარე მოვლენებს, წერდა: „აფხაზეთიდან მოსულმა ამბავმა ძალიან დამამწუხრა. იმედი მაქვს, რომ ყველა ზომა იქნება მიღებული ნესრიგის აღსადგენად“.

კავკასიის არმიის სარდლობამ ოპერატიულად შეიყვანა აფხაზეთში რეგულარული ჯარებისა და მილიციის კონტინგენტები, რომელთა შევსება ხდებოდა ფოთიდან, ნოვოროსიისკიდან, სევასტოპოლიდან და სხვა ნავსადგურებიდან ზღვით გადმოსროლილი ნაწილებით. 30 ივლისისათვის სოხუმში თავმოყრილი იყო უკვე 8 ათასამდე ქვეითი და ცხენოსანი მეზრძოლი სვიატოპოლკ-მირსკის სარდლობით.

გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდნენ აჯანყებულებიც. 29 ივლისს მათ შტაბში სოხუმის იერიშის დეტალური გეგმა შემუშავდა. გადაწყვეტილი იყო რუსებზე სამი მხრიდან შეტევა: ერთი კოლონა მთავარი ქუჩით უნდა შემოსულიყო და ქალაქი დაეკავებინა, მეორე კი ციხესიმაგრეს შეუტევედა, მესამე კოლონა ნამოინვედა მდინარე ბასლას მხრიდან.

30 ივლისს, დღის 4 თუ 5 საათზე, აფხაზთა რაზმები ხეობიდან გამოვიდნენ და გაშლილი დროშებით და საბრძოლო სიმღერით სამთავრობო ჯარების პოზიციებს შეუტიეს. დაიწყო ცხარე ბრძოლა. რუს ქვეითებს თავისი ცეცხლით მხარს უჭერდნენ სოხუმის ყურეში მყოფი სამხედრო გემები; ისროდნენ, აგრეთვე, ციხესიმაგრის ოთხივე ბასტიონიდან.

დღის მეორე ნახევარში სვიატოპოლკ-მირსკის ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. აღმოდებულ ქალაქში კიდევ ოთხი საათის განმავლობაში ისმოდა ხშირი სროლა, რომელიც მხოლოდ მზის ჩასვლისას მინელდა. აფხაზები თავიანთ ბანაკში ავიდნენ. შედეგი გამოიყო სამთავრობო ჯარების რიცხოვრივმა და ტექნიკურმა უპირატესობამ და, აგრეთვე, ერთსულოვნების უქონლობამ აჯანყებულთა შორის. ნაწილი თავადებისა, რომლებიც თემების რაზმებს მეთაურობდნენ, ყოყმანობდა პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანში. ამის გამო, ფაქტობრივად, ჩაიშალა ციხესიმაგრეზე დაგეგმილი დარტყმა. მოულოდნელად აჯანყებას უღალატა თავადმა ბესლან ჩააბალურხვამ, რომლის რაზმი სოხუმის აღმოსავლეთ გარეუბანთან იდგა. იგი ახსნა-განმარტებისათვის მთავარ ბანაკში გამოიძახეს, მაგრამ მან მისვლაზე უარი განაცხადა და შეუთვალა, რომ ამიერიდან სამთავრობო ჯარების მხარეზე იმოქმედებდა.

ნებელდის სიმაგრეში ბლოკირებულ რუსებს, მთავარი დახმარება დალელმა თავადმა აღმახსით მარშალიამ აღმოუჩინა, რომლის „სამაგალითო“ საქციელის შესახებ კავკასიის მეფისნაცვალმა თვით იმპერატორს აცნობა.

აჯანყების დასასრული. 30 ივლისის შემდეგ საბრძოლო მოქმედებებში მკვეთრი გარდატეხა მოხდა, თუმცა ურთიერთსროლა სოხუმის მიდამოებში 5 აგვისტომდე გრძელდებოდა. იმ დროისათვის აფხაზეთი უკვე ყველა მხრიდან იყო ჯარებით გარშემორტყმული. სანჩაროს უღელტეხილიდან დაეშვა გენერალი გეიმანი ძლიერი რაზმით (5 ქვეითი ბატალიონი 2 ზარბაზნით და კაზაკთა 2 ასეული) და მდ. გუმისთას ხეობაში სამხედრო თვალსაზრისით მეტად მომგებიანი პოზიცია დაიკავა. მიუხედავად ამისა, სვიატოპოლკ-მირსკი უკანდახეულ აჯანყებულთა დევნას არ ჩქარობდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში ბრძოლა პარტიზანულ ხასიათს მიიღებდა, რაც რუსეთის ჯარებს დიდ

მსხვერპლს უქადადა. ამიტომ მან აფხაზებთან მოლაპარაკებების გაბმა ირჩია. გენერალ-გუბერნატორმა თავისთან დაიბარა სოფლების თავკაცები და მათ წინააღმდეგობის შეწყვეტა და განიარაღება შესთავაზა. სამაგიეროდ, რუსული მხარე მხოლოდ სასამართლო გარჩევით დაკმაყოფილდებოდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში მირსკი აფხაზებს გამანადგურებელი ომით ემუქრებოდა. გენერალ-გუბერნატორი გლეხებს დაპირდა, აგრეთვე, რომ საგანგებოდ იზრუნებდა მათი ინტერესებისათვის. ეს პირობები მიღებული იქნა (მხოლოდ ცალკეული პირები აგრძელებდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ მათ ჯარების მცირე გუნდები დევნიდნენ). მოსახლეობამ ხელისუფლებას ჩააბარა 6 500-ზე მეტი თოფი და დამბაჩა. (მოსახლეობის ასეთი მასობრივი განიარაღება პირველად ჩატარდა კავკასიაში.) სავსე სასამართლოს გადაეცა აჯანყების აქტიური მონაწილენი, რომელთაგან 30 ადამიანი გააციმბირეს, ხოლო სამი – ორი გლეხი და ერთი აზნაური – დახვრიტეს სოხუმის ციხის კედელთან. ზოგმა აქტიურმა მოჯანყემ ოსმალეთში გაქცევით უშველა თავს.

ხელისუფალთ დანებდა გიორგი შარვაშიძეც, რომელსაც სვიატოპოლკ-მირსკიმ ერთგული კაცი გაუგზავნა. მთავრობამ გაითვალისწინა ბატონიშვილის ახალგაზრდობა და ის გარემოება, რომ აჯანყების ფორმალურ მთავედ ის თავისი სურვილის გარეშე გახდა, და მას შედარებით იოლი სასჯელი შეუფარდა. გიორგის შეუნარჩუნეს ოფიცრის წოდება, მაგრამ გადააყენეს მეფისნაცვლის ადიუტანტობიდან და სამსახურად გაგზავნეს ორენბურგის სამხედრო ოლქის ჯარებში, კავკასიაში დაბრუნების უფლების გარეშე^{vi}. აფხაზეთიდან გაასახლეს, აგრეთვე, მიხეილ შარვაშიძის სხვა უახლოესი ნათესავები. მთავართა ძველი სასახლე ლიხნში – აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომიის სიმბოლო – სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანებით გადანვეს.

1866 წლის აჯანყების მიზეზებისა და ხასიათის შესახებ. ამრიგად, 1866 წლის აფხაზეთის აჯანყებამ მოულოდნელად იფეთქა, ცხარე ბრძოლებში ჩაიარა და მალევე იყო ჩახშობილი აღმატებული ძალის მქონე სამთავრობო ჯარების მიერ. დოკუმენტური წყაროები გვიჩვენებენ, რომ აჯანყების ნამდვილი მიზეზი რუსეთის ხელისუფლებისათვის უცნობი დარჩა. ჯერ კიდევ აჯანყების პირველ დღეებში თბილისიდან კავკასიის რეგიონებში დაგზავნილ ცნობაში, სამეფისნაცვლო იუწყებოდა: „აფხაზეთში ამბოხება. კონიარი და ბზიფის ოკრუგის უფროსი იზმაილოვი, დახოცეს, სოხუმის ნაწილი გადამწვარია, ნამდვილი მიზეზი უცნობია“... თანდათანობით ხელისუფლებას ჩამოუყალიბდა აზრი, თითქოს აფხაზეთის „ბუნტი“ ცალკეული წვრილი ჩინოვნიკების უხეშობით და შეცდომებით იყო გამოწვეული. კავკასიის მეფისნაცვალი, მიხეილ ნიკოლოზის ძე, ალექსანდრე II-ის ძმა, 1866 წლის 5 აგვისტოს წერდა იმპერატორს: „ყველაზე სამწუხაროა, საშა, რომ შენი ეჭვები მართლდება: ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი მომხდარში. არა დაბალ მოხელეთა ბოროტმოქმედებების გამო, არამედ მათი შეცდომებისა და უტაქტობის გამო. თავადი მირსკი მწერს, რომ აჯანყების მთავარი მიზეზია ყმებისა და ხელქვეითების შესახებ ცნობების მოსაგროვებლად გაგზავნილი ჩინოვნიკის (მოკლულის!) გაუფრთხილებელი მოქმედებები, და განსვენებული ოკრუგის უფროსის არასაკმარისი მოხერხება ეხელმძღვანელა მისი საქმიანობისათვის“.

კავკასიის სახელისუფლებო ელიტაში, აფხაზეთის აჯანყების ნამდვილი მიზეზი ყველაზე კარგად გრიგოლ ორბელიანს ესმოდა, რომელიც იმ წელს დაინიშნა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად. მთავარ ბოროტებას გრიგოლი ცალკეულ მოხელეებში კი არ ხედავდა (თუმცა მათ „დამსახურებასაც“ აღნიშნავს), არამედ თვით კავკასიის იმპერიული მართვის სისტემაში. 1866 წლის 6 სექტემბერს იგი წერს გენერალ ლევან მელიქიშვილს, რომელიც იმჟამად დალესტანში აჯანყებას ახშობდა: „იქამდის მიიყვანეს იქაურმა (აფხაზეთის) ნაჩაღნიკებმა ხალხის შეწუხება, უგუნურის ქცევითა, ლანძღვა-თრევითა, ყოველგვარ შევიწროვებითა, უსამართლობითა, რომ ხალხმა ველარ გაუძლო და მოჰკლეს კონიარი, ჩერეპოვი, იზმაილოვი და მათთან ყაზახებიცა, დასწვეს ტრაპეცია და ნახევარი სუხუმი, სადაც ოთხი დღე იყო ომი. ახლა გაუგზავნეს 24, მგონია, ბატალიონი, მილიცია იმერეთიდან, გურიიდან, მინგრელიიდან და ეძებენ მიზეზს აღშფოთებისა. მიზეზი რა შორს არის? ჩვენ ვართ მიზეზი! ყურს არ ვუგდებთ და არ ვიცით ვინ სად გაგზავნოთ ხალხის მოსავლელად. ამასთან წარმოიდგინე: გუშინ აფხაზეთიდან გამოიყვანეს მთავარი და დღეს გაგზავნეს: 1.კამისია სტატისტიკურის აღწერისათვის მხარისა; 2.კამისია განთავისუფლებისათვის ყმებისა; 3.კამისია о правах личных; 4. კამისია о правах имущественных და 5. კ ა მ ი ს ი ა აღწერისათვის მთავრის მამულებისა და იფიქრეთ ახლა ეს ამდენი კამისიები ერთს დროს, ერთს ქვეყანაში შესულნი ვის არ ააბუნტებენ და მიზეზსა სადღა ეძებენ? და აი ერთის დაუღვეველის განკარგულებისაგან რაოდენი უბედურება წარმოსდგა, რაოდენნი დაიხოცნენ, რაოდენნი გაოხრდნენ და ახლა რაოდენნი დაისჯებიან, რაოდენთა მიადგებათ უსამართლოება და ამასთან თვით მართებლობასაც როგორ დაუჯდება ჯარების იქ შეყრა ახლა მოგვიტანეს ამბავი, რომ იარაღს ართმევენ ხალხსა. დიახ, კარგი, მაგრამ განა იარაღი

იყო მიზეზი ხალხის აშლისა? ეგ იარაღი ხომ შარშანაც ჰქონდათ და უფრო ადრეცა, მაშინ როდესაც აფხაზეთის გარშემო იყო საშინელი ბრძოლა? მაშასადამე, ჩემის ფიქრით, იარაღს ართმევენ მხოლოდ იმისათვის. რომ შემდეგში რაც უნდა მწუხარება მიადგეს, ხალხმა ველარა სთქვას რა, ესევე ღონისძიება შენთვისაც მოენერათ დაღესტნის დამშვიდებისათვის და მე დიდად და დიდად მიამა, რომ ყური არ ათხოვე. ჰსურთ ხალხის უიარაღობა? შეიყვარონ ხალხი და ზრუნვიდენ მისთვის კეთილსა! ამის მეტი არა უნდა რა“.

საბჭოთა ეპოქაში 1866 წლის აფხაზეთის მოვლენები, ძირითადად, ხასიათდებოდა როგორც გლეხთა აჯანყება, გამოსვლა „მეფისა და მემამულეების“ წინააღმდეგ^{vii}. მაგალითად, „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“, რომელიც ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომია, საუბარია „კლასობრივი ბრძოლის“ გამწვავებაზე 1866 წლის აფხაზეთში^{viii}. აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალად (ისევე როგორც იმ ეპოქის სხვა გამოცემებში) გლეხობაა დასახელებული, ხოლო ფეოდალების შესახებ, რომლებიც, პრაქტიკულად, მეთაურობდნენ გლეხთა მასების გამოსვლას, აღნიშნულია, რომ სახალხო ბრძოლის პირველ ეტაპზე „ამა თუ იმ მიზეზით უკმაყოფილო თავადაზნაურთა მცირე ნაწილმაც მიიღო მონაწილეობა“.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში 1866 წლის აჯანყების დახასიათებისას აქცენტის დასმა კლასობრივ ბრძოლაზე მემამულეთა წინააღმდეგ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივების მიჩუმაება, ცხადია, იმ პერიოდის კონიუნქტურული მოთხოვნებით იყო გამოწვეული. რეალურად, როგორც ვხედავთ, ეს იყო საერთო-სახალხო გამოსვლა რუსეთის კოლონიური სისტემის წინააღმდეგ, რაც, ფაქტობრივად, პირველმა აღნიშნა გრიგოლ ორბელიანმა. ამ გამოსვლაში გლეხობასთან ერთად, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდა, აქტიურად მონაწილეობდა და ლიდერის როლს ასრულებდა ფეოდალური ზედაფენა, რომელსაც პოლკოვნიკ კონიარის „ახალი მიმართულება“ ემუქრებოდა როგორც კლასის განადგურებით. ამრიგად, 1866 წლის აჯანყება მიმართული იყო რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც მკაფიოდ გამოვლინდა აფხაზეთის სამთავროს რესტავრაციის ცდაში.

ეს მომენტი – ტრადიციული სახელმწიფოებრიობისკენ ლტოლვა – 1866 წლის აფხაზეთის აჯანყებას ტიპოლოგიურად აახლოვებს ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან (1810 წლის იმერეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება და სხვ.) და გამოჰყოფს ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლისაგან, რომელიც, ძირითადად, რელიგიური ლოზუნგების ქვეშ მიმდინარეობდა და ემუქრებოდა როგორც რუსეთის იმპერიის ბატონობას კავკასიაში, ასევე ადგილობრივი სახანო-სათავადოების არსებობას.

აჯანყების შედეგები. ახალი მუჰაჯირობა. მოსახლეობის განიარაღება ჯერ დასრულებული არ იყო, რომ ხელისუფლება აფხაზეთის ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმირებას შეუდგა ადმინისტრაციულ-პოლიციური აპარატის გაძლერების მიზნით. ავედენსკი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამ გარდაქმნების აუცილებლობაზე ხელისუფლებას გარკვეულწილად „აფხაზთა ამბოხებამ მიანიშნა“.

1866 წლის აჯანყების ყველაზე მძიმე შედეგი იყო აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილის გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში.

აფხაზთა ემიგრაცია ოსმალეთში რუსეთის პროტექტორატის დამყარებისთანავე დაიწყო (1810 წ.). გადასახლებები გრძელდებოდა XIX ს-ის 20-40-იან წწ. ანტირუსული აჯანყებების ჩახშობის შემდეგ. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კიდევ 20 ათასზე მეტი აფხაზი გახდა იძულებული დაეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი, რამაც მთლიანად დააცარიელა ბზიფის დასავლეთით მდებარე ტერიტორია.

1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ქვეყნიდან აფხაზთა ახალი ჯუფის განდევნა გადაწყვიტა. 1866 წლის ოქტომბერში სვიატოპოლკ-მირსკი წერდა: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური გზა იმისათვის, რომ სოხუმის განყოფილების მხრიდან თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი საშიშროება – ეს არის აფხაზეთის მცხოვრებთა თურქეთში გადასახლება“.

აფხაზებს ოსმალეთში წასვლაზე რომ უარი ეთქვათ, არსებობდა მათი ადმინისტრაციული გასახლების გეგმა რუსეთის შიდა რაიონებში. უკვე 1866 წლის სექტემბერში მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო 1000 აფხაზური ოჯახის შუა რუსეთში დეპორტაციის შესახებ, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება საჭირო არ აღმოჩნდა: 1867 წელს აფხაზებმა ოსმალეთში დაიწყეს გადასახლება.

როგორც გ. ძიძარია აღნიშნავს თავის მონოგრაფიაში „Махаджирство и проблемы истории **С**хазии XIX столетия“, აფხაზთა გადასახლება 1867 წელს ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა^{ix}. ხელისუფლებამ წინასწარ დაგეგმა მიგრანტების რაოდენობა – 4500 ოჯახი. კერძოდ, კავკასიის მეფისნაცვლის აზრით, გასახლებას ექვემდებარებოდა მუსლიმანური მოსახლეობა სტრატეგიულად მნიშვნელოვან

ნი კოდორის ხეობიდან (დალი და ნებელდა) და, აგრეთვე, ზოგი სხვა მთიანი რაიონიდან. სოხუმის განყოფილების სხვა ადგილებიდან განზრახული იყო „ყველაზე მავნე გავლენის მქონე ოჯახების გასახლება“.

ოფიციალური მონაცემებით 1867 წელს აფხაზეთიდან გასახლებული იქნა 3558 ოჯახი (19 342 ადამიანი)¹ ანუ დავეგმილზე ცოტა ნაკლები.

ამრიგად, მხოლოდ 1864 და 1867 წწ. მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთმა 40 ათასზე მეტი მცხოვრები დაკარგა. მოსახლეობისაგან დაიცალა ქვეყნის მთიანი ნაწილი და მდინარე ბზიფის დასავლეთით მდებარე სანაპირო. მხოლოდ კოდორის ხეობის ყველაზე ძნელად მისადგომ ადგილებში, განსაკუთრებით საკენის ხეობაში, რამდენიმე ხანს კიდევ აფარებდნენ თავს დალეღთა და ნებელდელთა ნარჩენები. რაც შეეხება აფხაზეთის სანაპირო ზოლის ძირითად ნაწილს, აქ ჯერ კიდევ რჩებოდა ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა, რომლის რაოდენობა 1869 წლის მონაცემებით 65 600 ადამიანი იყო. უფრო ღრმა დემოგრაფიული ცვლილებები აფხაზეთში დაკავშირებულია შემდეგ აჯანყებასთან რუსეთის წინააღმდეგ, 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს.

ლიტერატურა:

1. *Эсадзе С.* Историческая записка об управлении Кавказом. Т. I. Тифлис, 1907. С. 228.
2. *Шервашидзе Г.М.* Как пишется история//«Закавказье». №126'1910.
3. Документы по истории Грузии. Серия II. Том I. Часть первая / Под ред. Ш.К.Чхетия. Тбилиси, 1954. С. 64. *Эсадзе С.* Историческая записка об управлении Кавказом. С. 267.
4. იქვე. გვ. 255-256.
5. *Шервашидзе Г.М.* Как пишется история.
6. *Дьячков-Тарасов А.Н.* Абхазия и Сухум в XIX столетии/ Известия Кавказского отдела Русского географического общества. Т. XX, №2. Тифлис, 1910. С. 187.
7. Документы по истории Грузии. С. 67.
8. იქვე. გვ. 59.
9. *Эсадзе С.* Историческая записка об управлении Кавказом. С. 260.
10. Документы по истории Грузии. С. 115.
11. ციტირებულია: *Дзидзария Г.А.* Восстание 1866 года в Абхазии. Сухуми, 1955. С. 160.
12. იქვე. გვ. 163.
13. იქვე. გვ. 153.
14. გარკვეული დროის შემდეგ გიორგი შარვაშიძემ პატიება მიიღო და პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც რუსეთის ტახტის მემკვიდრეს, მომავალ იმპერატორ ალექსანდრე III-ს დაუახლოვდა. მაგრამ გიორგის არ ხიბლავდა კარისკაცის კარიერა და ამიტომ, როგორც კი მან საქართველოში დაბრუნების ნება მიიღო, ქუთაისში დასახლდა. მაგრამ აფხაზეთში ცხოვრების უფლება გიორგი შარვაშიძეს 1905 წლამდე აკრძალული ჰქონდა.
15. ციტირებულია: *Дзидзария Г.А.* Восстание 1866 года в Абхазии. Сухуми, 1955. С. 110.
16. *მეუნარგია ი.* ცხოვრება ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა (დაუბეჭდავი თავები)/ ლიტერატურის მატიანე. ნ. 1-2. თბილისი, 1940. გვ. 301-302.
17. *ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ.* საქართველოს ისტორია, I. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი, 1958. გვ. 484.
18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V / რედ. ირ. ანთელავა. თბილისი, 1970. გვ. 296.
19. იქვე. გვ. 252.
20. (*Введенский А.Н.*). Абхазцы (азега). По поводу сочинения г. Дубровина: «Очерк Кавказа и народов его населяющих»/Сборник сведений о кавказских горцах. Вып. 6. Тифлис, 1872. С. 7.
21. ციტირებულია: *Дзидзария Г.А.* Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982. С. 283.
22. იქვე. გვ. 288.
23. იქვე. გვ. 286.
24. *Дзидзария Г. А.* Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX в., Сухуми, 1958. С. 482.

THE ABKHAZIAN UPRISING OF 1866 AND THE ATTEMPT OF THE RESTORATION OF PRINCEDOM

The Abkhazian Principedom that had been under the protectorate of Russian Empire since 1810 was changed into an ordinary Caucasian province ruled by Russian military administration by pronouncement of the Russian government in 1864. The last ruler of Abkhazia Mikhail Shervashidze was arrested and banished to central Russia where he died shortly after.

The introduction of direct Russian rule caused huge upheaval in the life of Abkhazian population. Colonial oppression was established in the country. The ruling was realized without taking into consideration the interests of populace and local background. The proposed land reform caused particular irritation among the peasants as they feared major material loss.

On June 26, 1866, at the nation-wide assembly during the discussion of the conditions of the future reform, Abkhazians, outraged by the rudeness of the Russian military administrator, killed him and his entourage. The rebels announced the restoration of the Abkhazian Principedom and proclaimed the son of Mikhail Shervashidze, George, the ruler.

The uprising quickly spread throughout Abkhazia and soon armed rebels attacked the administrative center of the territory, in Sukhum, where the rebels battled Russian troops. Only the arrival of additional contingents of Russian troops caused a drastic turn in the process of military actions. The population was forced to surrender.

In Soviet historiography the Abkhazian uprising of 1866 was passed off as an anti-feudal revolt of peasants, but in fact it was a people's liberation movement aimed at the overthrow of Russian rule and the restoration of the previous political system. The majority of feudal lords led the troops of rebels and along with the peasants participated in the liberation movement.

ვიანორ ახალაია

პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, გორი

პირობითი დამოკიდებული წინადადების აგების ერთი მოდელის შესახებ ზანურში (კოლხურში)

ზანურში ანმეოს ფუძისგან ნანარმოებ დროთა ფორმებში პირობითი პირველი ინარმოება ნამყო უსრულისაგან – კონ-ის მიმატებით ყველა პირში... ქართულში პირობითი პირველი არ გაგვანჩნია; პირობითი პირველი გადმოიცემა ქართულში ნამყო უსრულით „რომ“ კავშირის დამატებით ან თურმეობითი მეორით, აგრეთვე „რომ“ დართულით (ა. ჩიქობავა).

ჭანური: მა ბ-ზუმ-უმ-ტი-კონ ჰეა II გ -ზიმ-უფ-ტი-კონ ია

„მე რომ ვზომავდე მას“, „მე რომ მეზომა“...

მეგრული: მა ბ-ზიმ-უნ-დ-ი-კონ(ნ) თის „მე რომ ვზომავდე მას“, „მე რომ მეზომა“...

აორისტის ფუძისაგან ნანარმოებ დროებში კი ნაჩვენებია, რომ პირობითი მეორე, ნააორისტალი, „...ინარმოება აორისტის ფუძისაგან იმავე მანარმოებლით, რაც პირობით პირველში იყო გამოყენებული“ (ა. ჩიქობავა, 1936 გვ. 143).

ჭანური: მა ბ-ზუმ-ი-კონ ჰეა II ბ-ზუმ-ი-კონ ია „მე რომ მეზომა ის“.

მეგრული: მა ბ-ზიმ-ი- კონ(ნ) თინა „მე რომ მეზომა ის“

მეგრულში – კონ(ნ) დართული სათანადო ფორმები, რომლებიც ქვეყნობილი წინადადების აგების ერთ-ერთი საშუალებაა, რეალურია, თუმცა გვხვდება არც თუ იმ სიხშირით, როგორცაა ჭანურში. კონ(ნ) ფორმიანი დამოკიდებული წინადადება ხან მთავრის მომდევნოდაა, ხანაც წინ.

გურქ ვა აჩინე, მუ ქიმინე-კო? (ყიფმ. 54) „ვერ მიხვდა, რა ექნა?“ (ზედ. „რა უნდა გაეკეთებინა?“ „რომ რა გაეკეთებინა?“).

ჩქიმდა ხოლო აფუდუა რაგადებული, თე სერს თაქ ქობთხილეკლვე დო თქვა მეურთ ირ კორქ(ხუბ.,72) „ჩემთვისაც ჰქონდა ნათქვამი, ამ სალამოს აქ რომ ვუდარაჯოლო და თქვენ წადით ყველა კაცი (ზედმ. „კაცმა“).

დორინელი აფუდუა, ართი სერს ოხვამეს ქგდვოსვანჯეთ-კო-ვე (ხუბ., 72) „დაბარებული ჰქონდა, ერთ საღამოს საყდარში („სალოცავში“) რომ დამასვენოთ“.

იმავე მეგრულში ხშირია ესეთი შემთხვევები, როცა -კლ(ნ) სუფიქსის გვერდით -ნდაფიქსია „რომ“-ის ფუნქციით, ხოლო ჭანურში, ანალოგიურად მეგრულისაა, -ნდადერთვის.

რთული ქვეწყობილი წინადადების ფარდი კონსტრუქცია წარმოდგენილია ოდენ პირობითობის -კო (და მისი ვარიანტების) ფორმატიანი ფორმით, ამ სუფიქსმა გამოხატა სათანადო ქვეწყობის შინაარსი, შეითვისა მისი ფუნქცია. ზოგჯერ ჭანურში (როგორც მეგრულში -ნი „რომ“ ფორმატიანი ფორმები) -ნდა „რომ“ მაქვემდებარებელ კავშირთან ერთადაა -კლ(და სხვა ვარიანტები), მაშინ ეს უკანასკნელი დაცლილია მაქვემდებარებელი ფუნქციისგან და ოდენ პირობითობას უნდა გამოხატავდეს:

ემ კორეფე ვარ ბძირატი-კონ-ნა, მა მუ მალოდასუნტუ „ის კაცები რომ არ მენახა, მე რა მომივიდოდა“.

მა ჰაავა მოილეეტი-კონ-ნა, ჩქიმი ხალი მუ იყვატუ! (კარტ., I, 141) „მე რომ კომში მომეტანა, რა დღეში ვიქნებოდი!“ (ზედმ. „ჩემი მდგომარეობა რა იქნებოდა!“).

ეშო ვა პეეტი-კონ-ნა, შქვით ქჟოი ენთეფექ ნოსქინასინტეს (კარტ., II, 33) „ისე რომ არ მექნა, ისინი შვიდ სოფელს დაავსებდნენ“.

ია ვარ ავბდეეტიტ-კონ-ნა, აშო ვარ მალოდეტეს (კარტ., II, 52) „ის რომ არ აგველო, ასე არ დაგვემართებოდა“.

ოხირუთენ კორი იყვეტუ-კონ-ნა, მთუგითი დიყვეტუ (ხალხ. სიბრ., 246) „ქურდობით კაცად გახლომა რომ შეიძლებოდეს, თავიცი გახდებოდა“.

ორთალი კაი ტუ-კონ-ნა, ოხორჯათი იყვეტუ-ა (ხალხ. სიბრ., 245) „ზიარი რომ კარგი ყოფილიყო, ცოლიც იქნებოდაო“.

მაშასადამე, ზანურში -კლ(ნ)... მანარმოებელია. ფუნქციურად ოდენ -კლ(ნ) აფიქსით ნანარმოები ზმნა- შემასმენლები „რომ“ კავშირის ფორმათა ფარდნი არიან, ანუ ფუნქციურად, ცხადად, რთული ქვეწყობილი წინადადების ექვივალენტურია.

ცნობილია, რომ ჭანურში პირობითები ინარმოება ნამყო დროის ფორმებზე (ნამყო უსრული, აორისტი, ნააორისტალი თურმეობითი მეორე, მყოფადი მეორის ნამყო, ინვერსიული თურმეობითი მეორე).

-კო/-კონ/-კონი/კონა(ნი)/-კონა მანარმოებლების დართვით. ყველა ეს ალომორფი გვხვდება ვინურ-არქაბულში; ათინურ-ართაშენულში -კლ გვაქვს, ხოლო ფურში -კონ-კონი (გ. კარტოზია).

რა წარმომავლობისაა ეს -კონ და მისი ვარიანტები ზანურში და საიდან განუვითარდათ მათ ქვეწყობილი წინადადების აგების ფუნქცია?

მიუთითებენ, რომ ეს -კონ ლკონ ზმნისგანაა მიღებული თავკიდური -ლ-ს დაკარგვით; ლკონ(ნ) ახლაც ერთადერთი სიტყვაა მეგრულში „უნდას“ მნიშვნელობით.

ეგევე ძირია სვანურ ზმნაში - მაკუ, ჯაკუ, ხაკუ, „მინდა“, „გინდა“, „უნდა“- დასძენს არნ. ჩიქობავა (ა. ჩიქობავა, 1936, გვ. 140).

ვ. თოფურიაც აქ მოყვანილსათანადო სვანურ ფორმებთან მეგრულის მოკო „მინდა“, გოკო „გინდა“, ოკო „უნდა“ ფორმათა კავშირზე მიუთითებდა (ვ. თოფურია, 1967, გვ. 251).

ცხადია, -კო სუფიქსი მიმდინარეობს სრულუფლებიანი სიტყვიდან(ზმნიდან) და თავისი ფუნქციით კავშირს ეტოლება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რიგი კავშირის წარმომავლობა ქართულში, რომლის შემადგენლობაშია „უნდა“ ზმნა. მაგალითად, ქართულში თუ შეხამებულია უნდა ზმნასთან: თუნდა - თუნდაც - თუგინდ, რომლებიც გამოიყენება მედალური დანიშნულებით (სინტაქსურად კავშირებს წარმოადგენენ).

თუ ზანური -კო ფორმობრივაცაა ცვლილი თავის ამოსავალ ზმნასთან შედარებით (გაცვეთილია -ოკონ > -კონ > -კო), ასეთივე ვითარება შეინიშნება ქართულის ზოგ დიალექტში, სადაც უნდა მოდალურ ელემენტად გამოიყენება. ამის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ უნდა-ს ფონეტიკური გაცვეთის შედეგად, მაგალითად, აჭარულსა და მესხურში, საიდანაც უნდა II უნდა II > ნდა და ნა (ზმნას დაერთვის წინდებულად ან უკუდებულად) : იქ-ნდა II იქ-ნა მივიდეს „იქ უნდა მივიდეს“, დასწეროს-ნა „უნდა დაწეროს“ (აჭარული), ნა-გავაკეთო II გავაკეთი-ნა „უნდა გავაკეთო“, გავაკეთეს-და „უნდა გავაკეთოს“ (მესხური).

საკუთრივ ზმნის ფუნქციით გამოყენებისას უნდა რა თქმა უნდა, ანალოგიურ ფონეტიკურ ცვლას არ განიცდის, ეს კი ცხადად მიუთითებს იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს ფუნქციური მხარე ფორმობრივზე.

მაშასადამე, ზანურში -კლ (და მისი ვარიანტები) დღეს მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით ანარმოებს რთული ქვეწყობილი წინადადების ერთ-ერთ სახეს, კერძოდ, პირობით დამოკიდებულ წინადადებას, როცა დამოკიდებულ წინადადებაში პირობა დასახელებული, მთავარში კი შედეგი. -კლ - კონ -ოკონ „უნდა“ ზმნის გაცვეთის შედეგადაა მიღებული და სრულუფლებიანი სიტყვის დამხმარე სიტყვად გადაქცევის ნიმუშიცაა, რაც ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაცაა საყურადღებო.

ლიტერატურა:

1. გ. კარტოზია, 1993 - გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბილისი.
2. ვ. თოფურია, 1967 - ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი
3. არნ. ჩიქობავა, 1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი

Vianor Akhalaia
Professor
Gori State Teaching University
Georgia, Gori

ABOUT ONE MODEL OF BUILDING CONDITIONAL DEPENDENT PROPOSAL IN ZANURI (KOLKHURI)

In Zanuri in the forms of time formed from the root of the present, conditional first forms from the past imperfect by adding -kon in all persons ...

Tchanuri: Ma b-zum-um-t-i-kon hea | | g-zim-uf-t-i-kon-ia „If I measure it”, „If I measured it” ...

Megrelian: Ma b-zim-un-d-i-ko(n) tis „If I measure it”, „If I measured it” ...

In Megrelian -ko(n) attached forms, which are one of the means of building a subordinate proposal are real, but they are not as frequent as in Tchanuri. Dependent sentence with -ko(n) form is next to the main sentence, sometimes preceding.

In the same Megrelian, there are many cases, when next to the -ko(n) suffix is -ni affix with the function of „that”, and in Tchanuri, similarly as in Megrelian -na is added.

This -ko(n) and its variants are derived from the verb okon in Zanuri. Oko(n) is still the only word in Megrelian with the meaning „must”.

In Zanuri -ko (and its variants) with the function of subordinate conjunction today produces one type of complex subordinate sentence, namely conditional dependent sentence, when in the dependent sentence condition is named, and in the main the result is received from the aging the verb -ko -kon -okon „must” and it is also a pattern of turning a full-fledged word into an auxiliary word, which is noteworthy from the general scientific point of view.

ვიანორ ახალაია
პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქართულ-ოსური ურთიერთობა და ცხინვალის უნივერსიტეტი

ქართველთა და ოსთა დაპირისპირების გამო ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილი დევნილად იქცა. დევნილი ინსტიტუტი, შემდეგ უკვე უნივერსიტეტი, მრავალი წელი გორში ფუნქციონირებდა. ინსტიტუტის ქართული სექტორიდან უნივერსიტეტამდე განვლილი გზა არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი...

არ ვიცი, ალბათ, ღვთის რისხვა იყო, ცოდვების განკითხვის ჟამი, ჩვენს ქვეყანას თავს რომ დაატყდა. ახლა თუ გვიჩნდა, საერთოდ რამე სასიკეთო მოხდეს, ცნობიერება უნდა შეგვეცვალოს.

საჭიროა, გავიაზროთ და გავიგოთ, რა მოხდა, თუ ყველაფერი ცალკეულ პიროვნებებს დავაბრალეთ, მაშინ, ცხადია, რომ ვერაფერს მივმხვდარვართ და ვერც ვერაფერი გავგიგია.

მაშინდელ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობისას, მე არ მახსოვს, ჩვენს შორის უთანხმოება ყოფილიყო, გარდა ბოლო პერიოდისა, როცა დაპირისპირებამ აშკარა ხასიათი მიიღო და მავანი გეგმაზომიერად წარმართავდა ამ კონფლიქტს. მე დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ მეგობრებს, მაშინდელ რექტორს, ლუდვიგ ჩიბიროვს, პავლე დოგუზოვს. გიორგი სანაკოევს, იური გაგლოითს, რუსლან ცხოვრებოვს, სვეტლანა პლიევას, სოსლან ალბოროვს, ჯულიეტა ოსტაევას, ვანო ხაბალაშვილს, რუთენ კაბისოვს და სხვებს.

კონფლიქტის მოსაგვარებლად, უპირველესად, იმ ძაფების მოძიება იყო აუცილებელი, რომელიც ორივე ერს სულიერად კრავდა და ამთლიანებდა. ქართველი და ოსი ინტელიგენციის ურთიერთთანამშრომლობა ამ თვალსაზრისით, თამამად შემოიძლია ვთქვა, ყოველთვის სანიმუშო იყო. ეს ნათლად დასტურდებოდა ჩვენი უნივერსიტეტის მაგალითზე, რომელშიც არა ერთი ოსი ეროვნების სტუდენტი სწავლობდა და ლექტორ-მასწავლებელი გორში ეწეოდა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა სწორედ კონფლიქტის შემდეგ გამოთქვა ჩვენთან მუშაობის სურვილი. ამ ფაქტმა მოხსნა ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი და უკან დაბრუნებისას ჩვენ დაგვხვდებოდა თანამშრომელთა ის ნაწილი, რომელმაც დევნილობისას ჩვენი ტკივილი თუ პრობლემები თანაბრად გაიზიარა. ოსი ეროვნების კადრებისა და სტუდენტების მოზიდვის მიზნით გავხსენით ქართულ-ოსური ფილოლოგიის სპეციალობა, მასში ცხინვალიდან, ახლომახლო რეგიონებიდან ოსი და ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ. ეს კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი იყო პრობლემის მოგვარების გზაზე. ვფიქრობდით, რომ ქართველი და ოსი ახალგაზრდების საერთო ენის გამონახვას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა კონფლიქტის დარეგულირებაში. ვითარების სირთულის ფონზე, ძალზე ვინროა ის სარკმელი, რომელიც მომავლისკენ იმზირება. ფიქრის გორგალის ბოლო კი წარსულში დარჩა. ის ტკივილთან ერთად, ჩვენს გულგრილობას, შეცდომებსაც შეგვახსენებს ხოლმე. იქნებ მოვლენების ზედაპირულმა შეფასებამ მიგვიყვანა აქამდე? მე ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი ლუდვიგ ჩიბიროვი, რომელიც ითხოვდა საქართველოს მხარისაგან დაფინანსებას ცხინვალში დარჩენილი რუსულ-ოსური სექტორისთვის, მაგრამ მისი მხრიდან თხოვნამ, ჩემმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. ჩემს პირად არქივში მისი და სხვების არაერთი წერილი ინახება, რომელთა ნაკითხვა ემოციის გარეშე წარმოუდგენელია.

იგივე განწყობა ნათლად იგრძნობოდა რამდენიმე წლის წინ ცხინვალში ჩვენი სტუმრობის დროს. ჩვენს უნივერსიტეტს ეწვია ჩვენი ყოფილი თანამემამულე, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი, პოლიტოლოგი, არაერთი უმაღლესი სასწავლებლის საპატიო დოქტორი იცხაკ დავითი(ისაკ დავითაშვილი), რომელმაც დედუღეთის, ცხინვალის მონახულება მოისურვა. ცხინვალში ახალგაზრდების ექვიანი გამოხედვა ჩვენს თვალწინ გააღლო იმ უბრალო ადამიანების კეთილგანწყობამ და მონატრების ცრემლებმა, რომელთა გვერდით არაერთი წელი გვიცხოვრია. იმ მხარის სწორედ ეს განწყობაა საძიებელი და მზის სინათლეზე გამოსატანი, რაც ხშირად ნამდვილად არ ხელენიფებათ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ჩაბმულ ზოგიერთ ოფიციალურ სახელმწიფო მოხელეს, რადგან ისინი, პირველ რიგში, წარსულით არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ რეგიონთან. პრობლემის მხოლოდ ერთ სიბრტყეში გააზრება კი, როგორც ვხედავ უშედეგოა, სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში შემუშავებული მზა დირექტივების ნაცვლად უფრო მეტად ბევრისმომცემი იყო პირადი კონტაქტები, გულწრფელი ადამიანური შეხვედრები და, რაც შეიძლება ხშირად, წარსულის გახსენება, რადგან სწორედ იქ დევს ლიბო ორივე ერის მომავლის გადარჩენისა. ცხინვალიდან დევნილი ინტელიგენცია მზად იყო ამ მისიის შესრულებას მთელი პასუხისმგებლობით მოკიდებოდა.

იმ მძიმე სოციალური რეალობის ფონზე, რომელშიც სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას უწევს ცხოვრება, ალბათ, ძნელია მომავლის პერსპექტივებზე საუბარი, მაგრამ საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ ძალა უკეთესი მერმისისათვის ბრძოლისა. ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს მაშინ სწორედ ამ ოპტიმიზმმა დააძლევინა არაერთი სირთულე. უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა ქალაქ გორში. დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური ლექტორ-მასწავლებლებით. მათი უმრავლესობა დევნილი იყო. კმაყოფილებით მინდა შევნიშნო ის ფაქტი, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა სამაჩაბლოდან დევნილ ახალგაზრდობას შიდა ქართლში მისცა შესაძლებლობა საუნივერსიტეტო განათლების მიღებისა, რაც მომავალი სპეციალისტების ადგილზე დამაგრებას განაპირობებდა და ხელს უშლიდა რეგიონიდან მათი გადინების პროცესს.

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარსული და საერთო საქვეყნო რეალობა, ტკივილიან ფიქრებს უფრო აღძრავს, ვიდრე სასიამოვნოს.

კმაყოფილებით მინდა შევნიშნო ეს ფაქტორიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არაერთმა აღზრდილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია და ცხინვალის და გორის უნივერსიტეტების სამეცნიერო პოტენციული შეავსო. გორის უნივერსიტეტის რექტორი, რექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი და სხვები ხომ ცხინვალის უნივერსიტეტიდანაა. მე, ცხინვალში პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო დარგის პრორექტორი გახლდით და თავიდან ამ კონფლიქტის უშუალო მომსწრე ვარ. ეს იყო გარედან თავს მოხვეული უგუნური კონფლიქტი, უგუნური დაპირისპირება, ვერც ერთი მხარე ვერ აღმოჩნდა სათანადო დონეზე, რომ წარსული ურთიერთობის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, როგორმე აეცილებინა სისხლისღვრა. უამრავი უბედურება დატრიალდა, დაინგრა მრავალი ოჯახი. რთული და ძნელია ამ სისხლიანი ნაკვალევის წაშლა, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს! ადრე ჩვენი ერთად თანაცხოვრების წესი გვკარნახობს იმას, რომ ეს კონფლიქტი დარეგულირდეს. იმასაც გეტყვით, რომ იმ ხალხთან, ვისთანაც ჩვენ გვიცხოვრია და გვიმუშავია, ურთიერთობა ადვილია. ჩვენ ერთმანეთს ემოციების, ცრემლის გარეშე ვერ ვხვდებოდით... საჭიროა სახალხო დიპლომატიის გამოყენება, იმ თაობასთან ურთიერთობა, რომლებიც იმ პერიოდში მოზარდები იყვნენ და ახლა იქ გარკვეულ ამინდს ქმნიან. საჭიროა უფრო გონივრული გზების ძიება, რათა აღდგეს ძველი მეგობრული ურთიერთობები.

Vianor Akhalaia
Gori State Teaching University

GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS AND TSKHINVALI UNIVERSITY

The past general reality of Tskhinvali State University raises painful thoughts more than pleasing ...

On the background of the complexity of the situation, the window facing to the future is too narrow. The thoughts were left in the past. It reminds us of our indifference together with the pain ...

It was reckless confrontation, imposed from the outside, neither side was found to be at the proper level to avoid bloodshed on the basis of past relationships. There was the great disaster...

It is difficult to remove this bloody footprint, but we have no other way! Previously our rule of coexistence dictates, that this conflict be resolved. Relationship with the people we have lived and worked with is easy. We cannot meet each other without emotions, tears. That was until 2004. Then the relationship broke down. Unfortunately, there are few of them left. Public diplomacy is needed, but relationship will be difficult with the generations, who were adults at that time and are producing some weather there now.

ციური ახვლედიანი
პროფესორ-ემერიტუსი
გიორგი ყუფარაძე
ასოცირებული პროფესორი
ქეთევან გაბუნია
პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

პარემიოლოგიურ ერთეულთა მრავალფეროვნება არამონათესავე ენებში /ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

გასულ საუკუნეში, ანდაზები და თქმები გახდა ფრაზეოლოგიის ახალი დარგის – პარემიოლოგიის შესწავლის ობიექტი. ფრანგულ და ინგლისურ ენებში არტიკლის ფუნქცია მრავალმხრივია. წინამდებარე კვლევაში, ჩატარებულმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ პარემიოლოგიური ერთეულები-სათვის უფრო მეტად დამახასიათებელია განსაზღვრული ან ნულოვანი არტიკლის გამოყენება, ვიდრე განუსაზღვრელისა.

ერთეული საგნებისა და აბსტრაქტული ცნებების აღმნიშვნელი არსებითი სახელების განსაზღვრული ან ნულოვანი არტიკლით ხმარებას წარმოგვიდგენენ ისეთი ნიმუშები, როგორებიცაა: **à tout heure la mort est proche ; at all times death is near** „ყოველი საათი სიკვდილს აახლოვებს“; **le temps guérit tout ; time heals everything** „დრო ყველაფრის მკურნალია“; **au petit Bonheur ; at Little happiness; haphazard** „ალაღბედზე“.

განსაზღვრული არტიკლი გამოიყენება იმ ანდაზებსა და თქმებში, რომელთა არსებითი სახელები განისაზღვრება წინდებულებიანი არსებითი სახელებით, თუმცა ინგლისური ეკვივალენტები ამ შემთხვევებშიც ნულოვანი არტიკლით არის წარმოდგენილი: **il a l'esprit de l'escalier; always to think of the perfect retort too late**; „პასუხის ნაგვიანევი მოსაზრება, გვიანი რეაქცია“; **la racine du travail est amère, mais son fruit est doux; Labor root is bitter, but its fruit is sweet** „საქმის ძირი მწარეა, მისი ნაყოფი კი – ტკბილი“.

ფრანგულ ანდაზებსა და თქმებში შეინიშნება განსაზღვრული არტიკლის ფართო გამოყენება რაოდენობითი რიცხვითი სახელების წინ, ტოტალურობის იდეის გამოსახატავად, ინგლისურ შესატყვისებში კი იგი ნაკლებ აქტუალურია: **les deux font la pair; they're two of a kind** „ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსა“.

განზოგადების ფუნქციით, განსაზღვრული არტიკლი აღნიშნავს ისეთ საგანს, რომელიც ერთადერთია მოცემულ სიტუაციაში. მსგავსი შინაარსი გადმოიცემა ზოგოერთ ინგლისურ შესატყვისშიც: **c'est le pot de terre contre le pot de fer; it's the earthen pot against the iron pot; it's an unequal contest; be through it all** „უთანასწორო ბრძოლა“. აღსანიშნავია, რომ განზოგადების ფუნქცია ახასიათებს დეტერმინატივ **tout** – ის მქონე ანდაზებს. იგივეს გადმოსცემს მომდევნო ანდაზის ინგლისური ეკვივალენტი: **Clé d'or ouvre toutes les portes; Golden key opens all doors** „ოქროს გასაღები ყველა კარს აღებს“. განსაზღვრული არტიკლი საკმაოდ ხშირად იხმარება სხეულის ნაწილის გამომხატველი არსებითი სახელის წინ. მოცემული ფრანგული ანდაზის ინგლისურ ვარიანტებში შესაძლებელია გამოყენებოდეს განსაზღვრული არტიკლი ან მას ნულოვანი ვარიანტი ჩაენაცვლოს: **il ne faut pas mettre le doigt entre l'arbre et l'écorce; do not put your finger between the tree and the bark; never meddle in other people's affairs** „სხვის შინაურ საქმეებში ჩარევა არ ღირს“.

ანდაზებსა და თქმებში, განუსაზღვრელი არტიკლი გამოიყენება ისეთი არსებითი სახელების წინ, რომლებიც გამოხატავენ მოცემული კლასისადმი კუთვნილ ერთ-ერთ საგანს. მსგავსი ვითარებაა ამ თქმის ინგლისურ ვერსიებშიც: **un clou chasse l'autre; a nail drives another; one takes over where the other leaves off; not to be worth a thing or a brass farthing** „ლურსმანს ლურსმანი აძრობს“.

ანდაზებში განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენების შემთხვევებიდან, ყველაზე მეტადაა გავრცელებული ერთეულ საგანზე მითითების შემთხვევა, როდესაც განუსაზღვრელი არტიკლი **un** (წარმოშობილი ლათინური რიცხვითი სახელიდან **unus** „ერთი“), ასრულებს რიცხვითი სახელის ფუნქციას: **au pauvre un oeuf vaut un bœuf; to the poor an egg is worth an ox** „ლარიბისათვის კვერცხი ხარიაო“; **avec un si, on mettrait Paris dans une bouteille; if wishes were horses, beggars would ride; with a si, we would put Paris in a bottle** ‘ „ჰოს“ ძახილით პარიზს ერთ ბოთლში მოათავსებენ“.

ნაწილობრივი არტიკლი გვხვდება ანდაზებსა და თქმებში, ნივთიერებათა (არათვლადი) არსებითი სახელების წინ, როცა საქმე ეხება აღსანიშნავი ნივთიერების განუსაზღვრელ რაოდენობას: **jeter de l'huile sur le feu** „ცეცხლზე ნავთის დასხმა“; **add fuel to the flames; add more fuel to the fire; throw oil on the fire; le temps, c'est de l'argent; Time is money** „დრო ფულია“.

აღსანიშნავია, რომ ფრანგული და ინგლისური ენების რიგ ანდაზებსა და თქმებში არტიკლი არ გვხვდება. არტიკლის გამოტოვების ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა – როდესაც ზმნა უარყოფით ფორმაშია. ასეთ შემთხვევაში არტიკლი იცვლება წინდებული «**de**» -ით: **nécessité n'a point de loi; necessity has no law** „აუცილებლობას არა აქვს კანონი“. ასევე არტიკლი გამოიტოვება არსებითი სახელების წინ, როდესაც გვაქვს სრული უარყოფა ან სიტყვა «**sans**» ‘ - უს, გარეშე’, ხდება რა არსებითი სახელის გადასვლა ადვერბიალურ გამონათქვამებში: **il n'y a pas de fumée sans feu; There's no smoke without fire** ‘არ არსებობს კვამლი უცეცხლოდ’; **il n'y a point de règle sans exception; there is no rule without an exception**; ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული სურათია ინგლისურ შესატყვისში. აქ განუსაზღვრელი არტიკლი დგას სიტყვის “**exception**” წინ; „არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე“. ნულოვანი არტიკლი ახასიათებს იმ ანდაზებსა და თქმებს, რომლებიც შეიქმნენ იმ შორეულ წარსულში, როდესაც არტიკლი საერთოდ არ იყო დაფიქსირებული ენაში, რაც გარკვეულწილად არ ემთხვევა მოცემულ სიტუაციას მომდევნო ანდაზათა ინგლისურ ვარიანტებში. მათში ზოგჯერ შესაძლებელია არტიკლი გა-

მოიყენებოდეს, ზოგჯერ ის საერთოდ უგულებელყოფილია: **charbonnier est maître chez soi; charbonnier is master at home; collier's home is his; an Englishman's or a man's home is his castle; my home is my castle** 'მენახშირე ბატონია თავის სახლში'; **contentement passe richesse; contentment passes wealth; happiness is better than wealth** „კმაყოფილება აჭარბებს სიმდიდრეს“.

კვლევისას გამოვლინდა, რომ ფრანგულ და ინგლისურ ენებში ხშირად გამოიყენება ზედსართავი სახელი, კერძოდ, თვისობრივი ზედსართავი სახელები. ისინი ასახავენ ობიექტის დამახასიათებელ თვისებებს, პირველ რიგში, ფერის მიხედვით: **noire géline pond oeufs blancs; black gelatin lays white eggs** „შავი ქათამი თეთრ კვერცხებს დებს“. მეორე რიგში – სიდიდის მიხედვით: **à petit oiseau, petit nid; small bird, small nest** „პატარა ჩიტს – პატარა ბუდე“; მესამე რიგში კი – გამომწვევი შეგრძნებისა და შთაბეჭდილების მიხედვით: **belles paroles ne font pas bouillir la marmite; fine words do not boil the pot; beautiful words are not the pot boiling** „ლამაზი სიტყვები ვერ აადულებს ქვას“. ანდაზებსა და თქმებში გამოვლენილია დიდი რაოდენობის კუთვნილებითი ზედსართავები. განსხვავებული ვითარებაა ინგლისურ ვარიანტებში: **qui donne à credit perd son bien et son ami; who gives credit loses his good and his friend; giving credit loses his property and his friend** „სესხი გაკარგვინებს ქონებასაც და მეგობარსაც“.

პარემიოლოგიურ ერთეულებში ასევე საკმაოდ ხშირად გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე რიგობითი რიცხვითი სახელიც; თუმცა, უფრო ხშირად გვხვდება რაოდენობითი რიცხვითი სახელები, რაც დასტურდება მრავალი მაგალითით: **deux avis valent mieux qu'un; two are better than one; a bird in the hand is worth two in the bush; two heads are better than one** „ორი აზრი ერთზე უმჯობესია“. რიგობით რიცხვით სახელთა გამოყენებაში კი ჭარბობს რიცხვითი სახელი **le premier** (პირველი): **qui conduit dans le fossé y tombe le premier; who drives into the ditch falls there first** „ვისაც სხვა მიჰყავს ორმოსკენ, თვითონ პირველი ჩავარდება“.

ფრანგულ და ინგლისურ ანდაზებსა და თქმებში ასევე მრავლადაა ნაცვალსახელებიც; მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **rien** (არაფერი): **rien de nouveau sous le soleil; Nothing new under the sun; the sun shines upon all alike; the sun shines for everyone** „არაფერია ახალი მზის ქვეშ“. ასევე ხშირად გვხვდება განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელი «**on**», რომელსაც აქვს განმაზოგადოებელი მნიშვნელობა. ინგლისურ ვერსიებში ოდნავ განსხვავებული ვითარებაა: **on dit est un sot; the receiver is as bad as the thief; The same stew only the name is new; It is six of one and half a dozen of the other** „ყველა ნათქვამი სიმართლე არ გეგონოს, ყველა თქმას ნუ დაუჯერებო“.

გამოვლინდა ანდაზათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც გამოხატავენ რჩევა – დარბეზს და იწყებიან უპირო გამონათქვამით **il faut: il faut laver son linge sale en famille; wash your dirty linen with your family; it's better not to wash one's dirty linen in public** „ჭუჭყიანი თეთრეული შენს ოჯახში უნდა გარეცხოო“.

აღსანიშნავია, რომ საანალიზოდ შერჩეულ ენებს ახასიათებს ორმაგი უარყოფა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში შემოთავაზებულ ვარიანტებში უარყოფის სხვადასხვა შემთხვევაა წარმოდგენილი. კერძოდ, ინგლისურში ერთმაგი უარყოფაა შემოთავაზებული, რამეთუ ამ უკანასკნელისათვის ორმაგი უარყოფა მიუღებელ ფორმას წარმოადგენს, თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისები: **On ne peut pas contenter tout le monde; We cannot satisfy everyone; You cannot please everybody; it's difficult to please everyone** „ყველას გულს ვერ მოიგებო“. მეტყველებაში, ანდაზები და თქმები ხან დამოუკიდებელი წინადადების სახით წარმოგვიდგებიან, ხან კი – რთული წინადადების ნაწილის სახით.

ფრანგული პარემიოლოგიური ერთეულების სემანტიკური თავისებურებების განხილვისას, აღსანიშნავია, რომ მრავალი პარემიისათვის ჩვეულია სემანტიკური გარდაქმნის ფორმის შერწყმა მეტაფორულ, იშვიათად კი – მეტონიმიურ გადააზრებასთან. მეტაფორული გადააზრება, წარმოადგენს რა ფრანგული ენის ანდაზური ფონდის გამდიდრების მნიშვნელოვან წყაროს, გამოიხატება მნიშვნელობის გადატანით, რომელიც ეფუძნება ორი საგნის ან ორი მოვლენის მსგავსებას: **qui sème le vent récolte la tempête; sowing the wind harvesting the storm; a storm in a teacup (UK); a tempest in a teapot (US)** „ქარის დამთესი – ქარიშხალს მოიძიოს“. მეტონიმიური გადააზრება, მეტაფორულთან შედარებით, ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ წარმოადგენს სემანტიკური გარდაქმნის საკმაოდ პროდუქტიულ ფორმას. იგი გამოიხატება ისეთი მნიშვნელობის გადატანით, რომელიც ეფუძნება არა მსგავსებას, არამედ საგნების, მოვლენებისა და ცნებების მომიჯნავეობას, ასოციაციურობას: **Coeur oublie ce qu'oeil ne voit; Heart forgets what the eye sees** „გულს ავიწყდება, რასაც თვალი ვერ ხედავს“.

ანდაზები და თქმები ქმნიან თემატურ ჯგუფთა და სინონიმურ რიგთა მნიშვნელოვან როლდენობას. ლოგიკურია პარემიოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური კლასიფიკაცია წარმოვადგინოთ ასეთი სახით: I. მონდომების აუცილებლობა: **nul bien sans peine; la patience vient à bout de tout; patience comes to the end of everything; Patience conquers all** „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“. II. მოვლენის თანადროულობა: **l'appétit vient en mangeant; appetite comes with eating; appetite comes by eating** „მადაჭამაში მოდისო“. III. დამსახურებისადმი მიზღვა: **tel grain, tel pain; as a man sows, so will he reap; as you brew, so must you drink; as you sow you shall mow** „რასაც დასთეს, იმას მოიმიკო“. IV. შეგუების აუცილებლობა: **il faut hurler avec les loups; qui se couche avec les chiens; we must scream with the wolves; must howl with the wolves; there is honour among thieves; when you are at Rome, do as the Romans do; Do in Rome as the Romans do** „მგლებში მაცხოვრებელმა, ყმუილი უნდა იცოდესო“; „სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“. V. გულგრილობა სხვისი უბედურების მიმართ: **le mal d'autrui ne cuit pas; He jests at scars, that never felt a wound; the harm of others does not cook; do as you would be done by** „სხვისი ჭირი, ლობის ჩხირიო“. VI. მიმდინარე უბედურებათა ციკლურობა: **un malheur en attire un autre; misfortunes never come alone (single); a misfortune attracts another; it never rains but it pours** „უბედურებას უბედურება მოჰყვებაო“. VII. მსგავსი მიისწრაფვის მსგავსისაკენ, ანუ სულიერი ნათესაობა: **qui se ressemble, s'assemble; Like will no like; Birds of a feather flock together; who looks alike, meets; a feather flock together; birds of a feather stick together** „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო“. VIII. კოლექტივიზმის სულის გაგება: **une hirondelle ne fait pas le printemps; A swallow do not do the spring; a swallow does not make spring; one swallow does not make a summer; catching fish is not the whole fishing** „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“. IX. უკეთესის იმედი: **le soleil luit pour tout le monde; the sun shines for everybody; the sun shines upon all alike** „მზე ყველასთვისაა, ყველასთვის ანათებს“. X. ფატალიზმი: **on ne peut éviter ce qui doit arriver; we can not avoid what must happen; one cannot avoid what must happen** „მოსახდენი მოხდებაო“. XI. გარეგნობა მაცდურია: **choisissez votre femme par l'oreille bien plus que par les yeux; choose your woman by the ear more than by the eyes; choose your wife by your ear rather than by eye** „ცოლის არჩევა ყურებით ჯობია და არა თვალებითო“. XII. მცირედით დაკმაყოფილება: **au royaume des aveugles les borgnes sont rois; in the kingdom of the blind the one-eyed are kings; in the country of the blind, the one-eyed man is king; among the blind the one-eyed man is king; when the cat is away, the mice will play** „უძალლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო“. XIII. სრულყოფილების მიღწევა შრომით: **expérience fait le maître** „გამოცდილება აოსტატებსო“. XIV. პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე: **tel bruit, tel echo; like noise, like echo** „როგორი ხმაურიცაა, ისეთივე ექოა“. XV. შვილები მემკვიდრეობით იღებენ მშობლების ხასიათს: **tel père, tel fils; like father, like son; Tarres with the same brush; a miser's son will be a spendthrift** „რაც მამაა, ის შვილია“, „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატე“.

ამგვარად, ფრანგულ და ინგლისურ ანდაზებსა და თქმებს გააჩნია მრავალი თავისებურება. მათში უფრო ხშირად გამოიყენება განსაზღვრული არტიკლი, ვიდრე განუსაზღვრელი. ერთეული საგნის მისათითებლად, ანდაზები და თქმები იყენებენ ერთ-ერთ თავიანთ ძირითად ფუნქციას – რიცხოზობის ფუნქციას. ზოგჯერ გვხვდება არტიკლის გამოტოვების შემთხვევები, რაც აიხსნება ან გრამატიკული ნესებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ენის ევოლუციის მანძილზე, ან იმ მიზეზით, რომ ზოგიერთი ანდაზა და თქმა ენაში გაჩნდა გაცილებით ადრე, ვიდრე არტიკლი როგორც დეტერმინაციის გრამატიკული კატეგორია.

ლიტერატურა:

1. Schapira, C. Les Stéréotypes en français: proverbes et autres formules. Paris, 1999.
2. Visetti, Y. Motifs et proverbes. Essai de sémantique proverbiale. Paris, 2006.
3. Unseth, Peter. Comparing methods of collecting proverbs: Learning to value working with a community, p. 7. Comparing methods of collecting proverbs, 2016.
4. Lauhakangas, Outi. Categorization of proverbs, p. 59. *Introduction to Paremiology*, ed. By.
5. Hrisztalina Hrisztova-Gotthardt and Melita Aleksa Varga, pp. 49–67. Berlin: de Gruyter 2014.
6. International Bibliography of Paremiology and Phraseology. Berlin: de Gruyter 2009.

Websites:

680 English Proverbs, with their meanings and origins explained:
<https://www.phrases.org.uk/meanings/proverbs.html>

Tsiuri Akhvlediani

Professor-Emeritus

Giorgi Kuparadze

Associate Professor

Ketevan Gabunya

Professor

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

VARIETY OF PAREMOLOGICAL UNITS IN NON PARENT LANGUAGES (on the material of French, English and Georgian languages)

In the past century, the proverbs and sayings became the object of observation and study of the new field - paremology. From a structural viewpoint, French, English and Georgian proverbs are characterised by a lot of peculiarities. They are more often used with the definite article, rather than with the indefinite one. To indicate one subject, the proverbs and sayings use their main function - the function of the integer. Occasionally we may have the cases of article omission, that can be explained by the grammatical rules having formed during the evolution of the language, or for some reason, that some of the proverbs and sayings are found in the language much earlier than the article as a grammar category of determination.

The paremies are used in the present tense, as well as in the future; in both indicative and imperative moods. From the syntactical viewpoint the sentence members are presented by nouns, ordinal numerals, or substantivised indefinite pronouns; They are also presented by simple or compound predicates; As for paremies themselves, they appear in the form of declarative, exclamatory or instigator sentences. French, English and Georgian proverbs and sayings create a significant number of thematic groups and synonymical equivalents.

It is logical to present semantic classification of paremological units in the following way: I. The necessity of commitment; II. The eventuality of the event; III. Relocating to merits; IV. The need to adapt; V. indifference towards the disaster of others; VI. recurrence of current calamities; VII. Similarity to the aspiration of the same, i.e. spiritual cohabitation; VIII. Understanding of the spirit of collectivism; IX. Hope for the better; X. the fatalism; XI. The appearance is tempting; XII. To be satisfied by a little bit; XIII. To achieve perfection by labor; XIV. Responsibility on self behaviour; XV. Children are inherited the character from their parents.

In semantic terms, paremological units seem to be more metaphorical rather than metonymic. The main source for the formation of proverbs and sayings is the life itself and that is why they are tightly associated with the diverse sides of human life. Paremies, with their thematic groups, reflect the experience and wisdom of the people.

მარიამ ბაკურიძე

ფილოლოგიის დოქტორი,

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

საგმირო პოეზიის ლექსიკა „ხმით ნათირლებში“

საქართველოს ისტორიულმა ყოფამ, პატარა ქვეყანაზე დიდი და მცირე ტომების გამუდმებულმა თავდასხმებმა, განაპირობა ხალხში გმირობის იდეალიზაცია. წარსულში საქართველოს მთაში ვაჟკაცური ენერჯის გამოვლინებისათვის განსაკუთრებული პირობები იყო შექმნილი. მთიელ ვაჟთა მომხდურებთან გმირული შებრძოლების არა ერთი და ორი ფაქტი გამხდარა პოეტური შემოქმედების წყარო. მათში შექმნილი იყო გამორჩეული თავდადება, ბრძოლის ჟინი და უნარი. ერთი მხრივ ვაჟების ამგვარმა ქმედებამ და მეორე მხრივ მთქმელთა ამბისადმი დამოკიდებულებამ არა მარტო საგმირო პოეზია შექმნა, არამედ საფუძველი ჩაუყარა ვაჟკაცობის იდეალის კოდექსის ჩამოყალიბებას.

უძველესი თქმულებებისა და ლეგენდების მიხედვით, მოთქმა ლექსად ბრძოლის ველზევე მებრძოლთა შორის იქმნებოდა. იმავე ირლანდიური ეპოსის მიხედვით, გოდება გმირი კუხულისის სიკვდილზე შეიქმნა მაშინვე, როდესაც ლაშქრის მიერ მოტანილი მისი მოკვეთილი თავი და მარჯვენა ხელი, ფართან ერთად, დაკრზალეს თემრაში ანუ თარაში-ირლანდიის უძველეს სატახტო ქალაქში.

იური სოკოლოვმა პეტრე პირველის ციკლის საინტერესო ნაწარმოებთა მიმოხილვისას გოდების ჟანრის ამგვარ ლექსებს მართებულად უწოდა *песни – плачи*. მკვლევარს ამგვარი გოდებანი ბრძოლის მო-

ნაწილეთა მიერ შექმნილად მიაჩნია. მეცნიერის ეს მოსაზრება ამ შემთხვევაში ირლანდიურ ეპოსშივე დაცულ ცნობებს ეთანხმება. პეტრე პირველი პროფესიულმა მოტირლებმა დაიტირეს. არის ეს გოდება ბრძოლის მონაწილისა თუ პროფესიული მოტირალის შემოქმედება, გლოვის ზარიდან უნდა მოსდევდეს, (1,18)

საქართველოში ძლიერი ტრადიცია არსებობდა დასაფლავების დღეს მიცვალებულის ცხოვრებისა და საქმინობის ამსახველი ლექსის წარმოქმნისა. ალ. ყაზბეგმა უთუოდ ამგვარი ტრადიციის საფუძველზე შექმნა სვიმონ ჩოფიკაშვილის დატირება.

მოთქმისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ლექსში გადმოცემული საშინელება სიკვდილისა და გარდაცვლილის მოღვაწეობის რეალისტური დახასიათება. ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე შექმნილი ლექსი დიდი გლოვის ზარიდან შერჩა ხალხურ პოეზიას:

ვერ გაიგეთა ქართველნო, მზე ჩაგვივიდა უკულმა
შგეხსნათ რკინის კარიო, ჩავარდა ძუა ზღვაშიო
ატირდენ წვრილნი ვარსკვლავნი, მთვარე დაბნელდა, გაშავდა,
ცამაც დაშალა ნავიო. აღარ გვინათებს ცაშიო“

მოთქმაზე აგებული ლექსის კარგი ნიმუშია ფშაური “მზე წინ-წინ გომბორს მოხვდება“. ეს ლექსი მრავალმხრივ არის საყურადღებო. თათართა აგრესიის ამსახველი ეს ლექსი საქართველოში გმირის კულტის დადასტურებაა. ტრადიციით გმირის საჭურველის ხატობა-დეობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა:

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი,
ხანდახან შაძრავს ქარიო.

ასევე წმინდად იყო მიჩნეული მიჩნეული ჯაჭვიც. თუშური ლექსის მიხედვით გმირის ჯაჭვი ალავერდის კარზე ყოფილა გამოკიდებული:

მზე წინ-წინ გომბორს მოხვდება,
შუქი ალავერდს დადგება,
ალავერდს ჯაჭვი კიდია
წმინდის გიორგის კარზედა.

საგმირო მოთქმის ტიპური ნიმუშია “მზიას ნატირალი გიორგიზე“. მოთქმის ტექსტში გამოხატულია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რასაც თემის დამცველი ვაჟკაცის დატირებისას ამჟღავნებდა მოტირალი:

შენ შენ ფერნ გინდა მატირალნიო.
შენის ვაჟობის დამფასავნიო.

ეს ნატირალი ღრმად პატრიოტულია. დასაწყისშივე ხაზგასმულია დიდი დანაკლისი თემისა. სიკვდილმა თემს გამოსტაცა კარგი მონადირე და თავისი კუთხის ფხიზელი დამცველი:

გიორგი შენ ხარ თველექათიო,
მთაჩი მხოცველი ჯიხვებისაო,
ჭალას მითხოველთ ვაჟებისაო.

მოტირალი გრძნობიერი სიტყვებით გამოხატავს ხალხის დიდ სინანულს სამშობლოს მცველი ვაჟკაცის უდროოდ დაკარგვის გამო. ხევსურული მოთქმის ეს ნიმუში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი ღრმად გრძნობიერი დასასრულით:

ვეფხვო, დახყარე იარალიო
არწივმა დაიჭუჭკენ მხარნიო,
ჯიხვო, სანოლით გადმალვარდიო,
ირემო, დაინაყენ რქანიო.

„კაი ყმის“ ფშა-ხევსურული კოდექსის ძირითადი მოთხოვნები თანაბრად ვრცელდებოდა საქართველოს მთიანეთის უკლებლივ ყოველ კუთხეზე. თუშურ საგმირო პოეზიაშიც, სხვა რეგიონების მსგავსად ვაჟკაცის სახელით ის ადამიანი მოიხსენიება, ვინც პირველი შედიოდა ომში და ბოლო ტოვებდა ბრძოლის ველს. თუშურ პოეზიაში ვაჟების მიმართ ნახმარი ეპითეტებიდან უნდა გამოვყოთ შემდეგი: ვეფხვი, მგელი, ქორი, შევარდენი და სხვ.

საქართველოს მთიანეთისა და მათ შორის, თუშური ტრადიციის მიხედვით, ხმით დატირებას იმსახურებდნენ ის ვაჟკაცები, რომელთაც თავდაუზოგავად იცოდნენ მტერთან შებმა. ლეკებსა და ქისტებს

თან თუშთა ბრძოლის თემაზე შექმნილი საგმირო ლექსებისა და „ხმით ნატირლების“ შედარებითმა შესწავლამ გაარკვია, რომ სხვადასხვა მთქმელთა რეპერტუარში ცალკე საგმირო ლექსებისა და ცალკე „ხმით ნატირლების“ მთქმელები ერთი საერთო ლექსიკით სარგებლობდნენ:

„დაიძინეა ხარო, დაიძინეა

ვინ გაუძღვება, მეკობარს ქისტეთშია

ვინ შეაჩოჩოლებს საჯიხვეებს,

ვინ გაუნევეს ქერივ-ობლებს პატრონობას,

ვინ მოიტანს სხვა ადგილებში დამრჩალ მკვდრებს,

რომლებიც თავის მინას მიაბარე,

აქაც სახელოვანი იყავი და იქაც სახელოვანი ყოფილიყავი“ (2,18)

ამ ფაქტს ერთი ახსნა აქვს: ცოცხალი გმირის საქებრად მოძებნილი სიტყვები, მათი ღირსებების წარმოსაჩენად ნაპოვნი ეპითეტები და შედარებები.

მსგავსი ლექსიკური ერთეულების გამოყენების მიუხედავად, საგმირო ლექსისა და ხმით ნატირლის განსხვავებულობა ხელშესახებია. ეს, პირველ რიგში, მათი დანიშნულებითა და შესრულების წესითაა გაპირობებული. მსგავსი ლექსიკური ერთეულები მაჟორულად ჟღერს ქებით საგმირო ლექსებში, ხმით ნატირლებში კი გვრინვით შესრულების გამო, იგივე სიტყვები სხვა ტონითა და რიტმით წარმოითქმება და თითქოს ნაცნობი ახლებურ ჟღერადობას იძენენ.

ლიტერატურა:

1. სიხარულიძე ქსენია-ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები, 1970.
2. აზიკური ნაწული-მგოსანნი გლოვისანი, 1986.

Mariam Bakuridze

*PhD, Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

VOCABULARY OF THE POETIC POETRY „KHMITNATIRLEBI“

The Georgian history, the constant attacks of small and large tribes on the small country, led to the idealization of heroism among the people. In the mountains of Georgia in particular, special conditions were created for brave energy. Not one or two facts of heroic warfare with the enemy of the Highlanders became a source of poetic creativity. They were distinguished by their outstanding dedication, diligence and fighting ability. This act of sons on the one hand and the attitude of the storytellers on the other hand not only created poetic poetry but also laid the groundwork for the development of a code of ideal bravery.

In Tushian poetic poetry, as in other regions, the name of a man is mentioned as the man who first entered the war and left the battlefield. From the epithets worn for boys in Tushian poetry we should distinguish the following: tigers, wolves, hawks, falcons, etc.

According to the Georgian highlanders and among the Tushan traditions, the men who knew the enemy with their selflessness deserved to be beaten. A wide-ranging study of poetic poems and "voice-over" poems about the struggle of puppies and Kists with the puppies and Kists has found that in the repertoire of various poets, poets and poets of separate voices shared a common vocabulary.

There is one explanation for this fact: words searched for by a living hero, epithets and comparisons found to show their worth.

Despite the use of similar vocabulary units, the difference between poetic verse and sound is noticeable. This is primarily due to their purpose and performance. Similar vocabulary sounds majestic in poetic poems, but in the sound of the voices being sung, the same words are spoken in a different tone and rhythm, and as if acquaintances are acquiring new sounds.

ოჯახი-რობორს ზნეობის საფუძველი

ოჯახი და ბავშვის აღზრდა ყველა ეპოქისთვის აქტუალურ თემას წარმოადგენს. იგი მოიაზრება, როგორც ადამიანის ზნეობრივი სახის გამოვლენის ერთ-ერთი სახე. ოჯახის გარეშე არ არსებობს საზოგადოება და პირიქით.

ოჯახი და ოჯახური ცხოვრება არის მოვალეობისა და ბედნიერების შერწყმის ტიპური სარბიელი. ოჯახში მიმდინარეობს ბავშვის პიროვნებად ფორმირების რთული პროცესი, რაც მოვალეობების მთელ სისტემას გულისხმობს. ოჯახის ბედნიერების წყარო მაშინ იქნება, როცა ყოველი მოვალეობა სიყვარულზე და პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული.

არაფერი ისე არ ანუხებს და აშფოთებს მშობელს, როგორც შვილის ავადმყოფობა და სისუსტე. შვილის ჯანმრთელობა მშობლის ბედნიერებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი პირობაა, მშობელი არასოდეს დაიშურებს შვილის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადარჩენისთვის, არათუ რაიმე მატერიალურ სიმდიდრეს, არამედ საკუთარ სიცოცხლესაც კი. ნარგრიშვილის თქმით: „საოჯახო აღზრდა ორ სტრატეგიულ ამოცანას ისახავს მიზნად, ეს არის შვილის ჯანმრთელობის დაცვა და მისი მომავალი ცხოვრებისეული გზის განსაზღვრა“. [2,25].

კარგი მშობელი არ კმაყოფილდება შვილის ფიზიკური აღზრდა-განვითარებით, იგი ასეთსავე მოვალეობად მიიჩნევს ზრუნვას შვილის გონებრივ და ზნეობრივ ფორმირებისთვის. მშობელი უნდა ცდილობდეს ბავშვში გააღვიძოს ცოდნის სურვილი, არ დაზოგოს დრო და ენერგია მისთვის საინტერესო საკითხებზე საუბრისთვის.

კარგი მშობელი შვილისადმი თავისი უანგარო დამოკიდებულებით პირად მაგალითს აძლევს მას, თუ როგორ უნდა მოექცეს იგი თავის შვილს, ხოლო მშობლისადმი დამოკიდებულებით იმას ასწავლის, თუ როგორ უნდა მოექცეს შვილი მშობელს. აღზრდაში პირად მაგალითს და განსაკუთრებით მშობლის მაგალითს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველაზე მეტად ეს ზნეობის სფეროს ეხება. უზნეო მშობელი ვერასოდეს გაზრდის წესიერ შვილს, თუ მხოლოდ მასზედ იქნება დამოკიდებული შვილის აღზრდა. აღზრდის პროცესი უწყვეტია, მას გამოყოფილი საათები არ სჭირდება. იგი ფრაგმენტულად კი არა, მუდამ უნდა განახორციელოს მშობელმა. ხუხუა აღნიშნავდა, რომ „ბავშვს ძალიან ფაქიზი ყურადღება და შთაბეჭდილების უნარი აქვს, იგი ზოგჯერ ისეთ ზნეობრივ დეტალებს შეამჩნევს მშობლის მოქმედებაში, რასაც შეიძლება მშობელი ვერ ამჩნევდეს, ამიტომ ბავშვისადმი დამოკიდებულების პრინციპი მოითხოვს არა იმას, ოსტატურად შევნიღბოთ ჩვენი უზნეობა, არამედ აღვკვეთოთ იგი“. [6.58].

მშობელს ევალება არა მარტო ის, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს შვილის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა, არამედ ისი, რომ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და მშობლიური სიყვარულის უმაღლეს გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებდეს მეგობრული ურთიერთობის კეთილშობილური გრძნობა.

სამედიცინო ეთიკა ადასტურებს, რომ ჩვილობის ასაკში რამდენიმე თვეც, რომ მოაკლდეს ბავშვს მშობლის სიყვარული, ეს გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს მის ბუნებრივ, ზნეობრივ და ემოციურ განვითარებას. არცერთ სააღმზრდელო დაწესებულებას არ შეუძლია შეცვალოს ოჯახი, მშობლები. „შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა, წერს ილია ჭავჭავაძე,–უნმინდესი და უდიდესი ვალია მშობლისა“. [5-365].

ერთხელ ძველ რომში ქალებს შორის შეჯიბრება გაიმართა, თუ რომელ მათგანს მეტი და ძვირფასი სამკაული ექნებოდა. შეჯიბრება- გამოფენაზე უამრავ ქალს მოუყრია თავი უძვირფასესი სამკაულებით, როცა ერთ-ერთი დიდებულის ცოლისათვის – კორნელიასთვის უკითხავთ, სადაა შენი სამკაულიო, მას თავისი შვილები წარუდგენია და უთქვამს: – აი ჩემი სამკაულები, ჩემთვის ესენი ყველაზე ძვირფასი მარგალიტები არიანო.

ოჯახის და ოჯახური აღზრდის პიროვნულ და საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას ყოველთვის სცნობდა და აღიარებდა კაცობრიობა ამ საკითხისადმი I საუკუნის რომაელი ფილოსოფოსი და ორატორი მარკუს კვინტილიანე მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ოჯახური აღზრდის პრობლემას თავის „ორატორის დარიგებანი“-ს XII ტომეულში. მისი აზრით: „აღზრდაში აუცილებელია სიყვარული, რო-

მელიც გამოიხატება სითბოში, ალერსსა და მოფერებაში, სიახლოვეში, თანადგომაში და დაცვაში, ამის საშუალება კი მხოლოდ მშობლებს, სისხლხორცეულ ნათესავებს გააჩნია“. [4.24].

კვინტილონე ხაზს უსვამს ბავშვის ცნობისმოყვარეობასა და მიმბაძველობის დიდი უნარის მიზანმიმართულად და ოპტიმალურად გამოყენების აუცილებლობას ადრეული ასაკიდანვე. ჯონ-ლოკს ოჯახი მიაჩნდა სხვათა უზნებობისაგან თავდაცვის მთავარ გარანტიად. მშობლებისაგან მოითხოვდა კეთილზნობის მაგალითი ყოფილიყვნენ შვილებისათვის. ჟან-ჟაკ რუსომ კი დედა გამოაცხადა აღზრდის მთავარ ფიგურად. იაკობ გოგებაშვილს ენის შენარუნებისა და ეროვნული ცნობიერების განვითარების საიმედო კერად ოჯახი მიაჩნდა. განსაკუთრებით აფასებდა დედის როლს შვილის აღზრდაში, ამიტომ მოითხოვდა იგი ქალთა მაღალ განათლებას, რადგან სწამდა, რომ განსწავლული დედა კარგი აღზრდელი იქნებოდა. ვაჟა-ფშაველამ კი ხოტბა შეასხა ღირსეული შვილის აღზრდელ დედას. „ლამაზად შვილის აღზრდელი დედა მიცვნია გმირადა“. ოჯახის ამ ურთულეს, მაგრამ საპატიო მისიას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა, მაგრამ აღზრდა დღეს ისეთი პრობლემური გახდა, როგორც არასდროს. XXI საუკუნე ამორალობის, ბოროტების, მატერიალიზმის, კომერციის და ეგოცენტრიზმის აპოგეად იქცა, მილიონობით ადამიანს სიღარიბეში ხდება სული. ბევრში სიხარბემ, ბოროტებამ და განდიდების მანიამ დააზიანა მათი პიროვნება და ისტინქტების დონეზე დაიყვანა. სამწუხაროდ ზოგიერთ ოჯახში და სკოლაშიც დაკარგა თავისი ფუნქციონალური მოვალეობა. ოჯახში ფიზიკური გადარჩენის ისტინქტებმა იმძლავრა და სულიერმა ფასეულობებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

გახშირდა ფიზიკური ძალადობა ოჯახში, ასევე სკოლებში. მოზარდებს შორისაც ბუღინგს აქვს ადგილი და ფიზიკურადაც უსწორდებიან ერთმანეთს, რაც სავალალო შედეგით მთავრდება. ბავშვი ხელმიშველებული დარჩა თავის ინსტინქტებთან. ბიოლოგიზაციამ გადაასწრო სოციალიზაციის და დაირღვა ბავშვის ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების უზენაესი კანონიც და უფლებაც. თავის დროზე სოლომონ ბრძენმა დაწერა: „ბავშვს კერპად ნუ გაიხდი, თორემ, რომ გაიზრდება თაყვანისცემას მოგთხოვსო“. [3,72].

დღეს მშობლის მისია ძალზედ რთულია, მაგრამ ის უნდა გაიცნობიერონ, რომ მშობლობა არის სერიოზული პასუხისმგებლობა ღვთის, საზოგადოებისა და თვით შვილის წინაშე. ცუდად აღზრდილი შვილი არა მარტო ოჯახისათვის, არამედ სხვისთვისაც პრობლემაა. კარგად აღზრდილი კი – სამშობლოს სიმდიდრეა. შვილის აღზრდაზე მშობლები ერთნაირად არიან პასუხისმგებლები. მეცნიერულად არის დადასტურებული, რომ ბავშვები, რომლებიც მოკლებულნი არიან მშობლების ალერსსა და სითბოს, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ნორმალურად არ ვითარდებიან.

ჯანსაღი გრძნობებისა და ემოციების განვითარება, ისევე გრძნობებისა და ემოციების ზემოქმედებით არის შესაძლებელი.

მშობელმა თავის დამოკიდებულებით ზნეობრივი და ღირსეული ქცევით და მოქმედებით შვილებს კარგი მაგალითი უნდა მისცეს.

აზიაროს პატიოსნების, ადამიანებთან, ცხოველებთან, ბუნებასთან კეთილ და მზრუნველ დამოკიდებულების ელემენტებს. ვ. სუხომლისკი მიუთითებდა: „ბავშვობა ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია, მომავალი ცხოვრებისათვის მზადება კი არა, ნამდვილი ნათელი, თვითმყოფადი, განუმეორებელი ცხოვრებაა, რა შეითვისა მისმა გონებამ და გულმა გარესამყაროსგან. დიდადაა დამოკიდებული, როგორ ადამიანად გაიზრდება დღევანდელი ცეროდენა“. [3.120].

ბავშვი, რომელიც სკოლაში მიდის, მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისებური მორალური კოდექსი, რომლისაგანაც გათავისუფლება არც ისე იოლი საქმეა, ამიტომ მშობლები ვალდებული არიან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შვილებს. დისტერვეგის თქმით: „შეუძლებელია მისცე სხვას ის, რაც თავად არ გააჩნია“.

ცნობილია, რომ ბავშვის გულში და თავში ინფორმაციების ჩანერგვა ადვილი არ არის, მაგრამ არის აღზრდის პრინციპები და მეთოდები, რომელთა რეზონულად გამოყენება ახდენს სასწაულებს. მაგალითად, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, სიყვარულისა და პატივისცემის, დადებითზე დაყრდნობის, ლოგიკისა და სიყვარულის პრინციპის ოპტიმალური გამოყენება, შემეცნებითი ინტერესებისა და სასწავლო მოტივაციების გამოწვევა ბავშვს აყენებს იმ გზაზე, რომელსაც მიჰყვავს სიკეთისა და ბედნიერებისაკენ.

თუ აღზრდაში სისტემატურობა და ჰარმონიულობა არ იქნება დაცული, ეს იგივეა, რაც ალაგ-ალაგ რგოლგანწყვეტილი ჯაჭვი.

როგორც ცნობილია, აღზრდელის ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდია გარდატეხის ასაკი. 12-15 წლები. ეს სირთულე ამ ასაკისთვის დამახასიაღებელი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლი-

ლებებით არის გამოწვეული. თუ ის პირველი (12) წელი ნაყოფიერად იმუშავა ოჯახმა აღნიშნული სირთულე შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. მათ ამ პერიოდში ახასიათებთ სექსობრივი მომნიშვნელობა, მოზღვავებული გრძობები, დამოუკიდებლობის მოთხოვნები და ოჯახისა და სკოლის მიერ დადგენილ შეზღუდვებს ვერ ეგუებიან. ადვილად ითენთებიან და გუნება-განწყობა უფუჭდებათ იქამდე, რომ ზოგჯერ ნერვოზის და ფსიქოზის ნიშნებიც კი აღნიშნებათ, მართალია ყველას არა, მაგრამ ბევრს რთულად, მტკივნეულად გადააქვს ეს პერიოდი.

ამის შესახებ მშობლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, ასეთი მოზარდები ჯერ გამოუცდელეები არიან და საჭიროებენ მშობლისაგან მხარდაჭერას, გულისხმიერ მოპყრობას, საჭირო ინფორმაციების მიწოდებას ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კიდევ ირიბად, ინდივიდუალურად, ბუნებრივად.

მოზარდებში განსაკუთრებით სახიფათოა პორნოგრაფიული ფილმები, მაგნე თამაშების ყურება, რაც იწვევს სექსოლოგიურ, მორალურ და ემოციურ პრობლემებს, ზოგჯერ თვითმკვლელობასაც კი.

ამ მხრივ აუცილებელია მშობლებმა გამოიჩინონ დიდი სიფხიზლე და ბავშვს შეუზღუდონ ინტერნეტის თავისუფლად, უკონტროლოდ გამოყენება.

დასჯის მეთოდები ნაცადი საშუალებაა, ცნობილია ისიც, რომ მის გარეშე ყოველთვის ვერ დავაღწევთ თავს აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ერთბაშად გამკაცრება, ფიზიკურად დასჯა და რადიკალური ზომების მიღება არა ეფექტური მეთოდებია.

განრისხება, ფიზიკურად დასჯა ზოგჯერ შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს- ასეთ დროს მოზარდის სახლიდან წასვლა, თვითმკვლელობა და მსგავსი შემთხვევები არც ისე იშვიათია. მოსალოდნელი ხიფათი თავიდან რომ ავიცილოთ, მშოვლებს ბევრ დათმობაზე უნევთ წასვლა. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მოზარდისათვის ავტორიტეტული პირის რადიკალურად ჩართვა, რომელიც თვალს აუხელს ბავშვს, შეუქმნის ნარმოდგენას სულიერ და ზნეობრივ ფასეულობებზე, ცხოვრების არსზე. მშობლები ხშირად კიდევ ერთ პრობლემას აწყდებიან, ბავშვები იზრდებიან და იცვლებიან მშობლები კი სტატიკურ მდგომარეობას ინარჩუნებენ და მათ შორის შეხების წერტილები თანდათანობით ერთმანეთს სცილდება. ისინი ზოგჯერ აღარ არიან მართთვის ავტორიტეტები. მშობლის ავტორიტეტს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღზრდაში. რასაც ბავშვს უნუნებს მშობელი, ის წუნი თვად უნდა ჰქონდეს და იმ დარიგებებს დამრიგებლის ქცევაში უნდა ხედავდეს, რომ სარწმუნოდ მიიღოს. ასევე ბავშვები დიდ ყურადღებას აქცევენ მშობელთა გარეგნულ იერ-სახეს, ჩაცმულობას, მანერებს, მეტყველებას და თუ ეს მათ იდეალს არ პასუხობს, უპატივცემულოდ ექცევიან, მათ მოთხოვნებს ნაკლებად ემორჩილებიან. მოზარდი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პრობლემის დროს მშობლისგან მიიღებს გაგებას და თანადგომას, რომ ოჯახი ის ადგილია, სადაც ელოდებიან, უფრთხილდებიან, მასზე ფიქრობენ და მის ბედნიერ და ღირსეულ მომავალზე ზრუნავენ. წესიერი ადამიანი არც იმ ოჯახში აღიზრდება, სადაც მშობლების მთავარი საზრუნავია კომფორტულად ბინის მოწყობა მ. ბანძელაძის თქმით: „სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ არც დედა იჩქარის შინ და არც მამა, მათ სახლში თბილა, მაგრამ არ არსებობს ადამიანური სითბო, არსებობს მხოლოდ გაყინული კედლები და მოზეიმე ძვირფასი ნივთები, დამცინავად რომ შესცქერიან პატარებს. [1.97]. როგორია ასეთი ოჯახის მომავალი, როგორები იქნებიან ბავშვები, რომლებიც ასეთ ოჯახში აღიზრდებიან.“

საოჯახო აღზრდას, არამარტო პოზიტიური, არამედ ნეგატიური მხარეც გააჩნია. მშობლების დაშორება ბავშვებისათვის, თითქმის ყოველთვის ავადმყოფურ განცდებთან არის დაკავშირებული. ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა, დიდი დატვირთვის ქვეშ ექცევა. მას უხდება გაიგოს და მიიღოს ეს მოვლენა, რომელიც მთელ მის შემდგომ ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის. სცოდავენ ის მშობლები, რომლებიც ბედის ანაბარა ტოვებენ შვილებს, ანგრევენ ოჯახს, ხშირად ბავშვები მშობლების დავის საგნად იქცევიან, ამ დავაში ერთმანეთისადმი უხეში დამოკიდებულებით, ისინი სამუდამო სულიერ ტრავმას აყენებენ შვილებს, მათთვის ძნელია გარკვევა თუ მშობლებს შორის ვინ არის მართალი, ვისი მხარე დაიჭირონ. უვარგის ოჯახში ყოფნას ქუჩაში ყოფნას არჩევენ, ქუჩას კი თავისი კანონები აქვს და ისინიც ამ კანონებით იწყებენ ცხოვრებას. უხეშდება მათი სულიერი სამყარო, იზრდებიან გულქვანი, უნებისყოფონი ადრე თუ გვიან კი შურს ძიობენ დაკარგული ბავშვობის გამო.

შეიძლება შეგეშალოს რაიმე მათემატიკური მოქმედება და ის წავშალოთ, მაგრამ თუ აღზრდაში შეცდომა დაუშვით, საუბედუროდ ის აღარ წაიშლება. სუხომლინსკი წერდა: „ბავშვის აღზრდა უფრო ადვილია, ვიდრე მისი ხელმეორედ აღზრდა, რომელიც ყოველთვის ვერ მართლდება.“ [2.115].

გზა რომლითაც მოზარდი იწყებს ცხოვრებაში შესვლას, ბურუსითაა მოცული, თუ დროზე არ გაიფანტა ეს ბურუსი, იგი შეიძლება ასცდეს სწორ გზას და ჩამოყალიბდეს როგორც ძნელად აღსაზრდელი, ეს კი იმ შეცდომების გამო მოხდება, რომელიც მშობლებმა აღზრდის პროცესში დაუშვეს. კარგი შვილის

აღზრდას კარგი აღმზრდელი უნდა, მართალია ყველა ვისაც შვილი ჰყავს მშობელია, მაგრამ ყველა მშობელი როდია აღმზრდელი.

ამდენად, ოჯახი არ არის მხოლოდ სასაბავშვო და საძინებელი, იგი ცხოვრების სკოლაა და ადამიანური ცხოვრების სარბიელი. აღზრდის შედეგები კი იმაზეა დამოკიდებული თუ როგორია ოჯახი, როგორც სააღმზრდელი გარემო, როგორი ატმოსფერო და სულისკვეთება სუფევს მასში, რამდენად მზადაა მშობელი შვილის აღზრდისთვის, რას წარმოადგენს იგი როგორც პიროვნება და მოქალაქე, როგორია ოჯახში უფროს ნევრებს შორის დამოკიდებულება და ასე შემდეგ.

ლიტერატურა:

1. ბანძელაძე მ. – ეთიკა, ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა – 2011 წ.
2. ნარგიზიშვილი აკ. საოჯახო პედაგოგიკა, თბ., 2008 წ.
3. სუხომლინსკივ. ა. გულს ვუძღვნი ბავშვებს (ქართულ ენაზე) თბ., 1980 წ.
4. ხუხუბა გ. პედაგოგიკა, სოხუმის სახელმწიფო. უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2009 წ.
5. ჭავჭავაძე ი. ტ. 4, თბ. 1955 წ.

Tsira Bakradze

*Associate Professor
of Gori State Teaching University
Georgia, Gori*

FAMILY- AS THE BASIS OF MORALITY

Family and a child upbringing is one of the most topical issues for all ages. It is considered as one of the characters of human's morality. There is no society without a family and vice versa. Raising a child is one of the parents' responsibilities. A child learns from the father a number of life qualities: courage, strength, responsibility, but she/he takes care, warmth, tenderness, etc. from the mother.

Medical ethics proves that if a child suffers from lacking of parent's love, even for several months it can cause an irreparable damage to his or her mental, moral, and emotional development.

The upbringing process is continuous and it does not require specially allocated hours. A personal example has more influence on an adolescent than verbal exhortation.

Parents do irreparable damage when they abandon their children and destroy their families. Children are often the subjects of parents' disputes. In this dispute children are endangered by lifelong spiritual trauma. It is difficult for them to figure out which parent is right and needs their support. Such adolescents become introverts and lairs. They prefer to be in the street rather than in their unfit families, but the street has its own rules, and they have to follow and obey the cruel rules of the street. Their inner spiritual world gets rough and gradually they become violent, weak-willed and sooner or later they start to seek revenge for their lost childhood.

It is discussed both the positive and negative aspects of family upbringing in the report. A child upbringing is essentially focused on what the family is like in a nurturing environment, how eager a parent is to raise a child, what he/she represents as a person and citizen, what the attitude among the senior members of the family is, etc.

Бекойты Алана Г.,

*преподаватель
«Частное профессиональное образовательное
учреждение "Владикавказский колледж управления"
Россия, Владикавказ*

ПРОБЛЕМЫ МЕЖЭТНИЧЕСКИХ ОТНОШЕНИИ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ И ПУТИ ИХ ПРЕОДОЛЕНИЯ

Особенностью Кавказа является своеобразная изолированность кавказских независимых государств и российских республик, что обусловлено отсутствием международных контактных узлов, где сходились бы границы нескольких государств, затрудненностью связи данных политических субъектов с внешним миром и между собой, сильной экономической, политической и военно-стратегической зависимостью от транзита через территории соседних стран.

Кавказ - это традиционное общество, т.е. общество, которое живет по законам Шариата или горским Адатам.

Содержательный анализ конфликтов в пределах РФ позволяет сгруппировать их в три основных типа:

I тип - конфликты, в которых доминирующую роль играют территориальные притязания. Они касаются соседствующих народов и этнических групп и могут приобретать весьма острый характер. Яркий пример конфликта такого типа - осетинско-ингушский.

II тип - конфликты сепаратистского типа, в которых ставится вопрос о выходе из России и полной государственной самостоятельности. Здесь наиболее ярким примером является чеченский кризис.

III тип - статусные конфликты, в основе которых лежат требования о расширении административно-управленческих полномочий в соответствующем регионе. На протяжении конца 80-х годов вплоть до принятия новой Конституции РФ (1993 г.) почти все регионы боролись за повышение статуса: автономные области стремились превратиться в республики, республики декларировали свой суверенитет и независимость.

Для реализации действенной политики России на Кавказе ведущие политологи предлагают осуществить ряд неотложных практических комплексных мер, включающих в себя:

- создание межведомственной комиссии при правительстве Российской Федерации, наделенной полномочиями координации усилий всех органов власти в регионе (в настоящее время для этого есть полномочные представители в ЮФО и СКФО);
- стимулирование организации межгосударственных финансово-промышленных групп, политических ассоциаций, акционерных обществ, компаний, фондов (пользующихся льготами и государственной поддержкой), а также заключение двух-, трех- и многосторонних соглашений между предприятиями, вузами, научными и культурными учреждениями, общественными организациями и объединениями;
- разработку согласованной системы мер по формированию общего экономического пространства, всестороннему развитию внутрирегионального торгового, экономического, научно-технического сотрудничества, осуществление совместных инвестиционных программ и проектов, в том числе международных с учетом сложившихся связей;
- создание системы нормотворческой деятельности, направленной на расширение и совершенствование нормативно-правовой базы регулирования экологических и культурных отношений в регионе;
- обеспечение благоприятной социально-культурной инфраструктуры межнационального согласия и сотрудничества на Кавказе;
- разработку и реализацию эффективной научно обоснованной системы мер обеспечения личной и общественной безопасности;
- широкое использование активно действующей системы народной дипломатии, встреч и контактов представителей различных общественных организаций: женских, молодежных, студенческих, научных и др.;
- формирование региональных систем предотвращения и урегулирования этнополитических конфликтов;
- создание единого информационного поля, инфраструктуры (центр, ассоциация, фонд, институт, издательство) на принципах открытости, объективности и терпимости. Организация межнациональных и общественных печатных органов [6, с. 105].

Следует разработать и конкретные программы внутрирегионального сотрудничества по развитию транспортной инфраструктуры, созданию единой энергетической системы региона, функционированию агропромышленного комплекса, формированию системы экологической безопасности, развитию международного туризма и курортных зон; научно-техническому сотрудничеству, созданию ассоциаций, объединений представителей академической науки, федеральных и местных научных учреждений; углублению и расширению культурного сотрудничества народов Кавказа; подготовке профессиональных кадров высшей квалификации (по квотам субъектов Северного Кавказа) в учебных заведениях и крупных научных центрах РФ.

Повышению этнополитического согласия должно содействовать международное и государственное законодательство, документально закрепившее необходимость взаимовыгодного сотрудничества народов на основе признания и уважения их основных прав и свобод на существование, запрещающее геноцид и этноцид, самоидентификацию, суверенитет, самоопределение и самоуправление, сохранение культурной самобытности, контроль над использованием природных ресурсов, доступ к достижениям мировой цивилизации.

Конфликт возникает и функционирует в определенной социально-политической среде. Она включает в себе тот потенциал, который дает возможность противоречию, возникшему в обществе, либо в самой политической системе, найти свой выход в возникновении и развитии конфликта с возможным его

перерастанием в кризисную ситуацию, как отдельных структурных элементов социально-политической системы, так и всей системы в целом [5, с. 38].

Существуют определенные меры, способствующие преодолению кризиса и стабилизации обстановки на Кавказе.

В экономической области – это оказание адресной финансовой помощи конкретным категориям населения региона и «буферной зоны»; развитие в регионе перспективных отраслей производства; создание новых рабочих мест.

В сфере укрепления безопасности и правопорядка - это обеспечение действенной защиты населения от бандитских нападений; усиление мер по предотвращению проникновения в Чечню, Дагестан, Ингушетию, Северную Осетию–Аланию и Ставрополье боевиков и оружия. В критических случаях перечисленным регионам необходимо временно придавать особый статус до полного урегулирования ситуации.

В этнополитической сфере необходимо обеспечить реализацию государственной национальной политики на Северном Кавказе; подписать договоры, в том числе об урегулировании отношений и сотрудничестве между Северной Осетией-Аланией и Ингушетией и др.; сформировать систему коллективного рассмотрения северокавказских этнополитических проблем и выработать рекомендации органам власти [7, с. 25].

В сфере межгосударственных отношений можно отметить такие меры как создание государственной системы мониторинга этнополитической ситуации в регионе для выполнения функции прогнозирования и раннего предупреждения возможных конфликтов и т.д.; достижение договоренностей о приграничном сотрудничестве, совместных программах в области образования, культуры, языка, сохранения традиций и т.д.

В решении многих вопросов духовной сферы помогут активная пропаганда идеи духовного единства, дружбы народов, межнационального согласия с учетом традиций и обычаев кавказских народов; направление усилий на сохранение и развитие самобытных культурных традиций северокавказских и других российских народов, проживающих в регионе; оказание всемерного содействия в реализации прав и свобод граждан, связанных с их национальной принадлежностью, на основе многовариантных форм национально-культурного самоопределения, в том числе и путем создания национально-культурных автономий как важного средства выявления и удовлетворения этнокультурных запросов граждан, достижения межнациональной стабильности и т.д. [7, с. 55].

Не следует тиражировать и навязывать модель действий, которая показала на практике свою несостоятельность. Так, в двухсторонние конфликты на Кавказе нередко оказывается втянутой «третья сила» — федеральный центр, на который тут же перекладывается вся ответственность за события, а участники объединяются в борьбе против «арбитра». Это порочная практика, так как за конфликты внутри субъектов Федерации должны нести ответственность сами субъекты и их руководители.

Нельзя допускать нарастания напряженности в относительно благополучном западном секторе Кавказского региона, куда входят такие субъекты Российской Федерации, как Кабардино-Балкария, Карачаево-Черкесия, Адыгея, Краснодарский край.

Необходимо также осуществить мораторий на изменение территориальных границ субъектов Федерации. Поэтому принципиальное значение имеет инициатива Президента России и Председателя Правительства об объявлении на ближайшие 15-20 лет моратория на изменение территориальных границ субъектов Федерации;

Кроме того, Председатель Правительства выступил за создание специальной структуры на федеральном уровне, которая будет заниматься национальным вопросом в России. Он отметил, что поскольку, граждане раздражены многими издержками, связанными с массовой миграцией, предлагается ввести уголовную ответственность за нарушения миграционных правил, не ущемляя при этом конституционных прав граждан на выбор места жительства [9, 10]

Он предложил активизировать работу с политическими элитами, общественностью в Центре и регионах, с религиозными деятелями основных конфессий для консолидации усилий перед угрозой экспансии религиозного экстремизма, отвергающего идеи межнационального и межконфессионального сотрудничества, строительства в России гражданского общества.

Немаловажным является предупреждение конфликтов. Таким средством может являться управленческая деятельность по отслеживанию уровней социальной напряженности по различным плоскостям общественных отношений и приведение их к оптимальному значению. При этом следует учитывать, что данная мера эффективна только в условиях относительной стабильности социально политической системы и ограниченно применима к условиям нестабильных средств [2, с. 31].

Кавказ – важнейший регион, где сегодня проходят испытание на прочность не только межнациональные отношения, но и вся модель национально-государственного устройства России, так же, как и система

федеративных отношений. Не только России нужен Северный Кавказ, но и Северному Кавказу нужна Россия. Кавказ – это Россия, и не в меньшей степени, чем любой другой регион страны.

Особая опасность для целостности России вытекает из того обстоятельства, что некоторые российские политики не только не замечают назревающей опасности на Северном Кавказе, но и содействуют развитию событий именно в этом направлении. Причем руководствуются они разными соображениями. Одни видят в лозунгах суверенизации продолжение демократических процессов, другие исходят из известного правила политической игры: «чем хуже, тем лучше». И как бы само собой подразумевается, что следует поощрять национальные конфликты ради получения дополнительных аргументов в подтверждение тезиса о несостоятельности политического курса правительства [8, с. 43].

Основные неудачи государственной политики на Северном Кавказе вызваны методами управления. Нередко, поддерживая межнациональные противостояния, местные власти не только сохраняют свои привилегии, должности, но и используют нестабильность ситуации для выбивания дополнительных средств из федерального бюджета, которые затем расходуются чаще всего не по целевому назначению. Исторически сложившийся в кавказской политике стереотип о том, что горцы уважают силу, играет губительную роль. Поэтому управление делами на Кавказе осуществляется, как правило, военно-административными методами. Однако люди на силу чаще отвечают силой, а на дружбу - дружбой. Необходимо в корне изменить подходы к кавказской политике.

Литература:

1. Абдулатипов Р. А., «Национальный вопрос и государственное устройство России», М, 2017 г.
2. Андреев В. К., «Конфликтология: искусство спора, ведения переговоров, разрешение конфликтов », г. Казань, 2018 г.
3. Дружинин В. В., Конторов М. Д., Конторов Д. С. «Введение в теорию конфликта», М., 2009 г.
4. Здравомыслов А. Г., «Межнациональные конфликты», М., 2019 г.
5. Здравомыслов А. Г., «Социология конфликта», М., 2019 г.
6. Ликсон Ч., «Конфликт: семь шагов к миру» СП б, 2018 г.
7. Нансо Д. А., «Современный быт и культура народов Кавказа», г. Ставрополь, 2017 г.
8. Скотт Дж., «Конфликты: пути их преодоления», г. Киев, 2018 г.
9. <http://www.putin2012.ru/>.

Alana Bekoity G.

*Private professional educational institution
"Vladikavkaz College of Management"
Vladikavkaz, Russia*

PROBLEMS OF INTERETHNIC RELATIONS IN THE NORTH CAUCASUS AND THE WAYS OF THEIR OVERCOMING

A feature of the Caucasus is the peculiar isolation of the Caucasian independent states and Russian republics, which is due to the lack of international contact points where the borders of several states converge, the difficulty in connecting these political entities with the outside world and among themselves, and strong economic, political and military-strategic dependence on transit through territories of neighboring countries.

The Caucasus is a traditional society, i.e. a society that lives by Sharia law or the mountain Adat.

Studying the priority areas of Russia's geopolitics in the North Caucasus, one must take into account existing trends, historical precedents, and potential models for the development of ethno-confessional structures of the Caucasus. For this, it is necessary, on the basis of a geopolitical methodology, to analyze a variety of ethnopolitical, conflictological, religious studies information, to analyze the organic, social, cultural, ethnoconfessional and criminal connection of the peoples living in the Caucasus with the life and functioning of diasporas located both on the territory of Russia and abroad. In this perspective, it is necessary to develop a map of diasporas that ethnically belong to the symbolic space of Caucasian geopolitics.

Of particular importance should be given to studying the structure of the religious experience of the Caucasian peoples, the dialectics of the correlation of exoteric dogmas and esoteric cults (tariqas, wyards, spiritual schools), as well as the study of tribal structuring taking into account clan, type and other features.

მიხეილ ყიფიანი და კოსტა ხეთაბურთვი

ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ყიფიანი დაიბადა 1833 წლის 12 აპრილს, სოფელ ვახანში (ხარაგაუღოს რ-ნი), დანყებითი განათლება მიიღო გორის სამაზრო სასწავლებელში. შემდეგ დაამთავრა კავკასიის სამიჯნე სასწავლებელი. იგი ჯერ სამინათმოქმედო ორგანოებში მუშაობდა, შემდეგ კი მშობლიურ სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. გამორჩეული ნიჭისა და განათლების წყალობით, ის განსაკუთრებულად უყვარდათ მის მოსწავლეებსა და კოლეგებს. მისი ბიოგრაფები წერენ: „ბუნებით სათნო და ენერგიულ პედაგოგს, მიხეილ ყიფიანს, მოსწავლეთა და კოლეგების დიდი სიყვარული დაუმსახურებია. მიხეილ ყიფიანი თავისი მიმზიდველი საუბრით, უბადლო მჭევრმეტყველებით, შეიძლება ითქვას, აჯადოებდა მოწაფეებს“ [6. 1986:6].

დიდ პედაგოგს აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა საგნის სწავლების დროს თვალსაჩინოების გამოყენება. მის პედაგოგიურ ნიჭსა და ოსტატობაზე მიგვანიშნებს ნიკოლოზ ყიფიანის (ცნობილ საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ვაჟი) მოგონება, რომელიც ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა. ბავშვობაში მას ფრანგი მასწავლებლები ამეცადინებდნენ, მაგრამ მათ ვერ დაუინტერესებიათ ბავშვი ამ საგნებით. დიმიტრი ყიფიანს დაუთხოვია ფრანგი მასწავლებლები და მიხეილი მიუწვევია შვილის მასწავლებლად. „მათ ხელში ვერა ვსწავლობდი კარგად, – იგონებს ნიკოლოზ ყიფიანი, – ნარმოიდგინეთ – არითმეტიკა, რომელიც მანამდე ჭირივით მძულდა, შემეყვარდა მიხაკოს ხელში, შემეყვარდა გეოგრაფია... შემეყვარდა ყველაფერი, რასაც მიხაკო მასწავლიდა და იმის ხელში ყველაფერი მეადვილებოდა“ [1.1883:9].

მრავალი წლის შემდეგაც საინტერესოდ იხსენებს მ. ყიფიანის გაკვეთილებს მისი მოსწავლე: „ათი წლისა ვიყავი, როცა ის ჩემი მასწავლებელი იყო... გავიდა ოცდათექვსმეტი წელი, ჰოლანდიაში, პატარა ქალაქ ბროკში მოვხვდი. გამახსენდა ერთი გაკვეთილი მიხაკო ყიფიანისა... ჰოლანდიის ხალხის ყოფაცხოვრების, წესების და ჩვეულებების ამბავს მიახლოებდა. მომიყვა ამ პატარა ქალაქის ბროკის ამბავს... სწორედ რაც ამ ოცდათექვსმეტი წლის წინათ ჩვენმა ძვირფასმა მიხაკომ მიაბო, ჩემი თვალითა ვნახე და სწორედ ის იყო, როგორც მაშინ გამომიხატა“ [1.1883:10].

მ. ყიფიანი მართლაც გამორჩეული და მრავალმხრივ განათლებული იყო: ის გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართული სკოლის თვალსაჩინო მოამაგე, მათემატიკისა და გეომეტრიის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, არაჩვეულებრივი პედაგოგი და, რაც მთავარია, დიდი ილიას თანამებრძოლი, თავისი ქვეყნის პატრიოტი.

კაცმა მთელი ცხოვრება საქვეყნო საქმიანობას უნდა შეაღწიოს, თავისი ქვეყნის „თვალყურმადევი“ უნდა იყოს, მასზე ზრუნვაში უნდა ათენ-ალამოს, რომ ისეთმა დიდმა მოღვაწემ, როგორც იყო ილია ჭავჭავაძე, ასეთი სიტყვებით დაახასიათოს: „მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთ მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოვლთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოუთვლიან ხოლმე, როგორც მიხეილ ყიფიანი იყო. აი, ვინ დავკარგეთ დღეს, აი დღეს ვისა ვმარხავთ, აი, ვინ დააკლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს. ამისთანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა ერისა და ქვეყნისათვის“ – ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა გამორჩენილ საზოგადო მოღვაწესა და გამორჩეულ ერისკაცს, პუბლიცისტს, მთარგმნელსა და პედაგოგს მიხეილ ყიფიანს, ილია ჭავჭავაძე [2. 1955:55].

მიხეილ ყიფიანს ეკუთვნის სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები „ყაზბეგიდან იალბუზამდე“, მან თარგმნა ლერმონტოვის „გმირი ჩვენი დროებისა“, მანვე 1865-66 წლებში თარგმნა შექსპირის ტრაგედია „იულიუს კეისარი“ (დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“), ასევე უთარგმნია ბელინსკის წერილები. მისი შედგენილია „საქართველოს რუკა“. მასვე შეუდგენია შრიფტი (ე.წ. „ვენის შრიფტი“), რომლითაც იბეჭდებოდა „ივერია“. განუზომლად დიდია მისი ღვაწლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „საქართველოს მოამბეში“ იბეჭდებოდა მისი ფელეტონები ქართული კულტურისა და განათლების საკითხებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მიხეილ ყიფიანის საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო მოღვაწეობა. იგი ყოფილა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ (და-

არსდა 1879 წლის 31 მარტს) ერთ-ერთი დამფუძნებელი და ილიასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის შემდგომ საქმიანობაში. მ. ყიფიანი გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავაძეს და ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ აქტიური თანამშრომელი იყო.

ცნობილი „მამათა და შვილთა ბრძოლა“, რომელიც ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო, გარკვეულად „საქართველოს მოამბის“ გვერდებზეც აისახა. მიხეილ ყიფიანს ამ თემაზე გამოუქვეყნებია ვრცელი წერილები სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით.

მწერლისა და მწერლობისათვის მიხეილ ყიფიანს აუცილებლად მიაჩნდა სალი კრიტიკა (ამას იგი თვით კრიტიკოსისთვისაც საპატიო მოვალეობად თვლიდა). მ. ყიფიანი თვითონ კრიტიკოსსაც მაღალ მოთხოვნებს უყენებდა, კრიტიკოსის უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდა განათლება-განსწავლელობა, ერუდიცია, დიდი ტაქტი და გამოცდილება.

დიდად ზრუნავდა მიხეილ ყიფიანი ქართული ენის სინმინდისათვის. ის მკაცრად აკრიტიკებდა ჟურნალ „ცისკარს“ ქართული სალიტერატურო ნორმების დარღვევისათვის, უფრო სწორად, არქაული ფორმების ხმარებისათვის. მისთვის მისაღები იყო ცოცხალი, სალაპარაკო ქართული და არა მკითხველისათვის უკვე გაუგებარი ლექსიკის ხმარება. საინტერესოა მ. ყიფიანის მოსაზრება თარგმანთან დაკავშირებით. იგი მთარგმნელს რამდენიმე მოთხოვნას უყენებდა: უნდა იცავდეს ორიგინალის ზედმინევენით სიზუსტეს, არ შეცვალოს სიტყვის, ფრაზის მნიშვნელობა; ასევე კარგად უნდა ფლობდეს იმ ენას, რომელზეც თარგმნის. ხოლო თარგმანის ენა უნდა იყოს არა ხელოვნური, ბუნდოვანი ფრაზებით აგებული, არამედ მან სათარგმნი ტექსტი იმ ენაზე უნდა თარგმნოს, „რომელზედაც ლაპარაკობს შინა, გარეთა და საზოგადოებაში“.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის საკითხები, ქართველთა განათლება, ქართული კულტურის განვითარება, მუდმივად იყო მიხეილ ყიფიანის ზრუნვის საგანი და მუდმივად ცდილობდა მათი დაცვის სადარაჯოზე მდგარიყო ილიასთან და აკაკისთან ერთად.

1871 წლიდან მიხეილ ყიფიანი სიცოცხლის ბოლომდე ჩრდილოეთ კავკასიაშია, კავკავში (რფორც მაშინ ეძახდნენ ვლადიკავკაზს). იქ იგი მუშაობს თერგის ოლქის სამიჯნო (სამიწათმუქმედ) ნაწილის უფროსად. მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო მოვალეობები ჰქონია, ბოლოს კი - თერგის მხარის მმართველმა მ. ტ. ლორის-მელიქოვმა იგი დანიშნა თერგის მხარის გამიჯვნის უფროსად. მას გენერლის ჩინიც მიუღია.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მიხეილ ყიფიანს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში, იყო მათი დიდი ქომაგი და მეგობარი. იგი არა მხოლოდ ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა განათლებისა და კულტურის საკითხების მოგვარების თაოსანი იყო, არამედ – მათი მეგობრობისა და სიყვარულის ერთგვარი განმამტკიცებელიც. სამართლიანად უწოდებდნენ მას „მთის იქითელთა და მთის აქითელთა შემაერთებელს“. მას ჰქონდა დიდი ნიჭი არამარტო საქმიანობის წარმატებულად წარმართვა-დაგვირგვინებისა, არამედ – ადამიანების ურთიერთდაახლოებისა. მის გარშემო ტრიალებდნენ ქართველი და ოსი მოღვაწენი, რომლებიც მას დიდად აფასებდნენ: „ილიასავით მაღალი აზრისა იყო მიხეილ ყიფიანზე გამოჩენილი ოსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვიც. კოსტა ხეთაგუროვისა და მიხეილ ყიფიანის ერთობლივმა მისწრაფებებმა და ბრძოლამ მთიელთა და, კერძოდ, ოსთა ინტერესების დაცვის საქმეში ჭეშმარიტად ძმური და განუყრელი კავშირით დაახლოვა ისინი“ [6. 1986:57].

1883 წელს ჩამოყალიბდა „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მიხეილ ყიფიანი. იგი ვარდაცვალებამდე აქტიურად ედგა ამ საზოგადოებას სათავეში. მან ჩამოაყალიბა ამ საზოგადოების მოქმედების პროგრამა, „წესდება“. „საზოგადოება“ მიზნად ისახავდა თერგის ოლქის მთელ მოსახლეობაში ხელი შეეწყო სასკოლო განათლების საქმისათვის; საზოგადოება უფლებამოსილი იყო, დადგენილი წესის მიხედვით, ოლქის მოსახლეობისათვის გაეხსნა სკოლები კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ ამიერკავკასიის მხარის „ტუზემცური“ სკოლებისათვის გამოცემული პროგრამების მიხედვით; სახსრების ზრდის შესაბამისად, საზოგადოებას შეეძლო ქალაქებსა და სოფლებში დაწყებითი ერთკლასიანი, ორი ან სამკლასიანი სკოლების დაარსება. „საზოგადოება“ თერგის ოლქის ოს ინტელიგენციას მოუწოდებდა ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის შექმნისა და განვითარებისაკენ [5. 1965:95].

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა „საზოგადოებამ“ სახალხო სკოლების გაშლა-გაფართოებისათვის, ამ სკოლებში დედაენის სწავლებისათვის, ტექნიკური ცოდნის ჩვევების განვითარებისათვის. ამისათვის სახსრების შეგროვებისათვისაც ისევ გამგეობა ზრუნავდა. შეგროვილი თანხა ხმარდებოდა

სასკოლო შენობების აგებას, სახელმძღვანელოების გამოცემას, ბავშვებისა და უმაღლეს სკოლაში შემსვლელთა დახმარებას, ბიბლიოთეკების დაარსებას.

მიხეილ ყიფიანმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ოსთა განათლების საკითხს. იგი წერდა: „მომთხოვნელობა მშობლიური ბეჭდვითი სიტყვისა, უკვე დიდი ხანია მომნიჭდა მთიელთა შორის, განსაკუთრებით ოსებში, რომლებმაც შექმნეს ეროვნული ლიტერატურის ნაწარმოებნი, ჰყავთ მწერლები... ეს საქმე ერის ქეშმარიტ განათლებაზე დაფუძნებით მატერიალური მხარდაჭერის პირობებში შეიძლება მნიშვნელოვნად გაფართოვდეს“.

მიხეილ ყიფიანმა და მისმა „საზოგადოებამ“ დიდი როლი შეასრულეს ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ოსეთში, ეროვნული მწერლობის, საბავშვო მწერლობისა და გამომცემლობის საფუძვლის ჩაყრაში, დედანების სახელმძღვანელოების გამოცემის, სახალხო სკოლის ქსელის გაშლა-განვითარებაში, უკვე არსებულ სასკოლო ნაგებობათა შეკეთება-გაფართოებისა და მათი შემდგომი კეთილმოწყობის, სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაფართოება-გაუმჯობესებისა და „ოსური ანბანის“ გამოცემის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ „საზოგადოების“ გამგეობის წევრი ყოფილა ოსური სალიტერატურო ენისა და ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი, ოსი ხალხის სულიერი წინამძღოლი, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი. ეს ორი ბუმბერაზი ადამიანი ერთად იღვწოდა კულტურისა და განათლების საკითხების მოსაგვარებლად.

მ. ყიფიანი ძალიან დაუახლოვდა იქ მცხოვრებ მთიელებს, გახდა მათი დიდი მეგობარი, მუდმივად ზრუნავდა ამ ღარიბ-ღატაკ და დაჩაგრულ ხალხზე და ისინიც მას დიდ პატივსა სცემდნენ. იგი ხშირად მოგზაურობდა ჩრდილო კავკასიაში, ჩადიოდა და ეცნობოდა მათ ცხოვრებას, გულსა სტკენდა მათი უნუგემო ყოფა. ეს შთაბეჭდილებებია აღწერილი მის წიგნში „ყაზბეგიდან იალბუზამდე (მგზავრის ჩანაწერები თერგის ოლქის მთიანეთის ზოლის შესახებ)“.

„მგზავრის ჩანაწერებში“ დეტალურ სიზუსტემდეა აღწერილი რეალობა: დიდებული ბუნება და ამ ბუნებაში მცხოვრებთა გასაჭირი, უგზობობა, მთიელთა მძიმე და გაუსაძლისი ცხოვრება.

უაღრესად საინტერესოა მოგზაურული ჟანრის ეს თხზულება. სამწუხაროდ, მთლიანად ვერ მიმოვიხილავთ ამ სტატიას, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს არის მოგზაურული ხასიათის ნაწარმოები, რომელიც მნიშვნელოვანია ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული, ტრადიციული და, საერთოდ, მრავალმხრივი თვალსაზრისით. „უმდიდრესი მასალაა მონოდებული ამ თხზულებაში ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ, მის განსაცვიფრებელ სილამაზეზე... დიდი რუდუნებით აღწერს მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, მათ საქმიანობას“ [7. 2016: 79-80]. მ. ყიფიანი დაუფარავად წერს ასევე იმ პრობლემებზე, რომელიც იქ მცხოვრებთ აქვთ: დუხჭირი ცხოვრება, უგზობობა და სხვა: „თხზულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მოგზაური დიდი სიბოთით და სიყვარულით იხსენიებს იქ მცხოვრებ მთიელებს, ოსებს და ცდილობს, დასახოს პრაქტიკული გზა მათი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა“ [7.2016:80].

მიხეილ ყიფიანის ბიოგრაფი გიორგი ლუდუშაური წერს: „მ. ყიფიანის ეს ნაშრომი თერგის ოლქის მთის მოსახლეობის ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების ამსახველ ძვირფას ცნობებს შეიცავდა. ეს ისეთი მასალაა, თავისი სისრულითა და ობიექტურობით საარქივო მასალაც კი ვერ გაუწევს კონკურენციას“ [6. 1968:37].

ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეს თხზულება იმ მხრივ, რომ მოგზაური დიდი სიბოთით და სიყვარულით იხსენიებს იქ მცხოვრებ მთიელებს, ოსებს და ცდილობს დასახოს პრაქტიკული გზა მათი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის.

ავტორის პოზიცია ძალზე პოზიტიურია როგორც გარემოს აღწერის დროს, ისე – ადამიანების დახასიათებისას. ავტორი ცდილობდა, ყველაში მხოლოდ კარგი დაენახა. ყველა მხოლოდ კარგი მხრიდან წარმოეჩინა.

მ. ყიფიანი საოცრად კეთილგანწყობილი იყო ოსი ხალხის მიმართ. რასაკვირველია, მის სიყვარულს სიყვარულით პასუხობდნენ ოსები. განსაკუთრებით ახლოს იყო მიხეილ ყიფიანი დიდ ოს პოეტთან, საზოგადო მოღვაწესთან კოსტა ხეთაგუროვთან. დღემდე ლეგენდად დარჩა ქართველ და ოს ხალხში მათი უანგარო მეგობრობის ამბავი. ისინი ერთად იღვწოდნენ ყველა საერთო საქმისათვის, რომელიც მაშინ იდგა კავკავში მცხოვრებ ქართველთა თუ ოსთა წინაშე.

დიდი ღვაწლისათვის, ოსების განათლებისა და კულტურის საკითხებზე ასეთი ზრუნვისათვის, ცნობილი ოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი დიდად აფასებდა მ. ყიფიანს. ცნობილია, რომ კოსტა ხეთაგუროვმა შექმნა მ. ყიფიანის პორტრეტი და ორი შესანიშნავი ლექსიც უძღვნა.

მიხეილ ყიფიანი გარდაცვლილა 1891 წლის 2 მარტს. დაკრძალულია თბილისში, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გაზეთი „ივერია“ 1891 წლის 5 მარტს წერდა: „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის სიცოცხლემ სამშობლო ქვეყნის ზრუნვასა და მისთვის გულმტკივნეულობაში განვლო. მიხეილ ზაალის ძე იყო სული და გული კავკავში დაარსებულის ქართულის სკოლისა. ამ ბოლო დროს საქართველოზე შორს იყო, მაგრამ სული მისი მაინც ჩვენს შორის ტრიალებდა, ზრუნავდა, ჩვენს ქვეყანას არ შორდებოდა“.

ელდასავით მოედო მ. ყიფიანის გარდაცვალების ამბავი მთელ კავკავს. ყველა გლოვობდა, ყველას გული დასწყვიტა მისმა სიკვდილმა. „ივერია“ წერდა: „ქართველებზე ნაკლებ არა წუხდნენ აქაური სომხები, რუსები, ოსნი. ყველასათვის კარგი იყო მიხეილ ყიფიანი, ყველას გული მოგებული ჰქონდა განსვენებულს თავისი კარგის კაცობით, ქველობა-სათნოებით“. მას ცალ-ცალკე გადაუხადეს პანაშვიდი რუსებმა, სომხებმა, ოსებმა. ქართველებთან ერთად მთელი ჩრდილოეთ კავკასია მწარედ ტიროდა. იგი ხომ ყველაზე ზრუნავდა, ყველა გაჭირვებულს მხარში ედგა.

მ. ყიფიანის დაკრძალვისას კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში წარმოუთქვამს: „შენ მზრუნველობას ავლენდი იმ ჩვენს სხვადასხვა მოძმეთა, რომელნიც გარს ახვევია ჩვენი დიდი კავკასიონის მთებსა. შენ გვაჩვენე, რომ ქართველ კაცს შეუძლია მოძმეობა გაუწიოს ჩვენ მეზობელ ხალხებსაც გვარტომობისა და სარწმუნოების განურჩევლად. შენი ყოფნა მათ შორის დამასწავლებელია ჩვენთვის. შენს ძაუგში შეერთდა შენს გვამზედ იმ კაცთა ცრემლი, სანამდისინ შენს სამშობლოში შეუერთებდით ჩვენც ჩვენს ცრემლსა. შენს ცხედარზედ შეერთდა ცრემლი მთის იქითელთა და მთის აქეთელთა. შენმა სულმა შეგვაერთა დღეს მგლოვიარენი. მშვიდობა შენს სულს რომ დაგვიმტკიცე აზრი, რომ მშვიდი მოღვაწე სამშობლოსა შესძლებს მოღვაწეობას მეზობლობაშიც, ესეც კი კმაროდა, რომ მაღლობით აღვისილს შენთა მეგობართა გულში საუკუნოდ დაშთეს სახსნებელი შენი“.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ეს დანაკარგი მისი უახლოესი მეგობრისათვის, მისი თანამებრძოლისათვის კოსტა ხეთაგუროვისათვის.

კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის უმაღლესი კრიტერიუმებით გამორჩეულ ადამიანებს თავიანთი ერისა და ქვეყნის შვილები დიდად აფასებენ, შესაბამისი ეპითეტებითაც ამკობენ. მაგრამ უაღრესად ამაღლევებელია ის ლექსები, რომლებიც მის ცხედართან წარმოუთქვამს კოსტა ხეთაგუროვს. პოეტს ჯერ ოსური ლექსი წაუკითხავს (მოგყვას მთლიანად), რომელშიც უაღრესი სითბო და სიყვარულია გაცხადებული ოსი ხალხის მოამაგის, მასზე მზრუნველის მიმართ. ოსი პოეტი მას „სიმათლის, სიყვარულის, ძმობის ჩირაღდანს“ უწოდებს და მადლიერების გრძნობით აღვისილ სტრიქონებს უძღვნის:

მეგობრის საფლავთან

მ. ზ. ყიფიანის ხსოვნას

გზა მშვიდობისა, ჩვენზე დარდის არ გაგყვეს ჯავრი,

მიენდე უფალს, მოიშორე გულის ნალველი,

სამოთხის კართან ანგელოზნი გელიან ჯარად,

ამქვეყნად ამის თავდება შენი სახელი.

იღვწოდი მინყვი: სიკეთის ნერგს ჩვენშიც ეხარა,

ხალხისთვის მზრუნველს არც სიცოცხლე გიჩნდა ჩირადაც

დღესა და ღამეს ასწორებდი და ჩემს ქვეყანას

ენტე სამართლის, სიყვარულის, ძმობის ჩირაღდანად,

ჩვენი ქვეყანა შეიყვარე, დედა ვითარცა,

ჩვენს სიდუხჭირეს ნუგეშად და მწყემსად ედექი;

თაყვანისცემის ოცნებებმა შორს გაგვიტაცა:

რა ფიანდაზი განგიფინოთ, ღირსი ედემის...

ჩვენ შთამომავალთ შთავაგონებთ, უფლის წყალობით,

მადლიერები იყვნენ შენით... კუბოს კარამდი,

ჩვენ უშენობით, უშენობით ვართ საბრალონი,

არ შეგვაშრება ხსოვნის ცრემლი ან და მარადის.

თარგმნა გ. შახნაზაროვმა

როგორც გაზეთი „ივერია“ წერდა, ამ ლექსის წაკითხვისას „ყველა სმენად გადაქცეულა, ცდილობდნენ გაეგონათ თვითოეული სიტყვა, რომელსაც ისე უმოქმედია მათზე, რომ გულმაგრებსაც ვერ შეუკავებიათ ცრემლი“.

ქართულ ენაზე გამოცემული კოსტას ლექსების კომენტარებში ვკითხულობთ: ეს ლექსი, რომელიც მან სადგურ ბალთაზე წაიკითხა მ. ზ. ყიფიანის კუბოსთან 1891 წლის მარტის 3-ს, „კარგა ხნით ადრე და-ბეჭდამდე, ხელიდან ხელში გადადიოდა მრავალგზის გადანერილი“...; უფრო მეტიც, „მასებში ამ ლექსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და ოსების საყვარელ სიმღერად იქცა“ (ო. დოლაბერიძე).

ძნელი იყო კოსტასათვის გამოთხოვება ადამიანთან, რომელმაც ამდენი სიკეთე გაუკეთა არა მარტო მის ხალხს, არამედ ყველას. ის გვერდში ედგა და გაჭირვებას უმსუბუქებდა თვითოეულს, ვისაც კი მისი დახმარება სჭირდებოდა. კოსტას მეორე ლექსიც მიუძღვნია მ. ყიფიანისათვის რუსულ ენაზე. რუსულად დაწერილი კოსტას ლექსი – „მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე“ – მოგვიანებით ჩვენს სასიქადულო პოეტს ვალერიან გაფრინდაშვილს უთარგმნია, მაღლიერების გრძნობითაა აღსავსე კოსტა ხეთაგუროვის ამ ლექსის სტრიქონებიც. მოგვაქვს ეს ლექსიც მთლიანად:

მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე
მოკვდა... ეს სიტყვა უსასო, ცივი,
ჟღერს უსასრულო ღრმა მწუხარებით
და დღეს კავკასო, შენს გლოვა-ჩივილს
ბანს აძლევს მთები ზარ-მქუხარებით.
კავკასო, შენი ხალხთა ოჯახი
დასტირის მას, ვინც შენს ფიქრებს ჰფლობდა;
ვინც მოკრძალებულ ქართველის სახით
ნერგავდა კეთილს და ბოროტს ჰგმობდა.
ბევრი კი იყო განა მასავით
ქოხებში ნთებულ ცოდნის ვარსკვლავად;
რომ ვყვარებოდით მისებრ ძმასავით
და მტერთ შებმოდა ჩვენს დასაცავად?
არა! მაშ, მხარევე, იგი ღირსია,
ახსოვდეს მარად შთამომავლობას...
ჩემო კავკასო! მაგ ტირილშიაც
ვხედავ მომავალს, შენს დიად მყობადს!
თარგმნა ვ. გაფრინდაშვილმა

მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის მეგობრობა ისეთი მნიშვნელოვანი იყო ორივე ერისათვის, რომ თვითონ დიდი ილიაც არღვევს პრესის წეს-კანონებს და ქართულ გაზეთ „ივერიაში“ აკეთებს იშვიათ და ერთადერთ გამონაკლისს – კოსტა ხეთაგუროვის მიერ მიხეილ ყიფიანისადმი მიძღვნილ რუსულ ენაზე დაწერილ ლექსს რუსულადვე აქვეყნებს (სულ რამდენიმე დღეში, 10 მარტს). იქვე მოცემულია მიხეილ ყიფიანისადმი მიძღვნილი ოსურად დაწერილი მეორე ლექსის შინაარსი ქართულად. მთელი თერგის ოლქის მოსახლეთა სათქმელი თქვა კოსტამ თავისი ლექსებით, რომელიც მეგობრის ცხედართან წარმოთქვა.

მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის ურთიერთსიყვარულს საერთო ინტერესებისათვის ბრძოლა ედო საფუძვლად. მიხეილ ყიფიანი წუხდა და ზრუნავდა ოსი ხალხის გაუსაძლის პირობებში ცხოვრების გამო და ეძიებდა გზას მათი კეთილდღეობისათვის, წერდა და აკეთებდა ბევრს მათთვის ნუგეშისსაცემად, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ცნობილია, რომ მიხეილ ყიფიანმა 1890 წლიდან საფუძველი ჩაუყარა დედაენაზე ოსური საანბანო წიგნების გამოცემას. ოსეთის ნაციონალური კულტურისა და საგამომცემლო საქმიანობის განვითარებისათვის მან ნიადაგი მოამზადა: „მთიულების ენაზე საზოგადოების მიერ წიგნების გამოცემის საკითხი პირველად აღძრა საზოგადოების პირველმა თავმჯდომარემ - მიხეილ ზაალის ძე ყიფიანმა“. მის მიერ საფუძველჩაყრილი ინიციატივის შედეგად, საზოგადოების ხარჯით გამოიცა 1890 წელს ალმასხიტ კანუკოვის მიერ პირველდამწყებითი სწავლისათვის შედგენილი „ოსური ანბანი“: „გაიოზ ბარათაშვილისა და იაღლუზიძის მიერ გამოცემული საანბანო წიგნების შემდეგ ოსი მწერლისა და პედაგოგის ალმასხიტ კანუკოვის „ოსური ანბანი“ იწყება ოსეთში ეროვნულ ნიადაგზე გამომცემლობის შექმნისათვის ბრძოლის ნამდვილი ისტორია“ [5. 1965:64-65].

ოსი ხალხი განსაკუთრებით საჭიროებდა „საზოგადოების“ დახმარებას ოსური სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემასთან დაკავშირებით. მიხეილ ყიფიანმა დღის წესრიგში დააყენა სკოლა-თავშესაფრების რეორგანიზაცია და ასეთი სკოლებისათვის ახალი სასწავლო პროგრამების დამუშავება. „საზოგადოება“ ცდილობდა ოსეთში შეექმნა ოსი ქალების მოსამზადებელი კერა, გადაწყვიტეს, მოემზადებინათ ქალები რომლებიც, როგორც სახალხო მასწავლებლები, გარკვეულ სარგებელს მოუტანდნენ ამ

მხარეს. საინტერესო ფაქტია, რომ „მიხილ ყიფიანთან ერთად ამ საზოგადოების წევრი იყო და ხელს აწერდა საზოგადოების ანგარიშებს გამგეობის წევრი კ. ლ. ხეთაგუროვი (1902 წლამდე)“. მიხილ ყიფიანმა კოსტა ხეთაგუროვთან და თავის თანამოაზრეებთან ერთად დააარსა ვლადიკავკაზში ქართული საშუალო სკოლა. ეს მოწმობს, რომ ის საკითხები, რაც განიხილებოდა „საზოგადოების“ სხდომებზე (რაც შემდეგ მის ანგარიშებშიც აისახებოდა) მიხილ ყიფიანთან ერთად კოსტა ხეთაგუროვი ედგა მხარში.

თავის მხრივ, კოსტა ხეთაგუროვს მსჯელობის საგნად გაუხდია მრავალი ისეთი საკითხი, რომელიც ქართველი ხალხისათვის მეტად მტკივნეული იყო. იგი ქართველი ხალხის ჭეშმარიტი გულშემმატკივარი იყო: „კოსტა ხეთაგუროვს მრავალჯერ მიუქცევია ყურადღება საქართველოს ეროვნული ჩაგვრისა და შევიწროების ფაქტებისათვის... ბევრი გულთბილი სიტყვა აქვს გამოთქმული საქართველოს მიმართ“... ქართულ-ოსური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა ჩანს აგრეთვე კოსტას ვრცელ სტატიაში „ოსობა“ [4. 1968:149].

ზრუნვის საგანი იყო კოსტასათვის გაჭირვებაში ჩაგარდნილი ქართველი მწერალი ალ. ყაზბეგი: როცა ავადმყოფი ალექსანდრე ყაზბეგი უმწეო მდგომარეობაში საავადმყოფოში იმყოფებოდა, კოსტამ „სევერნი კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილი და მის რედაქტორს მიმართა: „ა. ყაზბეგი საერთო პალატაშია, იკვებება როგორც ულატაკესი კაცი, არა აქვს ისეთი არსებითი საჭიროების საგანიც კი, როგორცაა ჩაი და ისეთი უმნიშვნელო სიამოვნება, რასაც პაპიროსი წარმოადგენს, მაგრამ ამ მდგომარეობის შენარჩუნებაც არ ძალუძს მას. ა. ყაზბეგს საშუალება არა აქვს, ფული გადაუხადოს საავადმყოფოს. ამ დღეებში, როგორც უსარგებლო ნივთს, ქუჩაში გადაადგებენ... ნუთუ ალექსანდრე ყაზბეგს, რომლის შესანიშნავ ყდებში ჩასმულ ნაწარმოებებს, უდიდესი სიამოვნებით კითხულობენ, რომლის ბრწყინვალე სახლში უამრავი ხალხი ჭამდა და სვამდა, ასეთი ჯილდო უნდა ხედეს წილად, რომ ქუჩა-ქუჩა იაროს და სადმე ღობის ძირას შიმშილით მოკვდეს?..

უმორჩილესად ვთხოვ კავკასიის სხვა გამოცემის რედაქტორებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი“ [3. 1960:7].

ცნობილია, რომ კოსტა ხეთაგუროვი არა მარტო ალ. ყაზბეგთან, არამედ მრავალ ქართველ მოღვაწესთან იყო ახლოს (დ. არაყიშვილთან, დ. ყაზბეგთან და სხვ.).

მიხილ ყიფიანმა მართლაც დიდი დრო და ენერგია შეაღწია ჩრდილოეთ კავკასიელთა განათლებისა და კულტურის საკითხებს, მაგრამ ის არასდროს იფიქრებდა საქართველოს, მუდმივად ზრუნავდა მასზე და აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ საკითხის მოგვარებაში, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აყენებდა. 1888 წელს 30 მაისს წერა-კითხვის გაავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაზე მოისმინეს მ. ყიფიანის წერილობითი განცხადება იმის შესახებ, რომ კავკასიის ქართველ საზოგადოებას სურს ქართული სკოლის გახსნა. ცოტა ხნით ადრე, 1888 წლის 14 მაისს მ. ყიფიანი ვლადიკავკაზიდან წერა-კითხვის გაავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სწერდა, რომ 8 მაისს ვლადიკავკაზში მცხოვრები ქართველები შეიკრიბნენ ქართული სკოლის გახსნის საკითხთან დაკავშირებით. იგი სთხოვდა საზოგადოებას ვლადიკავკაზის ქართველების გადაწყვეტილება დაემტკიცებინათ. საზოგადოებამ მოიწონა ეს წამოწყება, მაგრამ უსახსრობის გამო დიდი დახმარება ვერ აღუთქვა – დაჰპირდა ერთჯერადად 200 მანეთით დახმარებას, ყოველწლიურად წიგნების გაგზავნას და მასწავლებლების შერჩევას. მიხილმა პირადი წერილიც კი გაუგზავნა ილია ჭავჭავაძეს: „აქ, კავკაზში, ქართველები ღარიბი ხალხია, რიცხვით 200 კომლი და ამათი წვრილფეხობა სრულიად უსწავლელნი არიან ქართულის სასწავლებლის უქონლობის გამო, მაშინ როდესაც აქ ყოველივე თემის ხალხს აქვს თავიანთი სასწავლებელი და ამითი არიან დანიშნაურებულნი“. ვლადიკავკაზის ქართული საშუალო სკოლა გაიხსნა 1888 წლის 10 ოქტომბერს.

ყოველივე ამის შემდეგ მ. ყიფიანის ზრუნვის საგანი იყო ს. სტეფანწმინდაში „განათლების ლამპარის ჩანთება“ – ქართული სკოლის გახსნა. 1890 წლის 19 ოქტომბერს მიხილ ყიფიანმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა თხოვნით სოფ. სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) სკოლის გახსნის თაობაზე. „იმედი მაქვს რომ აქ სკოლა ძალიან კარგად გაძლიერდება და დიდს სარგებელს მოუტანს ჩვენს ენასა“. იმავე წლის 3 ნოემბერს მ. ყიფიანის ამ წინადადებას გამგეობა მადლიერებით გამოეხმაურა და აღუთქვა მატერიალური და მორალური დახმარება. სამწუხაროდ, მ. ყიფიანი ველარ მოესწრო ყაზბეგში სკოლის გახსნას.

დიდად დააკლდა თავის ერსა და ქვეყანას მიხილ ყიფიანი. მაგრამ იგი დააკლდა ჩრდილოკავკასიაში მცხოვრებლებსაც, ყველას, ვისთანაც ერთად უმოღვაწია. ის იყო კავკასიელ ხალხთა, განსაკუთრებით

კი ქართველ და ოს ხალხთა ძმობის, მეგობრობისა და უანგარ ო სიყვარულის სიმბოლო. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის ქართველი და ოსი ხალხების მოჭირნახულეთა გულწრფელ და უაღრესად მნიშვნელოვან ურთიერთობაში.

ლიტერატურა:

1. ნიკოლოზ ყიფიანი, მოგონება, ჟურნ. „კვალი“, თბ., 1883, №15;
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955. გვ. 248;
3. კოსტა ხეთაგუროვი, თხზულებანი, ტ. V, მოსკოვი, 1960;
4. ავთანდილ ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, სამხრეთ ოსეთის წიგნის გამომცემლობა, ცხინვალი, 1968. 230 გვ.;
5. ტიტე სარიშვილი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა (1801-1921), გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1965. 296 გვ.;
6. გიორგი ლუდუშაური, მიხეილ ყიფიანი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 1986 წ. 70 გვ.;
7. ნაირა ბეპიევი, „ძმობის ჩირაღდანი“ (ქართულ და ოსურ ენებზე), ჟურნალი „ცისკარი 1852“, № 6, გვ., 76-86, თბ., 2016. 118 გვ.

Naira Bepievi

Doctor of Philology

Professor

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

MIKHEIL KIPIANI AND KOSTA KHETAGUROV

Famous teacher and public figure Mikheil Kipiani was a distinguished and versatile person: he was one of the founders of *The Society for the Spreading of Literacy among Georgians*, a prominent teacher of the Georgian school, author of several textbooks on mathematics and geometry, an outstanding teacher and, most importantly, a friend of Ilia Chavchavadze and a true patriot.

From 1871 for the rest of his life Mikheil Kipiani lived in the North Caucasus, and worked in the Caucasus as the head of the Tergi district. Mikheil Kipiani's contribution to the education, culture and domestic affairs of the peoples of the North Caucasus is of special importance. Mikheil Kipiani was a great advocate and friend of the people of the North Caucasus.

In 1883 *The Charity Society of Spreading Education and Knowledge among the Mountaineers of Tergi District* was established and Mikheil Kipiani was elected as the Chairman of the Board. Until his death, he was an active supporter of the society. It should be noted that one of the members of the board was the founder of the Ossetian literary language and Ossetian literature, the spiritual leader of the Ossetian people, the great poet and public figure Kosta Khetagurov. Kipiani, along with Khetagurov, used to sign all the documents connected with the work of the society. These two men together fought to solve the cultural and educational issues, and all the common deeds that Georgians or Ossetians living in the Caucasus had to face. The story of their devoted friendship has remained a legend up to this day among the Georgians and Ossetians.

The Ossetian people were particularly in need of the public's help in publishing Ossetian textbooks. Mikheil Kipiani played an invaluable role in Ossetian education. He and his "community" played a major role in shaping the foundations of national literacy, children's writing and publishing in the North Caucasus, in particular in Ossetia, through publishing native textbooks, expanding the public school network, repairing existing school buildings and adding to them further amenities, works and improvement, as well as the publication of the "Ossetian alphabet".

M. Kipiani took great care of the Ossetian household issues. In his book, "From Kazbegi to Ialbus," he gives a strikingly detailed account of the reality: the glorious nature and the tribulation, hardship, and hardship of the mountaineers, especially the Ossetians, living in this nature.

Kosta Khetagurov, a great Ossetian writer and public figure, greatly appreciated M. Kipiani for his great care of Ossetian education and culture. Kosta Khetagurov created M. Kipiani's portrait and dedicated two excellent verses to him.

The poems by Kosta Khetagurov are extremely exciting and noteworthy. At his burial Kosta Khetagurov read an Ossetian verse ("At a friend's grave") expressing his great affection and love for the one devoted to the Ossetian people.

Kosta's second verse is also dedicated to M. Kipiani in Russian. Kosta's verse from Russian entitled "On Kipiani's death" was later translated by our glorified poet Valerian Gaprindashvili, full of gratitude. The friendship of Mikhail Kipiani and Kosta Khetagurov was so important to both nations that Great Ilia himself "violated" press laws and made a rare and only exception to the Georgian newspaper *Iveria* by publishing a Russian-language poem written by Kosta Khetagurov dedicated to Mikheil Kipiani. It was accompanied by the contents of the second Ossetian verse dedicated to Mikheil Kipiani in Georgian. Kosta said the feelings of all the residents of the whole Tergi towards Kipiani in his poems, which he recited at his friend's funeral.

Mikheil Kipiani together with Kosta Khetagurov and his associates founded a Georgian high school in Vladikavkaz (opened on October 10, 1888). Kosta Khetagurov played a big role in the resolution of the issues that were discussed during the "sessions" of the society.

The subject of care was the Georgian writer Al. Kazbegi too, who was poor. Kosta Khetagurov was not only close to Al. Kazbegi, but to many other Georgian public figures as well (D. Arakishvili, D. Kazbegi, etc.).

The mutual love of Mikheil Kipiani and Kosta Khetagurov was a battle for common interests. These two people are still symbols of brotherhood, friendship and careless love of the Caucasian people, especially the Georgian and Ossetian people.

The work reviews the history of friendship and cooperation between Mikhail Kipiani and Kosta Khetagurov.

ვარდო ბერიძე

ასოცირებული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

ჰუსარლის ფენომენოლოგიური მეთოდი მცხნიერებაში

„სუბიექტურობა – სამყაროს მაკონსტრუირებელია“

ედმუნდ ჰუსერლი

„ვიდრე არ ჩავენდებით აზრით იმას, რაც არის, ვერასოდეს ვერ გავხდებით ნაწილის იმისა, რაც იქნება“ .

მარტინ ჰაიდეგერი მოსაზრებით - ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მთავარი სფერო, საიდანაც მოდის დღეს ძირითადი დაკვეთები საზოგადოებისათვის, არის მეცნიერება და მასთან შესაბამისობაში უნდა ჩამოყალიბდეს თვით ხელოვნებაც. ჩვენმა საუკუნემ მოითხოვა სინამდვილის ასახვის ახალი, ხელოვნებისა და კონკრეტულ მეცნიერებათა ინტეგრირების ბაზაზე ჩამოყალიბებული მეთოდი, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ ინტელექტის მუშაობაზე და ზუსტი მათემატიკური გამოთვლებისა და რაციონალურობის გარდა ეყრდნობა აგრეთვე ემოციურ აღქმებსა და მხატვრულ ხედვებს. ეს მეთოდი ავლენს მეცნიერის მთლიან კულტურას, მისი მუშაობის მანერას, სტილს, ინდივიდუალურ აზროვნებას და მისი, როგორც პიროვნების ძალასა და ღირებულებას. ამ თვალსაზრისით ნაშრომში განხილულია ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდი მეცნიერებასა და ხელოვნებაში.

სუბიექტურობა და გამოცდილება ფილოსოფიური მნიშვნელობის თემებია. ბოლო ათეული წლების განმავლობაში სუბიექტურობის პრობლემით დაინტერესებამ ერთბაშად იმატა არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ ბევრ სხვა ემპირიულ დისციპლინაშიც. იმის გათვალისწინებით, რომ ჰუსერლისთვის სუბიექტურობა ყოველთვის იყო ინტერესის მთავარი საგანი თანამედროვე დებატებში მისი რელევანტურობა ცხადი უნდა იყოს – ნერს დან ზაჰავი წიგნში ჰუსერლის ფენომელოგია (ზაჰავი, 2016: 2).

თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნება ნარმოუდგენელია ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიასთან მიმართების გარეშე. ფილოსოფიური კვლევის ფენომენოლოგიური მეთოდი გამოიყენება მეცნიერებისა და კულტურის მრავალ სფეროში. იგი არაერთმა მკვლევარმა გამოიყენა ცოდნის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, მაქს შელერმა ფენომენოლოგიური თვალსაზრისით ზნეობრივი ღირებულებები შეისწავლა, კარლ იასპერსმა – ფსიქოპათოლოგიაში გამოიყენა, მარტინ ჰაიდეგერმა – ექსისტენციალურ ანალიტიკაში, მორის მერლო-პონტიმ – შეგრძნების ფსიქოლოგიის შესწავლისას და ა. შ. (თევზაძე, 2002: 303).

ფენომენოლოგია¹ ესაა მეცნიერული მეთოდი ჩვენთვის მოცემულის (მე, შემეცნების აქტები, საგნები), წმინდა არსებათა დადგენისა და აღწერისთვის. ტერმინი ფენომენოლოგია (სიტყვა-სიტყვით „იმის შესწავლა, რაც ჩანს“) ჰუსერლის მიერ წამოყენებულ მეთოდოლოგიურ წინადადებას აღნიშნავს, რაც ავტორმა შეაჯამა ფრაზით „თავად საგნებთან“ მიბრუნება (ივ. მარტინი, 2008:427). ფენომენოლოგია უპირისპირდება ე.წ. ბუნებრივი (ნატურალური) განწყობის მეცნიერებებს, რომლებიც მხოლოდ გამოცდილების სფეროში მოქმედებენ და მიზნად სამყაროში (ბუნებაში) გარკვევა აქვთ. ისინი სამყაროს გარეთ არ გადიან (მათი ჰორიზონტი სამყაროა). მათთვის სამყარო ტრანსცენდენტური რეალობაა ანუ არსებობა (ექსისტენცია) სუბიექტის გარეშე (თევზაძე, 2002: 314). ჰუსერლის ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიურ კვლევებს შორის მიმავალი იმპლიკაციები გააჩნია სუბიექტურობასა და სამყაროს შორის კავშირის ფუნდამენტური გაგებისთვის. ჩვენ ბუნებრივია ვერ მოვიცავთ და ვერ გავაანალიზებთ ყველა შესაძლო ვარიაციებს, უპირველესად გამოვკვეთავთ ჰუსერლისეულ იმ ძირითად ცნებათა აპარატს, რომელზე დაყრდნობით გვიხსნის და გვაგებინებს სამყაროში ობიექტურად არსებული სუბიექტის მიერ მასში არსებული სუბიექტურობის არსს და სპეციფიკას იმგვარად, რომ ასეთად გაგებულის სუბიექტურობა ჰუსერლის აზრით მუდმივად შეინარჩუნებს ადამიანური ყოფიერების წესს. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰუსერლის ფენომენოლოგია არც იდეალიზმია და არც მეტაფიზიკა და არც ახალი ფორმის დუალიზმი. პირიქით, აზრი სწორედ ისაა, რომ სუბიექტურობა და სამყარო არ შეიძლება ერთმანეთისგან განცალკევებულად გავიგოთ. ჰუსერლი წერს, რომ მისი ტრანსცენდენტალური იდეალიზმი საკუთარ თავში მოიცავს ბუნებით რეალიზმს.² მისი ფილოსოფიის მთავარი თეზაა ის, რომ სუბიექტი არის სამყაროში-ყოფნა და სამყარო რჩება „სუბიექტური“, რადგანაც მისი ქსოვილი და არტიკულაციები მოხაზულია სუბიექტის მიერ ტრანსცენდირების სვლის მეოხებით (ზაჰავი, 2016:102). უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს „ტრანსცენდენტური სვლა“ არის ის ახალი მეთოდი, რომელიც ცნობილია ფენომენოლოგიური მეთოდის სახელწოდებით და რომლის მიზანია დაადასტუროს, რომ „სუბიექტად ყოფნა ნიშნავს თვითცნობიერების მოდუსში ყოფნას“. აქვე მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ თუ ფენომენის როგორ ცნება იყენებს ფენომენოლოგია. ფენომენი ობიექტის უშუალო მოცემულობაა. მისი ჩენისეული სიცხადეა. თუ გვსურს აღმოვაჩინოთ, როგორია ობიექტი სინამდვილეში, უნდა გადავაბიჯოთ იმას, რაც ოდენ ფენომენურია. ფილოსოფიურ ტრადიციაში უმეტესწილად ფენომენის ცნების სწორედ ამ ვერსიას ვპოულობთ. ფენომენი არის ის, თუ როგორ ჩნდება ობიექტი ჩვენთვის, ჩვენი თვალებით დანახული და ჩვენი კატეგორიებით გააზრებული. მაგრამ ის არ არის ობიექტი, როგორც ის თავისთავადაა. როგორც ზაჰავი აღნიშნავს, ფენომენოლოგია რომ ფენომენის ამ ცნება იყენებდეს, შეიძლება იგი მართლაც, არაფერი ყოფილიყო, გარდა სუბიექტურის, ჩენადის თუ ზედაპირული მეცნიერების. პირიქით, წერს ზაჰავი, ჰუსერლი ოპერირებს ფენომენის იმ ცნებით, რომელსაც შეგვიძლია ჯერ კიდევ ანტიკურობაში მივაკვლიოთ (ზაჰავი, 2016:76). აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ფენომენოლოგია არის ფილოსოფიური რეფლექსია იმაზე, თუ როგორ გვაჩვენებენ ობიექტები საკუთარ თავს და რა არის მათი ჩენის შესაძლებლობის პირობები.

ჰუსერლის ფენომენოლოგიის მთავარი პარადიგმა – ადამიანის ცხოვრების ფუნდამენტური ფაქტორების წვდომა და მათი მოჩვენებითი ირაციონალურობის დაძლევა. ფენომენოლოგიის ამოცანაა თემატიზება გაუნოს ფილოსოფიის გულისგულში არსებულ იმ შეკითხვებს, რომლებიც ყოფიერებასა და რეალობის ბუნებას ეხება (ზაჰავი, 2016:61). „ფილოსოფია, რომელიც უძველესი დროიდან აცხადებდა პრეტენზიას, რომ დააფუძნებდა წარმოდგენებს ყოფიერების ყველა შესაძლო სახეზე, შეწყვიტა თავისი თავდაპირველი პრეტენზიის გამართლება“ – წერს ზურაბ კაკაბაძე. მისი აზრით, ჰუსერლმა სწორედ ამ მომენტის გაცნობიერებით განიცადა აზროვნების ტრანსფორმაცია და აღიარა ევროპული კაცობრიობის კრიტიკული სიტუაციის ფაქტი, ევროპული მეცნიერების კრიზისი (ევროპულის ცნებაში იგი საზოგადოდ ადამიანურის გარკვეულ ნიმუშსა და უმაღლეს დონეს გულისხმობდა) და ამ კრიზისში გულისხმობდა არა თანამედროვე მეცნიერული აზროვნების სისუსტეს, არამედ ადამიანის ცხოვრებისათვის მათი

¹ ფენომენოლოგია ბერძ. სიტყვაა და ნიშნავს მოძღვრებას ფენომენთა, ანუ მოვლენათა შესახებ. მოვლენა კორელატური ცნებაა და მიუთითებს იმაზე, რაც რალაცინაირად ვლინდება ან შინაგანად, ან გარეგან გამოვლინებაში, მას ნოუმენს, ანუ გონიერების აზრის საგანს უწოდებენ.

² ტრანსცენდენტალური სამყარო, ადამიანური არსებები, მათი ურთიერთობა ჩემთან და ერთმანეთთან, მათი გამოცდილებები, ნააზრევი, გაკეთებული და შემოქმედებული – ეს ყოველივე კი არ ბათილდება, უფასურდება ან იცვლება, ჩემი ფენომენოლოგიური რეფლექსიის მიერ, არამედ მისი გაგება ხდება (ზაჰავი, გვ. 98). იქვე: არც ერთი ჩვეულებრივი „რეალისტი“ არ ყოფილა ოდესმე ისე რეალისტური და კონკრეტული, როგორც მე, ფენომენოლოგიური „იდეალისტი“ (ტერმინი, რომელსაც აღარც კი ვიყენებ.

მნიშვნელობის გაგების პრინციპულ ცალმხრივობას ირაციონალიზმის თვალსაზრისით (კაკაბაძე, 2012:65).

ფენომენოლოგია ჰუსერლის მოძღვრებას ჰქვია იმიტომ, რომ იგი ორიენტირებულია ადამიანის შემეცნებითი ცხოვრების ფენომენების¹ (ანუ მოვლენების) მკაცრსა და სისტემურ მეცნიერულ ანალიზზე იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ წვდება თუ ვერ წვდება სულაც, ამ მოვლენათა და მათ მატარებელ სუბიექტთა, ისევე როგორც მათ ობიექტთა ონტიურ რაობასთან დაკავშირებულ საკითხებს. (ზაჰავი, 2016:10). უნივერსალური ფილოსოფია ნამდვილდება სულ სხვაგვარად, ვიდრე წარმოედგინათ დეკარტეს და მის დროს, ახალი ბუნებისმეტყველებით მართულებს, დედუქციური თეორიის უნივერსალური სისტემის სახით, თითქოს ყოველივე ყოფიერი ერთი გამოთვლის ერთიანობაში მდგარიყოს. ჰუსერლის აზრით, იგი ნამდვილდება სისტემა ფენომენოლოგიურად კორელაციური დისციპლინებისა, რომლის ღრმა საფუძველია **არა აქსიომა ego cogito, არამედ აქსიომა უნივერსალური თვითცნობიერებისა, თავმოაზრებისა** (ჰუსერლი, 2010: 96). შეიძლება ითქვას, რომ ავგუსტინეს სიტყვები: „გარეთ ნუ კითხულობ, შენს თავში შეიქცე. შინაგან ადამიანში სადგურობს ჭეშმარიტება“ – ჰუსერლმა თავისი მოძღვრების ქვაკუთხედად გამოიყენა და დელფოსურ სიტყვას „შეიცან თავი შენი“ – ახალი მნიშვნელობა შესძინა.

ფილოსოფიის რადიკალური რეფორმა, რომელიც მიზნად დაისახა ჰუსერლმა ვერ განხორციელდება წარსულის ფილოსოფიის უპირობო აღორძინებით, ვინაიდან როგორც კაკაბაძე აღნიშნავს „იგი ყოველთვის იყო დამძიმებული ობიექტივისტური² ცრურწმენებით“. ამ ობიექტივიზმის გადალახვაში მდგომარეობს ფილოსოფიის რადიკალური ჰუსერლისეული გარდაქმნა. თავის ფილოსოფიურ მოღვაწეობაში ჰუსერლმა სწორედ ობიექტივიზმის სუბიექტივიზმის მზერის დასახელებული შემობრუნება განახორციელა (კაკაბაძე, 2012:69). სხვა სიტყვებით, ეს არის ჰუსერლის შემობრუნება ტრანსცენდენტალური ფილოსოფიისკენ: ეპოქე, რედუქცია და ტრანსცენდენტალური იდეალიზმი. ობიექტივიზმის სუბიექტივიზმის შემობრუნების განხორციელებისას ფუსერლმა თანდათანობით გამოიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ცნობილია ფენომენოლოგიური მეთოდის სახელით და ლოზუნგი: „უკან თვით საგნებისაკენ“ – გამოსატყობინებელი ინტენციონალიზმის, ფენომენოლოგიური ეპოქესა და ფენომენოლოგიური რედუქციის მეთოდოლოგიურ პოზიციებში. ჰუსერლი ინტენციონალიზმს თვლის ცნობიერების შინაგან და არა გარეგან მახასიათებლად, მისი მეშვეობით მყარდება კავშირი ორ სამყაროულ ობიექტს შორის, ეს არის კავშირი ცნობიერებასა და მის ობიექტს შორის. ინტენციონალური ობიექტი ჩემი ინტენციის ობიექტია და ის არ უნდა გავაიგივოთ რომელიმე გონებრივ კონსტრუქციასთან. ჰუსერლისეული ინტენციონალიზმის ანალიზი არ არის მეტაფიზიკური რეალიზმის განმტკიცება (ზაჰავი, 2016:29).

ეპოქე გულისხმობს რეალობის მიმართ მიდგომის ცვლილებას და არა რეალობის გამორიცხვას საკვლევი სფეროდან. ეპოქე მჭიდროდაა დაკავშირებული რედუქციასთან, ისინი ერთი ფუნქციონალური მთლიანობის ნაწილებია, ჰუსერლისთვის ეპოქე არის რედუქციის შესაძლებლობის პირობა (ზაჰავი, 2016: 64). ეპოქე არის ტერმინი ნაივური მეტაფიზიკური მიდგომის უეცარი შეკავებისათვის და, შესაბამისად, შეგვიძლია ფილოსოფიაში შესასვლელ ჭიშკარს შევადაროთ – წერს ზაჰავი. ზაჰავის გადმოცემით, ეპოქეს საპირისპიროდ რედუქცია აღნიშნავს სუბიექტივიზმსა და სამყაროს შორის კორელაციის თემატიკას, ეს არის გრძელი და რთული ანალიზი, რომელიც ბუნებითი სფეროდან უკან, მის ტრანსცენდენტალურ საფუძველთან გვაბრუნებს. მისი აზრით, ჰუსერლმა ისინი გამოიყენა კვლევის ველის გასაფართოებლად.

ჰუსერლის „ტრანსცენდენტალური სუბიექტი“, რომელიც იგი მან მიიღო ეპოქეს განხორციელებით და ფენომენოლოგიურად მოცემულის თემატიკებით, არის ის გამყოფი ხაზი, რომლითაც ის ემიჯნება დეკარტეს (დეკარტე ასაბუთებს უსამყარო სუბიექტის არსებობის შესაძლებლობას, ჰუსერლი კი პირიქით, შუძლებელია უსუბიექტო სამყაროს წარმოდგენა) და კანტს (კანტი აღიარებდა ტრანსცენდენტალურ სუბიექტს, როგორც აბსტრაქტულს და იდეალურს). მათგან განსხვავებით ჰუსერლი აღიარებს, რომ „ჩემი ტრანსცენდენტალური სუბიექტიურობა არის ჩემი კონკრეტული და ინდივიდუალური სუბიექტიურობა“ (ზაჰავი, 2016:67). ჰუსერლისთვის ტრანსცენდენტალური და ემპირიული სუბიექტი არ ნიშნავს ორ სხვადასხვა სუბიექტს შორის კავშირს, არამედ ნიშნავს ორ განსხვავებულ გაგებას, როგორც პირველადს და მეორედს შორის კავშირი. ტრანსცენდენტალური სუბიექტი არის სუბიექტი მის პირველად,

¹ თავის ამ ორიენტაციაში ჰუსერლს ორი მთავარი წყარო და დასაყრდენი აქვს: ერთია დეკარტის რადიკალურ რეფორმაზე (შემეცნების საწყისის ძებნაზე) მიმართული ფილოსოფია, მეორეა კანტის ტრანსცენდენტალური ფილოსოფია.

კონსტიტუციურ ფუნქციაში. ემპირიული სუბიექტი იგივე სუბიექტია, ოღონდ როგორც ობიექტი სამყაროში, ანუ როგორც გასამყაროებელი ერთეული. სწორედ ამ კონტექსტში ჰუსერლი ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ სუბიექტურობა შეიძლება ორი რადიკალურად განსხვავებული გზით იქნას თემატიზებული: 1. ბუნებითი ანუ ფსიქოლოგიური რეფლექსიით, რომელიც წარმოგვიდგენს გასაგნებულ და ნატურალიზებულ სუბიექტს, მაგრამ ეს რეფლექსია არ ხსნის გზას სუბიექტობის მაკონსტრუირებელი, ტრანსცენდენტალური განზომილებისკენ. 2. წმინდა ანუ ტრანსცენდენტალური რეფლექსია, რომლის სპეციფიკური ამოცანაა ყოველგვარი კონტიგენტური და ტრანსცენდენტალური კავშირებისაგან და ინტერპრეტაციებისაგან განძარცვული სუბიექტურობის თემატიზება (ზაჰავი, გვ. 69). ზაჰავის გადმოცემით, ჰუსერლის განმარტებით, რეფლექსიის ეს ტიპი არ არის მყისიერად წვდომადი. მას წვდომადს ხდის ეპოქე. სანამ ეპოქე გზას არ განმდნს, ჩვენ საქმე გვაქვს გასაგნებულ და გასამყაროებულ გამოცდილებასთან (იქვე). ჰუსერლის აზრით, ვიდრე ჩვენ ვცხოვრობთ ობიექტთა თავდავინყებულობაში, ტრანსცენდენტალური სუბიექტი დამალული რჩება, მაგრამ ეპოქე და რედუქცია შესაძლებელს ხდის მის გამოვლენას (იქვე). ეპოქეს მეშვეობით – რომელიც არც მეტი არც ნაკლები ფენომენებზე (მჩენ ობიექტებზე) ფოკუსირებაა – ვაღწევთ სუბიექტურობის ღვანლის გაგებას. სამყარო არაა ის, რაც უბრალოდ არსებობს. სამყარო ჩნდება და ამ ჩენის სტრუქტურა განპირობებულია სუბიექტურობის მიერ, რომელიც შესაძლებელს ხდის მას. სწორედ ამ კონტექსტში ჰუსერლი იტყოდა, რომ აბსურდულია ვისაუბროთ გონებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი სამყაროს არსებობაზე, რომელიც ნებისმიერი შესაძლებელი გამოცდილებისეული და ცნებობრივი პერსპექტივისგან მოწყვეტით იარსებებდა (ზაჰავი, 2016:72).

ზემოთ გაანალიზებული ცნებების ჰუსერლისეული გაგება დაგვეხმარება კიდევ უფრო ნათლად ჩამოვყალიბოთ ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის შემოპრუნების არსი. ისევ დავუბრუნდეთ თეზას: „ჩვენ საგნებთან დაბრუნება გვჭირდება“. ჰუსერლისეულად ეს ასე უნდა გავიგოთ:

„თუ გვსურს ჭეშმარიტად შევიმეცნოთ ფიზიკური ობიექტების ყოფნა, ჩვენ საბოლოოდ მოგვიწევს სუბიექტურობასთან მიბრუნება, რომელსაც ეს ობიექტები გამოცდილებაში აქვს, რადგან მხოლოდ მასში აჩვენებენ თავს ობიექტები ისე, როგორც ისინი არიან. სუბიექტურობა რეალობის შესაძლებლობის პირობაა. სუბიექტურობის გარეშე რეალობა ვერ იქნება“ (ზაჰავი, 2016:73).

ჰუსერლი ყურადღებას ამახვილებდა რეალობის მოცემულობაზე (ჩენაზე), ანუ იმაზე თუ როგორ გვეძლევა რეალობა გამოცდილებაში. სხვა სიტყვებით, „ჩვენ საშუალება არ უნდა მივცეთ წინასწარ ჩამოყალიბებულ თეორიებს ფორმა მისცენ ჩვენს გამოცდილებას – ჩვენი თეორიები გამოცდილებამ უნდა განსაზღვროს“. ჰუსერლი თავის ფენომენოლოგიურ პრინციპს ასე აყალიბებს: „ჩვენ საშუალება უნდა მივცეთ პირველადად მომნიჭებელ ჭვრეტას, რომ იყოს ყოველგვარი ცოდნის წყარო. წყარო, რომელსაც ვერანაირი ავტორიტეტი (თუნდაც თანამედროვე მეცნიერება) ვერ დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ“ (ზაჰავი, 2016:62). ჰუსერლის ეს პრინციპი თავის შინაარსში გულისხმობს ტრანსცენდენტალურ შემოპრუნებას, რომელიც მოითხოვს მეთოდოლოგიურ შემზადებას. ამიტომ ჰუსერლი საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებს ეპოქეს დანიშნულების სწორად გაგებას. როგორც აღვნიშნეთ, ეპოქე გულისხმობს რეალობის მიმართ მიდგომის ცვლილებას და არა რეალობის გამორიცხვას საკვლევი სფეროდან.

ყოველივე ზემოთქმული არის მხოლოდ ის გზა და იმის ინტერპრეტირება თუ რა გზით და როგორ უნდა მივიდეთ ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდის გაგებამდე. ეხლა ჩამოვყალიბოთ ამ მეთოდის მნიშვნელობა მეცნიერებასა და ხელოვნებაში. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდი, როგორც ახალი და განსხვავებული მიდგომა და გაგება – ახალი მეთოდიკა შემეცნების თეორიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის და ზოგადად, მეცნიერების განვითარებისა ცნობილია **ინტენციონალური ანალიზის** სახელწოდებით, რომელიც „ყველგან ქმედითა სადაც კი განსახილველი გვაქვს საგანი და საზრისი, სადაც სერიოზულად იერიში მიგვაქვს ყოფიერების საკითხებზე, შესაძლებლობის საკითხებზე, საწყისის საკითხებზე, სამართლის საკითხებზე“ – წერს ჰუსერლი „პარიზულ მოხსენებებში“ (ჰუსერლი, 2010:54). ამრიგად, ინტენციონალური ანალიზი სულ სხვა რამ არის, ვიდრე ანალიზი ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით¹. როგორც ღვნიშნეთ, ჰუსერლი მეცნიერულ შემეცნებას საყ-

¹ ფენომენოლოგიური ანალიზის მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ ჩვენ ინტუიციის გზით ვქმნით შესაძლებლობათა ჰორიზონტს (რეალობისგან განსახვავებით), როგორც აქტუალურად მოცემულს და ამ განცდას ვიყენებთ როგორც ორიენტირს ყოფიერების საზრისის დადგენაში. მეორე მხრივ, ვთავისუფლდებით რა რეალური შინაარსისაგან, ჩვენ ფაქტიურად გადავდივართ იდეალურ სფეროში და ვცლით რა ჩვენს აღქმას შინაარსისაგან, გვრჩება ცარიელი აღქმა, მისი ფორმა ანუ მისი იდეა. ამრიგად აქტუალიზირებული მოცემულობისგან განყენება იმავე დროს ნიშნავს მზერის შემოპრუნებას საგნიდან ცნობიერებისკენ; (დოლიძე, გვ.27).

ვედურებს იმას, რომ იგი თანდათან დაშორდა თავის სანყის მიზანს – ადამიანური ყოფიერების დამკვიდრებას¹. ეს გაუცხოება მოხდა სამყაროს სურათის ობიექტივაცია – დეტერმინიზმის გზით, სადაც ადგილი აღარ დარჩა ადამიანის პიროვნულ შემოქმედებით თავისუფლებისთვის (დოლიძე, 2010: 42). იქვე: ასეთი შემობრუნება ფენომენოლოგიური მეთოდით ხორციელდება. ამ მეთოდის მოქმედების კვალს ვპოულობთ მეცნიერებაში (კვანტურ მექანიკაში), რაც საფუძველს გვაძლევს დავსახოთ ის შემეცნების შემობრუნების, მისი ახალი ორიენტაციის მიმართულებად. (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინტერპრეტირებას ვაკეთებთ მამუკა დოლიძის შრომების მიხედვით).

კვანტური თეორიის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია მიკროსამყაროში სუბიექტის შეყვანას გულისხმობს. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ დამკვირვებელი სუბიექტი ქმნის მიკროსამყაროს რეალობას (დოლიძე, 2010: 302). იქვე: ფიზიკური რეალობა არსებობს თავისთავად, მიუხედავად იმისა, აკვირდება მას ადამიანი თუ არა. დაკვირვების, ანუ გაზომვის სიტუაცია ატომურ სამყაროში პრინციპულად განსხვავდება კლასიკურ-ფიზიკური შემეცნების სიტუაციისაგან. იგი არ დაიყვანება მხოლოდ ფიზიკურ ურთიერთქმედებაზე გამზომ ხელსაწყოსა და ატომურ ობიექტს შორის. ატომური სიტუაციის „უცნაურობა“ იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული სიტუაცია ერთგვარად „სუბიექტივირებულია“. გამზომი ხელსაწყო აქ არ წარმოადგენს ჩვეულებრივ ფიზიკურ სისტემას, იგი თამაშობს სუბიექტის ცნობიერების როლს ატომური ობიექტის მიმართ, წარმოადგენს სუბიექტის ექსპრაპოლაციას ადამიანის გარეთ, ფიზიკურ რეალობაში. ასეთი რამ სრულიად დასაშვებია, რადგან არა მარტო ადამიანის ცნობიერებაში, არამედ მთელ ობიექტურ სინამდვილეში მიმდინარეობს იდეათა რეალიზაციისა და საზრისების წარმოშობა – ცვალებადობის „სუბიექტური“ პროცესი, რის გამოც ფიზიკური მოვლენები არ დაიყვანება ცალსახა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, არამედ გვაქვს მათი გარკვეული თავისუფლება, რაც მიკროსამყაროში ატომური პროცესების ინდეტერმინიზმსა და ალბათურ ხასიათში გამოიხატება.

სუბიექტური ყოფიერების „შეჭრა“ ობიექტურ რეალობაში იმას ნიშნავს, რომ გაზომვის პროცესში „ფიზიკურ რეალობას გააჩნია უნარი მოახდინოს შემეცნებითი სიტუაციის ინტერპრეტაცია. კვანტური სიტუაცია ონტოლოგიურად „სუბიექტივირებულია“. გამზომი ხელსაწო ამ სიტუაციაში თამაშობს ინტენციონალური ცნობიერების როლს მიკრომოვლენათა მიმართ (დოლიძე, 2010:305).

ერთი და იგივე ფენომენოლოგიური მეთოდი ინტუიციურად გამოიყენება როგორც კვანტურ ფიზიკაში, ატომური ობიექტის მოდელირების მიზნით, ასევე თანამედროვე პროზაში, მხატვრულ სახეთა შემოქმედების დროს. კლასიკურ ფიზიკაში სიდიდეები, კანონები და პრინციპები დადგენილია ობიექტური ცოდნის უზოგადესი და აბსტრაქტული სისტემის მიმართ, რომელიც აბსოლუტური სუბიექტის იდეით საზრდობს. ცოდნა ფიზიკური რეალობის შესახებ მთლიანად ობიექტივირებული და ჩაკეტლია მატერიალური სინამდვილის ფარგლებში. კლასიკურ რაციონალიზმთან თანაზიარ ლიტერატურაშიც მხატვრული რეალობა ობიექტივირებული და ფსიქოლოგიური რეალიზმის ფარგლებშია ჩაკეტლი. შემოქმედი გარეშე მომენტია საკუთარი ქმნილების მიმართ. მას აბსოლუტური სუბიექტის გვირგვინი ამშვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორი მთლიანად აკონტროლებს თავის ნაწარმოებს და ქმნის გმირის მორალური შეფასებისა და სიუჟეტის წარმართვის ერთიან პოზიციას, რათა თავის ნებაზე განავითაროს ყოველი სახე და მოაგვაროს ნებისმიერი კონფლიქტი თხრობის დრამატურგიაში. აბსოლუტური სუბიექტისა და ყოვლისშემძლე ავტორის სწორედ ასეთ კერპს ამსხვრევს ფენომენოლოგია კვანტურ მექანიკაშიც და პოლიფონიურ პროზაშიც. აბსოლუტის ტახტიდან ჩამოგდებული სუბიექტი, მიკროსამყაროში შედის გაზომვის პროცესის სახით (დოლიძე, 2010:306).

თუ მოცემულ მსჯელობას გადავითანთ მეცნიერებაზე, ფენომენოლოგიური ანალიზით შესაძლოა აღმოვაჩინოთ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კრიზისის ფესვებიც - წერს მამუკა დოლიძე. შემეცნება თავდაპირველად ადამიანის სასიცოცხლო ინსტენციათა განხორციელების კენ იყო მიმართული. განხორციელების ამ გზაზე გარდაუვალი შეიქმნა ისეთი ეტაპები, როცა ცალკეულ მეთოდთა და საშუა-

¹ ჰუსერლის აზრით, ყოფიერების საზრისის საკითხი ტრადიციულ ფილოსოფიაში მცდარად იყო გადანყვებილი. ლაპარაკობდნენ ე. წ. „პირველ მიზეზზე“, როგორც რეალობის საფუძველზე, როგორც სუბსტანციაზე. მიზეზობრიობის ცნების მიყენება ყოფიერების საზრისის მიმართ არ უნდა იყოს გამართლებული. ყოფიერების საზრისი, ჰუსერლის აზრით უნდა დადგინდეს მისი მნიშვნელობის მიხედვით. უპირველესი ასეთი მომენტია უშუალო მოცემულობა, მხედველობაში ყოფნა, როგორც გრძობად-კონკრეტული, ასევე ინტუიციური (ფანტაზიის საშუალებით); ასეთ ანალიზში ხდება დროებითი თავშეკავება ყოფიერების მტკიცებისაგან და მზერის გადატანა შიგნით, ცნობიერების აქტზე, რომელიც სიცხადის განცდით ანათებს მას და ამდენად სარწმუნოს ხდის მის არსებობას. აქ დიდ როლს თამაშობს ფანტაზია ანუ ფიქცია. ფანტაზიით დანახული მხარეები შემეცნებით პირობებთან ერთად ქმნიან შესაძლებლობათა ჰორიზონტს, რაც ახლავს აქტუალურად მოცემულ ყოფიერებას (დოლიძე, გვ. 26)

ლებათა ინტენციებმა დაჩრდილეს საწყისი მიზანი; ფილოსოფიამ ვერ მოახერხა გზას აცდენილი შემეცნების კორექტირება, ადამიანისკენ შემობრუნება, რის გამოც მეცნიერება დაუპირისპირდა ადამიანს და გადაიქცა მისთვის მტრულ ძალად. მეცნიერებამ მხედველობიდან დაკარგა ადამიანი, სუბიექტი და გახდა ობიექტური, საბუნებისმეტყველო; თვით სუბიექტსაც იგი ეხება მხოლოდ ობიექტური მეთოდებით. ამრიგად კრიზისიდან თავის დასაღწევად ფენომენოლოგიური მეთოდი მოითხოვს მეცნიერების განწმენდას მეორეული ფენებისაგან, მის შემობრუნებას სუბიექტისაკენ, როგორც სუბიექტისაკენ, როგორც თავისუფალი, ინდეტერმინირებული სიცოცხლისაკენ. ასე უნდა გავიგოთ ჰუსერლის ლოზუნგი „უკან საგნებისაკენ“. საგნების ფენომენოლოგიური განწმენდით ჩვენ ვწვდებით მათ პირველად მნიშვნელობას, მათ ნამდვილ ყოფიერებას, შესაბამისს თავისუფალი სუბიექტის ინტენციისადმი.

მიკროსამყაროს კვანტურ-მექანიკური აღწერა, დამატებითობის კონცეფციის საფუძველზე სწორედ მეცნიერების კრიზისიდან თავის დაღწევის ცდაა ფენომენოლოგიური მეთოდის გზით.

ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდი აღმოჩნდა ის საფუძველი, რომელიც კვანტურ შემეცნებას აახლოებს ესთეტიკურთან, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ დამატებითობის პრინციპის გარკვეულ ანალოგიაზე მხატვრულ შემეცნებაში (დოლიძე, 2010:30). ფენომენოლოგიური მეთოდი მოითხოვს გამოვიკვლიოთ ის პირობები, რაც მოცემულ კანონს ანიჭებს არსებობის საზრისს და აძლევს პრინციპულ მნიშვნელობას.

ამრიგად, თანამედროვე მეცნიერებაში შემეცნების და შემოქმედების საგნები ემსგავსება ერთმანეთს. სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობის ძალით მათ ენიჭებათ თავისუფალი ნება. ნაშრომს დავასრულებ ჰუსერლის სიტყვებით: „ჩვენ ძალიან დაგვიანებულად ვაყალიბებთ ჩვენს პოზიციას სამყაროს მიმართ“ და ნიცშეს სიტყვებით: „ჩვენ ძალზე გვიან ვახერხებთ მთელი ცხოვრების მთლიანობაში შეფასებას“.

ლიტერატურა:

1. დოლიძე მამუკა, „კვანტური ფიზიკის ფენომენოლოგიური კონცეფცია და თანამედროვე პროზის პოლიფონიურობა“. ფილოსოფიური ძიებანი, ტ. XIV. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010.
2. დოლიძე მამუკა, „კულტურის ფენომენოლოგია და კვანტური ფიზიკის ფილოსოფიური პრობლემები“. თბილისი, 2007.
3. თევზაძე გურამ, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002.
4. კაკაბაძე ზურაბ, რჩეული ფილოსოფიური შრომები, ერთტომეული, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012.
5. რამიშვილი ვალერიან, XX საუკუნის ფილოსოფია, I ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2016.
6. ჰაზავი დან, ჰუსერლის ფენომენოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
7. ჰუსერლი ედმუნდ, პარიზული მოხსენებები, გამომცემლობა „Carpe diem“, თბილისი. 2010.

Vardo Beridze

*Batumi Shota Rustaveli State
Associate Professor of University
Georgia, Batumi*

HUSSERL PHENOMENOLOGICAL METHOD IN SCIENCE

The intuitive application of the phenomenological approach to the two distinct areas of human mental activity - in science and the arts - creates an interesting and important parallel, and it must be said that in the end it will unite them. Husserl's methodological call to "go back to the objects himself", means the return of the philosophical vision from object to subject, to the intentional life of consciousness as the center of the universe.

К “СЛОВАРЮ ОСЕТИНСКО-ГРУЗИНСКИХ И ГРУЗИНСКО-ОСЕТИНСКИХ СХОЖДЕНИЙ”

Ареальные отложения в языке предполагают, как известно, этнические контакты, обосновывающие пространственное распространение в результате территориальных сношений языковых фактов и явлений. Образовавшиеся лексические единицы языка в итоге взаимного влияния самих языков обусловлены культурами, стоящими за ними, и исследование их семантики и этимологии зачастую даёт нам почву для размышлений об особенностях схождений, в частности межкавказских, как в материальной культуре, так и в обрядах, обычаях и нравах, в быту, фольклоре и религиозных воззрениях. Теория ареальной лингвистики В.И. Абаева направлена на изучение сходных явлений изоглоссов, возникающих между языками определённого ареала в результате длительного соседства и контактного развития; к примеру, Кавказ: «Здесь с давних пор взаимодействуют языки разного происхождения, разной типологии, разного уровня культурного и социального развития. <...> какое богатство и разнообразие тем таит в себе кавказский материал по проблеме языковых контактов» [1, 289].

По мнению В.И. Абаева, схождения *«очень многочисленны и древни»*. В них «выделяются своим полновесным культурным содержанием» три группы слов: 1) *названия культурных растений и домашних животных*; 2) *термины материальной культуры*; 3) *термины социального порядка*; приводимые учёным изоглоссы захватывают несколько различных языков [1, 287-293].

Цель статьи: осуществить обзор публикаций по теме, чтобы показать, что выявленные культурные влияния, действовавшие в истории языков описываемого ареала и нашедшие отражение в языке, уже достаточны для работы над словарём. Он бы свидетельствовал о существовании «единой кавказской этнической культуры», несмотря на языковую раздробленность; такая работа «позволила бы уловить дух и существенные черты этой культуры» [2, 89].

Научный задел по теме, заложенный В.И. Абаевым, продолжают изыскания отечественных и зарубежных учёных.

При выборе темы мы руководствовались наблюдением Г.А. Климова, по мнению которого «проблема ареальных взаимоотношений кавказских языков <...> по сей день остаётся наименее разработанной, исходя из определения ареальной лингвистики как самостоятельного аспекта трактовки структурных и материальных сходств между языками, возникающих на базе конвергентных процессов в условиях языкового контактирования в определённой зоне. <...> весьма пересечённый языковой ландшафт кавказского ареала, нередко далеко не совпадающий в своих изоглоссах с распределением его характеристик, обусловленных генетическим или типологическим фактором, безусловно, заслуживает стать предметом самостоятельного рассмотрения посредством как метода картографирования, так и другими средствами ареальной лингвистики [4, 200-201].

Но, предостерегают нас, изучение лексических общностей «...наталкивается на большие трудности, чем изучение их сходств на других языковых уровнях, поскольку общие или просто похожие слова легко привлекают к себе внимание..., однако интерпретация их истории допускает большой диапазон возможностей и зачастую вызывает споры (в том числе и специалистов)» [5, 141].

Трудность эта мотивируется как неоднозначностью определения лексических общностей, которые, по мнению Д.И. Эдельман, могут быть «действительно генетически общими (т.е. общими архаизмами, или общими инновациями), но могут быть и заимствованными – непосредственно, или через язык-посредник, – могут создаваться параллельно по сходным моделям из единого индоевропейского корня и единых словообразующих элементов, могут иметь сходные семантические сдвиги и т.д., но могут, наконец, быть и результатом простого совпадения» [5, 142], но и, с другой стороны, подвижностью лексики как языкового уровня, что является непреодолимым препятствием для выявления направления многих заимствований и формирования *определённых* лексических пластов, общих для двух или более языков, или языковых групп. В этом случае необходимо учитывать обусловленность означенных процессов факторами внешней истории: длительностью и значением ирано-кавказских контактов; влиянием ираноязычных на материальную культуру, идеологию, религиозную и социальную сферу жизни кавказцев [6, 37-47].

Материалом для работы послужат как опубликованные труды отечественных и зарубежных лингвистов, так и лексикографические издания по языкам ареала, а также исследования XIX – начала XXI вв. и их интерпретация в генетическом, типологическом и ареальном аспектах.

Созидание полноценной и всеобъемлющей жилой среды является важнейшей и наиболее актуальной, многоаспектной проблемой архитектурно-градостроительного развития национальных республик Северо-Кавказского региона Юга России. Проблемой не только научной, творческой, социально значимой, а, прежде всего, организационно-стратегического порядка, требующей пристального внимания высоких представителей республиканской верховной власти и руководителей архитектурно-градостроительных ведомств, департаментов, министерств республики и города. Должно быть ясно, что при подготовке территориальных (городских, республиканских и т.п.) нормативов по проектированию новой и реконструкции старой, существующей жилой среды городов национальных республик Северного Кавказа и Южной Осетии, весьма важно предусмотреть, в обязательном порядке и для общего пользования, возведение одноэтажных зданий для традиционно-бытовых ритуалов как материализованных символов национальной идеологии и культуры, как зримых свидетельств особенностей национального образа жизни.

Отсюда следует принципиальный вывод: в республиканские и городские архитектурные и градостроительные документации необходимо ввести и утвердить п л а н и р о в о ч н ы е н о р м а л и, столь важные и значимые при разработке планировочной структуры и пространственной композиции благоустроенной жилой среды города, адекватной образу жизни и стилю мышления обитающих в ней людей, их национальным и социальным интересам.

Требования по размещению на территории городской жилой среды – в общем дворе, образованном группой многоэтажных жилых домов, обособленного здания социально-бытового назначения, т.е. для традиционных потребностей соседской и квартальной общины, а также всех функциональных площадок и малых архитектурных форм, декоративной скульптуры, живописного водоема, к их размерам, санитарным разрывам между ними и от зданий и сооружений, учету национального и демографического состава населения, слагающих жилую среду соседско-квартальной общины, должны быть положены в основу норм по назначению

территории жилой среды и включены в территориальный нормативный документ по планировке и застройке города, его благоустройству.

Вместительные удлиненные общесекционные коридоры, просторные первые этажи некоторых жилых домов и обособленные здания для традиционно-бытовых ритуалов среди группы домов в многоэтажных жилых районах городов Северного Кавказа и Южной Осетии – это, по сути, на сегодняшний день, действенный социальный заказ всех обитателей городских жилых домов, независимо от их национальной принадлежности, социального положения и вероисповедания. Для полноценного национального образа жизни необходимо создать иные, совершенно новые типы жилых домов и новую типологию жилой среды с учетом естественно-исторических и этносоциальных констант национального образа жизни. В свою очередь, образ жизни народностей Северного Кавказа и Южной Осетии, их социальное, экономическое и политическое положение, многовековое наследие и национальное мышление, культурные традиции и национальный характер, неповторимая природа оказывают неизгладимое воздействие на функциональные и художественно-эстетические характеристики их жилища и жилой среды.

Национальное сознание, чувство принадлежности к определенной национальной общности, отличной от других, стали характерными чертами изначальной организации национальных республик столь разнородных на Северном Кавказе и отличающиеся четко выраженной гетерогенностью этнического состава.

Социальное пространство – это пространство отношений, которое столь же реально, как географическое пространство, и, по сути, является объективным пространством, детерминирующим развитие или угасание национальных традиций, степень исторической преемственности или радикальных инноваций национальной идеологии и культуры: материальной, духовной, нравственной. Традиционное национальное пространство гомогенно, как единая национальная общность индивидов, в отличие от социального пространства национальностей, являющегося множественным универсальным социумом, особой естественноисторической реальностью, формирующейся постепенно и постоянно, т.е. непрерывно и устойчиво развивающейся на основе более сложных, глубинных процессов, побуждаемых миграционными потоками, урбанизационными преобразованиями и прочими действиями. Мир социального пространства как объективная жизненная реальность воплощается в статус символической системы, которая слагается как иерархическая система феноменов, функционирующих символически и составляющих определенное многомерное пространство стиля жизни, символической образности. Это вполне соответствует тенденциям новых социальных движений, всецело ориентированных на традиционную культуру и ныне устремленных в образах жизни сделать действенным субстанциональное – индивидуально-социальную и этнокультурную самобытность, принцип преемственности и национального своеобразия Общества и достойной его Архитектуры и Градостроительства – в противоположность господствующим социальным нравам и творческим принципам. Кроме того, надо полагать, что это также не противоречит научно-теоретическим и творческим концепциям *приоритетного национального проекта «Доступное и комфортное жилье гражданам Северной и Южной Осетии»*, в котором должны учитываться сложившиеся веками семейно-бытовой уклад, этнические связи и социальные отношения коренного этноса, а также композиционные и планировочно-пространственные особенности местной, традиционной архитектуры и градостроительства Северной и Южной Осетии. Надеюсь, аналогично сложились обстоятельства и в других национальных республиках Северного Кавказа, где также созданы идентичные проекты государственного домостроительства.

Правительствам республик Северного Кавказа градоначальникам и строительным министерствам предстоит осмыслить явно существующую жилищную проблему, составить и оформить социальные заказы и официально предъявить их архитекторам и градостроителям, для удовлетворения ежедневных нужд городского и поселкового населения. Создание нормального материально-организованного пространства для удобной и достойной жизни и быта национального общества, новой, отвечающей психическому складу народа, его этическим нормам и эстетическим канонам, типологии жилой среды – таковой должна быть предстоящая творческая программа, актуальность и важность которой несомненна и которая должна стать стержневой основой пробуждения профессионального потенциала архитекторов и градостроителей.

В истолковании столь насущной, жизненно важной проблемы должны сказать свое веское, всесторонне аргументированное слово этнологи, социологи, психологи, экономисты, политологи, географы и демографы, т.е. специалисты по этническим, социальным, национальным, конфессиональным и региональным проблемам народоведения, исследующие многие аспекты и закономерности проявления традиций, причины столь длительного их сохранения и преемственного развития, тенденции обновления их созвучно духу времени и места. Уверен, что специалисты гуманитарных и социальных областей знания внесут свой уникальный научный вклад, столь актуальный и важный для формулировки теоретических основ творческого поиска архитекторов и градостроителей. Смогут ли они, местные зодчие, одолеть эту поистине эпохальную творческую проблему

первостепенной значимости? Все еще открытый вопрос, хотя ныне уже имеются весьма благоприятные возможности для реализации творческой мысли.

Основываясь на принципах гражданской совести, человеческой морали и профессиональной чести, надо полагать, что архитекторы и градостроители национальных республик Северного Кавказа и Южной Осетии, не вправе забывать о наказе великого финского архитектора, градостроителя и дизайнера Алвара Аалто (1898-1976), который, будучи ярким представителем «Эпохи мастеров» и зодчим с мировым именем, никогда не отрывался от родной Земли, а, напротив, вопреки манифестам новаторской архитектуры XX века, сумел органично воссоединить новаторские тенденции, местные строительные материалы и национальные традиции замечательного и одаренного финского народа, и который настойчиво утверждал: «Архитектура – настоящая – только та, для которой человек в центре внимания». На мой взгляд, это незыблемо и непоколебимо для истинного творца, мыслителя и гуманиста, осознающего свою миссию и в том, что «Задача архитектора – сделать жизнь удобнее» [5].

Итак, в процессе формирования и функционирования жилища как социальной единицы, которое во всех его вариациях является первичной единицей коллективной солидарности в социальных системах, поскольку членами дома являются люди, проживающие вместе и образующие единство – органическое, психологическое и социальное, и в непрерывности жизненных циклов во всех человеческих обществах. Ни одно общество не существует без крова над головой, без грамотно организованного планировочно-пространственного физического образования, такого, как жилой дом и жилая среда – высшая культурно-экологическая реальность формирования сельского и городского поселения, которое является основой жизнеобеспечения и главной гарантией сохранения жизни отдельных личностей и общества в целом или, иначе, основным гарантом национальной и социальной безопасности.

Позволим себе завершить наши размышления словами известного австрийского философа и социолога-идеалиста, основателя феноменологической социологии Альфреда Шюца (1899 – 1959), который писал: «...Мы будем понимать под домом нулевую точку системы координат, которую мы приписываем миру, чтобы найти свое место в нем. Географически это определенное место на поверхности земли. Но дом – это не только пристанище: мой дом, моя комната, мой сад, моя крепость. Символическая характеристика понятия «дом» эмоционально окрашена и трудна для описания. Дом означает различные вещи для разных людей. Он означает, конечно, отцовский дом и родной язык, семью, друзей, любимый пейзаж и песни, что пела нам мать, определенным образом приготовленную пищу, привычные повседневные вещи, фольклор и личные привычки; короче, **особый способ жизни** (выделено нами – В.Б.), составленный из маленьких и привычных элементов, дорогих нам» [6].

Теперь, резюмируя изложенное, осмелюсь напомнить о том, что истекает время собирать камни и бить в колокола. Уже необратимо время чудодейственного появления серебряных, золотых и платиновых оправ для драгоценных камней – ослепительно сверкающих многочисленными гранями, мягко переливающихся в роскошном блеске и нежным мелодичным звоном зывающих к себе и стремительно сковывающих наш взор, утонченное и уединенное внимание. Поскольку ни одна семья не может достать с ночного небосвода ярко сияющей звезды или получить ее в подарок от Млечного пути, поэтому для древних и продвинутых этносов и всего населения каждой республики Северного Кавказа должна быть детально разработана, обстоятельно и грамотно составлена Национальная доктрина архитектуры и градостроительства – всеобъемлющий и основополагающий документ, кодекс творческой чести и профессионального достоинства, важнейшая и приоритетная государственная программа самостоятельного аспекта национального развития по самобытному и своеобразному Земному пути.

Глубоко убежден в том, что для лучшего восприятия, более глубокого осмысления и пронизательного визуального видения существующих в избытке созидательных, проектно-творческих проблем Республиканские представители верховной власти обязаны руководствоваться единой Концепцией архитектурной и градостроительной политики конкретной национальной республики на начало, возможно, на первую треть XXI века.

Весь парадокс заключается в том, что с конца минувшего века у горских народов республик Северного и Южного Кавказа неукротимо нарастает всеобщий интерес к национальным проблемам народов России, к проблемам, составляющим основополагающие принципы и жизнеутверждающие особенности национального образа жизни. На нынешнем этапе у горских народностей наблюдается всплеск имманентного стремления созидать жизнь по строгим законам предков, придерживаться канонических правил национального ритуала и традиционного этикета.

Примечания

*Текст ныне представленного доклада является органическим продолжением предыдущего доклада авторов этих строк, состоявшегося в минувшем году на IV Международной научной конференции «Перспективы развития грузинско-осетинских отношений», посвященной 100-летию со дня основания Тбилисского государственного университета им. И.А. Джавахишвили (13-15 октября 2018г., ТбГУ, г. Тбилиси, Республика Грузия). По теме доклада опубликована статья, см.: Бесолов А.В., Бесолов В.Б. **Особые этнокультурные критерии и этносоциальные проблемы устойчивого формирования жилой среды города: архитектурно-планировочный аспект** // Материалы (Proceedings). IV Международная юбилейная научная конференция «Перспективы развития грузинско-осетинских отношений». 100-летие со дня основания Тбилисского государственного университета им. И.А. Джавахишвили. – Тбилиси: изд-во ТбГУ, 2018. – С. 45-53.

1. См.: Бергер П.Л., Лукман Т. Социальное конструирование реальности / Пер. с англ. яз. – М.: Медиум, 1995. – С. 37-38.

2. См.: Парсонс Т. Понятие общества: компоненты и их взаимоотношения / Предисл. и сокр. пер. с англ. яз. Н.М. Смирновой // Социология. – 1993. – № 3 - 4. – С. 84.

3. См.: Тойнби А. Дж. Постижение истории / Пер. с англ. языка; Сост. А.П. Огурцов. – М.: Прогресс, 1991. – С. 590.

4. Эта, весьма ценная идея любезно подсказана руководителем Отдела содействия внедрению инновационных проектов ВНЦ РАН и Правительства РСО-Алания, математиком и социологом Хаджи-Муратом Заурбековичем Торчиновым.

5. См.: Аалто А. Вместо статьи. Диалог с З. Гидионом / Сокр. пер. с англ. яз. А.В. Иконникова // Мастера архитектуры об архитектуре. Зарубежная архитектура. Конец XIX – XX век. Избранные отрывки из писем, статей, выступлений и трактатов. – М.: Искусство, 1972. – С. 391.

6. См.: Шютц А. Возвращающийся домой / Предисл. и сокр. пер. с англ. яз. Н.М. Смирновой // Социологические исследования. – 1995. - № 2. – С.139; или ранее вышедшее оригинальное издание: Schutz A. The Homecomer. On Phenomenology and Social Relations, ed. by H.R. Wagner. The University of Chicago Press. – New-York, 1970. – P. 294.

Aristarkh Bessolov V.

*North Ossetian State University name K. L. Khetagurov
Russia, Vladikavkaz*

Vladimir Bessolov B.

*Professor and Corresponding Member of MAAM,
Advisor to the Russian Academy of Architecture and Building Sciences,
Honorary Architect of the Russian Federation,
Russia, Vladikavkaz*

ARCHITECTURAL-PLANNING REALITIES AND ASPECTS OF SUSTAINABLE NATIONAL DEVELOPMENT IN THE CITIES OF THE NORTH AND SOUTH CAUCASUS: etnosociological aspect

Keywords: Caucasus, North Caucasus, Georgia, cities, architecture, urban planning, urban environment, family life, social relations, psychological stock, national traditions, continuity, innovation, symbol and ritual.

Abstract: The report comprehensively examines the entire set of issues of fundamental importance in the formation of architectural and planning features of urban residential buildings in the cities of the North Caucasus and the Republic of Georgia. The author of these lines puts forward and poses a problem for architects: when designing multi-storey and multi-apartment urban residential buildings, it is necessary to take into account not only the landscape-climatic and seismic specifics of the North Caucasus and Georgia, but also, and this is extremely important, serious attention should be given to ethno-cultural, national features and social rituals of family structure, quarterly community, and patronymic.

თემირბოლათ გამსურავის ლექსის გერმანული თარგმანის ბაპო

ჩემს შეხვედრას ოსი პოეტის, კოსტა ხეთაგუროვის წინამორბედის, თემირბოლათ მამსუროვის შემოქმედებასთან ცოტა უჩვეულო წინაისტორია აქვს და იგი კავკასიური ჟურნალისტიკის ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას უკავშირდება:

საუკუნეზე მეტი ხნის წინ, 1906 წელს, თბილისში კავკასიელმა გერმანელებმა მშობლიურ ენაზე გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ გამოსცეს, ხოლო ვლადიკავკაზში იმავე წელს პირველი ოსური გაზეთი „ირონ გაზეთ“ დაარსდა.

ჯერ „კაუკაზიშე პოსტის“ შესახებ მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას: იგი კავკასიელ ხალხთა დიდმა მეგობარმა, მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან თბილისში დამკვიდრებულმა გერმანელმა მწერალმა, ჟურნალისტმა, ქართული და სომხური პოეზიის გერმანულ ენაზე მთარგმნელმა, არტურ ლაისტმა (1852-1927) დააფუძნა (ამ გაზეთის შესწავლაზე დიდი გატაცებით ვმუშაობ სტუდენტობიდან, 1969 წლიდან).

გერმანულ გაზეთს თავისი წვლილი შეჰქონდა სამხრეთ კავკასიაში მე-19 საუკუნის დამდეგს ჩამოსახლებულ გერმანულ კოლონისტთა და ადგილობრივ ხალხთა ურთიერთდაახლოების საქმეში. არტურ ლაისტი გერმანულ მკითხველს აცნობდა კავკასიის ხალხთა ისტორიასა და კულტურას, გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, საიათნოვას, ალექსანდრე ცაატურიანის ლექსებისა და ანდრია დეკანოზიშვილის პროზაული თხზულების საკუთარი თარგმანები, აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა თბილისში გამომავალ აზერბაიჯანულ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს „მოლა ნასრედინს“, რომელსაც ხალხის ქომაგობისა და ამა სოფლის ძლიერთა გამასხარავების გამო არაერთხელ დაუმსახურებია ხელისუფლების რისხვა.

1906 წლის მე-8 ნომერში ა. ლაისტმა დაბეჭდა წერილი სათაურით „ოსური გაზეთი“ („Eine ossetische Zeitung“), რომლითაც იგი გულმხურვალედ მიესალმა ოსური გაზეთის გამოსვლას ვლადიკავკაზში. წერილს გერმანელი მწერალი ამ სიტყვებით ამთავრებს:

„ერთობ მდიდარია ოსების ხალხური პოეზია. მათ ბლომად მოეპოვებათ თავისებური საგმირო თქმულებები და ხალხური სიმღერები, რომელთა შორის ისეთსაც შეხვდებით, რომლებშიც სამშობლოს ღრმადგანცდილი სიყვარულია გამოხატული“.

„თავისებურ საგმირო თქმულებებში“ გერმანელი მწერალი, ცხადია, ნართების ეპოსს გულისხმობს – მსოფლიო ლიტერატურის შედეგს, ხოლო სამშობლოს ღრმადგანცდილი სიყვარულის გამომხატველი პოეზიის ნიმუშად მკითხველს ერთი ოსური ლექსის საკუთარ გერმანულ თარგმანს სთავაზობს. აი ისიც:

1.
Den Schlummer wiesen heute von sich meine Glieder,
Vor Schmerzen schlossen sich nicht meine Augenlider.
Ach Berge, ihr, ach Heimat, du,
Wo finden fern von euch wir Ruh?
2.
O, Heimatland, o, Heimatland,
Wie lebt es sich in dir doch süß!
Die Fremde bleib' uns unbekannt,
Du bist des Herzens Paradies!
Ach Berge, ihr, ach Heimat, du,
Wo finden fern von euch wir Ruh?
3.
O, Heimatland, o, Heimatland,
Du deiner Kinder Pfühl und Schoß,
Die Fremde bleib' uns unbekannt,
Nichts reißt von dir die Herzen los.
Ach Berge, ihr, ach Heimat, du,
Wo finden fern von euch wir Ruh?

ქართული პნკარედი:

1.

თვლენა განაგდო (განდევნა) დღეს ჩემმა სხეულმა.
ტკივილი თვალის მოხუჭვის საშუალებას არ მძლევს.
ახ, მთებო, ახ, სამშობლო,
სად ვიპოვით თქვენგან მოშორებით სიმშვიდეს ჩვენ?

2.

ო, სამშობლო, ო, სამშობლო,
რა ტკბილია ცხოვრება შენს მიწაზე!
უცხო მხარე უცნობი დარჩეს ჩვენთვის,
შენ გულის სამოთხე ხარ!
ახ, მთებო, ახ, სამშობლო,
სად ვიპოვით თქვენგან მოშორებით სიმშვიდეს ჩვენ?

3.

ო, სამშობლო, ო, სამშობლო,
შენ, შვილთა შენთა რბილო სასთუმალო და კალთა,
უცხო მხარე უცნობი დარჩეს ჩვენთვის,
[ჩვენს] გულებს შენ ვერაფერი მოგწყვეტს.
ახ, მთებო, ახ, სამშობლო,
სად ვიპოვით თქვენგან მოშორებით სიმშვიდეს ჩვენ?

ამ ლექსის შესახებ 2004 წელს გამოვაქვეყნე წერილი „კავკასიური სახლის“ ჟურნალ „ალტერნატივის“ მე-3 ნომერში, სათაურით „ვეძებ ორიგინალს“, რომელსაც ასე ვამთავრებდი:

„აქამდე არ იყო ცნობილი, რომ არტურ ლაისტს ოსური ლექსიც უთარგმნია. მოსაზღვრე და ჯვარედინი რითმებით შესრულებული ეს თარგმანი ჩინებულად ჟღერს გერმანულ ენაზე.

არტურ ლაისტი არ მიუთითებს, საიდან თარგმნა ეს ლექსი. მის ორიგინალს ან რუსულ თარგმანს ჩემი ოსი მეგობრების დახმარებითაც ვერ მივაკვლიე. დიდად მადლიერი ვიქნები მისი, ვინც ამ ოსური ხალხური ლექსის დედნის პოვნაში დამეხმარება“.

შემწედ შესანიშნავი მეცნიერი, ფილოლოგი ქალბატონი ნაირა ბეპიევი მომეცლინა. მან მიმითითა ვსევოლოდ მილერის ნიგნზე „ოსური ეტიუდები“ (მ., 1881), რომელშიც დაბეჭდილია თერთმეტსტროფიანი ლექსი სათაურით „ფიქრები“ – გვერდიგვერდ ორიგინალიც და რუსული პნკარედული თარგმანიც (გვ. 104-107). უთუოდ ამ გამოცემით ისარგებლებდა ა. ლაისტი. თერთმეტი სტროფიდან მას პირველი, მეხუთე და მეათე შეურჩევია და, როგორც უკვე ვთქვით, ჩინებული რითმიანი ლექსით უთარგმნია, ორიგინალის სარიტმო სისტემის დაცვით.

მთელი ლექსი სამშობლოს მოშორების სევდას განუმსჭვალავს. ამ უნაპირო ნაღველის მიზეზი გაცხადებულია კომენტარში, რომელიც ვ. მილერს „ფიქრებისთვის“ დაურთავს:

„სიმღერა შეთხზულია (მაჰმადანი) ოსების ჩეჩნებთან ერთად 1865 წელს თურქეთში გადასახლების გამო. გადასახლების მოთავე, როგორც ცნობილია, იყო ოსი, რუსული სამხედრო სამსახურის ყოფილი გენერალი, მუსა კუნდუხოვი. სულ 22 000 კაცი გადასახლდა, უმეტესობა – ჩეჩენი. ოსთაგან კუნდუხოვმა თავის ნათესავთა და თანამოგვარეთა რამდენიმე ოჯახი გაიყოლია. მე ხელთ მქონდა [ამ ლექსის] საკმაოდ ცუდი პირი, რომლის ამოკითხვაში ბ-ნი კოკიევი დამეხმარა“ (გვ. 13).

ლექსის მეოთხე სტროფში (რჩეულ ა. ლაისტს არ უთარგმნია) სამშობლო საყვედურობს მათ, ვინც იგი მიატოვა, გამოეყო თავისიანებს, სხვა მხარეში გადასახლდა და ამით დაასუსტა მშობელი ქვეყანა („...на две части вы разделились, / и на одном месте ради меня / биться вы не в состоянии“).

არც ვ. მილერისთვის და არც, ბუნებრივია, ა. ლაისტისთვის, რომელიც ვ. მილერს ეყრდნობა, ცნობილი არ არის ამ ლექსის ავტორის ვინაობა, მათ იგი ხალხური ჰგონიათ.

ქალბატონ ნაირა ბეპიევისგანვე შევიტყვე, რომ მოგვიანებით ცნობილი გამხდარა „ფიქრების“ ავტორის ვინაობა: ეს შთამბეჭდავი, მაღალვერსიფიკაციულ დონეზე შესრულებული ლექსი თურქეთში გადასახლებული პოეტის თემირბოლათ მამსუროვის კალმის ნაყოფი ყოფილა.

„მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში“ (მოსკოვი, 1968, ტ. 5, სვეტი 476) ვკითხულობთ:

„პოეტმა თ. მამსუროვმა (1843-98) სიმართლით ასახა თურქეთში გადასახლების დროინდელი (1859-65) ზოგიერთი ფაქტი ოსთა ცხოვრებიდან. ლექსებში „ორი მეგობარი“, „ფიქრები“ პოეტმა მოგვითხრო თურქოფილთაგან მოტყუებულ გადასახლებულ მთიელთა მძიმე განსაცდელზე, მათ ნოსტალგიაზე“.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ სიტყვის ამ ოსტატზე ნათქვამია:

„ოსური ლიტერატურა იწყება თ. მამსუროვის შემოქმედებით. იგი 1865 წელს მუსლიმ ოსებთან ერთად გადასახლდა თურქეთში. მისი ნაწარმოებები ძირითადად საბჭოთა პერიოდში გახდა ხელმისაწვდომი“ (ქსე, თბილისი, 1984, ტ. 7, გვ. 601).

ამრიგად, არტურ ლაისტს ოსური პროფესიული ლიტერატურის საფუძველდამდებების ლექსი უთარგმნია გერმანულად და არა ხალხური პოეზიის ნიმუში, როგორც თვითონ ფიქრობდა ვ. მილერზე დაყრდნობით.

ეს მოვლენა გერმანულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის საყურადღებო ფაქტია. აქამდე არ იყო ცნობილი, რომ არტურ ლაისტს, ქართული და სომხური პოეზიის გერმანულად მთარგმნელს, ოსური ლექსის თარგმანიც შეუსრულებია და გამოუქვეყნებია კიდეც.

Levan Bregadze
Doctor of Philology
Georgia, Tbilisi

On a German translation of Temirbolat Mamsurov's poem

The German language newspaper in Tbilisi “Kaukasische Post” published in its Issue 8 for 1906 an Ossetian poem translated by Arthur Leist, which the translator believed to be a specimen of Ossetian folk poetry. By Ms. Naira Bepiev's assistance, we have found out that we were dealing not with a folk poem, but with the fragments of a work by the founder of the Ossetian professional literature Temirbolat Mamsurov (1843-1899), an Ossetian poet exiled to Turkey, a poem titled “Reflections” written on a high versification level and infused with a patriotic spirit.

This is a significant fact for German-Ossetian literary relations. Up to present, it was not known that Arthur Leist, a translator of Georgian and Armenian poetry into German, had translated and published an Ossetian poem as well.

მანანა ბუკია,

*პროფესორი,
ოსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ქართველურ-აფხაზურ-ოსური ენობრივი შეხვედრები

ქართველურ, აფხაზურ და ოსურ ენებში გვხვდება მთელი რიგი ერთნაირი სიტყვებისა, რომელთა სესხების მიმართულებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ურთიერთგანსხვავებული აზრია გამოთქმული.

მეგრულში, აფხაზურსა და ოსურში გვხვდება ერთი და იმავე სიტყვით წარმოდგენილი **ნაფრა / ნაფურნახე** (მეგრ.) „რიტუალური ცერემონიალი“ (ყიფშიძე 1914: 490), **ანაფრა** (აფხ.) „ავადმყოფობის ავისული“ (ჯანაშია 1960: 60) და **ნაჭ** (ოს.) „ღვთაებისა და დღესასწაულის სახელი“ (აბაევი 1973: 148).

ი. ყიფშიძის განმარტებით, **ნაფრა / ნაფურნახე** რომელიღაც ღვთაების სახელწოდებაა. მისი მსხვერპლშენიერების რიტუალი ტარდებოდა ივლისში, შაბათ დღეს. მსხვერპლად სწირავდნენ ერთგვარ ყველს – შელეურს. ლოცვისას დგებოდნენ პირით სამხრეთისაკენ. ერთი თვალსაზრისით, მეგრულ-აფხაზურ-ოსური ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს არაბული **ნაფრ-ათუნ** „თვალნაკრავის, გათვალვის საწინააღმდეგო ამულეტი, ავგაროზი“. ვ. აბაევი მეგრულ ფორმას უკავშირებს ოსურში კარგად ცნობილ **ნაჭ** „ღვთაებისა და დღესასწაულის სახელს“ (აბაევი 1973: 148), თუმცა არ აღნიშნავს სესხების მიმართულებას. ეთნოლოგ ნ. ანთელავას თვალსაზრისით, მეგრული **ნაფურნახე** მომდინარეობს აფხაზური **ნაფრა-ნგხა**-დან, რაც „ნაფრას სალოცავს (ხატს)“ ნიშნავს. „როგორც ჩანს, ტერმინი და მისით აღნიშნული რიტუალი სამეგრელოში შემოტანილია აფხაზეთის ამ რეგიონიდან სამეგრელოში ჩამოსახლებულთა მიერ“ (ანთელავა 2006: 58).

ერთი შეხედვით, მეგრული **ნაფურნახე** ფორმა ორი ელემენტისაგან შედგება, მეორე ნაწილი **-ნახე** ნამდვილად აფხაზურ **ა-ნება** ფორმას უკავშირდება, მაგრამ გასარკვევია პირველი ნაწილის **ნაფურ-** ელემენტის წარმომავლობა.

ვვარაუდობთ, რომ სწორი უნდა იყოს ტერმინის არაბულიდან შეთვისების თვალსაზრისი. მითუმეტეს, ამ სიტყვის ეტიმოლოგია წარმოდგენილ ენებში დადგენილი არ არის. მეგრულ, აფხაზურ და ოსურ ფორმებს საფუძვლად უდევს არაბული **ნაფურ-** ელემენტი.

აფხაზი ეთნოგრაფების მითითებით, მეგრულში გვაქვს ტერმინი **ჩინორი** „დაქირავებული მწყემსი“ (ბუჟანია 1962: 89; ინალ-იფა 1986: 152). მეგრულ ლექსიკონებში სიტყვა ასე განიმარტება: **ჩინორი** „მწყემსი. დინდარი კოჩი მათხილეს დეკენდენი, თის ჩინორს უძახდეს „მდიდარი კაცი მწყემსს რომ დაიკავებდა, იმას ჩინორს ეძახდნენ“ (ქაჯაია 2002: 310); **ჩინორი** „მზირი; მეთვალყურე; დაქირავებული მწყემსი; ცხვარში დოლის მეთვალყურე, მიმღები, მცნობი“ (ქობალაია 2010: 674). მეგრულ სინამდვილეში (ეთნოგრაფიულ მასალებში) ეს ტერმინი არ ჩანს. აფხაზურ წყაროებში მითითებულია, რომ აფხაზებში, მეტწილად სამხრეთში, ისევე, როგორც აბაზებსა და მეგრელებში გავრცელებული იყო მწყემსის დაქირავების წესი. ხშირად ფარას ახლდა **ჩინორი** „გარკვეული ვადით დაქირავებული მწყემსი“. შდრ. აფხ. **ა-ჩნერ** „რამდენიმე წლით მწყემსად წასული კაცი“ (ჯანაშია 1954: 345; ბუჟანია 1962: 93). **ჩინორი / ჩინორობა** თავდაპირველი მნიშვნელობით კარგადაა დაცული აბჟუელ აფხაზებში (ინალ-იფა 1986: 152). ტერმინი აბაზურში წარმოდგენილია **ჩენერ** სახით.

ვ. კვარჭიას აზრით, ფორმა უახლოვდება ოსურ **ჩერუნ** „ცხოვრება“ < „საქონლის მოვლა“ (კვარჭია 1981: 117). ეს თვალსაზრისი ბევრ დაბრკოლებას ხვდება: გარდა იმისა, რომ სემანტიკური სიშორე ასახსნელია, დასასაბუთებელია მეგრულში **ი-სა** და **ო-ს** გაჩენის ლინგვისტური საფუძველი. ვთვლით, რომ ვ. კვარჭიასეული თვალსაზრისის მიღება გაჭირდება.

ყურადღებას იქცევს აფხაზურ-მეგრულ-ოსური ფორმა აფხ. **ა-ქაშთ**, მეგრ. **ქვაშთი** „თიკანი“, **კუისტ / კოსტ** „ერთი წლის ცხვარი. ვ. კვარჭია ვარაუდობს, რომ გამორიცხული არაა, აფხაზური ფუძე იგივე წარმოშობისა იყოს, რაც ოსური **კუისტ / კოსტ** „ერთი წლის ცხვარი“, სვან. **ნელაშთ** „ექვს თვემდე ბატკანი“ და დასძენს, რომ აფხაზურ ნიადაგზე შესაძლებელია გამოიყოს ელემენტი **-თ** „ცხვარი“, მაგრამ აფხაზურ ფუძეს ეტიმოლოგია არ ეძებნება (კვარჭია 1981: 75). მართალია, საკვლევ ფორმაში სამივე ენაში გამოიყოფა **-თ** ელემენტი, მაგრამ აუხსნელად რჩება აფხაზურში **ა-ქაშ** მორფემის წარმომავლობა (ბუკია 2008: 24). ეს ფორმა გვხვდება აბაზურშიც: **ქაშთ** „ახალგაზრდა ცხვარი“ (აბრლ 1967: 245).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მეგრული ფორმა **ქვაშთი** ქართველურ **ქოსტ-**თან („ციკანი, შემოდგომობით მთიდან დაბრუნებული თიკანი“) ამჟღავნებს ერთობას და საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ქესთ** > ქართლ. **ქოსტი** (< ***ქვესთი**) : ზან. **ქვაშთი**-ი (ჩუხუა 2000-2003: 255).

ამ მონაცემების ანალიზი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი მეგრული ფორმაა, და აქედანაა შეთვისებული ერთი მხრივ, აფხაზურში, მეორე მხრივ, ოსურ ენაში.

ქართველურ ენებში (თითქმის ყველა დიალექტში) გვხვდება სიტყვა **კოჭობი** „პატარა ქოთანი“ (ქეგლ IV: 1360), **კოჭობი** (ძვ. ქართ.) „ქოთანი“ (აბულაძე 1973: 201), **კოჭობი** „მცირე ქოთანი“ (საბა 1991: 387), **კოჭობი / კოჭობაჲ / კოჭობ** (ხევს., მოხ., მესხ., გურ., ინგილ., იმერხ.) „ვერცხლის თასი ლუდის სასმელი“, „სახუცო თასი“, „თიხის პატარა ქოთანი“, „პატარა ქოთანი“ (ლლონტი 1984: 308; ფუტყარაძე 1993: 256), **კოჭობი** (მეგრ.) „ქოთანი“ (ყიფშიძე 1914: 262), „ნავთის ჭურჭელი“ (ჭარაია 1997: 82), **კოჭობ** (სვან.) „პატარა ქოთანი“ (საღლიანი 2005: 19).

იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურსა და ოსურში: აფხაზური **ა-კაჭაბ** „ჭრაქი“ (ჯანაშია 1954: 153), ოსური **გონობი** „პატარა ქოთანი“ (აბავეი 1958: 522).

აფხაზური **ა-კაჭაბ** „ჭრაქი“ ფონოტაქტიკის სრული დაცვით და მეგრული სემანტიკით შესულია ქართველურიდან. ქართულიდან (აღმოსავლური დიალექტებიდან) ასევე ფონოტაქტიკის წესების დაცვით და ქართული ენის დიალექტებში წარმოდგენილი სემანტიკით არის შეთვისებული ოსურში: **გონობი** „პატარა ქოთანი“.

ქართველურ ენებში (ქართულის დასავლურ დიალექტებსა და მეგრულში) გვხვდება ერთგვარი ავადმყოფობის აღმნიშვნელი **ყვაპუ / ცვაპუ** (მეგრ.) „ღორის ავადმყოფობა, უსივდება ყელი“ (მაკალათია 2006: 271), **ყაპო** (იმ.) „ღორის ავადმყოფობა“ (ლეონიძე 1925: 81); **ყაპუ** (იმერ.) „ღორის ავადმყოფობა“ (ბერიძე 1912: 66); **ღორის ყაპო** (იმერ.) „ერთგვარი ავადმყოფობა ღორის“ (გაჩეჩილაძე 1976: 145); **ყაპო** (რაჭ.) „ღორის ავადმყოფობა“ (კობახიძე 1987: 115).

იგივე სიტყვა მცირედი სემანტიკური გადაწვევით გვხვდება აფხაზურსა და ოსურში: ა-ყაბ (აფხ.) „კამეჩის ავადმყოფობა“ (არშბა 1980: 36), ა-ყაპ (აფხ.) „id.“ (კასლანდია 2005: 595), ყფფე / ყპფუ (ოს.) „ყელის დაავადება“ (აბაევი 1973: 329). ჩანს, ორივე ენაშია ქართულიდანაა ნასესხები.

მსგავსი შემთხვევები მრავლად გვხვდება ჩვენს მიერ მითითებულ ენებში. საკითხი შემდგომ სრულ გამოკვლევას საჭიროებს.

ლიტერატურა:

1. აბაევი 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. Москва-Ленинград.
2. აბაევი 1973 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.2. Ленинград.
3. აბრლ 1967 – Абазинско-русский словарь. Москва.
4. აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
5. ანთელავა 2006 – ნ. ანთელავა, აფხაზური მითები, რიტუალები. ენციკლოპედია. თბილისი.
6. არშბა 1980 – Н. Аршба, Словарь животноводческих терминов, Абхазско-русский русско-абхазский Сухуми.
7. ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი.
8. ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми.
9. ბუკია 2008 – მ. ბუკია, რამდენიმე ქართველურ-აფხაზური საზიარო ფუძის წარმომავლობის საკითხისათვის, კრებული აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს, თბილისი.
10. გაჩეჩილაძე 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.
11. ინალიფა 1986 – Ш. Инал-ипа, Г. Смыр, Р. Чанба, Земледелие и скотоводство у абхазов (Материалы к историко-этнографическому атласу Грузии). Редакторы И. Робакидзе и Л. Акаба. Тбилиси.
12. კასლანდია 2005 – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухуми.
13. კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми.
14. კობახიძე 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი.
15. ლეონიძე 1925 – ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბილისი.
16. მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
17. საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.
18. სალიანი 2005 – მ. სალიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებად, თბილისი.
19. ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.
20. ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.
21. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.
22. ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.
23. ლლონტი 1984 – ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.
24. ყიფშიძე 1914 – И. Кипшидзе Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем С-Пб.
25. ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.
26. ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
27. ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
28. ჯანაშია 1960 – Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.

Manana Bukia

Professor,

TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics

Georgia, Tbilisi

GEORGIAN-ABKHAZ-OSSETIAN INTER-LINGUAL ENCOUNTERS

There is a cult term in Megrelian language ნაფრა / ნაფურნახე (*Naphra*) meaning ritual ceremony. A similar word exists in Abkhazian: ანაფრა (*Anaphra*) „demon of illness“. V. Abaev connects this term to a name of Ossetian ნაფ (*Naf*) - name of a god and a festival.

According to Abkhaz ethnographers, there is a term ჩინორი (*Chinori* - hired herdsman) in Megrelian, though in Megrelian study materials (except a dictionary by O. Kajaia, which is based on Abkhazian materials) there is no such term. A similar term, with similar semantics, exists in Abkhazian in a form of ა-ჩინერ (*a-chinyr*). V.Kvachadze supposed that this form is related to Ossetian ჩანურ (*chänur* – life < cattle breeding).

There is a common root Abk. ა-ქ^აშთ - Megr. ქვაშთი (**Kvashti** - goat kid). It is thought that this root is related to Ossetian კუისტ / კოსტ (**Kuist/kost** – one year sheep).

In entire Kartvelian language group there exist a form კოჭობი / კოჭობაჲ / კოჭობ / კოჭობ (**Kochob/Kochop**) meaning a “small pot”, „oil lamp“. Megrelian semantics is preserved in Abkhazian ა-კ^აჭაბ (**akachab**) form. The term exists also in Ossetian: გონობი (**Gotsobi**) – small pot.

მაია გელაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
თბილისის №29 საჯარო სკოლა
საქართველო, თბილისი

ოსურ ფოლკლორში დამონახული ლექსიკა (ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები)

კავკასიის რეგიონში საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ თანაარსებობდნენ ქართველები და ოსები. ამ ხნის განმავლობაში მათ ჰქონდათ საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობები ცხოვრების მრავალ სფეროში. რა თქმა უნდა, თანაცხოვრების ამ პერიოდს უკვალოდ არ ჩაუვლია, დაგროვდა სოლიდური ენობრივი მასალა, გამოკვლეულ იქნა ნასესხები სიტყვები, როგორც ქართულიდან ოსურში, ასევე, პირიქით.

ალან-ოსების კულტურული იდენტობის, ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მხატვრული აზროვნების გამოხატვის ერთადერთ საშუალებას XX საუკუნემდე ფოლკლორული შემოქმედება წარმოადგენდა. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ოსები მითოსის დაუნერეელი კანონებით აგრძელებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელიც ეფუძნებოდა არქეტიპებს, მფარველი წმინდანის კულტს, საკრალურ ზეპირ ისტორიებსა და პრეცედენტულ-ჩვეულებით სამართალს. ოსები ზეპირად გადასცემდნენ მომავალ თაობებს მითიური მოვლენების ცოდნას, საიდუმლოებებსა და ყვებოდნენ ვრცელ ეპიკურ ტექსტებს გმირთა საარაკო თავგადასავალზე. მთიან ოსეთში ტრადიციულ ზეპირ ტექსტებზე დაფუძნებული ცოდნა არეგულირებდა საზოგადოების შიგნით თუ მის გარეთ მომხდარ კონფლიქტურ სიტუაციებს, წარმართავდა ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროს.

მაგალითად, ბევრჯერ გამოიცა „დარეჯანიანის“ თქმულებები. იგი მეცნიერულად საფუძვლიანად არის შესწავლილი და შეჯერებულია ორიგინალთან – ქართულ „ამირანდარეჯანიანთან“. ეს პოემა გავრცელებულია როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე ჩრდილო ოსეთშიც. აი, რას წერს კ. ხეთაგუროვი თავის „ეთნოგრაფიულ ნარკვევებში“: „მძიმე ავადმყოფს... არ სტოვებენ მარტოდ... ღამე მორიგეობენ, უმთავრესად ახალგაზრდები. ისინი ცდილობენ ავადმყოფის გართობას, მხიარულობენ, ყვებიან ზღაპრებს და უკრავენ ფანდურზე, თორმეტსიმინ არფაზე და თან ამღერებენ ლეგენდებს დარეჯანიანზე და სხვა მითიურ გმირებზე“ [ხეთაგუროვი, 1974: 500]. დარეჯანიანის თქმულებები ციკლებად არის დაყოფილი, ერთ-ერთი ბოლო ციკლის სახელწოდებაა „ამბავი როსაფისა“... როსაფი ნახსენებია მხოლოდ ამბის დასაწყისში, მთელი ამბავი კი გადმოგვცემს თალარის, ავთანდილისა და ფრიდონის ამბებს. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ ოსური ხალხური „ვეფხისტყაოსანი“. მას არაფერი აქვს საერთო დარეჯანიანის თქმულებებთან. როსაფი მოხსენებულა, როგორც დარეჯანიანი და ამდენად მისი ვაჟებიც – თალიარი, ავთანდილი და ფრიდონიც დარეჯანიანი არიან. დარეჯანიანია ასევე მასმათიც... ამრიგად, „ამბავი როსაფისა“ – ეს არის ოსური ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ [თედევი, 1988: 53-54].

ოსურ „ვეფხისტყაოსანში“ დარეჯანს ეწოდება სთრეჯანი, ასმათს – მასმათი, ტარიელს – თალიარი და ასე შემდეგ. მასში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტი.

„დარეჯანიანის“ გარდა, ოსთა შორის გავრცელებულია ქართული „ამირანიანიც“, სხვა ხალხური ქართული ბალადები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, თქმულებები თუ სხვა ფოლკლორული მასალა.

„ამირანდარეჯანიანის“ ციკლის სხვადასხვა თქმულების გარდა, ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ფართოდ გავრცელება ოსთა შორის, კ. ხეთაგუროვის თანახმად, ოსებისათვის ნართების ეპოსის თანაბარი ყოფილა [ხეთაგუროვი, 1974: 325].

აღდარ [Алдар] „აღარდი/აღუარდი“

ოსებში გავრცელებულია ყვავილბატონებისა და წითელბატონების გამომწვევ დაავადებათა მფარველ ალარდისადმი მიძღვნილი რიტუალური სიმღერები. ოსური ენის ირონულ დიალექტზე მას ჰქვია ალარდი, ხოლო დიგორულ დიალექტზე – ალუარდი. ზოგიერთი მეცნიერის [შტაკვლბერგი:] თვალსაზრისი ყვავილბატონების მფარველის სახელწოდება ალუარდის კახეთის ალავერდიდან წარმომავლობის შესახებ. ოსურ ენაზე ალდარი ჰქვია ბატონს. შეიძლება ყვავილისა და წითელას გამომწვევ დაავადებათა მფარველის სახელი მომდინარეობდეს სიტყვიდან ალდარი (Алдар) [მამისიმედიშვილი, 2015: 119].

„აჩუქეთ ჩვენს ბავშვს ჯანმრთელობა. მაშინ მოგამარებთ ვერცხლის მშვენიერ ფრთებს და თქვენ შეძლებთ სამშობლოში დაბრუნებას! — მიმართავდნენ სახადშეყრილი ბავშვის მშობლები ალარდს“. ლოცვის დროს ალარდს მიმართავენ: „ზურგი შეგვაქციე და ამის შემდეგ ნულარ დაგვენახები“... [ანთელავა 2013: 20].

ანიგოლ [Анигол] „ანიგოლი“ მეფუტკრეობის მფარველი ღვთაება, რომლის წყალობაზე იყო დამოკიდებული თაფლის მოსავალი და ფუტკრის წარმატებული ნაყრიანობა.

მისი სახელობის სპეციალური სამლოცველო ან დღეობა ოსებს არასოდეს ჰქონიათ. მეფუტკრეები თაფლის ამოღებისა და სკის გადაადგილების (სტუპში გაყვანის) დროს ანიგოლს (ნიქულს) საერთო სახსრებით შექმნილ ცხვარსა და თაფლის მცირე ნაწილს სწირავდნენ და ავი თვალისაგან სკის დაცვას, ფუტკრის კარგ ნაყრიანობას და ბარაქიან მოსავალს შესთხოვდნენ.

როგორც ჩანს, მიღებულია მეფუტკრეობის მფარველი მეგრული ღვთაების „აგუნას“ (ნმ. გიორგის ეპითეტი) სახელწოდებიდან აფხაზურ „აგუნდა“ სახელთან მისი ასოცირების გზით. ანგარიშგასანევი ჩანს ხალხური ეტიმოლოგია, რომელიც Анигол-ს რუსულ Ангел ფორმას უკავშირებს. შესაძლოა, ტერმინი Анигол არის კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი „Ан“ უკავშირდება ოსურ ენაში „დედის“ აღსანიშნავად ბავშვების მიერ, ასევე მოფერების მიზნით გამოყენებულ სიტყვას „аѣна“, ხოლო მეორე „гол“ „თაფლის“, „ფიჭის“, „ფიჭიანი თაფლის“ აღნიშნულ ქართულ სიტყვას გოლი; ამდენად, Анигол გაიშიფრება როგორც „თაფლის (ფიჭის) დედა“ [აბაევი, 1949: 52; მილერი, 1902: 56-59].

ბენელეთ [Бѣнелет] „ბენელეთი“

ოსური დარეძანული თქმულებების დილეგი, რომელშიც როსტომმა, შვილის გაცოცხლების მიზნით, თითქმის, სამი წელი გაატარა.

ტერმინი (ისევე როგორც დარეძანული თქმულებები) ნასესხებია ქართულიდან და „ბენელეთის“ ოსურ ადაპტაციას წარმოადგენს [ანთელავა, 2017: 168; <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php>].

გუდუნ [Гуыдын] // **გუდუნ** [гудун] „გუდუნი“

რიტუალური დანიშნულების დიდი ზომის ღვეზელი; აცხობდნენ განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში: ახალ წელს, ქაბადგანანის დღესასწაულზე, ახალდანიშნული ქალიშვილისათვის, სათიბში პირველად გამსვლელი ყმანვილისათვის. გვხვდება საქართველოში (რჭაში) „გუდუნის“ სახელით ცნობილი ღვეზელი. შესაძლოა, აღნიშნულ ტერმინთან კავშირში იყოს სვანური ქუთ – „ღვეზელი“ [<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php>]

ვაცილა [вацила] „ვაცილა“

ვაცილას კულტი დაკავშირებული იყო წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელთან და მას ოსთა რელიგიურ ყოფაში არ ჰქონდა კერპის სტატუსი. თუმცა, რადგან ვაცილასადმი მიძღვნილ რიტუალებს ოსები აღავლენდნენ არა ქრისტიანულ ტაძარში, არამედ ხალხური ტრადიციის მიხედვით აღმართულ ძუარში, ვახუშტიმ „ვაჩილას“ სალოცავს უწოდა „მზგავსი კერპისა“ [ვახუშტი, 1973: 638].

კორი [Къоры] „ბურთი, სფერო“

„ბურთი“, „ბურთულა“, „სფერო“ – ნართული ეპოსის ოსური ვერსიის მიხედვით, მრგვალი ქვა ან ხისგან გამოთლილი ბურთი, რომლითაც ნართი ყმანვილები ერთობოდნენ.

ტერმინი Къори, ვ. აბაევის აზრით, არაბულ-სპარსული სიტყვაა და „სფეროს“ ნიშნავს. მეორე თვალსაზრისით, აღნიშნული ტერმინი ოსურ ენაში ქართულიდან არის შესული: „კორი“ ქართულში (მოხეურ დიალექტში) ხის ან ქვის ბურთს ჰქვია და იყენებენ ე. წ. „კორჯოხაობის“ თამაშში. კახურ დიალექტში „კორა“ – მრგვალი პატარა ქვაა, რომლითაც „კორაობის“ დროს თამაშობენ: ამოთხრიან პატარა ორმოს, მის ნაპირზე კორას დასვამენ და რამდენიმე მეტრიდან მას სალას ესვრიან, რათა ორმოში ჩააგდონ (შდრ. იმერული „ჭიკორი“, „ჩიკორი“; ასევე ქართული კოკორი – კორკორი). როგორც ვხედავთ, ოსური Къори და ქართული კორი ფონეტიკურად და სემანტიკურად იდენტური არიან. Къори სიტყვის

ქართულ წარმომავლობაზე ოსურ ტერმინში დაცული ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი ფორ-
მანტიც მეტყველებს [ანთელავა, 2017: 407] .

ურაიდა [ураида] „ურაიდა, ვარადა“

ქართ. „ხალხური სიმღერების მისამღერი“ [ქეგლ, IV: 21], ვარადა (მეგრ.) „მისამღერი“ [ქობალია,
2010: 305];

მწლიქ [Мæлик] „თავადი/ წოდება/ ისლამამდელ არაბეთში სახელმწიფოს გამგებელი, ტომის კონ-
ფედერაციის მეთაური“.

ქართ. მელიქი/ გამგებელი/ [აბაევი, 1გ: 88].

ნასესხებია ქართულის გზით.

ნანა [Нана] „ნანა/ სიმღერა“.

ქართულსა და ბევრ სხვა დიალექტში გვხვდება ეს ფორმა.

ქართ. ნანა; მეგრ. ნანა; ჭან. ნანა [აბაევი, 2გ: 123].

ძველი ქართული ხალხური სანესო ლექს-სიმღერა, წარმოშობით წარმართული საკულტო რიტუა-
ლის უძველესი საგალობელი. მღეროდნენ ბავშვის დასაძინებლად [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index-
php?a=term&d=14&t=28250].

სააზ [Сааз] „სააზი/ მუსიკალური ინსტრუმენტი“

ქართ. საზი [აბაევი, 3გ: 5]. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, მსხლის ფორმის ღრმაკორპუსიანი,
გრძელეყელიანი. მზადდება სხვადასხვა ზომისა.

სააზი ერთ-ერთი უძველესი ხალხური საკრავია. იხსენიება ნიზამის (XII ს.) პოემებში. სააზს წამყვანი
ადგილი უკავია ხალხურ საკრავთა ანსამბლში. მასზე შემსრულებლები იყვნენ აშულები – ხალხური მომ-
ღერლები, პოეტი-იმპროვიზატორები, რომლებიც გამოდიოდნენ ბაზრების მოედნებზე, სახალხო შეკრე-
ბებზე. მათ რეპერტუარში წარმოდგენილი იყო საგმირო, ისტორიული, ეპიკურ-სატრფიალო სიმღერები.

საქართველოში გავრცელდა XVIII ს-დან სხვა აღმოსავლურ საკრავებთან და ანსამბლთან ერთად.
თბილისში განსაკუთრებით მიღებული იყო აზერბაიჯანულ მოსახლეობაში [http://www.nplg.gov.ge/-
gwdict/index.php?a=term&d=39&t=3538].

ნასესხებია ქართული ენის საშუალებით.

ძუცცაგ [Дзუццæг] // **ძოცცაგი** [дзоццаги] „ცუცქილი“.

ცეკვა ცუცქილით. ქართ. ცუცქა, ც-ს დისიმილაციური გამჟღერებით [ახვლედიანი, 1960:143].

ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1973 - აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973. გვ. 1-577.
2. არაბული, 2001 - არაბული ავთანდილი, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.
3. ოსური ფოლკლორი = Осетинский фольклор : [ქართ. და რუს. ენ. / შემდგ. და მთარგმნ.: ნაირა ბეპიევი, მერი ცხოვრევი; მთ. რედ.: ნაირა გელაშვილი]. - თბ. : კავკასიური სახლი, 2002. – 216 გვ.
4. ბეპიევი ნ., ქართულ-ოსური ლექსიკონი = Гырдзиаг-ирон дзырдуат; ოსურ-ქართული ლექსიკონი = Ирон-гырдзиаг дзырдуат / [მთ. რედ. ნაირა ბეპიევი]. - [ილი გამოც.]. - [თბ. : უნივერსალი], 2012. – 864 გვ.
5. ბოჭორიშვილი, 1956 - ბოჭორიშვილი ლევანი, ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (მასალა შეკრებილია 1948-49 წ.), თბ., 1956.
6. ბუკია, 2013 - ბუკია მანანა, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტო-
რიიდან; რედ. თეიმურაზ გვანცელაძე; თბილისი: მერიდიანი, 2013.
7. გვანცელაძე, 2001 - გვანცელაძე თამაზი, აფხაზური ენის მონაცემთა მნიშვნელობა ორი მეგრულ - ჭანური
სიტყვის ისტო - რიისათვის, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები , თბ. 2001.
8. ელიავა, 1997 - ელიავა გივი, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვი, თბ., 1997.
9. თედეევი, 1983 - თედეევი, ოლლა, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან / [რედ.: პროფ. ვ.
გიუნაშვილი]; საქ. სსრ მეცნ. აკადემია. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმც. ინ-ტი. თბ.: მეცნიერება, 1983 (საქ.
სსრ მეცნ. აკად. სტ.) - თბ., 1983.
10. ნიჟარაძე, 2007 - ნიჟარაძე ლელა. ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი. ბალს ზემოური დიალექტი = Грузино-
сванско-русский. словарь Верхнебалский диалект / შემდგ.: ლელა ნიჟარაძე; რედ.: ზ. ჭუმბურიძე. თბილისი:
უნივერსალი, 2007.
11. თოფურია, ქალდანი, 2000 - ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი; სვანური ლექსიკონი / საქართველოს
მეცნიერებათა აკადემია, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2000.
12. ლეონიძე, 1925 - ლეონიძე ლელა, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ. 1925.

13. სალიანი, 2005 - სალიანი მ, ნასესხ ოზანი სვანურ ენაში , დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2005.
14. ორბელიანი, 1949 - ორბელიანი სულხან-საბა, „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“. ს.იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი: საქ.სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა. 1949.
15. ფოჩუა, 1974 - ფოჩუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., თსუ გამ-ბა, 1974, 402 გვ. (ახალი ქართული ენის კათედრა)
16. ყიფშიძე, 1914 - ყიფშიძე იოსები. მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით, პეტერბურგი, 1914.
17. ჩუხუა, 2000- 2003 - ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ.2000-2003.
18. ჩუხუა, 2000-2003 - ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2017
19. ჯანაშია, 1954 - ჯანაშია სიმონი, თუბალ - თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრ ომები, III, თბ., 1954.
20. ჯავახიშვილი, 1979 - ჯავახიშვილი ივანე, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის: 5 ტომად / ი. ჯავახიშვილის საერთო რედ.; საქ. სსრ მეცნ. აკად., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი, 1979
21. ჯავახიშვილი, 1937 - ჯავახიშვილი ივანე, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937.
22. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950 - I ტომი (ა ბ) (ტომის რედაქტორი არნ. ჩიქობავა); თბ., 1950
23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1951-II ტომის (გ) (ტომის რედაქტორი გ. წერეთელი); თბ., 1951
24. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1962 - VII ტომი (ფ შ) (რედაქტორები ქ. ლომთათიძე, სტ. მენთეშაშვილი, პ. გაჩეჩილაძე); თბ., 1962
25. აბაევი, 1995 - Абаев Васо . Историко-этимологический словарь осетинского языка. Указатель. Издательство Московская типография №2 РАН. Москва, 1995.
26. აბაევი, 1958 - Абаев Васо. Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.1 Издательство АН СССР. Москва-Ленинград, 1958.
27. აბაევი, 1973 - Абаев Васо. Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 2. Издательство «Наука». Ленинград, 1973.
28. აბაევი, 1979-Абаев Васо. Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 3. Издательство «Наука». Ленинград, 1979.
29. აბაევი, 1989 - Абаев Васо. Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 4. Издательство «Наука». Ленинград, 1989.
30. მილერი, 1927 - Миллер Всеволод, Осетинско-русско-немецкий словарь, I-1927 .
31. მილერი, 1929 - Миллер Всеволод, Осетинско-русско-немецкий словарь, II –1929.
32. მილერი, 1934 - Миллер Всеволод, Осетинско-русско-немецкий словарь, III – в 1934.
33. შაგიროვი, 1977 - Шагиров Амин. Ма тер и а льные и ст рукту р ные о бщности лексик и абхазско - адыгских языков. Моск ва .1977
34. შაგიროვი, 1989 - Шагиров Амин, Заимствованная лексика абхазско - адыгских языков. Москва. 1989
35. სვანური ლექსიკონი - <http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php>

Maia Gelashvili
Doctor of Philology
Georgia, Tbilisi

VOCABULARY ATTESTED IN OSSETIAN FOLKLORE **(Georgian-Ossetian language relations)**

For centuries the Georgians and Ossetians cohabitated closely in the Caucasus region. They had quite intense relationships in many fields. Of course, this period has not passed without trace - considerable linguistic material has been accumulated, borrowed words from Georgian in Ossetian and vice versa have been studied.

The complex study of the analytical vocabulary also of theoretical significance, because the problem itself is closely related to the past and present of the Georgians and Ossetians who can form the basis for the future.

The only way to reveal Alan-Ossetian people's cultural identity, long life experiences and artistic thinking was the folklore creativity until the 20th century. The Ossetians living in high mountainous villages continued their daily life according to mythic unwritten laws that were based on the archetypes, cult of the guardian saint, sacral oral tradition and customary law.

ნართების ეპოსის თარგმანების მნიშვნელობა ევროპულ ენებზე

ხალხის კოლექტიური მეხსიერება, მხატვრული აზროვნება, ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილება და კულტურული იდენტობა ყველაზე მკაფიოდ ფოლკლორულ შემოქმედებაში ვლინდება. ოსების შესახებ ამგვარ ინფორმაციას „ნართების ეპოსი“ გვაძლევს, რომელიც მასში გამოხატული ზოგადსაკაცობრიო იდეალებით და მნიშვნელოვანი თემებით დღესაც არ კარგავს აქტუალობას და დიდი პოპულარობით სარგებლობს ყველა ასაკის მკითხველში.

ნართების ეპოსი ოსური ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ოსური ფოლკლორის სხვა ჟანრების ჩამოყალიბებაზეც. ნართები ეპიკურ თქმულებათა ლეგენდარული გმირები და მეომრები არიან, რომელთა შესახებ ამბებიც ოსურმა ფოლკლორმა ეპოსის სახით შემოინახა. თუმცა ისინი მხოლოდ ოსური ფოლკლორის კუთვნილებას არ წარმოადგენენ და მრავალი პარალელის გავლება შეიძლება ნართებსა და მსოფლიოს სხვა მითოლოგიაში არსებულ პერსონაჟებს შორის. მაგალითად, 1948 წელს ფრანგულ, ხოლო 1959 წელს გერმანულ ენაზე ფ. დიუმეზილმა გამოაქვეყნა წიგნი „ლოკი“, რომელშიც ავტორმა პარალელები გაავლო ნართ სირდონსა და სკანდინავიურ ღვთაება ლოკს შორის, თუ როგორ მტრობს ნართი სირდონი სოსლანს და ასევე სკანდინავიური ღვთაება ლოკი მზის ღმერთს — ბალდრის, რის შედეგადაც იღუპება როგორც სოსლანი, ასევე ბალდრიც. გარდა ჟორჟ დიუმეზილისა, საინტერესო პარალელს ავლებს ჟოელ გრისვარი სტატიაში „მეფე არტურისა და ბათრადის გარდაცვალების საკითხი“, სადაც მიუთითებს ბათრადის გარდაცვალებისა და მეფე არტურის დაღუპვის საერთო ელემენტებზე, რომელთა შორის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ჯადოსნური ხმლის მითოლოგიას.

ამ ორი მაგალითის საფუძველზეც უკვე ამკარა ხდება, რომ ნართების ეპოსით, თავისი მრავალწახნაგოვანი ბუნებისა და მრავალფეროვანი გმირების პალიტრით, არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარის დაინტერესების წყაროს წარმოადგენდა.

ნართების ეპოსის ერთ-ერთ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ იგი გავრცელებული იყო თითქმის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში: ნართებზე თქმულებები ერთნაირად ნაცნობი და ახლობელი იყო, როგორც ოსებისათვის, ასევე აფხაზების, ყაბარდოელების, ჩერქეზების, აბაზების, ადიღელების, ყარაჩაელების, ბალყარელების, ჩეჩნებისა და ინგუშებისათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ნართებს საქართველოს მთიანეთის (სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი) ზეპირ ტექსტებშიც ვხვდებით. ამას გარდა, ნართების ეპოსის ცალკეული სიუჟეტები და გაზღაპრებული ვერსიები გვხვდება ზოგიერთი დაღესტნელი ხალხის ფოლკლორში. ნართების ეპოსის ფრაგმენტები ცნობილი იყო XIX საუკუნეში კავკასიიდან თურქეთში ერთიანად გადასახლებული მუჰაჯირი უბინებისათვისაც. დიდი მკვლევარის, ვასილ აბაევის აზრით, ჩვენ წინაშეა, საკმაოდ იშვიათი შემთხვევა, როცა ეპოსი არ იფარგლება კონკრეტული ნაციონალური ჩარჩოებით და ეკუთვნის სხვადასხვა ხალხს. ალბათ სწორედ აქედან გამომდინარეობს არა მხოლოდ ნართების ეპოსით დაინტერესება, არამედ იმაზე დავაც, თუ რეალურად ვისი ფოლკლორის საკუთრებაა ნართების ეპოსი. თუმცა ამ დავას, დიდმა ფრანგმა მკვლევარმა ჟორჟ დიუმეზილმა თავის ეპოქალური მნიშვნელობის მონოგრაფიაში ერთგვარი წერტილი დაუსვა, როდესაც ნართების ეპოსი ოსური ფოლკლორის ნაწილად მიიჩნია. ჟორჟ დიუმეზილი წერდა: „სწორედ ოსებთან და უეჭველად, კიდევ მათ შორეულ წინაპრებთან ჩამოყალიბდა ეპოპეის ბირთვი, მისი მთავარი პერსონაჟები. ვიცი, რომ ამ მსჯელობის დაბეჭდვით გულს ვატკენ ჩემს ჩერქეზ და აფხაზ მეგობრებს, მაგრამ magis amica veritas (ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია), თავის საფუძველში ნართული ეპოსი ოსურია. იგი ბევრ მეზობელ ხალხთან იყო ადაპტირებული, მრავალფეროვნად ტრანსფორმირდებოდა, დანაკარგებითა და გამდიდრებებით, განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი მორალური ელფერის შექმნით“.

ნართების ეპოსი იმდენად არის საინტერესო, რომ მასში ასახულია ოსი ხალხის ოსი ხალხის ფუნდამენტური შეხედულებები გარესამყაროსა და ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრების საზღვრისზე, ღმერთთან ურთიერთობასა და გმირობის იდეაზე. ამას გარდა, ნართების ეპოსი, სხვა ეპოსების მსგავსად მრავალსიუჟეტოვანი ნაწარმოებს წარმოადგენს რომელშიც ჩართულია სხვა ჟანრის ტექსტები და

ლექს-სიმღერები. აქ ვხვდებით ისეთ მარადიულ თემებსა პერდონაჟებს, რომელიც ყველა ეპოსისათვის დამახასიათებელია: გმირების დაბადება და წრთობა, მათი ზეციურ არსებებთან ურთიერთობა და საზოგადოებაში ცივილიზაციის სანყისების შემოტანა, მარადიული ბრძოლა კეთილსა და ბოროტ ძალებს შორის, ღმერთთან დაპირისპირება და, ბოლოს, გმირების გარდაუვალი დაღუპვა. თუმცა ამ ყველაფერს საინტერესოს და თავისებურს სწორედ ის ხდის, რომ მკითხველი ნართების ეპოსით ოსთა წეს-ჩვეულებებსა და მათი იდეალების შესახებ იღებს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

საინტერესოა, რომ ნართების ეპოსის პირველი ჩანაწერები ქართველ მწერალს დანიელ ჭონქაძესა და ხალხური ტექსტების ოს შემკრებს ვ. ცორაევს ეკუთვნის. დაინტერესება ნართების ეპოსის მიმართ ყველაზე მეტად მეოცე საუკუნეში გაცხოველდა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ნართების ეპოსის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და თვალსაჩინო კრებული ოსურ ენაზე პირველად საქართველოში, ქალაქ ცხინვალში ჯერ კიდევ 1942 წელს დაიბეჭდა. ეს ნათელი მაგალითია იმ ძმური და მეგობრული სიყვარულისა, რომლითაც ცხოვრობენ ქართველები და ოსები და ამას გარდა, იმის დადასტურებაცაა, თუ როგორ უწყობდნენ ხელს ქართველები ოსური ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ოსურად გამოცემის საქმეში. ფოლკლორი, ერის იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, და ნართების ეპოსშიც ზედმიწევნით კარგად გამოსჭვივის ოსთა მსოფლმხვედველობა და შესხედულებები.

უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ოსებთან დაახლოების კუთხით 2014 წელს გადაიდგა ნაირა ბეპიევას თაოსნობით, როდესაც სრულყოფილი სახით ნართული ტექსტები ქართულ და ოსურ ენებზე ორ ნიგნად გამოიცა, რომელიც თავადვე შეადგინა და ქართულ ენაზეც თარგმნა. ეს ორტომეული იმითიც ყურადსაღებია, რომ შესაბამისი სამეცნიერო აპარატი ერთვის: ტექსტების ინდექსი, პასპორტი, შენიშვნები და ლექსიკონი.

ზოგადად თარგმანის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს; როგორც პოლ დე მანმა 1983 წელს კორნელის უნივერსიტეტში უოლტერ ბენჟამინის „მთარგმნელის ამოცანებზე“ ნაკითხული ლექციის დროს განაცხადა „თარგმანის დროს ორიგინალი მკვდარია; თარგმანი ორიგინალის შემდგომ სიცოცხლეს შეგვიძლია შევადაროთ და ლოგიკურად დედანის სიკვდილი ვაღიაროთ“.

პოლ დე მანის ეს დამოკიდებულება ერთის მხრივ მართებულია, რადგან თარგმანი უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს იმ სტილისა და სიღრმეების გადმოცემას, რომელიც ორიგინალშია მოცემული, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კარგი თარგმანი დედანს ახალ სიცოცხლეს შთაბერავს, და ამდიდრებს იმ ენასა და იმ ქვეყნის კულტურას, რომელზედაც ის იქმნება. ამასვე აღნიშნავდა ვახტანგ ჭელიძე სტატიის „თარგმანის შესახებ“, სადაც ხაზს უსვამდა რომ „თარგმნილი თხზულება უკვე იმ ენის საკუთრებაცაა, რადგან ის ლიტერატურის საგანძურში შედის, ამდიდრებს ამ ლიტერატურას“. შესაბამისად, ნართების ეპოსი თავისი მრავალშრიანი პერსონაჟებითა და მსოფლალქმით არამხოლოდ ქართული არამედ ბევრი ევროპული ქვეყნის „საკუთრებაც“ გახდა.

სტატიის დასაწყისში ჟორჯ დიუმეზილისა და ჟოელ გრისვარის ორი ფუნდამენტური ნაშრომი მოვიყვანე ნართების ეპოსის კვლევის კუთხით და ფრანგი მკვლევარების განსაკუთრებულმა დაინტერესებამ და მათ მიერ გავლებულმა პარალელებმა არაერთ ევროპულ მითოლოგიასთან თუ ეპოსთან მიმართებაში, რა თქმა უნდა დიდი გავლენა იქონია იმაზე, რომ ევროპელები ნართების ეპოსით დაინტერესდნენ და არაერთი ევროპული თარგმანი გამოიცა. კერძოდ, ნართული ეპოსი თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე.

სტატიის მიზანმიმართულად რამოდენიმე საინტერესო თარგმანზე გავამახვილებ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარგმანს ჯონ კოლარუსოს „ნართების საგა“ წარმოადგენს, რომლის შესავალშიც კოლარუსო მიუთითებს თუ როგორ მოხდა მისი დაინტერესება ნართების ეპოსის მიმართ სწორედ ჟორჯ დიუმეზილის ნაშრომების შესწავლის შემდეგ. ნიგნი 2002 წელს გამოიცა პრინსტონის უნივერსიტეტში და კოლარუსო აღნიშნავს, რომ „ნართების ეპოსი ისეთივე მნიშვნელობის მქონეა კავკასიელი ხალხისათვის, როგორც ბერძნული მითოლოგია დასავლური ცივილიზაციისათვის“. ამ გამოცემის ერთ-ერთ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მთარგმნელი უბრალოდ კი არ თარგმნის ნართების ეპოსს, არამედ ურთავს ვრცელ კომენტარსაც, ხშირად ავლებს პარალელებს სხვადასხვა ევროპულ მითოლოგიებთან და სწორედ ამ კუთხით ცდილობს, რომ მკითხველისათვის ნართების ეპოსი ახლობელი და გასაგები გახადოს.

აღნიშვნის ღირსია დევიდ ჰანტის 2012 წელს გამოცემული თარგმანი „კავკასიური ლეგენდები“. დევიდ ჰანტი კავკასიური ფოლკლორის ექსპერტია, რომელმაც 2008 წელს მაკდაუელის პრემია მიიღო მსოფლიო ფოლკლორული საზოგადოებისაგან. კოლარუსოს თარგმანისაგან განსხვავებით დევიდ ჰანტი არ კონცენტრირდება მხოლოდ ნართების ეპოსზე და ცდილობს მკითხველს წარმოადგინა შეუქმნას ზოგადად

კავკასიური ფოლკლორის შესახებ. როგორ ჰანტი აღნიშნავს წიგნის შესავალში: „კავკასიელები საკმაოდ მდიდრები არიან ზეპირსიტყვიერებაში, რომელსაც სამწუხაროდ ბევრი ინგლისელ-ენოვანი მკითხველი არ იცნობს. კავკასიელებისათვის დამახასიათებელია საინტერესო მითები, ლეგენდები, მაგიური ზღაპრები, ანექდოტები და ანდაზები. ასერთი ლეგენდა, რომელიც ამ წიგნისათვის ავარჩიე თოთხმეტი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის კულტურას ასახავს – მათი დინამიზმი და ის საკითხები, რაც მათთვის მნიშვნელოვანი იყო: ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ, ოჯახისა და თემის ერთგლება, დაცემა და დაღუპვა. ეს ამბები ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა თაობებს, ისევე როგორც ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ მიღებული“.

დევიდ ჰანტის თარგმანი დაფუძნებულია სხვადასხვა მეცხრამეტე საუკუნის, საბჭოთა კავშირის დროინდელ და მეოცე საუკუნის რუსულ გამოცემებზე. კოლორუსოს თარგმანისაგან განსხვავებით აქ შევხდებით როგორც პროზაულ ისე პოეტურ თარგმანებს, რადგან ავტორს სურდა ზუსტად დაეჭირა ის ხასიათი და ემოცია, რომელიც ამბების მოყოლის დროს იყო.

2012 წელს ჯონ კოლარუსოს რედაქტირებით გამოვიდა უოლტერ მეის თარგმანი „ნართების ეპოსი: ანტიკური მითები და ლეგენდები“. უოლტერ მეი, ინგლისელი მკვლევარი და ფოლკლორისტიკა, რომელსაც ფოლკლორზე დაყრდნობით გაუჩნდა ვარაუდები იმის თაობაზე, რომ „ბრიტები“ სწორედ კავკასიიდან იყვნენ წარმოშობით.

კოლარუსოს თარგმანის მსგავსად უოლტერ მეიც უშუალოდ ნართების ეპოსზეა კონცენტრირებული. წიგნის დასაწყისში მეი ურთავს კომენტარებს და განმარტავს სხვადასხვა პერსონაჟებს, ნივთებსა თუ ადგილებს რასაც მკითხველები წიგნში შეხვდებიან. ამას გარდა, ინგლისურ ენაზე დართულია გამოჩენილი ოსი მკვლევარის ვასილ აბაევის ნაშრომი ნართების ეპოსის შესახებ, რაც უცხოელი მკითხველისათვის საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს, რადგან აბაევის ეს ფუნდამენტური შრომა ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ფენს ნათელს. წიგნი რვა ნაწილისაგან შედგება. პირველში თარგმნილია ამბები ვარხაგისა და მისი ძეების შესახებ, მეორე ნაწილი განიხილავს – ურუზმაგასა და სათანას, მესამე – სოსლანს, მეოთხე – სირდონს, მეხუთე – ხამიცს და ბათრადს, მეექვსე – აცამაზს, მეშვიდე – სათანას სიძე, მერვე – სხვადასხვა ამბები ნართების შესახებ.

ინგლისური თარგმანების გარდა ნართების ეპოსი თარგმნილია გერმანულ და ფრანგულ ენებზეც, რაც იმ დაინტერესებულ მიგვანიშნებს, რაც ნართების ეპოსის მიმართ დასავლურ ცივილიზაციაში არსებობს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნართების ეპოსმა ერთგვარად გაარღვია საზღვრები და დღეისათვის ის მხოლოდ კავკასიის საკუთრება კი არაა, არამედ უკვე დასავლური კულტურის ერთგვარ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც თარგმნიან, იკვლევენ და ინტერესდებიან.

ლიტერატურა:

1. Colarusso J., (Translator) Nart Sagas from the Caucasus: Myths and Legends from the Circassians, Abazas, Abkhaz, and Ubykhs, Princeton University Press, USA, 2002.
2. Dumézil G., Légendes sur les Nartes, Paris, 1930.
3. Dumézil G., Le Livre des Héros. Légendes sur les Nartes. Gallimard, Paris, 1965.
4. Grisward J. H., Le motif de l'épée jetée au lac: la mort d'Artur et la mort de Batradz // Romania, revue trimestrielle consacrée à l'étude des langues et des littératures romanes fondée en 1872 par Paul Meyer et Gaston Paris, publiée par Félix Lecoy. Paris: Société des amis de la Roumanie, 1969. t. 90, N 3-4, p. 289-340. t.91, p. 473-514.
5. Hunt D., Legends of the Caucasus (Kindle Edition), 2012.
6. ნართები, წიგნი შეადგინა და ქართულ ენაზე თარგმნა ნაირა ბეპიევმა, გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2014.
7. მამისიმედაშვილი ხვთისო, ოსური ფოლკლორი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

THE IMPORTANCE OF TRANSLATING THE NART SAGAS INTO EUROPEAN LANGUAGES

The collective consciousness of the people, their artistic viewpoints, their life-long experiences and cultural identity is depicted mostly in Folklore. Such kind of information about the Ossetian people can be gathered through the “Nart Sagas”, which due to its fundamental ideals and important themes is actual even nowadays and rather popular amongst readers. The Nart Sagas are the highest peak of Ossetian Oral Tradition, which had an important influence on other genres of Ossetian Folklore. The Narts are legendary heroes and warriors, about whom tales have been preserved in the sagas. The article deals with the translation of the Nart Sagas into various European languages and their importance for the western culture, because despite its Caucasian nature, many parallels can be drawn between Ossetian and European mythologies.

თამარ გელიტაშვილი

*ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია
პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

„სოფელმან იბი ვერ იხნო...“ (ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“)

მოთხრობა „ოთარანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძემ თავისი მოღვაწეობის მოგვიანო ეტაპზე, 1886 წელს შექმნა. პირველად ეს მოთხრობა გამოქვეყნდა იმავე, 1886 წელს, გაზეთ „ივერიაში“.

კიტა აბაშიძის გადმოცემით, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის სხვა თხზულებებს, „ოთარანთ ქვრივსაც“ ნეგატიური დამოკიდებულება გამოუწვევია ლიტერატურის კრიტიკოსთა შორის. აი, როგორ იხსენებს ამას კიტა აბაშიძე: „თ. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები მთელ აყალმაყალს გამოიწვევდა ხოლმე ჩვენს ტკბილად მხვრინავ საზოგადოებასა და მწერლობაში და სასაცილოა ის, რომ თავდაპირველად უფრო უარყოფით ეპყრობიან მის ნაწერებს („განდევლის“ კრიტიკა ბოსლეველისა, „შრომა“ №18-1883; „ოთარანთ ქვრივის“ კრიტიკა მ.ხ-სა, „ივერია“ №58-1888წ; დავით სოსლანისა და სხვ.).

ასე ააყაყანა ჩვენი საზოგადოება „ოთარანთ ქვრივსაც“. უმეტესმა ნაწილმა საზოგადოებისა და კრიტიკისამ ვერ გაიგო მრავალი ადგილები მოთხრობისა, რადგან არა ჰქონდა შეგნებული ორმაგობა ჭავჭავაძის სამწერლო ნიჭის მიმართულებისა. მაშინდელს კრიტიკას რომ შეეგნო, ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებში ორი ლიტერატურული მიმართულება არის თავმოყრილი – ერთი ხანდალეული რომანტიზმი და მეორე – ახალგაზრდა, ჯანსაღი, სიცოცხლითა და ძალით აღსავსე რეალიზმი, მაშინ მოთხრობის ღირსება და ნაკლულევანება ადვილი გასაგები გახდებოდა (აბაშიძე 2007: 234).

როგორც ვხედავთ, კიტა აბაშიძე მიიჩნევდა, რომ ილიამ „ოთარანთ ქვრივი“ ორი ლიტერატურული მიმართულება გამოსახა: რომანტიზმი, რომლის წარმომადგენლადაც გიორგის ასახელებდა და რეალიზმი – ოთარანთ ქვრივის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ილიას მოთხრობაში სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილი „ხიდწატეხილობის“ პრობლემა ამოიკითხა ყველა მკვლევარმა, ვინც კი „ოთარანთ ქვრივს“ შეხებია. იქნება ის კიტა აბაშიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, გერონტი ქიქოძე თუ სხვა.

რა თქმა უნდა, სადავო არ არის, რომ სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილი წოდებათა გაუცხოვების პრობლემა, მართლაც, ერთი ძირითადი საკითხია მოთხრობისა, მაგრამ მხოლოდ ამაზე არ დაიყვანება „ოთარანთ ქვრივი“.

კიტა აბაშიძე მიიჩნევდა, რომ ილიამ ოთარანთ ქვრივის სახით მსოფლიო ტიპი შექმნა და, რაც მთავარია, ქვრივი დედაკაცის სახეში საკუთარი თვისებები და ფსიქოლოგიური პორტრეტი განასახიერა: „ოთარანთ ქვრივი“ ყველას წარმომადგენელია, ყველასი, ვინც კი ცხოვრობს, აზროვნებს და ფიქრობს... „ოთარანთ ქვრივი“ ადამიანია ყოველსავე თავისის ნაკლულევანებითა და ღირსებით. მაგრამ მანაც არაჩვეულებრივი არსებაა, ეს ისეთი არსებაა, რომელშიაც ყოველთვის

უძლევეა ადამიანობას პირუტყვობისათვის, მასში ადამიანურს მისწრაფებას უპირატესობა მისცემია პირუტყვეულს სურვილებზედ" (აბაშიძე 2007:240).

კიტა აბაშიძე ნეგატიურად აღიქვამს არჩილის სახეს: „მშვენიერად იხატება უფერული ტიპი არჩილისა – ჩვენის ახალგაზრდობის ერთის ჯგუფისა, რომელსაც მალალ-მალალის ფრაზებითა აქვს ავსებული თავი, სულის სიღრმემდის კი არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ ჩასწვდენია, არც ერთი კეთილშობილური აზრთაგანი არ გასჯდომია ძვალსა და რბილში, – ტიპი რეზონიორისა, საქმით ლუარსაბის შვილია, უფრო გათლილი და გაშალაშინებული თავის მამაზე, რასაკვირველია და სიტყვით კი ახალის ცხოვრების წინამორბედი.

არჩილიც უმაღლესი წოდების წარმომადგენელია. თუ 50 წლის წინეთ ამ წოდების უმეტესობა ლუარსაბებსა და დათიკოებს გზავნიდა ცხოვრების ასპარეზზე, დღეს არჩილებს გვაძლევს. მართალია, არჩილი ისე საზიზღარი არ არის, როგორც ლუარსაბი, სწავლისა და განათლების „ჭირად“ აღმსარებელი მაინც არ არის, მაგრამ ლუარსაბივით უფერულია და უშინაარსო“ (აბაშიძე 2007:236-237).

კიტა აბაშიძის ამგვარ მოსაზრებას არსებითად ეთანხმება ვახტანგ კოტეტიშვილიც. მისი აზრით: „ამ მოთხრობით ილიამ წაგვიყვანა სოფლად და გვიჩვენა ბატონყმური ცხოვრების ახალი სახე. დავგანახა, თუ რა ცვლილებები მოხდა ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში. გავაცნო ლუარსაბთათქარიძის შვილისშვილებს – არჩილსა და კესოს, რომელნიც განახლებულ წყობილებაში შესამჩნევად გამოცვლილან...“ (კოტეტიშვილი 1959:234-235).

მართალია, ვახტანგ კოტეტიშვილი, კიტა აბაშიძის მსგავსად, არჩილს ლუარსაბთათქარიძის შთამომავალს უწოდებს, მაგრამ ის უფრო ნაკლებად რადიკალურია ამ პერსონაჟის მიმართ და უფრო სიღრმისეულად ასახავს მის პორტრეტს: „აქ ჩვენ წინ დგას არჩილი, ლუარსაბთათქარიძის შთამომავალი, მაგრამ მას თითქმის ველარა ვცნობთ. თათქარიძისეული თვისებები მასში შესამჩნევად გადაშენებულან. იგი სამოცდაათიანი წლების აზრთა მატარებელია. მას უმაღლესი განათლება მიუღია და საღი აზრის კაცია, თითქმის უდრეკი რაციონალისტი; მას შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა და ამიტომაც თავის თავი სძაგს, ეზიზღება. რატომო, – იკითხავთ. იმიტომ რომ ის იმ წოდებას ეკუთვნის, რომელთ მატრიანეც თავისუფლების დათრგუნვას, ადამიანთა უფლების გაქვლევას და ჯალათობას შეიცავს“ (კოტეტიშვილი 1959:335).

რაც შეეხება გიორგის, გერონტი ქიქოძის აზრით, ილიას სურდა, მისი სახით მოეცა, არა მარტო იდეალური მოჯამაგირის, არამედ ზოგადად იდეალური ადამიანის სახე, თუმცა მწერალმა ამ მიზანს ვერ მიაღწია. გერონტი ქიქოძე მიიჩნევს, რომ ილიამ გიორგის სახეში ხიდგაღმა დაწერილი წიგნი, ღირსების ცოცხალი ხატი და მშვენიერი სული კი არ განახორციელა, არამედ ერთი უბრალო გულმოდგინე მოჯამაგირე და საზრიანი მუშაკი – მეტი არაფერი: „გადაჭარბებულია მისი გამოცხადება რაღაც საიდუმლო ასოებით დაბეჭდილ ამოცანად, რომლის ამოხსნა ჩვეულებრივ მნიგნობართ არ ძალუძთ“ (ქიქოძე 1965:257).

მერე, რა თქმა უნდა, ასეთი უარყოფითი შეხედულება გიორგის პიროვნებაზე ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ გამოასწორა (ვგულისხმობ საუნივერსიტეტო გამოცემებს და შემდგომი პერიოდის ლიტერატურათმცოდნეთა გამოკვლევებს – მ. ზანდუკელი, გრ. კიკნაძე, ვლ. მინაშვილი და სხვები).

წინამდებარე წერილში ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სამი გამოჩენილი წარმომადგენლის თვალსაზრისი მოვიხმე. ამას შეგნებულად მივმართე, რადგან, მიმაჩნია, რომ მათი ნაწერები XIX საუკუნის ქართულ მწერლობაზე ქრონოლოგიურადაც სხვაზე ნაადრევია და მათი ავტორიტეტის გამო დიდად ფასეული და ანგარიშგასაწვეი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა არ ვიზიარებ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, რადგან იქმნება საშიშროება, რომ ხელიდან გავვისხლტება ილია ჭავჭავაძის მოთხრობის აზრობრივი სიღრმე.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ სოციალურ ნიადაგზე არსებული „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა იმთავითვე მკაფიო და ნათელი იყო მკვლევართათვის. თუმც ტექსტში მაინც რჩება ისეთი ადგილი, რომლისთვისაც მანამდე არსებითი ყურადღება არავის მიუქცევია. სწორედ აკაკი ბაქრაძე იყო პირველი, რომელმაც მისთვის ჩვეული აზროვნების სიფართოვითა და ინტერპრეტატორული ნიჭის წყალობით, აქცენტირება სწორედ მანამდე მნიშვნელობამიუნიჭებელ პასაჟებზე გაამახვილა. რაც მთავარია, „ოთარაანთ ქვრივის“ სიღრმისეული პლანი წარმოაჩინა და ახალი სუნთქვა შესძინა ნაწარმოებს. მან 180 გრადუსით შემოაბრუნა მზერის კუთხე. „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა არა მხოლოდ სოციალური პრობლემის ფონზე განიხილა, არამედ, რაც მთავარია,

აქცენტი არსებითად ადამიანთა შორის გაუცხოების დაძლევის ეგზისტენციალურ პრობლემებზე გადაიტანა.

აკაკი ბაქრაძემ თავისი ნარკვევი „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ პირველად 1957 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მე-5 ნომერში გამოაქვეყნა, სათაურით „საქმით მეტყველი სული“. აკაკი ბაქრაძე ნარკვევს მოთხრობის ფინალიდან იწყებს და მკითხველის ინტერესსაც სწორედ იმ მთავარი პრობლემისკენ მიმართავს, რომელიც ნაწარმოების იდეური შინაარსის მთავარ ძარღვად ქცეულა. მხედველობაში გვაქვს ოთარაანთ ქვრივის სიკვდილით გაუბედურებული და გასაცოდავებული სოსია მენისქვილე, რომელსაც ყველა, ვისაც არ ეზარება, უპატრონო ძაღლსავით ექცევა. ახალგაზრდა გლეხი ნიხლის კვრით იცილებს მუხთალი წუთისოფლისაგან დაჩაგრულ, უმწეო მენისქვილეს. მოთხრობის პასაჟს თავად ილია ასეთ დასკვნას ურთავს: „მართლა რომ ცოდოა!.. მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო? ერთიც ეს არის საჭირობოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთის-სოფელში“.

სწორედ ილიას ეს სიტყვები აძლევს აკაკი ბაქრაძეს სწორი დასკვნის გამოტანის საშუალებას. მკვლევარი სასაფლაოს სცენას ცალკეულ დეტალებად ყოფს და გამონვლილვით მიმოიხილავს. მისი სქემის მიხედვით, პირველი დეტალი ასეთია: მკვდარი ქვრივის ხელი სოსია მენისქვილეს უჭირავს და ქვითინებს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ოთარაანთ ქვრივი მხოლოდ მას მოუკვდა და არა სოფელს; მეორე დეტალი ასეთია: სოფლელები გაცხარებულით საქმიანობენ, ყველა ცდილობს ოთარაანთ ქვრივის გაპატიოსნებას, მაგრამ არავის აინტერესებს ცოცხალი სოსია მენისქვილე. მის მიმართ ადამიანები მხოლოდ ზიზლსა და დაცინვას გამოხატავენ. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, აკაკი ბაქრაძე ასეთ დასკვნას აკეთებს: „ცოცხალი მენისქვილე ისევე მარტოა და უპატრონო, როგორც მკვდარი ოთარაანთ ქვრივი“ (ბაქრაძე 2004(I):92), ვინაიდან უფლებო, უუნარო, დაჩაგრული ადამიანი, რომელიც ყველა თვალისათვის უჩინარია, რომელიც იმდენად გაფერმკრთალებულა ირგვლივ მყოფთათვის, რომ თითქმის შეუმჩნეველია, თავისთავად ხდება მიცვალებულის ტოლფასი. ამ ტრაგედიის საფუძველს აკაკი ბაქრაძე ადამიანსა და საზოგადოებას შორის უკონტაქტობასა და გაუცხოებაში, მათ შორის ჩატეხილი ხიდის არსებობაში ხედავს: „ასე და ამგვარად დაისმის დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, უკონტაქტობისა და გაუცხოების პრობლემა“ (ბაქრაძე 2004(I):92).

როგორც არაერთხელ ითქვა, „ოთარაანთ ქვრივი“ ხიდჩატეხილობა მხოლოდ სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილი უფსკრულის სახით იყო წარმოჩენილი. აკაკი ბაქრაძემ ეს საკითხი მკვეთრად გააფართოვა, გააღრმავა და სამ ნაწილად დაყო.

პირველი: გათიშულობა და გაუცხოება არათანაბარ სოციალურ ნიადაგზე მყოფ საზოგადოებას შორის.

მეორე: გათიშულობა და გაუცხოება დედა-შვილს შორის.

მესამე: გათიშულობა ადამიანურ ღირსებათა შორის.

სწორედ მესამით დავინყოთ. აკაკი ბაქრაძე ნარკვევის დასაწყისიდანვე შემთხვევით არ მიგვახედებს ნაწარმოების ფინალისაკენ. თუ არჩილი კესოს იმას საყვედურობს, რომ ის მხოლოდ იმიტომ ვერ მიუხვდა გიორგის სიყვარულს, მათ შორის დიდი სოციალური, ამოუვსები უფსკრული იყო აღმართული და ამის გამო კესო დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომ გიორგის არა თუ ცოლად გაჰყვებოდა, ტოლად, ამხანაგადაც კი არ გაიხდიდა, ანალოგიური გაუცხოებაა ოთარაანთ ქვრივსა და სოსია მენისქვილეს შორის, ოღონდ არა კლასობრივი, არამედ ადამიანური. სიყვარული კი არა, ოთარაანთ ქვრივსა სოსიას თანაგრძნობაც კი არ მიიღო.

აკაკი ბაქრაძე კიდევ ერთ გათიშულობაზე საუბრობს. ოთარაანთ ქვრივსა და მის შვილს, გიორგის ერთმანეთის მეტი არავინ გააჩნდათ და მხოლოდ ერთმანეთზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. თუ გავიხსენებთ მოთხრობის სიუჟეტს, აშკარად თვალშისაცემია დედა-შვილის სანიმუშო, სათუთი და ფაქიზი დამოკიდებულება. ოთარაანთ ქვრივი, საზოგადოდ პირქუში დედაკაცი, გასაოცარ სინაზესა და ღმობიერებას იჩენს შვილის მიმართ. ასევეა გიორგიც – ამ კუშტსა და ახირებულ ბიჭს, რომელიც ხშირად სხვის საქმეში ჩარევიდა და მუშტი-კრივით აგვარებს სხვების პრობლემებს, დედის წინაშე თითქოს ენა უმუხჯდება და მაშინვე მშობლის ყურმოჭრილ ყმად იქცევა, მაგრამ დგება დრო, მათ შორის ახლობლობა, კონტაქტი ირღვევა და გაუცხოება ისადგურებს. გავიხსენოთ, როგორ იტანება ოთარაანთ ქვრივი, როცა გიორგი მისგან მიდის და გამოსამშვიდობებლადაც კი არ მოიხედავს უკან, დედისაკენ.

დედა-შვილის ამგვარი გაუცხოების მიზეზად აკაკი ბაქრაძე ფსიქო-ბიოლოგიურ ფაქტორს ასახელებს. გაუცხოების რამდენიმე მიზეზის დასახელების შემდეგ კი ასეთ დასკვნას აკეთებს: „გა-

მოდის რომ გაუცხოება ადამიანის არსებობის თვისება ყოფილა“ (ბაქრაძე 2004(I):95) და იქვე დასძენს, რომ, თუ ასეა, მაშინ არც ხსნა ყოფილა და რატომღა გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი? ამ ტირილისა და სიხარულის აზრის ამოსაცნობად მკვლევარი დეტალურად მიმოიხილავს „ოთარა-ანთ ქვრივის“ პერსონაჟთა ხასიათის შტრიხებს.

ოთქრანთ ქვრივი და გიორგი შრომით თრგუნავენ მარტოობის გრძნობას. როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს: სწორედ „ამ თვისების შედეგი და ნაყოფია ოთარაანთ ქვრივის ოჯახი. ეს ოჯახი ილიას მოთხრობაში არსებობს, როგორც ქვრივის სულიერი ღირსების მატერიალური საბუთი“ (ბაქრაძე 2004(I):96). გიორგის შესახებ კი ამბობს: „ნათლად ჩანს, რომ გიორგი სხვისას ისევე უფრთხილდება, როგორც თავისას. მას არ ამოძრავებს ვინრო კლასობრივი ინტერესი, მისი გონება არ არის შეზღუდული წოდებრივი ჩარჩოთი. არ აბრმავებს წოდებრივი სიძულვილი. იგი თავისუფალია როგორც პიროვნული, ისე კლასობრივი ეგოიზმისაგან... გიორგის საქმისადმი ზნესრული ადამიანის დამოკიდებულება აქვს. სხვის საქციელს ზნეობის თვალსაზრისით ზომავს, მაგრამ სინდისის გასაღვიძებლად მხოლოდ შეგონებას არ მიმართავს, როცა საჭიროა, სასჯელსაც იყენებს. როცა შეგონება უძლურია, სასჯელი სამართლიანობის გამოვლენაა. შეგონება გარკვეულ გონებრივ დონეს მოითხოვს. თუ ეს დონე არ არსებობს, მაშინ სიტყვიერი ზემოქმედება ნაყოფს არ გამოიღებს... „ნუ მისცემთ სინმინდესა ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკვე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განხეთქენ თქუნ““. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სასჯელი, რასაც მიმართავს გიორგი. მაგრამ მისი სასჯელი არც ერთხელ არ არის ერთი პიროვნების მიერ მეორეზე ძალდატანება. გიორგის ხელით ღვთაებრივი სამართლიანობის კანონი ხორციელდება“ (ბაქრაძე 2004(I):07-98).

როგორც ვხედავთ, აკაკი ბაქრაძე არაჩვეულებრივ გამართლებას უძებნის გიორგის „ახირებულობას“, როდესაც ღვთაებრივი კანონზომიერების მსაჯულად და აღმასრულებლად წარმოგვიდგენს მას. ეჭვგარეშეა, რომ ილია ჭავჭავაძე სწორედ იმიტომ ძერწავდა ზნესრულობის უმაღლეს გამოხატულებას, გიორგის სახით, რათა შეექმნა და ჩვენთვის წარმოედგინა ადამიანური იდეალი. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ უფრო რთული და ღრმა ყოფილა გიორგის სახე. ის, რაც, ზედაპირზეა: მუყაითი და გამრჯე მოჯამაგირე და ის, რაც სიღრმისეულია – გიორგი ზნესრულობის მაგალითია. „ვითა მამა ცისა, იყავნ შენც სრულ“ (მათე, 6,48) – ასეთია მონოდება ღვთაებრივი ზნესრულობისაკენ. აკაკი ბაქრაძე ნათელყოფს, რომ გიორგის სახეს ღვთაებრივი ასპექტი ეძებება. მიმაჩნია, ეს პერსონაჟი პარალელს მაცხოვრის სახესთან პოუვს. გიორგი შემკულია ყველანაირი ზნეობრივი ღირებულებით. ის ტარიგია, რომელმაც ქრისტეს მოდელი გაიმეორა. მან მონამეობრივი გზა განვლო და მსხვერპლად შეენირა წუთისოფლის დამთრგუნველ მანკიერებებს, რითაც გზა გაუკვალა დანარჩენებს მოყვასის საკეთილდღეოდ ზრუნვისათვის, დააფიქრა თვისტომნი (არჩილი და კესო) ადამიანურ ღირსებებსა და ღირებულებებზე, თუ რანი ვართ, რისთვის მოვდივართ ამქვეყნად და რას ვემსახურებით ჩვენი საქმითა და შეგნებით. თითქოს სიმბოლურია მისი სიკვდილიც. ის ურმის ქალს ჩამოეგო, ანუ ხეზე ენამა, ვითარცა მაცხოვარი.

ვფიქრობ, ისეთ ღრმად რელიგიურ მწერალს, როგორც „განდეგლის“ ავტორია, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ის სოციალური პრობლემები, რომლებიც „ოთარაანთ ქვრივი“ და ზოგადად ქვეყანაში იყო წამოჭრილი, „ხიდჩატეხილობის“ ის გამთიშავი უფსკრული, რომელიც ადამიანებს შორის იყო გაჩენილი, რომელიც ერის გამთლიანებას, ამ ზოგადეროვნულ იდეას ხელს უშლიდა და ასამარებდა, მხოლოდ შრომის მონოდებითა და ადამიანთა ზერელე შერიგებით ვერ ამოივსებოდა. აქაც, როგორც ყველგან, ილიას ნაწარმოებებში, გადამწყვეტი როლი რელიგიურ ფაქტორს ეკისრება. სწორედ რელიგიურმა სიმტკიცემ უნდა ააშენოს ახალი, ერთიანი ქვეყანა და „სისხლხორცეული დუღაბით“ შეაკავშიროს ცხოვრების მდინარის გაღმა-გამოღმა დარჩენილი ქართველები.

არჩილი ამ მხრივ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდაა. ის თავიდანვე გრძნობს გიორგის არაჩვეულებრიობას და ამიტომაც უჭირს მისთვის შესაფერისი ჯამაგირის გადახდა. როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს: „არჩილს არ ძალუძს ადამიანურის არსის შეფასება... გიორგის სიკვდილმა და-ძმას დაანახვა, რომ მათ ზნესრული ადამიანისათვის აუცილებელი სულიერი სიმტკიცე არა აქვთ... დედაშვილი და-ძმას უპირისპირდება, როგორც სრულქმნილი და არასრულქმნილი არსნი, თორემ ოთარაანთ ქვრივსა და გიორგის მეტი საერთო აქვთ, არჩილსა და კესოსთან, ვიდრე ომარაანთ მოჯამაგირეს, არჩილის მეჯინიბესა და ბეჟანიშვილის მოჯამაგირესთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი წოდებრივად გლეხები არიან“ (ბაქრაძე 2004(I):99-100).

აღნიშნული სიტყვები უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ: სულაც არ ყოფილა „ოთარაანთ ქვრივი“ ილიას ქადაგება, რომ გლეხობა ის პროგრესული ძალაა, რომელსაც თან დაჰყოლია ბუნებრივი მონაცემები ჭკუის, პრაგმატიზმის, შრომის სიყვარულისა და მუყაითობისა და რომლისგანაც თავადაზნაურობამ უნდა ისწავლოს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ადამიანები ორ ნაწილად იყოფიან: ზნესრულებად და ზნეობისარმქონეებად. ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია მათი სოციალური მდგომარეობა.

პრაგმატიზმი ვახსენე და არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ილიამ ოთარაანთ ქვრივის სახით პრაგმატიკოსის ჭკუით დაჯილდოებული ახალი ტიპი შექმნა. ეს უბირი ქალი, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცის, თუმცა პრიმიტიულად, მაგრამ მაინც შესანიშნავად აგვემარებს ოჯახის ბიუჯეტს.

წერილის დასასრულ აკაკი ბაქრაძე კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ილიას ოთარაანთ ქვრივსა და გიორგის სახით მხოლოდ ჩვეულებრივი გლეხობის სახე არ შეუქმნია, მან ზნესრული ადამიანების სახე დაგვიხატა, ღვთაებასთან წილნაყარი დედა-შვილის ხატი მოგვცა: „თითქოს სხვათა შორის, მაგრამ ზუსტად მიგვანიშნებს ილია დედაშვილის თვისებების ზეციურ წარმომავლობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ გიორგი შობის ღამეს დაიბადა... ოთარაანთ ქვრივიც შობა ღამით გარდაიცვალა. ეს შემთხვევითი მინიშნება არ არის. იგი მიგვითითებს გიორგის თვისებების ღვთაებრივ წარმომავლობაზე. კიდევ ერთხელ გვახსენებს გიორგის მსხვერპლობას, რამეთუ ისიც, ვისი დღესასწაულიც შობაა, ტარიგი იყო კაცობრიობის ხსნად მოვლინებული“ (ბაქრაძე 204(I):99).

დაიხ, გიორგი იყო ტარიგი, რომელიც მაცხოვრის მსგავსად ვერ იცნო სოფელმა. იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „სოფელსა შინა იყო და სოფელმან იგი ვერ იცნო“ (იოანე-1,10), ასევე: „თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არ შეინყნარეს“ (იოანე – 1,11). როდესაც დაძმა – არჩილი და კესო – საუბრობს, არჩილი ამბობს: „გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდ-გალმა დანერილი... წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ... გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა... ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალთ ნახული ვერ დავინახეთ“.

რაც შეეხება ოთარაანთ ქვრივს, მას ილია ჭავჭავაძემ სახელი არ დაარქვა. როგორც ჩანს, ეს შეგნებულად გააკეთა, რათა მკითხველისთვის მიენდო იმის ამოცნობა, თუ რომელი სახელი შეეფერება დედას, რომლის ერთადერთი შვილიც მსხვერპლად შეენირა ცოდვილ ადამიანთათვის თვალის ახელას. ქვრივის სახელი უცნობი დაგვიტოვა ილიამ, ის კი გარკვევით გვითხრა, რომ გიორგი შობას დაიბადა, რომ იგი შენირულია სხვათა ცოდვების გამოსყიდვისთვის, უკეთესი ზნეობის დამკვიდრებისთვის. სხვა ვის შეიძლება შევადაროთ ტარიგად შენირული ერთადერთი შვილის საფლავზე „წამოქცეული ფესვმაგარი ხე“, თუ არა მარიამ ღვთისმშობელს? იქნებ ამიტომაც არ გვიმხელს ილია ქვრივის სახელს? ეგებ, მოთხრობის ეს საიდუმლო მისსავე სიღრმისეულ პლანში იმალება, მისსავე ქვეტექსტში? მგონია, რომ ილიას მოთხრობა იძლევა ამგვარი ვარაუდის უფლებას. ამგვარი წაკითხვის (ვარაუდის) შესაძლებლობა ილიას მოთხრობის აკაკი ბაქრაძისეულმა ღრმად ჰერმენევტიკულმა ანალიზმა მომცა.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მსურს, საზგასმით აღვნიშნო, რომ აკაკი ბაქრაძე პირველია და ერთადერთი მკვლევართა შორის, რომელმაც ილია ჭავჭავაძე თავისი შესანიშნავი ნაწარმოებებით რელიგიური კუთხით წარმოაჩინა და ნათლად დაგვანახვა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის ღრმადრელიგიური მსოფლმხედველობა. ეს ფაქტი უტყუარი საბუთია იმისა, რომ თვით აკაკი ბაქრაძეს სიღრმისეულად ესმოდა ქრისტიანული რელიგიის საფუძვლები. ამ კუთხითაც ის განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა თუ სალიტერატურო კრიტიკაში.

Tamar Gelitashvili

*Doctor of Philology
Of the Patriarchate of Georgia Andria
First University Georgian University
Georgia, Tbilisi*

“THE WORLD DIDN'T KNOW HIM...”

Iliia Chavchavadze created “Otarant Widow” in a bit later period of his activity, in 1886. All the researchers, who studied “Otarant Widow”, confirmed the problem of “bridge collapsing” which was arisen on social basis. Akaki Bakradze highlighted Giorgi’s, -one of the main heroes of “Otarant Widow”, -divine aspect. In my opinion, this character has a parallel with the Savior. Giorgi is adorned with all sorts of moral values. He is that sacrifice who

reiterated Christ's model. He put through ordeals and sacrificed were born and what we do. His death is also as if symbolic. He impaled on the hook of the cart or was tortured on the tree like the Saviour.

Giorgi was a sacrifice who couldn't be known by the world like the Saviour. We read in John's Testament that: "He was in the world, and the world was made through Him. and the world did not know Him"(John-1,10). As for "Otarant Widow", Ilia Chavchavadze did not name her. It seems to have been done deliberately in order for the reader to know depressing vices of life in order to pave the way for others to take care after one another, made Archil and Keso think about the values and dignity of humans, about what we are, why we which name was appropriate for the mother whose only child was sacrificed to open eyes for sinful humans.

The name of the widow was left unknown by Ilia. However, he clearly told us that George was born at Christmas, that he was sacrificed for the sins of others, for the betterment of morality. Who else can "the deep-rooted tree fallen" on her only son's grave be compared to except the Virgin Mary whose son sacrificed for the sins of humans? Maybe that is the reason why Ilia didn't mention the name of the widow. I think Ilia's story gives the right to make such assumptions.

ზარინა გიგოლაევი

*ოსუ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
საქართველო, თბილისი*

ქართულ-ოსური კულტურულ-ბრადიციული ურთიერთობები

ოსები საქართველოში ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. ქართულ-ოსური კულტურათაშორისი ურთიერთობები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამისი დამადასტურებელი მრავალი ცნობა მოგვეპოვება ქართულ საისტორიო წყაროებში ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ბაგრატ მეოთხემ ოსთა შვილებს მრავლად გაუხსნა სხვადასხვა სახის სკოლები, ასევე ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა გიორგი ჭყონდიდელთან ერთად ოსთა შვილებისათვის დააარსა სასწავლებლები.

ქართულ-ოსური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობები განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაღრმავდა. ცნობილია, რომ ამ პერიოდის ქართველ და ოს საზოგადო მოღვაწეებს ჰქონდათ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი და იყო დიდი დაინტერესება ოსი ხალხის ლიტერატურის, ხელოვნებისა და სახალხო განათლების საკითხებით.

მნიშვნელოვანია ქართული კულტურის გავლენა ოსურ კულტურაზე, განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრები ოსების კულტურაში ნათლად ჩანს ქართული ტრადიციების კვალი. თავის მხრივ, ქართველებიც დაინტერესებულნი იყვნენ ოსური კულტურით და არაერთი ნაშრომი ამ თემაზე შექმნილი. ასევე ყურადღება ექცეოდა ოსურ ფოლკლორს, რომელიც ძალიან მდიდარია.

ოსები ქართულ საზოგადოებაში ყველაზე ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდა. მათ მიერ ქართული ენის ცოდნა, ქართულ-ოსური შერეული ოჯახები, საერთო რელიგიური კუთვნილება და ა.შ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ყველაზე მეტი ოსი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს, ოსთა დიასპორა არსებობს თურქეთში, სირიასა და სხვა ქვეყნებში. ორი ათეული წლის წინ საქართველოში ოსები რაოდენობრივად მხოლოდ სომხებს, აზერბაიჯანელებსა და რუსებს ჩამორჩებოდა.

საქართველოში მცხოვრებ ოსთა ძირითადი რაოდენობა ცხოვრობს აღმოსავლეთ საქართველოში, უმეტესად შიდა და ზემო ქართლში, ნაწილობრივ – კახეთში.

ოსები კომპაქტურად არიან დასახლებულნი დასავლეთ საქართველოს სამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში – კუდაროში, ზემო იმერეთსა და ზემო რაჭაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოსებს ქართველებთან ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

ქართულ-ოსური ურთიერთობები დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე. ჩვენამდე მოსულ წყაროებში ყველაზე სრულად არის ასახული ორი მოკავშირე ერის სამხედრო კონტაქტები. ლეონტი მროველის "ქართლის ცხოვრების" მიხედვით.

ქართველთა და ოსთა მტკიცე კავშირ-ურთიერთობების დამადასტურებელია ის დინასტიური ქორწინებები, რომლებიც ქართველთა და ოსთა შორის არსებობდა: "საქართველოს მეფე გიორგი I იყო დაქორწინებული ოსთა მეფეს ასულზე აღდეზე, ხოლო მისი ვაჟი – მეფე ბაგრატ IV – ოსთა მეფე დურგულელ დიდის დაზე – ბორენაზე გიორგი III, რომელიც საქართველოს XII საუკუნეში მართავდა, დაქორწინებული იყო ოსთა მეფის ხუდანის ქალიშვილზე – ულამაზეს ბურდუხანზე".

ქართველთა და ოსთა შორის ოდითგანვე იყო ჩამოყალიბებული ღრმა კულტურული ურთიერთობები, თავის მხრივ ქართველები ზრუნავდნენ ოსთა განათლებაზე და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ საკითხს.

ოსი ხალხის ლიტერატურასა და ცხოვრებაში ასევე ქართულ-ოსურ ურთიერთობის გაღრმავებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს **იოანე იაღლუზიძე**, რომელიც იყო პირველი ოსი მწერალი, პუბლიცისტი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. იოანე იაღლუზიძე ქართველი და ოსი ხალხების კულტურული ურთიერთობის ნამდვილი განსახიერება იყო. ამის მაგალითია ორიგინალური ნაწარმოებები ქართულ ენაზე, ქართული წიგნების თარგმნა ოსურად. მას უაღრესად მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის მშობელ ოს ხალხთან, მთელი თავისი სიცოცხლითა და შემოქმედებით მასთან იყო დაკავშირებული, მისი შემოქმედება ოსი ხალხის განათლების ინტერესებს ემსახურებოდა.“

ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილმა იოანემ დიდი ღვაწლი დასდო ოსური კულტურის განვითარებას, ოსური დამწერლობის განვითარებას, ბეჭდვითი ლიტერატურის შექმნას, წერაკითხვის მცოდნე ოსთა რიცხვის ზრდას. ქართულიდან ოსურად თარგმნა ცისკრისა და მწუხრის ლოცვები, კატეხიზმო და კურთხევანი, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა.

ქართველი საზოგადოება არც XX საუკუნეში აკლებდა ყურადღებას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოს მოსახლეობას. ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათი ეროვნული კულტურის განვითარებას. ამასთან თვითონაც იღვწოდა, რათა უფრო ღრმად ჩანვლომოდა და შეესწავლა ოსი ხალხის წარსული და თანამედროვეობა.

ამის მაგალითია განათლების კომისარიატის ინიციატივით ს. იორდანიშვილის გაგზავნა მივლინებით საქართველოში მცხოვრებ ოსთა შორის ოსური ენის შესახებ მასალების შესაკრებად.

ქართული კულტურის, ქართული ენის გავლენა ოსებზე აისახა ქართული ლექსიკის, არაქართული წარმოშობის სიტყვების ქართული ენის მეშვეობით ოსური ენის ლექსიკაში შეღწევით.

გარდა ისტორიული და კულტურული ურთიერთობებისა ქართველებსა და ოსებს აერთიანებთ სარწმუნოებაც.

როგორც ცნობილია დღესდღეობით, ოსებში გავრცელებულია, როგორც ქრისტიანობა ასევე მაჰმადიანობა. ოსების უმრავლესობა ოფიციალურად აღიარებს ქრისტიანობას, უმცირესობა მაჰმადიანობას – თუმცა ოსები მიჰყვებიან ტრადიციებს დანიშნაპრების წეს-ჩვეულებებსა და აღნიშნავენ იმ დღესასწაულებს, რომლებსაც აღნიშნავდნენ მათი წინაპრები.

ოსი ხალხის ცხოვრებაში ტრადიციების კვალი მოდის შორეული საუკუნეებიდან. კავკასიაში სხვა ხალხებს შორის ცხოვრების მიუხედავად ოსებმა შეძლეს თავიანთი კულტურის, ტრადიციებისა და სარწმუნოების შენარჩუნება და მათი დღევანდელ დღემდე შემონახვა. მართალია ოსები შეერივნენ სხვა ხალხებს, მაგრამ მაინც მყარად იცავენ წინაპრების მიერ დატოვებულ ტრადიციებს, რაც როგორც ოსებში ასევე კავკასიაში არის თითქმის ერთნაირი.

ლიტერატურა:

1. ნ. ბეპივი, ოსური თქმულებები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009.
2. ნ. ბეპივი, წართები, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2014.
3. რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.
4. ეთნოსები საქართველოში, თბ., 2008.
5. ქ. ხუციშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია „კავკასიური სახლი“ თბ., 2006.
6. ა. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ „საბჭოთა საქართველო, თბ., 1966.
7. ზ. ცოტნიაშვილი ქართულ-ოსური ურთიერთობები პრესაში მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2005.
8. ა. თოთაძე, ოსები საქართველოში.
9. ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია „კავკასიური სახლი“ თბ., 2006.

Zarina Gigolaevi

*TSU Georgian-Ossetian relations
Scientific-Research Center
Georgia, Tbilisi*

GEORGIAN-OSSETIAN CULTURAL AND TRADITIONAL RELATIONS

Ossetians are one of the many ethnic groups in Georgia. Georgian-Ossetian intercultural relations have been around for centuries. We find many references to this in Georgian historical sources. According to Z.Chichinadze,

Bagrat IV opened various schools for Ossetian children, and David Agmashenebeli together with Giorgi Chkondideli established schools for Ossetian children.

Georgian-Ossetian cultural and literary relations deepened in the late 19th and early 20th centuries. It is well known that Georgian and Ossetian public figures of this period were closely linked and were deeply interested in the problems of literature, art and public education of the Ossetian people.

It should be noted that the influence of the Georgian culture on the Ossetian one is significant, especially in the culture of Ossetians living in Georgia, which clearly shows traces of Georgian traditions. Georgians, for their part, were also interested in Ossetian culture, and there have been many works on the subject. Special attention was also drawn to Ossetian folklore, which was very rich; Georgian folklorists wrote and published samples of Ossetian oral language.

The Ossetians were the most integrated ethnic groups in the Georgian society. Their knowledge of the Georgian language, mixed Georgian-Ossetian families, common religious affiliation, and so on were common occurrences.

ანზორ გოგიაშვილი

ეთნოლოგი

სიმონ ჯანაშიას სახელობის

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კონსულტანტი

საქართველო, თბილისი

„ოსური სახლის“ მონყოფა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში ღია ცის ქვეშ 1970-იან წლებში

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში ღია ცის ქვეშ (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი) მოიხზებდა საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიული ძეგლების გადარჩენასა და დაცვას, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე შემავალი ავტონომიური ერთეულების მატერიალური კულტურისა. მუზეუმის გენერალური გეგმის ავტორი და მთავარი არქიტექტორი იყო ლონგინოზ სუმბაძე, რომელმაც დააპროექტა მუზეუმის ტერიტორია.

გეგმის მიხედვით, მუზეუმის ტერიტორია ათ ძირითად ზონად არის წარმოდგენილი, რომელთა შორის ხუთი აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის და ხუთი - დასავლეთ საქართველოზე. ამ გეგმის მიხედვით, მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ოლქი აღმოსავლეთის მეხუთე ზონაშია წარმოდგენილი, სადაც უნდა მოწყობილიყო ოსური ყოფისთვის დამახასიათებელი კარ-მიდამო.

როცა დადგა დრო მუზეუმის ტერიტორიაზე ოსური კარ-მიდამოს მოწყობისა, აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ მუზეუმში მოიწვია სამეცნიერო საბჭო. სხვა საკითხებთან ერთად საბჭომ სამხრეთ ოსეთის ზონის განაშენიანების საკითხიც განიხილა.

აქვე გადაწყდა, რომ პირველ რიგში მოკლევადიანი მივლინებით რომელიმე მეცნიერ-მუშაკი წასულიყო ცხინვალში და ადგილობრივ კოლეგა-ეთნოგრაფებს და სხვა სპეციალისტებს შეხვედროდა.

მივლინებაში გასაგზავნად კანდიდატთა შორის არჩევანი ამ სტრიქონების ავტორზე შეჩერდა, რადგან ცხინვალში ჩემი დაბადების ადგილი იყო, იქაურობას კარგად ვიცნობდი და ოსური ენაც უცხო არ იყო ჩემთვის.

მივლინებაში გამგზავრებამდე ბატონმა გიორგიმ სახლში დამიბარა რჩევა-დარიგებისათვის და აქვე შემადგენინა კონსპექტი, თუ რისთვის მიმექცია ყურადღება, რა იყო მთავარი ამ რეგიონისთვის, რა იყო გადარჩენილი და რა დაკარგული ტრადიციული ყოფიდან, არ გამომრჩენოდა რამე მნიშვნელოვანი. გულმოდგინედ ვინიშნავდი მის რჩევებს და ამ კონსპექტმა კარგი სამსახური გამიწია. გარდა ამისა, მან პატარა ბარათიც გადმომცა მის ყოფილ ასპირანტებთან, რომლებიც იმ დროისთვის უკვე ღვანლმოსილი ეთნოგრაფები იყვნენ.

პირველ რიგში უნდა მენახა და წერილი გადამეცა ისტორიკოს-ეთნოგრაფ ლუდვიგ ჩიბიროვისთვის, რომელსაც ყველაზე უფრო სრულყოფილად აქვს შესწავლილი სამხრეთ ოსეთის ხალხური საცხოვრებელი. ბატონ ლუდვიგთან შეხვედრა ემოციური აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თავისი მასწავლებლის დანაბარები შეიტყო, რომ ოსური ტრადიციული საცხოვრებელი კარ-მიდამო თბილისში ახლადდაარსებულ მუზეუმში გააგრძელებდა სიცოცხლეს, რა სახითაც ის თავის ადგილობრივ გარემოში არსებობდა. მეორე მხრივ, მისთვის სასიამოვნო იყო თავისი მასწავლებლისგან და პირადად ჩემგან გადაცემული მოკითხვები თავისი თბილისელი მეგობრებისგან და კოლეგებისგან.

ლუდვიგ ჩიბიროვი იყო ჩვენი მეგზურიც, მრჩეველიც და კონსულტანტიც. მასთან ერთად საყურადღებო რჩევებს გვაძლევდნენ და დაუზარებლად გვემსახურებოდნენ ეთნოლოგი ზინაიდა გაგლოევა, არქეოლოგი ბაგრატი ტეხოვი, ცხინვალის მხარეთმცოდნეობის დირექტორი, ცნობილი მწერალი რევაზ ასავეი.

ლუდვიგ ჩიბიროვი ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა. მე სწორედ იმ დროს გადავეცი წერილი, როცა სამსახურში იყო. მან მყისიერად გაიხსენა თავისი სტუდენტი კაჩმაზოვი ჯავის რაიონიდან, რომელიც სწორედ იმ რეგიონიდან იყო, სადაც შეიძლება სიძველეები გვენახა (სტუდენტის სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ჩემი ჩანაწერები, ფოტოები და ნახაზები ცხინვალში დარჩა და ცნობილი მოვლენების დროს განადგურდა). იგი თან გვახლდა საველე მუშაობის დროს. მანვე გავაცნო ძოსნა ოსტავეი, ადგილობრივი ხელოსანი, დურგალი, რომელიც ცნობილი იყო მთელ ჯავის რაიონში. იგი სოხთის მკვიდრი იყო და მისი მეშვეობით მივაკვლიეთ ჩვენთვის საინტერესო ექსპონატს.

როცა თბილისში დავბრუნდი და მივლინების ანგარიში წარვადგინე, იმდენად საინტერესო აღმოჩნდა არქიტექტორებისთვის ჩემ მიერ ჩამოტანილი მასალები, რომ მათ გამოთქვეს სურვილი, ადგილზე ენახათ შერჩეული სახლი. მუშაობის შემდგომი ეტაპი წარიმართა არქიტექტორებთან ლონგინოზ სუმბაძესთან, ირაკლი მოსულიშვილთან, სარესტავრაციო სახელოსნოს წამყვან მშენებელ-ინჟინერ ნიკოლოზ შენგელიასთან და მუზეუმის დურგალ-რესტავრატორ თამაზ გორდიაშვილთან ერთად.

სოფლების მოხილვისა და ოს კოლეგებთან კონსულტაციების შემდეგ ჩვენთვის საინტერესო ექსპონატი ნაგებობა შერჩეულ იქნა ჯავის რაიონის ყემულთის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ სოხთაში.

ოსური საცხოვრებლის და ეზო-კარმიდამოს აღწერილობის შესახებ არსებობს ცნობები სხვადასხვა მოგზაურთა თუ ამ რეგიონით დაინტერესებულ მკვლევართა ჩანაწერებში, მაგრამ ჩვენთვის მაინც ლუდვიგ ჩიბიროვის ნაშრომი იყო ამოსავალი (Л. Чибиров, Осетинское народное жилище. Цхинвали 1970). ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევდა, მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოდგენილიყო სამხრეთელი ოსი ხალხის საცხოვრებლის რევოლუციამდელი სახლის ტიპი. ჩვენ უნდა მოგვეძიებინა და შეგვეჩრია ისეთი კარ-მიდამო, რომელიც უშუალოდ ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან და მათ სამეურნეო საქმიანობასთან იქნებოდა შეხამებული. ასევე, საცხოვრებლის გარდა უნდა ყურადღებით დაგვეთვალიერებინა არსებული კარ-მიდამოს კომპლექსში შემავალი ყველა ელემენტი (ზოსელი, საბძელი, ბეღელი და სხვ.) და თუ რომელიმე მათგანი საინტერესო იყო ეთნოგრაფიულად, სახლთან ერთად გადმოსულიყო მუზეუმის ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპონატ-ნაგებობების ადგილზე მიგნება, ნახვა, შეძენა, საძირკვლიდან სახურავამდე თითოეული დეტალის დანომვრა, დაშლა და მუზეუმის ტერიტორიაზე გადმოტანა რთული და მეტად შრომატევადი საქმეა. ამასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საცხოვრებელი სახლის შესაფერისი შიდა მოწყობილობის მოძიება და შეძენა, რის გარეშეც სახლი, რაც არ უნდა კარგად გამოიყურებოდეს, სრულყოფილებას საგრძნობლად დაკარგავს.

დიდი ძიების შემდეგ ერთი ასეთი საცხოვრებელი მიკვლევულ იქნა ჯავის რაიონის სოფელ ყემულთის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ სოხთაში. სოფელი სოხთა მდებარეობს თბილისიდან რაჭისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, სოფელ ყემულთიდან 2-3 კილომეტრის მანძილზე. ჩვენთვის საინტერესო სახლი ძმებ ანდრეუმა და კოლა ოსტავეებს ეკუთვნოდა. სახლი ძმებს შუაზე ჰქონდათ გადატვირთული და დედაბოძი ტინარში იყო დატანებული. სახლის და მთლიანად კარ-მიდამოს ეთნოგრაფიული აღწერა ლუდვიგ ჩიბიროვთან ერთად გაკეთდა.

სახლი მთლიანად ხისაა, რომელიც დგას ქვითკირით ამოყვანილ დაბალ საძირკველზე და გადახურულია ყავრით ორფერდად. უნდა ითქვას, რო საცხოვრებლის ეს ტიპი ერთგვარ სიახლოვეს ავლენს ამავე მთის ზონის იმერული დასახლების ტიპთან (მაგალითად, საჩხერის რაიონის ყვირილის ზედა დინების სოფლებთან - ქარძმანი, პერევი და სხვ.), ადგილობრივი ხელოსნების მიერ ნაგებ ხის სახლებთან, რომლებსაც ორფერდა ყავრის სახურავი და კვამლის გასასვლელი ერდო აქვს. აქედანაც მომდინარეობს ოსური სახლის სახელწოდება „ერდოჯინ ხაძარ“. განსხვავება ისაა, რომ სოხთას „ერდოჯინ ხაძარს“ აქვს დედაბოძი, რაც იმერულ სახლებში არ გვხვდება. ეს იმერული სახლები საჩხერის რაიონის სოფლებიდან სპეტიდან და ცხამიდან გადმოტანილია მუზეუმის ტერიტორიაზე და დაინტერესებულ დამთვალიერებელს შეუძლია ადგილზე ნახოს, რა საერთო და რა განმასხვავებელი ნიშნები აქვთ ქართულ და ოსურ სახლებს.

ჩვენთვის საინტერესო ნაგებობა მდებარეობდა შერეული ტყის გარემოცვაში, მაგრამ სახლს ჰქონდა როგორც სახნავ-სათესი, ასევე სათიბ-საძოვრები, მცირე საბოსტნე. კარ-მიდამოზე იდგა სამეურნეო ნაგებობები: მარცვლეულის (ქერი, სიმინდი, ხორბალი და მისთ.) შესანახი ნაგებობა ბეღელი, რომელსაც „ამბარს“ უწოდებდნენ. ასევე იდგა საქონლის სადგომი ხის ბოსელი. ეს ნაგებობები იმდენად იყო დაზიანებული, რომ მათ სახლთან ერთად გადმოტანას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ გადავწყვიტეთ ასლის ადგილ-

ზე დამზადება და ამ სახით მუზეუმში გადმოტანა. ამ საქმის შესრულება ვთხოვეთ დურგალ ძოსნა ოსტაევს. მას ადგილზე უნდა აეგო ბოსლის ასლი იმ მასალისგან იმავე წესით, როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა.

სახლი სოხთადან უფრო ადრე იქნა გადმოტანილი მუზეუმის ტერიტორიაზე, შემდეგ კი დამხმარე ნაგებობის ასლიც ჩამოვიტანეთ. ტექნიკური სამუშაოების ორგანიზებასა და ტრანსპორტირებას ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ შენგელია. სახლის დაშლისა და მუზეუმში აგების სამუშაო შეასრულეს თამაზ გორდიაშვილმა და ძოსნა ოსტაევმა, რომელსაც თბილისში ყოფნის პერიოდში მე ვმასპინძლობდი.

უნდა აღინიშნოს ოსი კოლეგების წვლილი საერთო ქართულ და ოსურ საქმეში. მათი ენთუზიაზმი მხოლოდ საკუთარი ეროვნული საგანძურის მოვლით არ შემოიფარგლებოდა. მათ მიერ განეულ დამხმარებას ახლდა განსაკუთრებული პატივისცემა და მადლიერება თავიანთი ქართველი პროფესორ-მასწავლებლებისადმი, რომელთაც უხდებოდათ მუშაობა თბილისში სწავლის პერიოდში. მადლობას იმსახურებენ ძმები ოსტაევების ახლო მეზობლები, რომლებიც გულისხმიერებას იჩენდნენ ექსპედიციის წევრები მიმართ. განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებ ძოსნა ოსტაევს, თუთილა ბაგაევს და მათ ოჯახებს გულთბილი მასპინძლობისათვის.

იმედი გვაქვს, ჩვენ მიერ განეული შრომა დადებით მუხტს შეიტანს ქართველი და ოსი ხალხის ეთნოკულტურული წარსული თანაცხოვრების წარმოჩენის საქმეში და თუ სამომავლოდ უკეთეს ურთიერთობას შეუწყო ხელი, მაშინ ეს შრომა ამაოდ არ იქნება ჩავლილი.

Anzor Gogiashvili

*Ethnologist
Consultant at the Simon Janashia Museum of
Georgia, Tbilisi*

BUILDING OF "OSSETIAN HOUSE" IN THE OPEN AIR MUSEUM OF GEORGIAN FOLK ARCHITECTURE AND FOLK LIFE IN 1970 IES

Since the foundation, The Open Air Museum of Georgian Folk Architecture and Folk Life (Now The Giorgi Chitaia Open Air Museum of Ethnography) tried to survive and care for examples of ethnographic buildings and craftworks, including the material culture of autonomies on the territory of Georgia.

Immediately after projecting of museum, for the South Ossetia Autonomous Oblast has arranged a zone, where must be placed the Ossetian ethnographical building "Erdojin Khazar".

The paper deals with my ethnologic experience in the Ossetian villages in regions of Tskhinvali, Java, Leningori, and Znauri. The building was found in the village Sokhta (Java region). I describe the processes of searching the building, moving from village to the territory of museum, reconstructing and arranging in the zone. The architects were Longinoz Sumbadze and Irakli Mosulishvili, the main engineer was Nikoloz Shengelia. The role of my Ossetian colleagues is pointed in the paper: ethnographers Zinaida Gagloeva and Ludvig Chibirov, archeologist Bagrat Tekhov, and Revaz Asaev, the director of Tskhinvali regional museum.

Горюшина Евгения М.

*старший научный сотрудник
ФИЦ ЮНЦ РАН
Россия, Ростов-на-Дону*

ИЗУЧЕНИЕ ИСТОРИЧЕСКОЙ ПАМЯТИ В КОНТЕКСТЕ СОВРЕМЕННЫХ РОССИЙСКО-ГРУЗИНСКИХ ОТНОШЕНИЙ: ПОСТАНОВКА ПРОБЛЕМЫ¹

Исследовательский интерес к изучению исторического прошлого и особенно *исторической памяти* в контексте российско-грузинских отношений обусловлен стремлением Грузии произвести ревизию социалистического прошлого наряду с радикальными изменениями в ключевых сферах развития общества.

¹ Публикация подготовлена в рамках научного проекта № 17-18-01411 «Войны и население юга России в XVIII – начале XXI в.: история, демография, антропология» при поддержке Российского научного фонда.

Если в Грузии происходит нивелирование исторической памяти советского периода, то в России очевидно обращение к данной теме в советском разрезе. Это вызвано еще и национализацией истории России, которая означает «выпадение... информации о тех частях СССР, которые стали независимыми странами в 1991 г.»¹. При этом именно процесс советизации Грузии недостаточно изучен (особенно в России)² и скудно отражен в научных исследованиях.

მრავალი საგულისხმო ნაწარმოებიდან განსახილველად შევარჩიეთ იმ ავტორთა პოეტური შემოქმედება, რომლებიც თემატურად ეხმიანებიან ცხინვალის, დევნილობის, ოსებსა და ქართველებს შორის ხიდგატეხილობის თემას და ამ პრობლემისადმი საკუთარ დამოკიდებულებას პოეზიის გზით გვიზიარებენ.

მზია ხეთაგურის, შოთა დარბუაშვილის, ციციხო ბაბუციძის, ნაირა ბეჰიევის, თამარ მეტრეველის, ირინე გოჩაშვილის, ლია ჭილაძის და სხვათა პოეტური ნარატივი საკვება უდიდესი ტკივილის, სინანულისა და მონატრების განცდით.

მზია ხეთაგური, ქართველი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, თეატრმცოდნე და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი, შვიდი კლასის ჩათვლით ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. მის ძალისხმევას ქართულ-ოსური ურთიერთობების დასარეგულირებლად მისი პოეტური და ყოველდღიური მოღვაწეობა გამოხატავს. ეს კრებულიც ამ უდიდესი საქმისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

მისი პოეზია მკითხველის ყურადღებას ლექსის სინატიფით იპყრობს, სადაც ავტორის ღრმა, ინტიმური განცდები და მთელი მისი სულიერი სამყარო აშკარავდება.

პოეტი მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით მკითხველამდე მძაფრი ემოციის, ტკივილის, შერიგების სურვილისა და უკეთესი მომავლის იმედის განცდის მიტანას შესანიშნავად ახერხებს.

კრებულს სახელწოდება ავტორის ლექსის – „ალილია“ – მიხედვით აქვს შერჩეული.

„ქართველთა შესვლა სოხუმ-ცხინვალში აკრძალულია! – ალილია!

იქ ჩვენი „ძმობა“ დაკრძალულია! – „ალილია, ალილია“! ადვილად საცნობია ნაწარმოების აშკარა პოლიტიკური ელფერი და „ერთმორწმუნე, მოძმე ერის“ მიმართ ავტორის ერთგვაროვანი დამოკიდებულება, რასაც მარჯვედ მიგნებული სიტყვა „ბარბარუსული“ ქმნის.

„საზღვარს შევცქერით ზარბაზ-ლულიანს!

ბარბარუსული სასწაულია“!

„ეკლებად გადარგული გული, უყვავილო სასწაული, იუდას აღსასრული“ და ბოლო სტრიქონი: „იქნებ, ეს მტრობის დასასრულია? – დასასრულია, დასასრულია... ალილია“! თითქოს, ლოცვითა და სიყვარულით, ფრთხილად ერთმანეთისაკენ განვდილი ხელებისა და გახსნილი გულების განცდას ქმნის.

სამშობლოს დანაწევრებით მოგვრილ გაუნელებელ ტკივილს ეხმიანება მზია ხეთაგურის სხვა არაერთი ლექსი. მათ შორის საგულისხმოა „საზღვარი“, „ბავშვობა – ჩემი ჭირისუფალი“, „უცხინვალო მინა“, „მშვიდობით“, „თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ“, „სოხუმი დაეცა?!“ ცხინვალი დაეცა“?! და სხვანი.

„ჩემი ბავშვობის სასუფეველო! გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!

ჩემო ოსებო და ქართველებო! ზღურდის საყდარში სანთლის ციალო“! „გამომეტირება ცხინვალის ქუჩებით

დღეს მავთულხლართებით დაჭრილი ბავშვობა“!

„მეტი სიბრმავე რა უნდა იყოს,

გულს უცხინვალო მინა მეყრება“!

„ჩვენ ერთმანეთისკენ ვიარეთ დამრეცად,

გზას ნულარ ავირჩევთ ტყვიებით დავერცხლილს!

სოხუმი დაეცა?! ცხინვალი დაეცა?!

მაგრამ, ხომ, მანამდე, თავად ჩვენ დავეცით“!

დევენილობის სიმძიმემ და მშობლიური მხარის სიშორით გამოწვეულმა სულისშემძვრელმა განცდამ კიდევ ერთი პოეტის, მუსიკოსისა და ჟურნალისტის შემოქმედებაში იჩინა თავი. „ლტოლვილი ბავშვები“, „ცხინვალში თოვლი მოსულა“, „დაბრუნებამდე“, „ილიას ხმაზედ“ – შოთა დარბუაშვილის ცხინვალისა და დევენილობისადმი მიძღვნილი ლექსებია.

მათგან ლიტერატურული მიმდინარეობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება პოეტური ტექსტი - „ილიას ხმაზედ“, რომელიც აშკარად ამჟღავნებს პოსტმოდერნიზმის ნიშნებს.

„ცხინვალელზე ბედნიერი
არის განა სადმე ვინმე?
ათი წელი სასტუმროში
გამოკეტეს, გადარიეს,
სასტუმროში გამოზრდილზე
ბედნიერი არის ვინმე“?

ინტერტექსტუალიზმი, ორმაგი კოდირება, ფრაგმენტულობა, თხრობის პარადიული მოდუსი, ირონიზაცია – ეს ის ხერხებია, რომლის მეშვეობითაც ავტორმა ეპოქალური კრიზისის სიმძაფრე, მის სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესები ტრაგიკულისა და კომიკურის უბადლო შერწყმით გადმოსცა.

მშობლიური მხარის მონატრებით გამოწვეული უდიდესი ტკივილის გამოძახილს შოთა დარბუაშვილის სხვა არაერთ ლექსში ვხვდებით:

„დუმილი თეთრი,
თავისუფლების იდუმალი
ნატვრა და სევდა...
სიზმრად ვიყავი ბედნიერი
და პირმცინარი,
გზას მინათებდა, გულს მითბობდა
ჩემი ცხინვალი“!

(„ჩემი ცხინვალი“) (დარბუაშვილი, 2018:38)

„უჩვენოდ ათოვს ქალაქს,
უჩვენოდ გასულან წლები,
რაო, ფიფქებო, რას მღერით
ციდან მოფრენილი გზებით“?

(„ცხინვალში თოვლი მოსულა“) (დარბუაშვილი, 32:2018)

„ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრების,
ერთი წარწყმედის, ერთი - ცხონების,
მე ერთი ვიცი, რომ ორი ცრემლით,
ჩემს ცხინვალს მაინც ვემახსოვრები“...

(„დაბრუნებამდე“) (დარბუაშვილი, 33:2018)

„ცხინვალურად თოვს“, „ლექსის ბილიკით“, „დედა გყავს“?, „დევენილის სიმღერა“ – აჩაბეთელი პოეტისა და ლიტერატორის - ციციწო ბაბუციძის ლექსებია.

მისი პოეტური სტილი სისადავით გამოირჩევა. მეტაფორებითა და ეპითეტებით ნაკლებად დატვირთულ ნაწარმოებთა შემოქმედი გასაოცარი ძალისხმევით ახერხებს, მკითხველს მთელი სისრულით წარმოუსახოს საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილი ადამიანის განცდები, გულშემატკივრად აქციოს, ხელი ჩაჰკიდოს და დევენილობის ბილიკებზე თავისთან ერთად ატაროს.

„ლექსის ბილიკით ცხინვალის გზას მივუახლოვდი,
არ მჭირდებოდა არც საზღვარი, არცა ნებართვა...
ლექსის ბილიკით ნახანძრალი ვნახე წალკოტი
და დავაბრუნე ყველა ვალი, რაც რამ მემართა“...

(„ლექსის ბილიკით“) (ბაბუციძე, 61:2018)

განსაკუთრებით საინტერესოა ციციწო ბაბუციძის პოეტური ქმნილება „დედა გყავს“?, რომელიც თავისი ფორმისა და შინაარსის მიხედვით პოემადაც შეიძლება, მივიჩნიოთ.

ნაწარმოებში ავტორი მოგვითხრობს ომის შედეგად გადამწვარი სოფელი ქურთის შესახებ, სადაც დარჩენილია ერთადერთი სულიერი, შვილმკვდარი დედა – მანანა ოთინაშვილი, რომელიც შვილის საფლავს ვერ შორდება.

მარჯვედ მიგნებული სიუჟეტური ქარგის გამოყენებით ავტორი უდიდეს ემოციურ ეფექტს იწვევს. ნაწარმოების კულიმინაციას მთვრალი რუსი ჯარისკაცის სოფელში სტუმრობა ქმნის. ქალის შეკითხვა: „დედა გყავს“? – ემოციურად ანადგურებს მკითხველს. შემდეგ განვითარებული მოვლენები კი ააშკარავენ, რომ პოეტს სიკეთისა და სიყვარულის ყოვლისშემძლეობის იმედი არ დაუკარგავს, ან მთელი გულით ცდილობს ამ რწმენის შენარჩუნებას.

„კედელზე ვაჟის ფოტო ეკიდა!
ამ სურათს ზურგით აეფარა პატარა ქალი...
– ჩემი შვილია, მიდი, მომკალი!
ჯარისკაცს ხელი გაუშეშდა,
ავტომატი უხმოდ დაუშვა.
ცრემლი მოადგა, გულისგულში ყინული გალღვა...
მტრის გულთან მისასვლელი სიტყვა მოძებნა
და ავტომატმომარჯვებულ სიკვდილს გული აუჩუყა“!
(„დედა გყავს“?) (ბაბუციძე, 67:2018)

ნიშნულია ნიქოზელი პოეტი ქალის, თამარ მეტრეველის სევდით აღსავსე ლექსები ქართულ-ოსური კონფლიქტით დარღვეულ ურთიერთთანხმობასა და დიდ ტკივილზე, რომელიც ორივე მხარემ თანაბრად იწვნია. მის პოეტურ სტილს რომანტიზმის ელფერი დაჰკრავს. ბედნიერი წარსული სურათების უბადლო მხატვარი აწმყოს ცრემლიანი თვალებით უმზერს, რითაც მკითხველის ამაღლებულ და სევდანარევი განცდას იწვევს.

ყურადსაღებია თამარის ლექსი „სამაჩაბლო“.
„მამა-პაპათა ნასახლარზე მივედი ახლა...
სიბოროტისგან დაქცეულა ძველი ბუხარი.
ქუდი მოხდია ერთ დროს, კობტა, კოპნია სახლსაც
და „გამარჯობა“ გულმოკლულმა, ცრემლით ვუთხარი“.
(„სამაჩაბლო“) (მეტრეველი, 125:2018)

თამარ მეტრეველი იგონებს ნასახლარს, სადაც ახლა უკვე ჭინჭარი ყვავის, სწამს, რომ ეკლესიებში კვლავ ტრიალებს საკმევლის სუნი და სჯერა, რომ სიკეთის თავთავს ვერასოდეს მოიმკის შულღი.

„ჩვენ დავბრუნდებით, ასე უნდათ ვაჟკაცთა გულებს,
შავჩოხიანნი, თავდახრილნი, დარდით დადიან.
დავბრუნდებით სამაჩაბლოს – პატარა ყურეს,
რადგან ჩვენს გულებს მშვიდობა და ლოცვა სწადია“...
(„სამაჩაბლო“) (მეტრეველი, 125:2018)

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პროტესტისა, ქართველ და ოს მოსახლეობას შორის მომხდარი და მიმდინარე უარყოფითი მოვლენების მიმართ, არცერთი ჩვენ მიერ განხილული პოეტის შემოქმედება არ ამჟღავნებს მტრობის სურვილსა და აგრესიას არათუ კონფლიქტის მხარეების, არამედ დაპირისპირების მთავარი მაპროვოცირებელი ძალის – რუსეთის მიმართაც კი.

კულტურული დიალოგის კონცეპტები აშკარაა. ყველა ნაწარმოები სინანულით, სიკეთით, სიყვარულითა და შერიგების წყურვილით, უკეთესი მომავლის იმედით არის ნასაზრდოები. შემოქმედთა გასაოცარი პატრიოტიზმი ნათლად გამოხატავს ჩვენი ერის არსებითი თვისებების – სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების ორგანულ განცდას. ნათელია, რომ ჩიხში შესული ურთიერთობის გადარჩენის გზად კრებულ „ალილუიას“ შემქმნელებს იმ ლიტერატურული რეფლექსიების გაღრმავება ესახებათ, რაც შემდგომში გამწვავებული ურთიერთობების ახალ, უკეთეს ეტაპზე გადასვლას ჩაუყრის საფუძველს. ვფიქრობთ, ქართულ-ოსური თემის მხატვრულ ტექსტებში წამოწევა-სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ლიტერატურა:

1. მინდიაშვილი ნ., „კონფლიქტის გენეტიკა მხატვრულ ტექსტებში“ (ქართულ-ოსური ლიტერატურის მაგალითზე), კონფერენციის – ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები – მასალები, თბილისი, 2018
2. კრებული „ალილუია“, თბილისი, 2018
3. <http://www.parliament.ge> ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ (ნანახია 29.05.2019)

Nino Mindiashvili

*Associated Professor
Caucasus International University
Doctor of Philology*

Ana Gogilashvili

*Doctoral Student
Ivane Javakishvili Tbilisi State University,
Georgia, Tbilisi*

ALMANAC HALLELUJAH IDEAL-CREATIVE ANGLES

Political processes developed in Georgia at the turn of the XX-XXI centuries had the decisive impact on the cultural reality. The freedom everyone dreamt about did not appear to have the form and content which the nation united into one fist for – endless wars resulted in nihilism in the majority of society; Georgia was in a grave situation facing Russia; social and economic problems were added with the appearance of several hundreds of thousands of IDPs (Abkhazia, Tskhinvali Region), who are until now waiting for return to their homes. Naturally, under such complicated circumstances, literature also gained absolutely different form and content, becoming the reflection of the Georgian social, political or mental reality. This is when new generation came to Georgian literature, which had a lot to say and chose special form representation. It is noteworthy that the formation of literary process at the end of the 20th century was promoted by periodical publications (XX Century; Polylog...), which offered the society conceptually completely different literature together with new authors.

Later it became apparent that along with other functions Georgian authors had to take responsibility for the function of reconciliators, unifiers, which would promote confidence building between Georgians and Ossetians and Georgians and Abkhazians. It must be emphasized that numerous almanacs have been created based on the given concept and they truly plaid the role of mediators.

For the moment, the subject to our interest is the 2018 almanac Hallelujah, which is interesting due to many features (Editor – MziaKhetaguri; Compiler – IrineGochashvili; Printed based on DimitrySanakoev's idea and under his supervision). The poetic almanac unites 37 (well-known or less known) authors (Archimandrite Sigrat, MziaKhetaguri, ShotaDarbuashvili, Naira Bepievi, Tamar Metreveli...); as conceptual feature of the Almanac must be perceived the circumstance that all the authors are personally or creatively connected with Tskhinvali Region; the authors are united by pain, nostalgia, tension, optimism, love; these are the authors who have once again by their attitude (under different angles) shown us that the issue of territorial integrity of Georgia is not yet solved and the broken bridge can only be reconstructed with love.

ალექსანდრე მღებრიშვილი

*პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, გორი*

ცხინვალის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემის ფურცლებზე

(საგანმანათლებლო ასპექტი)

ცხინვალში არსებულ საგანმანათლებლო ცხოვრებაზე საუბრისას, საგულისხმოა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს იქ ჯერჯერობით უნუგეშო მდგომარეობაა. მოსახლეობის მხრივ, მაშინდელ ცხინვალში ძირითადად ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები მოსახლეობენ,

რომელთა შორის „ძნელად იპოვით სამშობლო ენის მცოდნეს, საზოგადოდ აქ ქართული ენა იხმარება“.¹

ცხინვალის, როგორც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე სავაჭრო ცენტრი, შეძლებული ცხოვრების საშუალებას აძლევდა ებრაელ და სომეხ მოსახლეობას, რომელიც ძირითადად ვაჭრობას მისდევდა. ამიტომ მასწავლებლის დაქირავების ნებას შვილების აღსაზრდელად, პირველყოვლისა, მათი ჯიბე იძლეოდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში „დროების“ კორესპონდენტს, როდესაც მიუთითებდა: „...სომხებსა ჰყავთ ფასით დაჭერილი თავიანთი შვილების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ქართულს და სომხურს კითხვას, წერასა და ანგარიშს... აგრეთვე ურიების ხახმები სულყველა ურიების შვილებს ასწავლიან თავიანთ სჯულს, კითხვასა და წერას, ქართულს მხედრულ კითხვას და წერას...“²

ცხადია, ამგვარი „კერძო სწავლება“ როგორც სომხების, ისე ებრაელების ბავშვებს სასურველ განათლებას ვერ აძლევდა, მაგრამ ფაქტია, რომ მას ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ცხინვალის მკვიდრთა კულტურული განვითარების საქმეში.³

გაზეთი „დროება“ დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ცხინვალში სკოლის გახსნის საკითხს და პირველი იმედის მომცემი განცხადებაც 1880 წლის 24 თებერვალს გააკეთა. დაიწყო ფულის შეგროვება ხალხში მომავალი სკოლისთვის ცხინვალში.⁴ ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებას უდიდესი ამაგი დასდო ქველმოქმედმა ქალბატონმა ეფემია მაჩაბელმა. აქვე არ უნდა დავივიწყოთ მეორე ქალბატონის ქეთევან ჟურულის ღვაწლიც.⁵ მათ მიერ (არაერთხელ მოწყობილი საქველმოქმედო წარმოდგენებისა და შემონარულობების გზით) მოგროვილი თანხით შეძენილი იქნა შენობა სკოლისთვის.⁶ მათივე სახელებს უკავშირდება არა მარტო პირველი ორკლასიანი სკოლის დაარსება, არამედ ბიბლიოთეკის, ქალთათვის ე.წ. საოჯახო⁷ სკოლის გახსნა და მრ. სხვ.

ასე მზადდება საფუძველი ცხინვალში სკოლის გახსნისთვის.⁸ „დროება“ მალე კვლავ აუწყებს მკითხველს: „ცხინვალში სექტემბრიდან დაარსდება ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომლისთვისაც საკუთარ შენობას ამზადებენ...“⁹ ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, პირველი ორკლასიანი სასწავლებლის გახსნა მხოლოდ მომდევნო წლის 8 იანვარს მოხერხდა.

საინტერესოა, როგორ შეხვდა ცხინვალის მოსახლეობა პირველი სასწავლებლის დაარსებას. მაშინვე ასამდე განათლების მიღების მსურველი გამოჩნდა ცხინვალელთა შორის. „...მსურველი ბევრი აღმოჩნდნენ, მაგრამ ადგილები კი შეგიგრძობისათვის არ იყო საკმაო“¹⁰, – წერდა გაზეთი „დროება“. სამწუხაროდ, სკოლაში შესვლის ყველა მსურველი ვერ დაკმაყოფილდა. 1881 წლის აპრილის მონაცემებით, იქ ოთხმოცდაორი მოსწავლე – 76 ვაჟი და 6 გოგონა იწყებს მეცადინეობას.

სწავლას მოწყურებულ ცხინვალელთა ნაკადი არც მომდევნო პერიოდში შეწყვეტილა. მაგრამ ხელმძღვანელობა ყველას დაკმაყოფილებას ვერ შეძლებდა იმ უბრალო მიზეზით, რომ სკოლის შენობის სიმცირის გამო ამდენ მონაფეთა შიგ მოთავსება წარმოუდგენელი იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზ. „ივერია“ შენიშნავდა: „ცხინვალს ერთადერთი სასწავლებელი აქვს, რომელსაც წლისა და წლის თავზე მონაფეთები ემატება, ისე რომ ტყვა არ არის და სკოლის კედლები კი განზედ არ ინევენ, რომ სანყალი მონაფეთები ხალვათად დასხდნენ, მოვიცადოთ, ცხინვალელებო, ენკენისთვემდის, იქნება ღმერთმა გვიპრიანოს და კედლებმა თვითონ განზედ დაიწყოს წევა“.¹¹

გარდა ნახსენები პირველი ორკლასიანი სასწავლებლისა, გასული საუკუნის მიწურულს არსე-

¹ გაზ. „დროება“, 1876, №126.

² გაზ. „დროება“, 1867, №42.

³ ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდე ოსეთში, თბილისი-სტალინირი, 1958, გვ. 97.

⁴ გაზ. „დროება“, 1880, №43.

⁵ აქტიური საზოგადო მოღვაწე და ქართული თეატრის ქომაგი ქ. ჟურული ცხოვრობდა ცხინვალთან ახლოს, სოფ. კოშკაში.

⁶ ამჟამად ეს შენობა ცხინვალში აღარ არსებობს. იგი აღებულ იქნა სიძველის გამო.

⁷ 1885 წელს დაარსებულ ამ ტიპის ქალთა სკოლაში ძირითადად ისწავლებოდა: ქსოვა, ქარგვა, კერვა და მისთ.

⁸ როდესაც ვამბობთ პირველად სკოლის დაარსებას ცხინვალში, ვგულისხმობთ 1881 წელს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1875 წელს ანა ამილახვარმა ცხინვალში გახსნა სკოლა-პანსიონატი. აქ, გარდა წერა-კითხვისა, ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, კულინარია (ქალთათვის), სოფლის მეურნეობა (ვაჭათათვის) და ა.შ. შესაძლებელი იყო ცხინვალის პირველი საგანმანათლებლო კერის წიაღიც სწორედ აქ მოგვეძებნა, თუმცა ამ სკოლა-პანსიონატმა (იგი კერძო სასწავლებელი გახლდათ) ვერ შეძლო ღრმა კვალის დატოვება, სავარაუდოდ, გადასახადის სიძვირის გამო ბევრი ვერ ახერხებდა მასში ბავშვის მიბარებას.

⁹ გაზ. „დროება“, 1880, 1/VIII.

¹⁰ გაზ. „დროება“, 1881, №15.

¹¹ გაზ. „ივერია“, 1888, №153.

ბობდა ერთი-ორი კერძო სკოლაც, რომელთა სწავლის დონე მეტად დაბალი, ხოლო სწავლების მე-
თოდები კი ერთობ მოძველებული და უხარისხო გახლდათ.¹

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში ცხინვალის ორკლასიანი ნორმალური სასწავლე-
ბელი გადაკეთდა უმაღლეს დაწყებით სკოლად. ამ პერიოდში „გამოირჩეოდნენ თავიანთი მოღვაწეობით
მარიამ ხიმშიაშვილი,² მარიამ დავითაშვილი, ბარბარე ლალიევა, ქსენია კასრაძე, თამარ მურადოვა, მი-
ხეილ ჩიტაევი, ვასილ იარალოვი, დავით ციციქიშვილი და სხვ.“³

მეფის რუსეთის მიერ საქართველოში ფეხის მოკიდების კვალდაკვალ ოსური ეთნოლემენტი
თანდათანობით ორგანული ხდება ცხინვალისა და მისი შემოგარენისთვის. მიუხედავად ამისა, ეს
გარემოება ჯერ კიდევ ნაკლებადაა საგრძნობი XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. 1876 წლის
„დროების“ კორესპონდენტის მიხედვით, სომხები შვილებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას,
ანგარიშს. ებრაელი ხახამი ახალგაზრდებს ასწავლიდა თავის რჯულს, წერა-კითხვას და ქართულ წერა-
კითხვას, ე.ი. ცხინვალში ძირითადი სალაპარაკო და საურთიერთობო ენა ქართული იყო და
ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემით სარგებლობდა.⁴

ებრაელთა განათლების საკითხი ყოველთვის ორგანული იყო ცხინვალის რეგიონისთვის. ამ მიმარ-
თულებით გადადგმულ ნაბიჯთა შორის შთამბეჭდავი გახლდათ რაბი ავრაჰამ ჰალევი ხვოლესის მოლ-
ვანეობა. იგი 1906 წელს ცხინვალში აარსებს „თალმუდ-თორას“ (ებრაული რელიგიური სკოლა) და
როგორც სასწავლებელში, ასევე სინაგოგაში ფართოდ იყენებს ებრაულ ენას. ხვოლესის ინიციატი-
ვით, საქართველოს მასშტაბით, აშენებულ პირველ სასწავლებელში სწავლობდა 400-მდე ბავშვი, მათ
შორის გოგონების ჯგუფიც. თუ ამას დავუმატებთ, ამ პერიოდში, აქ არსებულ შეიდ ებრაულ სალო-
ცავს ბეთიჰაქნესეთს,⁵ ცხინვალის საქართველოს ებრაელთა ერთგვარ კულტურულ ცენტრად გადაიქ-
ცა.⁶

ვითარება ოდნავ განსხვავებულია ოსთა განათლების მიმართულებით.

მთის ოსი მოსახლეობის განათლების დონე მკვეთრად ჩამორჩებოდა ბარის მოსახლეობის ინ-
ტელექტუალურ განვითარებას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოს ინტელიგენციაში ძირითადად
სასულიერო და სამხედრო მოსამსახურეები მოიაზრებიან. ამ პერიოდის „საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის არენაზე სამოქალაქო ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ ჩანდა. სასულიერო ინტელიგენციის მნიშ-
ვნელოვანი ნაწილი ხალხის წრიდან იყო გამოსული და ხალხის კეთილდღეობისათვის (ოსური დამ-
წერლობისა და კულტურის განვითარებისათვის) იბრძოდა, მაშინ, როდესაც სამხედრო წრის ინტე-
ლიგენცია ოსი ხალხის კულტურული აღორძინების საქმისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას
იჩენდა.“⁷

ვოსტორგოვის რეჟიმამდე კავკასიაში ერთობ გავრცელებულ ქართულ ენას, რომელსაც სხვა,
საკუთარი დამწერლობის არმქონე, ერებიც ხშირად მიმართავდნენ (განსაკუთრებით რელიგიური რი-
ტუალების შესრულებისას), სერიოზული საფრთხე დაემუქრა. „ვოსტორგოვისა და მის თანამზრახ-
ველთა უნამუსობა იქამდე მიდიოდა, რომ ბედავდნენ ხმამალა გამოეთქვათ რუსეთის იმპერიის ვე-
რაგული განზრახვები საქართველოს მიმართ.“⁸ აკი ამიტომაც შეუნიღბავი სიძულვილით აცხადებდა
ცარიზმის ერთგული მოხელე ვოსტორგოვი: „ჩვენთვის ქართველები სრულიად არ არიან საჭირონი,
სამაგიეროდ დიდად საჭიროა საქართველო.“⁹ ვოსტორგოვის მიერ სხვა ეროვნების ხალხთა მიმართ
ხორციელებადი გარუსების პოლიტიკა ჩვეული სისასტიკით ტარდებოდა იმავე ოს მოსახლეობაში.
ნებისმიერი ოსისათვის სასწავლო თუ სასაუბრო ენა უნდა ყოფილიყო რუსული, „ამის გამო აკრძა-

¹ გაზ. „დროება“, 1881, №73.

² მარიამ ხიმშიაშვილის პერიოდს უკავშირდება ცხინვალის სკოლაში განსაკუთრებით ღარიბი მოსწავლეებისათ-
ვის სახელმძღვანელოების („ბუნების კარი“) გამოგზავნის ფაქტი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელი საზოგადოების“ მიერ (ნ. ცხვედაძის ხელმძღვანელობით), იხ. ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების გამგეობის 1898
წლის 13 იანვრის სხდომის ოქმი.

³ გაზ. „შიდა ქართლი“, 1999, №315.

⁴ გაზ. „დროება“, 1876, №126.

⁵ მხედველობაში გვაქვს: 1) თამარაშენელების, 2) რეელების, 3-4) კრიხელების (დიდი და პატარა), 5) დავარანთი,
6) კეხიანთი, 7) ე.წ. დიდი სალოცავი.

⁶ თ. პატარკაციშვილი, მოგონებები ცხინვალზე, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №441-442, გვ.4.

⁷ ტ. სარიშვილი, ოსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ცხინვალი, 1968, გვ. 45.

⁸ რ. ლიპარტიელიანი, ენის ქომაგი, ჟურნ. „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“, 1990, №3, გვ. 15.

⁹ ი. გოგებაშვილი, შევიწროება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში, თხზულებანი,
ტ. IV, თბილისი, 1955.

ლულია ოსთათვის სწავლება ქართული ენისა“.¹

ოსთა განათლების საკითხის წინა პლანზე წამოწევა დიდად უწყობდა ხელს მათ შორის ქრისტიანული (მართლმადიდებლური) სარწმუნოების განმტკიცებას. XIX საუკუნის დასაწყისიდან ოსი ხალხი აქტიურად სარგებლობდა ქართული ანბანით. გამოცდილებამ ყოველმხრივ დაადასტურა ოსებისათვის ქართული ანბანის უპირატესობა ყველა ანბანთან შედარებით.²

ოსთა მიერ, საკუთარის არ არსებობის გამო, ქართული დამწერლობის გამოყენების ფაქტს ადასტურებს ო. ევეციკიც.³

ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე⁴ გარკვეულია, რომ მე-19 საუკუნის დამდეგს ოსი ეროვნების წარმომადგენლებს ბევრჯერ მიუმართავთ თხოვნით რუსეთის მთავრობისთვის, აღმოეჩინათ დახმარება სკოლების გასასწავლად, მაგრამ ჩანს, ხელმძღვანელობა პასიურობას იჩენდა და არ რეაგირებდა მსგავსი შემთხვევების დროს. უფრო მეტიც, როგორც გ. თავზიშვილი მიუთითებს,⁵ ხშირად სკოლისა და მასწავლებლის მაგიერ ოსებს მთავრობის მიერ ბოქაულები და ყაზახთა რაზმები ეგზავნებოდათ.

ყოველივე ამას ერთვოდა დაბალი სოციალური ფონი, განვითარების დაბალი საფეხური და განათლების დონის მკვეთრად გამორჩეული ჩამორჩენილობა. ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების, მათი ქართულ კულტურასთან, ტრადიციებთან ზიარების და ზოგადად ქართველ ხალხთან შერევის დაწყებისთანავე ზემოთ ჩამოთვლილ ხარვეზთა თვალშისაცემი გამოსწორება უცხო თვალისთვისაც კი არ დარჩენილა შეუძენველი.

„Масса осетин была безграмотна, погрязала в суевериях. У осетин, живших в горных труппах, даже заключенные договоры отмечались на бирках, вместо летописей служили звериные головы и рога, которые привешивали в память к домам и молельням. Только в Южной Осетии, поддерживавшей сношения с Грузией, попадались грамотные люди. Для религиозно - нравственного просвещения народа нужно было позаботиться о переводе на осетинский язык Евангелия, богослужебных книг и пр. Одни старались применить к делу церковно славянский алфавит, другие - грузинский...“⁶

1918-1920 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყურადღების ცენტრში თავიდანვე მოექცა განათლების რეფორმის აუცილებლობის საკითხი. რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილის ალ. მდივნის 1918 წლის 12 სექტემბრის მოხსენებაში საუბარი ეხება საქართველოში პირველდანიებით სასწავლებლების სიმცირეს და მათი რიცხვის პერმანენტული ზრდის აუცილებლობას. ალ. მდივნის ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოში სახალხო სკოლების რიცხვი 900-მდეა, აღმოსავლეთ საქართველოში მათი რაოდენობა მხოლოდ 240-ს აღწევს. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად არის დასახული პირველდანიებითი სასწავლებლების გახსნა იმ ტერიტორიებზე, სადაც მათი ნაკლებობა თვალსაჩინოა. სხვათა გვერდის ასეთ ადგილებად მოხსენიებულია გორის მაზრის ზოგიერთი განაპირა უბანი და ცხინვალის ხეობა.⁷

1918 წლის დამლევს ცხინვალში არსებულმა ოსთა ეროვნულმა საბჭომ მიმართა განათლების სამინისტროს ცხინვალში რუსულენოვანი ოსური გიმნაზიის⁸ დაარსების მოთხოვნით. ამ დროისთვის ცხინვალშიც და მის მიმდებარე სოფლებშიც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ქართულია და ძნელი მისახვედრი არ არის, რას ემსახურებოდა, ოსთა ეროვნული საბჭოს, მსგავსი პროვოკაციული ჩანაფიქრი. ამის მიუხედავად, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილის 1918 წლის ნოემბრის მოხსენებაში გარკვეული ადგილი დაეთმო ხსენებულ საბჭოს მიერ ცხინვალში სახელმწიფოს ხარჯზე გიმნაზიის გახსნის შუამდგომლობის საკითხს.⁹

¹ ჟურნ. „განათლება“, 1913, #9.

² ა. სონლულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი, 2009, გვ. 194.

³ О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-петербург, 1835, стр. 92.

⁴ გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბილისი, 1948.

⁵ გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბილისი, 1948.

⁶ П. Надеждин, Опыт географии Кавказского края, Тула, 1891, стр. 113.

⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1935, ანან. №1, საქ. 59.

⁸ გიმნაზია უნდა ყოფილიყო ორი მოსამზადებელი და ოთხი ძირითადი კლასის შემადგენლობით.

⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1935, ანან. №1, საქ. 59.

ამ ფაქტს აქტიურად გამოეხმაურა ქართული პრესა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“¹ წერდა: „ოსების ეროვნულმა საბჭომ განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა საქართველოს მთავრობამ თავისი ხარჯით ცხინვალში გახსნას ოსური გიმნაზია, სადაც სწავლა ოსურსა და რუსულ ენაზე იქნება, ხოლო ქართული ენის გაკვეთილებს საპატიო ადგილი დაეთმობა... მინისტრს საჭიროდ მიაჩნია ეს საკითხი გაისისთვის გადადოს ვინაიდან ცხინვალში მთავრობას გადანყვებილი აქვს პროგიმნაზიის გახსნა“.²

ცხინვალში არსებულ საგანმანათლებლო გარემო ხშირად იდგა პირველი რესპუბლიკის მთავრობის სხდომების დღის წესრიგში. კერძოდ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ისეთ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება, როგორცაა 1918 წლის 31 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაცია – დაბალ სასწავლებელთა, მთავარი გამგის მოხსენება უმაღლეს დანყვებით სასწავლებელთა სახაზინო ხარჯზე მიღების შესახებ. ამავე სხდომაზე გამოტანილი დადგენილების თანახმად ხაზინის ხარჯზე მიღებულ იქნა ცხინვალისა და დუშეთის სასწავლებლები“.³

საყურადღებოა 1918 წლის 30 ნოემბრის მთავრობის სხდომაც, რომლის მუშაობის დროსაც მოსმენილ იქნა განათლების მინისტრის გამოსვლა ცხინვალში სახელმწიფო ხარჯებით გიმნაზიის გახსნის შესახებ.⁴

ოსთა ეროვნული საბჭოს მიერ მოთხოვნილი რუსულენოვანი ოსური გიმნაზიის დაარსების საკითხზე მსჯელობისას, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისგან“ განსხვავებით ერთობ კრიტიკული იყო გაზეთ „კლდის“⁵ პოზიცია: „ამ დღეებში თფილისის გაზეთებმა ცნობა მოათავსეს, რომ ოსთა ეროვნულ საბჭოს თხოვნით მიუმართავს განათლების მინისტრისთვის, რათა დაბა ცხინვალში გაიხსნას ოსური გიმნაზია. თხოვნაში აღნიშნულია, რომ სწავლა რუსულ ენაზე უნდა იქნესო.“

საქართველოს ხაზინით ოსთათვის რუსული გიმნაზიის მოწყობის შესახებ სამინისტროსგან შესაფერი პასუხი მიეცა ხსენებულ საბჭოს...

ცხინვალში 1000 კომლი სხვადასხვა რჯულის ქართველი: ისრაელი, მართლმადიდებელი და გრიგორიანი ცხოვრობს, ხოლო ოსობა სულ რაღაც ოციოდე კომლს შეადგენს.

მაშ რა მოსაზრებებით უნდა გახსნას ამ დაბაში სახელმწიფომ ოსური და არა ქართული სკოლა.

იმ მარტივი მოსაზრებით, რომ რუს ადმინისტრაციისა და ვოსტორგოვების მიერ გათამამებულ და განებივრებულ ქართლის ოსობას დღესაც თავი არ დაუნებებია საქართველოს შუა გულში უილსტერის⁶ შექმნაზე ფიქრისათვის.

ამ მიზნით ოსობას, რომელსაც წარსულ საუკუნის პირველ ნახევრამდე ერთი ბოხჩა ადგილი ეკავა, სახელდობრ: ჯავა, მალლან-დოლეთი და ჟამური, რომელნიც ტერიოტიულათ სამ ჩვეულებრივ სამამასახლისოს უდრის, რუსის მთავრობამ ხელი შეუწყო და მოხერხებულის პოლიტიკით მათ ქართლის უდიდესი და უნაყოფიერესი ნაწილი დააჭერინა.

ამავე დროს ვოსტორგოვმა და მისთანებმა გულმოდგინეთ მიჰყვეს ხელი ისტორიულად ჩვენთან ერთად შეზრდილ ოსობის ჩვენგან გათიშვას.

სასულიერო სემინარიაში ოსის ახალგაზრდობას სისტემატურათ ზრდიდნენ ქართველებისადმი მტრობაში.

ყოველივე ამის ნაყოფი გახლავს, რომ კავკასიონის ქედს აქეთ გაჩნდა საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში უცნობი ეგრეთ ნოდებული „სამხრეთ ოსეთი“.

მხოლოდ ერთი რამ უბედურება ახლავს ამ ვოსტორგოვის ნებეირებს: სახელდობრ მათ აკლიათ მათი შემაერთებელი ცენტრი.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (1918-1921) – მთავრობის მოამბე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ყოველდღიური ქართულენოვანი პერიოდული გამოცემა. რედაქტორები: გრ. მაჭავარიანი, მოგვიანებით პ. დ. საყვარელიძე. გამოდიოდა თბილისში. აღდგენილია 1990 წლიდან.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №103, გვ. 2.

³ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №481, ანან. №1, საქ. №1851.

⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1881, ანან. №1, საქ. №14.

⁵ გაზეთი „კლდე“ (1918-1920) – ქართულენოვანი, დამოუკიდებელი ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ორგანო. 1920 წლიდან: ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო – საქართველოს ნაციონალური პარტიის ორგანო. სხვადასხვა დროს გამოდიოდა ყოველდღიური და ყოველკვირეული ფორმატით. რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე). 1919 წელს გაზეთი გამოდიოდა აგრეთვე „სალი კლდის“ №1(7/1) – №58(28/VII) და შემდეგ „პიტალო კლდის“ №1(4/VIII) – №22(29/XII) სახელწოდებებით. გამოცემის ადგილი – თბილისი.

⁶ Ulster nationalism – იდეოლოგიური მოძრაობა, რომელიც ითხოვს ჩრდილოეთ ირლანდიის დამოუკიდებლობას დიდი ბრიტანეთისგან.

მოგეხსენებათ, დღევანდელ დღეს იმ ერს, რომელსაც საქალაქო ცენტრი არ მოეპოვება არავითარ წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს და აი ეს მხნე და გონიერი ხალხი შესდგომია მის შექმნას.

სოფელი ჯავა ცენტრია, მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობისა და მაღალი მთებით მოწყვეტილია პატარა ლიახვისა და ყორნისის ოსობას, ხოლო ცხინვალი კი სწორედ მათ შუა ადგილს მდებარეობს.

რა უყოთ, რომ ცხინვალი წმინდა ქართული დაბაა, რა ვქნათ, რომ მას გარშემო ქართული მოსახლეობა არტყია, რომელიც ვრცელდება სოფელ სვერამდე, ხოლო ეს უკანასკნელი ჯავიდან შვიდი ვერსის მანძილზეა.

ყოველივე ამას ანგარიშს არ უწევენ: მათთვის და მათი რუსი დირიჟორებისთვის საჭიროა რათაც უნდა დაჯდეს, შიგ შუა გულ საქართველოში უილსტერის შექმნა და ამას კი დიდათ ხელს შეუწყობს ცხინვალში ოსურ გიმნაზიის დაარსება, რომლის მოწაფენი და მასწავლებელნი საუკეთესო ხელმძღვანელნი შეიქმნებიან „სამხრეთ ოსეთის“ დედა ქალაქის შექმნაში“.¹

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ნებადართული ოსური გიმნაზიის დაარსება მოხერხდა 1918 წლის 8 დეკემბრისთვის. მის პირველ დირექტორად და იმავდროულად გერმანული და ოსური ენების მასწავლებლად დაინიშნა ღვთისმეტყველების კანდიდატი ბიძინა კოჩიევი.

გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობა შემდეგი სახისაა:

ზაქრო ნიკოლოზის ძე ვანიევი, კიევის კომერციული ინსტიტუტის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასწავლიდა ისტორია-გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას; ალექსანდრე გრიგოლის ძე ძასოხოვი, მოისმინა ტომსკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კურსები, ასწავლიდა მათემატიკას, ფრანგულს;

მარიამ დიმიტრის ასული ჯაფარიძე, დაამთავრა გიმნაზიის ოთხი კლასი, ასწავლიდა ქართულ ენას და ლიტერატურას;

ივანე იტიაკოვი, სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ასწავლიდა მუსიკას;

ანასტასია ნესტორის ასული გაგლოევა, უფროსი განყოფილება;

ვასილ ნიკოლოზის ძე კარსანოვი, ხარკოვის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მუშაობდა სასწავლებლის ექიმად.²

რაც შეეხება 1913 წელს დაფუძნებულ ცხინვალის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს, 1918 წლისთვის მის სათავეში დგას გიორგი ივანეს ძე ბასიშვილი, პედაგოგებად წარმოდგენილი არიან: ფილიმონ ნიკოლოზის ძე სირაძე³ და ჰაი-კანუშ ელიზბარის ასული ოვანოვი.

როგორც ჩანს, ამ დროისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგად მოღვაწეობა სულაც არ გახლდათ უსაფრთხო საქმე. ხშირია ცნობები ამა თუ იმ მიზეზით მასწავლებელთა მკვლელობების შესახებ. ბუნებრივია, ცხინვალშიც არ არის გამონაკლისი. ჩვენს ხელთ არსებული ერთ-ერთი წყარო⁴ მიუთითებს 1918 წლის ოთხ ოქტომბერს, ცხინვალის სოფელ ზემო ნიქოზში დაბრუნებისას, ადგილობრივი პედაგოგის ალექსანდრე ილარიონის ძე კასრაძის მკვლელობის ფაქტის შესახებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში თავისუფალი ველი შეიქმნა საგანმანათლებლო, კულტურულ და რელიგიურ დაწესებულებათა სამოღვაწეო არეალში.

შეუზღუდავი გახლდათ საგანმანათლებლო უწყებათა საქმიანობა. აქ მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ ამ დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფინანსდებოდა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეყრებოდა საფუძველი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული განათლების სისტემას და რეგიონებში გავრცელებულ მის რეფორმისტულ პოლიტიკას.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ განათლების სფეროში გატარებულ ღონისძიებებს დადებითად აფასებდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატა. 83-ე კონგრესის მე-2 სესიის, კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი სპეციალური კომისიის მეექვსე საგანგებო მოხსენებაში ნათქვამია, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა განათლების საკითხს. გაიხსნა მრავალი ახალი სკოლა, მრავალიც უნდა შექმნილიყო. უნივერსიტეტში თუ სხვა სასწავლებლებსა

¹ გაზ. „კლდე“, 1918, №13, გვ. 3.

² „ცხინვალში 1918 წლის 8 დეკემბერს გახსნილი პირველი ოსური გიმნაზიის დაარსების შესახებ“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1935, ანან. №1, საქ. №103.

³ ფილიმონ ნიკოლოზის ძე სირაძე (1888-1937) – პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. შინსახკომის სამმართველოს კომენდატურის სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით დახვრეტილ იქნა 1937 წელს (09/11) საფინანსო-საკრედიტო რეფორმის ბოროტად გამოყენების ბრალდებით. რეაბილიტირებულია 1957 წლიდან.

⁴ დეტალურად იხ. „დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატრიანე (1918-1921)“, თბილისი, 2013.

და სკოლებში საგნები, ცხადია, ქართულად ისწავლებოდა. როგორც კი მოხდა რევოლუცია, თბილისში დაარსდა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1918 წლიდან მუშაობას შეუდგა. პირველსავე წელს უნივერსიტეტში სამი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა. მოგვიანებით გაიხსნა სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართული იყო ჯანდაცვის პრობლემებისკენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის გამოყოფილი თანხები თითქმის ყოველთვის შესაძლებლობის ფარგლებში სოლიდური გახლდათ.¹

1920 წლის დამდეგს გამართულმა მასწავლებელთა ყრილობამ გამოკვეთა განათლების სფეროში მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების ეფექტურობა. ყრილობის მსვლელობისას მოსმენილ იქნა მოხსენებები ქვეყანაში სახალხო სკოლების არსებობის შესახებ. „ეს მოხსენებები ყველაზე მეტად საყურადღებო იყო. აქ ჩვენ ნათლად დავინახეთ თუ რა მდგომარეობაშია დღეს სახალხო სკოლები ზოგიერთ მაზრაში... ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა დღემდის ისეთი იყო, რომ ბევრი რამ გვეპატივება ჩვენი შინაური საქმეების მოუწყობლობაში. შეუძლებელიც იყო უნაკლოდ და უდევფექტოდ ამა თუ იმ დარგის მოგვარება-მონესრიგება. უნდა ითქვას, განათლების სამინისტრომ ასეთ პირობებშიც შეძლო ისეთი დიდი საქმის გაკეთება, როგორცაა სკოლის გაეროვნება, მის დემოკრატიულ საფუძველზე აგება. ამ ძირითადი რეფორმის გატარება ნორმალურ პირობებშიც კი არ იყო ადვილი და იოლი. რაკი საძირკველი ჩაყრილია, მასზე კედლების აშენება არც ისე ძნელი იქნება“.²

მასწავლებელთა ყრილობის მსვლელობას უძღვებოდა განათლების მინისტრის მოადგილე ალ. მდივანი. რეგიონებიდან მოსმენილ ინფორმაციათა შორის საგულისხმოა თავყრილობის მე-4 დღეს, პატარაშვილის მიერ, გაკეთებული მოხსენება გორის მაზრაში არსებული ვითარების შესახებ. იგი ადარებს ახალ, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის სკოლას ძველ, ე.წ. სახელმწიფო ინსპექტორების დროინდელ სკოლას, რომელთაც თვალსაჩინო არაფერი დაუტოვებიათ.

პატარაშვილის ინფორმაციით³, ენერგიული სასკოლო განყოფილების გამგის წყალობით მაზრაში 47 ახალი სკოლა გაიხსნა, პედაგოგები უზრუნველყოფილი არიან ნივთიერად და მრ. სხვ.

მიუხედავად განათლების სფეროში წინგადადგმული ნაბიჯებისა, დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში გვხვდება ინფორმაცია ამ სისტემაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებაც. ხშირ შემთხვევებში ეს ხარვეზები ნაჩვენებია რეგიონების მაგალითზე. ფსევდონიმით „ვეფხვი“⁴ გაზ. „საქართველოს“⁵ კორესპონდენტი, 1920 წლის დამლეგს, განათლების მიმართულებით, ცხინვალში არსებული ვითარების შეფასებისას, გამოკვეთს რიგ პრობლემურ საკითხს. მისი თქმით, სკოლების მდგომარეობა ცხინვალში „სატირალია“. ზოგერთ სკოლაში სწავლა ჯერ არ დაწყებულა. ძალზე ძნელია ადგილზე სასკოლო ნივთების შოვნა, ჭირს პედაგოგიური კადრიც.⁶

როგორც ჩანს, იყო რეგიონის სკოლებში არაპროფესიონალი კადრების დანიშვნის შემთხვევები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების საბაზი ხდებოდა. მსგავსი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, პერმანენტულად ხდებოდა ადგილობრივ პედაგოგთა შეხვედრები, დისკუსიები, რომელთა საქმიანობაც მიმართული გახლდათ ზოგიერთ უბანზე არსებული რთული ვითარების აღმოფხვრისაკენ.

¹ საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, (კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის საგანგებო მოხსენება №6, აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატა, ოთხმოცდამესამე კონგრესი, მეორე სესია, წარმომადგენელთა პალატის 346-ე და 438- რეზოლუციებით), აშშ მთავრობის გამომცემლობა, ვაშინგტონი, 1955, გვ. 10-11.

² გაზ. „ერთობა“, 1920, №10, გვ. 1.

³ მასწავლებელთა ყრილობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №10, გვ. 3.

⁴ „ვეფხვის“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა კონსტანტინე კავკასიძე. მღვდელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დუშეთის განყოფილების დამფუძნებელი, წევრი (1914), ამავე განყოფილების თავმჯდომარე (1916), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყარსის განყოფილების წევრი (1917). ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების 1916 წლის მოქმედების ანგარიშის მიხედვით დუშეთის განყოფილებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მღვდელი კ. კავკასიძე, გამართა ოთხი სხდომა, გაარჩია რვა საქმე. 1917 წლის პირველი იანვარის მდგომარეობით დუშეთის განყოფილებას ჰყავდა 40 წევრი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №481, ანაწ. №1, საქ. №1571).

⁵ გაზეთი „საქართველო“ (1915-1921) - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ყოველდღიური, ქართულენოვანი პერიოდული გამოცემა. რედაქტორი (1915-1916) - სანდრო შანშიაშვილი, 1917 წლიდან მთავარი რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი. გამოცემის ადგილი - თბილისი.

⁶ გაზ. „საქართველო“, 1920, №137, გვ. 4.

ერთ-ერთი ასეთი ფართომასშტაბიანი შეხვედრის შესახებ იუნყეა გაზეთი „ერთობა“¹. 1920 წლის 6 მაისს შედგა აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ცხინვალის განყოფილების წევრთა თავყრილობა. შეხვედრის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. ლაზარაშვილი, მდივნად დ. საძაგლიშვილი.

არაერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის შემდეგ, შეხვედრაზე მიღებულ იქნა რამდენიმე საინტერესო დადგენილება:

1. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა კავშირის საბჭოს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ცხინვალში მომავალ ენკენისთვიდან გახსნას თავის ხარჯზე ახალი ტიპის გიმნაზია. ამის შესახებ ეთხოვოს ცხინვალის და შინდისის თემების ხმოსანთა ყრილობებს და აგრეთვე ცხინვალის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს, რათა მათაც გამოიტანონ ასეთივე დადგენილებანი.

2. ცხინვალის რაიონის მასწავლებლებს თუმცა უკვე მიუღიათ აქტიური მონაწილეობა მინისძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ სხვადასხვა შემოწირულობების მოკრების სახით, მაგრამ კრება მაინც კიდევ ადგენს გაილოს წვლილი სურვილისამებრ.

3. დელეგატის არჩევა მასწავლებელთა მომავალ კონფერენციაზე გასაგზავნად გადაიდოს მთავარ ბიუროსაგან მონერეობის მიღებამდე და მაშინ მეორედ მოწვეულ კრებაზედ აირჩეს დელეგატი. უკეთუ საკმარისი რიცხვი წევრებისა არ დაესწრება ხსენებულ კრებას საპატიო მიზეზების გამო, მაშინ დამსწრეთ მაინც უფლება ჰქონდეთ დელეგატის არჩევისა.

4. სასწავლო ნივთების და სხვა საგნების საწყობის გახსნა მიენდოს განყოფილების გამგეობას.

5. თუ სამაზრო ერობამ გახსნას საზაფხულო კურსები მასწავლებელთათვის, თანახმად მისი განათლების განყოფილების გამგის მწერლობისა, კრება ადგენს: ეცნობოს სამაზრო ერობის გამგეობას, რომ ცხინვალი-შინდისის თემების მასწავლებელთათვის სასურველია ხელ-გარჯილობის და ხატვა-ხაზვის კურსები ერობის ხარჯზე.

6. თანახმად თვით შინდისის თემის მასწავლებელთა სურვილისა, ცხინვალის რაიონის მასწავლებელთა კავშირის წევრთა შემადგენლობა რჩება უცვლელად.

7. ცხინვალის თემის სასკოლო კომიტეტში წარმომადგენლად ამავე თემის მასწავლებლებიდან ერთხმად ამორჩეულია ალექსანდრე მელქოევი.

8. მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა, სადაც ჯერ არს, მიენდოს გამგეობას მაზრის მასწავლებელთა კავშირების ცენტრთან შეთანხმებით, თუ ასეთი კიდევ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიემართოს დაუყოვნებლივ ამ საკითხის შესახებ მასწავლებელთა კავშირის მთავარ გამგეობას.

9. საწყობის მოგვარებასთან ერთად მიენდოს გამგეობას ზაფხულში ჭირნახულის შექმნის საქმეც. ამ მიზნის განსახორციელებლად ევალება გამგეობას ითხოვოს სესხი სამაზრო ერობიდან და კიდევ სხვა და სხვა დაწესებულებებიდან.

10. ეთხოვოს ცხინვალის თემის გამგეობას იკისროს შინდისის თემის მასწავლებელთათვისაც ჯამაგირების და სურსათის მოწოდება, რადგან შინდისის თემში ჯეროვნად ვერ ხერხდება ამ საქმის მოგვარება.²

ამავე თავყრილობაზე, აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ცხინვალის განყოფილების გამგეობა დატოვებულ იქნა ძველი შემადგენლობით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: ბ. ლაზარაშვილი, ვ. იარალოვი და დ. საძაგლიშვილი; პირველი კანდიდატი ს. კობალაძე, მეორე კანდიდატი - ა. მელქოევი.

1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან ერთად აქტიურობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლების განყოფილების გვერდით ცხინვალში აქტიურად ფუნქციონირებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებაც.³

საზოგადოების შემადგენლობაში სხვადასხვა დროს არსებულ ორმოცდაცხრა განყოფილებას შორის უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1914 წლიდან ამოქმედებულმა ცხინვალის ორგანიზაცი-

¹ გაზეთი „ერთობა“ (1917-1921) – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ყოველდღიური, ქართულენოვანი პერიოდული გამოცემა. რედაქტორი ვლ. ბობოხიძე. 1920 წლის ივლისიდან – ლევ. ნათაძე. გამოცემის ადგილი – თბილისი.

² გაზ. „ერთობა“, 1920, #121, გვ. 4.

³ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალი ცხინვალში არსებობდა 1914 წლიდან.

ამ¹. მისი საქმიანობის შესახებ ერთობ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ტ. ხუნდაძის შრომაში² ძალზე ძუნ-ნად, ერთი წინადადებით გახლავთ მოხსენიებული მისი არსებობის ფაქტი. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ცხინვალში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების მსურველნი 1914 წლამდეც მრავლად იყვნენ. ადგილობრივი საზოგადოების გარკვეული ნაწილი წლების განმავლობაში ემზადებოდა აღნიშნული საკითხის წარმატებით გადასაჭრელად. მცდელობას არ აკლებდნენ და წერდნენ კიდევ ამის შესახებ.

1914 წლის 17 ნოემბერს შედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილების საზოგადო კრება.³ დროებითი თავმჯდომარის იასონ ხიმშიაშვილის თაოსნობით მოწვეულ თავყრილობაზე არჩეულ იქნა თავმჯდომარე, გამგეობა, სარევიზიო კომისია. დამფუძნებელ წევრთა ორი მესამედის არჩევანის შესაბამისად, დახურული კენჭისყრის გზით, თავმჯდომარის პოსტი დაიკავა გიორგი დავითიშვილმა. გამგეობის წევრები გახდნენ: ბლალოჩინი⁴ იროდიონ ოქროპირიძე, იასონ ხიმშიაშვილი, გიორგი ღვთისავერიშვილი, არჩილ დედანაშვილი, იოსებ გოგინაშვილი. სარევიზიო კომისია დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: ივანე ორჯონიკიძე, ლავრენტი ჯობავა, ნიკოლოზ ჭონიშვილი. გამგეობის წევრების კანდიდატებად დასახელდნენ გრიგოლ შათირიშვილი და მიხეილ კობალაძე, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრების კანდიდატებად - ლაზარე კვინიკაძე და ივანე კოტიაშვილი.

ამ ფაქტის შესახებ, 1914 წლის 20 ნოემბერს, ცხინვალის განყოფილების დროებითი თავმჯდომარე იასონ ხიმშიაშვილი ცხინვალიდან აცნობებდა საზოგადოების მთავარ გამგეობას.⁵

არსებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილებამ უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებაში. განყოფილების სხვადასხვა წლების შემოსავალ-გასავლის ჩანაწერები⁶ მოწმობს, რომ იგი დიდად შეძლებული გაერთიანება არასოდეს ყოფილა, თუმცა საერთო-ეროვნულ ორგანიზაციად ქცევა, მისი თანამდევნი ეროვნული სულისკვეთებისა და თვითგამორკვევის მძლავრი მუხტი სასიცოცხლოდ აუცილებელი შტრიხი გახლდათ ადგილობრივთა ცნობიერებაში.

ცხინვალის განყოფილებას თავიდანვე რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია დაარსება.⁷ მსგავსი გარემოებები გარკვეულწილად აფერხებდა ახლადშობილი ორგანიზაციის სამუშაო რიტმს და განწყობას, თუმცა ღირსეულ ცხინვალელთა წყალობით იგი თანდათან სიცოცხლისუნარიან, შემოქმედებით ორგანიზაციად გარდაქმნებოდა და ღირსეულ ადგილს იმკვიდრებდა რეგიონში.

ამგვარად, 1918-1921 წლებში ცხინვალში აქტიურად ფუნქციონირებს აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა გაერთიანების ცხინვალის განყოფილება, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილება, გიმნაზია, უმაღლესი დანყებითი სკოლა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის უმაღლესმა დანყებითმა სკოლამ, როგორც ჩანს, სულ რაღაც სამიოდე წელი იარსება და 1921 წლისათვის იგი უკვე შვიდწლიანი შრომითი სკოლის ამპლუაში გვევლინება (დირექტორი ალექსანდრე მელქიოევი). ამკარად იგრძნობა სკოლის ეტაპობრივი ზრდა, თანდათან განვითარებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მზარდი მოსწავლეთა და პედაგოგთა კონტიგენტი და ა.შ. მაგრამ ნორმალური სასკოლო შენობის უქონლობა მაინც ნომერ პირველ

¹ მღვდელ იროდიონ ოქროპირიძის და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალში მოღვაწეობის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ალ. მღვბრიშვილი, მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში, თბილისი 2017.

² ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ნარკვევი საარქივო მასალების მიხედვით) 1879-1927, თბილისი, 1960.

³ მიწერ-მოწერა საზოგადოების ცხინვალის განყოფილებასთან და მოხსენებები განყოფილების მუშაობის შესახებ. 1908 წ. ოქტ. 10-1920 წ. დეკემბრის 28. ფურც. 51; 1072 (1092) 28, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.

⁴ ბლალოჩინი - მღვდელი, რომელიც განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საქმეს (რუს. იმპ.).

⁵ მიწერ-მოწერა საზოგადოების ცხინვალის განყოფილებასთან და მოხსენებები განყოფილების მუშაობის შესახებ. 1908 წ. ოქტ. 10-1920 წ. დეკემბრის 28. ფურც. 51; 1072 (1092) 28, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.

⁶ მიწერ-მოწერა საზოგადოების ცხინვალის განყოფილებასთან და მოხსენებები განყოფილების მუშაობის შესახებ. 1908 წ. ოქტ. 10-1920 წ. დეკემბრის 28. ფურც. 51; 1072 (1092) 28, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.

⁷ ვგულისხმობთ 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებას.

პრობლემად რჩება. მოძველებული შენობის კედლები ველარ იტევს უკვე შეიღწილიანი სკოლის მოსწავლეთა რაოდენობას. ეს პრობლემა უფრო მწვავედ შეიგრძნობა შეიღწილიანი შრომითი სკოლის უკვე საშუალო სკოლად გადაკეთების შემდეგ (1928). აქ უკვე ველარ ხერხდება მოუგვარებელი პრობლემის სამომავლოდ გადადება. ამ პერიოდში აგებულ იქნა ახალი შენობა საშუალო სკოლისთვის. საშუალო სკოლად გადაკეთებით იწყება ახალი ეტაპი ცხინვალის სასკოლო-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ამ ორი განსხვავებული ეტაპის გასაყართან დგას რამან ლაზარაშვილი.¹ სწორედ იგი გახლდათ პირველი დირექტორი ცხინვალის პირველი საშუალო სკოლისა. რ. ლაზარაშვილის სკოლის დირექტორის პოსტზე ექვსწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მოხერხდა სასწავლო პროცესის გარკვეულწილად განვითარება. გაიხსნა რამდენიმე კაბინეტ-ლაბორატორია, მათ შორის ფიზიკის, ქიმიის და მისთ.

ცხინვალის რეგიონში ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს ადგილობრივი ოსური მოსახლეობის სოციალური და კულტურული დონის განუწყვეტელ ზრდას და განვითარებას. XX საუკუნის 20-იან წლებში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის წარმოსადგენად ერთი დოკუმენტის წარმოდგენა გვსურს მკითხველის წინაშე.

1925 წლის სექტემბრის „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის კომისიის მოხსენებაში ნათქვამია: В области народного просвещения имеются некоторые достижения. Если до советизации в области имелось только 28 школ, то теперь число их доходит до 97 четырех леток, двух семилеток, одной 9-летки, одного педагогического техникума, одной школы крестьянской молодежи и I детдома.

Однако этого количества школ далеко не достаточно. Из общего количества детей школьного возраста 12000 в стенах школ имелось 5128 детей, т. е. менее половины. Количество школ по нац-признаку распределяется следующим образом: осетинских – 76, грузинских – 19, армянских – 1, и еврейских – 1. Учителей всего по области имеется 173 человека и большинство которых по заявлению самого Наркомпроса и крестьян не соответствует своему назначению и мало подготовлены.²

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ცხინვალის რეგიონში მანამდე არსებული 28 სკოლის ნაცვლად 20-იანი წლებისთვის სკოლების რიცხვი 97-ს აღწევს. მათ შორის ოსური – 76, ქართული – 19, სომხური – 1 და ებრაული – 1. მსგავს სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შორისაა ოსური შრიფტით გამართული ტიპოგრაფიული მანქანის მოწყობა,³ ოსურენოვანი გაზეთის ტირაჟის გაზრდა 3000 ეგზემპლარამდე⁴, ოსურენოვანი სახელმძღვანელოების გამოცემა⁵ და სხვ.

ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“, 1876, №126.
2. გაზ. „დროება“, 1867, №42.
3. გაზ. „დროება“, 1880, №43.
4. გაზ. „დროება“, 1880, 1/VIII.
5. გაზ. „დროება“, 1881, №15.
6. გაზ. „ივერია“, 1888, №153.
7. გაზ. „დროება“, 1881, №73.
8. გაზ. „შიდა ქართლი“, 1999, №315.
9. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №103.
10. გაზ. „კლდე“, 1918, №13.
11. გაზ. „ერთობა“, 1920, №10.
12. გაზ. „საქართველო“, 1920, №137.
13. გაზ. „ერთობა“, 1920, №121.
14. ი. გოგებაშვილი, შევიწროება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში, თხზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1955.
15. გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბილისი, 1948.

¹ რ. ლაზარაშვილი, მოგვიანებით გადაყვანილ იქნა ცხინვალის ერთადერთი ქართული გაზეთის ხელმძღვანელად.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. #485, ფურც. 35.

³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. #171, ფურც. 7.

⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. #374, ფურც. 98.

⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. #208, ფურც. 120.

16. დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921), თბილისი, 2013.
17. რ. ლიპარტელიანი, ენის ქომაგი, ჟურნ. „დანყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“, 1990, №3.
18. მასწავლებელთა ყრილობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №10.
19. მიწერ-მონერა საზოგადოების ცხინვალის განყოფილებასთან და მოხსენებები განყოფილების მუშაობის შესახებ. 1908 წ. ოქტ. 10-1920 წ. დეკემბრის 28. ფურც. 51; 1072 (1092) 28, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.
20. ალ. მღებრიშვილი, მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში, თბილისი, 2017.
21. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), თბილისი, 2019.
22. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი, 2019.
23. თ. პატარკაციშვილი, მოგონებები ცხინვალზე, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №441-442.
24. ჟურნ. „განათლება“, 1913, №9.
25. ტ. სარიშვილი, ოსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ცხინვალის, 1968.
26. ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, თბილისი-სტალინირი, 1958.
27. საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, (კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის საგანგებო მოხსენება #6, აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატა, ოთხმოცდამესამე კონგრესი, მეორე სესია, წარმომადგენელთა პალატის 346-ე და 438- რეზოლუციებით), აშშ მთავრობის გამომცემლობა, ვაშინგტონი, 1955.
28. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1935, ანან. №1, საქ. 59.
29. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №481, ანან. №1, საქ. №1851.
30. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1881, ანან. №1, საქ. №14.
31. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1935, ანან. №1, საქ. №103.
32. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. №485, ფურც. 35.
33. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. №171, ფურც. 7.
34. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. №374, ფურც. 98.
35. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფ. 14, საქ. №208, ფურც. 120.
36. ა. სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი, 2009.
37. ქ.შ.კ.გ. საზოგადოების გამგეობის 1898 წლის 13 იანვრის სხდომის ოქმი.
38. ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ნარკვევი საარქივო მასალების მიხედვით) 1879-1927, თბილისი, 1960.
39. О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-петербург, 1835.
40. П. Надеждин, Опыт географии Кавказского края, Тула, 1891.

Aleksandre Mghbrishvili
Professor, Gori State Teaching University
Georgia, Gori

TSKHINVALI – ON THE PRESS PAGES OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (Educational Aspect)

In 1918 – 1920 the question of necessity of the education reform was in the center of attention of the government of the Democratic Republic of Georgia. The speech of the Republic's Deputy Minister of Education, Aleksandre Mdivani from September 12, 1918 touches upon the deficiency of primary schools in Georgia and the necessity to increase their number permanently. According to Aleksandre Mdivani, the number of public schools in the Western Georgia is up to 900, whereas in the Eastern Georgia their number hardly reaches 240. That's why the primary aim was to open primary schools on the territory, where their shortage was obvious. Together with other districts several outskirts of Gori District and Tskhinvali Gorge were named.

Educational atmosphere in Tskhinvali was often on the agenda of the Government of the First Republic.

The session of November 30, 1918 is noteworthy, where the Minister of Education speaks about the opening of the Grammar School in Tskhinvali with the help of public funds.

The educational activities held by the Government of Democratic Republic were positively evaluated by the House of Representatives of the United States of America. The 2nd session of 83rd United States Congress, the sixth urgent report of the special committee studying the Communism aggression said that the government paid special attention to the question of education. Many new schools were opened, and much more were going to be opened. The subjects were taught in Georgian at Universities, schools and other Institutions. After the revolution, the Georgian State University was founded in Tbilisi, which began its work in 1918. More than three thousand students studied their first year at the University. Later, other Higher Institutions were opened.

Despite the fact that the country underwent great financial difficulties, the considerable part of the budget was directed to the healthcare problem. It is an interesting fact to know that the sum of money allocated in the budget of the Republic of Georgia to the education and healthcare were almost always solid, to the extent possible.

In 1918 – 1921, the society for the spreading of literacy among Georgians was extremely active together with the Ministry of Education of the Republic of Georgia. Particularly, beside the department of public teachers of the Eastern Georgia the department of the society for the spreading of literacy among Georgians was actively functioning in Tskhinvali.

Thus, in 1918 – 1921 the Tskhinvali Department of Eastern Georgia public teachers, the society for the spreading of literacy among Georgians, Grammar School, Primary Schools and other Higher Educational Institutions were actively functioning in Tskhinvali.

According to the existing document, by the 20s the number of schools reached 97 instead of 28 schools existing in Tskhinvali Region. Among them Ossetian schools were 76, Georgian – 19, Armenian – 1 and Jewish – 1.

თინათინ მშვიდლობაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
საქართველო, გორი

საინფორმაციო ინტერნეტ რესურსები ქართულ-ოსური სამშვიდობო ურთიერთობებისათვის

ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობები მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. როგორც შამილ ჩიგოვეი აღნიშნავს - „საქართველო ხომ ჩემი სამშობლოა. ჩემი უახლოესი ნათესავი ქართველებიც და ოსებიც საქართველოში ცხოვრობენ“.

ნაშრომში განხილულია მშვიდობაზე ორიენტირებულ მედია რესურსები ქართულ-ოსური სამშვიდობო ურთიერთობების აღსადგენად.

ნორვეგიელმა სოციოლოგმა, იოჰან გალტუნგმა ჟურნალისტიკას მიანიჭა მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტის დარეგულირებაში (1953). მისი თეორიების მიხედვით, მედია საშუალებები ან ამძიმებენ სიტუაციას ან აწარმოებენ სამშვიდობო ჟურნალისტიკას. სამშვიდობო ჟურნალისტიკა მოიცავს მშვიდობაზე ორიენტირებულ მედიას.

მოცემულია ჩრდილოეთ კვიპროსში სამშვიდობო ჟურნალისტიკის სემინარებზე მყოფი ქართველი და ოსი ჟურნალისტების მოსაზრებები.

კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) ოფისში, კიდეც ერთხელ შეიკრიბნენ ის ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც აფხაზ და ოს კოლეგებთან ერთად, ჩრდილოეთ კვიპროსში სამშვიდობო ჟურნალისტიკის სემინარებზე იმყოფებოდნენ. მათ შეაფასეს ქალაქ ფამაგუსტაში ჩატარებული ტრენინგ – სემინარი და ახალი იდეები გაუზიარეს ერთმანეთს [1].

თანამედროვე კომუნიკაციის პირობებში შესაძლებელი გახდა ცხინვალისა და სოხუმიდან ჩართვები განხორციელებულიყო. მალე სკაიპკონფერენციის რეჟიმში აფხაზი კოლეგის იზიდა ქანიას გამოსახლება გამოჩნდა.

მისი თქმით, სამხრეთკავკასიელი ჟურნალისტების შეხვედრა ფამაგუსტაში, კარგი გამოცდილება იყო ინფორმაციული ვაკუუმის გასარღვევად, მაგრამ ეს არასაკმარისია. იზიდას აზრით, აუცილებელია შეიქმნას ერთობლივი, ახალი ამბების ინტერნეტგამოცემა, რომელიც მომავალში, შესაძლოა, სხვა მედია საშუალებებისთვის ინფორმაციის წყაროდ გამოდგეს. საერთო კავკასიურ ინტერნეტრესურსზე კი შესაძლებელი იქნება, როგორც აუდიო ისე ვიდეომასალების განთავსება. მისი თქმით, უნდა მოხდეს ექსპერტების მოზიდვაც, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში არსებულ პრობლემებს გაანალიზებენ [2].

ამის შემდეგ, ვლადიკავკაზიდან ოსი ბლოგერი და ჟურნალისტი მარია პლიევა ჩაგვერთო. „სამშვიდობო ჟურნალისტიკის ტრენინგის ფარგლებში, პირველი შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. მე ამ

სფეროში დიდი ხანია ვმუშაობ და გარკვეული გამოცდილება დავაგროვე. ჩვენ უკვე ქართველ კოლეგებთან ერთად ვაქვეყნებთ სტატიებს და მაქსიმალურად გამოვრიცხავთ სიძულვილის ენას, შუღლის გამაღვივებელ ტერმინებს. გაშუქებისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ არსებობს სხვა მხარე და სხვა მოსაზრება და ყურადღება მათაც უნდა დავეთმოთ“, – განაცხადა მარია პლიევამ [3].

„სტუდია რე“-ს ხელმძღვანელის მამუკა ყუფარაძის თქმით, ოსი კოლეგები ძალიან მოტივირებულნი არიან, რომ მეტი იდეის რეალიზება მოხდეს. „ჩვენ ვიღებთ ერთმანეთის რეპორტაჟებს და სტატიებს და განვიხილავთ. არის გამომხაურებები და შენიშვნები, მაგრამ ეს კეთილგანწყობილად კეთდება. ჩვენ იმისთვის ვმუშაობთ, რომ სიძულვილის ენა დავეძლიოთ და ხელი კონფლიქტების მოგვარებას შევეწყობოთ“, განაცხადა მამუკა ყუფარაძემ. „სტუდია რე“-მ კვიპროსის შეხვედრას ვრცელი დისკუსია მიუძღვნა. ეს გადაცემა youtube-ზე აიტვირთა და აფხაზმა და ოსმა კოლეგებმაც ნახეს, რასაც გამომხაურებები მოჰყვა. კვიპროსში მოენყო მამუკა ყუფარაძის ფილმის „ავგისტოს განაჩენის“ ჩვენებაც.

ამჟამად, სოციალურ ქსელ ფეისბუქში კავკასიელი ჟურნალისტებისთვის სპეციალური ჯგუფია შექმნილი, რომელსაც სამშვიდობო ჟურნალისტიკის კავკასიური წრე ჰქვია.

თანამედროვე საინფორმაციო ინდივიდუალური ბლოგები ინტენსიურად აშუქებენ ცხინვალის რეგიონის ცხოვრებას საკუთარ ბლოგებზე, მარია პლიონ (პლიევა), ზარინა სანაკოევა, თემურ ცხოვრებოვი და სხვა.

საკმაოდ ოპერატიულია ვებგვერდი „ოსეტინსკოე რადიო და ტელევიდენიე“ (საინფორმაციო-ანალიტიკური გამოცემა). ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებს ყველაზე ოპერატიულად და დეტალურად აშუქებს „იუჟნაია ოსეტია“, ბეჭდური გაზეთის ელექტრონული ვერსიები გვაძლევენ საშუალებას თანმიმდევრულად განვიხილოთ რეგიონისთვის ნიშანდობლივი პრობლემები [4].

„რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ინტერნეტზე ამყარებს იმედებს ოსი პოლიტოლოგი კოსტა ძუგაევიც: „ინტერნეტზე ახლა მოთხოვნილებაა და მას უპირატესობა აქვს. ჩვენი პოლიტიკური პროცესის აქტივისტებიც ხშირად ფიგურირებენ ინტერნეტსივრცეში“.

და ბოლოს, ყოველივე ზემოთქულიდან გამომდინარე, სამშვიდობო ურთიერთობების აღდგენა მართლაც შესაძლებელია.

ლიტერატურა:

1. ჯოჯუა, დაზმირი (2003). საქართველო – რუსეთი; კონფლიქტის ისტორია; არასამთავრობო ორგანიზაცია; „საქართველოს დემუტატთა კლუბი-28 ოქტომბერი“.
2. Suresh, Kalyani (2003). Journalism and Mass Communication. Chapter 2: Theoris of Communication.
3. Resources on Media (2008), Conflict and Societ.
4. <http://www.media.ge/ge/portal/articles/42878/>.

Tinatin Mshvidobadze

Associate professor - Gori State University
Georgia, Gori

INFORMATION INTERNET RESOURCES FOR GEORGIAN-OSSETIAN PEACE RELATIONS

Georgian and Ossetian relationships has a long history. As Shamil Chigoev mentioned „Georgia- this is my homeland. My closest relatives Ossetians and Georgians live here...”

In this paper there are given media resources, that are oriented to build peace while recovering Georgian and Ossetian relationships.

The paper also gives opinions of Georgian and Ossetian Journalists who were attending seminars about Peace Journalism in north Cyprus.

According to Studio Re's head Mamuka Kuparadze, Ossetian colleagues are very motivated to come up with more ideas.

The modern informational bloggers, like Maria Plion(Plieva), Zarina Sanakoeva, Temur Tskovrebovi ect. intensively report the life of Tskhinvali in their blogs.

Also, a webpage „Ossetinskoe Radio I Televidzenie” is quite operative (It is informational-analytical issue). But most operatively processes in Tskhinvali are reported by „Iuzhnaia Ossetia”. An electric version of newspaper gives us an opportunity to discuss about regional important problems.

While interviewing with „Radio Tavisupleba” Ossetian political scientists Kosta Dzugaev hopes about the role of internet: „Now there is a high demand of internet and it has advantages. Our political activists also actively use internet.”
Finally, in the light of all the above, we believe that to recover relationships is really possible...

ნიკოლოზ ოთინაშვილი

პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, გორი

დაშინყარი სახელაბი

XIX-XX საუკუნეებში კავკასიელ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, ვინც ნიჭით, შრომით უანგაროდ ემსახურებოდა თავისი ხალხის ყოფას, სულიერი მემკვიდრეობის გამოვლენას, შესწავლას, ეროვნულ საქმეს, სხვებთან ერთად ცნობილი არიან მიხეილ ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი.

ორივე კავკასიელმა მძიმე განსაცდელი გადაიტანა, მსხვერპლიც გაიღო, მაგრამ არასოდეს დაუკარგავთ ღირსების მაღალი შეგნება. მათი მეგობრობის წარმოჩენა, შემოქმედება მნიშვნელოვანი ასპექტია და თავისი ადგილი უნდა მიუჩინოთ.

მათი შეხვედრები, ნაცნობობა დაიწყო ვლადიკავკაზში, ისინი ახლოს ცხოვრობდნენ ერთმანეთთან, ნათელი ფურცლები ჩანერეს სულიერი კულტურის საგანძურში.

მიხეილ ყიფიანი იყო „საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძის თანამშრომელი, 1871 წელს სამსახურის საქმეებზე თერგის ოლქში გადაიყვანეს და ცხოვრობდა ვლადიკავკაზში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1888 წლის 30 მაისს სხდომაზე მოისმინა მისი წერილობითი განცხადება, რომ კავკასიის საზოგადოებას სურს ქართული სკოლის გახსნა. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა და არჩეული იქნა სკოლის მზრუნველი კომიტეტი მიხეილ ყიფიანის ხელმძღვანელობით. სკოლა გაიხსნა 1888 წლის 10 ოქტომბერს, სადაც 44 მონაფე სწავლობდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოების 1890 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა მიხეილ ყიფიანის მოხსენება, რომ საზოგადოებამ გახსნას სკოლა ყაზბეგში, რომლის გამართვასაც თვითონ კისრულობდა. მაგრამ მიხეილ ყიფიანი მოულოდნელად გარდაიცვალა 1891 წლის 2 მარტს და მისი განზრახვა არ შესრულდა. სკოლა გაიხსნა შემდგომ.

მიხეილ ყიფიანი დაიბადა დასავლეთ საქართველოში, სწავლობდა გორის სამაზრო სასწავლებელში, ზემდგომი ორგანოების გადანყვეტილებით სამუშაოდ გაგზავნეს თერგის ოლქის მხარის გამიჯვნის საქმის უფროსად. მონაწილეობდა ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში, მის საქმიანობაში.

იყო ქართული დრამატული საზოგადოების დამფუძნებელი, პირველი გამგეობის წევრი. დაწერა არითმეტიკისა და გეომეტრიის პირველი სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. 1886 წლიდან „ივერიაში“ თანამშრომლობდა. პირველმა თარგმნა ქართულად ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“ ასევე სხვა შემოქმედთა ნაწარმოებები.

ამ ადამიანთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა კოსტა ხეთაგუროვს და როგორც მკვლევარი რუბენ ჩეთითი აღნიშნავს „კოსტა ხეთაგათი იყო უაღრესად ინტერნაციონალური სულისკვეთების ადამიანი (კრიტიკა, №2, 1982 წ.) და რა გასაკვირია, რომ მათ თავიანთი ბუნებრივი ხასიათის შესახებ ასე თბილი ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან.

მიუხედავად სამსახურებრივი საქამების დიდი დატვირთვისა, მიხეილ ყიფიანი საზოგადოებრივი საქმეების დიდი შემსრულებელი იყო. მისი ინიციატივით 1890 წელს საფუძველი ჩაეყარა დედაენაზე ოსური საანბანო წიგნების გამოცემას. ამავე წელს გამოიცა ალ. კანიკოვის წიგნი პირველდაწყებითი სწავლებისათვის „ოსური ანბანი“. ასევე მისი (ყიფიანის) მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა გამომცემლობის შექმნის საქმეს.

ექიმი კლიმენტე თორდია წერს: „კავკავში კოსტა ხეთაგუროვი ცხოვრობდა მეზობელ ოთახში ჩემს გვერდით, ჩვენ მალე დავმეგობრდით. მიხეილ ყიფიანი იყო სამიჯნო ოკრუგის უფროსი, ჩვენ მასთან მივდიოდით ერთ ქიქა ჩაიზე. მიხეილმა აღწერა ოსი ხალხის მძიმე ცხოვრება თავის წიგნში „ყაზბეგიდან იალბუზამდე“. იგი წერს: „მთიელნი ფრიად მწირად ცხოვრობენ, მინის ეკონომიის მიზნით მათი შენობები აგებულია ხვნა-თესვისათვის უვარგის ადგილებზე. ეს ადამიანები ებრძვიან ბუნებას წერაქვით, რკინის ნიჩბით, თხრიდნენ ქვაკაჟიან ფენებს, რათა შეექმნათ ხვნა-თესვისათვის გამოსადეგი ნიადაგი“...

კოსტა ხეთაგუროვი იყო ძმობის დიდი ქომაგი, მან დიდად იგლოვა მიხეილ ყიფიანის გარდაცვალება და მის კუბოსთან წარმოსთქვა ლექსი, რომელიც ოსების საყვარელ სიმღერად იქცა.

1891 წლის 10 მარტს „ივერია“ წერს: „მიხეილ ყიფიანის დაკრძალვაზე დიდი გრძნობით წარმოსთქვა ლექსი ჯერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად კოსტა ხეთაგუროვმა. ყოველივე ამას ოსებზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია, სმენად გადაიქცნენ, ცდილობდნენ გაეგონათ ვრცელი სიტყვა ლექსისა, რომელმაც ისე ძლიერ იმოქმედა, რომ მათ შორის თვით გულმაგრებმაც კი ვერ შეიკავეს ცრემლი“. აი ამ ლექსის ნაწყვეტი:

გზა მშვიდობისა ველარ დაგირღვევს,
სიმშვიდეს ჩვენზე ფიქრი, ნამება,
იქ დაიმკვიდრე სასუფეველი,
აქ კი სახელი და უკვდავება...
მთელი სიცოცხლე ხალხზე ზრუნავდი,
ბნელს უნათებდი, როგორც ლამპარი,
მხარში ედექი მოსიყვარულე,
მარად ერთგული, მარად მართალი...

კოსტამ თავისი უანგარო მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა მშობელი გარემოს გათვითცნობიერების საქმეში. იგი წერს:

ქვეყანა ტაძარად, სიყვარული კი სალოცავად,
მაქვს და მსოფლიო - სამშობლოა ჩემი...

კოსტა წერდა ოსურ და რუსულ ენებზე, მისი ლექსები ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში. იგი ახლოს იცნობდა ალექსანდრე ყაზბეგს, დიმიტრი არაყიშვილს, იოსებ იმედაშვილსა და სხვებს. იგი სწავლობდა ქართულ ენას, ოსურ ლირაზე მიწერილია ქართულად „ცოტა სინათლე მოუშვი“.

კოსტა ხეთაგუროვის დიდბუნებოვნებაზე მეტყველებს მთელი რიგი ფაქტები, მათ შორის აღსანიშნავია 1893 წლის 27 აპრილის გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ №94, პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მისი წერილი სათაურით „ორი ჯილდო“.

ბატონო რედაქტორო!

ვინც კი ცოტაოდენად დაინტერესებულია კავკასიის მოღვაწეობით, ნაუკითხავს და გაუგონია იმ მწარე ხვედრის შესახებ, რომელიც წილად ხვდა ქართველ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს, ვინც კი იცის ამ სახალხო მომღერლის ცხოვრება, არ შეიძლება ეჭვი არ შეეპაროს ყველაფერ იმაში, რაც მის შესახებ იწერება. ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ მივმართო სანდროს უახლოეს ნათესავებს ბეჭდვითი სიტყვით უარყონ ან დაადასტურონ ის ცნობები, რაც მოთავსებული იყო „ტიფლისკი ლისტოკის“ №94-ში. მან ძალიან შვება მისცა თავის ხალხს, იმყოფება საგიჟეთში, საერთო პალატაში, როგორც უღარიბესი კაცი. მას ასეთი ჯილდო უნდა ხვდეს წილად?

კითხულობს კოსტა და პასუხს საზოგადოებაში ეძებს.

ასეთი მიდგომების ადამიანები, როგორებიც იყვნენ მიხეილ ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი მანათობელი ვარსკვლავები არიან და დღეს რაოდენ საჭიროა ეთნიკური კონფლიქტების დროს მათნაირი იდეოლოგია და პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელიც სამწუხაროდ არა ჩანს.

ლიტერატურა:

1. გორის მოამბე №61, 2003, 11 დეკემბერი.
2. კრიტიკა №2, 1982.

Nikoloz Otinashvili
Professor
Gori State Teaching University
Georgia, Gori

UNFORGETTABLE NAMES

Mikheil Kipiani and Kosta Khetagurovi are people who have dedicated themselves to the study of the condition of the people and the study of spiritual heritage.

They both suffered a great deal by thinking about the fate of the people, but they never lose the high consciousness of dignity. We have to learn the life and creative of both Caucasians and give them their place. Their thoughts in life have not been thoroughly discussed. Now it is possible and nilallow the new generation to understand the work of these two people.

დორეთკარის ეკლესიის წარწერები

1983-1986 წწ-ში ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად ვმონაწილეობდი ცხინვალის რეგიონის (იმ დროს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ – ცხინვალის, ზნაურის, ჯავის და ახალგორის რ-ები; ამჟამინდელი თვითგამოცხადებული ე.წ. „სამხრეთის ოსეთის რესპუბლიკა“) ხუროთმოძღვრების ძეგლების აღრიცხვა-ფიქსაციის და პასპორტიზაციის საველე ექსპედიციებში (ხელმძღვ. არქიტექტორი ლ. გიორგაძე).

ექსპედიციის წევრთა მიერ პრაქტიკულად სრულიად იქნა დაფიქსირებული რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები, გაკეთდა მათი არქიტექტურული ანაზომები, ხელოვნებათმცოდნეობითი და ისტორიული ანალიზი.¹

ექსპედიციის შედეგად მოპოვებულმა მასალამ განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა გასული საუკუნის 80-იანი წწ-ის დასასრულს განვითარებული მოვლენების შემდეგ. ამ დროიდან მოყოლებული ქართველ მეცნიერებს იქ ჩამოსვლის და ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ადგილზე მონახულების და შესწავლის საშუალება აღარ გვაქვს.

ექსპედიციის დასკვნით ეტაპზე, 1986 წ., ახალგორის რაიონში მიმდინარე საველე სამუშაოების დროს, შესწავლილ იქნა სოფ. დორეთკარის მიდამოებში (სოფლიდან აღმოსავლეთით, მდ. ჭურთას ხეობაში) აღმართული ერთნაგვიანი, დარბაზული ტიპის, წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია.

მდ. ქსნის მარჯვენა შენაკადის, მდ. ჭურთისწყლის ხეობაში მდებარე სოფელი დორეთკარი საისტორიო წერილობით წყაროებში, კერძოდ, ქართულ ისტორიულ საბუთებში, მხოლოდ XVIII-ს-დან იხსენიება, დორეთ-კარის სახელწოდებით და როგორც ჭურთის/ჭურთისხევის შემადგენელი ნაწილი.²

სოფლისა და ეკლესიის მახლობლად, მაღალ მთაზე, აღმართულია „წინკიბე“-ს ციხე. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ამ ორ წყალთა შუა (იგულისხმება ჭურთის-წყალი და ცხრანწყაროს წყალი – გ. ო.) არის ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი. ამ ორთა ჴევთა უწოდებენ ჭურთას“.³

დასახლებული ციხე სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო, რომლის მფლობელიც, როგორც მართებულადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ჭურთის ხევის სტრატეგიული მფლობელიც იყო.⁴ მაგ., „წინკიბეს ციხეში იყო გამაგრებული ვახტანგ VI ს-ის წინააღმდეგ აჯანყებული შალვა ქსნის ერისთავი“.⁵

როგორც ცნობილია, ეს ტერიტორია ქსნის ერისთავთა იურისდიქციის ქვეშ იყო, ხოლო XV ს-დან მათ მამულად, სათავადოდ იქცა. ქსნის ერისთავები აქტიური პოლიტიკური და აღმშენებლობითი მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ. საისტორიო წყაროებში ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტია დაფიქსირებული.

ეკლესიურად ეს მხარე სამთავნელი ეპისკოპოსის სამწყსოს წარმოადგენდა. „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შეწირულების წიგნში“ (XV ს-ის I ნახ.) დასახლებულია ჭურთა და ჭურთისხევი, რომლის ნაწილადაც, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, მოიაზრებოდა დორეთკარი/დორეთ-კარი.⁶

„წინკიბის“ კომპლექსში ციხესთან ერთად ორი ეკლესია და ორი ზურგიანი კოშკია (IX-X სს.) გაერთიანებული.

¹ ექსპედიციების შედეგად მოპოვებულმა და დამუშავებულმა მასალამ საბოლოოდ თავი მოიყარა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქიტექტურულ ძეგლთა საფონდო მასალების განყოფილებაში. განყოფილების თანამშრომელმა, ქ-ნმა ც. დადიანიძემ განახორციელა დეპარტამენტში დაცული მასალის სისტემატიზაცია და შემდეგ მათი პუბლიკაცია იხ. „შიდა ქართლი, ტ. I-IV, ცხინვალის რეგიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ექსპედიციების მასალები, რედაქტორ-გამომცემელი ც. დადიანიძე, 2002-2008 წწ.

² საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, რედ. დ. მუსხელიშვილი, ტ. I, გვ. 274, 402; ტ. II, გვ. 288, 290, 2010 წ.

³ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1973, გვ. 360.

⁴ შიდა ქართლი, IV, ახალგორის რაიონი, 2008, გვ. 51.

⁵ ჯ. გვასალია, წინკიბე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, გვ. 330.

⁶ ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, №32, გვ. 198-206, 1150-1152.

წარმოდგენილ მოხსენებაში კომპლექსის ერთ-ერთი ტაძრის, ამჟამინდელი სოფ. დორეთკარის მიდამოებში მდებარე წმ. ბარბარეს სახ. ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე გვექნება საუბარი.

ტაძრის მხატვრობა და წარწერები უცნობი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეკლესიის ინტერიერი მთლიანად მოხატული იყო. სამწუხაროდ, მხატვრობამ ძლიერი დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე. სახურავიდან ჩასულმა წყალმა ფრესკებისა და მათი თანმხლები ფრესკული წარწერების დიდი ნაწილი გაანადგურა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ეკლესია XV-XVI სს-ში უნდა იყოს აღდგენილი და მოხატული სცენებით წმ. ბარბარეს ცხოვრებიდან.

როგორც წმ. ბარბარე მთავარმონაწილის ცხოვრებიდანაა ცნობილი რომის იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311 წწ.) თანამედროვე, ფინიკიის ქ. ილიოპოლისის მდიდარი და ცნობილი მოქალაქის, წარმართ დიოსკორეს გაქრისტიანებულმა ქალიშვილმა ბარბარამ, მამის მიერ დაწყებული აბანოს მშენებლობაში ქრისტიანული სიმბოლიკა შეიტანა – სამების გამოსახატავად ორ ფანჯარას მესამე დაუმატა, ხოლო შესასვლელის თავზე ჯვარი გამოასახვინა. განრისხებულმა დიოსკორემ ქრისტიანი ქალიშვილი ჯერ ქალაქის მმართველ მარტინესთან დაასმინა, ხოლო შემდეგ, როდესაც სასტიკი წამების მიუხედავად რწმენა ვერ შეაცვლევინეს, საკუთარი ხელით მოკვება თავი.¹

ეკლესიის საკურთხეველში, სარკმლის თავზე წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმით – ნიკოპეა, ხოლო მის მარჯვნივ და მარცხნივ მახარებელთა გამოსახულებები, ეტრატით ხელში. მარჯვენა მხარეს მდგომი წმინდანის ვინაობას გვამცნობს განმარტებითი წარწერა (ყველა წარწერა ასომთავრული დამწერლობითაა შესრულებული):

ქა : 𐌒𐌆𐌗 𐌌 𐌖(მიდა)ჲ ი(ოვა)ნე

იოვანეს ეტრატზე მოთავსებული წარწერა შესაძლებელია იყოს ფრაგმენტი ფსალმუნიდან ან რომელიმე ლოცვის დასაწყისი:

1. 𐌒𐌒. 𐌒𐌒 ლ(მერთ)ო, ლ(მერთ)ო²ჩ(ო)ვენო
2. 𐌕𐌒⁴𐌆⁴𐌆⁴ /³რ(ომელმა)ნ ზ⁴ეცის...
3. 𐌒⁴ 𐌆. 𐌖
4. 𐌆⁴𐌖...

მეორე მახარებლის განმარტებითი წარწერა გადარეცხილია, ხოლო ეტრატზე მოთავსებული წარწერის აქაც მხოლოდ ოთხი სტრიქონი იკითხება (ალბათ ესეც ტექსტია ფსალმუნიდან ან რომელიმე ლოცვის დასაწყისი):

1. 𐌒⁴𐌆⁴ ო(ვ)ფ(ა)ლ²ო ლ(მერ)თ³ო, მხ⁴ოლო...
2. 𐌒. 𐌒⁴𐌆
3. 𐌒. 𐌒⁴𐌆
4. 𐌒⁴𐌆...

წმ. იოვანეს და წმ. ბარბარეს პორტრეტები განმარტებითი წარწერებით სამხრ. კედელზეცაა მოთავსებული:

𐌒⁴𐌆 𐌒⁴𐌆⁴ - [წ(მიდა)ჲ ი(ო)ვ(ა)ნე

𐌒⁴𐌆 𐌒⁴𐌆⁴𐌆⁴ - წ(მიდა)ჲ ბარბარა

სამხრეთ კედელზე კიდევ ერთი გამოსახულებაა წმ. ბარბარესი, შარავანდით, განმარტებითი წარწერით:

𐌒⁴𐌆 𐌒⁴𐌆⁴𐌆⁴ - წ(მიდა)ჲ ბარბ(ა)რა

ტაძრის დას. კედელზე აბანოსა და წმ. ბარბარეს სიკვდილით დასჯის სცენებია მოცემული. ერთ შემთხვევაში აბანოსთან, ერთმანეთის პირისპირ არიან წარმოდგენილი თეთრთმიანი და თეთრწვერა მოხუცი და წმ. ბარბარე, შარავანდით თავზე. შემორჩენილია განმარტებითი წარწერები:

𐌒⁴𐌆⁴𐌆⁴ - აბანო და 𐌒⁴𐌆 𐌒⁴𐌆⁴𐌆⁴ - წ(მიდა)ჲ ბარბარა

ამ სიუჟეტის გვერდით, მარცხნივ, გამოსახულია დაჩოქილი წმ. ბარბარე, მავედრებლის პოზაში, თავდახრილი და შარავანდით, რომელსაც ხმლით ზეანეულ ხელში თავზე ადგას მამამისი დიოსკორე. თანმხლებ განმარტებითი წარწერებში მათი სახელებია დაფიქსირებული:

𐌒⁴𐌆⁴𐌆⁴𐌆⁴ 𐌌 დი(ო)სკორე

𐌒⁴𐌆 𐌒⁴𐌆⁴[𐌆⁴𐌆⁴𐌆⁴] - წ(მიდა)ჲ ბა[რბარა]

¹ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვ.), მ. მამაცაშვილი, ა. ლამბაშიძე, 2007, გვ. 128-129.

ეკლესიის დას. კედელზე, სარკმლის თავზე, ორი საერო პირის (ქალი და მამაკაცი), გვირგვინოსანი დიდებულების პორტრეტებია მოცემული. სავარაუდოდ, ისინი ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ამ სიუჟეტის გვერდით მოთავსებული წარწერიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი სიტყვაა იკითხება:

სიქსტუსი - ალ(ვა)დგანე

როგორც ჩანს, წარწერა გვამცნობდა ადგილობრივი დიდებულების (ქსნის ერისთავისა და მისი მეუღლის ან დედის) მიერ ჩატარებული საამშენებლო-სარესტავრაციო (განახლების) სამუშაოს შესახებ.

ჩრდ. კედელზე (ისევე, როგორც დას. კედელზე) მხატვრობა თანმხლები წარწერებით მთლიანად გადარეცხილია და მხოლოდ ერთი წარწერაა ფრაგმენტულად შემორჩენილი:

1. ---- 76[:0]6 - - ს C 7 ----
2. ----- 878 768 : 8768 ----
3. --- 86 : 0687[6]

[შ(ეუნ)დვენ [:ლ](მერთმა)ნ [ს(უ)ლ]სა გ(იორგ[ი] [ერ(ი)ს]/²[თ(ა)ვ(ი)ს(ა)სა]* , დედასა მი(ს)სა³ - - - შ(ეუნ)დვენ ლ(მერთ)მა[6]

ეკლესიის საკურთხეველში ჩრდ. ნიშის გაყოლებაზე, შელესილობაზე ორი წარწერა – გრაფიტია ამოკანრული:

1) სხსტბტქუსნიჩ

ს(უ)ლ(ა)სა და ტ(იმოთ)ეს შ(ეუნ)დვენ ლ(მერთ)მა

წარწერა ნუსხრუნარევი ასომთავრულითაა შესრულებული.

2) ღ768 768 868768

ბერსა აბრ(ა)მს შ(ეუნ)დვენ ლ(მერთ)მა, ა(მი)ნ.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერები და მასთან ერთად ეკლესიის აღდგენა-მოხატვა შეიძლება XV-XVI სს-ით დავათარილოთ:

ს ა - მოკლე, კლაკნილი ზედა განივი ხაზი, მარცხნივ ზევით ანეული, მარჯვნივ - ქვევით დახრილი. ერთ შემთხვევაში ზედა განივი ხაზი ტანს მოცილებულია.

ღ ბ - მორკალული კაუჭით დაბოლოებული ქვედა განივი ხაზი.

ო დ - მოკლე, სწორი ზედა განივი ხაზი, ასევე მოკლე ყელით დაკავშირებული დიდი ზომის ტანთან (წრესთან). აშკარა ასიმეტრიაა.

ზ ლ - განუსხურებული

ჟ მ - ზევით ანეული ზედა განივი ხაზი.

ჩ ნ - მორკალული ზედა განივი ხაზი.

ს ს - ქუდიანი ბუნით

მშ - მარცხნივ დაქანებული ქვედა განივი ხაზი.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მასალის საფუძველზე, ისტორიული რეალებისა და წარწერათა პალეოგრაფიის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფ. დორეთკარის წმ. ბარბარეს სახ. ეკლესია აღდგენილი და მოხატული იქნა XV (ან XVI) საუკუნეში, მხარის მფლობელ დიდებულ თავადთა, ქსნის ერისთავთა ძალისხმევით.

Giorgi Otkhmezuri

*Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University
George, Tbilisi*

DORETKARI CHURCH

In 1986 the expedition of the department of Passportization at the Main Division of Monument Protection led by L. Giorgadze went to explore the cultural heritage sites at Akhagori, including the monolithic hall type church of Doretkari. Its paintings and inscriptions were not known before to Georgian historiography.

1) The church was completely painted. Unfortunately, the frescoes, with accompanying Asomtavruli inscriptions, were heavily damaged. The contents of the remains and the paleographic markings of the inscriptions

* დასაწყისიდან აქამდე ტექსტის აღდგენა პირობითია.

indicate that the pillar was erected (restored) by the order of the local feudal lord in the name of St. Barbara, probably in the sixteenth century.

2) The South wall of the church is painted with episodes depicting St. Barbara's life. The frescoes are accompanied by explanatory writings: "St. Barbara", "Bath", "Dioscore".

3) On the west wall, on the top of the window, are images of two laymen (female and male), of nobility. The accompanying inscription appears to refer to the rebuilding of the church. The word "rebuild" can be read.

4) At the top of the window cut into the altar is the Virgin Mary with the child, and to the right and left of the window are John and one of the evangelists (whose name cannot be read) holding papers in his hands. The inscriptions on the papers contain prayer texts. The names of St. Barbara, John the Evangelist and the remains of other murals are also preserved in on the north and west walls of the church.

5) There are two graffiti engraved on the northern niche of the alter: the inscriptions mentioning Sula, Timothy and Monk Abram.

ზურაბ ოქროპირიძე

*ფილოლოგიის დოქტორი
გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, გორი*

დისკველი მღვდელმთავრები (ოქროპირიძეები)

– ოსთა შორის განათლებისა და ქრისტიან რჯულის მქადაგებელი

საქართველოს ეკლესია ჩრდილოკავკასიელ ხალხებში, მათ შორის ოსებში, საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას. მეზობელი და მონათესავე ეთნოსების ქრისტეს რჯულზე მოქცევა, მათში განათლების შეტანა ქართველთა მხრიდან უმთავრესად ჰუმანური მოსაზრებით იყო გამოწვეული. იმავდროულად, ქართული სახელმწიფოს მესვეურნი ფიქრობდნენ, რომ სარწმუნოებრივი ერთობა კავკასიელ მთიელთაგან მომდინარე შესაძლო საფრთხეებს აარიდებდა ქვეყანას.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან კავკასია საბოლოოდ მოექცა რუსეთის ინტერესების სფეროში. მან პირველ რიგში საქართველოს „მიხედა“ – ნაჰგვარა სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობა და თავის გუბერნიად აქცია. ეკლესიის სათავეში მოქცეული ეგზარქოსის ინსტიტუტის მიერ წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დაკანონებამ, ეპარქიების შემცირებამ და ეკლესია-მონასტრების გაუქმებამ ერში სარწმუნოების დაქვეითება გამოიწვია. იმპერიის ხელისუფლებას სულაც არ ანაღვლებდა კავკასიელების სულელებზე ზრუნვა. მათი გაქრისტიანება იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც იგი (ერთმორწმუნეობის ფაქტორი) შიშველ ძალადობასთან ერთად მათ დამორჩილებაში დაეხმარებოდა. ამიტომ ჯერ კიდევ 1814 წელს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა აღადგინა რუსეთის ხელისუფლებისაგან XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართველ მღვდელმთავართა თხოვნით შექმნილი ე. წ. „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომლის მიზანიც ოსთა (არამხოლოდ) გაქრისტიანება იყო. როგორც თავში ითქვა, ქართველ სამღვდლო პირებს ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდათ, რაც მთავარია, წრფელი სურვილი მოძმე ხალხების ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კიევის სასულიერო აკადემიის ახალკურსდამთავრებული ბერ-მონაზონი ლეონიდი (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, 1861-1921, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1918-1921 წლებში) ასაბუთებდა, რომ მისიონერები აუცილებლად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. „რუსებმა კავკასიელების არც ენა იციან და თავისი დამპყრობლური ქცევებით აფრთხობენ ხალხს, ქართველები კი შინაურები ვართ კავკასიელთათვის“ [13,1202]. მკვლევარი ქეთევან პავლიაშვილიც მიიჩნევს, რომ „რუსეთისთვის დახმარება მხოლოდ ქართველ სამღვდლოებს შეეძლო“ [3,91].

ოსეთში (ასევე სხვა ჩრდილოკავკასიელებში) მართლმადიდებლობის გავრცელებაში განსაკუთრებულია შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი, XI საუკუნის დასაწყისშივე სვეტიცხოველს შეწირული, ან მიწისაგან პირისა აღგვილი და ოკუპირებული სოფლის, დისევის მკვიდრ სასულიერო პირთა – ოქროპირიძეთა ღვაწლი. აღნიშნული გვარის წარმომადგენლები კავკასიელ მთიელებში XVII-XVIII საუკუნეებში და უფრო ადრეც ავრცელებდნენ ქრისტეს რჯულს. ისინი პოზიტიურ როლს ასრულებდნენ ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური და სხვა ეთნოსებთან ურთიერთობების განვითარებაში. ქრისტეს

მოძღვრებასთან ერთად მათში შექმნდათ განათლება, აარსებდნენ სკოლებს, ეხმარებოდნენ და ექონებოდნენ გაჭირვებულ მოსახლეობას.

XIX საუკუნის დასაწყისში დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში, სოფელ ედისსა და მის მიმდებარე ოსურ დასახლებებში აქტიურ სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდა იმ ხანად კარგად ცნობილი დისციპლინის მღვდელი დავით ოქროპირიძე. იგი მართლმადიდებლობის საქადაგებლად მივლენილი პირველი სასულიერო პირი იყო ამ მხარეში. მან თავისი გულისხმიერებით მოახერხა ადგილობრივთა გულების მოგება. მოძღვარი მათ წარმართული ჩვევების მოშლის, ურთიერთმტრობის აღმოფხვრისა და სიკეთის, ქრისტეს მცნებათა დაცვისკენ მოუწოდებდა. საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო 1820 წელს იმპერიის ხელისუფლების ბრძანებულებით ლიახვის ხეობასა და მალრან-დვალეთის ოს მოსახლეობაში მოღვაწე სასულიერო პირები (მათ შორის მამა დავითი) სამკერდე ჯვრებით დაჯილდოვდნენ [3,92].

მღვდელმსახური ოჯახთან ერთად ქირით ცხოვრობდა ერთ-ერთი ოსის ბინაში. ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ აქ, ედისში, მღვდელ დავითის სახლის საჯინბოში 1824 წელს დაიბადა ყრმა ალექსი ოქროპირიძე (ნესი, რომლითაც ქალს ოჯახში არ უნდა ემშობიარა, მღვდლის მეუღლეზეც გავრცელდა) – მომავალში „საქართველოს ეკლესიის ცხოველმყოფელი ვარსკვლავი“ (კ. კეკელიძე), წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსი. იგი ჭაბუკობიდანვე წინაპართა გზაზე შემდგარი, თანამედროვეთაგან „ახალ აღმშენებლად“ და „მოციქულად“ წოდებული წმინდა ილია მართლის წმინდა მოძღვარი, ექვსი ათეული წლის მანძილზე მტკიცე ბურჯად ედგა მართლმადიდებლობას, ტყვედპყრობილ სამშობლოს. განუზომელია მისი სამისიონერო მოღვაწეობის მნიშვნელობა აფხაზთა მოქცევისა და განათლების საქმეში. ბერ-მონაზონი ალექსანდრე ფაქტიურად იყო პირველი პედაგოგი აფხაზეთში, პირველი ოფიციალური სასწავლებლის დამაარსებელი, აფხაზთა შორის სწავლა-განათლების ფუძემდებელი და მათი დიდი ქომაგი (სასულიერო პირები იყვნენ მამა დავითის სხვა შვილებიც: ასკეტური ცხოვრებით გამორჩეული მღვდელ-მონაზონი სილვესტერი, მღვდლები: გიორგი, სოლომონი, ანდრია, ზურაბი – მედავითნე და დიაკვანი).

მისიონერული მოღვაწეობით გაითქვა სახელი წმინდა ალექსანდრეს ძმისშვილმა – ზემოთ ნახსენებმა ლეონიდმა (სოლომონ მღვდლის შვილი). იგი, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობისთვის ზიანის მომტანად და შეუთავსებლად თვლიდა კავკასიაში „დამპყრობლური ქცევის“ მქონე რუსი მღვდლების მისიონერობას. ეს საქმე მისთვის წმიდათანმიდა იყო, რომელსაც შემთხვევითი პირები არ უნდა გაკარებოდნენ. მოძღვარი მიიჩნევდა, რომ ქრისტეს მცნებათა მქადაგებელს ქრისტესმიერად უნდა ჰყვარებოდა ის ხალხი, გასცნობოდა მათ ყოფას, ცხოვრების წესსა და ადათს, ვისთანაც აპირებდა მოღვაწეობას. რუსეთის სასულიერო უწყების მესვეურნი ხედავდნენ რა ახალგაზრდა აკადემიელის დიდ ნიჭსა და შესაძლებლობებს, მას სწორედ ასეთი მუშაკობისთვის მოიაზრებდნენ. მართლაც, აკადემიის დამთავრებისთანავე ღვთისმეტყველების კანდიდატი ლეონიდი „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორად – მთავარ მისიონერად დაინიშნა (1888). აჭარა-ქობულეთის, აფხაზეთის, ქართველი მთიელებისა და საინგილოს მოსახლეობასთან ერთად, მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ოსეთი (ასევე ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ჩრდილო, მთიანი ნაწილი), იქ ქრისტიანობის განმტკიცება წარმოადგენდა. მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი მოციქულებრივი თავდადებით დადიოდა ერთი კუთხიდან მეორეში, სოფლიდან სოფელში. თითქმის არ დარჩენილა დასახლება, სადაც არ შეხვედროდა მოსახლეობას.

არწმუნებდა მას იესოს მოძღვრების ცხოველმყოფელობაში, განათლების მიღების აუცილებლობაში. ამას აკეთებდა სიცხესა და ყინვაში, თოვლსა და წვიმაში. ბიძისადმი მიწერილ წერილში [13,1187] იგი ჰყვება მარტის ერთ სუსხიან საღამოს პატარა ლიახვის სოფელ ვანათიდან როგორ წავიდა მარტოდმარტო ცხენით ვლადიკავკაზში, რათა მეორე დღეს მოესწრო იქაური სამრევლოების შემოვლა. ცნობილი სასულიერო მოღვაწის, დეკანოზ იროდიონ ოქროპირიძის თქმით, ლეონიდი კვირაობით, თვეობით რჩებოდა სხვადასხვა სოფლებში [5,89]. ცხოვრობდა ერთ ნესტიან, ცივ და გაკვამლულ ოთახში. იგი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ოსებში, რასაც მოწმობს დეკანოზის მოგონებები (ამ ნაწილს ქვემოთ შევხვებით). მისი თაოსნობით ჯამაგირები გაეზარდათ მისიონერ მღვდლებს, პედაგოგებს, აღდგა და აიგო ეკლესიები, გაიხსნა სკოლები, სემინარიები როკაში, ედისში, ხუმალგაში, ბენდერში, მაჩახესსა და გალიათში, არდონში. გაზეთი „ივერია“ ამ ღვაწლის შესახებ წერდა: „ადრე ოსები დიდი ხალისით არ გზავნიდნენ თავის შვილებს სკოლებში, არამედ საყვედურით. ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, რაც აქაურ სკოლათა ინსპექტორად დაინიშნა დიდად პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი“ [12,2].

იგი ამონმებდა მის მიერვე დაარსებულ სასწავლებლებს, აქეზებდა და ამხნევებდა მასწავლებლებს, საინტერესო ქადაგებებით უფლისადმი რწმენას უღვივებდა მოსწავლეებს. ვლადიკავკაზის დედათა სკოლაში სტუმრობის დროს პედაგოგებს სიყვარულით მოუწოდა საღვთო სჯულის უკეთ სწავლები-საკენ. მანვე ბესლანში აკურთხა ახალი სამლოცველო და სთხოვა მრევლს აქტიურად ევლოთ ტაძარში.

„ახლა, ამ მოხუცებულობის ჟამს, ღვთის შეწევნით ბედმა მარგუნა ეს ნეტარება – პირნათელი ვარ ხალხთანაც და ჩემს სინდისთანაც. თავიდანვე ვცდილობდი ჩემი წმინდა მოვალეობანი საქმით და ჩემი ცხოვრების მაგალითით, ზნეობრივი სინმინდით შემესრულებინა, რასაც სამსახური, ქრისტიანობის იდეა მოითხოვდა“ [8,1], წერდა სიცოცხლის მინურულს დისეველი დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე (1859-1933). იგიც, სასულიერო ოჯახში დაბადებული და გაზრდილი, ბუნებრივად გაჰყვა მამა-პაპათა ნამემკვიდრებ გზას. იროდიონი კავკასიის მისიონერის, ლეონიდის წარდგინებით საინგილოში ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას (1891-1904). მისი და ლეონიდის ყოველდღიურმა ღვაწლმა ასეულობით გამაჰმადიანებული ინგილო დაუბრუნა წინაპართა რჯულს. საინგილოს შემდეგ დეკანოზი ცხინვალის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვრად, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სამრევლო სკოლების ზედამხედველად დაადგინეს, რომლის სამოღვაწეო არეალი ოსეთამდე ვრცელდებოდა. ლეონიდის მსგავსად, მისიონერობა მასაც მეტად საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნდა. მოძღვარი აქ მოღვაწეობის პერიოდში (1904-1923) რეგიონში შექმნილი ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით არაერთხელ მდგარა აშკარა საფრთხის წინაშე.

სულიერმა მამამ პირველ რიგში ეკლესია შეაკეთა, მრევლს მშვიდი, ლოცვითი გარემო შეუქმნა, ფეხდაფეხ შემოიარა ვრცელი სამრევლო, გაეცნო აქაურთა ყოფას. მას გული მოუკლა ქართველთა და ოსთა გაუსაძლისმა მდგომარეობამ, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გაუნათლებლობა და ურწმუნოება იყო.

ვითარების გამოსასწორებლად დეკანოზმა ფართო საგანმანათლებლო მოღვაწეობა გაშალა, აღადგინა ძველი ტაძრები, ქართულ და ოსურ სოფლებში გახსნა სკოლები. მშობლებს სთხოვდა სასწავლებლებში მიეზარებინათ ბავშვები. მოძღვარი მრევლთან უკეთ საურთიერთობოდ სწავლობდა ოსურ ენას, ზნე-ჩვეულებას და ოსებსაც ასწავლიდა ქართულს. იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მწყემს-სამწყემსოს შორის დამკვიდრებულ ანგარებით ურთიერთობებს: „რა რწმენა უნდა დარჩენოდა ქრისტეს რჯულზე ახლად მოქცეულ ოსებს თუ სასყიდელს მოვთხოვდი მათ? ეს დიდად მეჩოთიერებოდა... რამდენი მოგართვათო... თხის ხორცი ხომ არ იყო მღვდელმოქმედება?“ [8,2] პირიქით, ამაგდარი მოღვაწე ცდილობდა როგორმე დახმარებოდა მოსახლეობას. მისი მოგონებებიდან ვიგებთ, რომ ამ მიზნით მამა იროდიონს ცხინვალში დაუარსებია მღვდლისთვის უჩვეულო – კოოპერატივი. თავად გაჭირვებულ რვა შვილის მამას საკუთარი ხარჯებით შედარებით იაფად ჩამოჰქონდა პროდუქტი თბილისიდან და გორიდან, რითაც დიდ შვებას აძლევდა ჩარჩ-ვაჭრებისაგან გაღატაკებულ ქართველთა და ოსთა ოჯახებს. ბლალოჩინმა ენერგიული მოღვაწეობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მრევლში. მის სახელს უკავშირდება ცხინვალში 1910-იან წლებში სამკითხველოსა და ქ. შ. ნ. კ. გ. ს-ის დაარსება.

1905-07 წლების რევოლუციურმა გამოსვლებმა უკიდურესად დაძაბა ვითარება რეგიონში. ერთ-ერთ მიტინგზე იროდიონს ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ქართველ-ოსთა ერთიანობით გამსჭვალული სიტყვა-ქადაგებით მიუმართავს მოსახლეობისთვის. სასულიერო პირის ხატოვან სიტყვას ისე ალუფრთოვანებია ქართველიც და ოსიც, მისთვის „ხალხის ნამდვილი მოძღვარი“ უწოდებიათ. ამ ქადაგების საპირისპიროდ მარქსისტ პროპაგანდისტებს ხალხისთვის კლასობრივი ბრძოლისკენ მოუწოდებიათ. დეკანოზი შენიშნავს, რომ ეს მოწოდებები უღმერთობისკენ უბიძგებდა ხალხს და ქართველებსა და ოსებს შორის შულს აღვივებდა. 1906 წლის დამდეგს მეფის ჯარს რევოლუციური გამოსვლებისთვის ხაშური გადაუწვავს, ჯერი ცხინვალზე მიმდგარა: „ჯარი ზღუდერზე შეჩერებულიყო... თოფები და ზარბაზნები დაუმიზნეს ცხინვალს... ხალხს მათრახებით და კონდახებით სცემდნენ... მამა იროდიონი სიცოცხლის რისკის ფასად წინ აღუდგა ჯარისკაცებს: „ჯვრით ხელში შევუტეე სტრაჟნიკებს.“ 6 თებერვალს იგი გენერალ-გუბერნატორთან დაიბარეს. დაუსმენიათ - აბუნტებდაო მოსახლეობას. „ციმბირი აღარ ამცდებოდა... არ ვიცი, რა მიზეზით დამიხსნა ღვთის განგებამ“, წერდა მემუარისტი [8,1]. მას დაურწმუნებია მაღალჩინოსანი რუსები - აქ არავითარი საშიშროება არ არის, სიტუაციას მოლაპარაკებებით დავამშვიდებთო. ასე გადარჩა იმჟამად ცხინვალი.

ვრცელ ჩანაწერებში ავტორი თანმიმდევრულად გადმოსცემს მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანის დასაწყისში ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს. ამ პროცესების უშუალო თვითმხილველი და მონაწილე, დეტალურად მოგვითხრობს ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზებ-

ზე, ქართული მხარის არაერთგზის მცდელობაზე, მშვიდობიანად მოეგვარებინა პრობლემა. დეკანოზის აზრით, პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ოსები ბოლშევიკური იდეოლოგიის მძლავრი ზეგავლენის ქვეშ იყვნენ. მათ რუსი ბოლშევიკების ნაქეზებით „ნითელი არმიის ცალკე პოლკი დაარსეს და მარჯვე დროს უცდიდნენ... ჯავის ხეობაში დაიწყო კომუნისტური პროპაგანდა...“ [8,1] ხუცესმა დიდი საფრთხის შემცველად მიიჩნია ბოლშევიკებისგან მართულ ოსთაგან 1920 წლის მაისში ე. წ. როკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება. იგი ღია საუბრებით შეეცადა დაერწმუნებინა კომუნისტურ პროპაგანდას აყოლილი ოსები მიზნის უმართებულობაში, შეასხენებდა, რომ ქართველებსა და ოსებს „თითქმის ათასი წელიწადი ტკბილი მეზობლობა გვქონდა... ბევრ ქართველსა და ოსს ერთი ძუძუ უწოვია...“ [8,1] იროდიონმა ერთ-ერთ მიტინგზე ოსების ერთ ჯგუფს სთხოვა - დაფიქრდით, რატომ გამოდიხართ ქართველების წინააღმდეგ, რომელნიც ყველანაირად დაგეხმარნენ, უსასყიდლოდ დაგასახლეს თავის მიდამოზე? „მინა-წყალი საკუთრებად გექლევათ... ბევრით თავისუფლები ხართ ქართველებზე... სიკეთისა და მადლობის ნაცვლად ლალატი რა საკადრისია?“ [8,1] მაგრამ ბოლშევიკებისგან აგორებული ზვავის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. ექსტრემისტებმა 1920 წლის გაზაფხულზე ცხინვალელ ქართველებთან¹ ერთად ტყვედ აიყვანეს მათთვის მლოცველი დეკანოზი და ფეხით გაუყენეს ვლადიკავკაზის გზას. ბლალორჩინი მშვიდად გადმოგვცემს დატყვევებისა და მტანჯველი მგზავრობის სცენებს. უფლის რწმენა უკიდურეს წუთებშიც არ დაუკარგავს, პირიქით, ამ განსაცდელს ღმერთის ჯილდოდ თვლიდა: „ყველანი მშვირები ვართ, ვილაცამ გამხმარი მჭადის ნატეხი მომცა – უკბილო რას დავაკლებდი... ქვაზე დავნაყე და ისე ვჭამე...ღვთისაგან დასჯილმა ესეც ღვთის წყალობად უნდა მივიღო... მხიარულად განვაგრძე გზა...“ [8,1]

ჩრდილოეთისაკენ მიმავალს, სხვადასხვა სოფლებში თავის მიერ აგებული ეკლესიები და სკოლები ხვდებოდა. წლების მანძილზე მრევლისადმი უანგარო დამოკიდებულებას უკვალოდ არ ჩაუვლია: გზაზე მას მრავლად ხვდებოდნენ ნაცნობი და მადლიერი ოსები. ეს უკანასკნელნი მადლობას სწირავდნენ მღვდელს მათი ოჯახებისადმი გაღებული უსასყიდლო სიკეთის, განმანათლებლური მოღვაწეობისთვის. ისინი ეკამათებოდნენ ბადრაგებს სასულიერო პირის დაპატიმრების გამო, საჭმელს აწვდიდნენ დამშეულ ტყვეებს. სოფელ ზაყაში, რომელსაც დეკანოზი მალრან-დვალეთის, ჩრდილოკავკასიასთან სა-ქართველოს უკანასკნელ მოსამზღვრო სოფლად მიიჩნევს, ოსებს შესაშური სტუმართმოყვარეობა გამოუჩენიათ, ტყვეთა უმეტესობა დაუპურებიათ [4,134].

ზემოთ მღვდელ-მონაზონ ლეონიდის მიმართ ოსთა კეთილგანწყობას შევეხეთ. აღნიშნული კარგად გამოჩნდა იროდიონის ალაგირში ჩასვლის დროს. აქ მამა იროდიონი იცნო ოსმა მღვდელმა – გვარად იტონიევმა. აღმოჩნდა, რომ ისინი მისიონერთა შეკრებებიდან იცნობდნენ ერთმანეთს. მან გაუგებრობა უწოდა მღვდლის, ზოგადად, ქართველების დაპატიმრებას. იტონიევმა მოახერხა ერთი დღით სახლში მოესვენებინა შიმშილითა და სიარულით ქანცგანყვეტილი მოძღვარი. მეორე დღეს მასპინძელმა მრავალრიცხოვან მრევლს ასე წარუდგინა დეკანოზი: „მისიონერი ლეონიდი ოქროპირიძე რომ იყო აქ და არდონში სემინარია რომ დაგვიარსა, ეს იმისი ბიძაშვილიაო. ოსებმა დიდი მადლობით მოიხსენიეს ლეონიდი, იმან ჩვენ და ჩვენი შვილები გაგვანათლა, ქრისტიანობაზე დაგვაცენაო...“ [8,1] უსამართლოდ შერისხულს ესიამოვნა მადლიერების სიტყვების მოსმენა და ტაძარში შეკრებილთ მიმართა: „ოსეთშიც საქართველოს ეკლესია ამტკიცებდა ქრისტიანობას და აშენებდა ეკლესიებს. აი, ახლაც მისიონერი ლეონიდი ქრისტიანობის სახელით ცდილობს როგორც ქართველების, ისე ოსების განათლებას... თითქოს ემმას შემურდო ჩვენი ტკბილი მეზობლობა, შეცდენილმა ოსებმა დაგვინყეს ზურგში ლახერის ჩაცემა.“ ჩემმა სიტყვამ, აგრძელებს მამა იროდიონი, მრევლში გაცხოველებული მსჯელობა გამოიწვია. ჩვენს ოსებს ამტყუნებდნენ – ასეთი საქციელი რატომ ჩაიდინესო...“ [8,1]

დეკანოზ იროდიონის მსგავსად, ოსთა გათვითცნობიერებისა და ქართველებთან მათი დაახლოებისთვის იღვწოდა მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე (1879-1959). იგი იყო უპოვართა დამხმარე და გულშემატკივარი. ქართულ-ოსური ურთიერთობების მატყანეს საარაკო ამბად შემორჩა მამა ალექსანდრესა და ერთი ოსი ბავშვის ისტორია. სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) მოღვაწეობისას (900-იანი წლები) მისი ყურადღება მიიპყრო მიუსაფარმა, მაგრამ ნიჭიერმა ყმანვილმა. მას წლების განმავლობაში პატრონობდა, დაწყებითი განათლება მიაღებინა. ეს ბავშვი შემდეგში საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი ვასილ

¹ ავტობიოგრაფიულ მოგონებებში – „ჩემი ცხოვრება“ (იხ. ნ. მოისწრაფიშვილი, ავქსენტო მეგრელიძე, თბ., 2008, გვ. 351-372), საუკუნის წინანდელი ცხინვალის შესახებ იროდიონის ქალიშვილი, ცნობილი მუსიკოსი ქეთევან ოქროპირიძე წერდა: „იმჟამინდელი დაბა ცხინვალის აყვავებულ ბაღს ჰგავდა – წმინდა ქართულ დასახლებას წარმოადგენდა... ჩემს მეხსიერებაში იქ სულ 4-5 ოსი ცხოვრობდა. იყო ერთი უბანი გაქართველებული სომხებისა და ქართველი ებრაელებისა“

აბაევი გახლდათ. მათ შორის ახლო ურთიერთობა მოძღვრის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ალექსანდრე ოქროპირიძის არქივის გადარჩენილ ნაწილში (სამწუხაროა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართულ-ოსური დაპირისპირების დროს პირველი სწორედ მისი სახლი განადგურდა, დაინვა უნიკალური საარქივო მასალები) დღესაცაა დაცული ოსი მეცნიერის სამადლობელი წერილები ფოტოებით. 1959 წელს, როდესაც ალექსანდრე გარდაიცვალა, აბაევი სპეციალურად ჩამოვიდა მოსკოვიდან და დაკრძალვამდე არ მოსცილებია მიცვალებულის ოჯახს. დაკრძალვის დღეს, მამაჩემის, გურამ ოქროპირიძის მონათხრობით, იგი შუბლზე ეამბორა მის ცხედარს და შემდეგი სიტყვებით გამოემშვიდობა: „მშვიდობით განისვენე ჩემო დიდო მოამაგვე და მასწავლებლო“. ასე დაიტირა და უკანასკნელ გზაზე გააცილა მადლიერმა ოსმა სწავლულმა ამადარი მოღვაწე. ცხინვალიდან ქართველთა გამოდევნის წინა ხანებში, 1987 წელს, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტებთან შეხვედრისას, უკვე ღრმად მოხუცებულმა აბაევმა თქვა: მახსოვს ერთი ქართველი მღვდელი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ცხოვრების გზაზე დამაყენაო (მისი სახელი აღარ ახსოვდა). იმჟამად მესამე კურსის სტუდენტმა, ცხადია, ვიცოდი ეს ისტორია. მორიდებით შევახსენე: ის მღვდელი დისეველი ალექსანდრე ოქროპირიძე იყო-მეთქი. მისი სახელის ხსენებამ მსცოვან მეცნიერს თვალები გაუბრწყინა, გონებაში კინოკადრებით გაურბინა წარსულმა, წამით ჩაფიქრდა და გრძნობიერად წარმოთქვა: ჭეშმარიტად, ალექსანდრე ოქროპირიძე ნამდვილი ჰუმანისტი იყო. აღსანიშნავია, რომ ვასილ აბაევი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულედა მოძღვრისაგან ნაქადაგებ ქართულ-ოსურ კეთილმეზობლურ პრინციპებს. მან საჯაროდ გაუგონარი დანაშაული უწოდა ქართული მიწის ოსეთად გამოცხადებისა და მისი ჩრდილო ოსეთთან მიერთების მცდელობას, რომელიც ორივე ხალხის ურთიერთობებს კატასტროფულ ნგრევას მოუტანდა [14,3].

დავუბრუნდეთ მამა ალექსანდრეს. საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში (1921-22) არაკეთილმოსურნე ძალებმა კვლავ გააჩაღეს კონფლიქტი. მოქმედი მღვდელი იძულებული გახდა აქტიურად ემოქმედა. მან დაარწმუნა ბოლშევიკი ლიდერები, რომ მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის ქართულ სოფლებში (რადგან ის იყო თავდასხმის ობიექტი) საჭირო იყო თავდაცვითი რაზმების შედგენა. ამ მიზნით თბილისიდან ოფიციალური მიწერილობით ჩამოიტანა იარაღი, რომელიც ერთადერთი პირობით დაურიგა წინდანის შერჩეულ ადამიანებს – იარაღი სოფლის გარეთ არ უნდა გასულიყო (ანუ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებულიყო თავდასაცავად). პირობის დამრღვევი სასტიკად დაისჯებოდა. იმავდროულად, დაპირისპირების განსამუხტად აწყობდა ოსთა და ქართველთა შორის ავტორიტეტულ პირთა შეხვედრებს. იმ წლებში ბევრი ქართველისა და ოსის სიცოცხლე გადარჩა, რაშიც დიდი იყო ალექსანდრეს როლი [10,31]. შემდგომში მოძღვარი აიძულეს უარი ეთქვა მღვდლობაზე. იგი დისევის სკოლის პედაგოგი გახდა. გავიდა დრო. 30-იან წლებში მას მღვდლობა გაუსხენეს. ბრალი დასდეს ქართველთა და ოსთა ურთიერთნაკიდებაში. მღვდელყოფილის ბედი ბენჯზე ეკიდა. საბედნიეროდ, იმდროისთვის ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ სოფლების – ტყვიავისა და მერეთის რევკომების მაშინდელი თავმჯდომარეები: სამადაშვილი და მეცხვარიშვილი. მათმა გაცემულმა ცნობა-დახასიათებებმა გადაარჩინეს ალექსანდრე ოქროპირიძე. პირველის თქმით, „ჩემი რევკომის თავმჯდომარეობის დროს ტყვიავის რაიონში 1921 წლის სექტემბერში ბანდების გამოსვლის დროს ოსურ სოფლებში მივმართე დასახმარებლად ამხანაგ ალექსანდრე ოქროპირიძეს, რომელსაც ჰყავდა შეიარაღებული გლეხები ინტერნაციონალური პოზიციის დასაცავად.“ მერეთის რევკომი წერს: „ვადასტურებ, რომ ალექსანდრე ოქროპირიძეს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ოსთა და ქართველთა შორის მომხდარი ინციდენტის დროს 1921-22 წლებში კანონიერად ჰქონდა მიღებული 50 ბერდანის თოფი 280 000 პატრონით. იგი თავის რაზმებით შუაში ჩადგა და გადაარჩინა ბევრი ქართული და ოსური სოფელი დანოკება-აოხრებას. იგი მოქმედებდა ხალხის კეთილდღეობისათვის. მან დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა. დღიდან მშვიდობის დამყარებისა, იარაღი ჩაბარებულ იქმნა სრულად...“ [9] სხვადასხვა დროს (XIX ს-ის მეორე ნახევარი, XX-ის დასაწყისი) ლიახვის ხეობის ოსებით დასახლებულ სოფლებში მღვდელმსახურებას ეწეოდნენ ასევე სხვა დისეველი ოქროპირიძეებიც: დეკანოზი გაბრიელი (1824-1905), მღვდელი ბესარიონი (დაბ. 1848 წ), დიაკვანი ვლადიმერი (1881-1961) და სხვები.

სამწუხაროდ, ვითარება საუკუნის შემდეგაც რთულია. „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპით რუსეთმა კვლავ მოახერხა ქართულ-ოსური ერთობის დარღვევა. შიდა ქართლის ეს მხარე ისევ ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ათასწლოვანი ისტორიის მქონე დისევი – წარსულში რეგიონის ერთ-ერთი სასულიერო-საგანმანათლებლო კერა რუსულ სამხედრო ბაზადაა გადაქცეული. გაცამტვერებულია ზემოჩამოთლილ წმინდა მოღვაწეთა ეზო-მიდამო. დღეს ქართულ-ოსურ ურთიერთობას მძიმე ჟამი უდგას.

მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე სიმართლეს გავუსწორებთ თვალს, გონებით, მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით ვიმოქმედებთ და არა გარე ძალების კარნახით.

ისინი ექსტრემიზმის წახალისებით, მოჩვენებითი „გამარჯვებებისა“ და „დამოუკიდებლობის“ ზეიმებით აბრუებენ ხალხს, რაც სინამდვილეში მისი (ოსური ეთნოსის) სრული ასიმილაციისკენაა მიმართული. ჩვენ მოვლენები უნდა დავინახოთ და შევაფასოთ ვასილ აბაევისა და ალექსანდრე ოქროპირიძის, კოსტა ხეთაგუროვისა და მიხეილ ყიფიანის, მღვდელ იტონიევისა და კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის, დეკანოზ იროდიონისა და მადლიერი ზაყელი ოსების, სხვა, დიდ თუ უბრალო, მაგრამ გონებით მოაზროვნე ოსთა და ქართველთა გადმოსახედიდან. ნათქვამია, დიდ წარსულს მომავალი დიდი ექნებაო. იმედია, ყურს მივუგდებთ, გავიაზრებთ ხსენებულ პირთა მოღვაწეობის, მეგობრობის მნიშვნელობას და ადრე თუ გვიან ეს გამონათქვამი რეალობად იქცევა.

ლიტერატურა:

1. ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921წ.), თბ., 2000.
2. ნებოძირელი ილია, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, თბ., 1902.
3. პავლიაშვილი ქეთევან, ბესარიონ ფავლენიშვილი, კულტურის, ისტორიის საკითხები, III, თბ., 1997.
4. ჩხეიძე ოთარ, უღელტეხილზე (ნაწყვეტი დეკანოზ იროდიონის მემუარებიდან), ლიტერატურული აღმანახი „ლიახვი“, გორი, 1968.
5. ოქროპირიძე ზურაბ, ქართველი მისიონერები და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საუნივერსიტეტოაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2011.
6. ოქროპირიძე ზურაბ, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული №11, თბ., 2016.
7. მოისწრაფიშვილი ნატო, ავქსენტი მეგრელიძე (ქეთევან ოქროპირიძის მოგონებები, „ჩემი ცხოვრება“), თბ., 2008.
8. დეკანოზი იროდიონი (ოქროპირიძე), მემუარები, I-II ნაწილი, ინახება მემკვიდრეთა საოჯახო არქივში.
9. მღვდელი ალექსანდრე (ოქროპირიძე), მოგონებები, წერილები, დოკუმენტები, ინახება მემკვიდრეთა საოჯახო არქივში.
10. ჟურნალი „კარიბჭე“, 2009, №17.
11. საპატრიარქოს უწყებანი, 2010, №16.
12. გაზეთი „ივერია“ 1901, №61.
13. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №1187, 1202.
14. «Независимая газета», 1992, №13.

Zurab Okropiridze

*Doctor of Philology
Gori State Teaching University
Georgia, Gori*

BISHOPS (OKROPIRIDZES) FROM DISEVI- PREACHERS OF EDUCATION AND THE RELIGION OF CHRIST AMONG THE OSSETIANS
«7 шагов» - основные принципы эффективной трансформации миротворческого процесса по урегулированию Абхазского и Цхинвальского конфликтов. Проект 7D Проект подготовлен в 2005 году Кавказским институтом региональной безопасности и является приложением к соответствующему документу – Концепции по урегулированию конфликтов в Абхазии и в бывшей ЮОАО).

<https://www.google.com/search?ei=A->

მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტია – „ყაზბეგის დეკლარაცია“. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ექსპერტთა შერეული ჯგუფის მიერ არის შექმნილი და მიზნად ისახავს სამშვიდობო პროცესების ეფექტურობის ზრდას. ეს არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს არსებული სიტუაციის ანალიზს/ შეფასებას და წარმოადგენს სტრატეგიული მულტიმშვიდობის ღირებულებებზე ორიენტირებული ურთიერთთანამშრომლობის ღირსეულ მაგალითს. ეს დოკუმენტი შედგება მხოლოდ ხუთი წინადადებიდან და ამავე დროს მოიცავს სიღრმისეულ ხედვას.

<https://docplayer.ru/amp/83196408-Psevdokonflikty-i-kvazimirotvorchestvo-na-kavkaze.html>

მეთოდი ასევე ეყრდნობა ავტორის მიერ შემუშავებულ „პოლიდიპლომატიის კონცეპციას“, რომელიც წარმოდგენილია, რომელიც შეგვიძლია ვიხილოთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემაში – „პოლიტოლოგოსი-ს“ პირველ ნომერში. კონცეპციის მთავარ მიზანს წარმოადგენს დიპლომატიური შესაძლებლობების დივერსიფიკაცია და გამოუყენებელი რესურსების ამოქმედება.

ცხინვალის კონფლიქტის მოუგვარებლობის ზოგიერთი სტრატეგიული ხასიათის შეცდომა და პრობლემები

კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია, რომ სიღრმისეულად იყოს შესწავლილი როგორც გამომწვევი მიზეზები, ასევე მისი მკვებავი არტერიები

არ არსებობს ამ კონფლიქტების სამეცნიერო დიაგნოზი.

არ არსებობს სამშვიდობო პროცესის სტრატეგია.

მეცნიერების პასიურობა და ინტელექტუალური პროდუქციის ან არარსებობა, ან ნაკლებობა, ან არსებულის პოლიტიკურ ელიტამდე მიტანა.

ეთნიკური ტიპის რედუქციონიზმი. კონფლიქტების ეთნიზირებული აღქმა და ეთნიკური ტერმინოლოგიის ტირაჟირებაში მიგვიყვანა იქამდე, რომ შეიქმნა წარმოებული – ფსევდოკონფლიქტი. აქ არაა საუბარი იმაზე, რომ ეთნიკური კომპონენტი არ არსებობს, საუბარი იმაზეა, რომ ეთნოცენტრიზმით დაავადებულმა გონებამ რთული მრავალნახნაგოვანი კონფლიქტი დაიყვანა ეთნიკურ კონფლიქტამდე.

პოლიტიკოსები განიხილავენ ამ კონფლიქტებს როგორც შიდა კონფლიქტებს ან როგორც საერთაშორისო კონფლიქტებს. ეს კონფლიქტები წარმოადგენენ როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის ობიექტებს. ანუ ეს შერეული ტიპის კონფლიქტებს განეკუთვნებიან.

მოლაპარაკებების ფორმატები არის შედგენილი არა რეალური კონფლიქტის სურათის თანახმად, არამედ ფსევდოკონფლიქტის სისტემის შესაბამისობაში. დაავადება იმდენად სერიოზულია, რომ სცილდება საქართველოს საზღვრებს და უკრაინის კრიზისის მოგვარების მიზნით შექმნილ ფორმატებს იგივე სჭირთ. პრობლემის ერთ-ერთი განზომილება ეს არის კონფლიქტის რეალური სოციოლოგიის უგულებელყოფა.

ინსტიტუციონალური კრიზისის საფუძველი. კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა ასევე არაადეკვატურია. ყოველივე ამ კონფლიქტთან მიმართებაში უნდა არსებობდეს საგანგებო სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც მოახდენს კომპლექსურ და ეფექტურ მართვას. ყოველივე სამინისტროს და სახელმწიფო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეთ გამოკვეთილი თავისი ადგილი და როლი ამ პრობლემების მოგვარებაში. ამ საქმისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი აპარატი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება შესაბამისი სპეციალობების პროფესიონალებით.

ეს გამომდინარეობს ასევე სტრატეგიული აზროვნების და მართვის კულტურის პრობლემიდან. სტრატეგია ამ კონფლიქტების მოგვარების არ არსებობს. ეს კი ინტელექტუალური კრიზისის შედეგია. ის რასაც სტრატეგიას ეძახიან წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური მოქმედებების პროგრამას, რომელიც ვერ იქნება სრულყოფილი სტრატეგიის გარეშე.

საკადრო კრიზისი. ჩვენ არ გვყავს კომპეტენტური კადრები, რომელებიც შეძლებდნენ მართვას, ან გვყავს და არ ვიყენებთ. პროფესიონალების ტოტალური შიში არსებობს. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ არაკომპეტენტური პარტიული კადრები ვერ ითმენენ გვერდით კომპეტენტურ კადრებს. ორი მიზეზის და გამო. პირველი – პირადი კონკურენცია, მეორე კი კომპეტენტური კვალიფიცირებული კადრი აყენებს სისტემის ინტერესს პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების ზევით რაც განაპირობებს მუდმივ შიდა კონფლიქტს.

საკადრო კრიზისის საფუძველს კი წარმოადგენს განათლების სისტემის კრიზისი. განათლების სისტემა არ ასრულებს თავის მისიას. და ვერ შეასრულებს, გამომდინარე იქედან რომ ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი – კვალიფიკაციათა ჩარჩო არ შეიცავს იმ პროფესიებს, სპეციალობებს და სპეციალიზაციებს, რომელიც აუცილებელია კონფლიქტების მართვისთვის.

განათლების კრიზისის საფუძველს წარმოადგენს მეცნიერების კრიზისი. ამ შმთხვევაში ეს პირველ რიგში შეეხება პედაგოგიკას. მეცნიერების განადგურებამ, კვლევების მინიმალიზაციამ გამოიწვია განათლების სისტემის სრული დეგრადაცია.

მეცნიერების განდევნამ კი გამოიწვია ინტელექტუალური კრიზისი. პოლიტიკური მართვა მონყვეტილია ინტელექტუალურ მომსახურებას და გადართულია მხოლოდ ოპერატიული ამოცანების მოგვარებაზე.

პირველ რიგში, ეს შეეხება დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფ მოსახლეობის პოლიტიკურ უფლებებს. ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას არაფერი არ გაუკეთებია საერთოდ. პოლიტიკური სეგრეგაცია და მოქალაქეობრივი და პოლიტიკური ღირსების სრული დამცირება არ აისახება არც ერთ დოკუმენტში არც ეროვნულ დონეზე და არც საერთაშორისო დონეზე.

შიდა ოსური დიალოგი ფაქტობრივად არ არსებობს, და ეს არის უმნიშვნელოვანესი განზომილება, რომელიც იგნორირებულია.

პოლიტიკური დისკრიმინაციის მსხვერპლია მთლიანად ამ რეგიონის მოსახლეობა. როგორც დევნილები, ასევე იქ დარჩენილების დიდი უმრავლესობა.

საქართველოს ხელისუფლება ამახვილებს ყურადღებას მხოლოდ ქართველების ეთნიკურ წმენდაზე, მაშინ როდესაც რეპრესიების მსხვერპლი უნდა განისაზღვროს იდეოლოგიური კატეგორიებით.

ტერმინი „ქართულ-ოსური კონფლიქტი“ წარმოადგენს ამ რთული კონფლიქტის ეთნიზირებულ ვარიანტს. ჩვენ ვირჩევთ ტერმინს „ცხინვალის კონფლიქტი“ არა გეოგრაფიული თვალსაზრისით. არამედ როგორც პირობითი სახელწოდება მრავალნაზნაგოვანი, კომპლექსური (რთული) კონფლიქტისა.

OPPORTUNITIES FOR SCIENTIFIC SUPPORT FOR THE POSITIVE TRANSFORMATION OF THE TSKHINVALI CONFLICT

The report will present the results of research conducted within the framework of the Shota Rustaveli Science Foundation's PhD Program.

In particular, 4D-RAV-17 will present an innovative authoring method for conflict and peace process analysis.

The method is a combination of holistic (non-reductionist) scientific diagnostics, analysis, synthesis and evaluation techniques. Part of the techniques is known to the public, and part of the techniques is an innovative product.

A special component of the method is the 4D (four-dimensional) diagnostic technique of conflict and peace processes.

Technique 4 diagnoses the process in parallel. This is:

- Conflict
- Pseudoconflict
- Quasi peace process
- The peace process

Analyzes conducted through existing diagnostics show the real picture that the main causes of chronic conflict resolution are strategic errors made in modeling and managing the peace process.

ირინე საგანელიძე

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი*

შემოქმედებითი კავშირების მნიშვნელობა, კულტურათაშორისი დიალოგი ქართული და ოსური თეატრების მბაღალითვა

მრავალსაუკუნოვანი საქართველო, ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, საქართველოში დამკვიდრებული ეთნიკური უმცირესობებისადმი ტოლერანტობით გამოირჩევა, რამაც ქვეყნის ძირითად ეთნოსთან-ქართველებთან ერთად, სხვადასხვა ეთნოსების მშვიდობიან თანაცხოვრებას მყარი საფუძველი დაუდო და ერთმანეთის კულტურის გაცნობას, ურთიერთ გამდიდრებას, ქვეყნის ჭირისა, თუ ლხინის გაზიარებას შეუწყო ხელი. ამ პროცესში, ქვეყნის ძირითადი ეთნოსისათვის, მიუღებელი იყო ეთნიკური უმცირესობების ასიმილიციისკენ სწრაფვა და მუდამ მათი იდენტობის შენარჩუნება-განვითარებისაკენ იყო მიმართული, რის შედეგადაც იშვა მრავალეთნიკური საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება, რომლის ფორმირებაში ქართველებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს ეთნიკურმა უმცირესობებმაც შეიტანეს. ამ რეალობის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი და მოვლენა საქართველოს ისტორიაშიც და თანამედროვეობაშიც, მათ შორის ერთ-ერთი ცხინვალის ქართული და ოსური თეატრების ისტორიასთან არის დაკავშირებული, რაც ერთიანი საქართველოს ფარგლებში ამ თეატრების ჩასახვისა და განვითარების ეტაპებშია ასახული, ერთობლივი ძალისხმევით მიღწეულ შედეგებშია წარმოჩენილი. ამიტომაც გვსურს მკითხველს შევასხენოთ და გავაცნოთ ის ფაქტები, რომლებმაც ქართველ და ოს საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა, ხელოვანთა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით, ცხინვალში სათეატრო ხელოვნების ჩასახვა და განვითარება განაპირობა. ვფიქრობთ, რომ ამჟამინდელი საქართველოს ფართო საზოგადოებამ არ იცის, ან ნაკლებად იცის თუ როგორ ვითარდებოდა 1875-1990 წლებში, ერთიანი საქართველოს ფარგლებში, ცხინვალის სათეატრო ცხოვრება, რომელიც ურთიერთ გაგების, ურთიერთ თანამშრომლობის, საერთო მიზნისაკენ სწრაფვის მაგალითებით არის აღსავსე.

ცხინვალში ქართული და ოსური თეატრების ჩასახვისა და განვითარების გზები მე-19 და მე-20 საუკუნეებს უკავშირდება. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი წლითი-წლობით იზრდებოდა, საქართველოს ამა თუ იმ მხარეში, სოფლებსა, თუ ქალაქებში სცენის მოყვარეთა წრეები იქმნებოდა და მათ მიერ შექმნილი წარმოდგენები სხვადასხვა სივრცეში იმართებოდა, მათ შორის კერძო სახლებში, ასევე იყო ცხინვალშიც, ვინაიდან პირველი სათეატრო შე-

ნობა 1895 წელს ლიახვის პირას აიგო, საზაფხულო თეატრის „როტონდას“ სახით, სადაც წარმოდგენილი იყო კ.მესხის „თამარ ბატონიშვილი“. „როტონდა“ 1902 წელს დაინვა, ხოლო ახალი შენობა აიგო და გაიხსნა 1909 წელს, რომელიც ტირიფონის არხის მშენებლობასთან დაკავშირებული საჭიროებების გამო 1927 წელს დაანგრეს და აიღეს.

1875-1895 წლებში ცხინვალში ქართველ და ოს სცენის მოყვარეთა მუდმივი დასები არ არსებობდა. ცხინვალში წარმოდგენებს თბილისიდან საგასტროლოდ ჩასული დასები და ცნობილი ქართველი მსახიობები მართავდნენ. ხშირად ამ წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნებითაც იყენებდნენ, მაგალითად ცხინვალის ღარიბი სტუდენტების დასახმარებლად, ლიახვზე ხიდის ასაგებად, ან ცხინვალის წიგნთსაცავის დასახმარებლად და ა.შ., რაც საზოგადო საქმეებზე ზრუნვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამავდროულად იმდროინდელი ცხინვალის საზოგადოების ერთი ნაწილი უარყოფად ეკიდებოდა წარმოდგენებში მდებარეობით სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობას და ადგილობრივ სცენისმოყვარეთა და თბილისიდან მოწვეულ მსახიობთა ძალებით გამართული წარმოდგენები, ამ ტენდენციას ებრძოდა. ამასთან დაკავშირებით 1875 წლის 12 სექტემბერის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ცხინვალი, 31 აგვისტო, ამ ცოტა ხანებში გორის უეზდში სამჯერ იყო ქართული წარმოდგენა: ერთი გორში და ორიც სოფელ ცხინვალში. გორის წარმოდგენაზე მე არ დავსწრებივარ და ამისათვის არც ვიცი როგორ წარმოადგინეს, მხოლოდ ეს კი გავიგე სანდო პირებისაგან, რომ ერთს გაბუნიას ქალს ეთამაშა.

აგრეთვე არ დავსწრებივარ ცხინვალში პირველ წარმოდგენას, მეორე წარმოდგენაზე კი დავესწარი, წარმოადგინეს „გაყრა“ გ.ერისთავისა, აგვისტოს 31-ს კვირა დღეს, უფ. ალექსანდრე ოჰანოვის სახლში საზოგადოდ წარმოდგენა მშვენივრად წავიდა, რომ თვით თბილისშიც იშვიათია ხოლმე ასე კარგად წარმოდგენა. კერძოდ კი უნდა შევნიშნოთ ზოგიერთ პირებს: მაგ..., მიკირტუმას როლის აღმსრულებელი ვასილ ტერ-აბრამიანცი აზვიადებდა თავის როლს... კაცებში უნაკლოდ აღასრულეს თავიანთი როლები ზაალ მაჩაბელმა – პავლეს როლი, ივანე მაჩაბელმა – ივანეს როლი და ნატო გაბუნია – სეკრეტის როლი. დანარჩენებსაც ურიგოდ არ უთამაშიათ.

განსაკუთრებით ქებისა და პატივისცემის ღირსნი არიან მოთამაშე ქალები. ამით დასთრგუნეს ის ცრუმორწმუნეობა, რომ ვითომც თეატრში თამაშობა უნამუსობა იყო, მაგრამ რას ბრძანებთ, ბატონებო! აქ, ცხინვალში არამცთუ თამაშობას, არამედ თვით თეატრში წასვლასაც კი უნამუსობას ეძახიან ზოგიერთი ქალები. თუ ღმერთი გნამთ, დააყენეთ თქვენი წანკლიანი ენა და როდესაც თქვენ არ გინდათ მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეში, სხვას მაინც ნუ უშლით. ნინოსი და შუშანას როლები აღასრულა ანასტასია მაჩაბლისამ, მაკრინესი და თათულასი - ეფემია მაჩაბლისამ, ყარდაშვედისა – ა. ალექსევეისამ. სამივემ თავიანთი როლები კარგად აღასრულეს, მაგრამ უმშვენიერესად, უნაკლოდ და სწორედ რომ არტისტულად აღასრულა თავისი როლი ეფემია მაჩაბლისამ... ხალხი იმდენი იყო, რამდენიც დაეტეოდა ზალაში, ე.ი. ასამდე სული... მშვენივრად“ (გაზეთი „დროება“ 1875 წ. 12 სექტემბერი)

1879 წელს სცენის მოყვარებმა ცხინვალში წარმოადგინეს მოლიერის „ძალად ექიმი“ და ა. თუთაევის „ალასა და პრიკაზჩიკის დავა“, 1892 წელს ა. ცაგარელის „ხანუმა“ და ა.შ. ცხინვალში ქართველი სცენისმოყვარეების გარდა, თანდათანობით წარმოდგენების გამართვა დაიწყო ოსმა სცენისმოყვარეებმაც, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თბილისში ოსური საგამომცემლო საზოგადოების ბაზაზე შექმნილმა ოს სცენისმოყვარეთა წრემ, რომელშიც მოღვაწეობდნენ თბილისელი მასწავლებელი ვანო აბაითი, მოსწავლეები ეგნატე ალდათი, ირაკლი გაგლოითი, მუშები ნიკოლოზ ჩილახსათი, აბე თულანთი და სხვები. აღნიშნულმა სცენისმოყვარეთა წრემ თავისი პირველი წარმოდგენა თბილისში, 1906 წელს „ვეტცელში“ გამართა (აღმაშენებლის გამზირზე ყოფილი თოჯინების თეატრის შენობა) წარმოადგინეს ელ. ბრიტაითის „რუსეთში ნამყოფი“ და „სირცხვილს სიკვდილი სჯობს“, შემდეგ ალ. ყაზბეგის „არსენა“ და გოგოლის „ხელის თხოვნა“. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი პრესა გამოეხმაურა ამ მოვლენას, მათ შორის თბილისში გამომავალი ოსურ ენოვანი გაზეთი „ ნოვ ცარდი“ წერდა: „თბილისელმა ოსმა ახალგაზრდობამ აქტიური მუშაობით დიდი სიხარული მოგვიტანა, თეატრში უამრავი ხალხი მოგროვდა. მაყურებელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ოსური ენა სრულებით არ ესმოდათ. სპექტაკლი ყველას მოეწონა და ყველა კმაყოფილი იყო. დაე, ენერგიულმა ახალგაზრდობამ კიდევ მრავალი შექმნას ასეთი თეატრი“. (გაზეთი „ ნოვ ცარდი“ 1906 წ.) 1907 წელს თბილისში ფუნქციონირება დაიწყო მეორე ოსურმა სამოყვარულო თეატრმაც, რომელიც თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ოსური სექციის ბაზაზე შექმნა და რომელსაც 15 წლის მანძილზე ცნობილი მსახიობი და ქართული თეატრის მოამაგე ნიკო გოცირიძე ხელმძღვანელობდა. მისი უშუალო ინიციატივით ოსურ ენაზე ითარგმნა რიგი პიესები, მათ შორის ლანგმანის „ლორმუცელა“, რომელიც 1908 წელს წარ-

მოდგენილი იყო ავჭალის აუდიტორიაში თბილისის ოსური სკოლის დასახმარებლად. („ახალი ცხოვრება“ 1907 წ, №1).

1909 წელს თბილისში კიდევ ერთი ოსური დრამწრე შეიქმნა ოსური საგამომცემლო საზოგადოების „რუხსი“-ს ბაზაზე. მათ ზუბალოვის სახლში დიდი წარმატებით წარმოადგინეს ოსი დრამატურგების პიესები - რ.ქოჩისათის „ემმაკი კაცი“ და ელ.ბრიტაითის „ორი და“. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ჩვენი აზრი“ წერდა: „... მსახიობებს მეტად ძნელი ამოცანა ჰქონდათ გადასაჭრელი, ... მიუხედავად ამისა, მათ ყოველგვარი სიძნელე დაძლიეს და სრულყოფილად წარმოადგინეს სხვადასხვა სცენა. ის ოვაციები, რომლებიც ხალხმა ალალის გულით უბოძა, ნამდვილად დაიმსახურა სპექტაკლის ყველა მონაწილემ („ჩვენი აზრი“ 1909 წ. № 121) თეატრი კვლავ სავსე იყო ხალხით. სპექტაკლს ესწრებოდნენ ისეთებიც, ვისაც ოსური არ ესმოდა“. 1910-1911 წლებშიც შეიქმნა თბილისში ახალი ოსური დრამატული წრე, რომლის რეპერტუარშიც იყო როგორც ცნობილი ოსი დრამატურგის ელ.ბრიტაითის, ისე რ.ერისთავის და ა. ჩეხოვის ნაწარმოებები. ზუბალოვის სახალხო სახლში გაიმართა კოსტა ხეთაგათის გარდაცვალების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოც. დრამწრის მსახიობთა ოსტატობა თანდათანობით იხვეწებოდა და ვითარდებოდა. ყოველ სეზონში იმართებოდა ახალი სპექტაკლები. მაგალითად 2016-2017 წლების სეზონში დრამწრის რეპერტუარში იყო ოსი და ქართველი მწერლების ნაწარმოებები: ალ.ყაზბეგის „არსენა“, ა.არისხანთის „ირადი“, ა.ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ელ ბრიტაითის „ორი და“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, დ.ანწყურელის „ორი მშვიერი“ და სხვა. 1921-1931 წლებში თბილისში ოსური დრამატული სახალხო თეატრის მუშაობა გააქტიურდა. 1924 წელს კოლექტივი შეივსო ახალი შემადგენლობით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ზაქარია გაზაბათი იყო. თეატრის რეპერტუარში გაჩნდა რევოლუციური განწყობების ნაწარმოებები. რევოლუციამდე სპექტაკლები თბილისის სხვადასხვა სივრცეში, ან მონაწილის ბინაში, ან თბილისის ოსური შვიდწლედის სკოლის შენობაში იმართებოდა, რევოლუციის შემდეგ კი ოსური დასი თბილისში, პლენხანოვის სახელობის კლუბში (თბილისის მუსიკალური კომედიისა თეატრის ყოფილი შენობა), განთავსდა 1930 წელს თბილისის ოსური დრამატული წრე გ.ბუხნიკაშვილის თაოსნობით მოძრავ საკოლმეურნეო თეატრად გადაკეთდა, სადაც რეჟისორად ცნობილი მსახიობი ია ქანთარია მოღვაწეობდა. 1931 წელს თეატრმა გასტროლი გამართა ცხინვალში და საფუძველი ჩაეყარა ცხინვალში პირველი ოსური პროფესიული თეატრის გახსნას. („ჩვენი აზრი“ 1909წ. №121)

1931 წელს ცხინვალის ოლქის ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება ცხინვალში სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნის შესახებ, რომლის დასიც დაკომპლექტდა თბილისის ოსური სახალხო თეატრის, თბილისის საკოლმეურნეო მოძრავი თეატრისა და ცხინვალის ოსური დრამწრის მსახიობებით. თეატრმა პირველი წარმოდგენა ცხინვალის კულტურის სახლში, 1931 წლის 29 ივლისს გამართა. წარმოდგენილი იყო სენო წერეთლის პიესა „ციებ-ცხელებზე“ ოსური ცეკვის დიდოსტატის ვლადიმერ თაგათის დადგმით.

სახელმწიფო თეატრის სტატუსი ახალ ამოცანებს უსახავდა კოლექტივს. ამ სტატუსამდე კი, როგორც ზემოთ ავლინებთ, სცენის მოყვარეთა ქართული და ოსური წრეები ხელს უწყობდნენ ცხინვალში სათეატრო ხელოვნების პოპულარიზაციას, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი თბილისიდან ცხინვალში საგასტროლოდ ჩასულ ისეთ ცნობილ ხელოვანებს შექონდა, როგორებიც იყვნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვალერიან გუნია, კოტე მესხი და ა.შ. ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ცნობილ ოს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს კოსტა ხეთაგათის, რომელიც საბჭოთა პერიოდში ხეთაგაუროვად მოიხსენიება და რომელსაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქართული კულტურის მოღვაწეებთან ალექსანდრე ყაზბეგთან, დიმიტრი არაყიშვილთან და იოსებ იმედაშვილთან. თბილისში მოქმედი ოსური სცენისმოყვარეთა წრეების და ცხინვალში მოქმედი სცენისმოყვარეების ბაზაზე მომზადდა ნიადაგი ცხინვალში პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასაფუძნებლად. აღსანიშნავია, რომ ამ სტატუსამდე მისასვლელი ყველა საფეხური ცხინვალის ოსურმა დასმა ქართველი და ოსი დრამატურგების, რეჟისორების, მსახიობების, საზოგადო მოღვაწეების ერთობლივი ძალისხმევით განვლო, რასაც ზურგს უმაგრებდა საქართველოში გამოშვებული როგორც ქართულენოვანი, ისე ოსურ და რუსულ ენოვანი პრესა და რაც მთვარია მაყურებელი, ქართველი თუ ოსი მაყურებელი, რომელიც ესწრებოდა როგორც ქართულ, ისე ოსურ წარმოდგენებს და ამაში მათ ენობრივი ბარიერი ხელს არ უშლიდა.

1931 წლის 29 ივლისს, ცხინვალის კულტურის სახლში ოსური სახელმწიფო დრამატული თეატრის პირველმა წარმოდგენამ – სენო წერეთლის პიესის მიხედვით განხორციელებულმა დადგამმა „ციებ-ცხელებზე“, ცხადყო დასის პროფესიონალიზმის ამალგების აუცილებლობა. თბილისის შოთა რუსთაველის

სახელობის თეატრმა იტვირთა ცხინვალის ოსური თეატრის შეფოხა. რეჟისორი შოთა აღსაბაძე და მსახიობი ია ქანთარია მივლინებული იყვნენ ცხინვალში თეატრის კონსულტანტებად. თეატრს მეთოდურ დახმარებას უწევდა დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ანმეტელი, რომლის თაოსნობით და საქართველოს მთავრობის გადანაცვლებით რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში შეიქმნა სექტორი, სადაც 1934 წელს 20 ახალგაზრდა ოსი მსახიობი ეუფლებოდა პროფესიას. 1935 წელს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი ვიქტორ მურღულია დაინიშნა, რომელმაც თეატრის რეპერტუარი შეავსო ოსური, ქართული და რუსული პიესებით. ცხინვალის სახელმწიფო თეატრის მიერ განხორციელებული დადგმების შესახებ წერილები და რეცენზიები სისტემატურად ქვეყნდებოდა საქართველოს პრესაში, თეატრში პერიოდულად დისპუტებიც იმართებოდა, რაც ხელს უწყობდა თეატრის ცნობადობის ამაღლებას და ამავე დროს კოლექტივის პროფესიულ ზრდას. 1939 წელს ცხინვალის სახელმწიფო დრამატულ თეატრს კოსტა ხეთაგუროვის (ხეთაგათის) სახელი მიენიჭა. 1940 წელს თბილისში ცხინვალის რეგიონის კულტურისა და ხელოვნების დეკადა გაიმართა და თეატრის დირექტორს, მხატვარს, კომპოზიტორს და მსახიობთა ჯგუფს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭათ. 1941 წელს თეატრს ლენინგრადის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები შეემატნენ. თეატრის რეპერტუარში მუდამ იყო როგორც ოსი, ისე ქართველი და უცხოელი დრამატურგების ნაწარმოებები. 1954 წელს საქართველოში ცხინვალის ოსური თეატრის დაარსების 50 წლისთავი აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო არტისტის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის და საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდებები მიენიჭათ თეატრში მოღვაწე ხელოვანებს. 1957 წელს თბილისში კვლავ გაიმართა ცხინვალის რეგიონის, როგორც იმხანად უწოდებდნენ სამხრეთ ოსეთის, ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომლის სათანადო დონეზე მომზადებაში ჩართული იყო სახალხო არტისტი აკაკი ხორავა „რომელიც ხშირად ჩადიოდა ცხინვალში, ესწრებოდა რეპეტიციებს, ამხნევებდა მსახიობებს, უსწორებდა მიზანსცენებს, იდეურად და ტექნიკურად ამაღლებდა სპექტაკლების დონეს“ ამჯერადაც საქართველოს მთავრობის გადანაცვლებით თეატრის კოლექტივის წევრები დაჯილდოვდნენ საპატიო წოდებებით. 1981 წელს თეატრის კოლექტივი კვლავ შეივსო ახალი ძალებით, მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრალური სტუდიის კურსდამთავრებულებით. 1973 წელს თეატრმა წარმატებული გასტროლები გამართა თბილისში და მსახიობები დაჯილდოვდნენ საპატიო წოდებებით. (ჩეთითი 1976 : 38- 55).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ცხინვალში ოსური სახელმწიფო თეატრის დაფუძნების შემდეგ, თბილისში არსებული ოსური დრამწრე დაიშალა, ვინაიდან ოსური სახელმწიფო თეატრში სწორედ თბილისში არსებული დრამწრის კოლექტივის წევრებით იყო დაკომპლექტებული. მიუხედავად ამისა, ქართველ და ოს ხელოვანთა ძალისხმევით, თბილისში პლენარის სახელობის კულტურის სახლში, 1954 წელს კვლავ აღდგა ოსური დრამწრე, რომელმაც 1958 წლიდან ოსური სახალხო თეატრის სტატუსით გააგრძელა თბილისში მოღვაწეობა და თბილისელ მაყურებლებში პოპულარობაც მოიპოვა.

ამგვარად, ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ოსური თეატრის აღმოცენებისა და მისი განვითარების საქმეში, რაც თავდაპირველად გამოიხატა თბილისიდან ცხინვალში ქართველი სცენის ოსტატების გასტროლებით, ცხინვალში სათეატრო ხელოვნების პოპულარიზაციით, ადგილობრივი ქართული, თუ ოსური სცენისმოყვარეების ნახალისებითა და დაკვალიანებით, თბილისში ოსური სხვადასხვა სამოყვარულო თეატრის საქმიანობის ხელშეწყობით, ხოლო ცხინვალში კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ოსური სახელმწიფო თეატრის დაფუძნების შემდგომ, საგანგებოდ ამ თეატრისთვის ახალი კადრების მომზადებით, ასევე თეატრის რეპერტუარის ფორმირებაში, სადადგმო კულტურის ამაღლებაში, სამსახიობო ოსტატობის განვითარებაში შეტანილი წვლილით, თბილისში თეატრის გასტროლების ხელშეწყობით და მისი მიღწევების პოპულარიზაციით, თეატრის კოლექტივის წევრთა საპატიო წოდებებით დაჯილდოებით და ა.შ., რაც პერმანენტურად სტიმულს აძლევდა ცხინვალის ოსური თეატრს შემდგომი აქტიური მუშაობისა და ახალი სიმაღლეების დასაპყრობად. ყოველივე ამას ცხადყოფს საქართველოს 1875-1990 წლების პრესა, ქართველი და ოსი ავტორების ნიშნები ავტ.: ვ. ცაბაევი – „კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი“, სამხრეთ ოსეთის გამომცემლობა ქ. სტალინირი.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1935 წლიდან ცხინვალის ქართული და ოსური დასები ერთ შენობაში მოღვაწეობდნენ, 1937 წლიდან ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული და ოსური დასების დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვიქტორ მურღულია არ იშურებდა ძალ-ღონეს თეატრის შემდგომი წინსვლისთვის. ამ დროიდან მოყოლებული 1990 წლის ჩათვლით, თეატრის ორივე დასს ცნობილი რეჟისორები ხელმძღვანელობდნენ. თბილისში სისტე-

მატურად იმართებოდა მათი გასტროლები, ქართული დასის შემადგენლობაც პერიოდულად ივსებოდა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით. მიღწეული წარმატებისათვის ორივე დასის წევრები ჯილდოვდებოდნენ საპატიო წოდებებით.

1974 წლიდან ცხინვალის თეატრის ქართული დასის განვითარებაში და წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაერთი საინტერესო დადგმით რეჟისორმა უშანგი მინდიაშვილმა.

1978 წელს აღინიშნა ცხინვალის ქართული თეატრის 100 და ოსური თეატრის 70 წლისთავი, რასაც ორივე თეატრმა მიუძღვნა დადგმები, მოეწყო ორივე თეატრის შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენაც, გაიმართა კონფერენცია და საიუბილეო საღამო-კონცერტიც. ორივე თეატრის წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ საპატიო წოდებებით. საიუბილეო ღონისძიება პრესამ ფართოდ გააშუქა.

მე-20 საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში კი ინსპირირებულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ ცხინვალში ქართულ-ოსური ურთიერთობები გაართულა, მათ შორის ერთ ჭერქვეშ თეატრის ქართული და ოსური დასების ფუნქციონირების შესაძლებლობაც გაამწვავა. ამიტომაც 1990 წელს, იმჟამინდელი საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავჯდომარის გიგა ლორთქიფანიძის თაოსნობით და იმჟამინდელი საქართველოს კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანის განკარგულებით ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სხელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს გამოეყო ქართული დასი, ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურულ ერთეულად და ეწოდა ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელმაც ცხინვალში მხოლოდ ერთი სპექტაკლის - დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონის“ დადგმა მოასწრო, რის შემდეგაც თეატრი ლტოლვად იქცა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლტოლვილეობაში მყოფმა ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, მიუხედავად რიგი პრობლემების, შეძლო თბილისში ფეხზე წამოდგომა, შემოქმედებითი განვითარება და წინსვლა. დღეს იგი საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი საინტერესო კოლექტივია რეჟისორ გოჩა კაპანაძის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ლტოლვილების პერიოდში თეატრში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი რეჟისორები, როგორებიც არიან გიორგი გაბელაია, ნუგზარ ლორთქიფანიძე, ასევე ცალკეულ დადგმებზე გიორგი შალუტაშვილი, ნუკრი ქანთარია, მალხაზ ასლამაზიშვილი, თამარ ხიზანიშვილი და სხვები. თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეატრის განვითარებაში. დღეს ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო თეატრი სისტემატურად მართავს სპექტაკლებს, გასტროლებს საქართველოს რეგიონებში და უცხოეთში, მონაწილეობს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში და მაინც ცხინვალში დაბრუნების მოლოდინი არ ტოვებს ამ კოლექტივის თითოეულ წევრს, ისევე როგორც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. რაც შეეხება ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელმწიფო დრამატულ თეატრის მოღვაწეობას, ცნობილი მიზეზების გამო ამის თაობაზე ინფორმაციას არ ვფლობთ. იმედია, ისინიც აგრძელებენ შემოქმედებით ზრდა-განვითარებას და ისინიც ელოდებიან ცხინვალში თავიანთი თანამემამულეებისა და კოლეგების დაბრუნებას, რის შემდგომაც ცხინვალში სათეატრო ცხოვრება კიდევ უფრო მეტად გააქტიურდება, უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება. ამის იმედს იძლევა ის ფაქტი, რომ ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველ ხელოვანთა ძალისხმევასთან, რომ 1875-1990 წლებში, ერთიანი საქართველოს ფარგლებში ამ თეატრის იდენტობასა და განვითარებას საფრთხე არასოდეს დამუქრებია, რომ თბილისშიც და ცხინვალშიც მრავალი შერეული ოჯახია, ქართულ-ოსური, თუ ოსურ-ქართული ოჯახი, მათ შორის ცხინვალის ქართულ და ოსურ სახელმწიფო თეატრებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად მავანთა პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, ვიმედოვნებთ, რომ „სანთელი და საკმეველი“ გზას არ დაკარგავს. მანამდე კი სასურველია საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის ასამაღლებლად ამ ორი თეატრის წარსულის, ახლანდელი სახეობისა და მომავლის შესახებ ინტერვიუების მომზადება ცნობილ ხელოვანებთან, არტისტებთან, მეცნიერებთან და ქართულ და ოსურ ენებზე ინტერნეტში განთავსება, ასევე ცხინვალიდან თბილისის რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სწავლის მსურველებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ასევე სხვა ქვეყნებში გასამართ ფესტივალებში ერთსა და იმავე პერიოდში ორივე თეატრის მონაწილეობის ორგანიზება, რათა ხელი შეეწყოს კოლეგებს შორის უშუალო ურთიერთობებს, პროფესიულ ინტერესებს, ადამიანურ კონტაქტებს, ანუ ყველა იმ საშუალებისა და ფორმის მეშვეობით ისეთი აქტივობების განხორციელება, რაც ორივე თეატრისთვის იქნება მიმზიდველი და საინტერესო, მიზანშეწონილი მათი შემდგომი განვითარებისათვის, ერთმანეთისკენ სავალი გზებისათვის ხელშეწყობისათვის.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „ჩვენი აზრი“, 1909. №121;
2. „Закавказье“. 1909. #12.
3. „Тифлисский листок“, 1911. №100 .
4. ნ. ბეპიევი IV საერთაშორისო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ საკონფერენციო მასალა, სტატია „ოსური თეატრის ისტორიიდან“ 2018. გამომცემლობა „თბილისი“
5. ნ. ბეპიევი „ქართულ-ოსური ურთიერთობები“ თბ. 2018 გამომცემლობა „უნივერსალი“
6. კ. ნინიკაშვილი . „ცხინვალის თეატრი“ თბ. 2011 გამომცემლობა „სიტყვა“
7. რ. ჩეთითი, „ოსური თეატრის განვითარების გზები“, თბ.1976. გამომცემლობა „ხელოვნება“
8. ვ. ცაბაევი, „კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი“, ქ. სტალინირი, 1957. სამხრეთ ოსეთის გამომცემლობა „ქ. სტალინირი“.
9. კ. ნინიკაშვილი, კოსტა ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბ.1976. გამომცემლობა „ხელოვნება“.
10. ნ. ლაშხია, თ. მეშვილდე, ცხინვალის ქართული თეატრი“, თბ.1980. გამომცემლობა „ხელოვნება“.

Irine Sagenelidze

Georgia, Tbilisi

SIGNIFICANCE OF CREATIVE RELATIONS ON THE EXAMPLE OF GEORGIAN AND OSSETIAN THEATRES

The aim of the research theme is to illustrate preserving cultural identity and development on the model of the history of Georgian and Ossetian theatres within united Georgia; in the multiethnic society and existing in it tolerance and peaceful cohabitation; to outline contribution of Ossetians into Georgian cultural diversity. For achieving this aim the following tasks should be performed: 1. searching of archival materials concerning designated theatres; 2. description of facts and events proving emerging of theatres and joint overcoming problems from 1875 till 2008 years – starting with a theatre circle, finishing with establishing a theatre; 3. preparing interviews in Georgian and Ossetian languages on internet for rising acknowledgement of Georgian and Ossetian citizens.

Development of connections with the occupied Tskhinvali Kosta Khetagurov Theatre and Georgian theatres is actual as direct contacts among colleagues, together with professional interests, “develop human relationships too and weaken the pressure of the third force”,

Creating of appropriate conditions for wishful applicants from occupied territories at the Shota Rustaveli Theatre and Film University is important. Despite of severe resistance they will find a proper way for arriving in Tbilisi in case of readiness of the university.

Though, Georgia is successful in European-Atlantic space integration, some social, economic and legal problems need regulations. The actual question of occupied territories is existing there cultural centers. One of them is the Tskhinvali Kosta Khetagurov Theatre. Pre-servation of its individuality never was threatened and never will be within united Georgia.

ლელა სარალიძე

ისტორიის დოქტორი,

რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველო, თბილისი

მიხეილ ყიფიანის (1833–1891 წ.წ.) პოლვანეობის ისტორიიდან

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი და პედაგოგი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, 1833 წლის 12 აპრილს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში დაიბადა. მან განათლება გორის სამაზრო სასწავლებელში მიიღო, რომელიც 1849 წელს დაასრულა, ხოლო შემდეგ სწავლა კავკასიის სამიჯნო სკოლაში განაგრძო, დაეუფლა ტოპოგრაფიას, რის გამოც როგორც ნიჭიერი და მომზადებული ახალგაზრდა სამიჯნო დარგში სამუშაოდ მიიწვიეს (ბაბუნაშვილი, 1994:358). იგი აქტიურად მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“

დაარსებასა და მის საქმიანობაში. რმიხილ ყიფიანი სამიჯნო სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ხოლო აღნიშნულ სკოლასთან დაარსებულ საკვირაო სასწავლებლის ქართველი მოსწავლეებისთვის, ვახტანგ თულაშვილთან ერთად 1862 წელს არითმეტიკისა და გეომეტრიის სახელმძღვანელო შეადგინა. 1886 წელს მან პირველად დაბეჭდა „ქართული არითმეტიკა“. 1887 წელს ქართულ ენაზე დაიბეჭდა გეომეტრიის პირველი ნაწილი, პლანიმეტრია. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ წერდა: „...დაიბეჭდა ტფილისში ქართულად გეომეტრია, შედგენილი ზ. ყიფიანის მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია მხოლოდ ერთი ნაწილი გეომეტრიისა, სახელდობრ პლანიმეტრია. შემდეგი ნაწილები: სტერეომეტრია, უმდაბლესი გეოდეზია და ტრიგონომეტრია ბატონ მ. ყიფიანს დიდი ხანია მზად აქვს და ამ ნაწილების დაბეჭდვასაც აპირებს. ლოგარითმები უკვე დაუბეჭდია კავკასიში და ამჟამად თვით აქ იმყოფება, სხვათაშორის გეომეტრიის დარჩენილი ნაწილების დაბეჭდვის საქმის დასამთავრებლად“ („ივერია“, №101, 1890:2). მ. ყიფიანმა დიდი შრომა გასწია მათემატიკური ტერმინების დასადგენად. ამ მიზნით, მან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავში, მათემატიკური შინაარსის ძველი ხელნაწერები შეისწავლა და იქედან საჭირო ტერმინები ამოკრიბა. მ. ყიფიანმა ქართულად შეადგინა ბალკანეთის ნახევარკუნძულის რუკა, რომელიც გაზეთ „ივერიის“ რედაქციას შესწირა, ხელმომწერთათვის დასარიგებლად.

მიხეილ ყიფიანი ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ აქტიური თანამშრომელი იყო. იგი 1886 წლიდან სპირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით, წერილებს გაზეთ „ივერიაშიც“ აქვეყნებდა. მ. ყიფიანმა თარგმნა მიხეილ ლერმონტოვის მოთხრობა „ჩვენი დროის გმირი“, ასევე, ცნობილი რუსი კრიტიკოსის და პუბლიცისტის ბესარიონ ბელინსკის წერილები. 1864 წელს მელიქოვის სტამბისთვის მან ე. წ. ვენის შრიფტი შეადგინა, რომლითაც გაზეთი „დროება“ იბეჭდებოდა. მ. ყიფიანმა 1865-1866 წლებში თარგმნა ცნობილი ინგლისელი დრამატურგის და პოეტის უილიამ შექსპირის ტრაგედია „იულიუს კეისარი“, რომელიც ჟურნალ „ცისკარი“-ში დაბეჭდა (ცისკარი, №1, 1867:1-105). მან, ასევე, შეადგინა საქართველოს რუკა ხუთ ვერსიანი მასშტაბით.

1871 წელს მიხეილმა თერგის ოლქის სამიჯნო სამმართველოში დაიწყო მუშაობა. თავისი უანგარო შრომის მეოხებით, ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა შორის მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა. სამსახურის გამო, მიხეილ ყიფიანი საცხოვრებლად ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა, მაგრამ ქართულ საზოგადოებასთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია.

იგი ყოველთვის დაინტერესებული იყო საზოგადოების საჭიროებოთა საკითხებით და შეძლებისდაგვარად მათ მოგვარებაშიც იღებდა მონაწილეობას.

1879 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (Jones, 2005:37). აღნიშნული საზოგადოების თაოსნობით, არა მარტო მთელ საქართველოში, არამედ ვლადიკავკაზში, ალაგირში, ბაქოსა და ნალჩიკში სკოლები გაიხსნა, სადაც ქართველ ბავშვებთან ერთად, ოსი, აზერბაიჯანელი და ჩერქეზი ბავშვებიც სწავლობდნენ. სწორედ, ამ საზოგადოების ანალოგიით, 1883 წელს ვლადიკავკაზში „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საქველმოქმედო საზოგადოება“ დაარსდა, რომლის შექმნის ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე მიხეილ ყიფიანი იყო, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. მან ჩაუყარა საფუძველი ოსეთში საგამომცემლო და საბიბლიოთეკო საქმეს, მისი თაოსნობით გამოიცა „ოსური ანბანი“. მ. ყიფიანმა გახსნა ქართული სკოლები სტეფანწმინდასა და ვლადიკავკაზში. მის წიგნში „ყაზბეგიდან იალბუზამდე“ აღწერილია მთიელთა მძიმე და გაუსძლისი ცხოვრება (ბეპიევი, 2019:26).

XIX საუკუნის 60-80-იან წლებში, ჩრდილოეთ კავკასიაში ძალიან ბევრი ქართველი გადასახლდა. ამის მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, სოციალური პრობლემები იყო. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით, მოხევები, მთიულები და რაჭველები მიდიოდნენ იქ და სამუშაოს შოვნის იმედით სახლდებოდნენ. XIX საუკუნის ბოლოს, 80-იან წლებში, ქართველების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და ქართველი ბავშვებისთვის საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა გახდა საჭირო. ქართველი საზოგადო მოღვაწის, მიხეილ ყიფიანის თაოსნობითა და აქტიური მოქმედებით, ვლადიკავკაზში საფუძველი ჩაეყარა სკოლის დაარსებას. იგი თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში წერილებს გზავნიდა და ვლადიკავკაზში სკოლის გახსნის საკითხზე აქტიურად მუშაობდა. ასევე აქტიურობდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი ყაზბეგი. მათ მინის ნაკვეთი აიღეს და სკოლის მშენებლობა დაიწყეს. ამ საქმეში, ასევე, აქტიურად იყო ჩართული, გიორგი ყიფიანის მეგობარი, ცნობილი ოსი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი. ისინი სამაგალითო მეგობრობი იყვნენ. მათი აქტიურობით და საქართველოში მცხოვრები რამდენიმე ქველმოქმედის, დავით სარაჯიშვილის, ძმები სამადაშვილებისა და სხვების ფინანსური მხარდაჭერით, 1888 წელს სკოლის შენობა უკვე დასრულებული იყო. სკოლის პედაგოგები ძირითადად,

ადგილობრივი ქართველები იყვნენ, თუმცა, ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით, რამდენიმე მათგანი იქ თბილისიდანაც ჩავიდა. მ. ყიფიანის საზოგადოების ეგიდით ოსურ სკოლებში მოღვაწეობდნენ ლავრენტი წერეთელი, კლავდია მაისურაძე, მატრონა ჯაფარიძე, ფილიპე უნგიაძე და სხვები. ვლადიკავკაზში მცხოვრები ქართველთა სათვისტომო აწყობდა თეატრალურ დადგმებს და ასე აგროვებდა სკოლის კეთილმოწყობისთვის საჭირო თანხას. ამ დროს ორი კეთილი საქმე ერთდროულად გაკეთდა - სკოლისთვის თანხაც შეგროვდა და თეატრალურ დასსაც ჩაეყარა საფუძველი. ჩრდილოეთ კავკასიაში პირველმა ქართულმა თეატრმაც გახსნა სეზონი. მას მხოლოდ ჩრდილოკავკასიელი, ვლადიკავკაზელი მაცურებელი არ ჰყავდა, ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან, დაღესტნიდან, ალექსეევკიდან (სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში - ლ. ს.) ჩამოდიოდნენ. მოგვიანებით, თეატრალურ დასს ძალიან ბევრი პრობლემა გაუჩნდა და ფუნქციონირება შეწყვიტა. სკოლის მმართველად ლუარსაბ გოცაძე დაინიშნა. იმ წლებში, ვლადიკავკაზში მოღვაწეობდა სასულიერო პირი, მამა გიორგი ნათაძე, რომელიც ახალი სკოლის მოსწავლეებს საღვთო საქმეს უკითხავდა. მამა გიორგი იყო „ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ვლადიკავკაზის განყოფილების მდივანი. იგი ილია ჭავჭავაძეს ხშირად აწვდიდა საჭირო ცნობებს და ანგარიშებს ვლადიკავკაზში მუშაობის შესახებ და გაზეთ „ივერია“-სთანაც აქტიურად თანამშრომლობდა. მამა გიორგის სახელთანაა დაკავშირებული ვლადიკავკაზის ქართულ სკოლასთან ქართული თეატრის დარბაზის აღმშენებელი კომიტეტის დაფუძნება, რაზედაც მან დიდი მუშაობა გასწია და ამ საქმისთვის უამრავი შეწირულება შეაგროვა. მისი თაოსნობით ვლადიკავკაზში შედგა სცენისმოყვარულთა წრე, რომელშიც მონაწილეობდნენ: ელო ანდრონიკაშვილი, არჩილ ავალიშვილი, ნიკო კურდღელაშვილი, თომა სარაჯიშვილი, კონია კახიანი და სხვები. რმღველი გიორგი ხშირად მართავდა საღამო-წარმოდგენებს და მთელ შემოსავალს, დახმარებისა და სტიპენდიების სახით, ახალგაზრდა ნიჭიერ და ხელმოკლე ქართველებს უგზავნიდა. გიორგი ნათაძემ თავისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველაზე დიდი დრო ვლადიკავკაზის ქართველი მოსახლეობის ერთგულ სამსახურში გაატარა, სადაც 35 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა დარხალხის უზომო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მასთან ხშირად თავს იყრიდნენ ვლადიკავკაზში მყოფი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები: იასონ ლორთქიფანიძე, მოსე კალანდარაშვილი, იასონ მოზდოკელოვი, იოსებ შვილიევი და სხვები. როცა 1908 წელს ცნობილმა დიდმა ქართველმა პედაგოგმა ლუარსაბ ბოცვაძემ, სკოლაში თოთხმეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ჟურნალ „განათლების“ თავკაცად დანიშნის გამო, ვლადიკავკაზი დატოვა. სკოლის პატრონობა გიორგი ნათაძემ ითავა.

1917 წლის 8-17 სექტემბერს, როგორც ქალაქ ვლადიკავკაზის ქართველთა ჯგუფის ოფიციალური წარმომადგენელი, გიორგი ნათაძე საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებასრესწრებოდა. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, მიხეილ ყიფიანი მთარგმნელობითი საქმიანობა იყო დაკავებული. მას ეკუთვნის ლერმონტოვის, შექსპირისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმნა.

1867 წელს ჟურნალში „ცისკარი“ დაიბეჭდა მიხეილ ყიფიანის მიერ თარგმნილი შექსპირის ტრაგედია - „იულიუს კეისარი“. ჟურნალში დაბეჭდილი თარგმანები ხშირ შემთხვევაში აჭრელებული იყო რუსიციზმებით, ბარბარიზმებით, უაღრესად კუროიზული გამოთქმებითა და ტერმინებით, ხოლო მიხეილ ყიფიანის თარგმანები დახვეწილობით გამოირჩევა. თარგმანს იგი ურთავს კომენტარებს, რათა მკითხველისთვის უკეთ იყოს გასაგები ზოგიერთი მოვლენა თუ ისტორიული პირის ვინაობა.

ქართულ ენასთან დაკავშირებით, მიხეილ ყიფიანი წერდა: „ქართველი ხალხი იმით არის ბედნიერი, როგორც ამბობს ყოვლად სახსოვარი ენების უსლარი (ან განსვენებული-იგულისხმება რუსი ლინგვისტი პეტრე კარლოს ძე უსლარი (1816-1875 წ.წ. - ლ. ს.), რომ რთულს დედა-მინის ზურგზე არც ერთს ხალხს არა აქვს ისეთი თავის ენის შესაფერისი ანბანი, როგორც ქართველებსა: ყოველს ხმასა აქვს თავისი გამოსატყვის ნიშანი. ეს უნდა მიგვაჩნდეს საკვებხარად, სულითა და გულით მონდომილები ვიყვეთ, რომ არაფრით შეგვეცვალოს და გაგვიძნელდეს მამა-პაპათგან დატოვებული ენა...“ (ჩიტორელიძე, 1886: 2).

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების და ქართული ეკონომიკის გაძლიერების მიზნით, მ. ყიფიანმა თბილისში ქართველთა სავაჭრო და სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების დაარსება გადაწყვიტა. ორგანიზაციის წესდების პროექტი მან სპირიდონ მაჭავარიანთან (1807-1892 წ.წ.), ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელთან ერთად შეადგინა და გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა.

მიხეილ ყიფიანი 1891 წლის 2 მარტს, ვლადიკავკაზში გარდაიცვალა. გაზეთი „ივერია“ მ. ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა; „...როცა მოძმენი და თანამემამულენი გულდანდობით

შესცქეროდნენ იმის ჭკვიანსა და გონიერ სახეს, იმის ჭალარა შერთულს თმასა და ნვერს და მრავალს სიკეთეს კიდევ მოელოდნენ მისგან, სწორედ, მაშინ იმსხვერპლა სიკვდილმა ეს ჩვენ მიერ ძნელად გასამეტებელი და ძნელად დასათმობი კაცი-ჩვენი ძვირფასი მიხეილ ზაალის ძე. სიკვდილმა სწორედ იმ დროს გამოგვაცალა ხელიდამ ეს დაუღალვი მუშაკი, როცა განსვენებული დიდის მხნეობითა და ხალისით ზრუნავდა საზოგადო საქმისათვის. სიკვდილამდე სულ რამდენიმე დღის წინათ მოუვიდა იმისი წიგნი ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომელსაც ატყობინებდა, რომ სტეფანწმინდაშიც ვახერხებთ სკოლის გამართვას... ჯერ დღესაც იბეჭდება ტფილისში და ამ მოკლე ხანში მზად იქნება განსვენებულის ქართული სახელმძღვანელო გეომეტრიისა, რომელიც შეიცავს სტერეომეტრიას, მცირე გეოდეზიასა და ტრიგონომეტრიას. უკანასკნელ ხანებშივე განსვენებული სცდილობდა ლოგარითმების დაბეჭდვას კავკავში და უზრუნველყოფას იმ სკოლისა, რომელიც თავის მხნეობით დააარსა იქაურ ქართველთა ყმანვილებსათვის... ბევრი რამ კეთილი ფიქრი და აზრი კიდევ სხვა ჰქონდა განსვენებულს თავისი ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა საქმედ გადაექცია და განეხორციელებინა. ყოველივე ეს ფიქრი და აზრი თან წაიღო საფლავში და დასტოვა ობლად და მგლოვიარედ იქ თავის დიდად ნაამაგვე კავკავის ქართული სკოლა და აქ ის მცირე დასი ქართველ მოღვაწეთა, რომლის მხნე და დაუღალავი წვერი იყო განსვენებული. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!“ („ივერია“, №48, 1891:1-2). მიხეილ ყიფიანის გარდაცვალებას, მისი მეგობარი, ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ჭეშმარიტი მამულიშვილი, კოსტა ხეთაგუროვი, ამაღლელებელი სტრიქონებით გამოემართა: „ბევრი კი იყო განა მასავით, ქოხებში მბრწყინავ ცოდნის ვარსკვლავად, რომ ვყვარებოდით მისებრ ძმასავით და მტერთ შებმოდა ჩვენს დასაცავად?“ (ხეთაგუროვი, 1939:2). მ. ყიფიანი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის ურთიერთგაგება და მეგობრობა სიმბოლურად გამოხატავს იმ ურთიერთსოლიდარობას, რომელიც ყოველთვის არსებობდა ქართველ და ოს ხალხს შორის. ვიმედოვნებთ, რომ დადგება დრო და ქართულ-ოსურ თანაცხოვრებაზე წარსულ დროში აღარ ვისაუბრებთ. ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების სამაგალითო საქმეები დაგვეხმარება მტრობის დავინწყებასა და ჩატეხილი ხიდის აღდგენაში.

ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ. *მამულიშვილთა სავანე*, თბილისი, 1994.
2. ბეპიევი, ნ. მიხეილ ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი. *ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები*, V საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, რედაქტორი ნ. ბეპიევი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019.
3. გაზ. *ივერია*, №101, 15 მაისი, თბილისი, 1890.
4. ხეთაგუროვი, კოსტა. მეგობრის კუბოსთან, მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალების გამო. თარგმანი სანდრო შანშიაშვილისა, *საბჭოთა ოსეთი*, 15 ივლისი, №153, 1939.
5. ყიფიანი მიხეილ (ნეკროლოგი), *ივერია*, №48, 5 მარტი, თბილისი, 1891.
6. შექსპირი უილიამ. იულიუს ცეზარი, ნათარგმნი დრამა მ. ყიფიანისა, *ცისკარი*, თებერვალი, #1, თბილისი, 1867.
7. ჩიტორელიძე, ს. წერილები გადალმიდან. *ივერია*, 2 დეკემბერი, №261, თბილისი, 1886.
8. Jones, Stephen. *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883-1917*, Harvard University Press, 2005.

Lela Saralidze

*Doctor of History, Chief Scientist - researcher of the
Regionalism Research Institute
Georgia, Tbilissi*

FROM THE HISTORY OF THE ACTIVITY OF MIKHEIL KIPIANI (1833-1891)

Mikheil Kipiani (1833-1891) was a well-known Georgian public figure, publicist, translator and educator of the 19th century. He was actively involved for establishment of the Society for the Spreading of Literacy among Georgians and its activities. He received his education at the Gori Graduate School, which he completed in 1849, after which he continued his studies at the Caucasian Gymnasium and mastered the topography and was invited to work as a talented and trained young Gymnasian. Mikheil also did pedagogical work at the school, and in 1862, with Vakhtang Tulashvili he compiled a textbook for arithmetic and geometry for Georgian students of the Sunday school established there. Mikheil Kipiani was a co fighter of Ilia Chavchavadze and an active contributor of the magazine *Georgian Moambe*.

Since 1886 he has been publishing letters even in the newspaper „Iveria“ under the pseudonym of Spiridon Chitorelidze.

In 1871, Michael began work in the Tergi District. Thanks of his unselfish labor, hi earned great respect among the inhabitants of the North Caucasus. In 1864, together with others, he created a Georgian font, which was published the newspaper „Droeba“ and called „Venous font“. Since 1871, Mikheil Kipiani moved to the North Caucasus because of his work, but the connection with Georgian society has not stopped. He has always been interested in the pressing issues of the community and has been involved in resolving them as far as possible.

Mikheil Kipiani was also involved in translation work. He owns translations of works by Lermontov, Shakespeare and others. 1867, in the journal *Tsiskar* was published Shakespeare's play – „Julius Caesar“ translated by Mikheil Kipiani. Mikheil Kipiani's translations are exquisite. In order to make the reader understand some of the events or the historical person, he compiles comments.

He opened Georgian schools in Stepantsminda and Vladikavkaz. In 1879, „The Society for the Spreading of Literacy among Georgians“ was founded. Under the leadership of this community, not only throughout Georgia, but also in Vladikavkaz, Alagiri, Baku and Nalchik, schools which opened for Georgian, Ossetian, Azeri and Circassian children. By the analogy of this society, a charitable society for the dissemination of education and technical knowledge among the mountaineers of the Tergi region, was founded in Vladikavkaz in 1883. The initiator and first chairman of this establishment was Mikheil Kipiani, where he worked to the end of the laugh. He founded the publishing and library business in Ossetia. Under his direction, the “Ossetian alphabet“ was published. Despite the resistance of the Russian administration to the Tsar, the Georgian school established in Vladikavkaz in 1888, despite many difficulties, is still operating today. The friend of George Kipiani, the famous Ossetian poet Kosta Khetagurov, who had an exemplary friendship, also participated in the construction of the school.

The only Georgian church in Vladikavkaz is quite old. Originally it was the church of St. Nino, which was opened in 1898 at the Georgian elementary school. At the entrance to the temple there is a trilingual memorial plaque that says: „Mikhail Kipiani and Kosta Khetagurov - prominent representatives of the Georgian and Ossetian peoples met here often. Their relationship is a symbol of friendship between the two nations“.

Mikheil Kipiani died on March 2, 1891 in Vladikavkaz. The newspaper *Iveria*, issue No. 48, published an extensive obituary, that details the activities of Mikhail Kipiani. He is buried in the pantheon of great writers and public figures in Didube.

გიორგი სოსიაშვილი

პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
საქართველო, გორი

ოსთა სასამართლოები დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში (XIX საუკუნის დასაწყისი)

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჩამოსახლებულ ოსთა ახალშენები, XVII საუკუნეში თავდაპირველად შიდა ქართლის მთიან ნაწილში გაჩნდა.¹

ცნობილია ისიც, რომ ოსების ჩამოსახლებას დაუსახლებელი ადგილების ათვისების თვალსაზრისით, სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერით ხელს უწყობდნენ ქართველი ფეოდალები, მათ შორის მაჩაბლები.² საქართველოში დასახლებულ ოსებს ქართველ გლეხთა მსგავსად ფეოდალური ვალდებულებების შესრულება უწევდათ. გადასახადებს ისინი უმთავრესად ნატურის სახით იხდიდნენ.³ ოსთა მიგრაცია თანდათანობით ხდებოდა. ჩამოსახლების პირველ პერიოდში ხდებოდა მათ მიერ ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის შევიწროება.

XVII საუკუნის I ნახევარში, დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოსულ ოსთა პირველი ჯგუფები აქ არსებულ სოფლებში სახლდებოდნენ. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XVII საუკუნის I ნახევარში შედგენილი ნასყიდობის სიგელი ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაზა მაჩაბლებისადმი,

¹ რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 219.

² საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 158.

³ გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 87.

შიდა ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული ოსები ხშირ შემთხვევაში უარს ამბობდნენ გადასახადის გადახდაზე. სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა საქართველოში მიგრირებულ ჩრდილოკავკასიელთა მორჩილებაში მოსაყვანად დამსჯელი ექსპედიციები მოეწყო. სენია ჩხეიძის ცნობით ამ მიზნით ილაშქრეს ლიახვის და ქსნის ხეობებში ერეკლე II და თეიმურაზ II.¹ შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსების დაუმორჩილებლობა სხვა წყაროებითაც დასტურდება. 1783 წლით თარიღდება ერეკლე II ერთ-ერთი სიგელი, სადაც საუბარია ოსების მიერ ცხინვალში ამილახვარ გიორგი აბაშიძის საკუთრებაში მყოფი ხიზანი გლეხის გატაცებაზე. ქართლ-კახეთის მეფე გიორგი აბაშიძეს ხიზნის გამტაცებელი ოსების და მათი ნათესავების შეპყრობას ავალეზდა.² ოსების დაუმორჩილებლობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის 1779 წელს, ბარძიმ მაჩაბლის მიერ სამეფო ხელისუფლებისადმი გაგზავნილი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ ოსები სამი წლის განმავლობაში ბეგარაზე უარს ამბობდნენ: „ღმერთმა თქვენი რისხვა მამცეს, თუ ასერა სამი წელიწადია მე იმათი ბეგარა მენახოს, უკუმდგარნი გახლანან. არავის არ ზოგავენ, სვერი იმათ დააცლევინეს“.³ ბარძიმ მაჩაბელს, როგორც ჩანს, განდგომილი ოსები მოლაპარაკების შედეგად შემოურიგებია და მათ მიერ დაკავებული კეხვის ციხეც გაუთავისუფლებია. ამ დამსახურების გამო გიორგი XII მემკვიდრემ დავით ბატონიშვილმა ბარძიმს სახასო მამულები უბოძა: „თქვენ როგორც შეგეფერებოდათ, ისე გაისარჯენით, მთლად დიდის ლიახვის ოსები შემოგვარიგეთ, თქვენი ყმანი და სხვისი ყმანი და კეხვის ციხეც აიღევით. რისთვისაც სახასო მამულები გვიბოძებია“.⁴ ოსების მიერ შიდა ქართლის მოსახლეობის შევიწროების შესახებ სხვა არაერთი დოკუმენტიც არსებობს.⁵ 1796 წელს, პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ ვანათში დაპირისპირებულ ოსებს და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას შორის **მშვიდობიან თანაცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით სისხლის დაუღვრელობის შესახებ „ფიცის წიგნი“ დაიდო.** შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში ოსებს და ქართველებს მებატონისა და მოურავისადმი თითო თუმანი უნდა გადაეხადათ, ხოლო თუ ვინმე მოლაღატე გამოერეოდა, სოფელს მისი ხარი უნდა დაეკლა. ერეკლე II უკმაყოფილებას გამოხატავდა ადგილობრივ მცხოვრებლებზეც, რომლებიც ოსების მოგერიებას ვერ ახერხებდნენ: „ქ რა დაგემართათ და რა მოხდა, ოცი ლეკი მოვა, თქვენ გახდენსთ, ოცდა ათი თქვენ გახდენსთ. რომ ჴმას ვერ გაცემთ თუ ყველანი ერთად არ შეიყარენით. სირცხვილი არა გაქვსთ და ნამუსი. და ეს იცით, როცა თქვენი მეზობელი აღარ იქნება, აღარც თქვენ იქნებით. ქვეყანაში თავი როგორღა გამოგეყოფათ, რომ იმათგან გეშინოდესთ. მაგდენს სოფელს და მაგდენს კაცსა თქვენ უნდა მისცეთ. რაც მაგათ დაეკარგებათ, როგორც ჩვენი განაჩენი არის, ისე. რომელიც სოფელი მაგათ ახლო არის, იმათ უნდა გადაიხადონ. რომელიც იმ გვარნი კაცნი ხართ, რომ შეგიძლიათ და არა იქთ, ჩვენ იმას გარდავახდევინებთ. სულ აგიკლებთ. მე საბრალოს კაცთან საქმე არა მაქვს რა. რომელიც უფროსი კაცნი ხართ, თქვენ გადაგახდევინებთ“.⁶

1808 წელს, გერის ხეობაში ჩამოსახლებულმა ოსებმა დავით თარხნიშვილს (თარხანოვს) თავდებობის წიგნი მისცეს: „წელსა ჩყხ დეკემბრის ბ დღესა ესე თავდებობის წიგნი მოგართვი თქვენ თავად დავით თარხნიშვილს ჩვენ ერთობთ გერის ხეობის ქოქი შვილმა ჯივიმ და ერთობით ჩემა გვარი შვილებმა არბილიშვილმა პეტრემ და ერთობით ჩემა გვარიშვილებმა ბეკოშვილმა ხოსრომ და ერთობით ჩემმა გვარიშვილებმან ყულუნ ბეგაშვილმა ძაღლოამ // და ერთობით ჩემმა გვარმან გოგიჩაშვილმა ტატურჩიმ და ერთობით ჩემმა გვარის შვილებმან ჩოჩი შვილმა ყიყომ და ერთობით და ერთობ ჩემმა გვარის შვილებმან ასე რომ ჩვენის ხეობის თავდებათ დავდექით დღეის იქით თუ ჩვენის ხეობის კაცმან აკვაცობა და ქურდობა ქნან სადმე ამ თავდებათმან გადავიხადოთ სადაც ჩვენი გვარის კაცისა სახლობს ქართლში თუ ოსებში სულ ყველანი თავდებნი ვართ და რაც დღეს ჩვენს ხეობაში ნაქურდალი არის ისიც ჩვენ მოგაბაროთ და აგრეთვე თუ დანაშაული აქვს ვისმეს ისიც სამართალით ჩვენ გარდვიხადოთ რაც სახელმწიფო ბეგარა არის ყოველთვის უკლებრათ გავილოთ და საუკუნოთ ამ ერთგულებით მოვიქცეთ და თუ ამაზედ გავმტყუნდეთ მაშინ ნება გაქვსთ ყველას სადაც ამ თავდებათის გვარი დახელოთ გვარდაგახდევინეთ. ამათის თხოვნითა დავწერე მე მოქალაქე ანტონ მემანდარბაშოვი. მოურავი მირზას შვილი ბეჟან ამის დამწერი ვარ და მონამე“.⁷ ჩამოსახლებული ოსებისათვის შიდა ქართლის მთიან ნაწილში, კერძოდ, დი-

¹ გ. სოსიაშვილი, ოსიანობა და სამაჩაბლო, ძიებანი, თბ., 2007, გვ. 30.

² История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), Составители: Г.Д. Тогошвили и И.Н. Цховребов, т. I, Цхинвали, 1962, стр. 150, №83.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, ი. დოლიძის რედ. თბ., 1981, გვ. 440.

⁴ სცსსა, ფონდი, №1450, დავთარი, 26, საბ. 162.

⁵ ვრცლად. იხ. ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 232-234.

⁶ სცსსა, ფ. 226, №5309.

⁷ Hd - 10664; გსიემ 8059, დავთ I, გვ. 45, დავთ II, გვ. 157.

დი და პატარა ლიახვის ხეობებში სპეციალური სამოურავოები შეიქმნა, რომლებიც სამეფო ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ იყო.^{1*}

პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა სამოურავო ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოსაც, რომელიც ბადაან-ხოდელის სახელწოდებით იყო ცნობილი. აღნიშნულ სამოურავოს საპატრიარქოს ადმინისტრაციის წარმომადგენლები – გედევანიშვილები ზედამხედველობდნენ.²

ოსები თავდაპირველად ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ გარემოს, არ იხდიდნენ გადასახდებს, ამის შესახებ ძალზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1791 წლით დათარიღებული, ქსნის ხეობაში მცხოვრები როსტომ ჟურულის მიერ იოანე ბატონიშვილის სახელზე შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ლ[მერ]თ[მან] მათის უმაღლესობის მეფის ძის იოანეს ჭირი მომცეს თქვენს მონას ჟურულს როსტომს. მერმე ამას მოგახსენებ ჩემო ყ[ოვლ]ად მოწყალევე ხხელმწიფევე, რომ ისროლის ხევზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობა, მამა-პაპის მემკვიდრე და ის ჩემი კაცი აიყარა და ნავიდა და იმისის მამულის წყალობა დამემართა თქუენგანა და ოსი გუსი რომ გახლავს ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული დაუბრძანეთ, რომ რაც რამ ერგებოდეს თავისის მამულისა, ამ ჟურულს როსტომს ემსახურეო. სამი წელიწადი არის რომ ის მამული მე მებოძა და ის კაცი სჭამს და ჩემთვის ერთის ფულისა არა მოუცია რა. წყალობა ვითხოვ, თუ იმ მამულის წყალობა დამემართება, რომ ერთი ოქმი მებოძოს გლახა ბოქაულთ ხუცის შვილზედა, რომ ის ჩემი მამული მე მებოძოს. გევედრები რომ მოწყალეება დამემართოს, თქვენს მეტი შემბრალებელი არავინა მყავს.“³ იოანე ბატონიშვილმა თავის მოხელეებს ჟურულისთვის მამულის დაბრუნება დაავალა და ჩამოსახლებულ ოსს სხვა ვალდებულებაც დააკისრა: „რაერთი ხანიც გუსის უჭამია და მისთვის არა ურგია რა, ისიც სამართლიანის საქმით გამოურთვიოთ“.⁴

სიმონოვიჩის მიერ დანესებულია დროებითი სასამართლოები როგორც თავად მაჩაბლების ქვეშევრდომი ოსებისათვის, ისე არაგვის და პატარა ლიახვის ოსებისათვის. ქეშელთის ოსებმა მისი საიმპერატორო აღმატებულებისადმი ერთგულების და საქართველოს ხელისუფლებისადმი მორჩილების ფიცი დადეს.⁵

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, კნორინგის დავალებით სიმონოვიჩმა სამაჩაბლოში, ასევე არაგვისა და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსებისათვის დროებითი სასამართლოები დააწესა. ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მთავარმართებელ კნორინგისადმი წარდგენილი პატაკიდან ირკვევა, რომ დიდი ლიახვის და ფცის ხეობაში ჩამოსახლებულ ოსებში წესრიგის დამყარების მიზნით საგანგებო სასამართლო შეიქმნა ჯავამი. სასამართლოს შემადგენლობაში ხელისუფლების გადანყვეტილებით მაჩაბელთა სათავადო სახლის ოთხი წარმომადგენელი შევიდა. აქედან ზაზა და რევაზ მაჩაბლებს დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსების საქმეების მონესრიგება ევალებოდათ, ხოლო ელიზბარ და ბარძიმ მაჩაბლებს ფცისა და ქეშელთის ხეობებში მცხოვრებ ოსთა საკითხები უნდა განეხილათ. სასამართლოში შედიოდნენ ოსების მიერ არჩეული უხუცესები. როგორც დოკუმენტშია მითითებული, ოსი უხუცესებიდან ზაზა და რევაზ მაჩაბელს მიამაგრეს ელიზბარ ცხოვრებაშვილი და ქუჯანა ბარძიონაშვილი, ასევე რამდენიმე იასაული-აქედან ქართველები: მამუკა ზუბაშვილი, ქაიხოსრო ზუბაშვილი, ქაიხოსრო ბუგიანაშვილი, გოგია ბუგიანაშვილი, ოსები: გაჩა ელიზბაროვი, ხუგო ჯიომვილი, აბელა ჯიომვილი. სასამართლოს ამ ჯგუფს თავისი მდივანიც ჰყავდა-როსტომ ბეგთაბეგოვი (ბეგთაბეგოვიშვილი). ჯავამი შექმნილი ოსების სასამართლოს მეორე ჯგუფში როგორც აღვნიშნეთ, შედიოდნენ ელიზბარ და ბარძიმ მაჩაბლები. ჯგუფის წევრები იყვნენ უხუცესები: ფავლენა აღხაზაშვილი, აბელა გაზაშვილი, ქუჯანა ლომკაცოვი და გაჩა ქელესაშვილი. სასამართლოს მეორე ჯგუფის იასაულებად ქართველებიდან დანიშნეს გოგია ზუბაშვილი, კასრაძე ოთარაშვილი (დოკუმენტში, როგორც ჩანს სახელებია გამორჩენილი), პეტრე მალაღდაძე, ოსებიდან: დიტო გაბარაშვილი, ება ხარებაშვილი, ქეჯე თიბილაშვილი. ოსთა სასამართლოს აღ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 363.

* დოკუმენტების მიხედვით, ოსთა ერთ-ერთ სამოურავოს მირზაშვილები განაგებდნენ. История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), Составители: Г.Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. I, Цхинвали, 1962, стр. 184, №129; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. №6961. დიდი ლიახვის ხეობის არაერთი სოფელი, სადაც ოსები იყვნენ ჩამოსახლებულები, ერეკლე II მიერ 1772 წელს გაცემული სიგელის თანახმად სამოურავოდ ბოძებული ჰქონდათ ფავლენიშვილებს. История Осетии в документах и материалах (С древнейших времен до конца XVIII века), Составители: Г.Д. Тогошвили и И.Н. Цховребов, т. I, Цхинвали, 1962, стр. 123-124, №43.

² გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953, გვ. 188, №205.

⁴ იქვე, გვ. 188.

⁵ Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. I, 1866, Тифлис, стр. 588, №775.

ნიშნული ჯგუფის მდივანი იყო მღვდელი იოსებ ეფემიევი. სასამართლოს თარჯიმნობას უწევდა ნარში მცხოვრები ალექსი მამიევი. ოსებს უფლება ჰქონდათ ყოველწლიურად აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები სასამართლოში. ჯავის სასამართლოში ოსთა წარმომადგენლობა გორის სამოქალაქო სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა. ოსებისათვის შექმნილ სასამართლოს უნდა ემოქმედა ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, რუსული ხელისუფლების ზედამხედველობით. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სასამართლოს შეეძლო დროებითი ადგილსამყოფელი ჰქონოდა სოფელ ც(ხ)ომი. სასამართლოს წევრებს რეკომენდაცია ეძლეოდათ, რომ ოსებთან, როგორც „ახლად მოქცეულ ხალხთან“ გარკვეული ღმობიერება გამოეჩინათ. სასამართლოს უნდა განეხილა ქურდობის, მოსახლეობის და პირუტყვის გატაცების საქმეები, ასევე ქონებრივი დავები. საკითხები, რომლებსაც ჯავის სასამართლო ვერ გადაწყვეტდა გორის სამოქალაქო სასამართლოს გადაეცემოდა.¹ პატარა ლიახვისა და არაგვის ხეობებში მცხოვრები ოსებისთვის ასეთივე სასამართლო შეიქმნა სოფელ ვანათში, სადაც ხელისუფლების გადაწყვეტილებით შედიოდნენ მანუჩარ თუმანოვი (თუმანიშვილი) და გიორგი ხერხეულიძე. არაგვის ხეობაში მათი დამხმარენი იყვნენ ოსი უხუცესები: გუსი ქოქოშვილი, დოვლათა ყულუმბეგაშვილი, ჯაჩე უტიაშვილი, ვანათის სასამართლოს არაგვის ხეობის განყოფილებას ჰყავდა ორი იასაული, ქართველი-სიმონ ასამბეგაშვილი (სოფელ ვანათიდან) და ოსი ხიკო (სოფელ უკედელიდან). ვანათის სასამართლოს იმ ნაწილს, რომელსაც პატარა ლიახვის ხეობის საკითხები უნდა განეხილა, ოსი უხუცესებიდან წარმოადგენდნენ: აბელა ბესტავაშვილი, შავეყუჯა ფუსაშვილი, პავლე ვალიშვილი. სასამართლოს აღნიშნული განყოფილების იასაულები იყვნენ: გოგია ხადური (ეროვნებით ქართველი) და როსტომ იკაშვილი (ეროვნებით ოსი). ვანათის სასამართლოს მდივანი იყო სოფელ არბოში მოღვაწე მღვდელი გიორგი გვიმრაძე, ხოლო თარჯიმანი აზნაური აუშტროვი (დოკუმენტში დამახინჯებით არის გვარი მითითებული). ჯავის სასამართლოს მსგავსად, ოსებს ვანათის სასამართლოშიც შეეძლოთ თავიანთი წარმომადგენლების არჩევა, რაც გორის სამოქალაქო სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა.² დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ოსებისთვის შექმნილი სასამართლოების მიზანი მათი მხრიდან ქართულ მოსახლეობაზე თავდასხმების აღკვეთა იყო. **ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დაპირისპირებას არ ჰქონდა ეთნიკური ხასიათი.** იმუამინდელი რეციდივები უმეტესწილად სოციალური შინაარსს ატარებდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული მთიელი ოსების მხრიდან ბარის მკვიდრ ქართულ მოსახლეობაზე დანოლას მხოლოდ სამეურნეო ნადავლის, ნაყოფიერი ადგილების ხელში ჩაგდების მიზანი წარმოადგენდა. ისინი ბარის მაცხოვრებელთა მსგავსად შეჩვეული არ იყვნენ გადასახადების დროულ გადახდას, სახელმწიფო წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ბინადარი ცხოვრება ოსებისთვის შედარებით უცხო იყო. მათი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა, ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.

Giorgi Sosiashvili

Gori State Teaching University, Professor

OSSETIAN LAW COURTS IN DIDI AND PATARA LIAKHVI GORGES (THE BEGINNING OF THE XIX CENTURY)

As it is known, the first settlements of Ossetians, migrated from the North Caucasus appeared in the XVII century in the mountainous regions of Shida Kartli. In search of better living and agricultural conditions the migrated Ossetians settled in Didi and Patara Gorges, and also on the upper slopes of Ksani, Aragvi, Kudaro and Truso Gorges. It is also known that the migration of Ossetians with the aim to use up the uninhabited villages and to populate the isolated villages was supported by the Royal Government, and Georgian feudal lords also helped them, among them were the Machabeli. The Ossetians who settled in Georgia had to fulfil feudal obligations just like Georgian peasants. Taxes were mainly paid in kind. They often oppressed and robbed the local population. Special counties (Samouravo) were established in Shida Kartli mountainous region, particularly in Didi and Patara Liakhvi Gorges for the settled Ossetians. According to the documents, Ossetians Samouravo in Didi Liakhvi Gorge was controlled by the Royal Government, and the Badaan – Khodeli Samouravo, which was settled by the Ossetians in Patara Liakhvi Gorge was controlled by patriarchal governors – the Gedevanishvili. According to these documents, the Ossetians raids on Georgian population continued in the XIX century as well. As it gets obvious from the letter of Commander – in – Chief Knorring to the State Adviser Kovalenski, the Ossetians raids and robbing of the local population in the Georgian villages of Liakhvi

¹ Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. I, 1866, Тифлис, стр. 583, №771.

² Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. I, 1866, Тифлис, стр. 583, №771.

and Ptsa Gorges were extremely frequent. In March, 1802 the Caucasus Grenadier Regiment under the leadership of Vice Colonel Simonovich held a military expedition to make the Ossetians surrender. As a result of the expedition, Ossetian hostages were taken. According to Knorring's task, Simonovich established temporary law courts for the Ossetians living in Samachablo, Aragvi and Patara Liakhvi Gorges. From the report of Vice Colonel Simonovich to the Commander – in – Chief Knorring, it is clear that emergency law courts were opened in Java to establish order among the Ossetians that settled in Didi Liakhvi and Ptsa Gorges. According to the government's decision, the four representatives of the Machabeli House were included in the jury of the court. Zaza and Revaz Machabeli had to arrange the businesses connected with the Ossetians living in Didi Liakhvi Gorge, and Elizbar and Bardzim Machabeli had to analyze the questions of the Ossetians living in Ptsa and Keshelti Gorges. The court comprised the elder who were chosen by the Ossetians. As it is mentioned in the document, Ossetian elders Elizbar Tskhovrebashvili and Kujana Bardzionashvili were attached to Zaza and Revaz Machabeli, also several Yesauls (executives), among them were Georgians: Mamuka Zubashvili, Kaikhosro Zubashvili, Kaikhosro Bugianashvili, and Gogia Bugianashvili. Ossetians were Gacha Elizbarovi, Khugo Jioshvili and Abela Jioshvili. This group of people in the court had their own secretary – Rostom Begtabegovi (Begtabegishvili). In the second group of the Java law court were Elizbar and Bardzim Machabeli. The members of the group were the elders: Pavlena Alkhazashvili, Abela Gazashvili, Kujana Lomkatsovi and Gacha Kelekhshashvili. The following Georgians were appointed as Yesauls (executives) in the second group Gogia Zubashvili, Kasradze Otarashvili (there are omitted names in the document) and Petre Magaldadze. From the Ossetians: Dito Gabarashvili, Eba Kharebashvili and Keje Tibilashvili. The secretary of the mentioned group was the priest Ioseb Epemievi. The translation service was performed by Aleksii Mamiev, who lived in Nari. The Ossetians had the right to choose their representatives in the court annually. The Ossetian representatives in the Java law court were approved by Gori Civil Court. The Court created for the Ossetians should have worked according to the Georgian Legislature and under control of the Russian Government. As it is mentioned in the document, the court could have its temporary location in the village Tskho. The members of the court were given the recommendation to be tolerant to the Ossetians, as to the “newly converted people”. The court had to discuss the cases of robbery, kidnapping people and stealing animals, and also property disputes. The cases, that were not able to solve in Java Law Court, were forwarded to Gori Civil Court. The similar court was established in the village Vanati for those Ossetians, who lived in Patara Liakhvi and Aragvi Gorges. Manuchar Tumanovi (Tumanishvili) and Giorgi Kherkheulidze were the members of the mentioned court according to the government's decision. The following Ossetian elders were their assistants in the Aragvi Gorge: Gusi Kokoshvili, Dowlata Kulumbegashvili and Jache Utiashvili. The Vanati Court Aragvi Gorge Department had two Yesauls (executives) – Georgian – Simon Asambegashvili (from the village Vanati), and Ossetian – Khiko (from the village Ukedeli). The part of Vanati Court that had to deal with the questions of Patara Liakhvi Gorge comprised Ossetian elders Abela Bestavashvili, Shavkuja Pusashvili and Pavle Valishvili. The Yesauls (executives) of the mentioned department were Gogia Khaduri (Georgian by nationality) and Rostom Ikashvili (Ossetian by nationality). The secretary of the Vanati Court was the priest of the village Arbo, Giorgi Gvimradze, and the interpreter was the noble Aushtrov (the name is distorted in the document). Like in Java Court, Ossetians could choose their representatives in the Vanati Court, and Gori Civil Court should have approved them. The goal of the Law Courts opened in Didi and Patara Liakhvi Gorges was to prevent the raids of Ossetians on Georgian population. As one can see, the mentioned courts were not effective. The migrated from the North Caucasus Ossetians still continued to rob Georgian villages. It is proved by many sources, among them there are notes of European travelers.

Сугаров Давид А.

*архитектор-градостроитель
аспирант ФГБУ «ЦНИИП Минстроя России»
Россия, Москва.*

Бесолов Владимир Б.

*Почетный архитектор Российской Федерации,
Владикавказ, Россия*

О ВНЕСЕНИИ ИЗМЕНЕНИЙ В ГРАДОСТРОИТЕЛЬНУЮ ДОКУМЕНТАЦИЮ ГОРОДСКОГО ОКРУГА ВЛАДИКАВКАЗ ПРИ КОНВЕРСИИ ПРОМЫШЛЕННЫХ ЗОН

В рамках научного исследования предусматриваются направления градостроительного преобразования промышленных территорий в городе Владикавказ, изменение функционального назначения этих территорий.

Владикавказ – один из многих постиндустриальных городов России, столица Республики Северная Осетия–Алания, имеющий хозяйственную специализацию в сфере горно-перерабатывающей промышленности (завод «Электроцинк», завод «Победит», завод «Кристалл»). Все предприятия объединены в производственные комплексы в границах городской территории.

По большей части территории промышленных зон Владикавказа являются постиндустриальными и ясным образом планируется изменение их функционального назначения.

Крупнейший завод в республики «Электроцинк», один из лидеров по производству цветной металлургии в России, свернул свое производство. Такое решение было принято властями республики исходя из массовых народных требований и митингов по закрытию завода, в связи с нарушением норм экологической безопасности (санитарно-защитная зона завода покрывает сотни гектаров жилых территорий). В настоящее время завод «Электроцинк» законсервирован, планируется перенос производства.

Таким образом, освобождается около 200 гектар промышленных территорий в центральной части города (плюс территории сзз от завода). Вместе с прочими нефункционирующими, угасающими и рабочими предприятиями, возможностью приспособления пространств пустыющих территорий заводов под необходимые нужды города, восстановления экологического баланса, исследуемые промышленные территории являются крайне перспективными и необходимыми для преобразования с реальными возможностями практического применения результатов научного исследования.

В случае же с действующими производственными объектами, предполагаются следующие варианты решений:

- 1) Сохраняемость – бездействие, либо отсутствие возможности получения прав на модернизацию или перемещение промобъектов;
- 2) Модернизация/экологизация – сохранение предприятия в условиях высокой экологичности (совершенствование технологии производства, оснащение предприятий очистными сооружениями и т.д.);
- 3) Перемещение – вынос промпредприятия за черту города.

Каждый вариант диктует соответствующие изменения либо сохранение функционального назначения территорий.

Итак, территории нефункционирующих производств, а также 2 и 3 случаи с действующими производствами (модернизация, либо выведение действующих производств) предполагают преобразование промышленной зоны и как следствие их функционального наполнения.

Есть сложная проблема реализации проектного предложения по преобразованию территории, а именно изменение функционального назначения территорий.

Посредством внесения изменений в градостроительную документацию (ГП, ПЗЗ) предлагается изменение функционального использования и целевого назначения территорий.

Необходимы внесения изменений в генеральный план (далее ГП) города с точки зрения функционального зонирования, и как прямое следствие внесение изменений в правила землепользования и застройки (далее ПЗЗ), которые конечную цель имеют установление градостроительных регламентов.




Рис. 1 Границы городского округа и границы промышленной зоны

Анализ Генерального плана (с точки зрения функциональных зон). Территориальное планирование городского округа Владикавказ осуществляется посредством разработки и утверждения генерального плана городского округа Владикавказ.

В составе ГП г.о. Владикавказ выделены следующие временные сроки его реализации:

- расчетный срок генерального плана – 2025год;
- первая очередь генерального плана – 2015год;
- перспектива – период, следующий за расчетным сроком генерального плана городского округа Владикавказ.

Одной из задач ГП по развитию и преобразованию функционально-планировочной структуры является существенное повышение эффективности использования городской среды.

Также настоящим ГП г.о. Владикавказ предлагается постепенное перепрофилирование и реструктуризация производственных предприятий, вынос из центра города вредных производств и коммунальных объектов, переориентация их на экологически чистые и высокотехнологичные производства. Предусматривается поэтапное перебазирование производственных предприятий на территории нежилых зон.

Комплексное преобразование исследуемых промышленных зон генеральным планом города не предусмотрено.

В качестве основных направлений градостроительной реорганизации производственных территорий проектом предлагается:

В Северо-западном районе:

- вывод предприятия Владикавказского гормолзавода по ул.Московской;
- частичный вынос производственной зоны Завода «Янтарь» по ул. Московской.

Высвободившиеся территории в Северо-западном округе, предлагается использовать под новое жилищное строительство.

Проектом предлагается в Северо-западном округе дальнейшее развитие производственно-коммунальной зоны севернее сложившегося промрайона и частично в западном направлении, здесь намечено размещение новых площадок для малого бизнеса, а также выделяются территории для ряда производственных предприятий предложенных к выносу из селитебных районов города. Расширение производственно-коммунальной зоны возможно в пределах городской черты на территории около 33,5 га, так и за пределами городской черты на территории около 217 га. Кроме того, предлагается строительство логистического комплекса в северном направлении на территории порядка 114 га.

В Затеречном районе:

- вывод промпредприятия Владикавказский хлебзавод по ул. Коблова, на данной территории предусматривается размещение нового жилищного строительства;
- вывод ООО «Приборостроительный завод» между ул. Гагарина и ул. Первомайской, на данной территории предусматривается размещение нового жилищного строительства.

В западной части Затеречного округа, в пределах городской черты на территории около 89 га. выделяются площадки для размещения коммунально-производственной зоны, на которой при необходимости возможно размещение коммунальных объектов, а также производственных предприятий предложенных к выносу из селитебных районов города, имеющих санитарную зону не более 50-100 м.

В Промышленном районе:

- вывод группы предприятий: Гормолзавод «Северо-Осетинский» по ул. Продуктовая, Осетинский крахмальный завод по ул. Курская/пер. Пугачева, Межхозяйственный завод кормовых дрожжей по ул.Пожарского, ГПУ спиртзавод «Изумруд» по пер. Керамический, Кожевенный завод по ул. Чапаева, ГУП винзавод «Владимировский» по пер.Продуктовому, Прибороремонтный завод по ул.Чапаева, на данных территориях предусматривается благоустройство набережной р.Терек, размещение объектов культурно-развлекательного и спортивно-оздоровительного значения и строительство дороги вдоль набережной.

Проектом предлагается в Промышленном районе дальнейшее развитие производственно-коммунальной зоны в северном направлении, здесь намечено размещение новых площадок для малого бизнеса, а также выделяются территории для ряда производственных предприятий, предложенных к выносу из центральных селитебных районов города. Расширение производственно-коммунальной зоны возможно в пределах городской черты на территории около 166 га, так и за пределами городской черты на территории около 73 га.

Рассмотрим же, как данные мероприятия по перепрофилированию или выведению производств, осуществляемые ГП г.о. Владикавказ, касаются исследуемой промышленной территории. На схеме планируемых границ функциональных зон ясно отобразено, что никак не касаются, несмотря на то, что 70 % территорий не используются (см. рис.1). Рассматриваемая территория как была производственной, так ею же и остается. Итак, о существенном повышении эффективности использования городской среды на данной территории говорить не приходится. Парадоксально, но неоспорим такой факт, что современный ГП Владикавказа не предусматривает решение затронутой острой проблемы.



Рис.2 Фрагмент ГП г.о. Владикавказ

Анализ правил землепользования и застройки г. Владикавказ. Правила землепользования и застройки г.о. Владикавказ являются документом градостроительного зонирования г.о. Владикавказ, принятым в соответствии с Градостроительным, Земельным кодексом Российской Федерации, федеральными законами и иными нормативными правовыми актами Российской Федерации, Республики Северная Осетия - Алания, Уставом Муниципального образования г. Владикавказ, действующим генеральным планом г.о. Владикавказ (утвержденным решением Собрания представителей г.о. Владикавказ 31 мая 2011 года, протокол №24/22 – далее Генеральный план), а также с учетом положений иных актов и документов, определяющих основные направления социально-экономического и градостроительного развития города, охраны его культурного наследия, окружающей среды и рационального использования природных ресурсов.

Предметом регулирования Правил являются отношения по вопросам землепользования и застройки на территории городского округа Владикавказ, установление границ территориальных зон, градостроительных регламентов.

Настоящими ПЗЗ в границах исследуемой территории установлены следующие виды территориальных зон (рис. 3 - фрагмент карты территориальных зон г. Владикавказ):

Производственно-коммунальные зоны:

— КП-1 Производственно-коммунальные зоны;

— ПКД Зоны производственной, коммерческой и деловой активности. Зоны инженерной и транспортной инфраструктуры:

— Т-3 Зона инфраструктуры городского транспорта;

— ИГ Зона инженерной инфраструктуры города. Зоны специального назначения:

— С-2 Зона кладбищ и крематориев;




Рис.3 Фрагмент карты территориальных зон г. Владикавказ

Итак, у нас имеется ПДК (на рис 2 выделена коричневым цветом), которая выделена для обеспечения правовых условий строительства и реконструкции территорий с преимущественным размещением объектов логистики, крупных коммерческих и торговых центров, информационных центров, центров обслуживания и

общественно-социального назначения, многоуровневых гаражей и стоянок при соблюдении видов и параметров разрешенного использования объектов капитального строительства и земельных участков.

Внесение изменение в Генеральный план. Как же изменить функциональные зоны в ГП города? Обратимся к статье 24 Градостроительного кодекса Российской Федерации (далее ГК) «Подготовка и утверждение генерального плана поселения, генерального плана городского округа» к части 17:

«Внесение изменений в генеральный план осуществляется в соответствии с настоящей статьей и статьями 9 и 25 настоящего Кодекса.»

Отсюда ясно видно, для того чтобы внести изменения в ГП необходимо руководствоваться настоящей статьей и статьями 9 и 25 настоящего Кодекса. Пользуясь вышеизложенным руководством, рассмотрим, положения по данному вопросу в указанных статьях. Проанализируем со статьи 24 ГК по данному вопросу:

«1. Генеральный план поселения, генеральный план городского округа, в том числе внесение изменений в такие планы, утверждаются соответственно представительным органом местного самоуправления поселения, представительным органом местного самоуправления городского округа.»

По изложенному в данной части настоящей статьи ГК указу можно констатировать, что внесение изменений ГП утверждается представительным органом местного самоуправления городского округа (в случае с г. Владикавказ).

«2. Решение о подготовке проекта генерального плана, а также решения о подготовке предложений о внесении в генеральный план изменений принимаются соответственно главой местной администрации поселения, главой местной администрации городского округа.»

Здесь видно, что главой местной администрации городского округа принимается решение о подготовке предложений о внесении в генеральный план изменений.

«16. Органы государственной власти Российской Федерации, органы государственной власти субъектов Российской Федерации, органы местного самоуправления, заинтересованные физические и юридические лица вправе обращаться к главе местной администрации поселения, главе местной администрации городского округа с предложениями о внесении изменений в генеральный план.»

В данной части настоящей статьи указано кто вправе может обратиться к главе местной администрации городского округа с предложениями о внесении изменений в генеральный план.

О части 17 статьи 24 говорилось вначале данного анализа.

«18. Внесение в генеральный план изменений, предусматривающих изменение границ населенных пунктов в целях жилищного строительства или определения зон рекреационного назначения, осуществляется без проведения публичных слушаний.»

Данная часть статьи 24 нас не интересует, так как изменение границ населенных пунктов в каких бы то ни было целях проектным предложением не предусмотрено.

Итак, мы вправе сделать предложение о внесении изменений ГП города с точки зрения изменения его функциональных зон. После того, как функциональные зоны в ГП города изменены и утверждены представительным органом местного самоуправления городского округа, необходимо внесение изменений в ПЗЗ.

Внесение изменение в Правила землепользования и застройки. Рассмотрим часть 1 статьи 31 ГК «Порядок подготовки проекта правил землепользования и застройки»:

«1. Подготовка проекта правил землепользования и застройки может осуществляться применительно ко всем территориям поселений, городских округов, а также к частям территорий поселений, городских округов с последующим внесением в правила землепользования и застройки изменений, относящихся к другим частям территорий поселений, городских округов.»

Здесь упоминается о возможности внесения изменений в ПЗЗ. Каким же образом осуществимы эти изменения. Обратимся к статье 33 ГК «Порядок внесения изменений в правила землепользования и застройки»:

«2. Основаниями для рассмотрения главой местной администрации вопроса о внесении изменений в правила землепользования и застройки являются:

1) несоответствие правил землепользования и застройки генеральному плану поселения, генеральному плану городского округа, схеме территориального планирования муниципального района, возникшее в результате внесения в такие генеральные планы или схему территориального планирования муниципального района изменений;»

Пунктом 1 части 2 статьи 33 настоящего кодекса указаны причина и следствие внесения изменений в ПЗЗ. Изменения, внесенные в ГП, могут служить основанием для рассмотрения главой местной администрации вопроса о внесении изменений в ПЗЗ.

Так же пункт 2 части два настоящей статьи является основанием для изменения ПЗЗ:

«2) поступление предложений об изменении границ территориальных зон, изменении градостроительных регламентов.»

В ГК используется следующее понятие градостроительного регламента:

«Градостроительный регламент - устанавливаемые в пределах границ соответствующей территориальной зоны виды разрешенного использования земельных участков, равно как всего, что находится над и под поверхностью земельных участков и используется в процессе их застройки и последующей эксплуатации объектов капитального строительства, предельные (минимальные и (или) максимальные) размеры земельных участков и предельные параметры разрешенного строительства, реконструкции объектов капитального строительства, ограничения использования земельных участков и объектов капитального строительства, а также применительно к территориям, в границах которых предусматривается осуществление деятельности по комплексному и устойчивому развитию территории, расчетные показатели минимально допустимого уровня обеспеченности соответствующей территории объектами коммунальной, транспортной, социальной инфраструктур и расчетные показатели максимально допустимого уровня территориальной доступности указанных объектов для населения;»

Изменяя территориальную зону, мы соответственно изменяем правовой режим территории, т. е. устанавливаем градостроительные регламенты соответствующие новым установленным территориальным зонам: 1) виды разрешенного использования; 2) предельные размеры земельных участков, и предельные параметры разрешенного строительства; 3) ограничения использования земельных участков и объектов капитального строительства.

Выводы. В результате анализа действующих градостроительных документов (Генерального Плана и Правил землепользования и застройки) г.о.Владикавказ было установлено, что данная документация не предусматривают развитие, либо преобразование исследуемой промышленной зоны.

В результате анализа действующего Градостроительного кодекса РФ, было выявлено на основании статьи 24 ГК возможность и порядок внесения изменений в ГП с точки зрения функциональных зон, а также на основании статей 31 и 33 ГК возможность и порядок внесения изменений в ПЗЗ г.о.Владикавказ. Данный анализ позволит применить проектные предложения по конверсии промышленных зон на уровнях градостроительной документации г.о.Владикавказ в изменении функциональных и территориальных зон, а также градостроительных регламентов.

литература:

1. А. А. Варламов, Д.В. Антропов. Зонирование территорий: учебное пособие. - М.: ФОРУМ, 2016;
2. Савельева Е. А. Правовое регулирование зонирования территорий: дисс. канд. юр. наук. -М.: ФГБОУ Н ИГ и П РАН, 2015;
3. Сугаров Д. А. «Градостроительное преобразование деградирующих промышленных территорий г. Владикавказ»: дипломная работа (диссертация магистра градостроительства). Санкт-Петербургский государственный архитектурно-строительный университет, Санкт-Петербург, 2018;
4. Сунгуров В. У. Ценовое экономическое зонирование территорий как механизм повышения экономической эффективности использования земельных ресурсов//Землеустройство, кадастр и мониторинг земель. -2009. -№ 4. - С. 11-14;
5. «Градостроительный кодекс Российской Федерации» от 29.12.2004 N 190-ФЗ (ред. от 07.03.2017) - Информационно-правовой портал «КонсультантПлюс», -Режим доступа: <http://base.consultant.ru>;
6. «Генеральный план муниципального образования городского округа г. Владикавказ на 2011-2025 гг.», от 31 мая 2011г. №24/22. URL:<http://vladikavkaz-osetia.ru/gradostroitelstvo/dokumenty-territorialnogo-planirovaniya/-generalnyy-plan/> (дата обращения: 01.09.2019) ;
7. «Правила землепользования и застройки г. Владикавказ», от 16 марта 2012 г. № 32/11. URL:<http://xn--80aaafckyesc.xn--p1ai/gradostroitelstvo/dokumenty-territorialnogo-planirovaniya/pravila-zemlepolzovaniya-i-zastroyki/pravila-zem-i-zastroyki-gvladikavkaza/>(дата обращения: 01.09.2019);
8. «Градостроительный кодекс Российской Федерации» от 29.12.2004 N 190-ФЗ (ред. от 07.03.2017) - Информационно-правовой портал «КонсультантПлюс», - Режим доступа: <http://base.consultant.ru>;
9. «Земельный кодекс Российской Федерации» от 25.10.2001 N 136-ФЗ (ред. от 03.07.2016) (с изм. и доп., вступ. в силу с 01.01.2017) -Информационно-правовой портал «КонсультантПлюс», -Режим доступа: <http://base.consultant.ru>;
10. Приказ Минэкономразвития России от 01.09.2014 N 540 (ред.от 30.09.2015) «Об утверждении классификатора видов разрешенного использования земельных участков» -Информационно-правовой портал «Консультант Плюс», - Режим доступа: <http://base.consultant.ru>.

David Sugarov A.
architect, town-planner,
Russia, Moscow
Vladimir Besolov B.
Russia, Vladikavkaz

"ON AMENDMENTS TO THE URBAN PLANNING DOCUMENTATION OF THE VLADIKAVAZ CITY DISTRICT AT THE CONVERSION OF INDUSTRIAL ZONES "

Key words: Russia, Republic of North Ossetia-Alania, Vladikavkaz, urban planning, conversion of industrial zones, urban planning documentation, urban planning code of the Russian Federation, master plan, land use and development rules.

Abstract: There is a problem of implementing the project proposal for the transformation of the industrial zone, namely, the change in the functional purpose of the territories. By amending the urban planning documentation (GP, PZZ), it is proposed to change the functional use and purpose of the territories of the industrial zone of the Industrial District of Vladikavkaz.

It is necessary to make changes to the general plan of the city from the point of view of functional zoning, and as a direct consequence of making changes to the rules of land use and development, which have the ultimate goal of establishing urban planning regulations.

სალომე სუხიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი
საქართველო, თბილისი*

საიქიო და მასთან დაკავშირებული მოტივები ოსურ ფოლკლორში

მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი საიქიოს თემას უკავია. ამ საკითხზე არაერთი ფოლკლორული ნაწარმოები შეიქმნა, როგორცაა ლირიკული ლექსი, სანესჩვეულებო სიმღერა, ზღაპარი, მითოლოგიური გადმოცემა, რიტუალი. ამ თვალსაზრისით უაღრესად დიდ სიმდიდრეს ამჟღავნებს ოსური ფოლკლორი.

საიქიოს თემაზე შექმნილ ოსურ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს მნიშვნელოვანი პარალელები მოეპოვება როგორც ქართულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორთანაც.

სიცოცხლე და სიკვდილი გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს და როგორი უსამართლობაც არ უნდა იყოს, სიკვდილი ყოველთვის იმარჯვებს. წმინდა მამებისთვის სიკვდილი, ცათა სასუფეველში, უფლის გვერდით დამკვიდრების საშუალებაა. თუმცა ფოლკლორულ ნაწარმოებებში ხალხი სიკვდილს განსხვავებულად აფასებს. ხალხური პოეტური ტექსტების მიხედვით, სიკვდილი ის აჩრდილია, რომელიც მუდამ ადამიანის ზურგს უკან იმალება და მაშინ მიდის მასთან, როცა მას ყველაზე ნაკლებად ელოდება. ამიტომაც სიკვდილი ასე დაუხასიათებიათ ქართველ ხალხს:

„სად ნახვალ, სად დაემალვი, გინდ ცათ გაგიღონ კარიო.
სიკვდილი ყველგან დაძვრება, სადაც სიცოცხლე არისო.
(ანთოლოგია 2010:123)

ხშირად, მოკვდავნი, სიკვდილზე ფიქრს მაშინ იწყებენ, როცა ახლობელ ადამიანებს კარგავენ. ასეთ მომენტში დგება ის გარდამავალი წამი, როცა იწყება ფიქრი, რა არის სიცოცხლე? ეს ხომ წარმავალი წუთისოფელია, რომელიც დღეს თუ ხვალ დამთავრდება. დამთავრდება და რა არის შემდეგ? სად მიდიან ადამიანები?

თუ რას წარმოადგენს საიქიო, როგორია მისი სტრუქტურა და როგორ გამოიყურებიან მისი ბინადრები, სხვადასხვა სახის ცნობებს ვხვდებით ეთნოგრაფიულ წერილებსა და ხალხური პოეზიის ნიმუშებში. კვლევის პროცესში, ქართულის გარდა, გამოვიყენე ჩეჩნური, ოსური და აფხაზური ფოლკლორის ნიმუშები და მათი რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლიტერატურა. საკითხის კვლევისას ვიხელმძღვანე-

ლე კომპარატივისტული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდებით. პირველი რასაც ტექსტებში ვხვდებით ეს არის ბენვის ხიდი.

ბენვის ხიდი – გზა სააქაოდან საიქიოსკენ

სიკვდილი ეს არის მდგომარეობა, როდესაც სული ხორცს გაეყრება და სული იწყებს მარადიულ ცხოვრებას ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში. მოდის სიკვდილი და მაშინ იწყება ადამიანისთვის გზა სააქაოდან საიქიოსკენ. ეს გზა, რომელიც სულმა უნდა გაიაროს ყველას სხვადასხვანაირად წარმოუდგენია.

ოსურ სამგლოვიარო რიტუალებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიცვალებულის ცხენის კურთხევას. ოსური ხალხური წარმოდგენების მიხედვით, სამზეოდან საიქიოსკენ გასამგზავრებლად და მისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებების გადასალახად მიცვალებულს აუცილებლად სჭირდება ცხენი, რადგანაც ცხენი უნდა მოემსახუროს იმქვეყნად პატრონს. ცხენის კურთხევის ტექსტს ოსები უწოდებენ ბახფალდისან. ბახფალდისაგი (ცხენის შემწირველი) აღწერს რთულ და სახიფათო გზას, რომელიც მიცვალებულის სულმა უნდა გაიაროს ბენვის ხიდიდან-საიქიოს კარიბჭემდე და საიქიოს კარიბჭიდან-სასუფევლამდე

(მამისიმედიშვილი 2015:148-150).

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ცხენშენირვის ტექსტს, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნეს მერი ცხოვრებოვამ და ნაირა ბეპიევამ.

ცხენშენირვის ტექტი შთამბეჭდავად და ცხადად გადმოგვცემს იმ გზას, რაც ელოდება მიცვალებულს. მას შემდეგ რაც მიცვალებულს საკადრის ცხენს შესწირავენ, რომელიც მხოლოდ ვასთირჯის რემაში მოიპოვება, მიცვალებული ცხენს მიჰგვრის ქურდალაგონს (ზეციური მჭედელი), რომელიც ფოლადის ნალებს დაუჭედებს ცხენს ფოლადისავე ლურსმნით, მზის ვაჟი უნაგირს აჩუქებს, მთვარისა- აღვირმოსართავს. ამის შემდეგ მიცვალებულს ცხენი აღმართზე აჰყვება, დაღმართზე დაჰყვება, ოღროჩოღროზე თოხრიკივით გაატარებს და იგი მიადგება გზაჯვარედინს, სადაც გარდაცვლილმა არ უნდა დაივიწყოს შემდეგი რამ: მარჯვნივ არ უნდა წავიდეს, რადგანაც იგი მოსისხართა გზა არის, არც მარცხნივ უნდა წავიდეს, რადგანაც იგი ბოროტმოქმედთა გზაა, უნდა აირჩიოს შუა გზა, რომელიც მას ბენვის ხიდთან მიიყვანს (ოსური ზეპირსიტყვიერება 2005: 47-48).

ქართულ ჯადოსნურ ზაპრებში გმირიც სამი გზის გასაყარზე დგება. წარწერის მიხედვით, რომელსაც გზაჯვარედინზე გმირი კითხულობს, ერთი გზით ისევ დაბრუნდება, მეორე გზით ან დაბრუნდენა ან არა და მესამე გზით - ცოცხალთა ქვეყანაში ვეღარ დაბრუნდება. ე. გოგიაშვილის თქმით, ზღაპრის გმირი ირჩევს ურთულეს გზას, რომლის საბოლოო შედეგიც ბოროტების დამარცხება და სიკვდილის დათრგუნვაა. ამიტომ ამ შემთხვევაში ზღაპრის გმირი უფრო ახლოს ქრისტიან მარტივთან დგას, ვიდრე მითოსურ გმირთან. ქრისტიანი მარტივლისთვის მის მიერ არჩეული გზა სრულიად გაცნობიერებულია და ამ გზის მოთმინებით გავლა სამუდამო ბედნიერებას უკავშირდება (გოგიაშვილი 2011: 105). როდესაც გარდაცვლილი ბენვის ხიდს მიადგება, იგი არ უნდა შეშინდეს, ცხენს მათრახი უნდა გადაუჭიროს ისე ძლიერ, რომ ხელისგულზე ტყავი აასკდეს, ცხენს კი ბარძაყზე-ხორცი. როდესაც მიაგება მიცვალებული მკვდართა საუფლოს, მაშინვე კარებს არავინ გაულებს, რადგანაც ეტყყვიან „მზე ჩავიდაო“ (მიცვალებული სასუფეველში მზის ჩასვლამდე უნდა შევიდეს, დაკრძალვითაც ხომ მზის ჩასვლამდე კრძალავენ გარდაცვლილს), მაგრამ გარდაცვლილმა ლოცვა უნდა წარმოსთქვას:

„ღმერთო მაღალო, იყავ მოწყალე, მთის წვერებზე მზის ნათელი გამოაბრწყინე“. რის შემდეგაც მთებზე მზის სხივი გამოკრთება, მიცვალებულმა ქუსლი უნდა ჰკრას კარებს და ისიც გაიღება. ამის შემდეგ იწყება იმის ახსნა თუ რა ხდება საიქიოში, ვინ როგორ ისჯება და თითოეული სცენა, რომელსაც იქ ნახავს რას ნიშნავს (ოსური ზეპირსიტყვიერება 2005: 46-47).

ა. შიფნერის გამოქვეყნებული ოსური ცხენშენირვის ტექსტი კი გადმოგვცემს, თუ რას ეუბნება ბახფალდისაგი მიცვალებულს: „მიხვალ ბენვის ხიდთან! ნურაფრის ნუ შეგეშინდება! ზემოდან დაგყვირებენ, ქვემოდან ამოგახებენ, - იმათგან ერთი წამრთმეგია, მეორე მაცდუნებელი. ნურაფრის ნუ შეგეშინდება! ცხენს მათრახი გადაუჭიროე ისე ძლიერ, რომ ხელისგულზე ტყავი ავასკდეს, ცხენს კი ბარძაყზე – ხორცი! გადახვალ ხიდზე, მიხვალ ამინონთან“ (Шифнер 1868: 36).

რუბენ ჩეთითი წიგნში „ოსური თეატრის ხალხური სანყისები“, ცხენშენირვის რიტუალზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ მიცვალებულის ცხენის შეწირვის წესი აფხაზებში, ხევსურებში, მოხევეებსა და სვანებშიც იყო გავრცელებული, მაგრამ მათთან შეწირვა ხდებოდა უსიტყვოდ. მიიყვანდნენ ცხენს ცხედართან, ცოტა ხნით უსიტყვოდ აჩერებდნენ და ცხენი შეწირულად ითვლებოდა (ჩეთითი 1988: 83), ხოლო თედო სახოკიას ჩანაწერების მიხედვით ვიგებთ, რომ მეგრელები მიც-

ვალეულს საფლავეში მის საჯდომ ცხენს ჩაატანდნენ ხოლმე, რომელსაც სულეთშიც უნდა განეგრძო თავისი სამსახური პატრონისათვის (სახოკია 1956: 131).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბენვის ხიდი არის საზღურბლო სიტუაცია, როცა ადამიანი ერთი მდგომარეობიდან გადადის მეორეში. ერთი რეალობიდან ხვდება მეორე რეალობაში. ამ გზას გადის მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ არსებობს გამოწვევები, როდესაც ცოცხალი ადამიანი აღმოჩნდება საიქიოში. სხვადასხვა მითოლოგიური გმირები ცოცხლად ჩასულან მიღმიურ სამყაროში. ქართულ მითოლოგიაში საიქიოს გმირები სტუმრობენ მხოლოდ და მხოლოდ სიზმრებში და ეს სიზმარიც ნებისმიერ ადამიანთან კი არ მიდის. საიქიო მხოლოდ იმ ადამიანს ესიზმრება, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვისებს, ე.ი. დგას სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარზე. ამ მოვლენას ხალხურ (ხევსურულ) ტექსტებში საიქიოს „გახილვა“ ეწოდება (ბალიაური, მაკალათია 1940: 62). თედო სახოკიას ცნობით, მეგრელებს საიქიოს ამბები ესმოდათ საღათას ძილით დაძინებულთა და შემდეგ გაღვიძებულთაგან. საღათას ძილი, მეგრელების წარმოდგენით იგივეა რაც ნამდვილი სიკვდილი, სულის გადასვლა სულეთში, მაგრამ ასეთი სიკვდილი გაუგებრობის შედეგია. როდესაც ასეთი ადამიანი საიქიოში მივიდოდა, მას გარს შემოეხვეოდნენ სულები, გაიკვირვებდნენ მის იქ მისვლას და უბოდიშოდ, კინწის კვრით გამოავდებდნენ, მაგრამ ნათესავ-ნაცნობები სხვადასხვა რამეს დაავალბებდნენ მას თავიანთ ნათესავეებთან. საღათას ძილისაგან გამოღვიძებული ადამიანი კი ყველას გადასცემდა მიცვალებულთა დანაბარებს (სახოკია 1956:130). ინგილოებში საიქიოს მომნახულე ადამიანი ავად ხდება, ჭკუა-გონებას ჰკარგავს და შემდეგ გონს მოსული იწყებს საიქიოს ამბების მოყოლას (თაყაიშვილი 1913:166).

მიცვალებულთა სულების გამოსვლა საიქიოდან

ფოლკლორულ გადმოცემებში ვხვდებით სიუჟეტებს ამა თუ იმ ცოდვის ჩამდენის დასჯის შესახებ, ან იმას, როგორ შედიან ისინი საიქიოში, უხარიათ თუ არა იქ მისვლა. ადამიანი აღესრულება და მას ველარასდროს ნახავენ საყვარელი ადამიანები, სანამ ისინიც არ აღმოჩნდებიან მიღმიურ სამყაროში. იქნებ სხვა გზაც არსებობს მათ სანახავად?

ქართულ ხალხურ ლექსებს თუ გადავხედავთ, სადაც მოთხრობილია საიქიოს ყოფა ხშირად შევხვდებით გმირებს, რომლებიც ცდილობენ საიქიოდან გამოღწევას მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ისმენენ უფლისგან:

„სამზეოს გასვლა, ანდრეზად არ მადისაო!“ (შანიძე 1931:220)

მაგრამ, ის რაც შეუძლებელია რეალურ ყოფაში, შესაძლებელია ხალხურ წარმოდგენებსა და მითოლოგიურ ტექსტებში.

რ. ჩეთითი ზემოთ თქმულთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობას გადმოგვცეს, თურმე ოს ხალხში ახალი მკვდრის პატრონი ახალი წლიდან მეექვსე კვირას აწყობდა მიცვალებულის პატივსაცემად ღამისთევას, სადაც იკრიბებოდნენ ოჯახის ნათესავეები, თანასოფლელები. წინასწარ ამზადებდნენ საჭმელ-სასმელს. ამ დღეს მკვდრის სახელზე აცხობდნენ უზარმაზარ პურს. ოჯახის ერთ-ერთი ნათესავი კუთხეში იდგა ორი ჯოხითა და მოთქმით ტირიდა. შემდეგ მას ართმევდნენ ამ ჯოხებს, ტანსაცმელს, ფიტულს სვამდნენ სკამზე. რ. ჩეთითი იმონებებს ცნობილი ფრანგი კავკასიოლოგის ჟორჟ დიუმეზილს ჩაწერილ ტექსტს, რომლის მიხედვითაც, მიცვალებულის სული ბრუნდებოდა თავის ოჯახში, ფიტულში შედიოდა და აცოცხლებდა მას. ამიტომაც ისინი ცდილობდნენ ფიტული მიცვალებულისთვის მიემსგავსებინათ, რადგანაც ოჯახში მობრუნებული მცირე ხნით დარჩებოდა მათთან, ფიტულის გარშემო აწყობდნენ მკვდრის საყვარელ ნივთებს, მაგიდაზე სანოვავს ალაგებდნენ და ესაუბრებოდნენ მას როგორც ცოცხალ ადამიანს, მთელი დღის განმავლობაში დასტრიალებდნენ, ხოლო შემდეგ თვითონ მიირთმევდნენ სამელ-საჭმელს. აწყობდნენ ღამისთევას ისე, თითქოს მიცვალებული მათთან ერთად იჯდა, სვამდა, ჭამდა. მონანილეობას ღებულობდნენ ყველა მოქმედებაში და მთელი ღამე ნართების ეპოსიდან საინტერესო ლეგენდებს ჰყვებოდნენ (ჩეთითი 1988:84-85).

„მარტის მამალი“ მწერლის პროზაულ მემკვიდრეობაში, ყველაზე ღრმა და შთამბეჭდავი, გაბმული, ალაგ-ალაგ რთული წიაღსვლებით დამძიმებული ნარატივია, რომელიც კარგად ასახავს ადამიანის ცნობიერისა და ქვეცნობიერის ჭიდილს და სწორედ ეს პასაჟია საცნაური ყველა ძირითადი თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟის შინაგანი სამყაროს თუ გარემომცველი სივრცის ასახვის პროცესში. ამ საკითხზე მსჯელობისას გვახსენდება მკვლევარ მ.ტურავას მოსაზრება, რომლის თანახმადაც, „ჭილაძის ნანარმოებებში ობიექტური სინამდვილე სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესები იშვიათად არის აქცენტირებული, მწერლისთვის უმთავრესი პერსონაჟთა ფსიქოლოგია, შინაგანი სამყარო, სულიე-

რი მდგომარეობაა. ამიტომაც მწერლის მატრიცა, სამყაროს აღქმის მისეული მოდელი საინტერესოც არის და მრავალნახნაგოვანიც.“ [4. გვ. 334] ვფიქრობთ, მკვლევარი ზუსტად გადმოსცემს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მკითხველს ექმნება ო.ჭილაძის პროზაული ნაწარმოებების წაკითხვისას და აღქმის პროცესში, რაც ზოგადად განასხვავებს სტილისა თუ თემატური დატვირთვის დიაპაზონით, მხატვრული აზროვნების სხვა წარმომადგენელთაგან, რაც აჩენს ზუსტად იმ გაუბედაობას, რომელიც ო.ჭილაძის რომანებთან პირველი შეხვედრისას უჩნდება ადამიანს.

რომანის ცენტრალური გმირი-პერსონაჟი ნიკოა, 15 წლის ბიჭი, მარტის მამალი, რომელსაც საკმაოდ რთულ მისიას აკისრებს მწერალი, გაანალიზოს და გადააფასოს ყველა ამბავი რაც გაუგონია თუ გადახდენია და ყველა ის სივრცე ადამიანებითურთ, რომელშიც ხანმოკლე დროის მანძილზე უცხოვრია, ამიტომაც ნიკოს გონებაში „გადახარშული“ ამბები გრანდიოზული და გაზვიადებული გვეჩვენება, რადგან ჰიპერბოლიზებულია უმცირესი დეტალიც კი, სივრცის სამკაულად ქცეული ადგილი, საგანი, შეგრძნება თუ მოვლენა. რომანის სტრუქტურული აგებულება გამორჩეულია ო.ჭილაძის სხვა რომანებისაგან, რადგან ავტორი „გაორმაგებული“, ზოგჯერ „გასამმაგებული“ ნარატივით გვიყვება ამბავს, ერთის მხრივ ნიკოს შეგრძნება-შეფასებების და მეორეს მხრივ, თავად მწერლის სათქმელის ნაზავით.

უჩვეულობის განცდას ქმნის მთავარი გმირის გონებაში, მომხდარი ამბის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი გააზრება, (რომანის ეს პასაჟები, აველუმის სიზმრის პერიპეტიებს გვახსენებს) ზმანების თუ სიზმრის წიაღში, ნიკო ხან ნიკოა, ხან პაპა, ხან გენერალი, ხან მამა, ხან ილიას მკვლელობის მოწმე, ხანაც ნასაყდრალთან მოკლული „ყაჩაღი“. თავისთავად, მრავალფეროვანია სიზმარ-ჩვენების წარმომჩენი სივრცეც, ნიკო ხან ჯოჯოხეთშია, ხან სამოთხეში, ხან ბათუმში, ხან სიღნაღში და ასე დაუსრულებლად. ზოგიერთი მოსაზრებით, ო. ჭილაძის რომანები, თემების და სახეების მსგავსებას ამჟღავნებს ფოლკლორის და მარკესის შემოქმედებასთან, მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით „მარტის მამალის“ კვლევა ჩვენთვის მნიშვნელოვან პერიპეტიებს ააშკარავებს, ნიკოს მიერ ზმანებაში გახსენებული ამბები, წიგნის სხვა პერსონაჟების და თავად მთხრობელის მიერ ჩვენთვის უკვე გადმოცემულია, ამ კონტექსტში, პარალელს ვავლებთ ფოლკლორის რომანის („ხმაური და მძვინვარება“) სიუჟეტთან, სადაც ერთი ამბის ოთხგვარ ვარიანტს გვთავაზობს მწერალი. მსგავსებას ქმნის შინაგანი მონოლოგის ხანგრძლივი, მაგრამ ერთგვარად აჩქარებული ნაკადი რომელიც იმგვარად მიმდინარეობს, რომ მთხრობელის როლი ხან ძლიერდება, ხანაც სუსტდება და ნიკოს მონოლოგში ითქვიფება. თხრობის ამგვარი მანერა, რომელიც მწერლის პროზაულ მემკვიდრეობას ზოგადად ახასიათებს, ყველაზე დიდი მოცულობით სწორედ ამ რომანში ვლინდება და მკითხველს „სახტად“ ტოვებს მოსალოდნელი ამბის მოულოდნელი დასასრულით.

ჩვენთვის საინტერესო და გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმადაც მკვლევარი ა. ნემსაძე მიიჩნევს, რომ ოთარ ჭილაძის მხატვრულ სისტემაში სამყაროს ერთიანობის, გადარჩენისა და არსებობისთვის აუცილებელ პრინციპს სამი თაობის ერთიანობა წარმოადგენს, რაც მის ყველა რომანში იკვეთება: ფარნაოზი-უხეირო-პატარა უხეირო („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), პეტრე-ალექსანდრე-მართა („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“), თბილისელი მსახიობი-გელა-ანდრო („რკინის თეატრი“), პაპა-მამანიკო („მარტის მამალი“), აველუმი-ეკაეკატერინეკატო-შვილი („აველუმი“) [3. გვ.161] საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი მ. ტურავა წერს: „მარტის მამალში“ ოთარ ჭილაძე მეტ ყურადღებას მემკვიდრეობითობაზე ამახვილებს. ნიკო თავის ოჯახის, პაპისა და გენეტიკის მატარებელია, მისი ლალატისა და ერთგულების გამზიარებელი. მისი პიროვნული ფორმირებაც წინაპართა ცოდვების გაცნობიერებით იწყება. [4. გვ. 336] დიახაც, უალტერნატივოა ნიკოს ცნობიერში პაპისა და მამის სახეების არსებობა, რათა მოზარდის ფსიქიკური კრიზისი ზღვარს არ გადასცდეს და აშლილობამდე არ მივიდეს, დარჩეს მხოლოდ ანალიზის ფარგლებში და ნიკოს აგრძნობინოს მუდმივი კავშირი წინა თაობებთან.

ყველაზე ხატოვანი წარმოდგენა, ნიკოსთვის მიჯაჭვული ამირანის სახეა, რომელიც არაერთხელ ხმიანდება რომანში. სხვადასხვა კონტექსტს შეჭიდებული, მაგრამ ყველაზე მეტყველი, ამირანად წარმოდგენილი მამის სახეა. სუსტი მამა მიუღებელია ნიკოსთვის, რადგან იგი მაგალითად ვერ ექცევა, რადგან „პაპა გაიქცა და მამა წაიქცა“, შვილმა უნდა იყოჩალოს, შვილმა ორი უდიდესი გრძნობით, შიშითა და სიყვარულით შეიარაღებულმა. რადგან ცხოვრება გაძლება და რადგან ნიკოს შესამეცნებელი მორალი ასე ჟღერს: „სტუმარი გიყვარდეს, გლახას არ დაემლო, ობოლს არ გაუნყრე, მშვიერი დააპურე, შეციებული გაათბე, გვერდით დაისვი (ან დაიყენე) ცეცხლთან, ცოტა ჩაიჩოჩე, არაუშავს, ყველას გეყოფათ ადგილი. განიკითხე და განიკითხები, დედ-მამა დააფასე, გინდაც მიგატოვონ, მკვდრები არ დაივინყო, რადგან შენც მოკვდები...“ [5. გვ.87]

ვფიქრობთ, ო. ჭილაძის რომანების ერთერთი მნიშვნელოვანი პასაჟი, პერსონაჟების მიერ მათი ცხოვრების ერთგვარი გადაფასების პროცესია, ის რაც მწერლის პირველივე რომანში, უხეიროს მიერ

მოქარგულ ტილოში ვლინდება, ის რაც ფარნაოზს ხელახლა აბრუნებს გამოქვაბულში, რაც ცალხელა ალექსანდრეს ძმის საძებნელად გაუყენებს გზას და ასე დაუსრულებლად ნიკომდე...თუმცა არც ერთ პერსონაჟს, იმგვარი დაუნდობლობით არ „უჩხრეკია“ საკუთარი ცხოვრება, როგორც 15 წლის მოზარდს და სწორედ ამით მიგვანიშნებს მწერალი, რომ ადამიანის ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, საკუთარი არსის და ცხოვრების შეცნობა ყოველთვის მნიშვნელოვანია და აუცილებელიც, დარჩენილი და გასავლელი გზის სწორად გასაკვალად.

ნიკოსთვის განვლილი გზის ზოგიერთ პასაჟს კი არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, არამედ ყველას და ყველაფერს, ბათუმის სიმწვანიდან, სიღნაღის გალავნამდე, თავშესაფრამდე, ქვის ბუდემდე, რომელიც, „სხვა ნებისმიერი ბუდისგან იმითაც განსხვავდება – და ესაა ალბათ მისი მთავარი გამოსარჩევი ნიშანი-აქ კი არ იჩეკება და გასაფრენად აქ კი არ ფრთიანდება ბარტყი, არამედ, სხვაგან გამოჩეკილი, მაგრამ რატომღაც ვერდაფრთიანებული, აქ აფარებს ბოლოს თავს“. [5. გვ.315] სწორედ აქ უნდა მოხდეს ნიკოს და არამარტო მისი სულიერი მეტამორფოზა, გადასხვაფერდეს, დარწმუნდეს საკუთარ თავში, რათა ცხოვრება შეძლოს, შეიყვაროს და შეძლოს.

საიქიოში მოგზაურობის და სამსჯავროს წინაშე წარდგომის პასაჟებს მწერალი იმგვარად აღწერს, როგორც ეს მისი 15 წლის გმირის აღქმისთვისაა შესაძლებელი, საინტერესოა ის ფაქტი, რომ „მსაჯული“ რატომღაც ვანო მასწავლებლის ხმით ესაუბრება ნიკოს, სასაცილომდე მისულ უცოდველობას, თავად ნიკო, ამერიკული ფილეტისა და მამის კუთვნილი კატლეტის მითვისების ცოდვად თვლის. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქაჯის სამოთხის აღწერა, რომელიც რატომღაც ჭილაძისეულ შეფარულ გააზრებას ჰგავს საბჭოთა ადამიანების, აბსურდისა და უპერსპექტივობის ზღვარზე არსებობა-ყოფისა. „ყველას ყველაფერი თავზესაყრელი ჰქონდა, ყველას ყველაფერი მოსწონდა... ყველანი ერთნაირები იყვნენ, არც სიბრიყვით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, არც სიჭკვიანით.“ [5. გვ. 318]

ო. ჭილაძის შემოქმედების პარალელების ძიებას, უ.ფოლკნერის შემოქმედებასთან, ერთ საყურადღებო ფაქტთან მივყავართ. ამერიკელი მწერლის რწმენით, ადამიანი არ არსებობს თავისთავად, არამედ იგი რამდენიმე ფაქტორის ჯამია, წარსულის, გარემოს და მომავლის. ადამიანის თავისთავად არსებობას გამორიცხავს ო.ჭილაძეც და ამბობს რომ ადამიანი წარსულის, აწმყოს და მომავლის ჯამია. წარსულის გადააზრების გარეშე შეუძლებელია ორივე მწერლის მიერ გაცოცხლებული პერსონაჟების არსებობა, ეს პასაჟი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებულად ნიკოში იგრძნობა, რადგან იგი მეტამორფოზის პროცესს ყველა მისი წინაპრის კომპლექსებით და ფსიქოლოგიური ტრამევებით იწყებს: ჯერ პაპაა, თითქმის დეზერტირად ქცეული და შვილის ავადმყოფობის უცნაურად წინათმგრძნობი, მერე პაპის გენერალია, ნასაყდრალს შეფარებული ადამიანიც, ლოგინს მიჯაჭვული მამაც და ბოლოს კი ნიკო ერის ტრამეული მეხსიერების გამცოცხლებელი ხდება და წინამართან ჩასაფრებული აკვირდება ერის მამის მკვლელობას. მკვლევარი ზ.გოგია წერს: „სიკვდილის მეტაფიზიკა, როგორც წესი, ცოდვის განცდას უკავშირდება, მითუმეტეს, თუკი საქმე პატრიარქის მკვლელობისა და ერის ნამუსის ხელყოფას ეხება. სწორედ ამ ნიშნითაა წამოწეული ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, რომელსაც ქართველი კაცის შეგნებაში მანამდე არნახული ცოდვის, პირველმკვლელობის კანუნი შინაარსი მიეცა“ [1.გვ.152] მკვლევრის მოსაზრება ეხმიანება იმ განცდებს, რასაც მწერალი ილიას მკვლელობის სცენასთან დაკავშირებით აღწერს რომანში, ილიას მკვლელობის სურათი რამდენიმე პერსონაჟის მიერ ცოცხლდება, შემზარავი და მძაფრი აღწერით, მაგრამ მკვლელობის უშუალო მონაწილის გარდა, სწორედ ნიკომ უნდა გააცნობიეროს ამ უზარმაზარი ცოდვის სიმძიმე და არსი, გაატაროს გონისა თუ თვალის მხედველობის რაკუსში და ისე შეიმეცნოს, რომ მასაც მკვლელობის მომსწრის ორმაგი დანაშაული აწევს მხრებზე, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არაა დამნაშავე.

სააქაოში სრულყოფილად დაბრუნებისას, მწერალი ნიკოს ახალი მორალით შეიარაღებულს გვიხატავს, ზმანებასა და სიფხიზლეს შორის გახიდილი წუთებიდან გამოტანილი სიბრძნე, (ვანო მასწავლებლის ხმით ნაკარნახევი) ცხოვრების კრედოდ უნდა იქცეს, რათა „გაქცეულისა და ნაქცეულის“ ნაშიერმა, ღმერთისკენ, სიყვარულისკენ, სათნოებისა და მიტევებისკენ მიმავალი გზა არ დაკარგოს: „არასოდეს, არასოდეს, არასოდეს გესმის? რაც არ უნდა მოხდეს, ვინც არ უნდა გიბრძანოს, დაგაძალოს, გთხოვოს, შემოგაჩეროს-არ მიითვისო რაც არ გეკუთვნის, რისი მითვისებაც არ შეიძლება....ვიდრე შეგვეძლება, ვიდრე კბილი შეგვრჩება, ფრჩხილი, ფურთხი, გოჯი არ დავთმოთ ჩვენი სულისა, სინდისისა, სიყვარულისა, სიძულვილისა...“ [5. გვ.332]

ო. ჭილაძე ჩვეული ოპტიმისტური მუხტით ასრულებს რომანს, გადააზრებული წარსული ახალი ცხოვრების საწინდარად უნდა იქცეს, პაპის, მამის, ვანო მასწავლებლისა და ექიმის შეგონებებით შეიარაღებულმა მარტის მამალმა („ჩვეულებრივზე მკვირცხლმა და ყოჩაღმა,“) დღე-ღამის გასაყარი უნდა

იგრძნოს, არჩევანი გააკეთოს და დაადასტუროს ომბიანი შეძახილით. დღე-ღამის გასაყარი სიზმარ-ჩვენების დასასრულია და ნიკო, მომავლის, ახალი დღის და იმედის მაუწყებელი, ოდნავ ფერმკრთალი და შეცივებული, საკუთარი არსებობით კმაყოფილი, პაპის აივნიდან გადახედავს ქვის ბუდეს, საიმედო თავშესაფარს.

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ო. ჭილაძე ექვსივე რომანში, ახალი თაობისადმი აშკარად გამოკვეთილ პოზიტიურ განწყობას ამჟღავნებს, თანაუგრძნობს და მკითხველს აყვარებს მათ, ვინც უნდა იტვირთონ მომავლის ანმყოფ და მერე წარსულად გადაქცევაც და ისევ მომავლის შექმნაც. ექვსივე რომანის ფინალში ავტორი „ახალ თაობას“ წარმოაჩენს და გვიჩვენებს, თუ სიცოცხლეა, როგორ და რისთვის უნდა იცოცხლოს ადამიანი და თუ სიკვდილია, რისთვის და რატომ ღირს სიკვდილი. სიცოცხლეს თავისუფლების, ღირსებისა და სამშობლოს დაცვაში ასრულებენ პატარა უხეირო და ანტონი, ხოლო გელა, ეკაეკატერინეკატო, ალექსანდრე მაკაბელი და ნიკო უდიდესი ადამიანური ძალისა და ღრმად შეგრძნებული ღირებულებების და ფასეულობების შემნახველად და გადამცემად უნდა ექცნენ მომავალ თაობებს. უკეთესი ადამიანების აღმზრდელებად და მაგალითებად მოვევლინონ კაცობრიობას.

ლიტერატურა:

1. გოგია.ზ. – „საუკუნეთა გზაგასაყარზე“, თბილისი 2006 წ.
2. თოფურიძე. ე. – „უილიამ ფოლკნერის რომანის პოეტიკა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984 წ.
3. ნემსაძე. ა. – ჟურნალი „კრიტიკა“, N5, თბილისი, 2010 წ.
4. ტურავა. მ. – „გარღვეული ლაბირინთი“, თბილისი, 2014 წ.
5. ჭილაძე. ო. – „მარტის მამალი“, გამომცემლობა „არტე“, თბილისი, 2018 წ.

Ekaterine Fangani
Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

THE SHELTER METAMORPHOSIS

“March Roster” is the most impressive and the deepest, fluent narration in the prosaic heritage of O. Chiladze, “burdened” in some places with the complex analyses, which fully describes the fight between the human’s cognitive and subcognitive and this is a recognizable passage to the description process of the inner or outer world of both the main and minor characters.

The writer obliges the main character of the novel Niko, at his age of 15, to fulfill a quite hard mission of analyzing and re-assessing all he has experienced or heard and all the space with the faces he has lived in for such a short period of his life.

For this reason the stories, “processed” in Niko’s mind, seem grandiose and exaggerated to us as even the smallest detail, the place that has become the jewelry of the space, the object, the sensation or the event are hyperbolized.

According to the facts we prove that “March Roster” composition and the plot flow bears resemblance to William Faulkner’s “The Noise and The Fury”.

The purpose of the work is to conduct deep analysis of O. Chiladze’s “March Roster” and also, to show the processes the main character’s inner metamorphosis is based on.

Some descriptive and comparative methods have facilitated us in expressing ourselves better.

სიტყვათა სასესიის კანონზომიერებათათვის

(სხვადასხვა ენის მონაცემთა მაგალითზე)

არ არსებობს ისეთი ენობრივი ერთეული, რომელიც ნასესხებ ლექსიკას არ შეიცავდეს; სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები თითქმის ყველა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სიტყვათა სესხებას სხვადასხვა ფაქტორი აპირობებს. ერთ-ერთი ძირითადია კულტურული ურთიერთობა; მაგალითად, **ოსმალურ-თურქულ ენაში**, რომელიც ოფიციალურად 1922 წლამდე არსებობდა, არაბულ-სპარსულ ნასესხობათა ხვედრითი წილი დაახლ. 70%-ს აღწევდა (მიულერი, გისი, 1889:23). არაბული ლექსიკის დამკვიდრება, რა თქმა უნდა, ისლამმა შეაპირობა, სპარსულისა კი, ერთი მხრივ, თურქებისა და სპარსელების ხანგრძლივმა თანაარსებობამ ერთიან სპარსულენოვან სახელწიფოში, მეორე მხრივ, თურქულენოვან სამყაროზე სპარსული კულტურის გავლენამ.

თანამედროვე თურქულ ენას, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა, ოსმალურ-თურქულისგან მემკვიდრეობით ერგო არაბულ-სპარსული ლექსიკაც: მიუხედავად იმისა, რომ ქემალ ათათურქის ინიციატივით 1932 წელს შექმნილმა „თურქული ენის პალატამ“ (Türkçe Dil Kurumu) ახალ სამწიგნობრო ენაში ფართოდ დაამკვიდრა დიალექტური სიტყვა-ფორმები (ან კიდევ – თურქულ ძირებზე დაყრდნობით შედგენილი ნეოლოგიზმები), არაბულ-სპარსულ ძირთა სრული ჩანაცვლება ვერ მოხერხდა და ისინი დღემდე შენარჩუნდა, როგორც სინონიმური ფორმები:

არაბულ- სპარსული ნასესხობა:	ძირეული თურქული ეკვივალენტი:	
Hal	Durum	„მდგომარეობა“
Cevap	Yanıt	„პასუხი“
Buhran	Bunalım	„კრიზისი“
Devam etmek	Sürmek	„გაგრძელება“
Hayat	Yaşam	„ცხოვრება“
Vücut	Gövde	„სხეული“
Mahzun	Üzgün	„სევდიანი“
Katı	Kesin	„საბოლოო“
		ო“
Vazife	Görev	„მოვალეობა“
Eğər	-sa // -se	„თუ“
Beraber	İle	„ერთად“

ყველა არაბულ-სპარსული ნასესხობა ოსმალურ-თურქულში მორგებული იყო თურქულ საწარმოთქმო ნორმებს – ეს ნათლად ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც: მაგალითად, სიტყვა **Hal** არაბულში შეიცავს ყრუ ხახისმიერ **ح** ნაპრალოვანსა და დაბალი ანეულობის, უკანა რიგის გრძელ **ا** ხმოვანს, ოსმალურ-თურქულში (resp. თანამედროვე თურქულში) კი გვაქვს ყრუ ხორხისმიერი **ك** ნაპრალოვანი და დაბალი ანეულობის, ოლონდ შუა რიგის, სადა **ا** ხმოვანი. ასევე: სიტყვაში **Vücut** არაბულ მოკლე (ანუ ნაკლულტემბრიან) **و**-ს გადმოსცემს თურქულისთვის დამახასიათებელი პალატალიზებული **u**, ხოლო გრძელ (სრულტემბრიან) **u**-ს კი (რომელიც თურქულს არ ახასიათებს), შესაბამისად – სადა **u**. გარდა ამისა, არაბულში სიტყვის თავკიდური თანხმოვანი წყვილბაგისმიერია, ბოლოკიდური – მჟღერი: **wujūd** **وَجُود** მაგრამ რაკილა თურქულში არ არსებობს წყვილბაგისმიერი **ج**, სიტყვის ბოლოს კი ნებისმიერი მჟღერი თანხმოვანი ყრუვდება, მივიღეთ **Vücut**.

ოსმალურ-თურქულთან შედარებით, ქართულში, ცხადია, ნასესხობები ცოტაა, თუმცა სიტყვათა სესხების ქრონოლოგია ადეკვატურად ასახავს დამპყრობელ ხალხთა ექსპანსიას - მაგალითად,

არაბულიდან შემოსული ნასესხობები VII საუკუნის შუა წლებიდან შეინიშნება, სპარსული სიტყვები აქტიურად დამკვიდრდა XV-XVII საუკუნეებში, რუსული - XIX-XX საუკუნეებში და ა.შ. (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ.: ფუტკარაძე, 2006:215-216); ამასთან, სამნიგნობრო ენასა თუ კილოებში თითქმის ყველა ნასესხობა მორგებულია ქართულ სანარმოთქმო ნორმებს იმდენად, რომ ზოგჯერ ძალიან ჭირს კიდევ მათი არაქართულად მიჩნევა; მაგალითად: **ბარაქა, ბარათი, ნიშატი, ხასიათი, ამაყი, ექიმი, ფიქრი, თაღლითი...** არაბული ნასესხობებია; **იასამანი, ჩოხა, დევი, ნაზი, ქარხანა, აივანი, ხეივანი...** – სპარსული; **პოლკი, პოლკოვნიკი** – რუსული, მაგრამ თითოეული მათგანი უკვე ფონეტიკურად (და მორფოლოგიურადაც!) სავსებით „გაქართულებულია“. საყურადღებოა ისიც, რომ ქართული ზმნური ფორმების კონსტრუირება ხდება მრავალრიცხოვანი აფიქსებით, ამიტომაც არც ერთი ზმნური ფორმა ქართულში ნასესხები არ არის.

ვფიქრობთ, **ზომიერი კულტურული გავლენის** პირობებში **ნასესხები სიტყვები თითქმის ყოველთვის ერგება მსესხებელი ენის ძირითად სანარმოთქმო ნორმებს – ესაა ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი იმისა, რომ თითოეული მათგანი მყარად დამკვიდრდეს ლექსიკურ ფონდში.**

კულტურული ექსპანსიის პირობებში, შეიძლება დამკვიდრდეს გამვლენი ენის ფონემებიც და მორფოლოგიური ინვენტარიც; მაგ., რუსეთის ბოშათა დიალექტში ლექსიკურ ერთეულებთან ერთად, რუსული ენიდან ფართოდაა ნასესხები ცალკეული მორფოლოგიური ელემენტები. ასეთი ნასესხობები ახალგაზრდა თაობის მეტყველებებაში უფრო მეტია, ვიდრე უფროსი თაობისაში (შაპოვალი, 2007:16). საყურადღებოა ისიც, რომ იქვე ზმნათა სესხებაც თავისუფლად ხდება. საილუსტრაციოდ აქ მოვიტანთ ერთ-ერთი ბოშური რომანის ნაწყვეტს:

**პროგეა-პე, პროგეა-პე,
ტერნო ჩავორო,
პროგეა-პე ი პროშეპტალ მნჲ
და-ი პროჯავა მე¹**

„გაიარა, გაიარა
ყმანვილმა კაცმა,
გაიარა, ნამჩურჩულა
და თან მივყვები მეც“

როგორც ვხედავთ, აქ ზმნურ ფორმებში **პროგეა-პე** „გაიარა“ და **პროჯავა** „მივყვები“ წარმოდგენილია რუსული პრევერბი **პრო-** ბოშური ენის სხვა დიალექტებში (მაგალითად, ყირიმულში, რომელზე მეტყველნიც დღესდღეობით, ძირითადად, ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში სახლობენ, ან ლოვარულში, რომელიც ძირითადად, უნგრეთში, ავსტრიასა და სლოვაკიაშია გავრცელებული) ეს ფორმები ჩვეულებისამებრ, უზმნისწინოდ გვხვდება: **გელას-პე, ჯავა/ჟავა** და ა.შ. (ტოპოროვი, 2009:45, ჰაინშენკი, კრასა, 2015:54). რომანის ტექსტშივე, ბოშური კავშირი **თაჲ** „და“, რომელიც რუსეთის ბოშათა კილოში მხოლოდ და მხოლოდ უფროსი თაობის მეტყველებებშია შემორჩა **თხაჲ** ფორმით (შაპოვალი, 2007:23), შეცვლილია რუსული **ი/და-ი** ნაწილაკებით. ასევე, იქვე გვხვდება რუსული ზმნური ფორმა **პროშეპტალ მნჲ** „ნამჩურჩულა“, რომლის ბოშური ეკვივალენტი იქნება **შოპოტისარდას-მან** (ლი, 2011:444).² აქვე დავძენთ, რომ ზმნათა სპონტანური სესხება, ზოგადად, სამეტყველო კოდთა აღრევა/შერევის ნიშანია: სამეტყველო კოდთა შერევა ინტენსიური კულტურული ურთიერთობის შედეგია.

ღირსსაცნობია ისიც, რომ რუსეთის ბოშათა კილოში რუსულიდან ნასესხები სიტყვები არაიშვიათად იცვლიან სქესს: „არსებითი სახელები **გლოს** (голос) „ხმა“ და **სტრახ** (страх) „ხმა“ ბოშურ ენაში იბრუნვიან და ზედსართავ სახელებსაც შეენყობიან ისე, როგორც მდებრობითი სქესისანი: **ლაჩი გლოს** (კეთილი ხმა), **სტრახ ბარი** (დიდი შიში). უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლებელია, ვიფიქროთ: ამის მიზეზია ის, რომ ბოშურ ენაში არის მდებრობითი სქესის ორი, მნიშვნელობით ახლომდგომი სიტყვა: **დარ** – შიში, **ტრამ** – შეშინება. უთუოდ, ამათვე მოახდინეს გავლენა **სტრახ** ნასესხობის მდებრობითი სქესისად მიჩნევაზე“ (შაპოვალი, 2007: 41-42).³

¹ ჩაინერა მიხეილ ლაბაძემ ვიტებსკიდან (ბელარუსი) ჩამოსულ ბოშა მომღერალ **რაია იბრაგიმისაგან** (34 წლისა) 2019 წლის 26 აგვისტოს, ქ. ბათუმში.

² საკუთრივ ბოშურ ფორმაშიც ძირი **შოპოტ-** ლაგური წარმომავლობისაა, თუმცა ზმნური სუფიქსები და ენკლიტიკური ნაცვალსახელი ბოშურია.

³ „Имена существительные *глас* (голос), *страх* (страх) в цыганском языке склоняются и согласуются с прилагательными как существительные женского рода: *лачи глас* (добрый голос), *страх бари* (страх большой). В последнем случае можно думать, что причиной послужило то, что в цыганском языке есть два близких по значению слова женского рода:

ასევე, მსგავსი ვითარება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის ერთ-ერთ ენაში – ჩინურში დაადასტურა როსტომ ფარეულიძემ (2011:48): „გრამატიკული კლასების მიხედვით, ნასესხები ლექსიკის განაწილებაში გარკვეულ როლს ასრულებს ანალოგია. შდრ., XI D-Y წყალი არის, чай D-Y ჩაი არის (ჩაიც სითხეა, ამიტომაა D- კლასში, ანუ იმავე კლასშია, რომელშიც წყალი) და მისთ“.

მაშასადამე, ნასესხები სიტყვები ერთიანდებიან იმავე მორფოლოგიურ კატეგორიებში, რომელთაც მათი ძირეული ეკვივალენტები მიეკუთვნება (და არაიშვიათად, დაირთავენ სათანადო მარკერებს). ესაა კიდევ ერთი საფუძველი იმისა, რომ შემდგომში, ნასესხობები ლექსიკური ფონდის განუყოფელ ნაწილად იქცეს. ხსენებული თავისებურების გამო, ბევრ ენაში ნასესხებ სიტყვათაგან ისევე თავისუფლად შეიძლება ინარმოებოდეს ნასახელარი ზმნები, როგორც ძირეული ლექსიკური ერთეულებისაგან. მაგალითად, ქართულში ფიქრ-ი არაბულიდან შემოსული ნასესხობაა, რომელიც არც ფონეტიკური და არც მორფოლოგიური მონაცემებით არ განირჩევა ძირეული ქართული ლექსიკური ერთეულებისაგან. ბუნებრივია, მისგან ინარმოება ნასახელარი ზმნებიც: ფიქრ-ობ-ს, მო-ი-ფიქრ-ა, გა-ი-ფიქრ-ა... რაღა თქმა უნდა, ასეთ ზმნებს ნასესხებად ვერაფერ ჩათვლის – მათი ყველა მანარმოებელი (პრეფიქსებიც და სუფიქსებიც) ქართულია, მხოლოდ ძირია არაქართული წარმომავლობის.

ამჟამად აღმოსავლეთ უკრაინაში გავრცელებულ სერვულ კილოში უკრაინული ენიდან შესული ლექსიკა ძირეულს თითქმის ორჯერ აღემატება (ჩერენკოვი, 2008:490), თუმცაღა ყოველი მათგანი მორგებულია ბოშური ენის სანარმოთქმო ნორმებს და გაერთიანებულია სათანადო მორფოლოგიურ კატეგორიებშიც. მათგან ნასახელარი ზმნების წარმოების დროს, მხოლოდ საკუთრივ ბოშური მანარმოებლები გამოიყენება; მაგალითად:

ქ ანდო ცერკვო, ლას პასჭკა, პოტ იმ სვატ ისარას-ლა ი აკადა სამო ჰლავნო, აკადა პასკა
„მივდივართ ეკლესიაში, ვყიდულობთ [პატარა] პასკას, შემდეგ ვაკურთხებთ მას და ესაა ყველაზე მთავარი, ეს პასკა“

ამ ფრაზაში, რომელიც მოჰყავს სერვული კილოს ერთ-ერთ მკვლევარს – ივან პანჩენკოს (2010:95), უკრაინულიდან ნასესხებ არსებით სახელს ცერკვო (რომელიც თავად უკრაინულში გვხვდება церква ფორმით) ერთვის ბოშური ენისთვის დამახასიათებელი მამრობითი სქესის დაბოლოება -ო; უკრაინულიდანვე შემოსული ზედსართავი სახელისაგან სვატო „წმინდა“ კი ინარმოება ნასახელარი ზმნა – სვატ ისარას-ლა „ვაკურთხებთ მას (მდ. სქ.)“. მისი ზმნური მანარმოებლები (სუფიქსები) -ი-სარ-ას და მესამე პირის ენკლიტიკური ნაცვალსახელი -ლა საკუთრივ ბოშურია.

ასეთივე ტიპის მოვლენები იჩენს თავს ინტენსიური კულტურული ურთიერთობების დროსაც: მაგალითად, სვანურ კილოებში თავს იჩენს არამარტო ნასესხები ლექსიკა, არამედ ასევე – ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულ თურქულენოვან ეთნოსებთან (ყარაჩაელები და ბალყარელები) მეტად ინტენსიური კულტურული ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი პალატალიზებული (ზოგი მკვლევარის ტერმინოლოგიით – „უმლაუტიანი“) ხმოვნებიც. იქვე სახელისა და ზმნის მანარმოებელი აფიქსების დიდი უმრავლესობა ძირეული - ქართველური გახლავთ; იხ. ბალსზემოური კილო: ფჰყვ (< ჩერქ. ПШV) „ქუდი“ და ფაყვ-ს „ქუდ-ს“; აგრეთვე: ზ-ბდ-ჰვ-ი „ბედ-ავ-ს“, ზ-ბდ-ჰვ-და „ბედ-ავ-და“ და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ის ნასესხები სიტყვა, რომელიც მსესხებელ ენაში არ ერგება სანარმოთქმო ნორმებს და არც სათანადო მორფოლოგიურ კატეგორიაში ერთიანდება, ოკაზიონალიზმია. როგორც წესი, ოკაზიონალიზმები თავს იჩენს უმეტესად სამეტყველო კოდთა აღრევის დროს, ენაში კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მკვიდრდება, თუკი სამეტყველო კოდთა აღრევა სოციუმში საყოველთაო მოვლენად იქცევა ხოლმე. დაეძენთ იმასაც, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში არაიშვიათად, მიიღება ნარევი ენობრივი ერთეული, სრულიად ახალი სანარმოთქმო ნორმებითა და მორფოლოგიური კატეგორიებით.

ცენტრალური ამერიკის ერთ-ერთ ენაში – გარიფუნაში, რომელიც წარმოშობით სწორედ ამგვარი ტიპის ნარევი (ინდიურ-აფრიკულ) ენობრივ ერთეულს წარმოადგენს, დასტურდება ერთობ უნიკალური მოვლენა: მამაკაცთა მეტყველებაში ჭარბობს ნასესხობები კარიბული ოჯახის ენებიდან, ხოლო ქალთა მეტყველებაში – არავაკული ოჯახის ენებიდან. ამასთანავე, არსებობს ე.წ. „ნეიტრალური შეფერილობის“ ლექსიკაც, რომელიც უმეტესად ძირეული (ანუ აფრიკული), ანდა კიდევ – ევროპული ენებიდან (ესპანური, პორტუგალიური, ჰოლანდიური, ფრანგული, ინგლისური...) ნასესხები გახლავთ (მანრო, 1998:12-14).

дар (ж.) - страх, траш (ж.) - испуг. Вероятно, они и повлияли в данном случае на выбор женского рода для заимствования страх.“

ზომიერი კულტურული ურთიერთობებით უნდა აიხსნას ქართული ნასესხობები **ოსურ ენაში**. ოსურში ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და კვირის დღეთა ზოგი სახელწოდებაც ნასესხებია ქართული ენიდან (ან ქართულის მეშვეობით): **Дзуар** „ჯვარი“, **Натлиа** „ნათლია“, **Джеоргуыбæ** „გიორგობა“, **Тæранджелоз** „მთავარანგელოზი“, **Мыкæлгабыртæ** „მიქელ-გაბრიელი“, **Къуыри** „კვირა“, **Бараскæ** „პარასკევი“... სესხების წინაპირობა აქ გახლდათ ქართულენოვანი კულტურული გარემო – მჭიდრო ურთიერთობა ქართველებთან. ქართულ ნასესხობათა სიძველეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა-ფორმები შეგუებული არიან ოსურ სანარმოთქმო ნორმებს.

შდრ.: კულტურული ექსპანსიით უნდა აიხსნას ოსურში არსებული რუსული იმგვარი ლექსიკური ერთეულები კი, როგორცაა, მაგალითად **Очерк** „ნარკვევი“ (შდრ. ძირეული ოსური **Нывæг**), **Совет** „საბჭო“ (შდრ. ძირეული ოსური **Ныхас**), **Столица** „დედაქალაქი“ (შდრ. ძირეული ოსური **Сæйраг сахар**) და ა.შ., **რუსული ექსპანსიური ენობრივი პოლიტიკის** შედეგადაა დამკვიდრებული. მართალია, ოსურში არსებობს მათი ფარდი ძირეული ოსური (ან ადრე შეთვისებული) ლექსიკა, მაგრამ ნასესხობები უფრო აქტიურია. თანამედროვე ოსურ ენაში რუსული ლექსიკური ერთეულების სპონტანური სესხება არათუ არ იზღუდება, არამედ ერთგვარად, წახალისებულიც კია; მაგ.: ირონულსა და დიგორულ სამნიგნობრო ვარიანტებში პირდაპირ შედის შესაბამისი რუსული სიტყვა-ფორმა, რომელიც აუცილებლად ინარჩუნებს ხოლმე დანეროლობასაც და წარმოთქმასაც – მაგალითად, **Альбом** „ალბომი“, **экипировать кæнын** „ეკიპირება“, **абажур** „აბაჟური“, **журнал** „ჟურნალი“... ეს სხვა მსგავსი ნასესხობანი ამჟამად ოსურშიაც ისევე ინერება (და წარმოითქმის!), როგორც რუსულში (გურიევი, თაყაზოვი et al., 2004:13); არადა, ოსური ენისთვის ზოგადად, უცხოა თანხმობანთა შერბილება, უკანანუნისმიერი შიშინა Ж და Ш ნაპრალოვნები.

ამრიგად, სხვადასხვა ენის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სიტყვათა სესხება ხდება:

1. **უცხოენოვანი კულტურული გარემოს ზომიერი გავლენით;**
2. **იმპერიის კულტურული ექსპანსიის (ანდა: ექსპანსიური ენობრივი პოლიტიკის) პირობებში;**
3. **ახალი ცხოვრებისეული რეალობის გაჩენის დროს;**
4. **ენობრივი დაგეგმვის შედეგად.**

ლიტერატურა:

1. **გურიევი, თაყაზოვი et al., 2004:** Гуыриаты Тамерлан, Тахъазты Харум, Гæбæраты Никъала, Дзодзыккаты Зæида, Боцуаты Евген, Майрæмыхъуаты Фатимæ, Куыдзойты Анжелæ, «Ирон æвзæджы орфографи æмæ пунктуацийы æгъдæуттæ», Дзæуджыхъæу, 2004;
2. **ლი, 2011:** Ronald Lee, *Romani Dictionary: English - Kalderash*, Magoria Books, Toronto 2011;
3. **მანრო, 1998:** Pamela Munro, “The Garifuna gender system”. / Hill, Mistry, & Campbell (eds), *The Life of Language: papers in linguistics in honor of William Bright*, Walter de Gruyter, Berlin, 1998;
4. **მიულერი, გისი, 1889:** August Müller, Hermann Gies, *Türkische Grammatik, mit Paradigmen, Litteratur, Chrestomathie, und Glossar*, Berlin, 1889;
5. **პანჩენკო, 2010:** Иван Васильевич Панченко, *Сервицький діалект Ромської мови*, Львів, 2010;
6. **ტოპოროვი, 2009:** Vyacheslav Toporov, *Crimean Roma (language and folklore)*, Ivanovo, 2009;
7. **ფარეულიძე, 2011:** როსტომ ფარეულიძე, *ჩეჩნური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი)*, თბილისი, 2011;
8. **ფუტკარაძე, 2006:** ტარიელ ფუტკარაძე (რედ.) „ქართული ენის ისტორია“, ქუთაისი, 2006;
9. **შაპოვალი, 2007:** Виктор Васильевич Шаповал, „Самочитель Цыганского языка“, Москва, 2007;
10. **ჩერნეკოვი, 2008:** Лев Николаевич Черенков, „Цыганская диалектология в Украине. История и современное состояние“ / Наукові записки. Збірник праць молодих вчених та аспірантів, Інститут української археографії та історіографії НАН України, Київ, 2008; გვ. 489-503;
11. **ჰაინშენკი, კრასა, 2015:** Mozes P. Heinschenk, Daniel Krasa, *Lehrbuch des Lovari*, Wien, 2015.

Tariel Putkaradze

Professor

Mikheil Labadze

Doctor of Philology

Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
Georgia, Tbilisi

FOR WORD BORROWING REGULARITIES

(on the example of different language data)

There are no linguistic units in the world that do not contain borrowed vocabulary. There are well-known facts that words that are borrowed from other languages represent an important part of a basic vocabulary: e.g. the share of Arabic-Persian borrowings in **Ottoman Turkish language**, which officially existed until 1922, reached up to 70%. Today the same situation applies in some dialects of **Romani language** - for example, The Ruska Roma dialect along with the lexical units, vastly borrows certain morphological elements from the Russian language as well. (proverbs, affix...). These borrowings are more used by younger generations than the older ones (Shapoval, 2007:16), whereas, in the Servitska dialect, that is spoken in the eastern Ukraine, vocabulary borrowed from Ukrainian language doubles than its autochthonous words. This unique event is also confirmed in one of the languages of the Central American Indians – Garifuna: In men's speech, borrowings from Caribbean family languages predominate, and in women's speech - from Arawakan languages.

It is noteworthy, that the chronology of the word borrowings in Georgian language adequately reflects the expansion of the conquerors. For example, borrowings that are from Arabic language dates back to the middle of the VII century, Persian words were actively established in the XV-XVII centuries, Russian - in the XIX-XX centuries. It is noteworthy, that the verb is not borrowed in Georgian language, since the verb is constructed with numerous affixes in the speech process.

Based on the data analysis of different languages we can say, that the words are borrowed by:

1. **The reasonable influence of foreign cultural environment**
2. **Under the Empire's expansive language policy**
3. **When new realities emerge**
4. **As a result of language planning.**

შორენა შამანაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ნათელა ჩიტაური

ფილოლოგიის დოქტორი,

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

ილენობის ჰიბრიდულობა ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მხარობაში

XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა კულტურული, ნაციონალური, რელიგიური, გენდერული და სხვ. ილენობის პარამეტრების განსაზღვრის პრობლემამ ინტერკულტურულ-მიგრაციულ ლიტერატურაში, რომელიც იქმნება მწერალ-მიგრანტთა მიერ. ამ ავტორთა შემოქმედების მთავარ თავისებურებად კი მრავალშრიანი, პირველ რიგში კი სტილური ჰიბრიდულობა მიიჩნევა. ყოველი წინასწარგანზრახული სტილური ჰიბრიდი, ბახტინის მიხედვით, გარკვეულწილად დიალოგიზებულია. ეს ნიშნავს, რომ მასში გადაჯვარედინებული ენები ერთმანეთს მიემართება, როგორც დიალოგის რეპლიკები; ეს არის ენათა კამათი, ენობრივ სტილთა კამათი [ბახტინი 1975: 439].

ილენობის ჰიბრიდიზაცია წარმოიშობა და ვითარდება ღია კულტურულ სივრცეში, როდესაც განსხვავებული სტილი, თემა, ჟანრი თანასწორუფლებიანად არსებობს. პოსტკოლონიური ლიტერატურისა და კულტურის თეორიაში ჰიბრიდულობა არის ტრანსკულტურული სააზროვნო ფიგურა და ჰომი კ. ბაბასა და ნესტორ გარსია კაკლინის მიერ გამოიყენება, რათა დაიძლიოს ისეთი დიქტომიები, როგორებიცაა: „მე“ – „სხვა“, „ცენტრი“ – „პერიფერია“, „კოლონიზატორი“ – „კოლონიზირებული“. განსხვავებულობისა და ილენობის შეერთების შედეგად წარმოქმნილი დაუშლელი მთლიანობა ქმნის

„მესამე სივრცეს“ ('third space', 'in-between'). ამ მოვლენის ყველაზე დიდი რეპრეზენტატორებად ვ.ს. ნაიპაული და სალმან რუშდი ითვლებიან.

ალიარებულია, რომ იდენტობის ჰიბრიდულობას, როგორც დღევანდელი ინტერკულტურულ-გლობალიზებულ-მიგრაციული სამყაროს ფენომენს, ძირითადად განსაზღვრავს მიგრაციული პროცესები: ამ დროს ერთმანეთს ხვდება განუსაზღვრელი ცვლადების ორი ნაკრები და სწორედ აქ იწყება „დეფისის“ ძალაუფლება. ეს ნიშანი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს ჰიბრიდული ხასიათისა და ჰიბრიდული არსისაკენ.

იდენტობათა ჰიბრიდულობას, მიგრაციული პროცესების გარდა, საფუძვლად უდევს კიდევ სხვა ფაქტორებიც:

გლობალიზაციის პროცესში უნიფიცირების საფრთხემ, მასკულტურაში ჩაკარგვის შიშმა აიძულა ადამიანები მოეძიებინათ ისტორიული ფესვები, გაეხსენებინათ თავიანთი ენები და კულტურა, დაეცვათ საკუთარი იდენტობა. ასევე მნიშვნელოვანია: იდენტობათა პოსტსაბჭოთა ქაოსი, იდენტობათა კრიზისი, იდენტობათა არასტაბილურობა. ტრადიციულ და თანამედროვე ფასეულობათა, ნაციონალურკულტურულ და ინტერკულტურულ იდენტობათა ოპოზიციები. იდენტობათა და ფასეულობათა სოციალიზაცია; იდენტობათა დაკავშირება ყოფით დეტალებთან, იდენტობათა დამოკიდებულება გარემოს, სოციუმის, პოლიტიკის, ეპოქის, მიგრაციის აქტუალურ მოთხოვნებზე.

იდენტობათა მოდიფიკაციებმა, კულტურულ-რელიგიურ იდენტობათა გახშირებულმა კონფლიქტებმა გაართულა თვითიდენტიფიკაციის პროცესი, შექმნა ტრამეული, გაორებული, ჰიბრიდული პროცესები. ეს ფენომენი კი დღეს ყველაზე მეტად და აქტიურად აისახება ლიტერატურაში, რომელიც მიგრაციის პროცესებში, ინტერკულტურულ ვითარებაში ყალიბდება „მოძრაობის“, ტრანსკულტურულ, ტრანსარეალურ მწერლობად, ახალ „ველტილიტერატურად“... (დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს ამ ლიტერატურის კვლევა და სხვადსხვაგვარადაა სახელდებული - ჰაიდე როში, ედვარდ საიდი, ლუდმილა ბუგაევა, ოტმარ ეტტე, ელკე შტურმ-ტირიგონაკისი). ჩვენ ვუნოდებთ ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობას.

ჰიბრიდულობის ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის მთავარი კონცეპტად გააზრება ეფუძნება შემდეგ კონცეფციებსა და ცნებებს¹:

„code switching – კოდების ჩართვის“ კონცეფცია, რომელიც კოსკულტურული ნარატივის შემოქმედს უფლებას აძლევს ორ ენათა შორის საზღვრის გადაკვეთისას გაუცნობიერებლად შეაღწიოს საკუთრების, მიკუთვნებლობისა და კულტურული ძალაუფლების შეგრძნებაში როგორც უფლებებო „სხვამ“. ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ქმნის ნიადაგს ასეთი კოდების ჩასართავად და ჰიბრიდიზირებული დისკურსის შესაქმნელად ერთდროული განსხვავებისა და განუსხვაველობის მატერიალურ პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ცნება „კონტაქტური ზონა“ (პრატი 1992), როგორც კოლონიზაციით, რადიკალური უთანასწორობითა და კონფლიქტით „გამრუდებული“ სივრცე. „კონტაქტური ზონა“ ჩნდება ასევე, როგორც იმ საგანთა სივრცითი და დროითი თანაარსებობა, რომლებიც ადრე დაყოფილები იყვნენ გეოგრაფიულად და ისტორიულად და რომელთა სურათ-ხატები ამ მომენტებში გადაიკვეთება [პრატი 1992: 6-7].

ინტელექტუალური და პოლიტიკური ურთიერთდამტვირთვა კულტურული რეალიებით. ს. ჰოლისათვის ის ახალი შავი ეთნოსები, რომლებიც ამოიცნობა თანამედროვე ბრიტანეთში, წარმოადგენს „დაჭრის და შერევის“ („სასალათე ჯამის“ ფენომენი) ან „კულტურული დიასპორიზაციის“ პროცესის შედეგს“ [ჰოლი, 1994].

ჰიბრიდულობა როგორც კოლიზია პოსტკოლონიური და პირველი სამყაროს ქვეყნებს შორის [დირლიკი 1994: 342], როცა სივრცეთაშორისობისა და ჰიბრიდულობის პირობები არ განიხილება იმ იდეოლოგიურ და ინსტიტუციონალურ სტრუქტურებზე მითითების გარეშე, რომლებშიც ისინი არიან განთავსებულნი.

იდენტობის ჰიბრიდულობა ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში განსაკუთრებით აქტიურებს პიროვნების თვითიდენტიფიკაციის პრობლემების ნარატივს, რასაც თავისი მიზეზები აქვს: მიგრაციულმა ვითარების, „მოძრაობის“ გამო იდენტობა აღარ არის უცვლელი, ტრადიციულად დამკვიდრებული მოცემულობა, ის დამოკიდებული გახდა სწრაფად ცვლადი გარემოს აქტუალურ მოთხოვნებზე, დროსივცრეზე „მიბმული“ „მოძრავი“ იდენტობა მარადიული, სტაბილური ფასეულობების ნაცვლად დაუკავშირდა ყოველდღიურ ყოფით სიუჟეტებს. ყოველივე ამის გამო ადამიანები დღეს თანდათან კარგავენ სტაბილურობის შეგრძნებას, „არა ადგილზე ქმნადობის“ თანმხლები ფსიქოსოციალური იდენ-

ტობის კონტექსტმა (პროტესტი „უცხო“ წინააღმდეგ, რესენტიმენტი, კულტურული შოკი, ტრავმა, გაუცხოება, ნოსტალგია, სივრცის იდენტიფიკაცია, სულიერი და კულტურული დისტანცია, ადაპტაცია) გააძლიერა ეგზისტენციალური კრიზისი შესამდობის კითხვებით: ვინ ვარ შეცვლილ, ემიგრაციულ სამყაროში, სად არის ჩემი ადგილი? გარე და შიდა მიგრაციების პროცესებში ადამიანები დღეს იდენტობათა, პიროვნული „მე“-ს, თავისუფლების ძიებაში არიან. რთულდება საკუთარი ადგილის პოვნა, თვითდამკვიდრება. შეიქმნა პიროვნებათა თვითიდენტიფიკაციის პრობლემები. პიროვნების თვითიდენტიფიკაცია, იდენტობის სუბიექტური განცდა ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და ასახავს საზოგადოებაში პიროვნების ინტეგრაციის პროცესს. რადგანაც სწრაფად ცვალებადმა გარემომ შეუდარებლად გაართულა პიროვნების ადაპტაცია სოციალურ, ამიტომაც პიროვნების თვითიდენტიფიკაციის სირთულე იდენტობათა „ამოძრავების“, ჰიბრიდულობის კვალდაკვალ სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

იდენტობის ჰიბრიდულობა ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში სხვადასხვა ასპექტით წარმოჩინდება:

1. მართალია, დევნილობა, ეთნოკონფლიქტები, პოსტსაბჭოთა ქაოსი ამძაფრებს სამშობლოს თემატიკის ტრაგიზმს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამგვარ ტექსტებში ნაციონალური კონცეპტების სიჭარბეს, მაგრამ ზოგიერთ ტექსტში შეინიშნება ნაციონალური იდენტობის ინტერკულტურული ჩანაცვლების პროცესი, ანუ გამოხატულია სწრაფვა დასავლური ღირებულებებისაკენ.

2. ხშირია ტოლერანტობის ამსახველი ტექსტები.

თუ მარადიული ღირებულებები ადრე მხოლოდ ნაციონალური იდენტობის, ტრადიციების გადასახედიდან განიხილებოდა, ახლა მეტია ინტერკულტურული, გლობალური რეალობის გათვალისწინების მცდელობა.

3. კულტურული ჰიბრიდულობა განსაკუთრებული მარკერებით ვლინდება კულტურული ძალადობების ამსახველ ტექსტებში. როგორც ვიცით, კულტურული ძალადობის მექანიზმები ძლიერდება სწრაფად ცვალებად საზოგადოებაში ანუ მიგრაციებში, ეთნოკონფლიქტურ პროცესებში, როდესაც ძველი წესები და ფასეულობანი აღარ შეესაბამება რეალურ ურთიერთობებს, ხოლო ახლები ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

4. კულტურული ჰიბრიდულობა რეპრეზენტირდება იმაგოლოგიურ დისკურსში; კულტურული ჰიბრიდულობის კონტექსტი განსაკუთრებული მახასიათებლებით ავითარებს დისტანციიდან დანახვისა და შეფასების შესაძლებლობებს. სწორედ ჰიბრიდულობის ფენომენი ქმნის შედარებით ჯანსაღ, დღევანდელ გლობალურ/მიგრაციულ რეალობას მორგებულ იმაგოლოგიურ ნარატივს, რაც დღეს მნიშვნელოვანია კულტურული ფენომენის განსაზღვრისათვის.

5. XXI საუკუნის პოსტმოდერნისტულ და ინტერკულტურულ ვითარებაში მდგრადი სტაბილურობის პოზიციები იცვლება მოძრაობის, ქმნადობის პოზიციებით. კულტურული ჰიბრიდულობა სრულიად ერგება ამ ვითარებას. მოძრაობის ვითარებაში ყალიბდება ერთდროულად საერთოც და განსხვავებულიც.

იდენტობის ჰიბრიდულობა მიმდინარე პროცესია და ის დღევანდელ „მოძრაობის“, ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობას მდიდარ მასალას აძლევს ახალი საინტერსო ნარატივებისათვის.

ამჯერად იდენტობის ჰიბრიდულობა განვიხილავთ ელიფ შაფაქის რომანის „სტამბოლელი ნაბიჭვარი“, ასევე გაბრიელ ტანიეს რომანის „ქანაანის შვილები“ მაგალითზე.

ელიფ შაფაქი თურქი მწერალი ქალი, დაიბადა საფრანგეთში, ცხოვრობდა ესპანეთში, იორდანიაში, ამერიკაში. ამჟამად აშშ-სა და თურქეთში ცხოვრობს, წერს თურქულ და ინგლისურ ენებზე,

ელიფ შაფაქის რომანში „სტამბოლელი ნაბიჭვარი“ მოთხრობილია ორი ოჯახის, თურქებისა და სომხების ისტორია. ჩახმახჩიანების ოჯახი, რომელიც ახლა აშშ-ში ცხოვრობს, 1915 წლის სომხების გენოციდის მსხვერპლია. იმ სისხლიანმა დროებამ ისინი დევნილად აქცია.

რომანში გამოიყოფა იდენტობათა რამდენიმე მნიშვნელოვანი კონტექსტი:

იდენტობათა შეხვედრა და კვეთა, როგორც მტკივნეული, ტრაგიკული პროცესი;

სტამბოლში იკვეთება სომხების, თურქების, გაამერიკელებული სომხების ძველ და ახალ თაობათა იდენტობანი. სტამბოლში იქმნება კულტურათა გზაგასაყარი. ყველა პერსონაჟი, – იქნება ეს სტამბოლში მცხოვრები ე. წ. „ცოდვის ნაყოფი“ 19 წლის ასია კაზანჯი, დედამისი ზელიჰა, ტატუს სალონის მეპატრონე ბანუ ჯევრიე, ფერიდე, ბებია გულსუმი, ამერიკაში გადახვენილი ოჯახის სათაყვანებელი ვაჟიშვილი მუსტაფა, ამერიკიდან ჩამოსული არმანუშ ჩახმახჩიანი (არმანუშის ამერიკელი დედა როუზი არიზონაში

ცხოვრობს. სომეხი მამა ბარსამ ჩახმახჩიანი - სან-ფრანცისკოში) - უპირველესად ცალ-ცალკე იდენტობები.

თურქული იდენტობა: „ალაჰი არა მხოლოდ ზემოდან დაგვყურებს, არამედ ზრუნავს კიდევ ჩვენზე. ეს ის ერთ-ერთი იშვიათი მომენტი იყო, როდესაც ფიქრობ, რომ ხავერდის ნაჭერივით რბილი ლოცვა, მთელი ჩემი სხეული ამ ლოცვაში ეხვევა“ (შაფაქი 2017: 31,39).

სომხური იდენტობა: „ჩვენ ერთმანეთზე ვზრუნავთ. კარგ რამეს თუ ვხედავთ, უმალ ვუზიარებთ მას მეგობრებსა და ნათესავებს, ერთიანობის წყალობით მოახერხა სომეხმა ხალხმა გადარჩენა“ (გვ. 71). ... არმანუშს „იმის გამო, რომ მისი ბავშვობა ნაწილებად იყო დახლეჩილი, გოგონას ჯერაც ვერ მიეგნო განუყოფლობისა და იდენტურობის შეგრძნებისათვის. საკუთარი ცხოვრების დასაწყებად წარსულში უნდა ემოგზაურა“ (შაფაქი 2017: 141).

„ვფიქრობ, მეც შეიძლება მქონდეს რაღაც საერთო იანიჩარების პარადოქსთან, როგორც სხვადასხვა კულტურული ფესვის მქონე, ერთმანეთზე განაწყენებული და განქონინებული მშობლების შვილია, ... როგორც ერთადერთმა ქალიშვილმა სომეხი მამისა, რომელიც თავად გადარჩენილთა შვილია, და კენტუკელი დედისა ელიზაბეტაუნიდან, დანამდვილებით ვიცი, რას შეიძლება გრძნობდე, როცა დაპირისპირებულ მხარეებს შორის იწუნები, გამუდმებით მერყეობ არსებობის ორ მდგომარეობას შორის და არ შეგიძლია თავიდან ბოლომდე ეკუთვნოდე რომელიმე მხარეს“ (შაფაქი 2017: 142).

ბარსამის მამა სარგის ჩახმახჩიანიც 1915 წელს თურქეთიდან გადმოსახლებული ოჯახის შვილი იყო. ახსოვდა, როგორ დამცინავად უყურებდნენ არასომხურ უბანში ბავშვები. ბარსამს უნდოდა, რომ „...დანარჩენებს ჰგვანებოდა, მათზე არაფრით ყოფილიყო მეტი ან ნაკლები. უნდოდა ამერიკელი ყოფილიყო და არ ჰქონოდა სომხურად შავი კანი“ (შაფაქი 2017: 329).

„ამდენი წლის შემდეგ თავს გაცილებით კომპორტულად გრძნობდა, როცა საკუთარ აზრებს ინგლისურად გამოხატავდა, ვიდრე თურქულად საუბრისას. ... და მაინც ასევე არაბუნებრივი იქნებოდა, თუ არა ქედმაღლური, მეორე თურქს ინგლისურად რომ დალაპარაკებოდა. პირადი ხასიათის ასეთი დაბრკოლებების გადალახვას მუსტაფა კაზანჯი აქამდე იმის ხარჯზე ახერხებდა, რომ შეერთებულ შტატებში თურქებთან ურთიერთობას თავს არიდებდა. მსგავსი შემთხვევითი შეხვედრების დროს მუსტაფას გაუცხოვება თანამემამულეებთან საშინლად თვალში საცემი იყო“ (შაფაქი 2017: 342).

ამერიკელმა როუზმა დიდ სომხურ ოჯახთან შეგუება ვერ მოახერხა, „...მაგრამ ზუსტად იმავე მიზეზის გამო იდეალური სამოთხე შეეძლო შეექმნა მუსტაფას მსგავსი მამაკაცისათვის, კაცისთვის, რომელიც თავისი დიდი თურქული ოჯახისაგან თავის დაღწევას ცდილობდა“ (შაფაქი 2017: 344).

წარსულისა და თანამედროვეების აღქმა ახალ ველში, ნაციონალური იდენტობის განსხვავებულ კონტექსტებში;

თურქეთიდან სომხების გამოდევნის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ამერიკაში მცხოვრებ სომხურ ოჯახს ეგონა, რომ სამუდამოდ დააღწია თავი თურქეთს, სტამბოლს. თუმცა სტამბოლში კაზანჯების ოჯახთან შეხვედრა ამჟღავნებს მათ ნამდვილ იდენტობას, რომელიც უკვე სამი – თურქული, სომხური, ამერიკული – იდენტობის ჰიბრიდია. იდენტობის ჰიბრიდიზაცია განსაკუთრებით აისახება წარსულთან მიმართების სხვადასხვაგვარობაში.

მართალია, წარსული თურქულ და სომხურ ოჯახებს საერთო აქვთ, მაგრამ ახალი თაობა მას უკვე განსხვავებულად სწორედ იდენტობის ჰიბრიდიზაციის გამო აღიქვამს.

ახალი თაობა არმანუშ ჩახმახჩიანის სახით მიმართავს ძველ თაობას: „თქვენ, ყველა, სომხურ თემში დაიბადეთ და არასოდეს დაგჭირვებიათ იმის მტკიცება, რომ ერთ-ერთი მათგანი ხართ, მე კი დაბადების დღიდან ამ საზღვარზე ვარ მიჯაჭვული და სულ ამაცხა და ტრამვირებულ სომხურ ოჯახსა და ისტერიკულად ანტისომხურად განწყობილ დედას შორის ვმერყეობ. მეც რომ თქვენსავით ამერიკელი სომეხი გავხდებ, უპირველესად ჩემს სომხობას უნდა მივანო.“ (შაფაქი 2017: 145).

„არმანუში ნელ-ნელა მიხვდა, ... რომ კაზანჯები რომ კავშირს ვერ ხედავდნენ საკუთარ თავსა და ამ დანაშაულის ჩამდენ ბოროტმოქმედებს შორის. არმანუში, როგორც სომეხი, თავისი ხალხის თაობების ხორცშესხმული სული გახლდათ, მაშინ, როდესაც სამუშაო სტატისტიკურ თურქს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ წინაპრებთან ერთად ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. სომხები და თურქები სხვადასხვა დროში ცხოვრობდნენ. სომხებისათვის დრო იყო წრე, რომელშიც წარსული ანმყოში განსახიერდებოდა, ხოლო ანმყო წარმოშობა მომავალს. თურქებისათვის დრო წყვეტილი ხაზი იყო, ნაესული რომელიდაც განსაზღვრულ წერტილში მთავრდებოდა, ხოლო ანმყო ახალი ნიშნულიდან ხელახლა იწყებოდა და მათ შორის არაფერი იყო, ნაპრალის გარდამ“ (შაფაქი 2017: 199).

არმანუშ ჩახმახჩიანის (გაამერიკელებული სომეხი) და ასია კაზანჯის (თურქი) დიალოგი:

არმანუში: „რაც შეეხება იმას, რომისტორიით ვარ შეპყრობილი. ... ისტორია არის ის, რაც გვა-
ცოცხლებს და გვართიანებს.“

ასია: „ერთიანობის შეგრძნება არის პრივილეგია, მისი წყალობით იმ გუნდის ნაწილი ხდები, რომელშიც სოლიდარობის დიდი გრძნობა აქვთ. ... მესმის, რამდენად ტრაგიკული წარსული ჰქონდა შენს ოჯახს და პატივს ვცემ შენს სურვილს, რაც უნდა მოხდეს, იცოცხლო მოგონებებით, რომ შენი წინაპრების ტანჯვა დავინყებას არ მიეცეს. ჩვენი გზებიც სწორედ აქ იყოფა. შენი გზა ხსოვნის სახელით დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობაა, მაგრამ შენს ადგილზე რო ვიყო, დიდდასავით ვიქნებოდი და ვერაფერსაც ვერ გავიხსენებდი.“

არმანუში: „რატომ გეშინია წარსულის?“

ასია: ჩემნაირი ადამიანი ვერასოდეს ვერ იქნება წარსულზე ორიენტირებული. ... ჩემთვის ისტორია დღეს იწყება. არ არსებობს დროის უწყვეტობა. წინაპრებთან კავშირს ვერ იგრძნობ, თუ საკუთარ მამას ვერ პოულობ...საკუთარ თავს ვეუბნები, რად გინდა წარსულის გამოჩინება? ვერ ხედავ რომ წარსული მანკიერი წრეა? შეგვიტყუებს და ბორბალში გამობმული ზაზუნებით გვარბენინებს, მერე კი საკუთარ სიტყვებს ვიმეორებთ და ვიმეორებთ“ (შაფაქი 2017: 216).

არმანუში: „ქალები, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობენ, გულწრფელი ინტერესითა და სიბრაღით მისმენდნენ, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან, თურქებისათვის წარსული სხვა რამეა“ (შაფაქი 2017: 219). „... ჩვენ, სომეხები, მხოლოდ ჩვენი დანაკარგისა და ტკივილის აღიარებას ვითხოვთ, რაც უმთავრესი მოთხოვნაა ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობის გასაჩაღებლად. აი, რას ვეუბნებით თურქებს: ნახეთ, ჩვენ ვგლოვობთ, თითქმის საუკუნეა ვგლოვობთ იმიტომ, რომ დაგკარგეთ ისინი, ვინც ყველაზე მეტად გვიყვარდა, გამოგვყარეს ჩვენი სახლებიდან და გაგვადევნეს საკუთარი მიწიდან. ისე გვექცევიან, როგორც ცხოველებს და გვხოცავენ, როგორც ცხვრებს. წესიერად სიკვდილის უფლებაც კი არ გვაქვს. ის ტკივილიც კი არ არის ინდენად მტანჯველი, რომელიც ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს მიაყენეს, როგორც სისტემატური უარყოფაა, ამ ტკივილს რომ მოჰყვა. რას გეტყვიან ამის პასუხად თურქები? არაფერს! თურქებთან დამეგობრების ერთადერთი გზა არსებობს: მათსავით უმეცარი და გულმაღიწი უნდა იყო“ (შაფაქი 2017: 221).

სიტყვა „სომეხი“ სტამბოლის კაფე „კუნდერაში“ ვერავის გააკვირვებდა, მაგრამ „სომეხი ამერიკელი“ სხვა ამბავი იყო. სომეხი სომეხი პრობლემას არ წარმოადგენდა – მსგავსი კულტურა, მსგავსი პრობლემები, მაგრამ სომეხი ამერიკელი ნიშნავდა ადამიანს, რომელსაც ეზიზღებოდა თურქები“ (შაფაქი 2017: 250). „... იყო მწარე უფსკრული იმით შვილებს შორის, ვინც დარჩენა მოახერხა და ვისაც წასვლამ მოუწია“ (შაფაქი 2017: 302).

„დიასპორაში ზოგიერთ სომეხს არასოდეს ენდომებოდა, რომ თურქებს გენოციდი ელიარებინათ. თუკი თურქები ასე მოიქცევიან, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლიან და იმ ხუნდებს მოუჭერენ, ახლა რომ მოშვებულა. როგორც თურქებს აქვთ ჩვევად საკუთარი დანაშაულის უარყოფა, სომეხებსაც აქვთ მსხვერპლად ყოფნის საფარველქვეშ განცხრომის ჩვევა. აშკარაა, რომ არსებობს ძველი ჩვეულებები, რომლებიც ორივე მხარემ უნდა შეცვალოს“ (შაფაქი 2017: 313).

3, გაამერიკელებული სომეხის იდენტობა უფრო მეტად ჰიბრიდულია, ვიდრე თურქეთში დარჩენილების.

„ქალებსა და მამაკაცებს შორის უზარმაზრი განსხვავებაა, როდესაც საქმე სასიყვარულო ურთიერთობის მერე წელში ხელახლა გამართვაზე მიდგება. იმას ვგულისხმობ, რომ საშინელი ქორწინების, რომანის ან რაღაც ეგეთი ჯანდაბის გადატანის შემდეგ ქალები კარგა ხნის განმავლობაში თავს არიდებენ ახალ ურთიერთობას. კაცებთან პირიქით ხდება, როგორც კი ერთ კატასტროფას თავს დააღწევენ, ახალი კატასტროფის ძებნას იწყებენ, კაცებს მარტო ყოფნა არ შეუძლიათ. არმანუშმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თუმცა ასიას მოდელი მისი მშობლების მდგომარეობას დიდად არ შეეფერებოდა“ (შაფაქი 2017: 293).

ვაჟის კულტი თურქული იდენტობის შემადგენელი ნაწილია, გაამერიკელებული სომხისათვის კი უკვე მიუღებელია. მუსტაფა: „თუკი საშინელი ამერიკული სწრაფი კვების ნაწარმს ბიჭის კულინარიული ჩვევები თავდაყირა არ დაეყენებინა, ბებია გულსუმს იმედი ჰქონდა, რომ ... მისთვის გამზადებული საყვარელი დესრეტის ნახვა მუსტაფას ესიამოვნებოდა. ყველაფერი ისე იქნებოდა, თითქოს ამ სახლში არაფერი შეცვლილიყო და მუსტაფასაც შეეძლო აქაური ცხოვრება იქიდან გაეგრძელებინა, სადაც გაჩერდა“ (გვ. 321-322).

„კაზანჯის გვარის ბავშვი თუ იყავით, პირველად ის უნდა გესწავლათ, მამა რას ნიშნავდა, მამიკო კი არა, მამა – ტკივილის განზრახ მოთმენას. მამას პრინციპი მათი ცხოვრების ყველა მომენტში

მოქმედებდა. მაგ, თუ ისე მოხდებოდა, რომ რომელიმე გოგონა რალაცას ფეხს ნამოჰკრავდა და რამეს იტყენდა, ტირილი უნდა შეეკავებინა“ (შაფაქი 2017: 364).

„ზოგჯერ ზელიჰა თავისდა უნებურად იმასაც კი ფიქრობდა, რომ ბედნიერებაა, მამრობითი სქესის ჩვენი სხვა წინაპრების მსგავსად მამაც ასე ადრე რომ გარდაიცვალაო“ (შაფაქი 2017: 366).

მწერალი იდენტობის ჰიბრიდიზაციას ბუნებრივ პროცესად მიიჩნევს.

„სამყარო პოლიტიკურ რუკასავით რომ აღიქვამ, მაშინ ძალიან ადვილად შეიძლება საზღვრების მონიშვნა, მაგრამ თუ ჩვენ სამყაროს ჰუმანური და კულტურული პოზიციიდან შევხედავთ, ასე მარტივად შევძლებთ საზღვრების გაყოფას? სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ამის დანახვა არ გვანყენდა“ [შაფაქი 2013].

გაბრიელ ტანიე სოსო გაჩავას ლიტერატურული ფსევდონიმია. იგი დაიბადა 1971 წელს. პროფესიით კინორეჟისორია. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა, როგორც სასულიერო პირი (მამა იოსები). იყო ასევე პედაგოგი (ასწავლიდა ხატვას და თექაზე მუშაობას), მოღვაწეობდა საქართველოსთვის სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვან საზღვრისპირა რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. „ტანიე“ პატარა ტბის სახელია პირიქითა ხევსურეთში, რომელსაც გულის ფორმა აქვს. მამა იოსებ გაჩავა ბოლო ორი წელია ცხოვრობს პრალაში და მსახურობს ჩეხეთის მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიაში. მისი სადებიუტო რომანი „ქანაანის შვილები“ გამოცემისთანავე ბესტსელერად იქცა.

რომანი მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური ნაწარმოებია. იგი პანორამულ-მოზაიკური და კალეიდოსკოპურია, მრავალ თემას აერთიანებს. თითქოს საგანგებოდ კულტურულ განსხვავებულობათა საკვლევად შეიქმნა. ნიშანდობლივია, რომ დაინერა სხვადასხვა ადგილას: „რომანის წერა სოფელ არგვეთაში დავიწყე. შემდეგ იყო ათათურქის აეროპორტი – მწერლისთვის გენიალური ლაბორატორია. ვწერდი ბარსელონაში, კაფე „ბაროკოში...“ [ტანიე 2017].

რომანის თემატიკა მე-20 საუკუნის 70-90-იან წლებში ვითარდება, ძირითადად მუსულმანური რელიგიისა და მუსულმანების გარშემო ტრიალებს. წარმოდგენილია მუსულმანი როჰინგების ბრძოლა ბირმის ადგილობრივ ხელისუფლებასთან. რომანში იკვეთება იდენტობის ჰიბრიდულობის რამდენიმე კონტექსტი:

1. ადაპტაცია ევროპულ თუ ამერიკულ პროგრესულ იდეებთან ტრადიციების შენარჩუნებით. სწორედ ამ მიზნით ხდებიან მუსულმანი როჰინგები ემიგრანტები და მიდიან ბანგლადეშის ქალაქ ჩიტაკონგში. იქ ისინი ებრძვიან არა ევროპელ ან ამერიკელ კოლონიზატორებს, არამედ ადგილობრივ ხელისუფლებას, ბირმის დიქტატორულ რეჟიმს. ცდილობენ გაარღვიონ ჩაკეტილი წრე, ეზიარონ იმ ევროპულ თუ ამერიკულ პროგრესულ იდეებს, რომლებიც გამოადგებათ თანამედროვე სამყაროსთან ურთიერთობაში. ამავე დროს არ კარგავენ ტრადიციებს, იმას, რაც მათ მენტალობას, მათ რელიგიურ ფასეულობას ქმნის.

2. ფსიქოსოციალურ იდენტობათა (კულტურული შოკი, აკულტურაცია, ადაპტაცია...) ფუნდამენტური განსხვავებულობა ნაკლებგანვითარებელი (ბირმა) და მაღალგანვითარებული (აშშ) ქვეყნების მცხოვრებთა მენტალობებს შორის. იოჰანისა და კაპარზას დიალოგი: „გრინდების¹ ხოცვა – ეს არის ტრადიციული რიტუალი, რომელსაც ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ასრულებდნენ. ამით ჩვენ მათს ხსოვნას, მათს სახელებს ვეფერებით და ვუფროსხილდებით ყველაფერი, რასაც თქვენ ბარბაროსობას ეძახით, ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელია“ (ტანიე 2017: 139).

3. მუსულმანთა იდენტობის ზოგიერთი კონცეპტის აქტუალიზაცია და განსჯა ემიგრაციაში. მუსულმანური რელიგიის უარყოფით კონტექსტებს თავად მუსულმანები ამჩნევენ თავიანთ თანამოძმეებში. ამჩნევენ იმასაც, რომ, ამ უარყოფითს თავად მუსულმანური რელიგიის ზოგიერთი თვისობრივი მენტალობა ავითარებს. მთავარი ის არის, რომ ეს უარყოფითი კონტექსტი სწორედ ემიგრაციაში გამოჩნდა (მხედველობაში გვაქვს პერსონაჟების ნორულ ისლამის, სალეჰის, მოლა აუშიმის, შაფი ულას ურთიერთობები). მნიშვნელოვანია, რომ მოლა აუშიმ სწორედ უცხო ქვეყანაში გამოიყენა რელიგიური მრწამსი უზენოებისა და ადამიანთა ჩავრისათვის. სალეჰი მიმართავს მოლა აუშიმს: „შენთვის ალაჰი და მუჰამედი მხოლოდ ის ინსტრუმენტებია, რისი საშუალებითაც ცდილობ, დაიმონო და დააჩლუნგო ადამიანები, რომ მერე ადვილად მართო და ავადმყოფური პატიემოყვარეობა დაიკმაყოფილო, გგონია, ალაჰი მარტო შენ გისმენს... დედამინა შენ გეკუთვნის... სიმართლე და ჭეშმარიტება თავისთავად არის უზენაესის თვისებები და ისინი აქეთ გვიცავს... იმ უზენაესისა, რომელმაც შექმნა სამყარო

...როგორ გგონია, იმდენად უსუსურია და იმდენად უმწეო, რომ შენი სიძულვილით გაჟღერებული გადაგებების დაცვის იმედადაა. ... ალაჰს არ სჭირდება ეგეთი დაცვა (ტანიე 2017: 395).

4. იდენტობის ჰიბრიდიზაცია კულტურული კონფლიქტებში რთული პროცესია. რელიგიური კონფლიქტები ნაწარმოებში რამდენიმე მძაფრი სიუჟეტური ხაზითაა წარმოდგენილი. რომანში სრულიად ბუნებრივად გადაეხლართება ერთმანეთს როჰინგების, ბირმელების, არაკანელების, ბენგალელების, ინდუსების, პაკისტანელების ამბები. რომანში წარმოდგენილია სხვადასხვა რელიგიური მიმდევრობის ადამიანები: მუსულმანები, ბუდისტები, ქრისტიანები. რელიგიები: ისლამი, ბუდიზმი, ქრისტიანობა. მწერალი სხვადასხვა ეროვნული და რელიგიური გადასახედიდან ჭვრეტს და აფასებს მოვლენებს.

კულტურული ჰიბრიდიზაციის პროცესი რელიგიურ განსხვავებებს არ უარყოფს, მაგრამ კონფლიქტის მიზეზად არ მოიაზრებს. ჭეშმარიტი ღირებულებები უმაღლესი ფასეულობა ხდება თვით რელიგიური განსხვავებულობის დროსაც, ოღონდ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგაზიერების შედეგად. ბანგლადეშის ქალაქ ჩიტაკონგოში თავი მოიყარეს სხვადასხვა რელიგიის, აღმსარებლობის, ტრაგიკული ბედის ემიგრანტებმა. მხოლოდ აქ, უცხო ადგილას, ადამიანები გაიმიჯნენ არა რელიგიის, არამედ სიკეთისა და ბოროტების, ზნეობისა და უზნეობის მიხედვით. ამერიკელი ჟურნალისტი ჯეინ კაპარზა: „სხვადასხვა ღმერთის მადიდებელი ერთად სვამდნენ ჩაის და ერთმანეთს სიყვარულით უმზერდნენ: ნოე ქრისტიანი, ატიუ წარსულში წარმართი, ჯუმა ინდუსიც და თავის გულში ბუდას დამტყვევლებიც, ისამაელი მუსლიმი...“ (ტანიე 2017: 421).

„ერთად არიან ქანაანის შვილები და ერთად აპირებენ ახალი ქანაანის პოვნას (ტანიე 2017: 432). ერთი მხრივ: ნორულ ისლამი, ისმაელი, ნოე, ჯუმა, ატიუ, სალეჰი, ნურია. მეორე მხრივ: მოლა აუშიმი, შაფი ულა.“ (ტანიე 2017: 421).

პრობლემები ყველა ეროვნების და რელიგიის ადამიანს ერთი აქვს. „საბოლოოდ ხვდები, რომ ყველანი ერთნი ვართ დედამიწაზე, ჩვენი ეთნიკური სივრცე ერთ დიდ შენაკადად ერთვის სამყაროს, ჩვენს ეროვნულ სატიკვარზე სხვა ქვეყნის პერსონაჟები ლაპარაკობენ“ (ბაკურაძე 2017).

იდენტობის ჰიბრიდიზაცია ყველაზე კარგად რომანის ბოლოს იკვრება: მარიონატების თეატრი არაჩვეულებრივი სიმბოლოა ზოგადად ცხოვრებისა, „ქანაანის შვილები“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელსაც დგამენ ეს სხვადასხვა აღმსარებლობის, მსხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ისინი ყველანი ერთი არიან. სპექტაკლის სიუჟეტსა და თემატიკაში ვირტუოზულადაა ჩართული ძველი ალექსის სიუჟეტები, ისტორიული მძაფრი, ფსიქოლოგიური კონტექსტები.

ინტერკულტურულ-მიგრაციული ლიტერატურაში იდენტობის ჰიბრიდულობის განხილვა მნიშვნელოვანია მწერალ-მიგრანტთა მხატვრული შემოქმედების პოლიგენეტიკური სურათის შესაქმნელად, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ბუნებრივია იზრდება მათ მიერ შექმნილ ტექსტთა რიცხვიც. კულტურული დიფუზიის პროცესის აქტივიზაცია აუცილებლად შეეხება ლიტერატურული ტრადიციის ფუნდამენტურ გაგებას, ასევე ლიტერატურათმცოდნეობით მეცნიერებასაც მიეცემა შესაძლებლობა გადახედოს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „ზოგადადამიანური“ და „ნაციონალური“, დააკვირდეს მათ ურთიერთქმედებასა თუ ურთიერთგამდიდრებას.

დამონმებანი:

1. ბაკურაძე 2017: ბაკურაძე, მარიამ. მგალობლიშვილი, გვანცა. *ინტერვიუ გაბრიელ ტანიესთან* გაზ. „ახალი თაობა“, 6 ნომბერი.
2. <https://akhalitaoba.ge/2017/11/gabriel-tanie-qanaanis/>
3. ბახტინი 1975: Бахтин, М. М. (1975) Из предыстории романного слова // Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. М. : Худож. лит. г.з. 408–446
4. ბუგაევა 2006: Бугаева, Л. Д. *Мифология эмиграции: геополитика и поэтика*. <http://bit.ly/2ICLNJP>
5. დირლიკი 1994: Dirlik, A. (1994) The Postcolonial Aura: Third World Criticism in the Age of Global Capitalism // Critical Inquiry. Vol. 20. № 2. Winter. P. 328–356.
6. ეტტე 2016: Ottmar Ette “Writing-between-Worlds. TransArea Studies and the Literatures-without-a-fixed-Abode”. Translated by Vera M. Kutzinsky. (Berlin - Boston: Walter de Gruyter 2016)
7. პრატი 1992: Pratt, M. L. (1992) Imperial Eyes: Travel Writing and Transculturation. L. : Routledge
8. საიდი 2012: Саид, Эдвард. *Культура и империализм*. пер. с англ. А. В. Говорунова, (послел. А. В. Говорунова). СПб.: Владимир Даль.
9. ტანიე 2017: ტანიე, გაბრიელ *ქანაანის შვილები* გამომც. „ინტელექტი“, თბილისი.
10. ტოლკაჩევი 2013: С. П. ТОЛКАЧЕВ *Проблемы гибридной идентичности в современной мультикультурной литературе* ж. «Проблемы филологии, культурологии и искусствознания» 2013 – №2 177-181.

11. შაფაქი 2013: შაფაქი, ელივ *მხატვრული ლიტერატურის პოლიტიკა* <http://jokeyforever.blogspot.com/-2013/10/blog-post.html>
12. შაფაქი 2017: შაფაქი, ელივ *სტამბოლელი ნაბიჭვარი*. გამომც. „პალიტრა L“, თბილისი.
13. შტურმ-ტრიგონაკისი 2006: Sturm-Trigonakis, Elke *Global playing in der Literatur: Ein Versuch über die Neue Weltliteratur*. Monographie. Würzburg: Königshausen & Neumann 2007.
14. ჰოლი 1994: Hall, S. (1994) *Cultural Identity and Diaspora // Colonial Discourse and Postcolonial Theory : A Reader* / ed. by P. Williams, L. Chrisman. N. Y. : Columbia University Press. P. 392–403.

Shorena Shamanadze

Doctor of Philology

Natela Chitauri

Doctor of Philology

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

HYBRIDITY OF THE IDENTITY IN GEORGIAN INTERCULTURAL MIGRATION WRITINGS

Hybridization of identity emerges and develops in the open cultural space, when different styles, themes, genres are equal. In postcolonial literature and culture the hybridity is a transcultural thinker figure and is used by Homi K. Bhabha and Néstor García Canclini in order to overcome such dichotomies as "I" - "Other", "Center" - "Periphery", "Colonizer" - colonized ". The integrity that is generated as a result of the combination of identity and identity creates the "third space" ("in-between"). The greatest representatives of this fact are V.S. Naipaul, Salman Rushdie.

The hybridity of the identity is characteristic to today's intercultural-globalized-migration world. This phenomenon is based primarily on migration processes when two sets of indefinite variables come together, and here comes the power of "defix". This sign is a significant step towards the hybrid nature and hybrid essence.

Besides migration processes, there are many factors today that define the hybridity of identities:

The threat of unification in the process of globalization, the fear of falling into *masculature*, forced people to seek historical roots, to recall their languages and culture, to protect their identity. It is also important: post-Soviet chaos of identities, crisis of identities, instability of identities, traditional and modern values, nationalist and intercultural identities, socialization of Identities and values identification of Identities with the details of Everyday, Attitude of Identities on the Actual Requirements of Environment, Sociology, Policy, Era, Migration.

The modifications of identities, the increasingly conflicts of cultural and religious identities, have complicated the self-identification process, created traumatic, divergent, hybrid processes. This phenomenon is today more and more actively reflected in literature, which develops in the migration processes, intercultural morphology as intercultural-migration writings. This fact has once again confirmed the fact of existence of the literary and identical organic union. Today the word, the narrator has become the most reliable means of overcoming traumatic awareness of the foreign country, the national identity.

The Identities research in the literature already goes beyond the comparative research scene, based on the discourse of writing and identity, requires an intermediate multi dimension for interdisciplinary formats today. At this time, we will discuss the hybridity of the innovative identities on the example of "Elizabeth Shafak," (a Turkish writer, who lived in various countries), as well of the work of Georgian writer Gabriel Tanye "Canaan's Children", who lives in the *Chez Republic*.

დიალექტური ლექსიკა ოტია იოსელიანის ნოველებში

დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის გამადიდრების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. ქართველი კლასიკოსი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და მკვლევარები დიალექტურ ლექსიკას სწორედ ამ მიზნით იყენებდნენ-სალიტერატურო ენაში შემოეტანათ და საყოველთაო გამოყენების სიტყვებად წარმოედგინათ ამა თუ იმ დიალექტში გავრცელებული სხვადასხვა გამოთქმა თუ ცალკეული ლექსიკური ერთეული.

როგორც არნოლდ ჩიქობავა წერს, „სალიტერატურო ენა ვერ ამონურავს სიტყვათა მარაგს, მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი ხდება. „საჭიროების შემთხვევაო“ რომ ვთქვი, ვგულისხმობ, რომ საამისო შინაარსის გადმოსაცემად სხვა სიტყვა სამწერლო ენაში არ გაგვაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფალ ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს“ (ქეკელის წინასიტყვაობა. 1950)

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დიალექტური ლექსიკა, რომელსაც მწერალი, ძირითადად, პერსონაჟთა მეტყველების ტიპიზაციის მიზნით იყენებს, ისინი ამდიდრებენ მხატვრულ ნაწარმოებთა ენასა და სტილს, მეტ გამომსახველობით ძალას ანიჭებენ და უფრო საინტერესო საკითხავს ხდიან მათ.

ოტია იოსელიანის მხატვრული ენის თავისებურება, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში მჟღავნდება, მწერალი სისტემატურად იყენებს დიალექტურ მასალას, რათა უფრო სიღრმისეულად გადმოსცეს გმირის ფსიქოლოგიური განცდები, სულიერი განწყობა.

როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს: „ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და უკეთესად რომ ვსთქვათ, - მწერლის სულია. ნაწარმოებში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“... მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული, მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურებისა უნდა ესვას“.

სწორედ ორიგინალური სტილი გამოიმუშავა დიალექტიზმების გამოყენების მხრივ ოტია იოსელიანმა და თვითმყოფი ადგილი დაიჭირა ქართველ ბელეტრისტთა შორის. ვაჟას ეს სიტყვები ზედმინევენით ახასიათებს შემოქმედის მხატვრულ ენას. მწერლის ენა იმდენად აღსავსეა „საკუთარი წინადადებებითა და საკუთარი სურათებით“, დიალექტური ლექსიკით, რომ მის თხზულებებს ისედაც იცნობს მკითხველი, მისი სტილი სავსებით ცხადი და ნაცნობია ყველასთვის.

ოტია იოსელიანი სრულყოფილად იცნობდა მშობლიურ, ქვემოიმერულ დიალექტს, ამ დიალექტზე აამეტყველა თავისი ნაწარმოებების პერსონაჟები. არცთუ იშვიათ შემთხვევაში გმირებთან ერთად ამ კილოზე თვითონ მწერალიც მეტყველებს ხოლმე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიალექტურ მასალას მწერალი, ძირითადად, პერსონაჟთა მეტყველების ტიპიზაციის მიზნით იყენებს. არაიშვიათად კი ზოგი ასეთი სიტყვა თვითონ მწერლის ინტერვიუებში, კომენტარებსა და პუბლიცისტურ წერილებშიცაა ნახმარი. მაგრამ ამ კუთხით მაინც მხატვრულ ნაწარმოებთა ენა უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი.

დიალექტური ლექსიკის გამოყენების მხრივ, მწერლის ლექსიკაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ნაკადი:

დიალექტური სიტყვა თავისი ფორმითა და წარმოებით სრულებით უცხოა თანამედროვე სალიტერატურო ქართულსათვის:

- ფიორი**-ყოვლის რისამე უმცირესი
- დავკარგე ერთი ფიორი ტვინი (I, 277)
- ალუფხული**-აყრილ-დაყრილი
- თვითონ ალუფხულ მტვეში ჩაემხო (II, 6)
- დაკონება**-დასუსტება

ნყალი თუ არ ჩადგა, ააყვითლებს, დაასუსტებს (I, 58)
მოიქურუხა: დაბნელდა
 ცხვირ-პირი მოიქურუხა და ჩაიქირქილა (I, 29)
დაოჩნებული-გაჯიუტებული
 დაოჩნებული მანქანები ხელით მიუგორეს (III, 94)
ლდინი: რჯული, ძალა
 ჰაიტი, შენ ლდინი და მასაფი (II, 94)
ლეზვი: თხელი დორბლი
 ასიცხებისთანავე ავარდათ ლეზვი (I, 69)
 მწერალი იყენებს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც უკვე მოძველებულია და თითქმის
 აღარ იხმარება მეტყველებაში:
მოისრა: განადგურდა, გაცამტვერდა
 დაილენა, მოისრა, გაცამტვერდა ყველაფერი (I, 165)
იავარყოფა: განადგურება
 მე შევძელი იმოდენა ქვეყნის დაქცევა და იავარყოფა? (II, 285)
მიჯნურობა: სიყვარული
 ნუთისოფლის ჯინაზე თუ გინდა, ვიმიჯნუროთ (III, 14)
ძალუძდა: შეეძლო
 თითქოს არაფრით დახმარება არ ძალუძდა (III, 54)
უჭვრეტდა: უყურებდა
 დარაჯსაც უნვრეტდა შემპარავად (III, 14)
ეული: მარტოდმარტო
 ოთხ კედელში ეულს, გულადმა მწოლარეს, ვინ გინდა გიპასუხოს? (III, 19)
კარაპანი: წინკარი
 კარაპანზე შემოფრენილი კრუხი მოუხმობდა ანივლებულ წინილებს (III, 155)
დამუნათება: დაყვედრება
 გიკრძალავენ, გამუნათებენ, გწყევლიან...(I, 279)
სახმილი: დარდი, ცეცხლი, ტანჯვა
 აქედან მე არ ვაკლებ სახმილს (III, 186)
 საანალიზო მასალაში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც, ზოგადად, გავრცელებულია
 ქვემოიმერულ დიალექტში:
მაკვარანცხი: მოხერხებული
 მოგეწონა, შე მაკვარანცხო? (I, 17)
ბუჯერი: დაბალი კარადა
 ხმა არ გამიცია, ისე დავინყე ფათური ბუჯერში (I, 45)
კვიჟი: სიმინდის პატარა ტარო
 მოსატეხად ძნელი იყო კვიჟი ტარო (I, 101)
შიშხათი: თავსხმა წვიმა
 გარეთ შიშხათი წვიმაა (I, 91)
ჯანდაგი : გამხდარი, მჭლე საქონელი
 ჯანდაგი ხარივით თავიდან ნუ მოვიშორებთ (I, 234)
ნაჭა: შუაცეცხლზე ქვაბის ამოსაკიდებელი ჯაჭვი
 შუაცეცხლამდე ჩამოშვებულ ნაჭას მზერა ჩავაყოლე (I, 135)
ფოჩხები: ნამცეცები
 პირიდან ცივი მწადის ფოჩხები წამომცვივდა (I, 46)
 ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დასტურდება სხვა დიალექტებსა(ზემოიმერულ, გურულ,
 რაჭულ) თუ ქართველურ ენებში:
ჯანდაგი: გამხდარი, მჭლე საქონელი
 ასე ყიდულობენ ჯანდაგ ცხენებს იაფად და აჭმევენ (IV, 43)
ბუჯერი: დაბალი კარადა
 სამზადში შევეურბინე და საჭმელი მოვძებნე (I, 60)

მორადი: ყანის მეორედ გათოხნვა

ალაგ-ალაგ ზეგნებზე შეილებოდა მოროდის დაწყება (I, 75)

წილადობილა: წინასიტყვაობა

არ უნდა მაგას წილადობილა (I, 63)

ხალამი: დიდი ქოთანნი

ნალიაში სიმინდს რწყავს, ხალამში წველა ყველს ანგარიშობს (III, 84)

ამდენად, ოტია იოსელიანის შემოქმედება პოეტური ფრაზით გამთბარი სამყაროა, რომელშიც სიტყვათა წყობა წინადადებაში მხატვრული მიზნებითაა განპირობებული. ყოველი ფიგურის მიზანია გათვალისწინება, ემოციის გაძლიერება (ბიბლიეშილი, 98) დიალექტური მასალის მოხდენილად გამოყენებით მწერალი უფრო მეტი ძალით გვაგრძნობინებს თავის განწყობას, გვაცნობს საკუთარ მსოფლმხედველობას, შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე, უფრო მძაფრად გამოხატავს მოქმედ პირთ ხასიათს, მათ განცდებს, დიალექტური ლექსიკა ოტია იოსელიანის მხატვრულ ენას ანიჭებს მეტ გამომსახველობით ძალას, უფრო ადვილად წასაკითხავად ხდის და მატებს ესთეტიკურ შეხედულებას.

ლიტერატურა:

1. იოსელიანი 2006-ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I თბილისი
2. იოსელიანი 2005-ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბილისი
3. იოსელიანი 2006-ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბილისი
4. ნეიმანი 1953-ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი
5. ორბელიანი 2013-ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი
6. ორბელიანი 2013-ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი
7. ქავთარაძე 1986-ი. ქავთარაძე, იმერული ლექსიკონის მასალები, თბილისი
8. ძონენიძე 1974- ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი.
9. ჯორბენაძე 1989-ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I თბილისი.

Qetevan Shariqadze

*Doctoral student
Sokhumi State University
Georgia, Tbilisi*

DIALECTICAL VOCABULARY IN OTIA IOSELIANI'S NOVELS

Dialectical vocabulary is the source of literary language enrichment. Dialectical material takes an important place in Otia Ioseliani's work, that is used by the writer mainly to characterize characters. They enrich the language and style of the artwork, give it more expressive power and make it easier to read. Otia Ioseliani uses a variety of vocabulary in his novels. They contain several streams of dialectical vocabulary:

Dialectical vocabulary is foreign to modern Georgian literature, both in form and production:

ფიორი- too little: I lost too little (ფიორი) brain (I, 277)

ამოჭვალა - pull out: Malakia pulled out (ამოჭვალა) the paper from his pocket (I, 138)

The writer uses the words that are almost no longer used in speech:

მოისრა - destroyed: The place where he had to live anyhow, was smashed to pieces, destroyed (მოისრა) and shattered. (I, 165)

იავარყოფა - destroying: That was me, who could demolish and destroy (იავარყოფა) the country? (II, 285)

The analysis material contains the words that are generally widespread in Lower-Imeretian dialect:

გადაბარსალეზა- degeneration: Do you want to get deteriorated and degenerated (გადაბარსალეზა)? (I, 274)

გალიგვებული - Frozen: I find it hard to warm a frozen (გალიგვებული) man in this frustration (I, 162)

As the discussed material shows, dialectical material plays an important role in Otia Ioseliani's novels. Through them, the author's spoken language gives us a basic overview of the main content of the work, provides in-depth artistic portrayal of characters, their feelings, inner world; gives the reader aesthetic pleasure and achieves artistic effect.

საინფორმაციო ომში ოკუპირებულ ტერიტორიაზე კულტურული ძეგლების ბედის შესახებ

ქართულ-ოსური ურთიერთობის საუკუნოვანი ტრადიცია ორი ერის მიერ ისტორიული მემკვიდრეობის მოვლის და თაობებისთვის გადაცემის მაღალი კულტურით გამოირჩევა. კვლევები ამ თემაზე არაერთ ცნობილ ქართველ და ოს მეცინიერს შეუქმნია. არსებული ვითარებიდან გამომდინარე აქტუალურია ისტორიული, არქიტექტურული, რელიგიური ძეგლების ბედი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. იქ დღევანდელი მდგომარეობით ცდილობენ აღნუსხონ ძეგლები და გარკვეული მზრუნველობა გამოიჩინონ. დაკვირვებას მოითხოვს რამდენად კვალიფიციურად მიმდინარეობს ეს პროცესი.

კაცობრიობა ახალი გმონვევის წინაშეა, მრავალი წლის განმავლობაში გამოყენებადი საინფორმაციო ომი სულ უფრო აქტუალური ხდება.

ომი, რომელიც უხილავია, მაგრამ ძალიან საშიში, გაუდმებით მიმდინარეობს. მას განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ლოკალურ კონფლიქტებზე. არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, ეთნიკურ კონფლიქტებად წარმოჩენილი დაპირისპირებანი სწორედ დიდ იდეოლოგიებს შორის კონფლიქტის შედეგია და ისინი ნაციონალურ ნიადაგზე გადაიყვანეს სწორედ საინფორმაციო ომის წარმოების საშუალებით. ქართულ-ოსურ ურთიერთობაში ბზარის გაჩენაც სწორედ მხარეებად ქართველების და ოსების ჩამოყალიბებით შეძლეს.

90-იანი წლები იყო ასეთი პროპაგანდისტული შემოტევის მნიშვნელოვანი ეტაპი, მაგრამ სულ უფრო იხვეწება დიდი სახელმწიფოების მეთოდები, რაც ორი ხალხის ურთიერთობის დაპირისპირების რეჟიმში შენარჩუნებას ემსახურება. ლოკალურ კონფლიქტებში უშუალოდ ჩართული მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად განმუხტავს ვითარებას და ხელს შეუწყობს ისტორიული კეთილგანწყობის აღდგენასა და შენარჩუნებას.

ძირძველი ქართული სამკვიდროს დღევანდელია, მისი მომავალი. ჩვენს თავს დატყევილი საბედისწერო უახლოესი წარსული კი ყველას მკაფიოდ გვახსოვს, რომლის ფესვებიც ისტორიულ წარსულშია საძიებელი. ცნობილი ისტორიკოსი – ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებასთან დაკავშირებით წერდა: „ამ მთის ადგილებთა ბინა რაოდენი ოვსნი დავსწერეთ, პირველად სახლებულან ქართველი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოვსნი; და ქართველნი ბართა ბინა ჩამოსულან, ვინაიდან მტერთაგან ბარის შინა კაცნი შემცირებულან“ [1] საქართველოში რუსი ელჩის – ტატისჩევის (1604-1615) ცნობით, XVII საუკუნის დასაწყისში ოსები უკვე კომპაქტურად სახლობდნენ სოფელ ზახასა და მალრან-დვალეთში.

ამავე საუკუნის შუა წლებში ისინი დასახლებულან აგრეთვე დიდი ლიხვის სათავეებშიც. XVIII საუკუნის 70-იანი წლებისთვის კავკასიონის სამხრეთ კალთებზე 2860 კომლი ოსი სახლობდა. აქედან – 860 – სამაჩაბლოში, 200 – საერისთაოში, დანარჩენი სხვა ადგილებში. ოსთა ერთი ნაწილი ქართლში ჩამოსახლებისთანავე „ქრისტიანად“ ინათლებოდა და ცდილობდა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა გათავისებებას, რაც მათ შეგნებაზე, ზოგად კულტურაზე, ხასიათსა და ქცევაზე ერთგვარ სასიკეთო გავლენას ახდენდა. ახლად ჩამოსახლებულ ოსებს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ყოველმხრივ დახმარებას უწევდა, როგორც ეზო-სახლ-კარის მოწყობა-მონესრიგებაში, ბალ-ვენახების გაშენებაში და სხვა სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებაში. ქართველი მეფეები, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ჩვენს მოძმე ოსებში წერა-კითხვისა და ცოდნა-განათლების გავრცელებისათვის. ოსთა შვილების სწავლა-განათლების საქმეს დიდი ამაგი დასდო ღრმად განათლებულმა მეფე-პოეტმა არჩილმა, მან ოსთა მოწინავე პირნი შეყარა და უქადაგა განათლების მნიშვნელობა. ოსებმა თანხმობა განუცხადეს, არჩილმა რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყვალა და 1700 წელს მოსკოვში გააცნო რუსული სასტამბო საქმეები და ქართული ასოების ყალიბები. რაც ოსებს დიდად მოეწონათ, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს. [2].

ქართველი მეფეები ოსთა ეკლესია-მონასტრებს დიდ დახმარებას უწევდნენ, როგორც მოსახლეობაში ჭეშმარიტი ცოდნა-განათლების გავრცელების ნამდვილი მისიის მქონეთ. ქართლის მეფემ გიორგი XI-მ (1671-1688 და 1703-1709 წ.წ) ოსებთან მეგობრული ურთიერთობის ნიშნად ცეისის სიონის სოფელ ძივგისის მონასტერს ნაჩუქრობის წარწერით ზარები შესწირა.

კონფლიქტი, უკვე 1991 წელს, გამოვლინდა იმ ფორმით, რასაც შეეწირა ჩვენი ცხოვრება გამოხატული მძიმე გუშინდელი, დღევანდელი და გაურკვეველი ხვალისდელი დღით.

ცნობილი პოლიტიკური და საომარი პროცესების გამო ქართულ ნიაღვრეში მონყვეტილი ცხინვალის რეგიონი იზოლირებულ ერთეულად ჩამოყალიბდა და რუსეთის ფედერაციის სრული გავლენის პირობებში აგრძელებს ცხოვრებას.

1992 წლის ბოლოდან ცხინვალის რეგიონში მუშაობა დაიწყო ეუთო-ს მისიამ საქართველოში. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ათასამდე, ხოლო უგზოუკვლოდ დაიკარგა ასამდე ადამიანი. დაახლოებით 70-80 ათასამდე ადამიანი გააძევეს საცხოვრებელი სახლებიდან. რეგიონი ფაქტობრივად დაცარიელდა. დღეის მდგომარეობით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა 15-20 ათასს შეადგენს.

ბუნებრივია, რომ საინფორმაციო ომი, რომელიც დღეს მძლავრად მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში, აღნიშნული რეგიონის საქართველოსგან სრული გამოჯვრის მიზნით აქტიურად ხორციელდება.

შექმნილ ვითარებაში რუსეთმა მოახერხა თავის მიერვე ინსპირირებულ კონფლიქტში „შუამავლისა“ და „მშვიდობისმყოფლის“ როლი ეკისრა. 1992 წლის 24 ივნისს რუსეთის შუამდგომლობით გაფორმებული (სოჭის) ხელშეკრულებით რეგიონში განლაგდა შერეული სამშვიდობო ძალები (რუსული, ქართული და ოსური შემადგენლობით) და შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია.

ამ დროისთვის ცხინვალის რეგიონში განლაგებულია რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალები, რითაც ირღვევა ევროკავშირის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით გაფორმებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელიც რუსეთს ავალდებულებს სამხედრო ძალების უკან, კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე გაყვანას. რუსეთის ფედერაციის უკანონო გადაწყვეტილებას ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მხარს უჭერს მხოლოდ ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად ტუვალუმ და ვანუატუმ უკან წაიღო აღიარების გადაწყვეტილება.

დიდი ჰიბრიდული დაპირისპირება, რომელშიც რუსეთი აქტიურად მონაწილეობს, ცხინვალის რეგიონს წარმოაჩენს რუსეთის პოლიტიკის გამტარებელი ოსური მოსახლეობის ისტორიულ სამშობლოდ, რაც „წარმატებით“ ვრცელდება მთელ მსოფლიოში გაყალბებული საინფორმაციო უზრუნველყოფით.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ადგილობრივი საოკუპაციო საინფორმაციო სივრცეზე დაკვირვება, რომელიც კრემლის პოლიტიკის მხოლოდ „ექვს“ წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული მხარის აქტიურობის ხარისხი ამ მიმართულებით საკმაოდ დაბალია, ზოგიერთი ჩინოვნიკის გადაწყვეტილებით წლების წინ დაიხურა ადგილობრივი გაზეთები „შიდა ქართლი“, „ცხინვალი“ და „ლიტერატურული ცხინვალი“, რომელთა სქმიანობა საკამოდ ეფექტიანი იყო რეგიონის წარსულისა და დღევანდელი ობიექტურად გაშუქების თვალსაზრისით.

ასეთ ფონზე რუსულ-ოსური ადგილობრივი პროპაგანდის იარაღი აქტიურ საქმიანობას ეწევა.

რუსული ტრადიციული მეთოდები უცვლელი რჩება. მედიის საშუალებები კრემლის პოლიტიკის განვითარების და მოსახლეობამდე საკუთარი პოლიტიკის დაყვანის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად რჩება.

გასული საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებული დატვირთვა ტელევიზიაზე, რადიოსა და ბეჭდურ მედიაზე მოდიოდა, ამჟამად წინა პლანზე წამოვიდა, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონში, თანამედროვე მედიასაშუალება – ინტერნეტჟურნალისტიკა. მულტიმედია სისტემები ერთობ კარგადაა განვითარებული ცხინვალის რეგიონში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საინფორმაციო საშუალებები: „იუჟნია ოსეთია“ (Южная Осетия) (რესპუბლიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი); „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ვებგვერდი“; „ხურზარინ“ (Xurzærin) (ცისკარი); „ოსინფორმი“ (Осинформ) (საინფორმაციო სააგენტო); „ირისტონ.კომ“ (iriston.com) (ოსეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ); „რეს“ (PEC) (სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო) ხელმძღვანელი მაია ხარებოვა; „ოსეთიანს.კომ“ (ossetians.com); „ირონ ავზადჯი კლუბ“ (Ирон æвзæджы клуб) ალანთა ენის კლუბი და სხვა. [4]

თანამედროვე საინფორმაციო ინდივიდუალური ბლოგები ცხინვალის რეგიონის მკვიდრთა მოხმარების საგნადაც ქცეულა. ინტენსიურად აშუქებენ რეგიონის ცხოვრებას საკუთარ ბლოგებზე მარია პლიონ (პლიევა), ზარინა სანაკოევა, თემურ ცხოვრებოვი და სხვა. საკმაოდ ოპერატიულია ვებგვერდი „ოსეთინსკოე რადიო ი ტელევიდენიე“ (Осетинское Радио и Телевидение) (საინფორმაციო-ანალიტიკური გამოცემა). ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებს ყველაზე ოპერატიულად და დეტალურად აშუქებს „იუჟნია ოსეთია“ (რესპუბლიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი), ბეჭდური გაზეთის ელექტრონული ვერსიები გვაძლევენ საშუალებას თანმიმდევრულად განვიხილოთ რეგიონისთვის ნიშანდობლივი პრობლემები და „ნაკარნახევი“ პოლიტიკის აღსრულების პროცესი.

მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ ქართული კულტურის XVI საუკუნის ძეგლის აჩაბეთის ციხის „ალანთა ციხედ“ წარმოჩენა, სადაც ექსკურსიაზე მიჰყავთ მოსწავლეები და სტუდენტები ე.წ. სარესტავრაციო სამუშაოებს ატარებენ. ასეთ ფაქტებს ზემოთ ჩამოთვლილი „მედიასაშუალებები“ ერთხმად აშუქებენ და ავრცელებენ მსოფლიოს რუსულენოვან სივრცეში.

ასევე საყურადღებოა მე-12 საუკუნის იკორთის ტაძარს შესახებ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია, თითქოს აქ განისვენებენ ოსური სამეფო ოჯახის წარმომადგენლები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზმარ ერსითავეები. [5] ერთი შეხედვით გულუბრყვილო უზუსტობა გათვლილია დროის დისტანციაში სიყალბის დამკვიდრებაზე.

ჩანს, როგორ მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კვალის ნაშლა მრავალპლანიანი საინფორმაციო ომის გამოყენებით.

ასეთ ვითარებაში ჩვენი საზოგადოების გაერთიანება ოსური მოსახლეობის პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლებთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორი ხალხის ისტორიული მეგობრობის აღდგენისთვის.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო სტრუქტურები და მთელი საზოგადოება აქტიურად უნდა ჩაერთონ მძლავრი ინტერნეტ რესურსების შექმნაში, რომ მაქსიმალურად დავიცვათ ისტორიული და სამართლებრივი რეალობა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საფუძველია, სადაც ყველა ეროვნების ადამიანისთვის თავისუფალი განვითარების საუკეთესო პირობები შეიქმნება.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1941, გვ.71;
2. „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვანლი მათზე“, თბ., 1916;
3. <http://south-ossetia.info/> 10.10.2018
4. republikarso.org
5. osinform.org

Zaza Tsojniashvili

*Professor of Caucasus International University,
Georgia, Tbilisi*

About Cultural Monuments on the Occupied Territory in the Process of Information Warfare

The centuries-old tradition of Georgian-Ossetian relations is distinguished by a high culture of preserving and transmitting historical heritage to the two nations for generations.

Number of well-known Georgian and Ossetian scholars have studied those heritage and published the findings, although those monuments remained in the occupied territories of Georgia still remains actual topic for the scholars.

Nowadays, as the sources say, the de facto government is trying to express attention towards those heritage and they say that some rehabilitation process is also going on, although it is still unknown whether those process is underway by professionals.

The coverage of the monuments in the local media of the Tskhinvali region is characterized by propaganda tendencies.

One way to improve the situation is to maximally cooperate with the relevant Georgian and Ossetian structures and Ossetian structures.

ნეიროლინგვისტური პროგრამირების მეთოდი უსხოური ენის შესწავლისას

ნეიროლინგვისტური პროგრამირების მეთოდი შეიმუშავეს ამერიკაში ლინგვისტმა ჯონ გრინდერმა და ამერიკელმა ფსიქოლოგმა რიჩარდ ბენდლერმა. ტერმინი მოიცავს ნეიროლოგიას, მეტყველებას (ლინგვისტიკა) და პროგრამებს. ნეიროლინგვისტური სისტემა არეგულირებს სხეულის ფუნქციონირებას, მეტყველება განსაზღვრავს ჩვენს სხვეთან ურთიერთობას, პროგრამები კი განსაზღვრავენ იმ სამყაროს მოდელს, რომელსაც ჩვენ ვქმნით.

ნეიროლინგვისტური პროგრამირება აღწერს, თუ როგორ ხდება ჩვენს აზროვნებასა და მეტყველებას შორის ინტერაქცია, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს სხეული და ქცევა. ამგვარად, იგი მოიცავს ადამიანის არსებობისა და განვითარების სხვადასხვა ასპექტებს: ქცევით კომპეტენციებს (ჩვენი ქმედებები), კოგნიტიურ პროცესებსა და სტრატეგიულ აზროვნებას (ჩვენი ქცევების მიმართულება), ღირებულებების სისტემას (მოტივაცია) და რწმენას (ჩვენი ნება), იდენტობას (ჩვენი როლი და მისია), ჩვენს ხედვას.

ნეიროლინგვისტური პროგრამირების საფუძველში დევს სამი ფსიქიატრის - ფრიც პერლზის (გემტალტთერაპია), ვირჯინია სატირისა (საოჯახო თერაპია) და მილტონ ერიქსონის (ერიქსონის ჰიპნოზი) - ქცევის ვერბალური და არავერბალური კოპირების ტექნიკა.

ისინი ეფუძნებიან ენობრივ შაბლონებსა და სხეულის მიერ გადმოცემულ სიგნალებს, რომელიც შეიქმნა რამდენიმე ფსიქოთერაპევტის დაკვირვებებზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელები პრაქტიკაში იყენებდნენ ნეიროლინგვისტურ პროგრამირებას და თვლიდნენ, რომ ჩვენი სუბიექტური რეალობა განისაზღვრება გარკვეული რწმენის, წარმოდგენებისა და ქცევით, რადგან ნებისმიერი ქცევა (სრულყოფილი ან არაფუნქციონალური) შემთხვევით არ ვლინდება, არამედ გააჩნია სტრუქტურა, მაგრამ ამ სტრუქტურის გაგება შესაძლებელია. ნეიროლინგვისტური პროგრამირება გამოიყენება სხვადასხვა სფეროში: გაყიდვები, ფსიქოთერაპია, კომუნიკაცია, განათლება, სპორტი, ბიზნესის მართვა და ა.შ.

ნეიროლინგვისტურ პროგრამირებაში არსებობს 10 აქსიომატური პრესუპოზიცია, რომლებიც გამოიყენება ნაპ-ს ინსტრუმენტებად და შემქმნელთა ვარაუდით აადვილებს სასურველი ეფექტის მიღწევას. პრესუპოზიციათა მნიშვნელობა მდგომარეობს არა მათ ჭეშმარიტებაში, არამედ დამაჯერებლობაში, რაც განაპირობებს მიზნის მიღწევის ეფექტურ საშუალებას.

– ადამიანი ყოველთვის აკეთებს არჩევანს საუკეთესოზე
– გონება და სხეული-ერთიანი კიბერნეტიკული სისტემის ელემენტებია. ერთ ნაწილში ცვლილება იწვევს მეორე ნაწილში ცვლილებას

– საკუთარი და სხვისი სამყაროს მოდელი შეიძლება, საფუძველშივე განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ყველა სუბიექტური მოდელი თანაბრად ჭეშმარიტია, ან თანაბრად მცდარი

- კომუნიკაციის არსი მდგომარეობს რეაქციაში, რომელსაც ის წარმოშობს
- სანყისში, ყველა ქმედებას განაპირობებს პოზიტიური განზრახვა
- სამყაროს ზოგადად მეგობრულია და მასში უხვადაა რესურსები
- ადამიანებს გააჩნიათ ყველა საჭირო რესურსი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად
- არ არსებობს წარუმატებლობა; არსებობს მხოლოდ უკუკავშირი
- ადამიანი არ არის მისი ქმედება.

ნეიროლინგვისტური პროგრამირების პრესუპოზიციები წარმოადგენენ ნეიროლინგვისტური პროგრამირების ძირითად პრინციპებს. პრესუპოზიციები (მაგალითად, „სამყაროში უამრავი რესურსია“) ან პოზიტიურად ჩამოყალიბებულ რწმენათა ერთობლიობა გამოიყენება როგორც ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის საბაზისო ხელსაწყო. კომუნიკაციაში პრესუპოზიციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეფექტს წარმოადგენს თანამოსაუბრის მიერ პრესუპოზიციის ძირითადი პოსტულატის აღქმა. ადამიანის კრიტიკული აზროვნება მიპყრობილია ძირითად ელემენტზე მაშინ, როცა პრესუპოზიცია კრიტიკული აღქმის საზღვრებს მიღმაა. მაგალითად, ფრაზაში „წვიმამ გადაილო“ თანამოსაუბრე ყურადღებას აქცევს

ძირითად ელემენტს, რომ წვიმა შეწყდა მაშინ, როცა პრესუპოზიცია, რომ წვიმა მოდიოდა, ყურადღების მიღმა რჩება.

ნეიროლინგვისტური პროგრამირება საშუალებას იძლევა, განავითარო კომუნიკაციური უნარები, ასევე საკუთარი თავი და ზოგადად პიროვნება. ასევე იგი საკუთარი ემოციური მდგომარეობის სწორად გაგების, გარესამყაროს მრავალმხრივი გაგების, ქცევაში მოქნილობის, ფობიებისა და ფსიქოლოგიური ტრავმების მოშუშების საშუალებას იძლევა.

სწავლის პროცესში ეს არის ახალი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა. ჩვენი პირადი წარმატების ხელახლა გამოყენება და მისი ერთი სიტუაციიდან მეორეში გადატანა ან სხვათა წარმატების მოდელირება და ამის შედეგად სწავლა.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ენების ცოდნა მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოებაში. მსოფლიოში ყველა დაინტერესებულია თანამშრომლობაში, განსაკუთრებით იმ პირებთან, რომლებმაც იციან ინგლისური მანინც. ენობრივი ბარიერის არ არსებობის შემთხვევაში, თუკი ამას ემატება პროფესიული უნარები, ამ პირს აუცილებლად მიიღებენ სამსახურში.

მედიკოს-ნეიროფიზიოლოგები ამტკიცებენ, რომ ენის სწავლა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აზროვნება უფრო სხარტი ხდება და ავითარებს მესხიერებას. ენის სწავლის პროცესი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტად ეფექტური. ამისათვის საინტერესოა ნეიროლინგვისტური მეთოდის გაგებაც.

ნეიროლინგვისტური პროგრამირების მეთოდი თავიდანვე გულისხმობს სწავლების საშუალებების მორგებას შემსწავლელზე. თუკი სწორად გავითვასინლინებთ ყველა ნიუანსს, მაშინ სწავლის პროცესიც გამარტივდება.

ნეიროლინგვისტური პროგრამირების მეთოდი წარმოადგენს თავისთავად ენის სწრაფ და გამარტივებულ შესწავლას, აქ იგულისხმება არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ ენობრივი კონსტრუქციებიც.

ეს მიიღწევა არა მხოლოდ ენის შესახებ ერთიანი, მთლიანი წარმოდგენის ჩამოყალიბების საშუალებით, არამედ ასაღწერი მოვლენის სემანტიკური შემადგენლების ცოდნის საშუალებით.

გამომდინარე იქედან როგორ აღიქვამს სამყაროს შემსწავლელი, უნდა შეირჩეს სწავლების საშუალება, ხერხი, მეთოდი.

იმ ადამიანებს, რომლებიც ინფორმაციას კარგად იმახსოვრებენ მოსმენით, უცხოური ენის ფლერადობა უყალიბებს გარკვეულ ხმოვან გამას. ამ ადამიანებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პრაქტიკას ენის მატარებლებთან და დიდი დრო არ უნდა დახარჯონ სახელმძღვანელოებთან მუშაობაში. მათი ამოცნობა შეიძლება ისეთი ფრაზებით, როგორიცაა: დავილაპარაკოთ! მომისმინეთ! მელოდიასავით ჩამესმის ყურში! ამ ტიპის ადამიანები დიდი ყურადღებით უსმენენ ლექციას, ამუშავებენ დიალოგს, მონაწილეობენ დისკუსიებში, გადმოსცემენ ტექსტს.

ადამიანთა ის ტიპი, ვინც მხედველობით აღიქვამს ინფორმაციას, მათთვის მნიშვნელოვანია წერის პრაქტიკის დამუშავება და ყურადღებით ყველაფრის დაფიქსირება, რასაც მასწავლებელი აძლევს, თუმცა რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მათთვის უფრო რთულია ენის შესწავლა მხოლოდ წიგნებით, ურთიერთობის გარეშე. მეორე მხრივ, თუკი გამოვიყენებთ სწავლებაში სპეციალურად გამოგონილ სიმბოლოებს, ნახატებს, სხვადასხვა ფერის მარკერებს, ისინი უფრო მალე მიაღწევენ პროგრესს ენის სწავლაში.

ამ ტიპის ადამიანის აღმოჩენა შეიძლება მათი გამოთქმებით: შეხედეთ! აი, ნახეთ რა მაქვს მე მხედველობაში! წარმოიდგინეთ! გარდა ამისა, მათ აქვთ ძალიან სწარფი მეტყველება. ისინი აღიქვამენ დაფაზე დაწერილ, წიგნში მოცემულ, ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია სქემატურად. ისინი კარგად ართმევენ თავს წერილობით დავალებას, უფრო კარგად წერენ თემას, ვიდრე ყველაზე ზეპირად ტექსტს.

მესამე ტიპის ადამიანები თავიანთ შეგრძნებებზე ამახვილებენ ყურადღებას. მათთვის რთულია ენის შესწავლა, თუკი ისინი მას ყოველდღე არ იყენებენ, მაგალითად, არ ცხოვრობენ საზღვარგარეთ. მათ ახასიათებთ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: ვერ ვიგებ, რას ამბობ? თქვენ როგორ უყურებთ ამას? ჩემთვის ასე უფრო კომფორტულია! მე ასე ვგრძნობ! ისინი ტექსტს კარგად გადმოსცემენ, როდესაც როლურ თამაშებს ასრულებენ. ათამაშებენ სხვადასხვა სცენებს.

ენის სრულყოფილი შესწავლისას ყველა ამ ტიპის ადამიანს მოუწევს დამწერლობით ენასთან, მის ფლერადობასთან და გამოთქმასთან შეჯახება და არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ ბევრ ენაში შესტიკულაცია მეტყველებაში თამაშობს ძალიან დიდ როლს.

ამერიკელი ლინგვისტი ჯონ გრინდერი ამბობდა, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას ცნება ზუსტად ვერ გადადის ისე, როგორც ის წარმოდგენილია ამა თუ იმ ენაში. სწორედ ცნობიერებაში არსებული წარმოსახვა გვაძლევს ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას.

შემსწავლელის ირგვლივ უნდა მოეწეოს ისეთი ენობრივი გარემო, რომელიც მას ენის შესწავლაში დაეხმარება, პრიორიტეტი ამ დროს ენიჭება რეალურ სამეტყველო სიტუაციებს. ნეიროლინგვისტური პროგრამირებისას სწავლება უნდა დაეფუძნოს ნებაყოფლობით და უნებლიე ფოკუსების გადანაწილებას. ამისათვის სწავლებისას უნდა ჩავრთოთ თამაში და სენსორული საქმიანობაც.

მთლიანობაში ნეიროლინგვისტური პროგრამირება საშუალებას იძლევა ახალი მიდგომებით შევხედოთ უცხოური ენის შესწავლას და დავამუშავოთ ახალი ინფორმაცია ეფექტური საშუალებების გამოყენებით.

შესაბამისად, ნეიროლინგვისტური პროგრამირება გვაძლევს საშუალებას უფრო ეფექტურად და ახალი მიდგომებით ვასწავლოთ უცხოური ენა.

ლიტერატურა:

1. Нейролингвистическое программирование // Википедия – свободная энциклопедия [Электронный ресурс]. URL: <http://ru.wikipedia.org>.
2. შავერდაშვილი.ე., „უცხოური ენების სწავლების საფუძვლები“, ნაწილი პირველი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014.
3. ჭანტურია.გ., ხატიაშვილი.ხ. „უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიური ძიებანი“, გამომცემლ.უნივერსალი, 2012.
4. Alain CAYROL et Josiane DE SAINT PAUL, *Derrière la magie la programmation neurolinguistique*, InterEditions, 1984
5. LÉPINEUX, REINE, Nicole SOLEILHAC et Andrée ZÉRAH, *La programmation neuro-linguistique à l'école*. Paris, Édition Nathan, 1996
6. Robert DILTS , « modéliser avec la PNL » .p.18

Gvantsa Tchanturia

Doctor of Philology

Khatia Khatiashvili

Doctor of Philology

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

THE USE OF NLP TO LEARN A FOREIGN LANGUAGE

The method of Neuro-linguistic programming was developed by American linguist John Grinder and American psychologist Richard Bundler in America. The term includes neurology, speech (linguistics), and programs. The Neuro-linguistic system regulates the functioning of the body, speech determines our relationship with others, and programs however define the model of the world we create. NLP teaches us to communicate better.

Neuro-linguistic programming describes how our thinking and speech interact, how the body and behavior relate to one another. As such, it encompasses various aspects of human existence and development: behavioral competences (our actions), cognitive processes and strategic thinking (the direction of our behaviors), values system (motivation) and beliefs (our will), identity (our role and mission), our vision.

The learner should be provided with a language environment that will help him / her to learn the language. Priority will be given to realistic speech situations. In Neuro-linguistic programming, teaching must be based on the distribution of voluntary and involuntary focus. To do this, we need to include games and sensory activity in teaching.

Neuro-linguistic programming allows us to take a fresh look at foreign language learning and process new information using effective means.

**არაფორმალური განათლების ენა აფხაზეთის სსრ-ში 1926-1930 წლებში
(საარქივო მასალების მიხედვით)**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927, N 640:130] დაცულია რუსულენოვანი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია აფხაზეთში 1926-1927 წლების კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის მუშაობა. დოკუმენტის ბოლოს, 137-ე გვერდზე მიწერილია, რომ ეს საბუთი შეუდგენიათ 1927 წლის 14 ოქტომბრის მიმართვის პასუხად.

აღნიშნული საარქივო მასალის სათაურია „აფხაზეთი“, რომელიც შემდეგი ორი ქვეთავისაგან შედგება: „წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია“ და „საბჭოთა პარტიული სკოლები“. დოკუმენტის ავტორს წარმოდგენილი აქვს ცნობები აღნიშნული ორგანიზაციების ეროვნული და ენობრივი ნიშნით დაყოფის შესახებ. შესავალ ნაწილში განმარტებულია ის მთავარი მიზეზები, რამაც განაპირობა ამ ორი ტიპის სტრუქტურის ჩამოყალიბება, კერძოდ: „ქვეყნის სამეურნეო ზრდით გამოწვეულმა აფხაზეთის გლეხობის მიერ პოლიტიკური აქტიურობის გამოჩენამ და გადამჭრელმა გადაწყვეტამ ლოზუნგისა „სახით სოფლისავენ“ მთავარპოლიტიკანის¹ წინაშე წამოჭრა განუხრელი ამოცანა ქალაქისა და სოფლის მოზრდილი მოსახლეობის პოლიტიკური და კულტურული განვითარების ტემპის გაძლიერებისა.

სოფლის დაბალი დონე (18-დან 40 წლამდე ასაკის მოსახლეობის 80,9% წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობა), მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე, მძიმე და ბნელი ყოფა, მოსახლეობის სიმეჩხრე ([დასახლების] ხუტორული ტიპი), მძიმე უგზოობა, სოფელში კულტურული ძალების არარსებობა და მუშაობისათვის მინიმალურად საკმარისი კრედიტების არარსებობა და ბოლოს, ქართულ და სომხურ ენებზე ეროვნული ლიტერატურის მწვავე უკმარისობა და აფხაზურ და ბერძნულ ენებზე მისი სრული უქონლობა წარმოადგენდა გადაუღალავ დაბრკოლებას ადგილებზე პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის ორგანიზებისათვის. ხოლო შესაბამისი შენობების, ყველაზე აუცილებელი ინვენტარისა და საჭირო კვალიფიკაციის პოლიტიკანათლების არარსებობა კიდევ უფრო ართულებდა ამ ამოცანას“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:130].

სხვადასხვა საარქივო მასალების არაერთი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განათლების სისტემაში სირთულეს ქმნიდა აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მრავალფეროვნება, კულტურული ძალებისა და ეროვნული ლიტერატურის არარსებობა ან ნაკლებობა. ასევე დოკუმენტებში ხშირად მითითებულია ის ფაქტი, რომ საჭირო სხვადასხვაენოვანი ნიგნები და სახელმძღვანელოები სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ, თუმცა პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების განხორციელების ნაცვლად, იქმნებოდა ისეთი ორგანოები, როგორებიცაა ლიკებები² და საბჭოთა პარტიული სკოლები. ცხადია, ამას ნაკლები ბიუჯეტი სჭირდებოდა და გარდა ამისა, ამ სკოლების ფუნქცია პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია იყო.

საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ლიკებების ჩამოყალიბება 1924-25 წლებიდან იწყება. 1926-27 წლებში აფხაზეთში ეროვნული ნიშნის მიხედვით სულ 131 ლიკპუნქტი და მცირედმცოდნეთა სკოლა არსებობდა. მათგან ყველაზე მეტი იყო ქართული ლიკპუნქტი (55), შემდეგ აფხაზური (36) და სომხური (21), ხოლო ყველაზე ცოტა ბერძნული (10) და რუსული (9). წერა-კითხვის ლიკვიდაციის სკოლა 1925-26 წლებში გაიარა 3.930 კაცმა, მათ შორის: ქართველი იყო 1.650, აფხაზი – 1.080, სომეხი – 630, ბერძენი – 300, რუსები – 270.

¹ მთავარპოლიტიკანი – პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო.

² ლიკები – რუს. ликвидация безграмотности у населения „მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია“. ტერმინი აქ გამოყენებულია იმ სპეციალური პუნქტების აღსანიშნად, რომლებშიც წერა-კითხვას ასწავლიდნენ სხვადასხვა ასაკის მოსახლეობას.

1926-27 წელს ეროვნული ნიშნის მიხედვით მაზრებში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის სკოლები შემდეგნაირად ნაწილდება:

მაზრები	ლიკუუნქტები						მცირედმცოდნეთა სკოლები					
	აფხ	ქართ	სომხ	ბერძ	რუს	სულ	აფხ	ქართ	სომხ	ბერძ	რუს	სულ
სოხუმის	2	8	5	7	2	24	1	2	2	-	1	6
კოდორის	15	1	1	-	-	17	3	1	-	-	-	4
გალის	3	19	-	-	-	22	1	9	-	-	-	10
გუდაუთის	10	-	2	-	3	15	-	-	2	-	5	7
გაგრის	1	3	-	-	3	7	-	-	2	-	-	2
ქ. სოხუმში	-	1	-	-	1	2	-	-	-	-	3	3
ჯამი	31	32	8	7	9	87	5	13	6	-	9	32

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:131-132].

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის სკოლები ყველაზე მეტი იყო სოხუმისა და გალის მაზრებში, ყველაზე ნაკლები – ქ. სოხუმში, ვინაიდან ამ უკანასკნელში ისედაც ფუნქციონირებდა სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი.

დოკუმენტის ამ ქვეთავის ბოლო აბზაცში აღნიშნულია, რომ ლიკუუნქტები და მცირედმცოდნეთა სკოლები არ არსებობდა თვითმპყრობელობისა და მენშევიკური მთავრობის დროს და რომ ამ ტიპის სკოლები საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნილი მუშაობის ახალი სახეობა იყო. მიუხედავად ზემოაღნიშნული დაბრკოლებებისა, მნიშვნელოვანი იყო ვ. ლენინის ანდერძის შესრულება. ავტორის თქმით: „თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთში ეროვნულ ენებზე მომზადებული მასწავლებელ-ლიკვიდატორთა უყოლობას და ზემოთ აღნიშნული ობიექტური პირობების არსებობას, რაც სკოლებში მეცადინეობების მიმდინარეობას არანორმალურად აქცევს, ცხადი ხდება წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის ორგანიზებისა და ლიკვიდაციის სკოლების არსებობისათვის საჭირო მუშაობის მთელი სირთულე... წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ ვ. ლენინის ანდერძის რაც შეიძლება ინტენსიურად შესრულებისათვის, ქვეყნის კულტურული და სამეურნეო აღმავლობისათვის, მასებში კომუნიზმის იდეების დასანერგად და მოსახლეობის მასის მსოფლიო პროლეტარულ კულტურასთან საზიარებლად აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სალიკვიდაციო სკოლების ასიგნების გაზრდა და ნაწილობრივ აღმოფხვრა (მთლანად თუ არა) ზემოთ აღნიშნული პირობებისა, რომლებიც ამუხრუჭებენ სალიკვიდაციო სამუშაოებს“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:132].

როგორც ვხედავთ, ზემოთჩამოთვლილი არაერთი მიზეზებს შორის უმთავრესი იყო სხვადასხვაენოვანი მასწავლებელთა და ლიკვიდატორთა კადრების არარსებობა, რის გამოც არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა ლიკუუნქტებსა და მცირედმცოდნეთა სკოლებში სასწავლო პროცესი (ავტორი ამ ყველაფერს ობიექტურ მიზეზებს უწოდებს). ამ ვითომ საგანმანათლებლო ორგანოების უპირველესი მიზანი ამავე დოკუმენტშიც დაუფარავად არის განმარტებული, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები, სინამდვილეში, კომუნისტური პოლიტიკური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის იქმნებოდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა საარქივო მასალაში აღნიშნული ფაქტები და შეფასებები, კერძოდ: 1. ხაზგასმა აფხაზეთის ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ამის ერთ-ერთ პრობლემად წარმოჩენა; 2. სხვადასხვაენოვანი ლიტერატურის სიმწირე ან სრული უქონლობა; 3. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მასწავლებელთა არარსებობა.

ასეთ პირობებში საკითხავია, აგიტაციისთვის რომელ ენებს იყენებდნენ ძირითადად – ქართულს, აფხაზურს თუ რუსულს? ამ კითხვის სარწმუნო პასუხი საარქივო მასალის მეორე ქვეთავშია მოცემული, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოხუმში არსებულ პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლაში, რომელსაც უკვე ოთხი გამოშვება ჰქონდა: „**მსმენელთა ეროვნული შემადგენლობის ნარეობის გამო მეცადინეობები... რუსულ ენაზე მიმდინარეობს**“. დასახელებულ სკოლაში 1925-27 წელს 31 კაცი სწავლობდა: მამაკაცი – 27, ქალი – 4; აფხაზი – 21, ქართველი – 18, სვანი – 5, ბერძენი – 7, რუსი – 1, სომეხი – 6; პარტიის წევრი – 1, წევრობის კანდიდატი – 16, კომკავშირელი – 12, უპარტიო – 2; მუშა – 2, გლეხი – 29 [სეა, ფ. 284, ან. 1, N 640:134]. აქ საყურადღებოა სვანის გამოყოფა ცალკე ეროვნებად, რაც ემთხვევა 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებს, სადაც სვანი ასევე ცალკე ეროვნებად იყო გამოყოფილი. საბჭოთა პარტიული სკოლის მიზანი იყო სპეციალური მომზადებისა და საჭირო პოლიტიკური განვითარების მქონე კადრების მომზადება.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არაფორმალური განათლების ორგანოებიდან აფხაზეთში პირველად ქობ-სამკითხველოები შექმნილა 1922 წლის ბოლოს. ქობ-სამკითხველოები „...მოწოდებულია გლეხობის დასახმარებლად სოფლის მეურნეობის წარმოების უფრო კულტურული ფორმების გამოყენებაში, სოფლად საბჭოთა საზოგადოებრიობის დასაწერად“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, № 640:135]. აქაც მთავარი მიზანი იყო მოსახლეობის შეგნებაში იდეოლოგიური გარდატეხა!

საარქივო მასალებში არის საინტერესო ცნობა **აფხაზეთში მცხოვრები ბერძნებისა და ესტონელების მდგომარეობის შესახებაც** რომელიც შედგენილია 1930 წლის 16 აპრილს აფხაზეთის ცაკის 13 აპრილის № 93.447 მიმართვის პასუხად [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930]. ადრესატი აფხაზეთის ცაკი ყოფილა. რაკი ცნობა საქართველოს ცაკის ფონდში მოხვდა, ცხადია, ეს ინფორმაცია სწორედ საქართველოს ცაკს სჭირდებოდა. დოკუმენტის სათაურია: **“ცაკს”** და მას ხელს აწერენ აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი **ა. ჭოჭუა** და ამავე განსახკომის საქმეთა მმართველი **სოკოლოვი**. მითითებულ წყაროში აღნიშნულია შემდეგი:

„1. სასკოლო შენობების მდგომარეობის შესახებ: ბერძნული სასკოლო შენობების 75% არ შეესაბამება თავის დანიშნულებას და მოითხოვს გადაკეთებას; ხოლო ესტონური სასკოლო შენობები უფრო გამოსადეგია.

2. აფხაზეთში ბერძნული და ესტონური მოსახლეობის წიგნიერების პროცენტის დადგენა არ მოგვიხერხდა, ვინაიდან ცსს¹-საც არ აღმოაჩნდა ეს მონაცემები.

3. ბერძნული სკოლები სახელმძღვანელოებით სრულად არ არის უზრუნველყოფილი, ვინაიდან როსტოვში არსებული გამომცემლობა - ბერძნული ვერ უძღვება თავის საქმეს. პირველი სამი ჯგუფი [= კლასი] უფრო უზრუნველყოფილია, დანარჩენი ჯგუფები განიცდიან სახელმძღვანელოების ნაკლებობას. ესტონური სკოლები უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით.

4. არსებობს 2 სპეციალური ბერძნული ქობ-სამკითხველო - კონსტანტინოვსკოესა და მიხაილოვსკოეში, და 2 ესტონური - სალმეში და ვერხნი ლინდაუში. გარდა ამისა, ბერძენ მოსახლეობას ემსახურება ნებელდის, ჯირხვისა და პილენკოვოს ქობ-სამკითხველოები“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930:47]. ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალებში არაერთხელ არის მითითებული, რომ სხვადასხვა ეროვნული სკოლებისთვის სახელმძღვანელოები ხშირად მეზობელი რესპუბლიკებიდან და სახელმწიფოებიდან შემოჰქონდათ, რასაც ადასტურებს მოცემული დოკუმენტიც.

საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ამავე ფონდში დაცული 3-გვერდიანი ცნობა ესტონელთა და ბერძენთა სოფლების მინათმონყოფის შესახებ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930] ცნობა შედგენილია 1930 წლის 15 აპრილს აფხაზეთის ცაკის 13 აპრილის #93.447 მიმართვის პასუხად. დოკუმენტს ხელს აწერენ მინსახკომის კომისარის მოადგილე **აბზიანიძე** და საქმეთა მმართველი **ბერჟე**. ცნობას აქვს მნიშვნელობა ჩვენი ნაშრომში განხილული ზოგი საკითხისათვის.

აფხაზეთის სსრ მინსახკომის განმარტებით: „1923 წლიდან არ ჩატარებულა მინების მასობრივი აღწერა და ეროვნული ნიშნით აღრიცხვა. ამიტომ მინსახკომს შესაძლებლად მიაჩნია, გაცნობოთ ცალკეული არსებული ცნობები, რომელთაც არა აქვთ სისტემატური ხასიათი. აფხაზეთის სსრ-ში სულ არსებობს 5 ესტონური სოფელი, მათგან 3 სოხუმის მაზრაში და 2 გაგრისაში. დროთა განმავლობაში სოფლებში მინების რაოდენობა შემცირდა მეზობლების მიერ თვითნებური მიტაცებების გამო.

ბერძნები უპირატესად ასევე დასახლებულნი არიან ყოფილი გადასახლების უბნებზე სოხუმის მაზრაში. ყველაზე დიდ ბერძნულ სოფლებს განეკუთვნება **ალექსანდროვსკოე, კონსტანტინოვსკოე, ეკატერინენსკოე, პეტროვსკოე, ოლგინსკოე, ალექსანდროვსკოე-მიხაილოვსკოე, ბეშკარდაშ-ანდრეევსკოე, აზანთა**. როგორც სოფლების ოლგინსკოესა და ალექსანდროვსკოეს მაგალითზე ჩანს, ისინი [ბერძნულ სოფლები] შედარებით დიდ ნაკვეთებს იღებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენ გლეხთა ნაწილი, რომლებიც მენშევიკების მთავრობის დროს გაემგზავრა და [მერე] უკან დაბრუნდა, იქ დასახლდა, სადაც მოუხერხდა - ქვიან ნიადაგებზე, ნათესავეებთან იჯარის სანყისებზე. ლტოლვილებმა, რომლებიც მკვიდრ ბერძნებს ჩაუსახლდნენ, მნიშვნელოვნად გააუარესეს ბერძენი გლეხობის მდგომარეობა“.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის სსრ-ში სულ 5 ესტონური სოფელი არსებობდა: **ესტონკა, ვერხნი ლინდაუ, ნიჟნი ლინდაუ, სულევო და სალმე**, რომელთა შექმნის თარიღად მითითებულია 1883-84 წლები. ამ სოფლებში 38-დან 96-მდე კომლი ცხოვრობდა [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930:45].

¹ ცსს – ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორი მუშაობა მიმდინარეობდა მთელს საქართველოში არაფორმალური განათლების მიმართულებით, მაგალითისთვის წარმოვადგენთ ერთ-ერთ დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია ბერძნული და გერმანული დიასპორებით დასახლებულ სოფლებში არსებული ენობრივი სიტუაცია.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში (ფონდი 284, ანაწერი 1. საქალაქო: „საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. 13.9.1927 წ. – 28.4.1930 წ.“ ხელმოწერილია – 12/II.30 წ.) დაცულია დოკუმენტი სათაურით: „**მოსხენება ბერძენ და გერმანელ ნაცუმცირესობებს შორის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ**“. მასში აღწერილია დასახლებული ეთნოსებისთვის შექმნილ ქობ-სამკითხველოებში, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო და მცირედმცოდნეთა სკოლებში არსებული ენობრივი სიტუაცია. მითითებულია, რომ ტფილისის ოლქში არსებობდა 2 გერმანული (**აღბულალის რაიონში – ასურეთისა, ლუქსემბურგის**) და 7 ბერძნული ქობ-სამკითხველო (**აღბულალის რაიონში – ირაგისა, წინწყაროსი; წალკის რაიონში – ავრანლოსი, ბარმაქისისა, ბეშთაშენისა; ბაშკინეთის რაიონში – კაშკატალისა; ბორჩალოს რაიონში – ოფრეთისა**) [სცა. ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:50]. დოკუმენტში მითითებულია, რომ ავრანლოს, ბეშთაშენის, ირაგის, წინწყაროს, კაშკატალისა და ოფრეთის ბიბლიოთეკებში ყველა წიგნი რუსულია. გარდა ამისა, დეტალურად არის აღწერილი, თუ რა შინაარსისა და რა რაოდენობის წიგნები იყო განაწილებული ამ ბიბლიოთეკებში, კერძოდ: „ლუქსემბურგის ქობ-სამკითხველოში სრულებით არ არის საბავშვო წიგნები გერმანულ ენაზე, რუსულად მხოლოდ 20 წიგნია. სამხედრო ლიტერატურაც ასევე არ არის გერმანულ და რუსულ ენებზე; გერმანულ ენაზე ანტირელიგიური ლიტერატურიდან არის მხოლოდ 2 წიგნი: „რელიგიის წარმოშობა“ და „**ანტირელიგიური ბიბლია**“. რუსულ ენაზეც ანტირელიგიური [ლიტერატურა] ძალზე ცოტაა – სულ 12 ბროშურა, ეს მაშინ, როცა გერმანელთა შორის ძალიან განვითარებულია სექტანტობა, არსებობს ბაპტისტებისა და ლუთერანების სექციები. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა არსებობს, მაგრამ არ შეესაბამება ადგილობრივ პირობებს – ლუქსემბურგში მეურნეობის მთავარი დარგები მევენახეობა და მებოსტნეობაა, მიუხედავად ამისა, ამ საკითხებზე ლიტერატურა სრულებით არ არსებობს. არ არის ლიტერატურა არც კოოპერაციის საკითხებზე.

ასეთივე მდგომარეობაა ასურეთის გერმანულ და ბერძნულ ქობ-სამკითხველოებშიც. **ბერძნულ ქობ-სამკითხველოებში წიგნები ცოტაა**, არსებული წიგნები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, არ შეესაბამება ადგილობრივ პირობებს. ანტირელიგიური, სამხედრო და საბავშვო ლიტერატურა ზოგ ქობ-სამკითხველოში ცოტაა, სხვებში კი სულ არ არის. 1930 წლიდან ქობ-სამკითხველოთა მომარაგება ხდება გეგმიური წესით – ცენტრალიზებულად. გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო გამომცემლობასთან [სახელგამი], რომელიც ტფილისის პოლიტგანათლების [სამმართველოს] მიერ შედგენილი სტანდარტის შესაბამისად ამარაგებს ქობ-სამკითხველოებს ლიტერატურით (გათვალისწინებულია რაიონების მხარეთმცოდნეობითი და სხვა თავისებურებანი). ყველა ქობ-სამკითხველო, როგორც გერმანული, ისე ბერძნული, მომარაგებულია ანტირელიგიური, პოლიტიკური, საბავშვო, სასოფლო-სამეურნეო სტანდარტის მიხედვით, აგრეთვე საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისადმი მიძღვნილი ლიტერატურით“ [სცა. ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:52].

მაშასადამე, დოკუმენტში რამდენჯერმე ხაზგასმული წიგნების განაწილების სტანდარტი გულისხმობდა ლიტერატურის განაწილებას განსაზღვრული რაოდენობით, ძირითადად, რუსულ ენაზე: საბავშვო, ანტირელიგიური, სამხედრო, სასოფლო-სამეურნეო და პოლიტიკური. წარმოდგენილი დოკუმენტის კონკრეტულად ამ ნაწილის პირველ აბზაცში საყვედურია გამოთქმული, რომ ბიბლიოთეკები არ მარაგდებოდა შესაბამისი ენისა და რაოდენობის წიგნებით, მეორე აბზაცში კი დაბეჯითებით არის ნათქვამი, რომ წიგნები წინასწარ შემუშავებული სტანდარტის შესაბამისად ნაწილდებოდა.

საბუთში მითითებულია, რომ გაზეთებს ძირითადად კითხულობდა 15-20 კაცი და მათ ნახევარს გერმანელები შეადგენდნენ. სხვადასხვა ქობ-სამკითხველოში კითხულობდნენ შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: პარტიის ცკ-ს ნაცუმცირესობათა სექციის ორგანო „...ნაია გაზეთა“ (გაზეთის სახელწოდების პირველი სიტყვა არ იკითხება - ს. ქ.), უკრაინის ცკ-ს გამოცემა „დას ნოიე დორფ“, უკრაინის კომკავშირის ორგანო „დი ზაატ“, გერმანიის კომპარტიის ორგანო „მუშათა ილუსტრირებული გაზეთი“, „ზარია ვოსტოკა“, „რაბოჩაია პრავდა“, „კრესტიანსკაია გაზეთა“, „მოსკოვსკაია პრავდა“; ჟურნალები: „უჩის სამ“, „ნოვაია დერეენია“, „კრესტიანსკა“, „ბეზბოჟნიკ“, „ტარტაროსი“ და „კოლექტივისტი“ („Коллективист“). 8

გაზეთიდან 3 – გერმანული იყო, 5 – რუსული, ხოლო 6 ჟურნალიდან ექვსივე – რუსული. აქაც მითითებულია, რომ ჟურნალ-გაზეთები არ იყო კოოპერაციისა და ანტირელიგიურ საკითხებზე.

„არსებობს შემდეგი წრეები: გუნდი, წრე, დრამატული წრე, ოსოავიაქიმის [სამოქალაქო თავდაცვის] წრე, პოლიტიკური განათლების წრე. უღმერთოთა წრე არსად არსებობს, არც გერმანულ და არც ბერძნულ ქოხ-სამკითხველოებთან, ასევე არ არის სასოფლო-სამეურნეო წრე, რადგან არ არსებობენ ხელმძღვანელები. დრამის დახმარებით იმართება სპექტაკლები თვეში, ზოგჯერ ორ თვეში ერთხელ. სპექტაკლების დადგმას დიდ დაბრკოლებას უქმნის პიესების უქონლობა. სოფლის თეატრებისათვის **არამც-თუ ნაცუმცირესობათა ენებზე, არამედ რუსულადაც სპექტაკლები იმართება თავლებში**, გარდა ლუქსემბურგისა, სადაც არსებობს კლუბი. რადიო არის როგორც ბერძნულ, ისე გერმანულ ქოხ-სამკითხველოებში, გარდა წინწყაროსა და ავრანლოსი. მაგრამ ბევრ ქოხში რადიო არ მუშაობს ბატარეების უქონლობის გამო, გარდა ამისა, იზბაჩებმა¹ არ იციან რადიოსთან მოპყრობა და ხშირად აფუჭებენ მას. ტფილისის ოლქში 8 მოძრავი კინო არსებობს (ცეკავშირს 2 მოეპოვება). ირჩევა იდეოლოგიურად შემონმებული [კინო]სურათები. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის დაიგზავნა სურათები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ: „ძველი და ახალი“, „ღრუბლების თავშესაფარი“, „ორი ძალა“ და „მინის ძახილი“. მცირედმცოდნეთა სკოლებში სულ 85 გერმანელი და 2.772 ბერძენი მსმენელია. **წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო და მცირედმცოდნეთა ბერძნულ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზეა, ხოლო გერმანულში – გერმანულ ენაზე** [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:55-57].

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებზე პოლიტიკური ზეგავლენისთვის შექმნილი იყო შემდეგი ორგანოები: გუნდი, წრე, დრამატული წრე, ოსოავიაქიმის² წრე, პოლიტიკური განათლების წრე, უღმერთოთა წრე, სასოფლო-სამეურნეო წრე, კლუბი, თეატრი, კინო, ქოხ-სამკითხველოები, მცირედმცოდნეთა და წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები. თითოეულ ამ სტრუქტურაში წინასწარგანსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად იგზავნებოდა კონკრეტული შინაარსის წიგნები და მათ შორის, ძირითადად, რუსულენოვანი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ენაზე და აგრეთვე, რუსულ ენაზე იდგმებოდა სპექტაკლები, კინოში აჩვენებდნენ ცენზურაგავლილ იდეოლოგიურ ფილმებს, მცირედმცოდნეთა ბერძნულ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო გერმანულში – გერმანულად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები ამა თუ იმ ეროვნების ადამიანებისთვის შექმნილი ზემოაღნიშნული ობიექტები პოლიტიკური პროპაგანდისა და რუსული ენის გავრცელებისა და დამკვიდრების საშუალება იყო.

საბჭოური ლოგიკით, სხვადასხვა ეროვნების დაბალი კულტურული დონის ასამაღლებლად კი არ დაგეგმილა ღონისძიებები, პირიქით, ჩანს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები სარგებლობდნენ მათი მდგომარეობით, ვინაიდან „ჩამორჩენილი ნაცუმცირესობების“ პოლიტიკური გააქტიურება მხოლოდ სტატისტიკა იყო პარტიული ორგანოების სიმრავლისა და „მასებისაგან ფართო მხარდაჭერის“ წარმოსაჩენად.

მაშასადამე, ჩვენ მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალებში აღწერილია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა არაფორმალურ განათლების სფეროში არსებული ენობრივი სიტუაცია. შეჯამებისთვის წარმოვადგენთ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციებს:

- „მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე;
- კულტურული ძალების არარსებობა;
- ქართულ და სომხურ ენებზე ეროვნული ლიტერატურის მწვავე უკმარისობა და აფხაზურ და ბერძნულ ენებზე მისი სრული უქონლობა;
- მსმენელთა ეროვნული შემადგენლობის ნარევიობის გამო მეცადინეობები... რუსულ ენაზე მიმდინარეობს;
- ბერძნული სკოლები სახელმძღვანელოებით სრულად არ არის უზრუნველყოფილი;
- ბერძნულ ქოხ-სამკითხველოებში წიგნები ცოტაა;

¹ იზბაჩი – რუს. ქოხ-სამკითხველოს გამგე, ან აქტივისტი.

² ოსოავიაქიმი – რუს. Общество содействия обороне, авиационному и химическому строительству „თავდაცვის, ავიაციისა და ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოება“. იყო ნახევრად სამხედრო ორგანიზაცია.

სხვადასხვა ქობ-სამკითხველოში კითხულობდნენ შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: პარტიის ცკ-ს ნაცუმ-ცირესობათა სექციის ორგანო „...ნაია გაზეთა“ (გაზეთის სახელწოდების პირველი სიტყვა არ იკითხება - ს. ქ.), უკრაინის ცკ-ს გამოცემა „დას ნოიე დორფ“, უკრაინის კომკავშირის ორგანო „დი ზაატ“, გერმანიის კომპარტიის ორგანო „მუშათა ილუსტრირებული გაზეთი“, „ზარია ვოსტოკა“, „რაბოჩაია პრავდა“, „კრესტიანსკაია გაზეთა“, „მოსკოვსკაია პრავდა“; ჟურნალები: „უჩის სამ“, „ნოვაია დერევენია“, „კრესტიანკა“, „ბეზბოჟნი“, „ტარტაროსი“ და „კოლექტივისტი“ („Коллективист“);

სოფლის თეატრებისათვის არამცთუ ნაცუმცირესობათა ენებზე, არამედ რუსულადაც სპექტაკლები იმართება თავლებში;

წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო და მცირედმცოდნეთა ბერძნულ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზეა“...

ამრიგად, ზემოთჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, რომ რუსული ენის გავრცელების მიზეზად დასახელებული იყო: ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე, სხვადასხვაენოვანი მასწავლებლების, კულტურის მუშაკებისა და სახელმძღვანელოების არარასებობა. ამას ემატებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უკიდურესი სიღარიბე. ჩამოთვლილ საბაბათა გამო არაფორმალური განათლების ობიექტებში სწავლების ენად უმეტესად ან სრულად გამოიყენებოდა რუსული, ვრცელდებოდა რუსული ნიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რუსულ ენაზე გადმოცემული ფილები, რადიო გადაცემები და სპექტაკლები.

ლიტერატურა:

1. სეა, ფ. 284, ან. 1, 1927, N 640, „აფხაზეთი“;
2. სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, „ცაკს“;
3. სეა, ფ. 284, ანაწერი 1. „საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. 13.9.1927 წ. – 28.4.1930 წ.“
4. „მოსხენება ბერძენ და გერმანელ ნაცუმცირესობებს შორის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ“.

Sofiko Tchaava
Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

THE LANGUAGE OF NON-FORMAL EDUCATION IN THE SOCIALIST SOVIET REPUBLIC OF ABKHAZIA IN 1926-1930 (According to archival materials)

The Fund of the Central Executive Committee of the National Archives of Georgia [NAG, F. 284, or. 1, 1927, N 640: 130], [NAG, F. 284, or. 1, 1927-1930], [NAG, F. 284, or. 1, 1927-1930: 45], [Foundation 284, copy 1. 13.9.1927] contain several Russian-language documents describing the linguistic situation of the informal education system in the SSR of Abkhazia, in general in the Georgian SSR in 1926-1930.

The following bodies were created by the Soviet authorities for political influence on people of different nationalities living in Georgia: choir, circle, drama circle, **Osoaviakhim circle**, political education circle, godless circle, agricultural circle, club, theater, cinema, reading huts, Schools for the elimination of ignorance and illiteracy. In each of these structures, specific content books were sent in accordance with a predetermined standard, including mainly Russian-language literature and magazines. There were performances in the languages of different ethnic groups as well as in Russian language, the films were shown in censored ideological films, the teaching in small schools was mostly implemented in Russian language..

The archive material, searched by us proves that the above-mentioned objects, specially designed for people of different nationalities living in Georgia, were a means of spreading and establishing political propaganda and Russian language.

О НЕКОТОРЫХ ТЕРМИНАХ МЕТАЛЛУРГИИ И КУЗНЕЧНОГО ремесла, ОТРАЖЕННЫХ В НАРТОВСКОМ ЭПОСЕ ИРАНОЯЗЫЧНЫХ ОСЕТИН

В статье рассматривается семантическая и формальная структура терминов кузнечного ремесла в сказаниях о Нартах.

Статья посвящена терминам металлургии и кузнечного ремесла *куырды* – “кузнец”, *куырдадз* – “кузница”, *куыныц*, *дымгаеуадзантае* – “кузнечные меха”, *куыныцгом* – (горнило), *саерын*, *саердын*, *аваерын* – “закалять”, *хъасдараг* – “наковальня”, *артыскаен* – “щипцы” (для углей), *дзабуг* – “молот”, *аркъау* – “клещи”, *авзалы* – “уголь” и анализу их семантических основ и формальных структур.

Встречающиеся в Нартовском эпосе термины, в составе которых выделяются специфические для них элементы – терминоединицы – (“Под терминоединицами понимаются слова, имеющие самостоятельное значение и входящие в состав простого...термина” [Лотте, 1961:15] по таксономическому принципу классифицируются на три самостоятельные группы: *исконные*, *заимствованные* и *неясного* происхождения.

Исконные терминоединицы, в свою очередь, делятся на:

1) термины древнейшего пласта осетинского языка. Выдвинутое автором положение этимологически надежно и аргументировано и, причем, каждый раз опирается на фундаментальные труды ученых.

Так, термин *куырды* “кузнец” *nomen agentis* (отглагольное имя), где производящий элемент – корень **kur* – “топить” восходит, по В.И. Абаеву, к **kur-ta* - или **kur-tar* -, от “калить” [Абаев, I, 1958: 610]. Ср. др. инд. *«kūdayati»* – “палит”, “жжет” (из *kurd-*). В армянском это же слово имеет ономазиологический способ образования арм. *k'arak* (из **kur-ak*) – “огонь” [Хюбшман, 1895: 462], который мог быть заимствован из ср. иран. **kurak* (перс. *kūga* “кузнечный горн” относится сюда же), ст. слав. *курити*, русск. *курить*, слов. *kūriti* – “разжигать огонь”, лит. *kūrti* – “топить”, “разжигать огонь”, гот. *hauri* – “уголь”. Ст. слав. *кръчи*, др. русск. *корчий* – “кузнец” (отсюда название Керчи, буквально “Кузнецк”). Немецкие учёные, А. Фик и Э. Бернекер, предполагают связь данного слова с др. инд. *kar* – “делать” [Фик, 1891, 1894: 24, 384; Бернекер, 1908–1913, 671], что, по мнению В.И. Абаева, менее правдоподобно. Ср. *Уыдон – уейгуытае, авд дæр уыдысты куырдытае* (НК, 2007, т. VI: 85). – “Они – великаны, все семеро были кузнецами” (подстр. пер.)

Кузнечное ремесло изначально дифференцировалось на несколько специальностей, названия которых представлены в осетинском языке старыми образованиями: *афсаенгуырды*, или *куырды* “кузнец по железу”, *зерингуырды*, “золотарь”, *авзист* – “серебрянщик”, *архуыгуырды* “медник”, “лудильщик”.

Из осетинских народных ремёсел *наервнамег* “скорняк”, *цыргъгаенаг* “точильщик”, *цармыстигъаг* “шкурник”, *хъаддасны* “столяр, плотник”, *нымæтуердаг* “валяльщик”, *тынуафæг* “ткач” и т.д. – лишь кузнечное дело сохранило старое, неразложимое наименование *куырды* – “кузнец”, “коваль”.

Исторически впервые в Нартиаде зафиксированы названия *сырæ* – *металлов*. Например, *авзалы* – “уголь”, возводится к иран. **zvalya-* ← **zvarya* – (индоевропейская база * *gwel-*) и сближается с др. инд. *ṣval-*, *ṣvalati* – “гореть”, “пылать”, *ṣvāla* – “пламя”, с закономерной метатезой *zv* → *vz* (ср. *yvzag*) “язык” из **hizvaka-* [Абаев, IV: 25]. Ср. татск. *zuvol* – “уголь” [Хюбшманн, 1895: 76]; перс. *zuvāl* – “красный уголь”, “тлеющий уголь”, “головня” [Ягелло, 1910: 80]; др. ирл. *gúal*, англ. *coal* – “уголь”, “уголёк”, “каменный уголь”, др. сев. кол. нем. *kohle* (*кулае*) – “уголь”, “тлеть” и даже “цементировать”.

Термин *авзалы* «уголь» используется в большинстве сказаний для процедуры «закалить эпических героев». Ср. *Дыууадæс уардоны авзалы сласут, уыдон бын баныгаенут маен, авзалыма та саразут куыныцтае* (НК, III, 2005: 311). – “Привезите двенадцать ароб угля, закопайте меня под ними, а с углем смонтируйте меха” (подстр. пер.). *Батрадз ацыди ама залиаг калмытае ныццагъта, схаста се Куырдалагонма ама се авзалы скодтой* (НК, III, 2005: 75). – “Батраз ушёл и истребил залийских змей, принес их к Курдалагону, и из них сделали угли” (подстр. пер.).

Термин *саерын* (*саердын*) «закаливать», «делать стальным», «наваривать сталь». В эпосе встречаются оба варианта с семантикой “закалять”, иногда с краткими личными местоимениями и с предлогом *аена* “без”. Ср. *Батрадз Куырдалагонма ссыди амае йын загъта: “Дæ хорзæх мын хуыцау раддаед, амае ма байсаерд ама аендон куыд суон”* [Миллер, 1881: 22]. – “Батраз поднялся к Курдалагону и сказал ему: “Да даст мне Бог твою милость, закали меня, чтобы я стал стальным” (подстр. пер.). *Батрадз загъта: “Уыдаеттæй ма не фæтаерсын кæндынае, фæлае дæ курын амае ма байсаер”* (НК, 2005, т. III, стр. 74]. – “Батраз сказал: “Ты этим меня не напугаешь, но, прошу тебя, закали меня” (подстр. пер.). *Хъомыл кæнын райдыдта уыцы хуызæнаей Батрадз.*

Амае йыл иу гыццыл азтае куы рацциди, уед сархуыды кодта: “Аз аенае сарстий куы баззайон, уед н’айафдзыннен адаемы” (НК, 2005, III: 70). – “Таким вот образом начал расти Батраз. И когда немного подрос, то подумал: “Если я останусь без закалки, то не стану человеком” (подстр. пер.)

Процесс закаливания, вызвавшая к жизни термин “*сарын*” (*сардын*), заключается в технологии перевоплощения структуры стали и наварке стального слоя на стальную основу. Анализ названий стали в некоторых языках (**осет.** *aendon* < **др. инд.** *saṃdhāna* – “накладывание”, “накладка”, **русск.** *уклад* и др.) также указывает на данную процедуру [Этим. иссл., 1960: 73-74]. Заметим, что и археологические данные подтверждают древность этой технологии, ср.: “Уже в раннюю пору скифской истории мастера умели получать высокоуглеродистую сталь. С самого раннего периода... скифские кузнецы знали цементацию. Наряду с цементацией практиковалась “наварка стального лезвия на стальную основу” [Смирнов, 1966: 132, 134]. Ср.: **Байсердун ма аендоней** (ЮОПам., I:111) – “Обмажьте меня сталью” (букв.: «закалите меня») (подстр. пер.).

Оба варианта термина *сарын* и *сардын* возводятся к **vi-sar-* и **vi-sard-*. Ср. **сак.** *a-sal-, pa-sal* – “мазать” [Emmerick, 1968:25, 34], где *sal-* из *sard-* [Bailey, 1960, IV: 96].

Известно, что в немецком языке глагол «цементировать» и существительное «уголь» восходят к одной и той же лексеме – *kohlen*.

С кузнечным делом связан и глагол *дымын* – “дуть”, “выдувать”, восходит к **иран.** **dam*; *a→u→y* под влиянием губного (Абаев, I, 1958: 382 – 383); **перс.** *damidan* – “дуть”, “надувать”, *dam* – “дыхание”, “дуновение”, **пам. язг** *dam* – “надувать”, “раздувать мехами” [Андреев, 1930: 8]; а также **др. русск.** *дъму, думи*. Ближе всего **лит.** *dumii, dūmti* – “дуть”, **мн.** *dūmples* – “кузнечный мех” [Фасмер, I, 1986: 557].

Анализ данного слова даёт нам право отнести его к таким лексическим единицам, которые мы признаем терминами: они “стали таковыми, будучи вовлеченными в терминологию или терминосистему из сферы неспециальной лексики” [Лейчик, 2009: 28]. В эпосе он чаще всего употребляется с термином *куынц* – “меха”; ср. *Батрадз та куырдазма бахызт, амае йыл Куырдалагон аенаехъаен къуыри фадымдта* (НК, 2005, т. III: 36). – “Батраз вошёл в кузницу, и Курдалагон дул на него целую неделю” (подстр. пер.). Имеется в виду, “дуть мехами”.

Чаще всего кузнечные термины используется с такими вспомогательными глаголами, как *райдайын* – “начинать” и *канын* – “делать”. Ср. *Куынцитае саразут файнсердыгайтты амае дымын райдайут авзалы* (НК, 2005, т. III: 311) – “Смонтируйте со всех сторон меха и начинайте обдувать уголь” (подстр. пер.). *Ма’и фаххаста уеларвон Курдалагонма. Авд куницемай има амхузон сердумун кодта...* (НК, 2004, т. II: 691). – “И понёс его к небесному Курдалагону. И с семи мехов одновременно начал обдувать его” (подстр. пер.).

2. Терминоединицы как понятия восточно-иранской ветви осетинского языка периода позднего средневековья и нового времени образованы двумя различными способами. Мы последовательно рассматриваем оба лингвистических способа.

а) *Семантический способ.*

В одном из Нартовских сказаний встречается синоним термину “*сардын*” – “намазывать” (в значении *закалять*), “*авсарын*” – “класть”; ср.: *Сывардта йыл аендон цъар амае йае сырх зынг ыскодта, афтэмаей йае денджызма нынтъхыта* (НК, 2005, т. III: 36). – “Положил на него стальной слой и раскалил его, в таком состоянии закинул в море”.

б) *Словообразовательный способ.*

Эти терминоединицы “включают в себя на равных основаниях производящую основу, словообразующую морфему, слово в составе терминологического словосочетания...” [Даниленко, 1977:107]. К примеру, *куырдадз* – “кузница”, букв. “место кузнеца”; включает в себя “производящую основу – корень **kur* “топить”, словообразующую морфему -*d*- и слово *baza* – “место”. Для сравнения укажем: *kaerdbaza* – “ножны”, а также *tyudaz* – “воск”. Ср. *Уед нартаей иу Батрадз хуынди, ..., се хуыздер уыд Нартæн, тыхджын лаг – байсардын кодта йахи куырдадзы* (НК, 2005, т. III: 66). – “Тогда одного из нартов звали Батраз... он был лучшим у нартов, могучий человек – заставил закалить себя в кузнице” (подстр. пер.).

Термин *сардаггаг* состоит из следующих терминоэлементов: *сардын* – “мазать” (восходит к образуемому корню *sar* – “мазать”) + *аккаг* (достойный), букв. *достойный закалки*. Ср. *Тæригъæд мын æтпындæр ма кæн, сардаггаг дын мызд дыууадæс туманы схастон* (НК, III, 2005: 113). – “Совсем не жалей меня. За достойную закалку принёс плату в двенадцать туманов” (подстр. пер.).

Термин *дымгауадзæнтæ* – “меха” образован *дат* от корня *дымга* – “ветер”; далее его причастно-деепричастная форма на -*га* от глагола *дымын* – “дуть” < **перс.** *dat, datā* – “дуновение”, “веяние” + глагол *уадзын* – “пускать, впускать” + элемент множественности *тае* (букв. то, из чего нагоняют ветер). Ср.: *Куырдалагон загъта йае искаейæттæн: “Тагъд ут, цъус авзалытае йыл бакалут амае бадымут, тагъд басудждæжен”. Уыдон ыл бакалдой авзалытае амае йыл бадымтой дымгауадзæнтæ* (НК, III, 2005: 17). – “Курдалагон сказал своим помощникам: “Поторопитесь, закиньте на него немного угля и начинайте дуть –

быстро сгорит”. Они закинули на него угля и подули на него *мехами*” (подстр. пер.). Данная лексема в эпосе выступает синонимом термину *куынц*. Встречается единожды в сказаниях и только в южноосетинском говоре.

Термин *æртыскаен* – “щипцы для угольев” < **иран.** **ādr-us-kaṇa-* – “чем копаются (*us-kaṇ*) в огне (*ādr-*)”. Ср. **перс.** *Iskana* – “долото”, **согд.** *sk'n* – “инструмент для гравировки” [Benveniste, 1940:191 – 192]. Ср. *Уæд цыттарæм загъта*: “Уыдонæй се`птæтæй дæр хуыздæр æмæ тыхджындæр *æртыскаен*, артмæ чи бацæуы æмæ сыхр зын æфсæйнаг уырдыгæй чи раласы” (НК, 2007, т. IV: 106). – “Тогда четвёртый сказал: “Из них лучше и сильнее всех щипцы для угольев: что в огонь входит и раскалённым железом оттуда выгаскивает” (подстр. пер.).

2. Заимствованные термины металлургии и кузнечного дела, изредка встречающиеся в осетинском Нартовском эпосе, подразделяются нами на две разновидности:

а) собственно заимствованные. Среди них выделим: термин *куынц* – “меха”. Предполагается, что оно заимствовано из тюрск. *kunç, kunž* – “голенище” (использовалось для разжигания угля). В эпосе встречается как в единственном, так и во множественном числе. Ср. *Уæйгуытæ нæ фидыдтой*: “Чи хистæр у? Хъæсдарæг, куынц æви дзæбуз?” (НК, IV, 2007: 121). – “Великаны не сговаривались: “Что старше? Наковальня, *меха* или молот?” (подстр. пер.). *Уыдон сæм саразтой куынцтæ æмæ йыл сæртæ иннæ бонæ фæдыдтой, ыстæй йæ денджызмæ аппæрстой* (НК, III, 2005: 39). – “Они на них направили *меха* и стали дуть на них три последующих дня, затем бросили его в море” (подстр. пер.).

б) термины с заимствованной основой, оформленные по нормам и правилам осетинского языка.

Термин *куынцгом* “горнило, горн” < *куынц* – “кузнечный мех” + *гом* “отверстие, рот”. Ср. *Стæй Куырдалæгон дуртæ æрласта æмæ йæ цæвæрдта куынцгомы, дурты бын* (НК, III, 2005: 7). – “Затем Курдалагон привёз камни и положил его в горнило, под камни” (подстр. пер.).

Термин *хъæсдарæг* “наковальня”. Предположительно, от лезг *kaš, цахур. Qaş* – “молот”. Вторая часть исконная, от *dar-* – “держать”. Ср. *Уæд хистæр загъта*: “*Хъæсдарæгæй хуыздæр дзаума дзы ницы ис, уый тыххæй æмæ сæ ууыл хойынц*” (НК, IV, 2007: 106) – “Тогда старший сказал: “Нет вещи, лучше *наковальни*, потому что их на нём отбивают” (подстр. пер.).

3. Термины металлургии и кузнечного дела, зафиксированные нами в осетинском Нартовском эпосе, поныне относятся к категории установленного происхождения.

Термин *аркъау* – “щипцы”. Ср. *Æмæ сæм рацыди Сырдон æмæ сын загъта*: “...*дзæбуз хуыздæр у æви аркъау?*” (НК, IV, 2007: 86). – “И вышел к ним Сырдон и сказал им: “...молот лучше или щипцы?” (подстр. пер.).

Термин *дзæбуз* – “молот”. Ср. *Уæд æртыккаг загъта*: “Уыдонæй се`птæтæй *дзæбуз хуыздæр æмæ тыхджындæр...*” (НК, IV, 2007: 106). – Тогда третий сказал: “Из всех них *молот* лучше и сильнее...” (подстр. пер.).

Таким образом, термины и терминоединицы металлургии и кузнечного дела, зафиксированные в осетинском Нартовском эпосе, подтверждают этнокультурный факт: из осетинских народных ремёсел самое древнее – металлургия, металлообработка и кузнечное дело.

На основе методологических принципов этнографической лингвистики и в результате аналитического подхода к конкретным понятиям, выявлено: 1) лишь в сказаниях о нартах сохранили старые, неразложимые наименования *куырд* – “кузнец”, *куырдадз* – “кузница”; 2) терминология металлургии и кузнечного ремесла – древнейшая, о чём свидетельствует Нартовский эпос; 3) термины кузнечного ремесла являются исконными, заимствованные и не совсем ясной этимологии.

Библиографический список:

I. Словари

1. *Абаев В.И.* Историко-этимологический словарь осетинского языка, 5-ти томах. - М.: Наука, 1958. - Т. I. – 655 с.
2. *Фасмер М.* Этимологический словарь русского языка. В 4-х томах. - М.: Прогресс, 1986. - Т. I. – 576 с.
3. *Hübschmann H.* Etymologie und Lautlehre der ossetischen Sprache. - Strassburg, 1887. – 174 с.
4. *Ягелло И. Д.* Персидско-русский словарь. - Ташкент, 1910. – 1815 с.

II. Источники

5. *Нартæ.* Ирон адæмы героикон эпос. - М.: Наука, 1990. - 1-аг чиныг.
6. *Нарты.* Осетинский героический эпос. - М.: Наука, 1989. - Книга 2.
7. *Нарты кадджытæ:* Ирон адæмы эпос. - Дзæуджыхъæу: Ирыстон, 2005. - III-æм чиныг.
8. *Нарты кадджытæ:* Ирон адæмы эпос. - Дзæуджыхъæу: Ирыстон, 2011. - IV-æм чиныг.
9. *Миллер В.Ф.* Осетинские этюды. - М., 1881. С. 713

III. Литература

10. *Андреев М.С.* Язгулемский язык, таблицы глаголов. - Л., 1930. – 20 с.
11. *Лейчик В.М.* Терминоведение: Предмет, методы, структура. Изд. 4-е. - М.: Книжный дом «ЛИБРОКОМ», 2009. – 254 с.
12. *Лотте Д.С.* Основы построения научно-технической терминологии: Вопросы теории и методики. - М.: Изд-во Академии наук СССР, 1961. – 158 с.
13. *Смирнов А.П.* Скифы. - М.: Наука, 1966.
14. Этимологические исследования по русскому языку. - М., 1960. – 90 с.
15. *Bailey H.W.* Indo-Scythian Studies: Khotanese Texts. – London, 1961. - vol. IV. vii, 192.
16. *Benveniste E.* Mission Pelliot IV. Textes sogdiens edites. - Paris, 1946. – 136 p
17. *Emmerick R.E.* Saka Grammatical Studies. – London: Oxford University Press, 1968. – 367 p
18. *Fick A.* Vergleichendes Wörterbuch der indogermanischen Sprachen. Изд. 4-е, доп. - Göttingen, 1891, 1894. I – II. – 619 p
19. Памятники юго-осетинского народного творчества. - Цхинвал, 1929. – Т. I. – 278 с.

Madina Khudalova T.

*Philology, linguist
Russia, Vladikavkaz*

**ABOUT SOME TERMS OF METALLURGY AND BLACKSMITHING DISPLAYED
IN THE NART EPIC OF IRANIAN-SPEAKING OSSETIANS**

Key words: mining, metallurgy, metalworking, term, term element, blacksmith, metalworking craft.

Abstract: The article, which is brought to the reader’s attention, examines the semantic basis and the formal structure of blacksmithing terms displayed in the monument of oral folk art of the only Iranian-speaking Indo-Europeans living in the Central Caucasus and the Middle Ciscaucasia since ancient times - tales of Nart.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

*ასოცირებული პროფესორი ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
საქართველო, თბილისი*

საქართველოს სამსახურში

ოსტა და ჩერქეზთა ყოფნის ისტორიიდან

(XVIII საუკუნის მიწურული – XIX საუკუნის დასაწყისი)

ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორია სათავეს უძველესი დროიდან იღებს [თ. ბოცვაძე თეიმურაზ, საქართველო-ყაზარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1963, *მისივე*: საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), თბ., 1968; თოგოშვილი გიორგი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969; *მისივე*: ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ., თბ., 1969; ნ. ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, *მისივე*: ოსები საქართველოს დროშის ქვეშ (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), კრებულში: „კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები“, თბ., 2007].

კავკასიონის ქედის გადაღმა მცხოვრებ ხალხებთან მჭიდრო კავშირის დამყარების დიდ მნიშვნელობას ქართველი მეფე-მთავრები სათანადოდ აცნობიერებდნენ. ამიტომ, კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების დამყარება-შენარჩუნებას ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან ისინი ყოველთვის ცდილობდნენ. ამავე მიზანს ემსახურებოდა დინასტიური ქორწინებანი ქორწინებანი ქართული და ჩრდილოკავკასიური სამეფო-სამთავრო სახლების წარმომადგენელთა შორის. ეს პოლიტიკური შე-

უღლებანი მათი მოკავშირეობის მტკიცე საფუძველი ხდებოდა [ნ. ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 42-59].

ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ისტორიის გამორჩეულ მონაკვეთს – XVIII საუკუნის შუა ხანები წარმოადგენს. ჩრდილოკავკასიელი მთიელები ქართველ მეფეთა ერთგული მხედრები იყვნენ, რისთვისაც მათ წყალობა არ აკლდათ [ნ. ჯავახიშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარში ოსების სამსახურის ისტორიიდან, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ქრილში“ მასალები, თბ., 2015, გვ. 286-300].

1798 წლის 11 იანვარს, ქალაქ თელავის სამეფო სასახლეში, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798), რომლის დედის თამარ დედოფლის დედა – რუსუდან დედოფალი (მეუღლე ქართლის მეფე ვახტანგ VI-ისა), გახლდათ ასული ყაზარდოს მთავრისა [ნ. ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 45-46].

ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგმა (ვიცე-კანცლერმა), სოლომონ ლიონიძემ თავის სათაყვანებელ მეფეს უძღვნა შესანიშნავი გამოსათხოვარი სიტყვა: „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ნეტარების ღირსისა“.

დატირების ტექსტში ნათქვამია: „როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროა გაიშლება, დადის ტენელი ლაშქრად მორბიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ“ [ს. ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა. XVIII საუკუნის ავტოგრაფიული ხელნაწერის მიხედვით ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა, თბ., 1957, გვ. 39].

XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ზემოთ აღნიშნული ვითარება თანდათან შეიცვალა. რუსეთის იმპერიის მოხელეებმა ჩრდილო კავკასიის ხალხების გარკვეული ნაწილი და მათ შორის – ყაზარდოელები (იგივე ჩერქეზები) და ოსები საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოაქციეს. მათი ჩარევით, ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ტრადიციულ თანამშრომლობას ქართულ სახელმწიფოსთან ბზარი გაუჩნდა.

მეფე ერეკლე II-მ სცადა, რომ ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული ყაზარდოელები ქართლ-კახეთში გადმოესახლებინა და ამით მნიშვნელოვანი სამხედრო რეზერვი, კერძოდ კი მუდმივი ჯარი შეექმნა. საქართველოში გადმოსახლების სანაცვლოდ მეფე ყაზარდოელებს ნაყოფიერ მამულებსა და ხელფასს ჰპირდებოდა.

1778 წლის დეკემბერში ერეკლე II-მ ყაზარდოში საგანგებო ელჩობა მიავლინა. მათი საშუალებით მეფემ ყაზარდოელ ფეოდალებს შესთავაზა: „თქვენის ყმით გადმოსახლდით საქართველოში და იმერეთსა და ახალციხეს შუა დაგაბინავებთ“ [საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 143].

ამ ინიციატივას ყაზარდოელ ფეოდალთა, განსაკუთრებით კი წვრილ აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი სიხარულით გამოეხმაურა. მათთვის ეს წინადადება მომგებიანი ჩანდა, რადგან ყაზარდოში ისინი მიწების ნაკლებობას განიცდიდნენ.

დიდი ყაზარდოს თავადები კაიტუკი და კელმეტი თანახმანი იყვნენ, რომ თავიანთი ქვეშევრდომებითურთ საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ. ასლან-გირეი მურტაზინს იმდენად სურდა გადმოსახლება, რომ თუკი ქვეშევრდომები თან ნებით არ გაჰყვებოდნენ, მზად იყო, იძულებით წაეყვანა [Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв., Документы и материалы в 2-х томах, т. II, Москва, 1958, стр. 334].

ამის მიუხედავად, აღნიშნული გეგმა რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა აქტიური ჩარევით ჩაიშალა. ქართველი მეფის ელჩები რუსებმა მოზდოკში დააკავეს და უკან გამოაბრუნეს [ნ. ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 148-151].

ყაზარდოელთა ჩამოსახლების მიზნით ერეკლე II-მ ელჩობა 1782 წელსაც გაგზავნა.

იმავე წლის 19 ოქტომბერს მცირე ყაზარდოს მფლობელმა ფეოდალებმა მუსა კანშოვმა და ამფოკი ტაუსულტანოვმა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წინაშე ოფიციალურად ივალდებულებს, რომ ისინი თავიანთ ქვეშევრდომ აზნაურებს, რომლებიც საქართველოში გადასახლებას აპირებდნენ, ამის განხორციელებაში ხელს ყველანაირად შეუშლიდნენ. აქვე დავსძენთ, რომ გადასახლება სურდათ

მათ აზნაურებს: მურთაზოვებს, კოგოლკოვებს, ანზოროვებს, მოროზოვებს, ელიუზოვებს და სხვებს [Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв., Документы и материалы в 2-х томах, т. II, М., 1958, стр. 343].

1783 წლის ივლისში ყაბარდოელ ფეოდალთა ნაწილმა საბოლოოდ სცადა საქართველოში გამოსახლება, რაც რუსეთის ხელისუფლებამ კვლავ არ დაუშვა [საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980, 154].

არსებობს აზრი, რომ რუსეთი თავად იყო დაინტერესებული ჩრდილო კავკასიის კოლონიზაციათა და ჩერქეზი ხალხების, როგორც საიმედო სამხედრო ძალა, თვითონვე სჭირდებოდა [თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1963, გვ. 114-116].

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი სავსებით მართებულად თვლიდა, რომ ზემოხსენებული პროექტის ჩაშლა რუსეთის იმპერიის მესვეურთა მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დასასუსტებლად შეგნებულად გადადგმული ნაბიჯი იყო [ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 169].

მისივე აზრით, ყოველივე ამის შედეგად მეფე ერეკლე II-ს „მოაკლდა ის ძალა, რომლითაც იგი ხშირად, წარმატებით იგერიებდა მტრების საშიშ შემოსევებს“ [ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 226].

რუსეთის იმპერიის მესვეურმა იმიტომ არ დაუშვეს აღნიშნული გეგმის განხორციელება, რომ მუდმივი სამხედრო ძალის შექმნით მოძლიერებულ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის შეღწევის შესაძლებლობა მცირდებოდა. იმპერიის ხელისუფლებას ერჩია, რომ საქმე დაუძლურებულ ქართულ სახელმწიფოსთან ჰქონოდა, რომელიც სამხედრო დახმარებას მხოლოდ მისგან ითხოვდა და რომელსაც თავის საზღვრებში უფრო იოლად მოაქცევდა [ნ. ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 151].

XVIII საუკუნის მიწურულისათვის ქართულ-ოსური სამხედრო კავშირიც თანდათან დასუსტდა. ეს ფაქტი კარგად ჩანს თუნდაც მეფე ერეკლე II-ის წერილებიდან ქვემო ხევის მოურავ გაბრიელ ყაზიბეგის ძე ჩოფიკაშვილისადმი (გამოჩენილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის პაპა), რომლებიც პირველად 1901 წელს გამოქვეყნდა [ჟურნალი „მოამბე“, თბ., 1901, №4, გვ. 73-76].

1791 წლის 29 აგვისტოს ერეკლე II-მ გაბრიელ ჩოფიკაშვილისადმი გაგზავნილ საგანგებო წერილში მოურავს დაავალა, რომ თავაურის ხეობაში მოსახლე ოსებთან ურთიერთობა გამოერკვია. მეფე უკმაყოფილებას ვერ ფარავდა თავაურელ ოსთა ნაწილის მიმართ, რომლებსაც დაუსაბუთებელი პრეტენზიები გაუჩნდათ. იგი გაბრიელს შეასხენებდა, თუ როგორ იყვნენ თავაურელები დაფასებულნი ქართველ მეფეთა მიერ.

ერეკლე II-ის წერილის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მზადების დაწყება ჩრდილო კავკასიიდან დაქირავებული ლაშქრის გადმოყვანისათვის, რაშიც თავაურელ ოსებს აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ.

ცხადია, ყოველივე ეს შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მოლაპარაკებითა და მთიელთა მატერიალური დაინტერესებით. ამის გარეშე ჩრდილოკავკასიელებს გაუჭირდებოდათ მოეღწიათ დარიალის ხეობამდე, ვინაიდან დარიალის ქვემოთ მდებარე თერგის ხეობას აღდარებად წოდებული დუღაროვების საგვარეულო ფლობდა [ვ. ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები), თბ., 2006, გვ. 16].

მეფის წერილში ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ მაგივრად ყაზიბეგიშვილს გაბრიელს მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა. რაც მოგენერა, ყველა შევიტყვეით. შენ, როგორც ჩვენი სიტყვა გაქვს, ისე ყველას დაუარე და შეატყობინე და მზად იყვენ. თავაურებისა რომ მოგენერა – ზოგიერთს კაცს ცალკე დაჰპირდი რასმეო, ჩვენგან ეგ არ იქნება, ამიტომ რომ მაგათ ჩვენი წყალობაც სჭირსთ, ჯამაგირებიც აქვსთ. მოვლენ, თავიანთ ჯამაგირსაც აიღებენ და სხვაც მიეცემათ ხოლმე. ნიადაგ ჩვენი მაღრიელნი წასულან და ახლა მაგვარი ლაპარაკები რათ უნდათ?“

როდის უნახავთ, რომ ჩვენ მაგათთვის გვემტყუნებინოს და თუ მაგათ არ უნდათ, ჩვენ სხვას გზასაც ვიშოვნით და იმაზე მოვიყვანთ ჯარს. მძევლების რომ მოგინერია, როგორც კვლავ მომხდარა, ეხლაც ისე უნდა მოხდეს. ხიდების გაკეთებისა ჩვენის შვილის აღმასხანისათვის მიგვინერია და ალბათ რომ გააკეთებინებს. შენ ყველას ეხლავე შეატყობინე, რომ ყველანი მზად იყვენ და როგორც ჩვენი კაცი მოუვიდესთ, ისე წამოვიდნენ... თუ ჩვენი თავი უნდათ ვისმე, ჩვენი კაცი რომ მოუვათ, ხომ წამოვლენ და თუ არ უნდივართ, თითონ იციან“ [კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი № 10276 გ.].

იმავე წელს გაგზავნილ წერილში მეფემ მოურავს დაავალა არა მხოლოდ თავაურელი ოსების, არამედ ადილელი და ვაინახი ხალხების დარაზმაც.

ერეკლე II-ის წერილში ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ მაგივრად ყაზიბეგაშვილს გაბრიელს მოკითხვა უამბეთ. მერე, შენი დიად მადლიერნი ვართ, რომ ჩვენს სამსახურზედ კარგად ირჯები. ახლა ეს შენი ძმა ბაადურ, რომელსაც საქმეზედ გამოვისტუმრეთ, ის საქმე შენ და ამან ერთად უნდა იმოქმედოთ. ლომელთათვისაც ახლა ჩვენ წიგნები მოგვეწეროს, ყველაცას ახლათ უნდა შეატყობინოთ და მოამზადოთ: თავაურებიც, ანგუშტელებიც, ქისტებიც, ლილველებიც და სხვანიც – ჩაჩანს აქეთი კაცნი. ჩვენც მაგათთვის ცალ-ცალკე წიგნები მოგვინერია მომზადებისა და ჩვენი კაცი და წიგნი როდესაც მოუვიდესთ, მაშინ უნდა დაუაროთ და დასძრათ ის ჯარები და როგორც დაგვებარებინოს, ისე გამოისტუმროთ. მაშინ იმ დაბარების დროს თავიანთ მისაცემს ჯამაგირებსაც და ულუფასაც წერილით გამოუცხადებთ და გამოუგზავნით და თქვენ კი დიდად ბეჯითად უნდა გაისარჯნეთ: თეფშერუყოსაც უნდა შეატყობინოთ და მოამზადოთ, რომ როდესაც ეგ ჯარები დავიბაროთ, მაშინ ეგეც წამოვიდეს და რაც მაგ ჯარების სამემანდროები იქნება, შენ და შენს ძმას გებოძოთ. ალბათ, ამ საქმეზედ ორნივე დიდად გაისარჯენით“ [კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი № 10276 დ].

ერთ-ერთ წერილში მეფემ გაბრიელ ჩოფიკაშვილს დაავალა, რომ თბილისში ჩამოსულ ყაბარდოელ მეომართა მეთაურებს საყოველთაოდ განთქმული ჩერქეზული მშვილდ-ისრებიც ჩამოეტანათ.

1791 წლის 19 სექტემბერს ერეკლე II მოურავს წერდა: „...შენი ძმა ივანე მოვიდა და შენი წიგნი და თავაურების წიგნი მოგიტანა. რაც ან თავაურებს და ან შენ მოგეწერა, ვიუწყეთ და თავაურებსაც პასუხი მოვწერეთ. როგორც ეგენი დაგვიბარებია, თუ ისე ჩამოვიდნენ და მძევლებსაც ჩამოიყვანენ ხომ კარგი არის და თუ ისე არ ჩამოვლენ, უფროს-უფროსნი კაცნი ასეთნი ჩამოვიდნენ და მძევლებიც ჩამოიყვანონ, რომ რაც იმათთან ლაპარაკი და მორიგება მოხდეს, ის დამტკიცდეს, სხვათა წინააღმდეგობა და მოშლა აღარ შეეძლოსთ.

თუ ღ[მერ]თის ნება არის და კარგად რიგიანათ მოვრიგდებით, ხომ ის არის და თუ რიგიანათ ვერ მოვრიგდებით, მასუკან მაგათ თავიანთ გზა დარჩებათ და ჩვენს ქარავნის კაცთ სხვას გზაზედ ვატარებთ და აქ რომ ჩამოვლენ, თუ ვისთანმე სამართლიანი სალაპარაკო ექნებათ რამე, ხათრიჯამნი იყვნენ, სამართლიანი საქმით კარგად გაურიგებთ და ვინც დაბარებულნი არიან ჯარნი, ამ ორს დღეს უკან კიდევ კაცს გამოვისტუმრებთ და ის სწორეთ მოგიტანს ჩვენს სიტყვას... თუ მზანი იყვნენ, ეს წიგნი რომ მოგიდესთ, მაშინვე წამოვიდნენ, სხვას უკანა მომავალს ჯარს ნულარ მოუცდიან.

ქელომათისათვისაც წიგნი მოგვინერია. ღმერთის მადლსა, მალე გაუგზავნე და თეფშერუყოს წამოყვანასაც ეცადე და დიდად ბეჯითი იყავ, რომელნიც ჩერქეზები იყვნენ წამოსასვლელნი, თავაურებისათვის მოგვინერია, რომ გზა დაანებონ და რომ წამოვიდნენ, უფროსებმა თითო კარგი მშვილდი თავის ისრით მოგიტანონ და რომელნიც არ წამოვლენ, შენ მაგიერ სთხოვე და მოგიტანე და ვინც მოგვართმევს, მაგიერი წყალობა ჩვენგან დაემართებათ“ [კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი № 10276 ბ].

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII თავისი სახელოვანი მამის მსგავსად ცდილობდა, რომ ოსებთან ოდიტგან არსებული კავშირ-ურთიერთობები კვლავ ძველ კალაპოტში მოექცია. ამისათვის იგი საბოძვარს უხვად გასცემდა.

1800 წელს გიორგი XII-მ ბესლან შანაშვილს განუახლა ჯამაგირის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: „შენ, შანაშვილს ბეასლანს, კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან ჯამაგირი გქონდა გაჩენილი და ეს ჯამაგირის წიგნი ერევის ომში დაგკარგვოდა და ახლა ჩვენ გაგიჩინეთ წელიწადში ორმოცი მარჩილის ფარჩა. როცა შენ ჩვენთან ჩამოხვალ, ჩვენგანი განწესებულ ჯამაგირს ჩვენის კარის მოხელენი ჩვენის სალაროდან უკლებრივ მოგცემდნენ და შენც უნდა ჩვენის სამსახურის მცდელი და ერთგული იქმნებოდე“ [კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი № 13693].

საინტერესოა, რატომ ჰპირდებოდა გიორგი XII ბესლან შანაშვილს წლიური ხელფასის სახით 40 მარჩილის ღირებულების ფარჩას და არა ნაღდ ფულს?

იმ პერიოდისათვის ოსთა შორის გავრცელებული იყო ნატურალური ალებ-მიცემობის წესი. ამის გამო, ფულის ნიშნების ნაცვლად, ოსები ძირითადად ქსოვილების ალებას ამჯობინებდნენ. ეს ფაქტი დასტურდება იმხანად კავკასიაში მყოფ უცხოელთა ჩანაწერებიდანაც, სადაც ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მოსახლე ხალხთა ცხოვრების წესის შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდში საქართველოში გამოგზავნილი რუსული საექსპედიციო კორპუსის სარდლის, გენერალ ტოტლებენის ადიუტანტის შარლ დე გრაი დე ფუას მოგონებებში ვკითხულობთ: „დაბლობები, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ მოზდოკსა და კავკასიონს შორის, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია აზიაში, მაგრამ აქ მოსახლე ხალხები მხოლოდ ძარცვა-რბევით ცხოვრობენ. ისინი ტაცებენ განსაკუთრებით რუსებს იმდენს, რამდენიც ძალუძთ და შემდეგ ყველაფერ ამას ყუბანელებზე ჰყიდიან. მათ დიდი რაზმები ჰყავთ. ამასთანავე, ყაბარდოელთა ქვეყანაში განსაკუთრებით კარგი ცხენებია.

პირველი ხალხი, რომელიც ჩვენ ვიხილეთ კავკასიონის მთებში შესვლისას, იყვნენ ოსები. მათ წინამძღოლს ეწოდებოდა თემირ სულთანი. გაგვიჩიოდა დაგვეყოლიებინა იგი, რომ გავეტარებინეთ. თავადმა რატიევმა დაითანხმა იგი, მისცა ძღვნად თემისათვის ორასი არშინი ტილო. მაშინ მან მოგვამარაგა ცხენების საკვებით, რაც ჩვენთვის აუცილებელი იყო.

იძულებულნი გავხდით, მრავალი ხიდი გაგვეწყო თერგზე, რომელიც თერთმეტჯერ გადავლახეთ, ვიდრე მივალწევდით მის სათავეს. უფრო შორს ჩვენ ვნახეთ სოფელი ოსეტიცებად წოდებული ხალხისა. მათ ბელადს თუ ბატონს აჰმედი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი ცოტათი უფრო დამყოლი აღმოჩნდა, ვიდრე თემირ სულთანი. მიუხედავად ამისა, მისთვის მრავალი არშინი ტილოს მიცემა დაგვჭირდა, ვინაიდან იძულებულნი გავხდით ჩამოგველო ზარბაზნები ცხენებიდან და ოსეტიცებმა გადაიტანეს ისინი სტეფანწმინდამდე, რომელიც კავკასიონის მთის შუაგულში მდებარეობს. ეს ხალხები სრულებით არ იცნობენ მოჭრილ ფულს. ყოველგვარი სამსახური, რომელიც მათ გავვინიეს, ანაზღაურებული იქნა მაუდითა და ტილოთი. ამის სანაცვლოდ ისინი გვაძლევდნენ შესაბამისი ოდენობის სასმელ-საჭმელს“ [დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 38-39].

